

არსიანიდან  
მოვდივარ,  
მომიხარია

...  
ბრწყინავს ქართლი – ვარდის ბაღი,  
შეფრქვეული მინანქრით,  
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,  
სურნელების დაჰკრის ქარი.  
გ. ლეონიძე

## თავი I. ნაფუზარი

### ნაფუზარი

– არა, ბიჭებო, მე ჩემი მშვილდი და ისარი კაი ხანია, დავდე. თქვენთან უღელს სადღა გავწევ. ჩემს ბილიკზე უკვე ბალახი ამოვიდა.

ახლა იმასაც იტყვი; ჩემი კალო გავლუწეო, არა?

– აბა, მაშ რა, სადაც არა ჯობს, გაცლა ჯობს.

– შენ არ გვეუბნები ხოლმე, ძველი ხარისა რქანიცა ხვნივო?

– მერე რა, სიტყვა გაფრენილი ჩიტია, ასეთი სიტყვა საუბრის მარილია.

– ჩვენ შევეყვით ლაპარაკსა და ცხენი მიჰყავს ამხანაგსა.

აი, ასეთი საუბარი ჰქონდათ გიორგის ბიჭებს – ერეკლესა და ვახტანგს – მინდიასთან. მას გაეცინა და ერთი კიდეც მოაგონა:

– არა, ბიჭებო, სად მუხრანი, სად წილკანი, სად თხა ძოვს და სად ციკანი.

– აჰა, ღმერთო, შენც მია პავლე და ონისიმე ხომ არა ხარ?

– რას იზამ, წამწყმიდა წახედულეზამაო...

– აი, მინდორში გვნახე, როგორები ვართ. შენ შავშეთი, ტაო-კლარჯეთი და ერუშეთიც გინახავს, წელს ამ მხარის მოსაზღვრედ გვინდა წასვლა, ახლო ვიქნებით, ცოტა რამეს გვეტყვი, იმ მხარეში ნავალი ხარ, მართალია – თოფით, მაგრამ მაინც ბევრი გინახავს.

ორივე უკვე სტუდენტი იყო, გიორგი შეაგულიანეს: მესხეთ-ჯავახეთისკენ წავიდეთო, შენც საქმე გაქვს, მოგეხმარებით, «ჩვენი მინდიაც» წავიყვანოთო.

– ეჰ, რაკიდა შავშეთი და ერუშეთი ახსენეთ, რაღას ვიზამ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობია...

ბიჭებმა ტაში შემოჰკრეს და ყელზე შემოჰხვიეს ხელები.

– კარგი, თქვე ლომის ბოკვერებო, თქვენა!..

მცხეთაში გაიცისკრა, ქანდასა და ქსანს რომ გასცდნენ, კარგად გარიჟრაჟებული იყო.

აი, როგორ აღმოჩნდა ეს ბერიკაცი ამ რკინისკვნიტების ავტომანქანაში, რომელიც წლევის ქედის წინა კალთებზე მიქროდა.

– შარშან ხომ ეს ვენახი არც ჩანდა თითქოს, ახლა?

მართლაც, მათ წინ გადაჭიმული იყო ახლად ჩაყრილი უზარმაზარი ბაგა!

მინდიას თხოვნით სოფელ ოკამის პირდაპირ წლევის ქედის ფერდოს შეჰყვნენ, გაიარეს ერთი კილომეტრი და გაჩერდნენ.

– აჰ ნუშიანი მეგულეზობდა, აფსუს, დავიგვიანე, გადაუხნავთ.

ნახნავის პირას მცირე ბუჩქნარი იყო გადარჩენილი, მასში ერთი ოციოდე ნუში კიდეც ნახეს.

– მოველაპარაკები კასპელებს, იქნებ ამას ზევით აღარ მოხნან, ისედაც მაღლა ამოსულან!.. ზემოთ, ფერდობზე, დარჩენილი ბუჩქი ქვემოთ ვენახს შეინახავს.

იგოეთს რომ მიუახლოვდნენ, უკვე კარგად იყო ნარიჟრაჟევი, ცა მზეს ელოდა.

წითელ საყდართან ერეკლემ მანქანა შეაჩერებინა.

– მუხა ძირს დაუციათ!..

გიორგიმ წამოიწია, გახედა. ნაწყენმა თავი გააქნ-გამოაქნია.

– ჩავიდეთ სოფელში და ავიდეთ მუხასთან.

– რას ერჩოდნენ? რა დაუნდობელი ხალხია! – ჯავრობდა გოგიაც. სხვებს თითქოს კრიჭა შეეკრათ. მანქანა ქედის ბოლოზე ავარდა და მალე მათ წინ ძირს დაცემული, მკლავებმომტვრეული ვაჟკაცივით ეგდო უზარმაზარი მუხა.

– გული გამოუწვიათ და დაცემულა.

– გიყვარდა ეს ვაჟკაცი, არა, გიორგი?

– როგორ არ მიყვარდა. კარგი ტოტებზარაქიანი მუხა იყო. ისე დაიტირეს, როგორც კარგი ვაჟკაცი...

– აჰა ვართ და ბარემ კასპში ჩავუხვიოთ, სააკამის ძეგლი ვნახოთ. ისიც ხომ წაქცეული მუხაა!

დათანხმდნენ.

– თბილისის დიდი მოურავი იყო თუ კასპისა? – ვერ მოითმინა ენაკვიმატმა ვახტანგმა.

– მოურავი თბილისისა იყო, მაგრამ ამ მხარეში დაიბადა.

– გრიბოედოვი პეტერბურგში დაიბადა, მაგრამ ძეგლი თბილისში დაუდგეს. საქმე ისაა, ვინ რა გააკეთა, – არ ცხრებოდა ვახტანგი.

– მერე რა, მოვა დრო და იქაც აუგებენ.

რგვალჭალის ბოლოზე შეჩერდნენ, კოწახურის რამდენიმე ნიმუში აიღეს. «ბერიკაცს» – მინდიას – სცეს პატივი, ის ხომ კოწახურებზე იყო შეყვარებული, კვერნაქის ბოლოები აქ მეტისმეტად ჩამოხრიოკებულა, თხაც კი ვერაფერს იპოვის.

როდესაც მანქანა სააკადის ძეგლთან დადგა, მზემ პირველი სხივი სტყორცნა არემარეს. მისმა ელვარე სხივმა სააკადეს ქოჩორი ისე გაუნათა, გეგონებოდათ, ოქროს მუზარადი დაახურაო.

– ტანთან შედარებით თავი პატარაა.

– ხმალიც ძალიან დიდია, ჯალათისა უფროა, ვიდრე მეომრისა.

– ცხენი კი კარგია!

– მაშ, პირდაპირ ცხენის ქანდაკება დაედგათ, გიორგი სააკადე რალა შუაშია?

გიორგი და მინდია შორიახლო იდგნენ და ყურს უგდებდნენ ბიჭების – ვახტანგისა და ერეკლეს – ლაპარაკს.

– ბიჭებო, ჯერ ერთი, ასეთი მონუმენტური ძეგლი ეგრე არ გაისინჯება – ერთი ორასიოდე მეტრი დაიხიეთ, იქიდან გამოიხედეთ და მერე თქვით, კარგია თუ ავია...

ბიჭებმა არც კი დააცადეს სიტყვის დამთავრება, მოსწყდნენ ადგილს და უმალ დასცილდნენ ძეგლს: როგორც ჩანს, ასე იჯობინა.

– მართლაც, ახლა უკეთესი გვეჩვენა, მაგრამ ხმალი მაინც დიდია.

– კარგია, ძეგლი რომ დაიდგა – ხალხს მოაგონებს, ვინაა და ვისი ჩამომავალი.

– აგერ, მალა, სკოლა რომ ჩანს, იქ ამ ორმოცდახუთი წლის წინათ ამილახვრიანთ სახლი იდგა. მე და მამათქვენმა ერთი-ორი ღამე გავათენეთ. მაშინ პირველად წამოვიყვანე სამუშაოდ, აშურიანს ვიკვლევდით.

საქეს გიორგი მიუჯდა. გოგიამ კი ბიჭებთან გადაინაცვლა.

გიორგიმ მანქანა შემოაბრუნა და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო, ლეხურის მარცხენა ნაპირზე ახალი მოსახლეობაა, კასპის ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეების უბანია, ამიტომ უფრო ქალაქური იერი დაჰკრავს.

შარაგზა რკინიგზის გასწვრივ მიდიოდა. წლევის ქედის სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდონი უტყეოა, ბევრგან ნიადაგი ჩამორეცხილა, ხევხუვები გაჩენილა. საერთოდ კი, დაფარულია ძემვიანით. აქა-იქ მოჩანს ეულად მდგომი ბერყენა (ოლე)², ბალახეულებში ურო ჭარბობს, ზოგან აზინდის ფრაგმენტებია.

წლევის ქედის ამ ნაწილის უმაღლესი მწვერვალი ათას ასი მეტრია. ქედის პირიქით ფერდონი ტყიანია და ზედ სოფელ ოკამის ვენახებია.

გაირბინეს სოფელი მიქელწყარო და სადგურ კავთისხევთან ხიდით გადაჭრეს მტკვარი. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჭალაში, კიდევ იყო დარჩენილი ჭალის ტყე – რამდენიმე ვერხვი აშრიალებდა თავის ცახცახ ფოთლებს. მანქანამ აირბინა მტკვრის კბოდეზე გაჭრილი შარაგზა და გეზი კავთისხევისკენ აიღო. ხუთიოდე კილომეტრის შემდეგ სოფელ ქვემო ჩოჩეთში შევიდნენ.

ქვემო ჩოჩეთის აღმოსავლეთით, ოხერას სერის ფერდობებზე და ძირობზე, სოფელი ედლითია, მაგრამ სად იწყება კავთისხევი და ქვემო ჩოჩეთი, ძნელი გასარჩევია, გადაბმულები არიან. კავთისხევის მიხვეულ-მოხვეული გზებით თვალადში ავიდნენ.

წინათ თვალადი მთელ ამ მხარეს ეწოდებოდა, დღეს კი მარტო სოფელს შერჩა ეს სახელი; მწერალმა გიორგი შატბერაშვილმა საინტერესო ლექსიკონი დაგვიტოვა, რომელსაც თვალადური ლექსიკონი უწოდა.

თვალადის თავზე გიორგიმ მანქანა ჯაგნარით დაფარულ ფერდობზე გაიყვანა, რომელზედაც საურმე გზა მიიკლავებოდა. ეს გრიგოლწვერის ფერდო იყო. გიორგის მანქანა ფრთხილად მიჰყავდა, გაიარა ბროლისის მინდვრები, სოფელ მთიულთუბანს ბოლოზე გაუარა და შევიდა ნოსტეში.

– ესეც თქვენი ნოსტე!

– ვახტანგ, განა ეს სააკადის ციხეა?

ძირს კავთისხევი (მარჯვნივ-ერთაწმინდა, აგერ ახალქალაქიც, დალოცვილია ეს მხარე. ხოვლედან – ივანე ჯავახიშვილი, ახალქალაქიდან – ეკატერინე გაბაშვილი, ის ხომ თარხნიანთ ქალი იყო), ივანე თარხნიშვილი, ფიზიოლოგი, კავთისხევიდან – უნივერსიტეტის მშენებელი ნიკო ცხვედაძე, ერთაწმინდიდან – ია კარგარეთელი,

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცის დასაწყისს არ ეყოფა ეს დიდი მოღვაწეები?

– შენ ხომ იცი, რომ ივანე თარხნიშვილი ალექსანდრე დიუმას უნახავს შემახაში?

– ეგ როგორ?

– ივანეს მამა შემახის უფროსი ყოფილა, ყველა საპატიო სტუმარი კი მხარის უფროსს უნდა მიეღო; ალექსანდრე დიუმა რუსეთის იმპერიაში ფრიად საპატიო კაცად იყო მიღებული, იგი აღფრთოვანებით წერს პატარა ივანეზე, რომელმაც ფრანგული ენა თურმე « ფრანგებზე უკეთესად იცოდა».

– ოჰ, შენ ყველაფერი უნდა გადააჭარბო.

– მე კი არა, ალექსანდრე დიუმამ. ის ხომ კავკასიაზე ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ურევს.

ნოსტეს კომპმა ჭაბუკებზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

ნოსტედან სოფელ ახალციხისკენ დაემგნენ, გზა ბალ-ვენახებში მიდიოდა. მხარმარჯვნივ წოწოლა გორის ფერდონი გავაკებულიყვნენ და გადაჭიმული იყო ხოდაბუნები; მათ «გრძელებს» ვუწოდებთო, – ასე უთხრა პატარა მწყემსმა.

შევიდნენ გარიყულაში. კბილი უკაწკაწებდათ, ერთაწმინდაც ენახათ, მაგრამ უფროსებმა თქვეს: «მერეო».

თარხნაიანთ სასახლეს ჩაუარეს. ჩანდა, წინათ მართლა სასახლე ყოფილიყო. სამხატვრო ფონდს ჩაუბარებია, მხატვართა სახლი უნდა მოეწყობოთ. მათაც მეტი ვერა მოიგონეს რა, და ირგვლივ რომ დიდი აივანი ეკრა, ჩამოუხსნიათ, კედლები შეუბათქაშებიათ.

– იქნებ დამპალი იყო?

– იქნებოდა, მაგრამ აღდგენა უნდოდა, – ჯავრობდა ვახტანგი.

შიგნითაც შებათქაშებული იყო ოთახები. ერთ ოთახშილა დარჩენილიყო ადგილ-ადგილ სპარსულ ყაიდაზე მოხატული ძველი კედლები. მართლაც დასანანია, რომ არ აღადგინეს და ვიღაც უცოდინარმა მეტად უხემში «რემონტი გააკეთა».

ახალგაზრდებს სანდომიანი სახის ხანში შესული ქალი გამოესაუბრა. თარხნაიანთ ჩამომავალი იყო, ამ სახლში ცხოვრობდა, შეუთანხმდნენ თურმე, თარხნაიანთ სასახლის გვერდით პატარა სახლი აუშენეს და იქ დააბინავეს იგი. მასწავლებლად მუშაობდა სკოლაში.

ჭაბუკები გაიტაცა ძველმა, ასი წლის ფოტოსურათებმა, მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცის დასაწყისი იცქირებოდა ამ სურათებიდან.

ნელი საუბრით დაბრუნდნენ.

– საიდან და რად უნდა იყოს თქმული:

*«მაღალმა ღმერთმა დასწყევლოს ჯავახიანთ გალობაო...»*

*კარებამდე არ მიგყვება თარხნაიანთ წყალობაო?»*

ივანე ჯავახიშვილი კარგი მუსიკოსი იყო, გამოკვლევებიც ხომ აქვს მუსიკის ისტორიაში.

– ლექსი ცვალებადობს, ხან ერთი გვარი ჩნდება, ხან – მეორე. ხომ გახსოვს:

*«ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბარათაშვილსაო»...*

*მეორე ვარიანტშია «მუხრან ბატონსაო».*

ეს საუბარი უკვე ერთი კაკლის ძირში გრძელდებოდა, სადაც მგზავრის სუფრა იშლებოდა, რადგან მზე უკვე თითქმის შუადღეზე იყო და გუთნის სამხრობა დგებოდა.

ძველად ტირიფონაზე თუ ადგილ-ადგილ იყო ველობი და ბალახიანი, სამაგიეროდ, მთელი თრიალეთის გვერდის ძირი და თვალადი მუხნარი და მუხნარცხილნარი ტყით უნდა ყოფილიყო დაფარული, ჭალის ტყე ხომ მოისპო და მოისპო, თრიალეთის ტყეებიც არ დაინდო ცულმა, ბევრგან გაანადგურა, ვაკეზე ბალმა, ვენახმა და სახნავმა დაიჭირა ნატყევარის ფართობი.

– წინათ ესმოდათ ტყის ყადრი?

– ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელს ჰყავდა ტყისმცველები, შიომღვიმის სიგელში წერს: « არა გვევლებოდეთ... არცა ტყისმცველებისაო». და ეს ტრადიცია შემდეგშიც დარჩენილა.

აი, მეფის, ნაზარალიხანის, ბრძანება:

*«მესტუმრეთ ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდ იმედს დარბაზს ჯავახიშვილის ბატონს, ფარემუხს, ასრე მოახსენეთ: მერმე არჯავნის მეყორულობა თქვენთვის გვიბოძებია და რავგარადაც ამას წინათ შანავაზ მეფისა და გიორგი მეფის ჟამში ყორული ყოფილიყოს, იმრიგად დააყორულე.»*

*1690 წელი, აპრილის 27, მეფე ნაზარალიხანს».*

ძველი სიგელ-გუჯრებიდან ბევრი ასეთი ამონაწერის მოტანა შეიძლება.

მეყორულობა, პირველ რიგში, ტყის მცველობას ნიშნავს. «ყორული» ნაკრძალია, შენახული ადგილი. თურქეთიდან შემოსული და დამკვიდრებული სიტყვაა. დღევანდლამდე, როდესაც მცხრალი<sup>3</sup>, უნდოდათ, სათიბად დაეკავებინათ, ორ-სამფოთლიან ტოტს ჩაარჭობდნენ: დაყორულეო. ამ ადგილში საქონელს არავინ შერეკავდა, ბალახს არავინ მოადოვებდა. თუ მოადოვებდა, ისე დაისჯებოდა, როგორც მოწანახედე<sup>4</sup>, გადახდებოდა გამოვილი ბალახის ფასი. ასეთ ადგილს: «ყორული» ეწოდებოდა. ყორულობა შეიძლება გახანგრძლივებულიყო 2-10 წელიც. იყო, მაგალითად, ასეთი საუბარი: «ჩიქლანთ ყორული», ტეტუნანთ ყორული» და სხვა. ჰქონდათ ასეთი საუბარი და თან სუფრას შლიდნენ.

ის-ის იყო, სუფრა გაიშალა, რომ ერთმა წელგამართულმა, მკერდგანიერმა და თეთრულვაშიანმა ვაჟკაცმა სალამი მოახსენა.

– თქვენ სუფრას გაუმარჯოს...

მინდია და გიორგიმ აიხედეს.

– ტატეს გაუმარჯოს, მობრძანდი, გვეწვიე.

გზაზე მყოფმა ხელი მოიჩრდილა.

– რა ვქნა, ვერა გცნობთ, სად გინახივარ?

– აბა, მოდი და აქ გეტყვი, – წამოდგა მისაგებებლად.

ტეტეც გრძელი ნაბიჯით გამოემართა, ფეხს ისე ადგამდა, გეგონებოდათ, დევის ნაქუსლი, უნდოდა, მიწისათვის დაემჩნია. შუა გზაზე შეხვდნენ, მოხუცს ნათელი გადასდიოდა სახეზე.

– ერთი თქვენი სახელიც მიბოძეთ... მაშინ ეს თქვენი ვაჟი იქნება, თქვენი შვილიშვილები კოჭებში გგვანან, კარგები ჩანან, ალბათ, კვიცი გვარზე ხტის, არა?

– დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე, ნუ წუხდებით, მე, აგერ, ერთაწმინდაში მინდა გადავიდე... ყველას ხელი ჩამოართვა, ლამაზი ნაბდის ქუდი კი მეორე ხელში ეჭირა.

– მაინც საიდან მიცნობთ, მინდია ბატონო?

– «შენი გაცნობა არ არის ძნელი». ახლა სამოცდაათს უნდა იყოთ მიღწეული, ხომ?...

– სამოცდათერთმეტისა გავხდით...

– ამ ორმოცდაათი წლის წინათ თბილისში გნახეთ, კულა გლდანელის საჭიდაოზე. თქვენ განა ტატე არა ხართ, გოგიბედაანთ ტატე...

– მერე მას შემდეგ გახსოვართ?...

– კარგი მოჭიდავე ხალხს დიდხანს ახსოვს ხოლმე.

– მართალია, თქვენი ჭირიმე. აი, დათა ხიზამბარელი ასი წლის წინათ მოკვდა, მაგრამ დღესაც ისე ახსენებენ ხოლმე, გეგონება, გუშინ იჭიდავო, ჩვენ სად მოვალთ დათასთან.

– იცით რამე დათაზე? თუმც, აბა, ჯერ ეს მიირთვით, – და მიაწოდა ყანწით «წინანდალი».

– ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოს! – და გადაკრა, უღვაშზე ხელი გადაისვა.

– როგორ არ ვიცი, პაპიჩემისაგან ყური მქონდა გამოჭედილი. თქვენ რა, აი, ბიჭი დათა იყო.

– კედევ, კიდევ, – შეჰლადადეს ბიჭებმა.

– კიდევ რა, ბიჭებო, საწყალს არ დასცალდა და უცოლშვილო გარდაიცვალა 24 წლისა თურმე, მაგრამ სახელი ისეთი გაითქვა, გეგონებათ, ხატის მუხააო, მიწაში ფესვგამდგარი. ვისაც ხელს მოავლებდა, მაშინვე ყველა გულადმა ეგდო. ძალიან თავმდაბალი ბიჭი ყოფილა და ხალხს იმიტომ ჰყვარებია. ერთხელ მცხეთაში დაეჩაგრათ, გლდანელი ათოლა თუ ატოლა გამოუყვანიათ. ყურში წასჩურჩულა თურმე: «ნუ წამაქცევ, ჩემი დანიშნულია აქაო».. დათას თავი დაუქნევია, ამ დროს ათოლას ფეხი გამოუკრავს და აკი დაუჩოქებია! ამ გლდანელის ქომაგები თავადი გურამიშვილები ყოფილან, სცემიან და გაუშველებიათ.

მეორე დღესვე თბილისში მთავარმართებლთან მისულა, ქართველი ყოფილა მაშინ<sup>5</sup>: «ან ათოლასთან მაჭიდავე, ან არა და საქართველოდან გადავიხვეწებო». იმას მართლაც მოუწყვია ჭიდაობა; დათა მთელი კვირა ლოპიანასთან ყოფილა.

წრეში დათა ათოლასკენ რომ წასულა, ათოლა ვერხვის ფოთოლივით თრთოდა. «ჩაიდგი მუხლში ძალა, რასა თრთიო», მოუვლია ხელი და წამოუკიდა, წამოუკიდა და უკითხავს: «შენი დანიშნული საით არიო». უნდოდა ქვებზე დაენარცხებინა, მაგრამ ვეღარ გაიმეტა. დასცა, წამოაყენა და უთხრა: «სიტყვის გატეხა მირონის გატეხააო»... ათოლას თურმე მას აქეთ ხელი აუღია ჭიდაობაზე, დათასაც დიდხანს აღარ უცოცხლია, ოცდასამისა თუ ოცდაოთხისა მომკვდარა, მაგრამ დახე, მისი სახელი დღევანდლამდე ცოცხალია.

– მაშ, ჩვენი ქვეყნის წვივმაგარ და მკლავმაგარ ბიჭებს გაუმარჯოს!..

– იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ. ეს ჩვენი მხარე ხომ აგეთ ბიჭებსა ზრდის. აგერ, ქვევით პატარა სოფელი რომ ჩანს, იქ სანდრო კანდელაკი დაიბადა, მე იმაზე უზარმაზარი და ღონიერი ადამიანი არ მინახავს, მისი ბიჭიც ხომ მძლავრია; ჩემს დროს კულას ცირკში ჩამოდიოდა კოტე კავთელი, ჩივამეა გვარადა; ჩემი სახლიკაცი ლადოც ხომ განთქმული მოჭიდავე იყო. ჩვენი ახლანდელი თავმჯდომარე ახალგაზრდობაში მაგარი ბიჭი იყო, მის თემოს ბევრი ვერ უძლებდა. გიორგი სააკაძეც ხომ აქაური იყო და იმასაც ძლიერ კაცს ამბობენ. ჩვენში მთელი უბანი მორკინალებისა, მორკინალი ხომ ძველ ქართულში მოჭიდავეს ნიშნავდა. მაშა! მორკინალი ახლა გვარია.

ბიჭები გახალისდნენ. ვახტანგი გუდას ეცა და წიგნი ამოაძვრინა, გადაშალა და დაიწყო ხმამალა კითხვა, ეს იყო «განჩინება მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სხვადასხვა სარჩელის შესახებ».

ექვთიმე თაყაიშვილი ამ დოკუმენტის შესახებ აღნიშნავს: «ამ შესანიშნავი განჩინებისა ჩვენ მარტო პირი გვაქვს ხელში. აქ მოხსენებულნი მოურავი, ჩვენი აზრით, არის დიდი მოურავი გიორგი სააკაძე».

არც უნდა ცდებოდეს, რადგან დოკუმენტში მოხსენებული პირები მისი თანამედროვე ისტორიულად ცნობილი პირები არიან (შაჰ-აბასი, სვიმონ მეფე, ქაიხოსრო ჯავახიშვილი) და ამ დოკუმენტში აღწერილი ამბებიც (სპარსეთში გაძევება, დაბრუნება) გიორგი სააკაძეს გადახდა თავს, ნოსტეც გიორგის სოფელია...

ვინც არ უნდა იყვნენ აქ მოხსენებული პირნი, ერთი მაინც ფრიად შესანიშნავი ამბავია. აი, ეს ადგილიც ამ დოკუმენტიდან:

«ვიდევ სარჩლა ბატონმა მოურავმან: «ბატონი თეიმურაზ ქართლში ჩამოვიდა და სურამს იდგაო; მე ბედნიერის ყაენიდან წამოველო და ჩემს მამულში მოველო,

ჯერ ეს არამ კაცმა არ იცოდაო, თუ ქართველი ბატონის საყმოდ მოვსულიყავო, თუ ბედნიერის ყაენის საყმოდ. ჩემს მამულში ვიყავო და არავისთვის რა შემეცოდაო, წავიდა ქაიხოსრო და ფარსადანთან მივიდაო, რომე მოურავი თავის მამულში ნოსტეს მისულაო; ლაშქარი მომეც, წავალ, თავს დავესხმი და მოუკლავს, არ გაუშვებო. ფარსადა ნ სამასი კაცი გამოატანა და ჩემად სასიკვდილოდ წამოვიდა. ღმერთიც შეეწევის ერთს ჩემს მოკეთე კაცსა, მოვიდა და შემატყობინა, რომ ამას ღამე გულმართლად ქაიხოსრო თავს დავესხმის და მოგკლამსო. ავდეგ, გავეცალე და ხანდაკს ჩამოველ და ღმერთმან და ყაენის ბედნიერებამ მამარჩინა და იმხანად ვეღარ მომკლა, ისეთნი ერთა ავი და უკაცრაული ქაიხოსროსგან მჭირდა, და ახლა სიკვდილს რაღას მემართლებოდა, ან ჩემს მამულში მოსვლისათვის რატომ მამკულემდა?»

«ქაიხოსრო ამას უპასუხებდა: «აშოროს ღმერთმან, რასაც დროსა და ქამსაო ფარსადანთან ლაშქრისათვის მივსულვიყო, ან ბატონის მოურავის თავს დასხმა და სიკვდილი გამომერჩისო და ან მისად სასიკვდილოდ წამოვსულვიყო, თავადაც ღმერთის შემცოდე ვიქნებო და მერმე სრულიად ქართველთაც. ამაზედ არ წამოველო, რომე რომ ჩემი დარჩომილი იყო, ზოგი დამემალაო და ზოგი წამომეღაო».

«ქაიხოსრო ამაზე ხმალი გააგდო, რომე მაგისი მოპირე კაცი მოვიდეს, რომ მაგ საქმის მქნელი ვიყო, მოსამართლე და ერთმანეთს ხმალი ვკრათო».

თუ ხმალი გაგვეჩინა, შუაზედ სისხლი იქნებოდა: ან ერთი მოკვდებოდა და ან მეორე. გ ა ვ ს ი ნ ჯ ე თ, დ ა შ ლ ი ლ ი ქ ე ე ყ ა ნ ა იყო და შ უ ა ზ ე დ ა რ ც ა რ ა ქ მ ნ ი ლ ი ყ ო. ჩვენ ამისი ასე გავაჩინეთ: წადგეს ქაიხოსრო თვითონ თავისი თავითა, ორის შესახლებულის უმტეროს კაცითა და ორის შეუსახლებელის კაცითა, ასრე შეჭვიცოს: «ბატონო მოურავო, ამისმან მადლმან, ამისმან ძალმან, ამისმან განმაცხოველებელმან ქრისტემან ღმერთმან, არც წამოვსულვარ შენდა სასიკვდილოდ, არც ფარსადანისათვის შენად თავს დასასხმელად ლაშქარი მომითხოვინა». თუ დაიფიცოს, არა ზედაც, თუ ვერ დაიფიცოს, ან დაუდვას ხუთი კომლი გლეხი, ან მიართვას ორმოცდაათი თუმანი იქ იმისათვის. ამის მეტი ვერა გავაჩინეთ რა»...

- არეული ქვეყანა იყო სწორედ.
- ჭკვიანები ყოფილან მსაჯულნი, «დაშლილი ქვეყანა იყო» და ამიტომ ხმალში გასვლა დავანებეთო.
- მაინც რა ჰქონდათ ასე სადავო.

- ეჰ, ჩემო გივი, ორიენტაციას, ორ გველემაჰს შორის მდგომნი არჩევდნენ: რომელი გველემაჰი ჯობიაო, სპარსეთი თუ ოსმალეთი.

- საკვირველია, ეს დოკუმენტი რატომ არც ერთმა მწერალმა არ გამოიყენა! ვინ არ წერა სააკაძეზე - იოსებ თბილელმა, ანტონ ფურცელაძემ, ვასილ ბარნოვმა, სანდრო შანშიაშვილმა, ანტონოვსკაიამ, უმანგი ჩხეიძემ... ექვსმა. ექვს მწერალს ერთზე რომ ეწეროს, მე არ მახსოვს... ერთი კია, ხალხს არა შეუქმნია რა, ხალხური ლექსები დიდ მოურავზე არა ჩანს.

- არსენაზე?
- ჰო, არსენაზე ჯერ პირველად ხალხმა თქვა, შემდეგ კი... მოჩხუბარიძემ, სანდრო შანშიაშვილმა, მიხეილ ჯავახიშვილმა...

- მაინც ექვსი არ არის.
- ხალხი ხომ უდრის ორს ან სამს?
- სააკაძეზე ბევრი რამ იცით. დღეს ესეც გეყოფათ. უფლისციხეში ვართ ჩასასვლელები...
- ბავშვობაში წამიკითხავს, აქაური იყო თევდორე ბერი, თემძის ხეობაში გადააწყდა თურქების ჯარს, - ჩაერთა ტატე, - გზა აურია, ძამას ხეობაზე გადაიყვანა თურმე, მანამდე კი ქართველებმა ჯარის შეკრება მოასწრეს, თევდორე კი აკუწეს. გიორგი სააკაძე წამოეწია ტაშისკარს და ვგონებ მოამბე აღარ გაუშვა... ეს იყო 1609 წელს, არა?

- მამი, წამოსვლის წინ «ლიტერატურულ საქართველოში» შოთა ნიშნიანიძის ლექსი წავიკითხე, აი, ერთი-ორი ადგილი:

«ბაღლობაში ნუკრი იყო – თრიალეთზე ბალახობდა,  
თეთრი ირმის ძუძუს სწოვდა და ალგეთში ბალახობდა,  
ყელს ეკიდა ქრისტეს ჯვარი – გამგებელი საუფლოთა –  
წმინდა იყო, სათნო იყო, ცაში ღმერთთან საუბრობდა.  
თოხნიდა თუ ვენახს სხლავდა, ეხსნებოდა ბაგე ლოცვით.

.....

თევდორე!

თევდორე!

ეს რა ძალამ გასულდიდა,

შენი ერი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან...»

– და აი, ხედავ, ტატემ რომ მოიგონა, განა ეგ გამოხმობა არაა?

– გამარჯვება რომ გვეამყებოდეს, გასაგებია, მაგრამ ზოგი დამარცხებაც სასახელოდ ჩანს თურმე... – წამოიწყო ვახტანგმა.

«თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,

ერთხელ ხმამალა რომ ვთქვათ მარაბდა!»

მწვავედ განიცდიდა ლადო ასათიანი ჩვენი ქვეყნის ბედსაც და უბედობასაც.

– ცხრა მძისა და მათი დედის ლეგენდაც მარაბდასთან არის დაკავშირებული.

«ეს აწეწილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია?

ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?

დაწრიალებენ, დამრწიან ქაფმორეული ლაშებით...

მხედრებო, ასე უღმერთოდ რად მიატოვეთ რაშები?!»

– ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ კარგად დაწერილი წიგნი მთელი სიცოცხლის საგზალია. იაკობ გოგებაშვილზე ვამბობ, – რაღაც გულითადად თქვა მინდია.

ტატე წამოიმართა, საყველაწმინდო და სატალახო დალია, გზა დაულოცა, თან მარცხენა ხელით ცრემლი ჩამოიბერტყა და დამნაშავესავით გაიღიმა.

– ერთი სათხოვარი მაქვს, ჩემი სოფელი – ზემო ხანდაკი – აქვეა, თეძამგადმა. მართალია, იქნებ ბევრი არაფერია, მაგრამ, სხვა არა იყოს რა, ერთი კარგი ვაშლი «ხანდაკურა» ხანდაკელებმა მისცეს საქართველოს, სოფელში მეც ვურევივარ და ერთი ჩემი სახლის ჭერმაც გნახოთ. თუ მაღალმა არ დაიწია და დაბალმა არ აიწია, ეს ქვეყანა ვერ იწაღმართებს. არც კოლმეურნეობა გვაქვს ცუდი. მე და ლადოც ვიჭიდავებთ, თუ გინდათ, – თან ვახტანგს შეხედა, აზომ-ჩაზომა მოეწონა, შენ თემო გეცოდინება, შენი ტოლი ბიჭები აქაცა გვყავს.

ყველას გულიანად გაეცინა და სიყვარულით დაემშვიდობნენ ტატეს.

ზემოჩოჩეთში გიორგიმ მანქანას გეზი აღმოსავლეთით, სოფლის ვიწრო ქუჩისკენ, მისცა, მალე გაიმინდვრეს.

– ცოდოა, ჩოჩეთი ისე გავიაროთ, სამალავის ხეობის უცნაურობა არ ვნახოთ, – უთხრა გიორგიმ მინდიას სხვების გასაგონად.

– გიცდიდი, მოიგონებს თუ არა მეთქი, – გაიღიმა მინდიამ.

მანქანამ მინდორში სარწყავი რუ გადალახა და სამხრეთით აუყვა მცირე აღმართს, მალე მიადგა შიშველ, კირქვიან გორაკებს.

ერთადერთი ტირიფი იდგა სერის ძირში, მანქანა მის ჩრდილში დააყენეს. ჩრდილში მჯდომი ორი კოლმეურნე წამოდგა, სალამი დაუბრუნეს და ბარებზე დაეყრდნენ. მრწყველები იყვნენ.

– რაზე გაგიფუჭებიათ მინდვრების გზა! – ხუმრობით უსაყვედურა მინდიამ.

ერთს გაეღიმა.

– წუხელის ცოტა თვალი მოვატყუეთ და მაშინ დახვევულიყო ერთი ნაკადული. დღე და ღამე ვრწყავთ. გვალვაა, სიმინდმა ფოჩი დაიხვია, დავიღალეთ და წაგვეძინა.

– რაზე გარჯილხართ? – შეეკითხა მეორე, – უბრალოდ არ ამოხვიდოდით ჩვენს მინდვრებში.

– თქვენი სახელი მიბოძეთ ჯერა.

– მე ვანოს მიხმობენ, ეს კი ვახტანგია.

– კეთილი. სამალავის გორისკენ მივდივართ, ერთი მცენარე გვინდა ვნახოთ, ჩემო ვანო.

– თქვენ უსაქმოდ ამ გაგანია სიცხეში არ გაირჯებოდით.

– მაშ, იცი, რისთვის დავდივართ?

– როგორ არ ვიცი, ქვეყანაზე თვალი ჩვენც გვიჭირავს. წამობრძანდით, გაჩვენებთ.

– ფეხშიშველა იმ კლდეზე როგორ გატაროთ.

– არა უშავს რა. ნაჩვევები ვართ, – ვახტანგი და ერეკლე სიყვარულით უცქეროდნენ, ეტყობა, მოეწონათ ეს მადლიანი გულის კაცები.

ნელი საუბრით შევიდნენ ერთ პატარა ხეობაში, ორივე ფერდო ძემვიანი იყო, მაგრამ ბალახეულობა-უცნაური. ჩვენი უდაბნოს და ნახევარუდაბნოს მცენარეები ჭარბობდა: ავშანი, ხურხუმო, ყარღანი, წითელწვერა, ცერცვეკალა, რასაკვირველია, ურო<sup>7</sup> და წივანაც ჩანდა. შალვა დაეხარბა მათ და მალე გაავსო თავისი აზგა.

ხეობის სიღრმეში, იქ, სადაც თაბაშირი მზეზე იყო გამოსული, ჩანდა დაბალი, იშვიათეკლიანი, ნაცრისფერფოთლებიანი ბუჩქი.

– ესეც ნიტრარია! – თქვა პირზე დიმილმორეულმა გიორგიმ.

ვანოსა და ვახტანგს გაელიმათ, თითქოს გაუკვირდათ: ამ ბუჩქისთვის გაისარჯნენო?!

– იგი, ვანო! აი, ეს ხუთასიოდე ჰექტარი, ჩვენ წინ რომაა, ძველისძველია, ხუთიოდე მილიონი წლის წინათ დასახლდა ეს მცენარეულობა და შემოგვრჩა ამ კირქვიანებსა და თაბაშირებზე. ასეთ მცენარეებს წარსულის რელიქტებს უწოდებენ. საქართველოში იგი გვხვდება პატარა ნაკვეთებზე. საქართველოს გარდა შუა აზიაშია, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიის, ასტრახანის ველებში და სხვაგან.

– რაში გამოიყენება?

ვახტანგმა და ერეკლემ კიდევ ერთხელ გადახედეს ერთმანეთს. გლეხკაცს გამოყენება უფრო აინტერესებსო, – უთხრეს თვალებით ერთმანეთს და მამას შეხედეს: რას იტყვისო.

– ჯერ ერთი, ჩვენში ბევრგანაა ასეთი მოშიშვლებული ადგილი, საჭიროა მათი მცენარით დაფარვა, რომ მიწის დარეცხვა შევჩეროთ. პირველ ხანებში ეს ნიტრარია დაგვეხმარება, მლაშობებსა და გვალვას კარგად უძლებს. მეორეც, ქვეყნის წარსული კარგად რომ გეცოდინება, დღევანდელიობაში კარგად გაერკვევი...

– ეს მართალია! ღონისძიებასაც სწორად დასახავ, არა? – თითქოს წერტილი დაესვას, ისე თქვა ვანომ და დაემუნენ თავქვე.

წამობრძანდით შინ, შეისვენეთ, ჩენი ოჯახიც გაახარეთ თქვენი სტუმრობითო, – გულიანად სთხოვეს, მაგრამ, აბა, გიორგის როგორ მოტეხავდნენ – როცა საქმეზე იყო წასული, გზას არ უხვევდა. მადლობა უთხრეს, დღეს ნადარბაზევი და უფლისციხე უნდა ვნახოთო. ბიჭები კი დაჰპირდნენ – სურათებს გამოგიგზავნითო.

მანქანა მეტეხისკენ დაემუა, მხარმარჯვნივ რჩებოდა სოფელი ნიაბი და მტკვრის პირას – გომი, მხარმარცხნივ კი – ბარნაბიანთ კარი, სასირეთი, ყარაღაჯი, გრაკალი, დოესი.

– მადლიანი სოფლებია, – თქვა გივიმ.

– ამ მხრიდანაა გიორგი მაზნიაშვილი, გენერალი. ბათუმი 1921 წელს ოსმალთა დივიზიამ დაიჭირა. საბჭოთა ჯარს იერიშზე გადასვლა არ შეეძლო, ეს ოსმალეთთან ომის დაწყებას ნიშნავდა. ამიტომ წითელი არმიის წარმომადგენლებმა – ს. ქავთარაძემ და ს. ორჯონიკიძემ – ეს საქმე დაავალეს გ. მაზნიაშვილს: ჩაუდექი სათავეში მენშევიკების მიერ დატოვებულ ქართველთა ჯარს და დაუბრუნე საქართველოს ბათუმიო. მან ეს საქმე ბრწყინვალედ შეასრულა.

ამ საუბარში იყვნენ, როდესაც მეტეხის ხიდი გადაჭრეს და მეტეხის აგურის ქარხნის გავლის შემდეგ კასპის დიდ მინდორზე, აშურიანზე, გავიდნენ.

– აბა, შალვა, გადავავლოთ თვალი აშურიანს... – და გიორგის მითითებით მანქანა შუა მინდვრისკენ დაძრა, – ეს ის ველია, პირდაპირ კასპიდან რომ იწყება და რამდენიმე კილომეტრზე ვრცელდება დასავლეთისაკენ. მტკვარსა და კვერნაქს შორისაა გადაჭიმული:

«კვალად კასპის დასავლეთ მინდორი და კვერნაქს შუა არის *აშურიანი*, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი, და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა<sup>8</sup> სიმრავლე, და თბილი ზამთარი» (ვახუშტი).

ჯერჯერობით აშურიანი თითქმის ისევ ისაა, რაც წინათ იყო, ხოლო კასპთან აშურიანის ნაწილი ზუსტ ხელსაწყოთა ქარხანას დაუჭერია. «ბალახიანობისა» კი რა გითხრათ, გადახნულია.

კასპისა და ნაცარგორის მიდამოებში კოწახურების შეხვედრის ადგილი ჩანს. აქეთ, ტყისკენ, ჩვეულებრივი კოწახურია გავრცელებული, მტკვრის ნაპირებით კი ქართული კოწახური ამოჰყოლია, აქ შეხვედრილან და წარმოშობილა ჰიბრიდები. ასეთი ჰიბრიდები ბევრია რგვალჭალასთან, კვერნაქის ბოლოებზე, კოწახურის ხევში.

ჩვენ თვალწინ ყალიბდება ახალი სახეობა, რომელსაც ორივე კოწახურის თვისება აქვს. კოწახური არც ისე აუგად სახსენებელია, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მის ნაყოფს იყენებენ კულინარიაში. ქართველ კაცს ძეხვი უკოწახუროდ არ წარმოუდგენია, გარდა ამისა, მისგან აკეთებენ ბაქმას, წუას<sup>9</sup>, მურაბას, ნაყოფსა და ფოთოლში ბევრია რამდენიმენაირი ვიტამინი, ქერქისაგან საღებავი გამოდის და სხვა.



- ჟანგარა სოკო ხომ მაგაზე იზამთრებს?
- ყანის გვერდში ნუ გააჭაჭანებ და სხვაგან რას ერჩი?

**ნადარბაზევო ქვიანო**

აშურიანში მუშაობას დიდხანს არ მონდომიან. მანქანამ დასავლეთისაკენ აიღო გეზი და ერთი მშრალი ხევის ნაპირით ზევით, კვერნაქის ზურგისაკენ, აუყვა. შუამთის ხევად წოდებული ეს ხევი, შუა მთასა და ხარიჭამიას მთის შუა ჩამოდიოდა, ზოგან საკმაოდ მაღალი ფლატე დაჰყურებდა. ნიადაგში ლოსისმაგვარი თიხები ჭარბობდა. ციცაბო აღმართზე მანქანას გაუჭირდა, მაგრამ დასძლია, ტყვიასავით ავარდა პატარა სოფელ ზეგარდის აღმოსავლეთით და შევიდა ნადარბაზევში.

შევიდა და გაოცდნენ. ხალხი აღარ ჩანდა, იქაურობა ნამდვილ ნასოფლარს ჰგავდა. სახლები ან დაცარიელებული იყო, ან ნახევრად დანგრეული, თურმე ხალხი ტირიფონისკენ ჩასულა, ხურვალეთის გადასახვევთან გზის გასწვრივ ახალი ნადარბაზევი აუშენებიათ და იქ ჩასახლებულან.

- აქ შვიდიოდე კომლი დავრჩით და ჩვენც მალე ჩავალთ, - უთხრა ერთმა მოხუცმა ქალმა.
- ეს რანაირი ნადარბაზევია, არც ხალხი, არც ხე, არც ბაღი... აი, ერთი ხუთიოდე წლის მერე მოდი და ნახე. ამ მხარეს ვეღარ იცნობ, - უპასუხა მინდიამ.
- მაშ, ნადარბაზევზე რომ ლექსია, მოძველდება?

«ნადარბაზევო ქვიანო, ნიადაგ ქარი ქრიანო, არც წყალო, არცა წისქვილო, არც მეზობელო მხრიანო»...

- აბა, რა გგონია? ლექსიც მოძველდება და სახელიც, მაშინ ნადარბაზევის ნაცვლად ნასოფლარი დაერქმევა და არა ნადარბაზევი.

- ესეც აქაურზეა ნათქვამი:

*«ნადარბაზევის ტირილი ჩამოდის ზარის ხმაზედა, მე ბულბულეები მეგონა, ქალი ტიროდა ქმარზედა».*

- სოფლებზე ხშირია გამვილავი ლექსი, ალბათ, მეზობელი სოფელი ექილიკავებოდა, მეორე კი კარგად იხსენიებდა.

- რათ ექილიკავებოდა, აი, აქაც «ნადარბაზევო ქვიანო», «ნიადაგ ქარი ქრიანო»... განა სწორი არაა?

- დაიცა, დაიცა, მომაგონდა:

*«გორის ციხეო, ქვიანო, სულ მუდამ ქარი ქრიანო, არც წყალო და არც წისქვილო, არც მეზობელო ღვთიანო...»*

ჩაარაკრაკა ერეკლემ.

გორის ციხესაც თუ წყალი აკლია და... ლიახვი, მტკვარი, მეჯუდა, წმინდა წყალი, ტორტლა სულ მაგის გარშემო არაა?

- მაგრამ შიგ ციხეში რომ არ არის?

- მიდის დრო და იცვლება ქვეყანა, ლექსი რჩება, მაგრამ დღევანდელ დღეს აღარ უპასუხებს. აი, თუნდაც:

*«მე ახრისელი არა ვარ, ნიორი ვთესო კარზედა, მე ხანდაკელი გახლავარ, წყალი ჩამიდის კარზედა...»*

- აგერ ახრისი, ტირიფონაზე, მეჯვრისხევის ბოლოზე, როდესაც ეგ ლექსი გამოთქვეს, ტირიფონაზე წყალი არ იყო. მეჯუდა კი ზაფხულში შრებოდა. ამიტომაც მტკვრისპირელი - ხანდაკელი - ახრისელს ეტრამახება: წყალი ბევრი მაქვსო. ისე კი, ახრისული ნიორი განთქმული იყო. აბა, თუ იცით, რომელი სოფელი რით იწონებდა თავს?

- შეეკითხა მამა ბიჭებს.

- აბა, ჯერ მე ვიტყვი: ატენი - ღვინით, ხიდისთავი - ატმით, გრაკალი - კიტრით, მუხრანი - კამეჩით, დურნუკი - პურით, წალასყური - ტარხუნით, პატარძელი - გასათხოვარი ქალებით... - ვახტანგი შეფიქრიანდა.

- ალვანი - ყველით, - გააგრძელა ერეკლემ, - ალაზნისპირი-საზამთროთი, ჭოპორტი-ბლითა და პომიდვრით, ბარისახო-ერბოთი...

ტბისკენ დაუხვიეს.

ტბა, ცოტა არ იყოს, ეუცხოვათ. მართლაც, იგი თითქოს გაზრდილიყო და ასეც იყო, არხის (ლიახვის) წყალი იყო ამოტუმბული, დონეს მეტრ-ნახევრით მაინც აეწია, არხებიც გაეჭრათ, ზეგანი სარწყავად ექციათ.

- აი, თურმე რატომ ვერ ვიცანით. სარწყავად უქცევიათ კვერნაქის ზეგანი, - დაასკვნა ერეკლემ.

ტბაში ნავებით ვიდაცები დასრიალებდნენ. ნაპირთან მივიდნენ და უახლოეს მენავეს გასძახეს.: «ცოტა ხანს ნაპირს გამოდიო».

მენავე ნაპირს მიუახლოვდა და სახე გაეზადრა, გაიღიმა. უნივერსიტეტის ზოოლოგი იყო. მან უამბო: თევზი მოვამრავლეთ და ახლა მის ბიოლოგიას ვაკვირდებითო.

– მემრის თევზს დავიჭერთ?

– რათა მემრის, წელსაც შეიძლება... მაგრამ...

– ჰოდა, რაკი «მაგრამ» ახლავე, მემრის იყვეს.

– თევზით განთქმულია ქცია, ჯავახეთის მტკვარი, – გააგრძელა წედან დაწყებული საუბარი ერეკლემ.

– კმარა... ნუ გააბით, აბა, გავხედოთ ამ მხარესაც, – გამოეთხოვნენ მენავეს და მაღალ გორაკზე ავიდნენ.

მათ წინაშე შესანიშნავი სურათი გადაიშალა: დასავლეთით – ზემო ქართლი, იქვე ქართლის დიდი ვაკის ცენტრალური ნაწილი – ტირიფონა, სამხრეთით, მტკვარგალმა – თვალადი, რომელსაც თრიალეთის ლურჯი ქედი გადასცქეროდა.

ლიახვის გაღმა მოჩანდა შუა ქართლის გორაკთა ნაწილი – მალხაზის წვერი, გორში – გორის ციხის გორა, გორიდანვე იწყება წლევი-თხოითის ქედი, ქსნამდე. ქსნიდან არაგვამდე გადაჭიმულია მსხლები-სარკინეთის ქედი. მამასადამე, ამ დიდი ვაკის სამხრეთის საზღვარია კვერნაქი, ეს საზღვარი ქედის ჩრდილო ფერდობებს გასდევს. ჩრდილოეთის საზღვარი კი კავკასიონის ძირია. «ჯარიშენიდან ვანათამდენ უწოდებენ გვერდის ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი. მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბის გარდა, ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად» (ვახუშტი). ეს ვაკე მტკვრისკენაა ოდნავ დახრილი. წარსულ გეოლოგიურ ეპოქაში, ზედა მიოცენში, ამ მხარეში ზღვის ტალღები ბოზოქრობდნენ, ლიხის მთის ამოზავების შედეგად ზღვამ აღმოსავლეთისაკენ დაიხია. შემდეგ იგი მთლიანად დაშრა, ზღვის ყოფილი ფსკერი დაიფარა და მდინარის ჩამოტანილით აივსო, თანდათანობით შეიქმნა თანამედროვე საფარი; ამ მხარის მთების წინა კალთები მერგელის, თიხის, ქვიშაქვისა და კონგლომერატის ქანებითაა აგებული.

ამ რამდენიმე წლის წინათ ტირიფონაზე «ჩიბუხის გამოსაჩიქნად ჩხირს ვერსად მოტეხდი. დღეს კი ტირიფონა სარწყავი რუებითა და ბაღ-ვენახითაა დაფარული.

– ჩვენ, მგონი, გავერთეთ, არა?

*«მეჯვრისხევი, მშვენიერო, წინ მინდორი, უკან ტყეო,  
გოგოების სათამაშო, ბიჭების სამოთხეო».*

მეჯვრისხევი, კირბალ-არცევი და ფლავისმანი ცნობილია კარგი ცქრილა ღვინოებით, ეს შემჩნეული იყო ძველად და სამეფო კარს (ერეკლესას) თუმცა ხელი მიუწვდებოდა კახეთის ვენახებზე, ვენახები მეჯვრისხევში და ცხინვალშიცა ჰქონდა.

«ალოდან გეახელ, ქრცხინვალს ზვრის სართვლოდ და რალა მოგახსენო თქვენს სიმალლეს ამ ზვრის აბეჩხარობა. ამ ზაფხულს რუსების ცხენები და თან სხვა მოსაქმე თავადიშვილებისა, სხვისა და სხვისა სულ აშვეებული ჰყოლიათ ამ ზვარშია, გაუფუჭებიათ, რასაც მოუსწარ კი არ წამიხდევინებია. ზვარს გამოვიდა სამოცდარვა კოკა-ნახევარი»<sup>10</sup>.

ესაა ამონაწერი იმ მოხსენებიდან, რომელიც მარიამ დედოფალს მიართვა ბეგთაბეგ მდივანმა 1801 წლის ოქტომბრის 25-ს.

მართალია, ვენახს ხანდახან ცივი ზამთარი აზარალებდა, ზოგჯერ ჰყინავდა, ზოგჯერ თრთვილიც ხეირს არ აყრიდა, მაგრამ ხალხი მას როგორ მოეშვებოდა. მით უმეტეს, ცხინვალური წითელი ღვინო, მეჯვრისხეული, ატენური, საქვეყნოდ ცნობილი ღვინოები იყო და არის.

თქვენ უკვე იცით, რომ ამ მხარეში გვიანი ყინვებიც იცის და ვენახს აფუჭებს ხოლმე.

მაგრამ ნათქვამია: მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. ვენახებზე ხელს არ იღებდნენ. შემოდგომაზე, რთველს რომ მორჩებოდნენ, ვენახს გამოყელავდნენ, სარს ცალკე ინახავდნენ, ვაზს წააწვენდნენ და სამ-ოთხ ბარისპირ მიწას წაყრიდნენ. ამას ვაზის დამარხვას უწოდებდნენ. მაგრამ ბოლო დროს ჩვენი მეზვრენი გათამამდნენ, გვიანი ყინვა, დიდი ხანია, არა ყოფილა და გული დაიმშვიდეს, მაგრამ, აი, 1971-1972 წლებში წამოუარა ყინვამ და ბევრგან დიდი ზვრები ძალიან დააზარალა.

ვენახზე ცოტა კიდევ ისაუბრეს და თავის გზას დაადგნენ.

– აბა, გოგი, შენ გორისკენ გასწი და უფლისციხის ვერხვებში დაგვიცადე, ცეცხლი აანთე, წყალი აადულე... გორში ხილი და, თუ შეძლებ, სამწვადეც იყიდე. ჩვენ კი ქედ-ქედ გამოგყვებით და, ალბათ, მზის ჩასვლამდე შენთან გავჩნდებით.

ბიჭებმა აიკიდეს შემსუბუქებული აბგები და ჩანთები, დაიჭირეს წერაყინები<sup>11</sup> და პირი დასავლეთისაკენ ქნეს.

– სადაც პატარა ბურქს ნახავთ, დამიძახეთ, – დაარიგა გიორგიმ.

ტბიდან გზა დასავლეთით მიდის. სოფელ ავაზნებთან იყოფა, ერთი გორისაკენ უხვევს, მეორე ავაზნების ხევის დაჰყვება. ქედზე ბალახი გამოვილია, რადგან თვითონ კვერნაქისა და კვერნაქის გვერდისძირის (ნადარბაზევისა, ნიგოზასი, ნაწრეტისა და ზეგარდასი, რენესი, შავშვების ბურბუკისა და სვენეთის) ნახირი

ზამთარ-ზაფხულ აქ ტრიალებს, თვითონ ტირიფონის ზოგიერთი სოფელი: სობისების (ზემო სობისი, ქვემო სობისი), კვახრითის, ახალსოფლების (ზემო და ქვემო), ზედდულეთისა და სხვების, მშრალიც ხშირად აქა მოვს, ბალახს კი არა, კაჭაჭის სინსილას გაწყვეტენ – ზოგან მემვიც კი გაკორტნილია.

– აბა, აქ ჩამომხედეთ! – ამოჰკიოდა ერთი პლატოს ძირიდან ერეკლე.

ჩავიდნენ საკმაოდ დამრეც ფერდობზე, მიწას გაკრული პაწაწინა ხეები – თელა, ივანი, მუხა, თამელი, ნეკერჩხალი, კუნელი, ძახველა, თხილი, უზანი – მიწის პირიდან ერთ ციდაზე არ იყვნენ აცილებულნი.

დაწვრილებით გასინჯეს და აღწერეს: ეს იყო დეგრადირებული მუხიანის ტყის ნაშთი.

– მაშ, აქაც ტყე ყოფილა, – დაასკვნეს ბიჭებმა.

– რასაკვირველია, იყო.

ძლივსძლივობით ავიდნენ ესევ ქედის ზურგზე. როდესაც კვერნაქს შორიდან უმზერ, გგონია, მთლიანად გადალესილიაო, არსად არც ხევი, არც ღრანტე და არც ხნარცვი, ახლო მიხვალ და არც ერთი არ აკლია.

აქედან, კვერნაქის ზურგიდან, კარგად ჩანდა მთელი ტირიფონა, გაღმა მთების ფერდობზე შეფენილი ლამაზი სოფლებით. ეს ლამაზი მხარე კი 1911-1912 წლებში მეფის მთავრობას უნდოდა, გადაესახლებინა და ველზე საარტილერიო პოლიგონი გაემართა. აღარ იქნებოდა გვერდისძირის სოფლები; გამდლიწყარო, კოდისწყარო, ორჭოშანი, წვერი, ხურვალეთი, ღდულეთი, დიდი მეჯვრისხევი, პატარა მეჯვრისხევი, ბერშუეთი, ზერტი, კირბალი, აძვისი, ზემო არცევი, ფლავისმანი, გული-ტირიფონადან: ჯარიაშენი, ქვემო არცევი, სათემო, ახრისი, ზემო სობისი, კვახრითი, ზედდულეთი, ახალსოფელი, ხელთუბანი, სვენეთი, შავშვები, ნაწრეტი, რენე, ნიგოზა და, ალბათ, გადასწვდებოდნენ თორტიზას, გარეჯვარს, რეხას, კარალეთს, სათემოს, ფლავს, ქიწნისს, ტყვიავს, ძევერას, მარანას, შერთულს...

მაგრამ იმ დროის ჩვენი მოწინავე ქალები დატრიალდნენ, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მათაურობით, შეძრეს ევროპა, მთელ ქვეყანას მოსდეს მთავრობის ბოროტი განზრახვა. იქნება ამ ხმაურმაც შეაჩერა ეს ამბავი ან უფრო 1914 წელს ამტყდარმა მსოფლიო ომმა და შემდეგ რევოლუციამ.

ამ ფიქრებით იყვნენ გართულნი, როდესაც დიდი ნახირი შემოეფეთათ.

– სვენეთის ნახირია, – უპასუხა ერთმა მზით დამწვარმა, კარგი აგებულების კაკაროტმა<sup>12</sup> მწყემსმა.

მოზრდილი კონა ყვითელი ფარსმანდუკი (ყვავისკუდა) აეიღლიავებინა: «წამალიაო, ოც ღერს მოვხარშავ სამ ჯამ წყალში. ორზე რომ დადგება, გადმოვდგამ, დაწვნიება, გადავწურავ და უზმოზე ერთ ჭიქას დავლევ, გულმუცელს ჰრგებსო»... – გეგონებათ, გამოცდილი ექიმიაო, ისე საუბრობდა.

– ამას მეცნიერულ ენაზე «ახილეა» ეწოდება, ე. ი. ხილოსის საწინააღმდეგო, ხილოსი კი კუჭის წვენის სახელწოდებაა... ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში რომაელებიც ასევე ხმარობდნენ, ღვიძლის ავადმყოფობასაც რგებს თურმე.

დღეს შალვას ამაზე გრძელი სიტყვა არც უთქვამს.

მზე გადაიხარა, ლიახვგადმა მალხაზის წვერს ადგა უკვე თავზე. ნაბიჯი გაშალეს, კარგი იყო ახლა ჩრდილში ნაბდების გაშლა და წამოგორება.

უცბად მის წინ ფოლადისფერმა ფრინველმა გააპო ჰაერი. პირი დაღებულნი ჰქონდა; ეგ შევარდენიაო<sup>13</sup>, – თქვა გიორგიმ.

– აბა, აიხედე მალლა, ბარი<sup>14</sup>, ძერა<sup>15</sup> და ბორა<sup>16</sup> წრეს უვლიან, ალბათ, აქ თავგი ბევრი უნდა იყოს.

სიცხე გატყდა, ნიავმა სადღაც ჰაერი შეარხია; იქვე, სამხრეთის ფერდოდან, ისე მოულოდნელად შემოსდა მწყერმა «ქვითკიროო», რომ უცბად შედგნენ.

გზა უკვე ავაზნების ხევს მიჰყვებოდა, ახაშნების წყაროსთან ყვავის საყდრის მინდვრებში გადაუხვია. ყანებიც სწორედ აქ გაჩნდა.

– რაო, რა ჰქვიანო ამ მინდორს?

– ყვავის საყდრის მინდორიო.

– არ მახსოვს, ამბად გამიგონია, თუ წამიკითხავს: ყანის მკა იყო თურმე. საარაყე ქვაბით მუშის სადილი იხარშებოდა. უცბად ხეზე ყვავი შემოჯდა (აქ წინათ დიდი ხეები მდგარა), ერთი-ორი დაუჩხავლია და ქვაბში ჩავარდნილა. აბა, ამ ქვაბში გაკეთებულ შეჭამანდს ან მოხარშულს ხომ ვერ შეჭამდნენ. წამოაპირქვავს ქვაბი და ნახეს, რომ შიგ გველიც იხარშებოდა (ალბათ, ხეზე იყო და იქიდან ჩავარდა, გველმა იცის ხეზე ცოცვა). პატრონმა ამ დღის აღსანიშნავად აგერ ის პატარა ბაზილიკა ააგო თურმე, – უამბო თანამგზავრებს ვახტანგმა.

გზამ წითელი მიწები გადაკვეთა და მათ წინ მართლა საოცრება აიშარათა.

კლდეში ნაკვეთს, უზარმაზარ კლდეკარს მიადგნენ. გვირაბის მარცხნივ კლდეში ნაკვეთი ქალაქის ნაშთი ჩანდა. კლდეკარის კედლების სიმაღლე ზოგან ათი მეტრია, სიგანე – 2-3 მეტრი, სიგრძე ორას ორმოცდაათიც იქნება. ზოგი ფიქრობს – გვირაბი უნდა ყოფილიყო. მაგრამ გვირაბს ათი მეტრის სიმაღლე არ სჭირდება. ჩვენი

ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ეს კლდეკარი ნაწილია იმ დიდი გზისა, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა და ინდოეთიდან იწყებოდა, გაივლიდა უფლისციხეს და ლიხის ქედით გადავიდოდა დასავლეთ საქართველოში. ამ გზით უვლიათ რომაელებსაც.

უხმოდ მიდიოდნენ.

ირაკლიმ მოიგონა გოგლა ლეონიძის ლექსი:

*«წყნარად ქათქათებს ზეცა კრიალა,*

*უხმოდ მოსცურავს ჩქერებში ტივი,*

*აქ ისტორიამ გადიგრილა*

*და მიწა ჩუმად ისინჯავს ტკივილს».*

და გადახედეს კიდეც მტკვარს, სოფელ უფლისციხეს და ნანგრევთა მთელ კომპლექსს.

მტკვრის პირას, ვერხვის ჩრდილში, ცეცხლი ენთო. იქვე მანქანაც იდგა.

– გოგი-ი! – გასძახეს ბიჭებმა.

შემახილმა – «ფრთხილად» – შეაჩერა ისინი. თირი<sup>17</sup> კლდე იწყებოდა, მათ წინ კლდის დიდი ფლატე იყო და ფრთხილად უნდა ევლოთ.

მართლაც, მალე დაწალიკდნენ<sup>18</sup>, წინ შალვა წავიდა, უკან გიორგი მიდიოდა, შუაში – ვახტანგი, ერეკლე გივი და მინდია.

უფლისციხე ერთ-ერთი უძველესი კლდეში ნაკვეთი ქალაქია; როგორც ჩანს, საფუძველი ჩაეყარა მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით. იმ დროს კოლხიდასა და იბერიაში კარგად უნდა ყოფილიყო განვითარებული მშენებლობა (მოიგონეთ სევსირმორა-წიწამური, მცხეთა, ბაგინეთი).

კლდე, რომელშიც გამოკვეთილია უფლისციხე, კვერნაქის<sup>19</sup> სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ჩრდილო ქიმი უცბადაა ჩაწყვეტილი, სამხრეთისა კი ნელ-ნელა ეშვება მტკვრისაკენ. კლდის ქალაქში ჩვენი არქიტექტორები (გ.ლეჟავა) გამოყოფენ ოთხი ტიპის შენობებს. ერთ, ორ, სამ და ოთხოთახიანებს. ყოველ მათგანს კლდეებში ნაკვეთივე ეზოც ახლავს. გარდა ამისა, არის საერთო მოხმარების ნაგებობანიც: ქუჩა, ფართო მოედანი, ქულბაქი, აბაზანა, გვირაბები და სხვ.

უფლისციხე შედგება ქალაქისაგან, სადაც მეფენი და სხვა დიდებულნიც ცხოვრობდნენ, აგრეთვე ჯარი. დასავლეთი ნაწილი შვეული კლდეა. ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილს შემოვლებული ჰქონდა ათი მეტრი სიგრძისა და 10-15 მეტრი სიგანის კლდეში ამოჭრილი თხრილი. გარდა ამისა, შიგნით კრამიტით დახურული, კოშკებიანი კედელიც გასდევდა. სამხრეთ კლდეში ამოკვეთილია რუ, ამ რუდან შიდა ქალაქში შედის გვირაბი. როგორც ჩანს, ეს კარი საიდუმლო იყო, მტკვრის კალაპოტი აქ უნდა ყოფილიყო და გვირაბის ბოლოს, ალბათ, წყალი ფარავდა, სწორედ ეს საიდუმლო კარი იყო, საიდანაც მეციხოვნენი წყალს იმარაგებდნენ.

არქეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ უფლისციხის ცენტრალურ ნაწილში სამი ათასი წლის წინათ უცხოვრიათ, ხოლო ქალაქის მშენებლობა 2300 წლის წინათ დაწყებულა. როგორც ჩანს, თემურლენგსაც დაუნგრევია და იავარუყვია.

შემდეგ კვლავ შენებულა. გათხრებმა გამოავლინეს შესანიშნავი კედელი.

«ექვსი მეტრის სიღრმის თხრილის ჭრილში თვალში გეცემათ კარგად დამუშავებული ქვათლილებით ნაგები კედლები, რომელიც კარგად შემოუნახავს საფარს. იგი იმ დროისაა, როცა ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ კირის ხსნარს და ე.წ. «მშრალი წყობის» წესით აშენებდნენ (დ. ხახუტაიშვილი).

ასეა ნაგები ბაგინეთიც. მაგრამ ჩვენს ციხე-ქალაქებს განა მართო მტერი ანგრევდა! უკან დახევსას თვით ქართველებიც წვავდნენ და ანგრევდნენ, რადგან არ უნდოდათ კარგი ციხე-ქალაქი ჩაეგდოთ მტრის ხელში, ემინოდათ, არ გამაგრებულიყო და დიდხანს არ დარჩენილიყო.

არაბთა სარდალი, აბულ-კასიმი, შემოესია სომხეთსა და კახეთს, მათი მოოხრების შემდეგ ქართლში გადავიდა, ისიც მოაოხრა და რადგან ციხე-ქალაქები დარღვეული დახვდა, მათ შორის – უფლისციხეც, სამცხეში გადავიდა. მისი მოოხრების შემდეგ

კვლავ სომხეთს შეესია. 1014 – 1026 წლებს შუა ქართველებს უფლისციხე კვლავ აღუდგენიათ.

ამ ქალაქში მშენებლობის სამ პერიოდს არჩევენ: არქაულს, უძველესს, მეორეს – ძირითადს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნეებში უნდა დაწყებულიყო, და მესამე პერიოდია უკვე ქრისტიანული, როდესაც ქრისტიანული კულტის სამლოცველოები გამოიკვეთა...

გადადგნენ თუ არა ჩვენი მგზავრები მზით განათებულ ფერდოზე, გეგონებათ, კლდე გაიქცაო, მისი ზედაპირი დაიდრა და ჯერ კიდევ გამტერებულებს აუტყდათ სიცილი.

– აი, რა ყოფილა უფლისციხური ჯოჯო<sup>20</sup>.

– გახსოვს, ომისში თუ მუხრანში ერთი დედაკაცი რომ უკითხავდა მეორეს: «აი, შე უფლისციხურო ჯოჯოო...» მართლაც ბევრი იყო, მაგრამ, მოჰკრავდნენ თუ არა თვალს მგზავრებს, უმალ კლდის ნაპრაღში გაუჩინარდებოდნენ.

– აგერ, კლდეში ნაკვეთი სარწყავი წყალი. თქვენ თქვით, იქ მტკვრამდე ჩამავალი გვირაბიაო.

– მე გვირაბით ჩავალ, – თქვა ვახტანგმა და დაეშვა რუსკენ, – სანამ სუფრას გაშლით, მეც მოვალ...

– მოიცა... – გასძახა გიორგიმ, მაგრამ გვიან იყო, ვახტანგი უკვე გაუჩინარდა.

გაშალეს სუფრა. ამიშინდა ცეცხლზე მწვადები, მაგრამ ვახტანგი არ ჩანდა. გავიდა საათი, გავიდა მეტიც, შეფიქრიანდნენ.

– ნამდვილად დედის წინ მოხტუნავე კვიცია... – ჯავრობდა შალვა.

– მეტი ჯანი არაა, შალვა, შენ ზევით ჩამოეშვი ხვრელში, მე ქვევიდან ავყვები, – და გიორგი და შალვა წამოდგნენ.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ შალვა გადმოდგა მაღლობზე და ჩამოიძახა:

– თოკი ამომიტანეთ, თოკი!

ერეკლემ სწრაფად აურბენინა.

– ვახტანგი ხაფანგში მოჰყოლია. აქ რომ მოსულა, კლდე დახვედრია ჩახერგილი, უკან გამობრუნებულს – ლოდი. ალბათ, ჩამოვარდა მის აქ ყოფნაში. ორივე თურმე ისე დევს, ოდნავ ხელი რომ შეახო, შეიძლება მოწყდეს. ვაითუ, ქვევითკენ ვინმე ჩვენთანა და დაიტანოსო, ამიტომ ვერც წინ მიდის და ვერც უკან.

ჩავიდნენ ხვრელში, ვახტანგი იმედიანად იძახდა:

– ფრთხილად, ფრთხილად!

– მამაა ქვევით, ქვებს ნუ აგორებ...

– დიდ ლოდს ძალიან ფრთხილად შემოავლე თოკის წვერი... – იძლეოდა განკარგულებას შალვა. მაგარი ყულფი გააკეთა, ამოვიდა ზევით და თოკი ერთ მოზრდილ ლოდს შემოახვია...

გიორგიც აქ ამოვიდა, ცოტა შეშფოთებული იყო.

– არა უშავს რა, ჩახერგილია, ქვები უცნაურად აყუდია, ოდნავი ხელის შეხება და დაგორდება.

– გვირაბის გასასვლელს მოსცილდით! – გასცეს განკარგულება.

– აბა, ახლა ჰკარი ფეხი.

მაღე გვირაბიდან გრუხუნი მოისმა და ვახტანგმა გადმოალაჯა დაბმულ ლოდსაც.

– თოკი ჩახსენ...

– ძალიან დაჭიმულია, არ გაიხსნება.

შალვამ დაუსვა დანა, ძირს სადღაც გაისმა ჭახანი, გრუხუნი და რაღაცამ მოილო დგაფუნი რუში.

გიორგიმ შიშნარევი სიხარულით ახალი განკარგულება გასცა.

– აბა, ჩქარა, რუში ჩაცვივდა, წყალს ჩახერგავს...

მართლაც, წყალი შეგუბებულიყო, მაგრამ მალე ხუთი ვაჟკაცი ეჭიდავებოდა საჯილდაო ქვებს, ამოაგორეს ნაპირზე.

– შეგეშინდა?

– ჰო, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ამოვიდოდი.

გამოიცვალეს შარვლები და მოუსხდნენ სუფრას.

– მწვადი ცოტა გამოშშრალა, მაგრამ, სამაგიეროდ, აი, ახალი კიტრი, მარილის თვალი და მისი კვნიტი წაუსვით და იგემეთ! – სთავაზობდა გოგია.

– ეს კვნიტი კი არა, კვნიწია! – ვერ მოითმინა ენაკვიმატმა ვახტანგმა.

– როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, – რაც არის, ესაა, გინდ კვნიტი უწოდე და გინდა კვნიწი.

სადამო ხანს ნიავიც მიყუჩდა, ისმოდა მხოლოდ მტკვრის დუდუნი და ბუტბუტი.

– ვინ იცის, რა ამბავი მოგაქვს, მტკვარო, არსიანიდან?

– ეგ მაშინ ვკითხოთ, როცა არსიანთან ახლო ვიქნებით, – ურჩია გიორგიმ.

და ყველამ ფიქრს მისცა თავი.

დილით ადრე ნახეს კლდეში ნაკვეთი ქალაქი, მისი სახლები და სასახლეები, ერთოთახიანი, ოროთახიანი და სამოთახიანი ბინები თავისი ეზო-კარით. მარნები, შესანიშნავი კლდეში ნაკვეთი საწნახელებით, ქვევრებით, სათონეებით. ზოგი სათონე უზარმაზარია და შიგ რამდენიმე თონეა. ალბათ, ეს ჯარის სათონეა, ციხის მცველ ჯარს ერთი ამოყრა პური რას ეყოფოდა, არა? მრგვალ ადგილას კარგად ეტყობა არქეოლოგების ნამუშევრები. აქ ნახეს პართიის მეფის, რომის იმპერატორის ფული, მრავალნაირი თიხის ჭურჭელი – საღვინეები, სურები, დოქები, გოზაურები, ჭინჭილები, ხელადები, წურწუმები, კუტლები...

მტკვრის ნაპირებზეც ყოფილა ნაქალაქევი.

აქ ერთმანეთი შეუცვლია სხვადასხვა წყობილებას: თემური შეცვალა მონათმფლობელურმა, ეს უკანასკნელი – გვიან ფეოდალურმა, ერისთავმა, მეფემ... და რამდენჯერ დაანგრის, რამდენჯერ აღადგინეს.

– მე მანქანით წავალ.

– რა, თავი ხომ არ გტკივა?

– არა, დავისვენებ! – და ვახტანგი დაეშვა მანქანისაკენ, იქ გაშალა საძილე ტომარა და მალე ჩაეძინა.

დანარჩენები კი შერჩნენ უფლისციხის კედლებს და აფრთხობდნენ უამრავ ჯოჯოს. ღრმა გამოქვაბულებში წრიპინით წამოიშალნენ ღამურები, ირეოდნენ სიბნელეში, ერთი-ორჯერ ჩვენი მგზავრები კინაღამ კედელს მიაწყვიტეს.

თვით სალ კლდეებში ფეხი მოეკიდებინა ურცსა, ბეგქონდარას და მისთანებს.

ყველა ამას იწერდნენ... იღებდნენ. მამას ვახტანგის ფერი არ მოეწონა.

– მოდი, დღეს აქ დავრჩეთ.

– მერე რა გავაკეთოთ?

– ჯერ ვისადილოთ და მერე მაგაზე ვილაპარაკოთ. საქმეს რა გამოგვიღვეს.

### ადიდებულა ტანაო

გორელებს ჯერ ისევ ეძინათ, როდესაც უფლისციხიდან წამოსულმა მოგზაურებმა გორი გამოიარეს და წედისის ვენახების ორღობეებში ამოყვეს თავი, მთავარი ხიდისთავი მხარმარცხნივ, ტანის გაღმა რჩებოდა. ხიდისთავმა ეს სახელი მიიღო იმ ხიდისაგან, გორელმა ტერტერამ რომ ააშლევინა გორელებს, როდესაც წყალგაღმა თურქის ჯარი შენიშნა და გორი რბევას გადაარჩინა; იმ დროს მტკვარი ადიდებული იყო და თურქთა მარბიელმა ლაშქარმა მღვრიე და აბობოქრებულ ტალღებს ვერ შეჰბედა.

ხიდისთავში დაიბადა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის პირველი პროფესორი. სოფელი წედისი აღსანიშნავია იმიტაც, რომ 1882 წელს აქ დაიბადა ფუტკარივით მომუშავე ვასო ბესტავაშვილი, მან გორის სამოქალაქო სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის საბაღოს სკოლა, შემდეგ – ყირიმის სკოლა, შეისწავლა მეხილეობა და დატრიალდა სოფელ წედისში; თავისი პატარა ბაღი და ვენახი ჩვენი სოფლის მეურნეობის საგანძურად გახადა. მან ეგრეთ წოდებული ხიდისთავური და გორული ატმები კიდევ უფრო გააუმჯობესა, მიიღო 26-მდე ვაზის, ვაშლისა და ხილეულის ჰიბრიდი. ჩვენს დროში მის მუშაობას დიდი ყურადღება მიაქციეს და ხიდისთავში გამოუყვეს საცდელი ნაკვეთი, სადაც აიგო მარანი, გაშენდა 100-მდე ჯიშის ვაზი, 20-მდე ჯიშის ატამი და სხვ.

მაგრამ ბესტავაშვილი გარდაიცვალა და, სამწუხაროდ, ამ ნაკვეთს ვერ ვუპატრონეთ...

სოფელ ატენში რომ შევიდნენ, ბავშვებმა მანქანა გააჩერებინეს.

ერთ ატენელს თავის ეზოში დაერგა ვაზი (გორულა და ჩინური ჩანდა), გზის თავზე გაეკეთებინა მაღალი რკინის ჩარდახი (ისეთი, რომ ძალიან მაღლა დადებულ ურემს თუ ავტომობილს თავისუფლად გაევილო) და ზედ ვაზის ხეივანი გადმოეყვანა.

ეს იყო შესანიშნავი გამოყენება გზისა.

– წარმოგიდგენია, მთელი ჩვენი გზები, რომ ასეთი ხეივნებით დაიფაროს! 20 ათასი კილომეტრი ასეთი გზა გვაქვს, ათი მეტრის სიგანე ხომაა საშუალოდ? რამდენი ათასი ჰექტარი გამოვა? – წაიოცნება ერეკლემ.

– ჯერ მარტო სოფლებში! – კვერი დაუკრა შალვამ.

– ათიოდე წლის შემდეგ დანარჩენ გზებზე.

– იქ, სადაც ვენახი იხარებს, – შეუსწორა ვახტანგმა.

მაგრამ გიორგიმ ყური არ უგდო მათ ოცნებას და გაჰყვა ხეობას.

«ხოვლეს ხევის» დასავლეთით «არს ხეობა ატენის მდინარისა. ტანა გამოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის-ხევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდამ. მტკვრის სამხრით-დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისისხევი. წედისს არს ციხე მცირე, და არს ხეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი. კვალად ატენის წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერისხევი. აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა და ხეობა ესე არს ვენახოვანი-ხილიანი. ვერის დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშენიერი ყოვლად წმინდისა. ამას ზეით ატენი, მცირე ქალაქი, მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალ კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული. ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა, და სდის სხვადა ცივი წყარო. ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუნბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოსს ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი. სიონის პირისპირ, დანახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლის მცემლისა. დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭვრეტი

ქართლისა. ამას ზეით მოერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლობდა ჟამსა როსტომ მეფისასა. ხოლო ბობნავს ზეით ერთვის ტანას ღუის-ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა. და ბობნავამდე ხეობა ესე არს ვენახოვანი ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მყარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი, კოწახური არს ტყედ. ბობნავ ზეით, ჩრდილოთ კერძ არს ციხე კიკანათ ბერი, კლდით მოზღუდვილი, წყარო შიგ გამომდინარე და ფრიად მაგარი, ამ ციხის დასავლით, მთასა შინა არს ეკლესია წმინდის გიორგისა ახალიჯვარი, სასწაულთმოყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშველნი და მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი. ხოლო მდინარისა შინა ატენისასა ზის კალმახი გემოიანი მრავალნი, და სხვა თევზნი არა. წედისის ჩრდილოეთ და გორის პირისპირ არს ეკლესია წმინდისა გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულმოქმედი. თავი წმიდისა გიორგისა მდებარებს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორიჯვარს. არა იყო მუნ წყალი, ჟდ. დედოფალმა რუსუდან მოიტანა ბურეთის მთიდან».

შესანიშნავად აღწერს ამ მხარეს ვახუშტი, თუმცა რომელ მხარეს არა? «მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი, კოწახური არს ტყედ». აღმოსავლეთ საქართველოს გვერდით ხეობებს შორის მართლაც ყველაზე «მაგარი და ცხელია», ამიტომ, რომ «კოწახური არს ტყედ», მთის კოწახურიანი ტყე კი მშრალი, ქსეროფიტული ტყეა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ადამიანი ამ ტყის ცხოვრებაში უხეშად ჩაერია თუ არა, იგი სწრაფად განადგურდა, ამის შემდეგ ტანამ დაიწყო ადიდება, ღვარცოფების ჩამოტანა. მდინარე ტანა ხეობის აღმოსავლეთისა და სამხრეთის მთის მდინარეებისაგან ბევრით არ განსხვავდება. ზამთარში მცირეწყლიანია, მცირეწყლიანია ზაფხულ-შემოდგომაც, ხოლო გაზაფხული უხვწყლიანია. აპრილში, მაისსა და ივნისში იგი ატარებს თითქმის ნახევარზე მეტ წყალს (თოვლის დნობა, გაზაფხულის წვიმები), მაგრამ ტანასთვის დამახასიათებელია სხვა: შხაპუნა წვიმების დროს უცბად ადიდება, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ სოფლის მეურნეობისათვის ფრიად საზარალო. რაც ტანას ჭალის ბოსტნები, ბალ-ვენახები და ნათესებია, ასეთი წვიმის დროს ზოგჯერ მთლიანად იღუპება. ზოგჯერ წყალი მთელი წლის განმავლობაში მცირეა, რადგან ამ მდინარის სადევარზე წყაროები, საერთოდ, ნაკლებია და გვალვის დროს ხშირად შრება კიდეც.

ტანას შფოთვის გამო მრავალი ლექსი შეიქმნა.

*«ადიდებულა ტანაო, წყალ-ღორღმა<sup>21</sup> მომატანაო,  
დამაგორგოლა, წამილო, შუა ზღვას მიმატანაო,  
ვახსენე წმინდა გიორგი, ნაპირზე გამიტანაო.»*

მეორე ლექსში ნათქვამია:

*«აღელვებულა ტანაო, თან მღვრიე მოიტანაო.»*

არის სხვა ვარიანტიც:

*«ადიდებულა ტანაო, მთები თან მოიტანაო.»*

ყოველ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც ხეობის უბედურებაზე ლაპარაკობს<sup>22</sup>.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მცხეთიდან გორამდე, ზროიანი<sup>23</sup> ლეღვი არსად დგას. გორის ციხის ძირში ორი-სამი, მიწას გართხმული ლეღვი იყო, მისი მიწისზედა ნაწილები ყოველწლივ იყინება. წყალგაღმა, მარჯვენა ნაპირზე, ლეღვი უფრო ღონღილობს; ყარაღაჯში, ეზოებში თითო-ოროლა ლეღვი დგას. ხიდისთავში კი ტანმაღალი ხეებიცაა, «კლდიანი და ცხელი» მაინც თავისას აკეთებს.

– აგერ გარდატენიც, – წყალგაღმა კოპწია სოფელი ჩანდა.

– რადა გარდატენი?

– ჩვენი დიდი მეცნიერის, აკაკი შანიძის, განმარტებით, გარე-ატენია, «დ» ორ ხმოვან ასოს შუა ჩადგა...

– აი, აქ სამი ატენია: დიდი ატენი, პატარა ატენი, გარდატენი. გარდა ამისა, ატენის საბჭოშია დეგეულა, ჭეჭელაანთ უბანი, ჯებირი, დრე, იკვნევი, ხანდისი, ღვედერეთი... – უამბობდა მინდია...

– ესეც ჩვენი სიონი.

მათ წინაშე აღიმართა გრანდიოზული ტაძარი, ატენის სიონი – ალი-კვალი ჯვრის მონასტერისა. ეს არც გასაკვირველია, რადგან ატენის სიონი ჯვრის ასლია, მისი გადამღერება, მაგრამ, როგორც ყოველივე გამეორებული და გადამღერებული, ესეც მოკლებულია მცხეთის ჯვრის ტაძრის სინატიფეს, ხაზთა შეთანაწყობას, თუმცა ყოველივე ამას მხოლოდ მცოდნე და მახვილი თვალი თუ შეამჩნევს. სამაგიეროდ, შიგნით შემონახულია უმესანიშნავესი ფრესკები მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებისა; მაგალითად, გაბრიელ მთავარანგელოზის ფრესკა. ტაძარი 904-906 წლებშია მოხატული. ამ სურათებზე გაბრიელი მიწიერი ადამიანი გეგონებათ : ატენელი ან ხიდისთაველი ვაჟკაციაო, – იტყვიო. იგი სრულიად განსხვავდება იმ ფრესკებისაგან, რომელნიც ოსების სიზმარს გამოხატავენ. ამკარაა, მხატვარი სხვადასხვაა. დასავლეთის კედელზე დღემდე



კარგადაა შემორჩენილი ისტორიულ პირთა პორტრეტები, გარე კედლები შემკულია ისტორიულ მოღვაწეთა ქანდაკებებითა და რელიგიური ხასიათის სცენებით.

თვითონ მცხეთის ჯვარიც ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია ჩვენი ხუროთმოძღვრებისა. მისი აგება დაიწყო მეექვსე საუკუნის მიწურულს და დამთავრდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში. ფრიად საინტერესოა გარე კედლებზე ქტიტორებისა<sup>24</sup> და ამალლების ქანდაკებანი. ერთ-ერთი პირველი ნიმუშია გუმბათიანი ჯვარული ტაძრისა.

სიონის ეზო მოფენილი იყო ბაზალტის ფილებით, ორი ქვისმთლეელი ზომავდა ამ ქვებს და შემდეგ წყნარად თლიდნენ. სახურავს უცვლიდნენ, კრამიტის მაგივრად ბაზალტს ხურავდნენ, როგორც თავდაპირველად იყო. სახურავის ყოველი მთლიანი ნაკვეთი ჯერ ძირს უნდა დამზადდეს, ყოველი ცალკეული ქვა ერთმანეთს შეუწყონ და შემდეგ აიტანონ ზევით...

– ძალიან უარშიო ქვაა, საკოდავი ძლივს იმორჩილებს – ერთ ხელოსანს დაემუხლისთავებინა და გათლილ ქვას უბერავდა, დაკოჭრილ ხელს ისე უსვამდა, გეგონებოდათ, სიყრმის შვილს ელოლიავებო. მართლაც, ფილა ისეთი ლამაზი იყო, ავ თვალს არ ენახებოდა.

– ისე უნდა გათალო და გაასუფთაო, ორ ფილას შორის წყლის წვეთი არ ჩავიდეს, თორემ დიდი ყინვის დროს (და აქ, ტეხვრა იშვიათი არ არის) ყინული ქვასაც გახეთქავს.

– ძნელია სახურავზე მუშაობა?

– ძნელია? ძნელი როგორ არ არის, მაგრამ ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდა. სანამ ავიტან, სული კბილით მიჭირავს, არ გატყდეს, არ დაზიანდეს-მეთქი. შარშან ერთ ჩემს ამხანაგს ფილა დაუსრიალდა და...

– მერე რა?

– მოუსავლეთში შაბზე წავიდა! ჰო, შვილო, აგერა, ტანას ხევში ჩავარდა. თუ ფრთხილად არ იქნები, ეგ აქლემი შენს წინაც დაიჩოქებს... აბა?!...

– მართლა დაილუპა?

– განა ერთი-ორი პერანგი არა მაქვს შენზე მეტი გაცვეთილი? რატომ არ გჯერა?

ვახტანგი გაწითლდა. ხელოსანმა შენიშნა და გული გაუმაგრა:

– სხვებსაც არა სჯერათ, შვილო. ქვას როგორ გადაჰყვავ, ხომ ხედავ, როგორ ნანინანატრად კეთდება, ასე გათლილ ქვაში გულის ნაწილიცაა.

– ხელოვნება ამას ჰქვია, – წაიდუღუნა შალვამ.

აი, ბერო მინდია, შენი 320 ნომერი... – შენი კოწახური, – ჩამოესმათ ფერდოდან ერეკლეს ხმა და უნებლიეთ შეწყვიტეს ხელოსანთან საუბარი.

საქმე ისაა, რომ მათმა «ბერიკაცმა» ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ოთხასამდე კოწახური დანიშნა, შეაბა ლითონის ნომრები და ორი წლის განმავლობაში მოინახულებდა ხოლმე ყოველ მათგანს. კოწახურებს ცალკე შრომა უძღვნა...

– მართო ერთ კოწახურზე ამდენი შრომა?!

– მაშ რა? თუ გინდა, რომ გამოიკვლიო, ოფლიც ბლომად უნდა დაღვარო, აბა, როგორ გგონია?

გივი კი მეორე ფერდოდან რაღაცას გამოსძახოდა.

– ჩამოდით, ჩამოდით, გეყოთ ალილოზე ცალ-ცალკე სიარული. საუზმეზე ქვის მთლელებიც მიიწვიეს. «წინანდალმა» თვალეები გაუბრწყინათ.

– ბევრი კი არ შეიძლება ჩვენთვის, – თქვა ერთმა.

– ე, ბიჭო, ყელი არ გამომჭრა, უკან არ წაიღონ, – გაიხუმრა ჭადარაშერეულმა.

– ისე ვთქვი, თორემ «მოკლას ხარი თივამა»...

და წავიდა გულიანი სადღეგრძელოები მიწისა და იმისთანა კარგი ხალხისა, რომელიც ამ მიწაზე კიდევ ბევრი დადის. მაგრამ გასაკვილავიც ნახეს:

– თავზე ადგანან და მაინც ჩეხენ, იპარავენ. «ძნა იწოდა და ულო<sup>25</sup> იცინოდაო», ამაზეა ნათქვამი.

– ზოგი და ზოგი კაცი ყურს არ იბერტყავს, ატყდება სამგლე გოჭივითა და გაიძახის: ეს ქვეყანა მეო:

*«როსტომ თქვა ერთი ქართული, ჩინეთში ქვაზე სწერია:*

*ვისაც მე ვუყავ სიკეთე, ის უფრო ჩემი მტერია.»*

სწორედ ზოგიერთ კაცზე ითქმის, ავსა და კარგს რომ ვერ არჩევს.

– არა უშავს რა, ჩემო სინო, წყალი სათავეში რომ აიმღვრევა, იქიდანვე უნდა დაწმინდო.

– აკი ჩაუვარდა კოვზი ნაცარში ზოგ ავ კაცსა. თავს კარში ვერა ყოფს შიშითა თუ სირცხვილითა.

– აგეთი კაცის საქმეს რჯულამდე უნდა ჩაჰყვე, რკინის ქალამანი უნდა ჩაიცვა, რკინის ჯოხი დაიჭირო და ისე...

– ხალხი გზას ადგია, შენ კი არაკებს მოჰყე... – შეუტია ამხანაგს ჭადარაშერეულმა.



– არა, არავი არაა.  
– მაშ, ეს ამათ მგზავრობას გაუმარჯოს, საყველამინდაო და სატალახო იყოს.  
– იცოცხლე, კარგ საქმეს აკეთებთ – მამა-პაპათა ნაშენს ინახავთ.  
მანქანა გაუშვეს : ბოშურში დაიცადეთ.

– თქვენ რა, ურმით ივლით?  
– ხომ იცი, ჩვენს საქმეში ურმის მგზავრობასაც ფეხით სიარული ჯობიან.  
– მოიცადეთ, მოკლედ გეტყვით ცოტაოდენს ამ ხეობის ძველი ისტორიიდან.

ტანა სათავეს ჯამჯამის ფერდობზე იღებს. ჯამჯამა 2400 მეტრის სიმაღლისაა და ტანასა და მამას შორის წყალგამყოფ ქედსა ქმნის.

სოფელ ყველიანის სამხრეთით ტანა უკვე ჩრდილო-აღმოსავლეთით მიდის, იერთებს ტუსრების ხევს, ბალავნის ხევს, წერეთის ხევის მდინარეებს და ხიდისთავთან უერთდება მტკვარს.

ხეობის აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვედა ეოცენის ქანები, ისინი მრავალ ადგილას გარღვეულია ანდეზიტისაგან, რომელიც ზევით, დღის სინათლეზე ამოსულა. ზემო ეოცენის ქანები შესამჩნევია მხოლოდ სათავეებისაკენ.

ქვემო ეოცენის ქანები უმთავრესად სხვადასხვა შეფერილობის თიხნარი ქვიშაქვებია, სათავეებისაკენ ეს ქანები დამარხებულია ზემო ეოცენის ფენებით, ეს ფენები კი შექმნილია თიხოვანი ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, რომელშიც დიდ მონაწილეობას იღებენ ფრიად შეცვლილი მერგელები და თიხები; ტანას ხეობის თავისებური გეომორფოლოგიის გამო დანალექები სამხრეთისა (მარცხენა ნაპირის) და მარჯვენა ნაპირის ქედებზე სხვადასხვანაირად არის განლაგებული. ხეობას მარჯვენა ნაპირიდან უერთდება მრავალი ღრმა ხეობა, სადაც ღრუბელი ჩერდება და დანალექის სახით ჩამოდის. მარცხენა ნაპირის ქედი (სამხრეთისაკენ მიმართული) დაღარული არაა, იქ არც ღრუბელი ჩერდება და ამიტომაც «ფიცხელი»; ამ მხარეზე ნამდნარ-სოჭნარები იშვიათია. სამხრეთის ფერდობზე ყავისფერი თიხნარი ნიადაგია, ფრიად ხირხატანია<sup>26</sup> და ჰუმუსიც მცირეა. ჩრდილოეთის ფერდობზე კარგადაა გამოსახული ძლიერი ყავისფერი თიხნარები. სამხრეთის ფერდობის ასეთი განსხვავება თავისებურ პირობებს ქმნის მცენარეთა დასახლებლად, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის ფერდობები და ხეობები უფრო მეზოფილური მცენარეულობითაა შემოსილი (ნამდნარი, ნამდნარ-სოჭნარი). სამხრეთისაკენ მოქცეულ ფერდობებზე გვხვდება, უკეთეს შემთხვევაში, ფიჭვნარი, ღვიანი, ნარეკლიანი (გრძელა, ზღარბა), ურციანები და სხვა ქსეროფიტები, რომელთა შორის იშვიათი არაა ანატოლიის, ირანისა და სომხეთის ქსეროფიტული ელემენტებიც.

– წინათ ანატოლია და ირანის სარდლები გვიტევდნენ, ახლა მათი ქსეროფიტები? – ჩაურთო ვახტანგმა.

– აქაც ისეთივე ერთობლივი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ...

– თქვენ უკვე იცით, რომ ატენის ხეობის ტყე გააჩანაგეს, მაგრამ აგერ, მინდია გეძახით...

– აბა, თუ ბიჭები ხართ, მოჰყეთ ბერ მინდიას, – ჩამოსმახა ზევიდან მინდიამ და აჰყვა პატარა დამრეც ფერდას.

მალე ყველანი ერთ ველობზე გავიდნენ. რამდენიმე ღვიისა და ჯაგ-რცხილის ბუჩქი იდგა. მათ შორის გიგანტური ზღარბებივით იხდნენ მთლად ეკლით დაფარული მცენარეები, რამდენიმე ეკალი დამოუკიდებელ მრავალსხვიან ვარსკვლავს ქმნიდა, შუა ვარსკვლავიდან ამოშვრილი იყო პირისფერყვავილებიანი ღერაკი, რომლითაც შეხორხლილიყო მთელი ზღარბა ბუჩქი. მიუხედავად ეკლიანობისა, მეტად თვალწარმტაცი და კოპწია ჩანდა.

– ესენი კი მართლა ზღარბა ბალახებია, – მეცნიერულად კი აკანთოლიმონი ეწოდება. ეს მცენარე ფრიად გამოფიტულ ადგილებში სახლდება, ფესვი ნიადაგში ღრმად მიაქვს.

– ტყეების გაჩეხის შემდეგ დასახლებულა, – დაასკვნა ვახტანგმა.

– რომ ვთქვათ, აქ არ იყო, მართალი არ იქნება, აკი ვახუშტი წერს: «ხეობა მაგარი, კლდიანი, ფრიად ცხელიო», ის კი ცხადია, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ასეთი მცენარეები ბევრგან დასახლდა, აგერ, გაღმა, ჩრდილოეთის ფერდონიც კი ბევრგან ჩამოტიტვლებულან, კლდე, დედაქანი.

– ბევრგან ტყეც კარგად ჩანს.

– სატყეო ინსტიტუტის საცდელი სადგური ბევრს მუშაობს და ხეებსაც ბევრგან რგავს, მაგრამ ხეობის ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ ჩამოტიტვლებულია.

– რასაც ერთ დღეში დაანგრევ, ას დღეში ვერ ააშენებ.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ბერ მინდიას გიორგიმ რაღაც ეკლიანი მცენარე მიაწოდა.

– ოჰო, ეს ვაჟბატონიც მობრძანებულა?!

– აგერ, იმ კლდეებშია რამდენიმე ჯგუფი.

– ეს ანატოლიის ბინადარია, აქ გადმოხვეწილი, მაშ, პირობებიც შექმნილა იქაური, აქაური მცენარეებისათვის კი ეს ყელის გამოჭრა: სადაც ეს დასახლება, სხვა მცენარის სინსილა გაწყდება ხოლმე. საქართველოსათვის ახალი მცენარეა გლერმა-ასტრაგალუსი.

სამხრეთის ფიჭვნარები ფრიად მშრალია, ერთ მთლიან ტყეს არ ქმნიან, კორომ-კორომად<sup>27</sup> არიან, კორომსა და კორომ შორის დიდი უტყეო ფართობებია, ხშირად კლდეები მოშიშვლებულია და ამ კლდეებს შორის თითო-ოროლა ქსეროფიტული მცენარე კივკივებს<sup>28</sup>.

ფიჭვნარი ზოგან ძლიერდება (შავი ტყე), მათ შორის ჩნდება ნამცნარი, ნამცნარ-სოჭნარი და სოჭნარიც კი, მაგრამ ასეთი რამ იშვიათია.

ფიჭვნარები უმთავრესად მშრალია, ქვიან-ღორღიანი, მღიერით (ქარაგოზით)<sup>29</sup> დაფარული, ბოშურთან და ორმოცთან ფიჭვნარები მკვდარსაფარიანია, ხრეშითა და მღიერით დაფარული. არის ფიჭვნარები ქვეტყით, ღვიით. საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ტიპია ბალახიანი ფიჭვნარი (შავი ტყე, ტუსრებისა და ორმოცის ტყე), ბალახებს შორის ხშირია ბარისპირა, ანისული, კრაზანასფოთლება სელი, მთის შროშანი, ვარსკვლავა და მისთანანი.

გარდა ფიჭვნარებისა, ღრმა ხეობებში შემორჩენილია კარგი ნამცნარ-სოჭნარები, მაღალ მთაში კი – არყნარები. ბევრი იფოფხეს და ბიჭები მალე დარწმუნდნენ, ჯერ ერთი, იმაში, რომ ეს ხეობა სხვებს არ ჰგავდა და, მეორე, რომ არც ბერი მინდია ჰგავდა მაინცდამაინც ბერ მინდიას. როცა გზაზე ჩამოვიდნენ, ერეკლემ იკითხა:

– ბობნევი შორსაა?

– აქვეა, ცხვირწამოწვდილ სერგადამაო, – უპასუხეს.

ბობნევიში, კაკლის ჩრდილში დაისვენეს და გაჰყვნენ ლევიტანას – მარჯვნივ ტანაყრილი ნამცნარი დღის სავალზე იყო გადაჭიმული. გიორგი ტყის შუაგულში შეუძღვა და ერთ უცნაურ ტაძართან მიიყვანა თანამგზავრები, ფილებით დაფარულ სახურავზე ვეებერთელა ბობოწვერიანი ნამცეები იზრდებოდნენ, შიგ ტაძარში (ბაზილიკის ტიპის) შემორჩენილი იყო კარგად ნახარატევი კანკელის კარები. «წავიღოთ და მუზეუმს ჩავაბაროთ», – აიტეხა ვახტანგმა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, გადაეღოთ სურათი და ეცნობებინათ ხელოვნების მუზეუმისათვის.

– დაიცა, დაიცა... – შედგა უცბად ერეკლე, – რა ჰქვიან იმ სოფელსა? – იკითხა.

– აა! მიხვდი?

– მიხვედრით ჯერ ვერა, მაგრამ ჩვენებურს არა ჰგავს...

– ზეზემანს აქ პუნქტი ჰქონდა, მარცხნიდან ჩამომდინარე ტოტს «ლევია ტანას» უწოდებდა. აქაურმა ხალხმა თავისებურად აღიქვა «ლევია ტანა» და შემოგვრჩა ლევიტანა.

– ახლა ჩვენებურ სახელებში ვერც კი გამოარჩევ.

– ჩვენში გარეჯისკენ ერთი ქართულნუშიანი ხევია, პაპალაანთ ხევი ჰქვიან, პირველად «პაპალაშვილების ხევი» მეგონა, მაგრამ საიდან? იმ მხარეში პაპალაშვილები არა ცხოვრობდნენ. ამ ხეზე დაობდა აზამბური (რუსების სოფელია) და სართიჭალა, ბოქაულს (რუსი იყო) თავი რომ მოაბეზრეს, მან თურმე ასე გადაწყვიტა – «პაპალამო», ე. ი. ნახევარი ერთსა და ნახევარი მეორესაო. ქართველებმა არ იცოდნენ, რა იყო «პაპალამ» და მას შემდეგ დაერქვა პაპალაანთ ხევი, ასევეა, თუ გახსოვთ «ნაფილნარი» მანგლისთან, რომელიც «პილა»-სგან (ხერხი) გაკეთდა, აქ ჯარის ხერხი მდგარა.

– ტოპონიმიკის შესწავლას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის ისტორიის შესასწავლად, რასაკვირველია, ამას ლაპარაკი არ უნდა.

მზე ჯამჯამას ეფარებოდა, როცა ბოშურში ავიდნენ; მანქანა უკვე იდგა სოფლის ნაპირას. გიორგის ძველმა მეგობარმა სოსემ ჩვენს მოგზაურებს ფართოდ გაუღო სახლის კარი.

– ზაფხულია და, მოდი, სკოლის აივანზე გავათევთ.

– ხომ მოგეხსენება, გიორგი, ბოშური გორელების ბორჯომია და ბაკურიანი, ბავშვების ბანაკები აქაა... სკოლაც იმათ უჭირავთ. ოღონდაც თქვენ ჩემთან მობრძანდით, ცხრილით წყალსა ვზიდავ და არაფერს დაგაკლებთ, ებერნიკის<sup>30</sup> პურს გამოგიცხობთ, პურით-პურს გაჭმევთ და წაჯექ-უკუჯექის ცეცხლს დაგინთებთ... სხვა არა იყვეს რა, რეზო რას მეტყვის, გორში ხომ არ ჩამესვლება.

მაღალი მანდილოსანი გამოვიდა, მიესალმა სტუმრებს.

– აბა, ჩემო თამარ, შენ შენს საქმეს მიხედე... – და სოსემ ჩანთა და ჯოხი ჩამოართვა მინდიასა და გიორგის. ბიჭები ნამცეების ქვეშ მოეწყვნენ და დაიწყეს მცენარეების ჩალაგება, გეოლოგიური მასალის შევსება...

ბოშური მთის სოფელია და ტანას ხეობის სოფლების მესვეური. მის საბჭოში თხუთმეტამდე სოფელია. ესაა: ქვემო ბოშური, ზემო ბოშური, ბობნევი, ლევიტანა, ბიისი, იფნარა, თხინალა, ფეტვისხევი, ტუსრები, ბალოვანი, ყველაანთუბანი, გაგლოაანთუბანი, გაიჩანთუბანი, ორმოცი. ბევრი დაცარიელდა, ვაკეზე ჩავიდნენ.

ღამე მანც კარში ათიეს, მხოლოდ მინდია დარჩა აივანზე. ცა მოწმენდილი იყო და შიში არაფრისა ჰქონდათ, მაგრამ შუაღამე ახალი გადასული იყო, როდესაც ელვა-ჭექა, გრგვინვა და ქუხილი ატყდა. გეგონებოდა, ცა ჩამონგრევას აპირებსო, მოიქრუშა და აი, უნდა წამოსულიყო დელგმა და თქეში, რომ ბიჭებმა წამოავლეს საძილე ტომარას ხელი და გაქუსლეს აივნისაკენ...

– ნუ გეშინიათ, წვიმა არ მოვა! – შეეხმაურა აივანზე გამოსული სოსე.

– ეს რატომ?

– აგერ, როგორ ყრუთა გუგუნებს ჯამჯამის უკან, ეგ წალკაშია, იქა წვიმს.

დილა, მართლაც, კრიალა იყო, მაღლიდან დასცქეროდა ლურჯი ცა.

საღამოს, სუფრას რომ უსხდნენ, მაშინ ჰკითხა გიორგიმ სოსეს, უფრო ბავშვების გასაგონად, თორემ თვითონ იცოდა.

– გუშინ ე რა ორლესური სიტყვა თქვი წაჯექ-უკუჯექის ცეცხლის და პური-პურის ჭამაზე?

– ჰოო, – გაეცინა, – არაფერი, ისე, ჩვენებური სიტყვის მასალაა.

– მანც, მანც.

– ცოლი შეუჩნდა ქმარს, ოღონდ შენ ძმას გაეყარე და წაჯექ-უკუჯექის ცეცხლს დაგინთებ და პური-პურს გაქმევო. გაეყარა ძმას – «აბა შენი ხელობა მაჩვენეო». ერთ ცრიაგ<sup>31</sup> დღეს ცოლმა დაანთო კაჭაჭისა<sup>32</sup> და ბუნჩოს<sup>33</sup> ცეცხლი, ცეცხლი რო აბრიალდა, ახლო მჯდომმა ქმარმა უკან დაიწია, ჩანელდა – წინ წაიწია. «უკუჯდა და შემდეგ წაჯდა». აბა, პური-პურიო, დედაკაცმა ხალის (დახალული და დაღერდილი ხორბალი) შექამანდი გააკეთა და მიართვა. «აბა, დედაკაცო, ერთი ჩემი სახრეო», – გასძახა ქმარმა. «რად გინდაო»? «ასკი-კუკუ<sup>34</sup> უნდა გათამამოო».

ამის გამგონე სტუმრებმაც ბევრი იცინეს.

დილითვე შალვა, გივი, ვახტანგი და ერეკლე პირიქით ძამას ხევისკენ გაემშურნენ: იქნებ აბუხალოს გამოქვაბულები ვნახოთ და თუ ვიმარჯვეთ, თრეხვასაც მივწვდებითო, თრეხვის გამოქვაბულში ხომ მროველის წარწერა იპოვეს.

– ღამე ყინწვისში ათიეთ და ხვალ შუადღისათვის ჩვენც ამოვალთ, – დაარიგა გიორგიმ, – ყოველ შემთხვევაში, ხვალაც რომ ვერ ამოვიდეთ, იქ იყავით და დაგვიცადეთ, ზეგისთვის ხომ იქ ვიქნებით. ახლომახლო მიდამოების მცენარეები შეკრიბეთ, დააკვირდით, როგორაა შეჭრილი რცხილნარში ნაძვი. დაკვირვების შედეგად გადაწყვიტეთ – ნაძვი შეიჭრა რცხილნარში თუ რცხილა დევნის ნაძვს. თუ სადავო გახდა, რომ ამოვალთ, ჩვენი მინდია გადაწყვეტს დავას, – არიგებდა გიორგი და მისდევდნენ ვიწრო ხევზე მოკისკისე ნაკადულის ღორღიან ნაპირს. ანკარა მდინარე კი ქვეზე ათას ჩქერებად იშლებოდა, იფანტებოდა, მღეროდა, ლიკლიკებდა და არ იღლებოდა, არსად იმუხლებდა. მალე მათი გზები გაიყო: გიორგი და მინდია სოსეს თანხლებით მდინარის მარჯვენა შენაკადს მიჰყვნენ, ბიჭები კი – მარცხენას, იმ ქედის ფერდოს, რომელზედაც ჯამჯამა და ნემსია წამომართულან. აქედან კი აბუხალოსკენ ძამას ხეობაში აპირებდნენ გასვლას. გიორგის კი სურდა, გასულიყო ქედის წვერზე და იქიდან თემძის სათავეებისაკენ გადაეხედა.

ჩუმად მოსაუბრობდა ორი ჭადაროსანი. ჯერ ქედის წვერიდან შორს იყვნენ, რომ სოსემ უთხრა: დროა, დავბრუნდეთ, თორემ წვიმა მოგვისწრებსო.

– განა რა იცი?

– მე ხომ იმ დაწყვეტილ ომში დავიჭერ და ახლა მხარმა მითხრა. გინდ ეგ არ იყოს, ბუხები იკბინებიან. მდინარეც, ვხედავ, გაჩუმდა, აღარ მღერის.

ცას ახედეს, კრიალა იყო, ლურჯი, მაგრამ წყალი მართლა გაჩუმებულიყო. სადღა იყო მისი მაცრული? აქამდე თითქმის სიმღერების გუდა ჰკიდებოდეს ზურგზე, ახლა კი ის გუდა მოეხსნას და იქ, სადღაც, ზევით დაეტოვებინოს, შეენახოს. ცოტა კიდევ წადგეს წინ ნაბიჯი, მაგრამ ათიოდე წუთში ჯამჯამის წვერიდან, თითქოს ნაბადი გადააფარეს ხეობასო, ისე ჩამოხნელდა. ღრუბელმა იძალა და ხევის სათავე მთლიანად გაიტენა შავი ღრუბლებით.

– მართლაც, დროა შევბრუნდეთ, – თქვა გიორგიმ და აიხედა ზევით. დიდი სურვილი ჰქონდა, შავ ღრუბლებში, ჯამჯამის წვერზე, ბიჭები დაეღანდა.

– ჯამჯამის წვერზე ღრუბლების წამოსვლამდე იქნებოდნენ, თუ აბუხალოს თავი დაანებეს, კარგი იქნება. იქით სავალ ბილიკზე თიხა იცის და ფეხი სხლტება, მაგრამ, ღვთის წყალობით, შეიძლება, იქ სულაც არ წვიმდეს.

გიორგიმ კითხვით შეხედა სოსეს.

– აბუხალოს ქედი თირი ქვაა, იშლება. ფლატეები ბევრი იცის. ჯამჯამის ქედქედ ბილიკია, ის ბილიკი ნადირაანთ ხევში ჩაიყვანს, შარაც იქვეა...

– რა ვიცი, მოიფიქრებენ?

– როგორ ვერ მოიფიქრებენ, ამ რამდენიმე წლის წინათ შალვაც ხომ იყო აქეთ, ჯამჯამიდან გადავიდა ძამას ხეობაში.

– ჰოო, ახლად მომაგონდა, მართალი ხარ, – და, ერთი შეხედვით, დამშვიდებული დაჰყვა დაღმართს. ცოტა ხნის შემდეგ დაიგრილა და თითქოს ზურგში უზარმაზარი ბურთი მოხვდაო, წინ მეტი ნაბიჯი გადაადგმევინა.

– აბა, ნაბიჯი ჩქარა! – და გახედა მინდიას.

– ჩქარას და ნელას ახლა ერთი ფასი აქვს, ჩემო გიორგი, მალე სეტყვა წამოვა, გახედე, ქვემო ღრუბლები ჟანგის ფერია, უკან კი – შავი, კუნაპეტი. ასეთმა ღრუბელმა დიდი სეტყვა იცის, – უპასუხა მინდიამ.

ზევიდან ქარის ფრთამ ზუზუნით ჩაირბინა და სადღაც კლდის ქიმის მიღმა გაჩერდა.

უცბად მეორე ნაპირზე შველი<sup>35</sup> გადმოხტა და წამით გაქვავდა, მერე შებრუნდა და ჩამოხრიოკებულ ფერდაზე ავარდა.

– ეგენიც დელავენ, – თქვა დინჯად სოსემ, – ავჩქარდეთ, ახლო ქობია და იქ მივიდეთ. თუმცა არა, ჯობია, ვიაროთ, თორემ ამ ტიალმა წყალმაც ისე იცის ადიდება და შედედება, თითქოს მახოხის<sup>36</sup> შეჭამანდიაო...

მთის წვერებზე კი ელია გამშაგებით დააქროლებდა თავის ეტლს და გაჰქონდა გრუხუნნი; აი ერთი, ორი, სამი წვეთი დაეცა ქვებს და გაიშალა.

– გიორგი, მინდიავ, მოდი, თქვენი წერაყინები და ქაფრები მე მომეცით, აქ შევიწახავ და მერე ჩავიტან, აი, ჯოხები დაიჭირეთ, – შესთავაზა სოსემ.

მას უკვე გამოეჭრა რცხილის სამი ჯოხი, წალდი წელში ჰქონდა გარჭობილი და არ გასჭირვებია.

წალდი, ჯოხები და ქაფრები ბუჩქში შეაწყო და ჩქარის ნაბიჯით გამოჰკრეს, მაგრამ რა? – წამოვიდა სეტყვა და წვიმა, თითო მარცვალი მტრედის კვერცხისოდენა იყო. კაირამას ქობამდე მალე მიაღწიეს და შეცვივდნენ შიგ. ქობი გონგოლებით იყო დახურული და, ალბათ, მალე გამოატანდა წყალი, მაგრამ წყალს რა უშავს, სეტყვას ხომ მაინც დაიჭერდა.

ქარი ძლიერდებოდა, ქობი ლამის მოგლიჯა, სეტყვას კი გაჰქონდა ბაგაბუგი და ქობის კარიდან ხედავდნენ, როგორ ეგებოდა ძირს ნეკერჩხლისა და წიფლის ფოთოლი.

მგზავრები დასველდნენ, მაგრამ სეტყვა, როგორც უცბად წამოვიდა, ისე უცბად გადაიღო, აკი თქვა სოსემ: «მალე გადაიღებს, ქარიანი ავდარიაო». გაიხედეს აბუხალოსკენ, ღრუბლის ნაფლეთებიდა მოჩანდა, აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ კრიალა ცაზე, გეგონებათ, დიდ ფარას ცხვრის ნოტო<sup>37</sup> მოსწყვეტია და ბლავილით დაეხეტება მწვანე მდელოზეო.

სამაგიეროდ, სახარე კლდე და წერეთის ქედი მთლიანად შებურული იყო და იქა გრუხუნებდა, ელაგდა და ჭექდა...

– რა საჭიროა, ადიდდება ტანა, გადაირევა, – და ჩაიხედა ძირს. ეს აქამდე პატარა და უწყინარი ნაკადული ცოფიანი მგელივით მოექანებოდა, წყალობისა მართლაც არა ეთქმოდა რა, «ღორწყალი» იყო ნამდვილი, მოდიოდა და მოღმუოდა, მოგრიალეზდა, ატრიალეზდა მოგლეჯილ ხეებს, ახეთქებდა ნაპირს და თითქოს ჩვენს მგზავრებსაც ბოროტი თვალით უმზერდა.

– ფეხი იცურებს, ცოტა ზევით ავიწიოთ, იქ ბილიკია ნახირისა და იმით ვიაროთ, ქვევით ამ აფთარს ეგ გზაც შექმული ექნება, – სოსემ თავისი ანაზარი სანახირე ბილიკზე გაიყვანა. გიორგი მალიმალ იცქირებოდა ჯამჯამისაკენ.

– არა, იქით არ იწვიმებდა, – დაამშვიდა სოსემ.

– შენს პირს შაქარი, – თქვა და უცბად გაშრა, გახედა, ასეთი სურათი ჯერ არასოდეს ენახა: ვიწრო ხევიდან ფისისხვევის ღორწყალი გამოჭრილიყო, სცემოდა ტანას მარცხენა ნაპირს და შეტბორებულიყო. თითქოს ათი ძაღლი რომ წაიჩხუბებს და ერთ გორგლად ტრიალებენ, ამ გორგალში ვერ ამჩნევ, რომელი რომელია, მხოლოდ ღრენა, წკმუტუნნი და ყეფადა ისმის, სწორედ ასეთი ამბავი ტრიალებდა – მდინარე დუღდა, ბობოქრობდა; ოცი და ორმოცი ტალღა ერთმანეთს ეხეთქებოდა, იდგა ერთი ორომტრიალი, გამაყრუებელი ჭახანი დამტვრეული ლოდებისა, ხეებისა და მორებისა.

– წვიმა ზევით არა კლებულობს, რა მოგველის ნეტავ? ვინ იცის, როგორ გაგეჟდეს ეს ჩვენი ტანა, – თითქოს დაიკვნესა სოსემ.

– ეჰ, ეს ფერდობები ტყით რომ ყოფილიყო დაფარული, ეს არ მოგვივიდოდა!

– ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კლდიანებს ჯერ ბევრი მუშაობა უნდა.

მალე შეაბოტეს სოფელში ჩურჩხელასავით ამოლუმპულეზმა.

– მადლი უფალს, მშვიდობით გნახეთ, მობრძანდით, ცეცხლი უკვე ანთია, ბუხარი მხიარულადაა...

– გამადლობთ. ახლავ გამოვიცვლით ტანისამოსს...

– კაცო, ხვალ როგორღა წავალთ? – შფოთავდა გიორგი.

– ღმერთი მოწყალეა, გავალთ და გავაღწევთ...

მალე პირდაპანილნი, სუფთა ტანისამოსში გამოწყობილნი «მხიარულ ბუხარს» უსხდნენ.

სოფლის საბჭოდან გორში დარეკეს, რაიკომის მდივანს სთხოვეს : «იქნებ როგორმე დაუკავშირდეთ ქარელს და ჩემი ბიჭების ამბავი გაიგოთო».

– ახლავე შეგაერთებთ, თვითონ ისაუბრეთ!

მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ ქარელის რაიკომის ერთ-ერთი მდივანი ტელეფონთან იყო; იგი შეჰპირდა: «მაინც საქმე მაქვს ზღუდერში, ავალ და იმათაც ვნახავო». ისიც უთხრა, ჩვენკენ და ძამას ხეობაში ავდარი არა ჩანდაო.

– შოთა ყოჩაღი ბიჭია, ნახავს, – თქვა იმედიანად გიორგიმ. ტანა კი ღრიალებდა და მოქანაობდა ქვევითკენ...

საღამოს შვიდი საათი იყო, როდესაც საბჭოდან დაიძახეს – ქარელიაო.

– ბატონო გიორგი, აი, ეს ბიჭები დავაპატიმრე და აქა მყვანან. ხვალ ამოვალთ და ჩაგაბარებთ, თქვენს მეტს ვერავის ვენდობი.

– უი, შე ეშმაკის ფეხის მომჭმელო, შენა, – მიხვდა გიორგი, რასაც ნიშნავდა «თქვენს მეტს ვერავის ვენდობითო».

საღამო ხანს ბუნება დამშვიდდა. გიორგიმ და მინდიამაც მშვიდად დაიძინეს.

ტანა კი ისევ ღრიალებდა, გრუხუნებდა, მუქარით მიექანებოდა ქვემოთკენ.

### **მიწაზე ჩამოფრენილი ანგელოზი**

მზე ამოწვერილი იყო, როდესაც გიორგიმ თვალი გაახილა. უცბად გადაიცივა და გავიდა ეზოში. მდინარის ხმაურში კიდევ რაღაც ყრუ გუგუნის ისმოდა ქვევიდან. გიორგი დაეშვა ნაპირისაკენ, მდინარეს აუარებელი ნარიყი მოეტანა, ზოგი მათგანი მდინარის დონიდან ორი მეტრის სიმაღლეზე იყო დატოვებული, ტანას ზოგან ნაპირი ჩამოენგრია და ფლატე გაეკეთებინა, სიმინდი მთლიანად ჩარეგვილიყო (თუმცა სიმინდი კიდევ წამოიწვეს ხოლმე, მაგრამ ყანას რაღა ეშველებათ?). სოფლიდან ერთ კილომეტრზე ხალხი ხიდს აკეთებდა.

– ქუდზე კაცი გამოვიდა, ბანაკებისათვის სურსათი გორიდან მოაქვთ, თუ დროზე არ გაკეთდა, არ შეიძლება, – შეეგება სოსე.

– ქვევით რა ამბავია?

– ამბობენ, ბოზნევის ქვევით სეტყვა არა ყოფილაო. შენ ნუ გაფიქრებს, აქედან ცოტა ხნის შემდეგ ტრაქტორი და საბარგო მანქანა გავა და გაჰყვებით. უკვე შევიპირე. თუ გზა ან ხიდია გაფუჭებული, ტრაქტორი გაგიკვლევთ.

– წინდახედული კაცი ხარ, ჩემო სოსე, დიდი მადლობა.

– შენც კარგად იცი, ჩემო გიორგი, ჩემს თავზე კვერი არ მოტრიალებულა, თორემ ყველა გადამხდენია.

გიორგი მომუშავეებს მიესალმა და ქვას დასწვდა ნაპირზე მისატანად.

– ახლა ეს ხიდი აღარც ჩაინგრევა, პროფესორის მიტანილი ქვითაა გამაგრებული, – წაიხუმრა ერთმა სანდომიანი სახის ქოჩორა ვაჟკაცმა.

გიორგის გაეცინა.

– ნუ ხარ, ბიჭო, ენაუკუღმართი, – შეუტია ჭადაროსანმა.

– აბა შენსავით მარტო რძე და თაფლი ხომ არ უნდა ამომდიოდეს პირიდან.

– შენ თაფლს ვინ მოგცემს, მაგრამ არც ძიმწარეა<sup>38</sup> საჭირო.

– რას იზამ, ჩემო კოტე, ცხოვრებამ ეგრე იცის, ხომ გაგიგონია:

*«წუთისოფელმა, დღე ჩემმა, ძიმწარე დამალევინა,*

*არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინაო».*

წამოიწყო ენამწარე ქოჩორამ მუშური და მოძახილი ბანიც დროულად ამოუდგა გვერდში.

– აი, თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა!

*«გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა»,*

ჩამოართვა ლექსი ჭადარამ:

*«ლამაზი გოგო და ბიჭი ერთმანეთისა ცქერამა.»*

– აი, თქვენ რომ გაგეხუმრათ, იცით, რა კეთილი და მუშა ბიჭია? ცარიელ ქვაზე რომ დასვა, თვითონაც იცხოვრებს და სხვასაც აცხოვრებს. ნამეტნავად საქმეში უკან დახევა არ იცის. ალაღმართალია, მაღალთან მაღალი, დაბალთან დაბალი. ასე არაა, შაქრო?

– მაშ როგორ, მე ისეთ კაცთან მიყვარს ყოფნა, ჩემს სახრეს რომ სახრეს შემოაგებებს და ჩემს კომბალს – კომბალსა.

– ის რას დაღონებულა? – მიუთითა გიორგიმ განზე მდგომ ერთ შავწვერა კაცზე, რომელიც მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა.

– მაგან ეგრე იცის: სოფელში რო წახდება რამე, დანა პირს არ უხსნის და მთელი კვირა ბზობის ყვაევით იკარგება...

– არიქა გამოიტანე სანახიროზე<sup>39</sup>... – გამოეპასუხა დაღვრემილი, ყური რომ მოჰკრა გიორგისა და სოსეს საუბარს. მაგრამ ქოჩორამ არ აცალა:  
*«გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ, შუა ჩამოდის მდინარე...»*

გადაუმღერა ქოჩორამ გაღმელებს, არც ისინი ჩამორჩნენ და ტალღების ხმაურში გამოიკვეთა ვაჟს ნატიფი სტრიქონები:  
*«ხიდი არ გვიძევს წყალზედა, ფიქრი მკლავს მოუთმინარე...»*

– აბა, თოკი დაიჭით!  
და შაქრომ გაისროლა გაღმით კაი მსხვილი საბელი, რომელიც აქეთ, მარჯვენა ნაპირზე, მსხვილ მორს იყო ჩამობშული. ბიჭებმა დასტაცეს მის ბოლოს ხელი, ფერდაზე მდგომ ფიჭვს მოსდეს და გამოსწიეს.  
– აბა, გამოსწიეთ!...

გაღმა ხუთ-ექვს ტალიკ-ტალიკ<sup>40</sup> ბიჭს ეჭირა თოკი და ეწეოდა. ტივის ხის თავი მალე დადგა მეორე ნაპირზე; მეორე, ძველი თავზე ისევ ადგილზე იყო. ორივე მხრიდან დაიწყეს ფიცრის დაგება.  
– აი, ესაა, ძალა ერთობაშიაო. სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია. ხელად უგალავს<sup>41</sup> თავს, რაც არ უნდა მწელი საქმე იყოს.

მზე წამოწეული იყო, როდესაც სოფლიდან ტრაქტორი და საბარგო მანქანა გავიდა; სოსემ ხიდამდე ჩამოაცილა, თან ბოდიშობდა, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო ტანას გაგაჩეხება.

ქვევით და ქვევით უფრო ნათლად ჩანდა ტანას ნაავკაცარი, ნაპირზე მირიცილიყო ფესვიანად მოგლეჯილი ხეები, უმთავრესად – ტირიფი, ვერხვი და მურყანი, ალაგ-ალაგ წიფელი და ფიჭვიც ჩანდა. ნაპირები ბევრგან ახლად იყო ჩამოფლატებულნი, გავაკებული ადგილები კი ღორღს ამოევსო, ბერდარები წყალს მოეტაცა, პატარ-პატარა სარწყავი რუების სათავეები მიენგრ-მოენგრია.  
ბოზნევეთან წყალში გავიდნენ, არ გასჭირვებიათ.

– ახლა თქვენ შეგიძლიათ გაჰქუსლოთ თქვენი რაშით, ქვევით გზა მაღალზეა, კლდოვანიცაა და წყალი ვერას დააკლებდა.  
ატენის სიონთან რაიკომის მდივანი შეხვდათ. გიორგიმ მადლობა გადაუხადა გუმინდელი დახმარებისათვის. რევაზს გაეცინა: «აგეთი საქმეებიც გვევალება, ქარსაფარების გაშენება, ტყის აღდგენა»...

– ეგ ხომ ტყის გაშენება არ იყო...

– გულმშვიდად რომ იქნები, უფრო კარგად იმუშავებ. გულდარდიანი კაცი ათასად რომ გაიჭრას, მაინც არა გამოუვა რა.

– რაიონში ტყე ბევრი აღარ არის, ატენს საცდელი სადგურიც მოუვლის, მაგრამ აი, მეჯვრისხევის თავზე კი...

– რა ვქნა, გიორგი, ობოლს ჰკითხეს, თვალს ვის გამოსთხრიო და ვინც გამზარდაო. ზოგი კაცის საქმეც ეგრეა, ვერა და ვერ ვარდება გულისხმაში.

– ვერ ვარდება და რიყეზე რო დარჩება, ვერც მაშინ გაიგებს?

– საქმე ისაა, რომ იმის წყალობით სხვადა რჩება მაგ რიყეზე.

– მაგრამ უნდა გახარო, დიდი საქმე დავიწყეთ, სოფელში გაზი შეგვყავს, ახლაც ვაწვდით ბალონებით, იმასაც ვცდილობთ, რომ ელექტროენერგია დღისითაც ჰქონდეთ, ეს ხომ ტყისთვის დიდი შეღავათი იქნება.

– სწორედ დიდ საქმეს აკეთებთ, ჩემო რეზო, და მაგ გზას ნურც გადაუხვევთ.

მალე დაემშვიდობნენ ერთმანეთს იმ პირობით, რომ ისევ მალე შეხვდებოდნენ. ახლა კი დაგვიანება არ ღირდა. სკრის საცდელ სადგურს აუარეს. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს მეხილეობას; ამჟამადაც ბევრს აკეთებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცერცვამის ნამუშევარი; მან მრავალი ახალი ჯიში შექმნა ვაშლისა, ზოგი მათგანი ფრიად ღირსშესანიშნავია.

ელენე ერისთავის ატმები ხომ საქვეყნოდაა ცნობილი.  
შარაშიკემ კი შექმნა კომპის შესანიშნავი კოლექცია, საქართველოში თურმე 75 ჯიში ყოფილა კომპისა.  
ქარელის ვაკეზე, ქარელამდე, 1921 წელს ჭაობები კიდევ იყო, ახლა ყანები ბიბინებენ.  
მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ჩვენში გავრცელდა ფილოქსერა, დაიწყო ვენახების განადგურება.  
სწორედ იმ დროს ქართლში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ევროპული მეხილეობის განვითარებას შეუწყვეს ხელი. ესენი იყვნენ: მერეთში იასე ფურცელაძე, ნიქოზში სვიმონ ხეთაგური (ხეთაგუროვი), ტყვიავეში ნიკოლოზ კეცხოველი, სკრაში ა. ავსარქისოვი, მათ ჰქონდათ სანერგეები და ხალხში ამრავლებდნენ საუკეთესო ჯიშებს.

ყველა ისინი თავის ნაამაგარს მოესწრნენ, მეოცე საუკუნის ოციან წლებში ცოცხლები იყვნენ და თავის თვალთი იხილეს ქართლის შესანიშნავი ბალები.

მაგრამ ის, რაც ახლავს, ზღაპარივითაა, მთელი ქართლი ბაღ-ვენახებშია ჩაფლული.

სკრას რომ გასცდნენ, გიორგიმ ერთ ადგილზე მიუნიშნა : აქ ჭაობი იყო.

ოცდაათიან წლებში ქარელელებმა მოითხოვეს, გინდა თუ არა, კაცი გამოგზავნეთ – ჭაობში გველემაპია, ყოველდღე ბღუს და ხალხი იმ არემარეს სამუშაოდ ვერ გადისო.

– მე და პავლეს მოგვიხდა წასვლა, – თქვა მინდიამ, – სანადიროდ გამოვეწყვეთ, «მეზალახის» იარაღიც წავიღეთ. ქარელიდან აღმასკომის თანამშრომელი წამოგვყვა. რეზინის წალებით შევედით ჭაობში მე და პავლე.

– მალე გველემაპის მოვიტანთო, – სიტყვა დავუგდეთ აღმასკომელს, რომელიც, მგონი, მართლა შემინებული თვალებით გვიმზერდა.

ამ დროს მართლაც შემოგვესმა რაღაც მოზვრის ბლავილის მაგვარი. პავლე შედგა, თვალები შემომანათა.

ქარელელმა ნაპირიდან გადმოგვძახა: «გამოდით, დაანებეთ თავიო». მე პავლეს

გავხედე, თვალი ჩავუკარ და წინ წავედით. დარწმუნებული ვიყავ, ბულა<sup>42</sup> იყო, ერთი ჭაობის ფრინველია, შინაური მამლისოდენა, გაზაფხულობით ასეთ ხმებს გამოსცემს ხოლმე.

წყალი მუხლზე მოგვადგა.

– პავლე, ნუ გეშინია, აქ ესეთი ჭყაპი<sup>43</sup> და ლია<sup>44</sup>, რომელიც კაცს ჩაიტანს ხოლმე, არ არის.

ამ დროს ჩემ წინ შეიფრთხილა უზარმაზარმა ფრინველმა; ვესროლე, მაგრამ დავაცილე; პავლემ იმარჯვა, ფრინველი თავდაყირა წამოვიდა; ამ დროს მეორე ამოენთო, უკვე სირცხვილი იქნებოდა, რომ ამეცდინა.

– დედალ-მამალი ყოფილა, ამათ შეუშინებია ხალხი. ირიბად გადავჭერით ჭაობი, თოფიც დავცალეთ – იქნებ ხმაზე კიდევ ამოფრინდესო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ააფრინე ალალი, რაც არ არი... სხვა ბულა არ ამოფრენილა.

ნადავლი ქარელელს მივართვით. მას სჯეროდა კიდევ და არცა სჯეროდა, მშვიდობით რომ გამოვედით, ხედავდა, მაგრამ «გველემაპი» თუ ეს ფრინველები იყვნენ, ვერაფრით დაეჯერებინა.

– დავუცადოთ და თუ კიდევ «გველემაპის» ხმა გაიგონო, შენი ხმალი და ჩემი კისერი, – ვუთხარი.

ერთი-ორი საათი ვიყურყუტეთ, ხმა აღარ გვსმენია.

თითქოს ნაწყენმა, ასე მალე და უბრალოდ როგორ დამთავრდა ეს საქმეო, ქარელელმა მითხრა:

– მამ, სულ ეს იყო?

– ასე ჩანს.

ქარელში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა ნანადირევმა: ასეთი ფრინველი ჯერ არ გვინახავსო.

ხმამალა რომ ეთქვათ – «არ გვჯერაო», ამას კი ვეღარ ბედავდნენ.

ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ მომეგონებინა, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში როგორ ბოგინობდა ცრუმორწმუნეობა ჩვენს ხალხში, ახლა სხვა დროა, სხვა თაობა, სოფელში ბევრია უმადლესდამთავრებული. საშუალო განათლება ხომ უმრავლესობას აქვს. ახლა ასეთი ამბავი სასაცილოდ არ ეყოფათ.

ამ საუბარში ვერც კი შენიშნეს, როგორ გაიარეს ქარელი, კეხიჯვარი, ყინწვისი, მხარმარჯვნივ – ზღუდერი, მოვრეთი. იქ, სადაც ძამას აბულახოდან წამოსული ხევი უერთდებოდა, შავტუხა ბიჭს თავისი ყველგანმავალი მანქანა გაეჩრებინა.

– ტყემლიანთ რომ ციხეა, შოთა იქ გიცდით.

– ალბათ, ალერსის ციხესთან, არა?

– ეგ თქვენ საიდან იცით?

– აქაურმა ჩიტმა მომიტანა ამბავი, – ღიმილით უპასუხა გიორგიმ.

მალე გაიარეს ტყემლიანი, კედმანი, ბატეთი და კიდევ რამდენიმეკომლიანი თუ აყრილი ნასოფლარი.

– ძირს წავიდნენ, კეხიჯვარში, სამწევრისში, წრომში, ხვედურეთში... იქა ჯობია, ხილიანი ქვეყნებიაო, – განმარტა მძლოლმა.

მესხეთთან გათავდა ისეთი გზა, სადაც ამ თხის ჯიშის მანქანას შეემლო სიარული.

მთის ფერდონი ტყით იყო დაფარული, ნაძვი და წიფელი მოწინავეობდნენ. ბევრგან წიფელი რცხილას შეეცვალა, ეს უკანასკნელი კი – მუხას.

მანქანიდან გადმოვიდნენ თუ არა, შალვამ ერთი გლერმა მიაწოდა, ისეთი, ატენში რომ ნახეს.

– აი, ჩემო შოთა, ოსმალეთის ხრიოკები მოგესალმებიან, ტყე ძალიანაა ნაჩეხი და იმისი ბრაღია.

– მართალია, ამ ცოტა ხანში შეიძლება სრულიადაც ავკრძალოთ...

– მაგისი კი რა მოგახსენოთ, მაგრამ წინდახედული მოვლითი ჭრების გატარება აუცილებელია.

– აგერ, რცხილიანებში თითო-ოროლა ნაძვი, ეს იმას ნიშნავს, რომ ტყეს აქ ჯერ იმედი არ დაუკარგავს...

გიორგიმ აბუხალოს მწვერვალისაკენ გაიხედა. შოთამ შეატყო, რომ ბიჭებზე ფიქრობდა.

– საცაა გაჩნდებიან, სამიში არაფერია, გამოქვაბულებში შესვლა შეიძლება.

ცოტა ხნის შემდეგ ოთხივე გამოჩნდა. გახვითქულები იყვნენ, თვალები უბრწყინავდათ.

– ძალიან გადაქანებული ფერდაა, მაგრამ ნამკვები გვშველოდნენ, რომ დავგორბულიყავით კიდეც, ნამკვის ძირი არ ჩაგვიშვებდა. გამოქვაბულში ბევრი რამ ვნახეთ, ვახტანგი არ შემოვიდა – თქვენა ნახეთო...

– ეგ უფლისციხის გვირაბის ბრალია...

– არაფერიც...

– სამრახისი არაფერია, ცოტა ხნის შემდეგ გაგივლის ეგ გრძნობა.

– მართალი გითხრათ, ასე მგონია, გვირაბში რომ შევიდეთ, ჭერი ჩამოინგრევა და კარს ჩახერგავს-მეთქი... – გამოტყდა ვახტანგი.

აბუხალოს ან მურყნევის ქედი ჯამჯამას გამოეყოფა და ჩრდილოეთისაკენ მიემართება, მთის წვერები ზოგან უტყეოა. მათ შორის გამოირჩევა ბორჯომსა და წაღვერს რომ დასცქერის. აქედან იწყება ნემვის ხევისწყალი, გვირგვინა, რომელიც თითქმის 2500 მეტრის სიმაღლისაა.

ეს გამოქვაბულები «პირველად» ამ ათიოდე წლის წინ ნახა კოტე ჯავრიშვილმა, ჩვენი გამოქვაბულების კვლევის ერთ-ერთმა პიონერმა; აბა, მივუგდით ყური, რას გვიამბობს:

«დილაადრიან მივატოვეთ მანქანა და აბუხალოს ხევს შევუდექით. გზა სულ ზევით – ზევით მიიწევს, წიწვიანი ტყეც დაიწყო და მაღლა მთის სამოვრებიც გამოჩნდა. სამხრეთით, ჩვენ წინ, თვალუწვდენელი ქარაფი<sup>45</sup> ამოიშრატა, იგი თავს დასდგომია ხეობას, პირამიდის ფორმა აქვს, ოღონდ ამ პირამიდის ერთი წახნაგი შვეულადაა ჩამოკვეთილი და მისი გეოლოგიური აგებულებაა გამოჩენილი. ეს მთა პალეოგენური ასაკის დანალექი ქანებისგანაა აგებული – მაგარი რუხი და ნაცრისფერი ქვიშაქვები ენაცვლებიან რბილ და უფრო ღია ფერის მერგელებს – თითქოს მთაზე ჭრელი ფალასი გადმოუკიდიათო.

აი, გამოქვაბულებიც, ორი რუხი ფართო ზოლის შუა თეთრად ნაშენი ქვითკირი ჩანს, იგი გრძელ ზოლად მიუყვება ქარაფის შუაგულს. კლდე შეუვალია, ქვემოდან, როგორც ჩანს, მიუდგომელია. ზემოდან, მთის თხემიდან, ორმოცდაათი-სამოცი მეტრია გამოქვაბულამდე. მარცხნიდან პირამიდის ტყით დაფარული ციცაბო ფერდობი შეუყვება გამოქვაბულების სიმაღლემდე, მერე კი ისევ ქარაფები აქვს გადმომდგარი, გამოქვაბულები მაინც განზე რჩება და, შეიძლება თუ არა ტყის პირიდან იქით გადასვლა, არ ჩანს. დავისვენეთ და შევუდექით აღმართს. კალთა ციცაბო, ალაგ-ალაგ თითქმის შვეულია და ძალიან ნელა მივიწვევთ წინ. ახლა აქედან ვხედავთ სოფელ აბუხალოს – იგი 1. 600 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. ჩვენ კი უკვე ასიოდე მეტრით ავიზევით. ამგვარად, ამ ორი დღის განმავლობაში ათასი მეტრით ავიწიეთ ქარელიდან წამოსვლის შემდეგ. უშველებელი ნამკვები და სოჭები ასვეტილან ირგვლივ, მაგრამ მალე იწყება ბარდნალი და ძლივს ვიკვლევთ გზას ტყეში.

და აი, ტყე ილევს და ჩვენ წინ რუხი ქარაფები მოჩანს. კლდეების ძირს გავყევით აღმოსავლეთისაკენ და აი, უკვე იმ ზოლიან პიტალოს მივადექით გვერდიდან, სწორედ იმ რუხი ზოლების დონეზე, რომელთა შორის გამოქვაბულებია ამოკაფული.

აი, ნანგრევები იმ მოწინავე საბრძოლო გოდლისა და ზღუდისა, რომელიც იცავდა გამოქვაბულისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას. «კაცთა შეუვალი სიმაგრეა» და ეს ერთადერთი ადგილიც, საიდანაც ადამიანი შეიძლება მისდგომოდა ამ სახიზარს და შიგ შესულიყო, საიმედოდ ყოფილა გადაკეტილი. აბუხალოს სახიზრის მშენებლებს სწორედ ისეთი ადგილი შეურჩევიათ, სადაც მაგარ ქანებს შორის ორი მეტრი სისქის შედარებით რბილი ქანებია – აქ ამოუკვეთიათ ფერდობის გასწვრივ ასიოდე მეტრის სიგრძის მთელი ანფილადა<sup>46</sup> მღვიმეებისა; ლეონტი მროველი, ამ ადგილთა მკვიდრი, ხომ წერს, რომ «განხურითეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად სახურეტელი». გადავივივართ ერთი ცარიელი მღვიმიდან მეორეში; მაგრამ აი, ხვრელიდან მოჩანს თეთრი კედელი და ზედ რაღაცა ფიგურები. სასწრაფოდ შევდივართ და განცვიფრებულნი შევყურებთ კედლის მხატვრობის მთელ გალერეას. აქ ეკლესია ყოფილა, გარეთა კედელი ჩამონგრეულია, დარჩენილა მხოლოდ შუა, გამყოფი კედელი, რომელიც მთელ სიგრძეზე ყოფს ტაძარს. აი, აღმოსავლეთი კედლის მომრგვალებული აფსიდა. თანდათან ვერკვევით კედლის მხატვრობაში. საღებავები უკვე წაშლილია და მხოლოდ ყავისფერი, ოქროთი დატანილი კონტურებია დარჩენილი. ვაკვირდებით სახეებს: ისინი იშვიათი ოსტატობით და ნახატის სინატიფითაა შესრულებული.

აღმოსავლეთის კედელზე ეკლესიის მამათა ან მოციქულთა სამი ფიგურაა, ხოლო სამხრეთის კედელზე ათმეტრიანი ფრესკაა, რომელზედაც სახარების რამდენიმე სიუჟეტია გამოხატული: ლაზარეს აღდგინება, ჯოჯოხეთის წარტყვევნა და სხვ. იქვეა დახატული პატარა, მუხლმოდრეკილი ფიგურა, რომელიც, როგორც ჩანს,



ამ ეკლესიის ქტიტორს (დამკვეთს) წარმოადგენს. საღებავები ამომქრალია; მხოლოდ გრაფიკული კონტურებია დარჩენილი, მაგრამ ამ რამდენიმე ათეული ფიგურის ყველა სახე დამახასიათებელი ნიშნებისა და საკუთარი ხასიათის მატარებელია.

არც ერთი ჩვენგანი არ არის ძველი მხატვრობის სპეციალისტი, მაგრამ მაღალმხატვრული ხელოვნების საგრძნობლად და სილამაზის დასანახავად სპეციალისტობა არ არის საჭირო. გულდასმით ვათვალიერებთ სახეებს და სულ ახალ მხატვრულ დეტალებს ვპოულობთ.

ჩვენ წინ ქრისტიანული ლეგენდის უსხეულო წმინდანთა კრებული კი არ არის, არამედ სისხლსავსე, ცოცხალ ადამიანთა წყება, მთელი თავისი ვნებებითა და სიხარულით, მრავალფეროვანი ხასიათებით.

ამხანაგები მეზობელ, ძნელად მისავალ, მღვიმეებში გადიან, ჩხრეკენ, ეძებენ. ჩვენ ორნი კი – ლევანი<sup>47</sup> და მე, გაკვირვებულნი და აღელვებულნი შევეცქერით ამ მრავალსაუკუნეგამოვლილ სახეებს და ვცდილობთ, ამ ოფიციალურ საეკლესიო ლეგენდებში იმ ცოცხალი ადამიანების განცდები და ფიქრები ამოვიკითხოთ, რომლებიც უცნობმა მხატვარმა ჩააქსოვა ამ სახეებს.

ეს ჯერ უცნობი ძეგლი, უდავოდ, თავის საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენი ხელოვნების ისტორიაში. ხელოვნების ისტორიკოსნი გამოიკვლევენ, ზუსტად დაათვალიერებენ და შეავსებენ კიდევ ერთ, აქამდე ცარიელ, ფურცელს.

შთაბეჭდილებებით დატვირთული ნელ-ნელა ვეშვებით ქვევით. ისევ იშლება ჩვენ წინ ძამას ხეობის აღნუსხული და აღუნუსხავი ძეგლებით სავსე სანახაობა, ტაძრები და ნატაძრალეები, ციხეები და ნაციხურები, კოშკები და გალავნები: ჩვენს დღეებამდე მოაღწიეს წარსულის ამ უტყვემა, მაგრამ მრავალმეტყველმა მოწმეებმა და ჩვენ ვალდებული ვართ, მომდევნო თაობებს შემოვუნახოთ ისინი.

ერთი შენიშვნა სიძველეთა დაცვის კომიტეტის მუშაობის გამო. ციციანთ სასახლე (მოვრეთში) ამ კომიტეტის მიერაა დაცული. მართალია, საამისოდ დაწესებული წარწერა ვერა ვნახეთ, მაგრამ მცველის არსებობა დავადგინეთ, თუმცა თვით მცველი არ გვინახავს. რაში გამოიხატება მცველის ფუნქციები? ამოწმებს თუ არა მას ვინმე? – ეს არსაიდან ჩანს, რადგან ციციანთ სასახლის გალავანში არსებული კოშკი საბძლადაა გამოყენებული, ხოლო ეკლესია «დამშვენებულია» მნახველთა მრავალრიცხოვანი წარწერებით.

აქ დავამთავროთ ეს საინტერესო ამონაწერი. ძეგლთა დაცვის კომიტეტიდან და საზოგადოებასთან პრეტენზიები ბიჭებმაც ჩამოაყალიბეს და თბილისში რომ ჩავლენ, იქ წარუდგენენ.

აბუხალოს მწვერვალ-ქედიდან ჩარხის წყალზეც უნდოდათ გასვლა...

– მაშ, წაღვერიდანაც შეიძლება აბუხალოში ამოსვლა?

– აი, ხომ ხედავთ, გვირგვინა, შუანა მთა, ქართა, ჩვენკენ – აბუხალო, ჯამჯამა. თუ გახსოვთ, ქართა რითაა მდიდარი?

– ბორჯომ-ბაკურიანში რაც მარწყვი და ჟოლო მოაქვთ გასაყიდად, სულ ქართა-შუანას მთებზეა მოკრეფილი.

– გუშინ ჯამჯამაზე რომ იყავით, რუკას დახედეთ?

– როგორ არა!

– ახლა, ვიცი, გვკითხავ, რომელი ქედია შესანიშნავი?

– რომელი და წერეთის ქედი. ლევან ასათიანი ამბობს – წერეთლები აქედან არიანო. ორმოცის ხევის პირზე პატარა ნასოფლარი წერეთიც არის...

– აბუხალოს დასავლეთის ფერდო წაღვერს უცქერის. ეს ის ფერდოა, რომელიც ამ სამოცდაათი წლის წინათ დიდმა ხანძარმა მოსპო.

საერთოდ, ეს მხარე და, კერძოდ, ძამას ხეობა, მდიდარია შენაკადებით, ხეებითა და მათ პირებზე გაშენებული პატარ-პატარა თუ დიდი სოფლებით.

მდინარე ხვედურეთულაზე (ხვედურეთი) მდებარეობენ ბალ-ვენახებით შემკული სოფლები: ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, აგრეთვე ჭანდრები, ხეობა (სოფელია), მესხეთი, ტყემალა, ქვენაფლევი, თრეხვი. თრეხვი შესანიშნავია იმით, რომ თრეხვის გამოქვაბულებში ჩვენმა ალპინისტებმა, ლევან გოთუას თავკაცობით, მროველის წარწერიანი ჯვარი ნახეს.

თვითონ ძამას ხეობაზეა სოფლები: კეხვიჯვარი (სოფლსაბჭო), სანებელი, ქობერაანთ უბანი, ვედრება, სამწვერისი, ბატეთი, კრობანი, კლდუ.

ამ სოფლებს შემოსდევს სხვა ლამაზი სოფლები: ყინწვისი, ზღუდერი, რომელიც გვანანას და ძამას შესართავთან მდებარეობს, შემდეგ ამ მარჯვენა შენაკადზე შეყუჟულან ძაძვის მონასტერი, იმერხევი, ბანი, ველისციხე, თვით ძამაზე კი – სუქანაანთ უბანი, ორთუბანი, არცევი.

– დაიცა, დაიცა, – ვერ მოითმინა ვახტანგმა, – აი, ძამაზეა არცევი, ეს ხომ მეჯვრისხევანანაცაა, იმერხევი ძველ საქართველოში – ტაოში თუ კლარჯეთშია, ველისციხე – კახეთში, ზღუდერი – ცხინვალთან.

– საქართველოში სოფლის ერთი და იგივე სახელი ხშირად მეორდება. მაგალითად, იმერხევიდან წამოსულები ახალ ადგილს თავისი ძველი სოფლის სახელს არქმევდნენ. სპარსეთში, ფერეიდანში გადასახლებული ქართველების ერთ-ერთ სოფელს მარტყოფი ეწოდება. გაჩნდებოდა ახალი სოფელი ან დაბა და მათ სახელად «ახალსოფელი» ან «ახალდაბა» შერჩებოდა. ასეთივე ახალსოფელი საქართველოში ოცზე მეტია.

მაგრამ, მოდით, დავამთავროთ თრიალეთის კალთებზე შემოფენილი სოფლის სახელები. ამაზევეა გვარძინეთის საბჭოს სოფლები: ელბაქიანი, წიფლოვანა, ლოშკინეთი, კოდმანი, ქვათეთრა. ძამას მარცხნივ რომ ქედია, იმას გადაღმა: ახალსოფელი, კუდა-ტყე, ჯაგარანთ კარი, სუქითი, ოქროსოფელი. ქარელის სოფლის საბჭოებშიცაა გომბორი, გარდა ამისა, ზემო და ქვემო ღოდეთი, აფნისი, ბატიური, კლდისთავი.

– წრომი სად დაიკარგა? – იკითხა ერეკლემ.

– არსად არ დაკარგულა, ახალსოფლიდან ერთ კილომეტრზეა, იგი ხაშურის რაიონის სოფლებში წერია.

– უჰ, დავიღალე ამდენი სახელებით, ვისაუზმოთ და ჩვენი საქმე გავაგრძელოთ, – ჩაერია ისევ ვახტანგი.

ალერსის ციხის ქვემოთ მოლივლივ ხევის პირას, კლდიდან რომ წყარო გადმოჩქებდა, იქ ისაუზმეს. ერეკლეს თვალი მოსჭრა მაღალმა გვიმრიანმა, შალვაც გაჰყვა. თითქმის დაიმაღლნენ. ერეკლემ ხმამაღლა დაიძახა:

– გველო, მოვიდა ანკარა, თავით ბოლომდე გაგყარა! – უფროსებმა სიცილი დაიწყეს. ეს წამოძახილი იმას ნიშნავდა – გველი შეშინდებაო.

– რა არ ვიცოდით ბაღლობაში. გაქცევაში თუ შევეჯიბრებოდით ერთმანეთს და ვინმე გაგვისწრებდა, ერთი ჩვენგანი მაშინვე წამოიძახებდა:

*«წინისა წინწიბურისა, გველი შეუდგა ყირასა,  
სამას სამოცი ხანჯალი დაერჭოს გულის პირასა».*

მოწინავე მაშინვე შედგებოდა...

გვიმრის რამდენიმე ძლიერი ფესურა მოიტანეს – თბილისში დაერგოთო.

შეკრიბეს კიდევ ბევრი მასალა, ჩასაწერი ჩაწერეს, გასაზომი გაზომეს და დასასვენებლადაც მოემზადნენ.

– ახლა ისეთ რამეს წერთ, რაც მე წინ დამხვდება, არა? – იკითხა ნახევრად ხუმრობით შოთამ.

– მაშ, როგორია, ჩემო შოთა!

– ქვეყნის საქმისათვის თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

მზე ლომის გადმოსაყვირისაკენ იყო გადახრილი, როდესაც ისინი ყინწვისში ამოვიდნენ.

– წყალი ხომ აღარ ჩადის, მოხუცო?

– აღარა, გააკეთეს, როგორც იქნა.

– მართალია თეიმურაზი, ქვის ფილებით უნდა დაიფაროს, თორემ ამ აუარება კაკლებში, ბიჭები გაისვრიან თუ არა ქვას, მოხვდება კრამიტს, «ჭახ» და წამოვა გატეხილი კრამიტი ქვევით.

ეს ტამარი ჩვენი ისტორიული ძეგლების იშვიათი ნიმუშია, აგებულია მეთორმეტე საუკუნის დასასრულს და მეცამეტის დასაწყისს. ნაგებია აგურით (ასეთი ნაგები ტამარი სულ რამდენიმეა კიდევ: ალავერდი, ტიმოთესუბანი), მთავარი ტამარი წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა. კარგადაა შემორჩენილი მეცხრამეტე საუკუნის ფრესკები თამარ მეფისა, გიორგი მეფისა და ლაშა გიორგისა. საქართველოში, ყინწვისს გარდა, თამარ მეფის სამი პორტრეტი გვაქვს დარჩენილი, ტამრის კედლებზე გამოხატული: ბეთანიაში, ვარძიაში, დღემდე (1971 წ-მდე) იყო ბერთუბანში, გარეჯის კომპლექსის იმ ჯგუფში, რომელიც აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ რაკი იგი ჩამონგრევის პირზე იყო, 1971 წელს მოხსნეს და თბილისის მუზეუმში ჩამოასვენეს; ნიკოლოზის სახელობის ტამარში ყველაზე შესანიშნავია «ყინწვისის ანგელოზის» სახელით ცნობილი ფრესკა. ფრესკა კი არა, მიწიერი სილამაზით შემკული რომელიღაც ქალის პორტრეტი, ფრთები ტყუილად აქვს გამოსახული, თუ მაინცა და მაინც ანგელოზი იყო, ალბათ, მიწაზე რომ დაფრინდა და მიიხედ-მოიხედა, გადაწყვიტა, ცად აღარ გაფრენილიყო. იცქირებოდა კედლიდან დიდთვალემა მშვენიერება და თითქოს შემოგვლადადებდა: ჩამომხსენით და თქვენ შორის დამაყენეთო. საერთოდ კი, ყველა აქაური ფრესკა შესანიშნავია კოლორიტით, ფერთა შეხავებით, ხაზების სინატიფით, ჰარმონიულობით, ეს ფრესკა ჩვენს ფრესკებს შორის საუკეთესოა.

– რას იტყვით, ხალხო, ყინწვისის ანგელოზის მეტი რომ არ დაეხატათ ჩვენს წინაპრებს, დარჩებოდნენ თუ არა ისინი დიდ მხატვრებად? – იკითხა ვახტანგმა.

– ერთი სურათით, რაგინდ დიდებული არ უნდა იყოს, ფონს ვერ გავალთ. ვინც ერთი შექმნა, მეორეც უნდა გააკეთოს.

შარაგზიდან გეზი წრომისკენ აიღეს. ძამას გადალახვა არ გასჭირვებიათ. ამ მგზავრობისას თითქოს დაებედათ, სანამ ნიშანში აღებულ ადგილზე მოვიდოდნენ, ან საცდელი მინდვრის გვერდით უნდა ჩაველოთ, ან საცდელ სადგურთან. აი, ახლაც წრომის საცდელი მინდორი გამოჩნდა, მანქანები შედგნენ; ზემო საქცევიდან სწრაფი

ნაბიჯით წამოვიდა მაღალ-მაღალი ვაჟკაცი. პუნქტის გამგე იყო, აქაური მკვიდრი აგრონომი მურჯიკნელი. დაატარა კოპწია მინდორი, ჭარხლის, ხორბლის, სიმინდის ნაკვეთები. დაიჩვილა კი: მუშას ადვილად ვერ ვშოულობ, კოლმეურნეობაში არ უნდათ მოცდნენო. შოთა დაჰპირდა: თავმჯდომარესთან გიშუამდგომლებო... წრომის ტაძარი შუა სოფელში დგას. ესეც ჯვრისმაგვარი გუმბათიანი ტაძარია. იგი აშენებულია 626-634 წლებში, მცხეთის ჯვრის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, მისივე ტიპისაა, მაგრამ ჯვრისაგან მაინც განსხვავდება; ეს განსაკუთრებით ჩანს ოთხი სვეტის არქიტექტურაში, რომელზედაც გუმბათია დაყრდნობილი; ტაძარი ფრიად დაზიანებულია, მაგრამ გადარჩენილია იშვიათი მხატვრული მნიშვნელობის მოზაიკის ნაწილი, რომელიც, მთავრობის დადგენილებით, მოხსნეს და საქართველოს მუზეუმში მოათავსეს. ტაძარი ამ ბოლო დროს შეაკეთეს, შეამაგრეს და შემოუნახეს შთამომავლობას. ამ ტაძრის ღრმა და დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნის ჩვენს სახელოვან მეცნიერს, გიორგი ჩუბინაშვილს. ჩვენი მგზავრები მალე უკანვე დაბრუნდნენ. შორიდანვე ჩანდა მთის ფერდობზე მდგომი კოპწია ტაძარი. მოხდენილად იდგა, გეგონება, მთის ქედი გვირგვინით არის შემოსილიო.

– ახალ აგებულსა ჰგავს, – წამოიძახა ვახტანგმა.

– ახალიცაა და ძველიც, და აი, როგორ:

ეს კოპწია სამწევრისის ტაძარი აგებულია მეშვიდე საუკუნეში, მაშინ, როდესაც ჩვენი ხუროთმოძღვრული ხელოვნება ყვაოდა. მაშასადამე, ამ ტაძრის თავზედაც გადაიქუხა მე-12-13 საუკუნემ. ანგრევდა მტერი, მიწისძვრა, ქარი და ქარაშოტი. შერჩა კედლები, სამსაფეხურიანი ბალავარი, მისი სრული აღწერა და XIX საუკუნეში გადაღებული სურათი. აი, ამ სურათისა და აღწერის მიხედვით ძეგლთა დაცვის კომიტეტმა აღადგინა და ახლა კვლავ გასცქერის ქართლის მინდვრებს, რუის-ურბნისს, როგორც მათი მეწინავე.

ისხდნენ ბალავარზე ჩვენი მგზავრები და გასცქეროდნენ ქვევით, მტკვრის პირას ნაგები ციხის ნანგრევებს. ეს ციხე მეთხუთმეტეს დასასრულსა და მეთექვსმეტის დასაწყისს ააგეს ფანასკერტელმა ციციშვილებმა, ამ მხარის მებატონებმა.

გასცქეროდნენ და ისახებოდა ჩვენი წარსული, ცეცხლმოკიდებული ტაძრები, სასახლეები, სოფლები, ესმოდათ ხმალითა წკრიალი, ფართა ჯახანი, ვაჟკაცური შეკვივება და ერთმანეთის გამხნეება.

– მიდი, გენაცვა, აქა ვართ!...

და ხშირად ეს უკანასკნელად ნათქვამი სიტყვა კი იყო. უცბად გვიმ წამოიწყო:

*«საქართველოში, როცა კვდებოდნენ,*

*უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე;*

*ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს*

*ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.*

*ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,*

*ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს,*

*ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,*

*მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.»*

– მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს, – ამოიოხრა ვახტანგმა და გახედა ლიხის მთას ნაამბორებ მზეს, რომელსაც ცის ტატნობი ოქროსფრად შეეღებდა.

მთები რაღაც ლურჯი იდუმალებით იმზირებოდნენ.

### **ეგ არის და გორის ციხე**

– ეგ არის და გორის ციხე! – წამოიძახა მინდიამ, როდესაც მეორე დღეს გორის ციხეზე მოექცნენ. ბიჭებმა გაკვირვებულებმა შეხედეს.

– ჰო, ეგრე იცოდნენ, როდესაც რამე ძნელ საქმეს მოათავებდნენ, იტყოდნენ ხოლმე – «ეგ არის და გორის ციხეო». გორი ბევრჯერ დანგრეულა, აშენება ძნელი იყო და, თუ ააშენებდნენ, უხაროდათ კიდევ, ეგ თქმა იმ დროიდანაა, ალბათ, გორის ციხესავით მაგარიად.

მხარმარჯვნივ კვერნაქის ქედი მოჩანდა, შემდეგ წლევი-თხოითი ისახებოდა, სხალტბაც. დასალიერზე კი სხვილოს ციხე ჩანდა, ამილახვრიანთ ერთ-ერთი ციტადელი, სამთავისსა და ქვემო ჭალას რომ დასცქერის მაღლიდან.

წინ კავკასიონი იყო აღმართული, ელვარებდა ბრუტსაბძელი ზეკარა, მათ გვერდით ჩამწკრივებულიყო თოვლისმუზარადიანი მწვერვალები, უკან კი-მუდამ ლურჯი თრიალეთის ქედი, გორიჯვარი.

«თამარ მეფე გორის სანახებში ნადირობდა თურმე, საყვარელი შავარდენი გაუფრინდა და გორიჯვარის გუმბათზე დაჯდა; მათ შუა მტკვარი და ლიახვი ბობოქრობდა; გაზაფხული იყო, დიდროობა. არავინ ჩანდა ვაჟკაცი, რომ წყალი გადაელახა და მიმინო მიეგვარა დედოფლისათვის; «ვინც მიმინოს მომგვრის, მას ყოველ

სურვილს ავუსრულებო», – წაიჭურჭულა თამარმა. ამ დროს ამალიდან გამოერჩა ერთი ვაჟკაცი და გადაეშვა აბობოქრებულ ტალღებში. გაღმა მშვიდობით გავიდა, მისწვდა კიდეც მიმინოს... და ამ დროს თამარმა გულში შეჰღაღადა; «დედა ღვთისაო, თუ მაგ ვაჟკაცს ავი რამ უდევს გულში, უკან ნულარ დააბრუნებ»... და მოსწყდა გუმბათს ვაჟკაცი, ჩაინთქა მტკვრისა და ლიახვის აბობოქრებულ ტალღებში. ამის შემდეგ ორი დღე ლოცვაში გაატარა თამარმა», – ეს ლეგენდაც უამბო მინდიამ.

– აგერ ნაჭარმაგვეცის გორაკი, «თამარმა ქოში დაკარგა და ვედარ იპოვეს, ცალისთვის რაღა ექნა? ეს ცალი დადო წყაროსთან და ერთი მუჭა მიწა მიაყარა. ამის შემდეგ ყველამ, ვინც აქ იყო, თითო მუჭა მიწა მიაყარა და ეს გორა აიზიდა. შემდეგ ზედ საზაფხულო სასახლეც ააშენესო», – ეს პატარა ლეგენდაც აქაურია, – დაატანა მინდიამ.

– დიდება შენდა, ღმერთო, რას არ მოიგონებს დალოცვილი რუს ხელმწიფე, – ჩაერია ენაკვიმატი ვახტანგი.

– ჰო, ასეთი თქმა იცოდნენ აქაურებმა, ყველამ მათთვის საკვირველ საქმეზე. მაგრამ «დალოცვილში» ისმოდა ირონიაც და დაცინვაც. პირველი ავტომანქანა რომ დაინახეს, თურმე წამოიძახეს: «რას არ მოიგონებს დალოცვილი რუს ხელმწიფეო».

სიამით გასცქეროდნენ მათ წინ გადაშლილ უზარმაზარ ვაკეს, მწვანეში ჩაფლულ სოფლებს. ვენახებითა და ხილის ბაღებით სოფელი სოფელს უერთდებოდა. წინათ თუ შეჯგუფებულნი იყვნენ, ციხის ირგვლივ შეეყუჟულნი, ახლა ფრთები გაეშალათ, აღარც მარბიელი ჯარისა ეშინოდათ და აღარც «მდევარს» იძახდნენ.

აქაური ჰავა სოფლის მეურნეობისათვის ზედგამოჭრილია, ისეთი ხილი მოდის, ზღაპარში რომ იცის, თეთრ ვაშლსაც კი ლოყა უწითლდება.

– ერთხელ უდიდესმა მეხილემ, პაშკევიჩმა, აქაური შამპანური რენეტი ვერ იცნო, ისე იყო აწითლებული. მას ბუნების საოცრება უწოდა, – გაიხსენა მინდიამ.

ამას ხელს უწყობს აქაური შეზავებული ჰავა, ჩვენი მზის ბრწყინვალეობა, ლიახვის ანკარა წყალი და მადლიანი ნიადაგი.

ვაკის უდიდესი ნაწილი დაფარულია მდელოს ალუვიურ-კარბონატული ნიადაგით, გვერდის ძირი და მისი წინა ფერდობები – ადგილ-ადგილ, შეფერდებაზე, შავმიწა ნიადაგებით აღინიშნება, მთისწინებზე და მის კალთებზე ტყის ჩვეულებრივი, ყავისფერი ნიადაგებია.

ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, შინდისისა და რუისის გავაკებაზე, გვხვდება ალუვიური ნიადაგების თავისებური სახეობა, ლამები, რომელიც მეტად ალქატი ნიადაგია.

როგორც ჩანს, ამ ვაკის უდიდესი ნაწილი დაფარული იყო ტყით, ბოლო ხანებამდე აქ შემოგვრჩა ჭალის ტყეები, მაგრამ უკანასკნელ წლებში ესენიც განადგურდა.

ქართლის ვაკის ჰავაც ზომიერია, იშვიათად, მაგრამ დროდადრო დიდი ყინვა იცის – 26-27<sup>0</sup> -მდე. ასეთი ყინვების დროს ზიანდება ნაზი ხეხილი; ატამი, კაკლის ერთწლიანი ტოტები, ვაზის რქა, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში ყველაფერი თავის კალაპოტში დგება.

მიუხედავად ამისა, ქართლის დიდი ვაკე (საგურამოს, მუხრანის, ტირიფონის, შინდისის, რუისის, დედოფლის მინდვრის, დოღლაურის მინდვრის), მტკვრის მარცხნივ, მარჯვენა ნაპირზე კი დოეს-გრაკლისა და სკრა-ქარელისა, აგრეთვე გვერდის ძირები, საუკეთესოა სოფლის მეურნეობისათვის. ისეთი ხილი, როგორც აქ იცის, სხვაგან არსადა გვხვდება, ღვინო ცქრიალა და გემოიანია, პური ხომ გემრიელია და გემრიელი, მაგრამ ძველად გლეხკაცს ერთიც აკლდა და მეორეც, თორემ რა ათქმევინებდა:

*«ნეტავ მანატრა, მანატრა, ეს ნატვრა ამისრულო,*

*ლიახვი დოთაც მიქცია, ნაცარ-გორა ჭადათაო»<sup>48</sup>,*

*მცხეთის ხიდი ამიყუდა, ხელში მომცა კოვჩათაო».*

ყველაფერი კარგი მოდიოდა, მაგრამ ხალხს აკლდა:

*«ქართლი იმიტომ დაეტოვე, თოვლს დადებს, აღარ აიღებს,*

*რაც მოსავალი მოგვივა, მოვა მევახზე, წაიღებს».*

გორის ციხე აშენებულია იმ ბორცვზე, რომელიც კვერნაქისა და მალხაზის წვერის ნაწილი უნდა იყოს. წარსულში ესენი გაერთიანებულნი ყოფილან, მაგრამ ლიახვმა, მეჯუდამ და მტკვარმა იმძლავრეს და გაგლიჯეს ეს მთლიანი ქედი, მათივე ნაშთია კარალეთის გორაკიც, რომელზედაც დღეს კარალეთის კულტურის სახლი დგას.

როდისაა აგებული გორის ციხე, არავინ იცის, არც დოკუმენტებშია სადმე. ვახუშტი წერს: «...არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ». პირველად გორის ციხე მეშვიდე საუკუნეში ჩანს.

თვით გორის ციხის გორაკზე 1946 წელს ჩამოწყდა ჩრდილო ფერდობის ნაწილი. აღმოჩნდა ექვსი მეტრის სიმაღლისა და სამი მეტრის სისქის კედელი, კრამიტი, ჭურჭლის ნამტვრევები და სხვა ნივთები. ამ ნაშთების მიხედვით, არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2-5 საუკუნეებში აქ ქალაქი ყოფილა.

საერთოდ კი, ჩვენს მეფეებს გორის ციხე ყოველთვის გამაგრებული ჰქონდათ იმდენად, რომ აქ ინახავდნენ სახელმწიფო ქონებას. ალბათ, ამან მისცა საბაბი უცხოელებს, რომ ამ მთას ოქროს მთა უწოდეს (ტონთიო).

გორი უნდა მომძლავრებულიყო მას შემდეგ, რაც უფლისციხის გამოქვაბულში ყოფნაც მოსწყინდათ და მეფენი ნათელი ადგილისაკენ მოისწრაფოდნენ და, რაც მთავარია, მომძლავრდნენ. ქ. გორი გაიზარდა, ციხე გამაგრდა, ხოლო ატენში სააგარაკო სახლები აშენდა.

თვითონ ციხის კედლებს თუ დააკვირდებით, რამდენიმე საუკუნე, ჩანს, უნგრევიანთ, უშენებიათ, კიდევ უნგრევიანთ, კიდევ უშენებიათ, დაანგრის მონღოლებმა, აიგო: ხეირი არ დააყენა თემურლენგმაც. შემდეგ ქვისა რომ ვერ აუშენებიათ, ხისა აუგიათ (1474 წ.), ესეც დაუწვიათ, კვლავ ქვისა აუგიათ და სვიმონ მეფეს 1599 წელს დაუნგრევია; ოსმალთ ეჭირათ, შემდეგ როსტომ მეფეს აუშენებია (1634 წ.), 1744 წელს ციხე შეუკეთებია ერეკლე მეფეს. ტოტლებენმა რომ ერეკლეს უღალატა, აწყურთან დატოვა მტრის პირისპირ, ქართლისაკენ ქმნა პირი და მარბიელი ჯარივით შეესია, ოთხი ციხეც კი დაიჭირა, მაგრამ გორის ციხის აღება რომ მოინდომა, ამის ნება არ მისცეს.

ამბობენ, ერთ-ერთი მეფე იბრძოდა, რომ გორიდან ოსმალები გაერეკა; თვითონ ჯარით ატენში იდგა, აღდგომა იყო და მწვანელი მოუნდა; გორის ბაღებში მტკვრის მარცხენა ნაპირიდან ჩანდა მოღალანე ბოსტნები. გაგზავნა რაზმი, მაგრამ ვერც მწვანელი მოიტანეს და ხალხიც ჩაიხოცა.

კარგიც უნდა ითქვას : 1508 წელს სიმონ მეფემ გორს შეუტია, მაგრამ ციხე გამაგრებული იყო და ვერ აიღო. ამის შემდეგ ალყა მოხსნა და გორს გაეცალა. ოსმალებმა იფიქრეს, წავიდაო, რადგან დიდმარხვა იყო და სჯეროდათ, რომ დიდმარხვაში ქრისტიანები სისხლს არ დაღვრიდნენ. სიმონ მეფემ დაამზადებინა კიბეები და ერთ უმთვარო ღამეს თავს დაესხა ციხეს, ქართლის ჯარი ჩაუხტა ოსმალთ და აიღო ციხე. ენა ადვილად იტყვის, მაგრამ რამდენი ჯაფა მოუნდა, რამდენი სისხლი დაიღვარა, ვინ იცის; ციხის აღებას ვახტანგ ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა, რომელიც უებრო მებრძოლი, ნამდვილი ამოღებული ხმალი იყო პირდაპირ.

ამის შემდეგ არ შენელებულა სპარსეთ-თურქეთის ბრძოლა გორის (ქართლის) ხელში ჩასაგდებად, ვისიც გორი იქნებოდა, ქართლიც მისი იყო. განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან, როდესაც ნადირ-შაჰმა მოინდომა ქართლის მთლიანად დაპყრობა. აი, აქ გვევლინება გივი ამილახვარი, როგორც დაუცხრომელი მებრძოლი შაჰის პოლიტიკის წინააღმდეგ. ბოლოს თეიმურაზმა და ერეკლემ, ხმლით თუ ტკბილი სიტყვით, მასაც იარაღი დააყრვეინეს. ზემო ქართლის სადროშოს ცენტრი სწორედ გორი იყო და მასში თხუთმეტი სათავადო შედიოდა. ამათ გარდა, ამ სადროშოში შედიოდნენ ბატონიშვილებისა და ეკლესიის სამფლობელოები.

ამილახვარი ხან ლეკებს იწვევდა, ხან ვის; სურამის ციხიდან ებრძოდა, ხან სხვილოდან, სპარსელებს, თეიმურაზსა და ერეკლეს, რომელნიც იმ დროს ნადირ-შაჰის ვასალები იყვნენ, ქვეყანა კი ნადგურდებოდა. აი, ერთი იმდროინდელი წერილი.

1740 წელს დიმიტრი ქარუმიძემ წერილი გაუგზავნა გივი ამილახვარს: «ქ. ღმერთმან ბატონის ამილახორის ჭირი მოსცეს ქარუმიძეს დემეტრეს, კალთას კონცას მოგახსენებთ. ჩვენთვის წიგნი გებოძათ და გებრძანებინათ: კასპსა შენობას ვაპირებთო, დაგებარებინებით: აქ ჩამოდიო, მოურავი ხარო, სარქრობა ქენიო, მართებულიც შენი არისო, თუ რომა არ ჩამოხვალო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენცა ეს მოგვიხსენებია:

ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეახლები დაღესტანში, ვერც დავდგები, ვისაც გინდოდეს, იმას უბოძეთ კასპის მოურაობა, ღმერთმან მშვიდობაში მოახმაროს. კ ა ს კ ე ლ ი კ ა ც ი ს ა დ ღ ა რ ი ს, ს უ ლ ა მ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა<sup>49</sup>. თითო ბიჭი სადაც გადარჩომილია, იმათ პოვნა ვის შეუძლია? ვ ე რ ც ა ი მ ა თ ც ო დ ო შ ი ჩ ა ვ დ გ ე ბ ი ».

1907-1908 წლებში ჩვენებური ბასილა პაპიაშვილი, რომელიც მაშინ 90 წლისა იყო, გვიამბობდა.

«უცბად დაიძახეს : ლეკების მარბიელიაო. ბავშვები და ქალები ფავლენიშვილების ციხეში შეგვრეკეს, ბიჭებმა თოფ-იარაღი შეისხეს და ქერესკენ გაქუსლეს. თურმე იქიდან მოდიოდნენ.

გარდიგარდმოებში დახვდნენ თურმე, ქერეში ერთი გველაძეა კაცი იყო, ელიკაანთ ტატეს ეძახდნენ, მამლის ბოლოსავით იყო, საითკენაც ნიავი დაუბერავდა, იქით იყო. მას ეკისრა გზების ჩვენება. ჯამაანთ ლექსოს პაპას, გიოს, შეეჩეხა, მოუქნია ხანჯალი და თავი გააგდებინა. იმის ხანჯალი საკვეთის ოდენა იყო. გიომ იმარჯვაო, – იხუვლეს ბიჭებმა : «ჰკა, მაგასაო», შედრკა ლეკობა და შეაფარა თავი ტყესაო, იქ კი ფლაველი და ფლავისმანელი ბიჭები დახვდნენ იმათ არც იწვრილეს, არც იკითხეს და პირდაპირ ამორჩეულებს ჰკრეს თოფი. ერთი სიტყვით, იმ დღეს გაუმარჯვიათ ჩვენებს. დიდი სიხარული იყო მაშინ. ქერელი ტატეც ლეკებს მიაყოლეს თურმე. პატარა

სოფელი იყო. მერეც დაგვეცნენ, საქონელი წაიყვანეს, ჩიქლანთ სინოს ბიჭი მოიტაცეს, მაგრამ მეჯვრისხვევლებმა დააყრევინეს».

როდესაც ბასილა ამას გვიამბობდა, თან თრთოდა, გეგონებოდათ, ის ძველი დროა და ლეკები ეს-ესაა, კიდევ მოვლენო.

ამგვარად, გორს ბევრი კარგიც უნახავს და უფრო ბევრი კი ავი, მაგრამ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში თავისი ეროვნული საქმე პირნათლად გააკეთა. აქ იყო საოსტატო სემინარია (სამასწავლებლო ინსტიტუტი), სასულიერო სასწავლებელი, სამოქალაქო სასწავლებელი, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს – ორი გიმნაზია (ქალთა და ვაჟთა), იყო გორის მაზრის ცენტრი და, რასაკვირველია, განათლებული ხალხი არ აკლდა; აქ მოღვაწეობდნენ ნიკო ლომოური, სოფრომ მაგლობლიშვილი, აქა სწავლობდა ვაჟა-ფშაველაც. აქ გაიზარდნენ სტალინი, ლადო კეცხოველი და სხვა მრავალი. შეიცვალა სახე ჩვენმა სოფელმაც, ჩემს სიცოცხლეში, ე. ი. სამოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, გარეგნული იერი სამჯერ-ოთხჯერ იცვალა. ჩემს ბიჭობაში ქართლის სოფელში სულ მიწური სახლები იყო, ერთი-ორი კოშკი და ქვითკირის სახლი იდგა თავადისა ან აზნაურისა, შეიძლება, სახლის ბანებზე გზიდან ისე შემდგარიყავი, არც კი გცოდნოდა, რომ შენ ქვეშ ხალხი ცხოვრობს.

ჩემი ჭაბუკობის დროს მთელი ქართლი, თითო-ოროჯოხი გლეხის გარდა, მიწიდან ამოვიდა და დაიდგა ყავრით დახურული ქვითკირის სახლი, მიწის იატაკით. გადაიტხრა შუაზე, ერთ ნახევარში თვითონ იდგა, მეორეში საქონელი დააბა.

ჭარმაგობაში უკვე ორსართულიანი სახლები აიგო, ძირს – მარანი, მალა – საცხოვრებელი, რამდენიმე ოთახით; ევროპულ ყაიდაზე მორთული, კრამიტით ან თუნუქით დახურული.

ჩემი ცხოვრება დაისისაკენ იხრება და ვხედავ სამსართულიან, მოთუთიებული თუნუქით დახურულ სახლებს, ტელევიზორით, როიალით, წიგნების კარადებით მორთულს, გზებზე – ასფალტი, სოფელში – კულტურის სახლი, უნივერსალი, სამკითხველო, აბანო და თანამედროვე ცხოვრების ყველა ატრიბუტი.

ამას წინათ მწერალმა თინა ჯავახიშვილმა წერილი გამოაქვეყნა თავისი სოფლის, ძევერის, საბჭოთა მეურნეობაზე, რომელშიც შედის ძევერა 535 კომლით, სათემო – 110 კომლით, ქიწნისი – 91 კომლით და შერთული – 82 კომლით.

მეურნეობას 2130 ჰექტარი მიწა აქვს, სარწყავი; აქედან 937 ჰექტარი ხილის ბაღია, დანარჩენი-ვენახი, სახნავ-სათესი და ბოსტანი, ერთი მტკაველი არაა მიტოვებული; ბაღიც, ვენახიც და ბოსტანიც კარგადაა მოვლილი. ძევერას აქვს ახალი კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი, მედპუნქტი, ორსართულიანი უნივერსალი.

ძევერაში უმაღლესი განათლება აქვს 164 კაცს, საშუალო-265-ს, გარდა ამისა, ძევერელი სპეციალისტები მუშაობენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში.

აი, ძევერელი ხალხიც : ორი აკადემიკოსი, ორი პროფესორი, თექვსმეტი ინჟინერი, თორმეტი აგრონომი, ოცდაერთი მასწავლებელი, ექვსი გეოლოგი, ერთი მათემატიკოსი, ერთი კიბერნეტიკოსი, ერთი გენერალი და სხვადასხვა.

აი, ასე შეუძლია თქვას ქებათაქება ჩვენის სოფლისა ყველამ. ამ რამდენიმე დღის წინათ რომ ნახეთ, შოთა ჩვენი დღევანდელი სოფლის შვილი არაა? ან ვახტანგი, ატენის ხეობის მთის სოფელში გაზრდილი და მის რძეს ნახიარები. შოთას პაპამ, ზაქარიამ, წერა-კითხვა არ იცოდა, ლექსები კი – ბევრი, ლექსებსაც ითვლიდა. მისმა შვილმა სოფლის სკოლა დაამთავრა და შვილი უმაღლესში გაზარდა, ახლა ერთ-ერთ რაიონს ხელმძღვანელობს, დღევანდლამდე მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

აი, ტყვიავი, მეჯვრისხევი, მაგრამ ესენი რა გასაკვირველია? განა ყველა სოფელი ასე არ არის?

ამ მხარეში არ შეიძლება აქაური მებატონეები არ მოიგონო. ერთხელ მისაყვედურეთ, ქსნისა და არაგვის ერისთავებს მკაცრად მოექცეო, ისინი თავისი ეპოქის შვილები იყვნენო. ეგეც მართალია, მაგრამ ქვეყანა იმიტომ გაბარია, რომ სწორ გზაზე წაიყვანო, უკუღმართობას თავი დააღწიო.

კაცს რაც კარგი აქვს, არ უნდა დაუკარგო. სოფელ ქვეშში ცხოვრობდა ერთი ერისთავი, ლადო. კაცი განათლებული და წყნარი. ღალის აღებაზე კაი ხნის წინათ აიღო ხელი, ჰქონდა კარგი ბაღი, აშენებდა ფუტკარს და ტკბილ ლუკმასა ჭამდა. ჩვენს დროში სოფლის მეურნეობის კომისარიატის მეფუტკრეობის კარგი ინსპექტორი იყო. გვერდითვე, სოფელ არცევეში, ცხოვრობდა მამამზე ერისთავი, დღეობების დიდი მოყვარული კაცი. თუ დღეობაში ვერ წავიდოდა, იჯდა კარებწინ მზისგულზე და ელოდა უსანეთობიდან<sup>50</sup> (მეჯვრისხევიდან) გამოძვლელებს: ამბავი უნდა გაეგო, ვინ იჩხუბა, ჭიდაობაში ვინ გაიმარჯვა; ერთხელ გაიხედა – მოდის ბაჩა ცხენზე ამხედრებული, კარბელი აზნაური, ქაიხოსრო დავითაშვილი, მოდის და მილიღინებს. წამოდგა მამამზე, მიესალმა დავითაშვილი.

– დაგვლოცე, ქაიხოსრო! – და მამამზემ გადახედა იქვე საგოზავწასმულ<sup>51</sup> გოზაურს<sup>52</sup>, მოურავმა წამოავლო ხელი, შეიღდა მუხლზე და აავსო ყანწი.

– ეგ მამამზეს მიაართვი...

– მე კი, აი... იქვე მდგომ გლახკაცს გამოართვა ჩანახი<sup>53</sup>, აავსებინა, დაილოცა, მოიყუდა და დაცალა, ჩანახი კი მოურავს დახურა თავზე.

– აგაშენა ღმერთმა, მამამზევე ბატონო, – დააგდო სიტყვა და გასწია ღიღინით თავის გზაზე.

მეჯვრისხევეში დაიბადა ჩვენი მწერალი ქალი ანასტასია ერისთავი-ხომტარია. კარალეთში – ეკატერინე ერისთავი– ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ოძისმა გიორგი ერისთავი, დრამატურგი და ჩვენი ახალი თეატრის დამაარსებელი მოგვცა, იქვე დაიბადა ჩვენი შესანიშნავი სელექციონერი ელენე ერისთავი. როგორც ხედავთ, ჩვენს ახალ ცხოვრებაში მაგათი წვლილიც ჩანს.

ისე კი, წარსულში რომ მოუსვენრები იყვნენ, ცხადია. მაშ რამ დააწერინა ერეკლე მეფეს ასეთი ბრძანება?

«ჩვენი ბრძანება არის, ქურთის მოხელევე ილურიძე, ხარაჯა კობაძევე, ბუჯიაშვილო ნაცვალო, გარემემოს მოურავო რუსტიაშვილო და ჯაბანაშვილო, და ერთობით ოსნო და ქართველნო! მერე ჩვენ ქსანი და ლიახვი ორსავ წილი ჩ ვ ე ნ ს ს ა ხ ა ს ო თ დ ა ვ დ ე ვ ი თ. თქვენთან სხვას არას კაცს ხელი აღარ აქვს, რაც როსტომ ერისთავს თავის მამის წილი ერგებოდა, ჩვენ გვერდის ძირზე და ქართლში მივეცი, და თუ იმისათვის სხვა მამულის მიცემა გვენანება, სხვას ალაგს მივეცი, ამას ფიცითა გწერთ, რომ ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება. ამაზე ყველა კაცმა გული დააჯერეთ. თქვენ წურას კაცს საფიქრებელი წურა გაქვთ რა, ჩვენგან წყალობის მეტი ავი არა დაგემართებათ რა. ჩვენც ხვალ ახალგორს ღვთით მოვალთ, თქვენც კომლით კაცნი აქ ჩამოდით. ჩვენგანაც ხათრიჯამი შეიქმნით და რაც სიტყვა გქონდესთ, მოგვახსენეთ, ა რ ჯ ე ვ ა ნ გამოგვიგზავნია და ამ წიგნს დორეული მოგიტანთ: როგორც მოგვიწერია, ასე აღასრულეთ. აღიწერა იანვრის 20-1778 წ. ვინც უფროსი და მსახური კაცნი იყვნეთ, ისინი ჩამოდით უბრალოთ, დაბალ ხალხს ნუ შეაწუხებთ, შინ იყვნენ, რადგან ჩვენთან ჩამოხვალთ, ჩვენც ფიცით ამაზე დაგაჯერებთ, რომ თქვენ არავის მიგცეთ, ერეკლე 1778 წ. 20 იანვარი».

ქართლში ერისთავები 1921 წლამდე ცხოვრობდნენ: ახალგორში, ოძისში, მეჯვრისხევეში, ქვეშში, არცევეში, ფლავეში, ტყვიავში, კარალეთში, ხიდისთავში, დოესში, შინდისსა და ქიწინისში, მაგრამ უკანასკნელი ორი სოფლიდან ადრე წავიდნენ.

1905 წლის რევოლუციამ გრიგალივით გადაიარა, ბევრი არა, მაგრამ ცოტაოდენი კი კარგად მახსოვს, – თქვა მინდიამ, მოგონებები ნაწყვეტ – ნაწყვეტია, მაგრამ მაინც გიამბობთ:

«ჩვენი სოფლის ეკლესიის ეზოში ხალხი შეკრებილა. არის ყაყანი, ყვირილი. ერთ-ერთი ერისთავი დღეს ყრილობის თავია!

ხალხო, ხალხო! რევოლუციაა, ერთობა! – დავყოთ თავადაზნაურობის ქონება. წავიდეთ ჩვენსაც. ჩემი ქონებაც გამოვიტანოთ, საქონელიც, სხვებისაც. თუ ერთობაა, ერთობა იყოს, – ყვირის.

მამაჩემიც იქაა. ხალხს რაღაცას ურჩევს:

– ხალხო! დავიცადოთ, ვკითხოთ ერთობის თავკაცებს და ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც ისინი გვეტყვიან.

– ეგ მღვდლის შვილია, – ყვირის ერისთავი, – ეგ ერთობის წინააღმდეგია!

მის შვილს უზარმაზარი რევოლუციური ეკიდა. მერე გავიგე, ასეთ ფისტოს «ბერლინ-გერმანიას» უწოდებდნენ. ესეც ყვირის: «დავყოთ, დავყოთ!» მაგრამ ხალხმა მამაჩემს დაუჯერა და ნელა-ნელა დაიშალა. მახსოვს, მამა იქიდანვე ზევით, ბაღში წავიდა. ჩვენ, ბიჭები, სოფელში ჩამოვედით. არ გასულა ხანი, რომ სოფელში დრაგუნთა და ყაზახთა რაზმის ცხენების თქარათქური ატყდა. ხალხს იჭერდნენ. ჩვენსასაც შემოაჭენეს. მამა, ის-ის იყო, ბაღიდან ჩამოვიდა, სამი დრაგუნი გარს შემოერტყა. მე ტირილი დავიწყე. გავექანე და მეზობლის ქვითკირის საბძელს თავით დავეჯახე. მამა ჩემკენ არ გამოუშვეს, წაიყვანეს. შემდეგ გაირკვა: ეს ერისთავი შეთანხმებოდა გორის მაზრის უფროსს: ხალხს დავაწყებინებ თავადებისა და სხვათა ქონების გაყოფას დღის 12-3 საათზე, ამ დროს ამოვიდეს რაზმი და თავისი საქმე გააკეთოსო. რაზმი მართლაც ამოვიდა, მაგრამ გლახკაცობა თავ-თავის სახლში იყო გაკრეფილი. მამაჩემს თურმე გორიდან შეატყობინეს – ასე და ასე აპირებენო. დამსჯელმა რაზმმა მაინც წინასწარ შედგენილი სიით დაიწყო ხალხის დაჭერა. იმავე წელს სოფელ ტირძნისში აღდგომა დღეს იქაური მემამულის, ნიკულტა სულხანიშვილის, ხელის შეწყობით დაარბიეს გლახკაცობა, განსაკუთრებით სულხანიშვილის მამულის მოქიშპენი – ტატუნაშვილები – დახოცეს, გლახები დაიჭირეს: აღდგომა მართლა წითლად გაუთენეს.

იმ დროს, როდესაც სოფელში დრაგუნთა რაზმი ცხენებს დააჭენებდა, ბაღების გასახარელი ერთი ამბავიც მოხდა. მამინ სოფელში უმეტესობა მიწურებში ცხოვრობდა. გიგუანთ ხუთი ოჯახის დარბაზები ერთბანიანი იყო. ჩვენი მხრიდან ბანი გზაზე გამოდიოდა. ერთმა დრაგუნმა ზედ ბანზე შეაჭენა ცხენი, თურმე ჭერი დამპალი ყოფილიყო, იჭექა და დრაგუნი შიგ ჩავარდა. ცხენი მოკლეს, ფეხი მოტყდა; დრაგუნი კი გადარჩა, თუმცა მაგრად კი დაიბეჭა, დიდი ჟივილ-ხივილი შეექმნით ბაღლობამ.



რაზმი ერისთავის სახლში დადგა. დაიკლა ძროხა, გაიმართა ქეიფი, სადამოა. ამ დროს შედის დედაჩემი, ხელში რკინის სამთითი უჭირავს.

– თავადო, ერთი აქეთ მობრძანდი! – თავადიშვილი ბუტბუტით მოდის.

– თავადო, როგორც დააჭერინე, ისე გამოაშვებინე ჩემი ქმარი, თორემ ჩემი ამბავი ხომ იცი, დედაბუდიანათ დაგწვამთ.

– ე რა ალქაჯი ვინმე ხარ, მაგრამ რა ჩემი საქმეა?

– სოფიო! – მიმართავს დედა მის მეუღლეს, – დააჯერე შენი ქმარი, თუ ოჯახის უბედურება არ გინდათ.

დედის თვალელები თურმე ნაკვერცხალივით ანათებდა. იციან, მაგარი ქალია, ისიც იციან, რომ სიტყვებს ტყუილად არ ხარჯავს.

ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემი სახლში მოვიდა. ბევრს იცინოდნენ მერე. მართლა შემინებოდათ (დედის ნაამბობია).

მახსოვს, ერთხელ სოფელ ფლავისმანისაკენ მიეშურება ცულით, ფიწლით კეტით შეიარაღებული ლიახვის მაზრის<sup>54</sup> გლეხკაცობა – კოტე ერისთავის შვილის სახლი უნდა დავანგრეთო. ეს კოტეს შვილი, როგორც მას უწოდებდნენ, გიგო ერისთავი იყო. ფლავისმანში ცხოვრობდა, მალეობ ადგილზე, მთის ფერდოზე ჰქონდა სახლი. გზა ქვევიდან მიდიოდა, სახლი მინდორს დასცქეროდა. თვითონ ერთი ღვთისცეცხლი ვინმე იყო, აუტანელი, გლეხკაცის ამწიოკებელი. ბევრი ავკაცობა ჰქონდა ჩადენილი. ისე კი, თურმე განათლებული კაცი ყოფილა, ხშირად წუხდა ხალხის ჩამორჩენილობასა და გაუნათლებლობაზე, – იტყოდა ხოლმე მამაჩემი (იმ დროს იყვნენ ასეთნიც). აი, ამ «კოტეს შვილის» სახლის დასანგრევად აბობოქრდა პატარა ლიახვის ხეობა. ოცი სოფელი მიაწყდა იმის სახლს. მამაც წავიდა. წავიდა შეწუხებული : «ხალხს დაღუპავენ უეჭველათო». დედა დედავდა, ბავშვები გატვრენილები ვიყავით. შემდეგ ვიძვრინეთ თავი და მინდორ-მინდორ გავუტყით. ჭარბულის ნაპირებიდან კარგად ჩანდა ერისთავის სახლი. ჩვენი სოფლიდან პირდაპირი გზით 2-3 კილომეტრია, წინ, მინდორზე, ხალხი ზომიშობდა. მამაჩემსა და ლუარსაბ ერისთავს (ძველი ხალხოსანი) არ გაეშვათ, უკანვე დააბრუნეს. გამოირკვა : ამ ამბისთვის გორის მაზრის პოლიცია დიდხანს ემზადებოდა. ერისთავის სახლში წინაღობითვე ჩასაფრებული ყოფილა ყაზახთა ასეული. ეს ამბავი მამაჩემს შეატყობინა ფლავისმანელმა რადე თენაძემ. მამამ ეს ამბავი ლუარსაბსა და რამდენიმე თავკაცს გაუზიარა და მათი ცდით სისხლის ღვრა აცილებულ იქნა.

ეს ერისთავი ტერორისტებმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოკლეს.

სოფელში გაჩნდა წითელი დროშები, გაჩნდა წითელი რაზმი. რაზმს მეთაურობდა გიორგი მაჩაბელი. რაზმის შტაბის უფროსი ვანო კეცხოველი იყო (ლადოს ძმა). რაზმი ჩვენს სოფელშიც გადმოვიდა. საპოლიციო პოსტს იარაღი აჰყარეს. ერთი 20-30 კაცი ცხენდაცხენ შემოვიდა ჩვენს ეზოში. ძალიან მომეწონა გიორგი მაჩაბელი. ახალგაზრდა, ლამაზი კაცი, შესანიშნავ იარაღში ჩამჯდარი. შევნატროდი. მხიარულებდნენ, იცინოდნენ. ისადილეს. არავინ დამთვრალა, იმავე დღეს წავიდნენ. «სტრაჟნიკები» იარაღაყრილები გაუშვეს. მესამე თუ მეოთხე დღეს ამ სტრაჟნიკებს ჰქონდათ ახალი იარაღი.

ხმა გავარდა: «შავი რაზმი» მოვიდაო. ზურაბ აბდულეიშვილი მეთაურობდა. კარზე მოგვადგა ხუთი ცხენოსანი – «არ მიგვიღებთო?» მამა აივანზეა, აღმური ასდის: «მოყვარე მაგას არ იკითხავს, პირდაპირ მოვაო». არ ამოვიდნენ. ტყვიავში არ გაჩერებულან. შემოეთვალათ: «ჭკვიანად იყავითო».

წითელი რაზმი გაიზარდა, მაგრამ სადავე ვერ დაუჭირეს, რაზმი პატარ-პატარა გუნდებად დაიქსაქსა, ცალ-ცალკე დაიწყო მოქმედება, ზოგი მათგანი გადაგვარდა, ყაჩაღობა იწყო. შესანიშნავი იყო ბეთლემიშვილის რაზმი, პირველადი ორგანიზაციის დამჯერე და მისი დირექტივის ამსრულებელი. შემდეგში კი, როგორც ჩანს, მოსწყდა ორგანიზაციას და დაიღუპა. მეთაური მოკლეს და რაზმიც ამოწყვიტეს. ხალხში სიმღერები გამოთქვეს მის ვაჟკაცობაზე, სანდრო ბეთლემიშვილობას მეც ვნატრობდი. საცოლვე ჰყავდა სოფელ კარბში – კეკლუცა რჩეულიშვილი. ყაზახები დაესხნენ თავს და მოიტაცეს. მისი კვილი ლიახვის პირიდან სოფელში ისმოდა. მეორე დღეს რიყეზე ნახეს მკვდარი. სანდრომ, მაშინ ჯერ ცოცხალი იყო, შური იძია სატრფოს დაღუპვისათვის. რევოლუცია გაძლიერდა. სოფელში მამასახლისი გადააყენეს. ასისტავები დააყენეს. ზოგ აყვიას სახლი შეუკრეს. ხმას არავინ სცემდა, სამეზობლოდ ვერავინ გადავიდოდა. გააუქმეს ღალა, კულუხი, ფოსტის ფული, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს თავისუფლება. ზამთარში სოფელში კვლავ გაჩნდა დრაგუნთა რაზმი. მოვიდნენ ჩვენთანაც, მთელი სოფელი გადააქოთეს, ეძებენ ბიძას, რომელიც ამ შემოდგომაზე ციმბირიდან დაბრუნდა, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით. იგი კი წინა დღეს წავიდა ჯავისაკენ. წონაზე გადავლით იმერეთში გადავიდა, იქიდან –თბილისში, მაგრამ მაინც დაიჭირეს.

დეკემბრის ცივი ღამეა, გარედან ძახილი ისმის, მამამ წამოისხა ტყავკაბა. გავიდა კარში და მალე შემოუძღვა უცნაურ გათომილ ხალხს. ერთი ოცამდე ხალხი იყო. დაანთო ცეცხლი, დატრიალდა დედაჩემი,



სახელდახელოდ ვახშამი მოამზადა. ხაშური გადაეწვა დამსჯელ რაზმს. ხაშურელი მუშები და ორგანიზაციის ხელმძღვანელები ცხინვალით გადმოხვეწილიყვნენ. ტირმისში კაცი დახვედრიათ და უცნობებია: გორის გზაზე ყაზახები დაგვხვდებიანო. მეეტლებმა ჩვენსა მოიყვანეს, ორი დღე იყვნენ. დედა მათ კარში არ უშვებდა. მერმე ორ-ორი, სამ-სამი გაისტუმრეს, ზოგი-გორში, ზოგი-მეჯვრისხევი და იქიდან თბილისში.

### სისხლნარევი პური

ტირიფონა არ ირწყებოდა. ლიახვის წყალი ძლივსდა უწევდა თორტიზასა და ახალსოფელს, დანარჩენი ურწყავი იყო. მინდორი ან სათიბად იყო დატოვებული, ან სახნავად, დანარჩენი კი ღმერთზე იყო მიგდებული.

ტყვიავის მთავარი სარწყავი არხი იყო ტყვიაურა, რომელიც სოფელ კარბთან ლიახვიდან იღებდა სათავეს. მთავარი არხის გარდა, იყო დალაქიანთ რუ, რომელიც ტყვიავის მიწებშივე იღებდა სათავეს, პანტი რუ, ხარაზიანთ რუ სოფელ კარბთან საზიარონი იყვნენ, უერთდებოდნენ ტყვიაურას.

ტყვიაურა ზაფხულში ქიწინისის ბოლომდე ძლივს ჩადიოდა. მთლიანად წიწილა არხებში იყო გაყვანილი. გარეჯვრელები, თორტიზელები, ხელთუბნელები, ახალსოფლელები იღებდნენ ბარს, ერთი ასი – ას ორმოცი კაცი, და შემოჰყვებოდნენ ტყვიაურას. სარწყავი, წიწილა რუების სათავეები ქვითა და გონგოლით<sup>55</sup> იყო ამოყვანილი, საკმარისი იყო ერთი ბარის წაკვრა, რომ მთელი ყორე-სათავე იხუვლებდა, დაინგრეოდა: ზოგი სოფლის მრწყველები არ გამოჩნდებოდნენ ხოლმე – ასსა და ორასს ხომ ვერ შეებრძოლებოდნენ? მერე, როდესაც ჩაივლიდნენ, ისევ აკეთებდნენ სათავეებს.

აი ასე, სარწყავი რუების სათავეების ნგრევით მიაღწევდნენ ხოლმე სათავემდე, იცოცხლეთ, სათავეს კარგად ამაგრებდნენ დიდი ქვებით, ბელტებით.

ამათ ვაკელებს ეძახდნენ. ვაკელების ჩამოსვლამდე თავისი სარწყავი რუს დაშლილ სათავეს არავინ აკეთებდა. წყალი ვაკელების სოფლამდე ჩადიოდა და ერთ ღამეს მაინც რწყავდა მათ მინდვრებს.

არც მე ვიყავ მოსვენებული, – ამოიხვნეშა მინდიამ, – პაპათქვენისაგან ბადის მორწყვა მე მევალებოდა. ორჯერ დამინგრეის, მართლა გული მომივიდა. სამშაბათს რომ ამოიარეს, არ იკმარეს, ოთხშაბათსაც ამოჰყვნენ, დაანგრეის. ღრმა ამოსაყვანი იყო, ქვას ასაღებად რომ დავწვდებოდი, წყალი ზურგზე გადმომდიოდა. მეორედაც რომ დამინგრეის, მართლა გული მომივიდა, გავიქეცი სახლში. სამი თოფი გვქონდა, ჩახმახიანი, ტუჩიდან გასატენი, მარტო წამლით გავტენე, წამოვიყვანე ბიძათქვენი და წამოვიღეთ თოფები. ის-ის იყო, ამოვაშენეთ ყორე, ჩავუგეთ გონგოლები და მოგვესმა ყაყანი.

ჩვენ ბუჩქებში ჩავიმალეთ.

– უყურე ამ მამამშვენიერს, ისევ არ ამოუყვანია? – და ასწია ერთმა ბარი, ასწია ბარი და იჭექა ჩემმა თოფმა.

შენი ჭირიმე, არ დაგვხოცო! – იყვირა და გადახტა უკან...

ახლა მეორე თოფი გავარდა. მოცოცხეს, გადავრჩით მესამეჯერ სათავეს ამოყვანას.

რასაკვირველია, მაშინ არ მესმოდა, რა დიდი საქმე იყო ვაკელებისათვის წყალი, თორემ რა ღმერთი გამიწყებოდა და შევაშინებდი.

– მარტო პატარა ლიახვი იყო ამ მხარის მაცოცხლებელი?

-ძირითადად, კი, მაგრამ, გარდა ამისა, ტირიფონის ჩრდილოდამ – სამხრით კვეთდნენ პატარ-პატარა მდინარენი და ხევები: ჭარებულა, აძურა, მეჯუდა, ბერშოულა, ტორტლა; ცოტა არაა, მაგრამ ზაფხულში თითქმის ყველანი შრებოდნენ. საქმე იმაშია, რომ ამ მდინარეთა სადევარზე ტყე უმოწყალოდ იჩეხებოდა და, რასაკვირველია, ნიადაგში წყალი აღარ ჩადიოდა. სწორედ ამიტომ ზაფხულში, ე. ი. იმ დროს, როდესაც მორწყვის ნამდვილი ვადაა, ამ მდინარეებსა და ხევებში წყალი თითქმის აღარ იყო. წყალი ლიახვსაც აკლდებოდა.

მართალია, ტყვე აორთქლებს წყალს, მაგალითად, ერთი ჰექტარი არყნარი ხუთ მილიონამდე ლიტრ წყალს აორთქლებს. ერთ არყის ხეს სავეგეტაციო პერიოდში 7000 ლიტრი წყალი სჭირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტყე მაინც ინახავს წყალს და აწვდის მდინარეებს. ტყეში არ შრება წყარო, წყარო კი მასაზრდოებელია მდინარისა. გვერდის ძირზე ამას ანგარიშს არ უწევდნენ და დაურიდებლად ჩეხდნენ ტყეს. გვერდის ძირის ტყე საკოლმეურნეო ტყედ გამოცხადდა და მისი განადგურება კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო; ტირიფონაზე ჩამოსულ ხეებს, დიდი სადევარი მაინც არა ჰქონდა. პატარა ბაღებს და ბოსტნებს მთისძირის სოფლები წყაროს წყლით რწყავდნენ. წყალი ცოტა იყო, მისხლობრივ<sup>56</sup> იზომ-იწონებოდა, ყველას უნდა მისცემოდა. წყლის ქურდი<sup>57</sup> სოფლის კანონით ისჯებოდა. ან ვირზე შესვამდნენ და თავს ლაფს დაასხამდნენ, ან სახლს შეუკრავდნენ.

ზოგჯერ ჩხუბიც მოხდებოდა, ბარი და თოხი დატრიალდებოდა და წყაროს წყალს სისხლიც შეუერთდებოდა.

წყალი, საერთოდ, უდიდესი განძია.

ამჟამადაც მსოფლიოში წყლის პრობლემა უზარმაზარი წყურვილის აჩრდილივითაა ამართული. ნამდვილი საშიშროება არსებობს იმისა, რომ ადამიანს შემოაკლდება წყალი, კერძოდ, სასმელი, ხელზე სახარჯო წყალი. დღეს მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა გონება მიმართულია იქით, რომ როგორმე გადაწყვიტონ წყლის საკითხი.

ჩვენი ძველი კანონმდებლობაც დიდ ყურადღებას აქცევდა წყლის პრობლემას. ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულში ვკითხულობთ:

მუხ. 169. «ქვეყანაზე სამი რამ არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი».

წყალი სახელმწიფოდაა გამოცხადებული.

მუხ. 114. «რუს სარწყავ წყალს, როგორც მამულს, გაიყოფენ ისე».

თუ მამულს გაყიდდნენ, ნასყიდობის წიგნში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, წყლით გაიყიდა თუ უწყლოდ.

საქართველოს სიძველეთა ერთ-ერთ ტომში მოტანილია სიგელი, რომელშიც წერია:

«მოგვიდეთ ჩვენი მკვიდრის ყმის, ჯაჯიაშვილის გიორგის და პაპუნას ვენახი ხოვლეს, რასაც შენი ვენახი ჩამოიტანს ხევხავლამდინ, უწყლოდ მოგვიდეთ, შენი წყლით უნდა მორწყავდე».

მესხეთ-ჯავახეთი რომ ოსმალებმა დაიჭირეს, მათ აღწერეს იგი, შეადგინეს «გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი» და ყოველ სოფელს მიუჩინეს გადასახადი, წყალზე ყველგან უწერიათ: «როგორც აქამდე სარგებლობდით, ისე ისარგებლეთო», ოსმალნიც კი ვერ შეედავნენ დადგენილ წესებს.

«ქ. ერთობით, ახალსოფლელნი და ერთობით კვარხითელნი, სოფლის სარწყავს წყლის რუხედ ლაპარაკობდნენ: ამათ ძველთაგან ორი რუ ჰქონიათ, ერთი მეშვე რუ და მეორე ზედდუღეთის რუ, ორისის რუს წყალზე ახალსოფლელები კვარხითელებს ამას ელაპარაკებოდნენ, რომ: ორი წილი წყალი ჩვენ, ახალსოფლელებმა, უნდა წამოვიყვანოთო და მესამედი წყალი თქვენ, კვარხითელთ, უნდა წამოვიყვანოთო. კვარხითელნი ამას უპასუხებდნენ ახალსოფლელთ, რომ ძველთაგან ამ ორის რუს წყლიდამ ნახევარი ჩვენი ყოფილა და ნახევარი – თქვენი, ახალსოფლელებისაო. ჩვენ, ბატონიშვილმა ვახტანგ, ჩვენთან საქართველოს მსაჯულთ შეკრებილების თანდასწრებით ამათი ეს ზემო საჩივარი მოვისმინეთ, თუმცა წყლის საქმეზე მეტნაკლებობაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩვენ ახლა ასე გაუმართლეთ, რომ ამ ზ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ს ო რ ს რ უ შ ი რ ა ც წ ყ ა ლ ი შ ე მ ო ვ ი დ ე ს, ი ქ ი ვ კ ვ ა რ ხ ი თ ი ს თ ა ვ ს ს წ ო რ ე თ შ უ ა უ ნ და გ ა ი ყ ო ფ დ ე თ, ნ ა ხ ე ვ ა რ ს წ ყ ა ლ ს თ ქ ვ ე ნ, ა ხ ა ლ ს ო ფ ლ ე ლ ნ ი, წ ა მ ო ი ყ ვ ა ნ დ ე თ და ნ ა ხ ე ვ ა რ ს წ ყ ა ლ ს თ ქ ვ ე ნ, კ ვ ა რ ხ ი თ ე ლ ნ ი, წ ა მ ო ი ყ ვ ა ნ დ ე თ. ა მ ა ზ ე მ ე ტ ნ ა კ ლ ე ბ ო ბ ი თ ე რ თ მ ა ნ ე თ ზ ე წ ყ ლ ი ს წ ა მ ო ყ ვ ა ნ ა ა რ ი ქ ნ ე ბ ა და, რ ო დ ე ს ა ც ა მ ო რ ს რ უ ს გ ა კ ე თ ე ბ ა უ ნ დ ო დ ე ს, ა ს ე ვ ე ს ა ე რ თ ო დ უ ნ და გ ა ა კ ე თ ე ბ დ ე თ და მ ე რ უ ე ს ა ც ე რ თ ა დ უ ნ და დ ა ი ჭ ე რ დ ე თ<sup>58</sup>, და თუ ვისმე ამ ზემოთ ხსენებულის ორის რუს წყალზე მოლაპარაკე გაგიჩნდესთ, სამართალი თქვენ, ორმა სოფელმა, უნდა გასცეთ პასუხი და ამ წყლის გამოისათ ერთმანეთში მტკიცე პირობის დადებით წერილი უნდა დასდოთ, რომ გაყოფილს წყალზე, რომელმაც ნაკლებობა იხმაროს, გარდაახდევინოთ. ერთი ამისთანა განაჩენი თქვენ, კვარხითელთათვის, მოგვიცია და ერთი ამისთანა განაჩენი ახალსოფლელთათვის მოგვიცია. იასაულო, აზნაურშილო შაბურიშილო, მოურაო ფირან! როგორც ამ განჩინებაში ეწეროს, ასე აღასრულე. ენკენისთვის 12-ს, 1782 წელს».

ბეჭედი აქვს დასმული, ბეჭედს აწერია: «ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად».

ასეთი განჩინების რამდენიმე წიგნი გვაქვს შემორჩენილი ჯავახიშვილების საჩივრის გამო წყალზე ხოვლეში.

ჩვენი ქვეყანა, წამოიხედავდა თუ არა, სხვა კულტურულ და სამეურნეო საქმეებთან ერთად სარწყავ არხებსაც მართავდა. აი, რამდენიმე ცნობა:

«შ ო ლ ი ს მ დ ი ნ ა რ ე გამოსდის ლიხის მთას, მის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ, შ ო ლ ი ს პ ი რ ი დ ა მ გ ა ი ტ ა ნ ა მეფემან ვ ა ხ ტ ა ნ გ<sup>59</sup> რუ, რ ა მ ე თ უ ი ყ ო მ ი ნ დ ო რ ი უწყლო, და ჰყო წისქვილი და სმენ პირუტყვნი.»

ვახტანგმა გაიყვანა სომხითის ქვემო ქართული დიდი არხი, რომელიც დღესაც მოქმედებს.

ასე ერეკლემაც წამოიწყო რამდენიმე არხის მშენებლობა.

ისეთ არეულ დროში, როგორც იყო გიორგი მეცამეტის უკანასკნელი წლები, იულონ ბატონიშვილი იოსებ მიშკარბაშსა სწერს:

«ამ ბაიდარელებს ვის ამწყრალებ, რომ ერთხელ იქ არ გაივლი და იქაურობაზე თვალყური არ გიჭირამს!? თუ ჩვენ გვამწყრალებ, რათ გვამწყრალებ? ახლა შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არხი აამუშავებინო, ჩვენც ჩვენის მაგის ბატონის მეფისათვის წიგნი მოგვიწერია და მაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდს ზევით მუშა ვთხოვეთ. ღვთით იმედიცა გვაქვს, რო გვიბოძებს და ჩვენი ძმის, ალექსანდრესათვისაც წიგნი მოგვიწერია, რომ შულავერიდამ მუშას მოგვახმარებს. ახლა როგორათაც შენის ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ისე ბეჯითად უნდა

მოიქცე და ეგ არხი გამოატანინო, ჩვენც აქ ცოტა რამ სამუშაო საქმეები გვაქვს და ამას რომ მოვრჩებით, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მაინთ წამოვალთ...

შენ ჩვენს ჩამოსვლას ნუ მოუცდი, რაც შეგეძლოს, არხი ამუშავებინე, დააშურე დროზედა». ბეჭედს აწერია: «ტომ-სქესით არ ნაკლისაგან, იულონ ირაკლისაგან»...

– ხომ არ მოგწყინდათ.

– რას ამბობ?

– ასეთი ამბები ბევრია, ბევრიც გაჰყავდათ, მაგრამ არ ჰყოფნიდათ, წყალი ძვირი იყო, ხშირი იყო თავის გატეხა: «წყალი მომპარაო». ბევრჯერ კაციც მომკვდარა, სისხლი შერევია წყალს. ხალხი გმობდა ამას, რამდენიმე წელს მკვლელის ოჯახს არ გაეკარებოდნენ – მაგათ პურს სისხლი ურევიაო. ჩვენს დროში გავიყვანეთ ტირიფონის არხი, ტირმნისის არხი, კეხვის არხი, სალთვისის, დოღლაურის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკლის, ახლა რომ აქაურებს უთხრა, ამ ოციოდე წლის წინათ წყლისათვის სისხლი იქცეოდაო, არც კი დაიჯერებენ...

მაგრამ მდინარე მარტო სარწყავი წყალი კი არ იყო: პური და სიმინდი, ღვინო და ხილი. წყალი იყო ისეთი საკვების მომცემიც, როგორცაა თევზი კი თევზი, ყოველთვის დიდად ფასობდა.

ძველ დავთრებში ვკითხულობთ ამის დამოწმებას: «მოგყიდეთ თაფანს ერთი მთელი საკომლო ტაველაშვილის მამული, მიწითა სახნავითა და უხნავითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენახითა, ნიგვზიანითა, ხილნარითა, წყლითა და რუთა და სასართათა, სახლითა, კართათა, ქვევრ-მარანითა, საწნახლითა, შესავლითა და გასავლითა, სამარხილის შესავლის გზითა, ს ა წ ყ ლ ი ს პ ი რ ო თ ი, ს ა ფ ი ხ უ ლ ი თ ა, ს ა ო რ ხ ი თ ა, ს ა კ უ დ მ ო მ რ ი თ ა, ს ა ო ს ა რ ო თ ა, ს ა ო რ ა გ უ ლ ო თ ა<sup>60</sup> მისი სამართლიანი საქმით და სამძღვრითა, მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული».

სათევზაო ადგილები დასაკუთრებული იყო ვენახისა თუ ბაღის გვერდით (რასაკვირველია, მოვლილ ჭალაში), დაჭერილი თევზი იბეგრებოდა კიდეც.

გიორგი მეთორმეტე ქსნის ხეობლებს სწერს: ძველადვე დადგენილი ყოფილა, რომ ყოველი ხუთი ორაგულიდან ერთი ლარგვისის მონასტერს ეკუთვნის და ეს წესი არ დაარღვიოთო.

ეს ბრძანება დაწერილია 1778 წ. 10 თებერვალს.

ორაგული კი არაგვი, ქსანში, ლიახვში ძალიან ბევრი იცოდა. გახაფხულზე, ქვირილობას, უზარმაზარი ქარავნები მიდიოდა კასპიის ზღვიდან, ხშირად ნაპირიდან ვხედავდით, როგორ მიიწევდნენ ზევით.

ერთხელ ჩვენს სოფელში ხმა გავარდა, შინდისთან დიდი ლიახვი უნდა დავწყვიტოთო; ჩვენებურები ხუთი<sup>61</sup> ურმით წავედით. მეც იქ ვიყავი ჩემი ნიკორა და ლომა კამეჩებით. მოვგროვდით ტირმნელები, მეღვრეკლები, შინდელები, ძვევრლები, შერთულელები. რამდენიმე კაცი თავკაცობდა – ერთი ორმოცი თუ ასი კაცი ბოლოში გაგზავნეს, ე. ი. იქ, სადაც გადაგდებული წყალი ლიახვის კალაპოტს კვლავ უნდა დაჰბრუნებოდა. ურმებზე ქვა დაგვადებინეს, რაც შეიძლება, მიიმედა. ერთი მარცხენა ნაპირს დადგა (თავკაცი), მეორე – მარჯვნივ, ასე, ოცდაათი ნაბიჯით ქვევით. «ურმებით შედით და ისე გეზად გააჩერეთ, როგორც ჩვენ ვდგავართო». მართლაც, ურმები მალე აღმაცერად გამწკრივდნენ. მარჯვენა თვალი გაუხეშავია<sup>62</sup>, გამოვადრეთ და დავუშვით ურემი ერთდროულად, თვლები კი ჭალზე ჩამოვავეთ, ამის შემდეგ გამოვუშვით კამეჩები, რომელნიც იქვე ჩაეყარნენ წყალში. ყოველივე ასე ადვილად კი ვერ გაკეთდა, როგორც გელაპარაკებით: წყალი მკერდზე გვცემდა, ფეხზე ძლივს ვიდექით, ტალღა ხშირად დაგვკრავდა და დავეცემოდით, სადღაც მოშორებით ამოვყოფდით ხოლმე თავს, ან ურემი დაგვიჭერდა; იყო სიცილი და ჟივილ-ხივილი. ერთხელ მეც ასე დამაყურყუმალა და ფეხზე რომ დავდექი და ქვევით გავიხედე, შესანიშნავი სურათი გადამეშალა თვალწინ: ასიოდე ვაჟკაცს მკლავი მკლავისათვის გაეყარა, მხარი მხარისათვის მიეცა და ცოცხალი ჯებირი შეექმნათ.

«თუ მიძმოხ ახლა მიძმევი, კალთა გავაბათ კალთასაო», – რომ იტყვიან, აქ იყო სწორედ. მათ უკან დიდი და პატარა ქვის ყორეს აკეთებდა, ისიც – აღმაცერად. ჯერ ურმებმა, შემდეგ მკლავჩაბმულებმა წყლის დარტყმა-დინება შეანელეს და დამწყვეტებს ისე აღარ უძნელდებოდათ ყორის კეთება. მალე წყალმა იგრიალა და ძველი კალაპოტიდან გადაეშვა. როდესაც ქვის ყორე მალა ამოვიდა, ფარდაგები ჩაუგეს და წყალი «დაწყდა», მაგრამ მუხლამდე მაინც სწვდებოდა კაცს.

ბოლო ერთ-ორ კილომეტრზე იყო, იქ ცეცხლი აანთეს; ბოლი ნიშანი იყო, ბოლო შეკრულიაო და გაიშალა ხალხი. გაიშალა და ატყდა ორომტრიალი, აირია მონასტერი – «არიქა, დაიჭი», «დიდია, კაცოო». აი, ერთი მეთევზე ამოტრიალდა, ორაგულმა ბოლო შემოჰკრა.

კინადამ დამავიწყდა, თავკაცებმა ერთი ხუთი კაცი გამოყვეს ურმისა და ფარდაგის საფასური თევზის ასაკრეფად. პირველი დაჭერილი თევზი იმათთვის უნდა მიეცათ. ამ თევზს იყოფდნენ მეურმენი და ფარდაგის პატრონები, ეს იყო დადგენილი წესი, ამ წესს ცოტა თუ ვინმე გაექცეოდა, მაგრამ აი, ერთმა ძვევრელმა დიდი

ქანარი დაიჭირა, ვერ გაიმეტა: მეორეს მოგცემთო; «მებაჟეებმაც» ისინდისეს და დაუთმეს. მალე მან ერთი კარგი კაპუტი ჩააბარა.

იყო წიოკობა, ჟრიამული, ყვირილი, ორაგული ბევრი მოემწყვდა. სანდრა ჩუტკერაშვილმა ჯებირთან ბარმომარჯვებულები დააყენა, ორაგული წამოვა და ბარით ხოცეთო.

მართლაც, მალე მოაწყდა მცირე ქარავანი და ხუთიოდე ორაგული ნაპირზე გამოიტანეს, ორი ზამბარასავით მორკალა და ქვის ყორეს თავს გადაეველო, დანარჩენებმა ქვევით ქნეს პირი და აი, აქ იყო ამბავი! მეთევზეები ტყაპატყუპით ცვიოდნენ პირქვე თუ გულადმა. ერთ დიდ მორევს შემოხვეოდა ხალხი, ამბობდნენ: შიგ ბევრი ორაგულიაო. ქვებს ისროდნენ, მაგრამ ქვები ბუყბუყით ეშვებოდა ქვევით, ორაგული კი მორევიდან არ გამოდიოდა.

– ნამდვილად უძირა, – იძახოდა ვიღაც.

რამდენიმე ბიჭმა შეეცურეთ, მაგრამ ფსკერს ფეხი ვერ ვუწიეთ. სანდრამ ხუთი თუ ექვსი კამეჩი ჩამორეკა სათავიდან და მორევიში შეაგდო. ერთი ოც-ოცი კაცი თავ-ბოლოს სდარაჯობდა, მართლაც, მორევიდან გამოცვივდნენ ჩატრუკებული ორაგულები. რამდენიმე მეთევზე გადააყირავეს, სანდრა ჩუტკერაშვილი კი დაახტა ერთს, ხელები ლაყურებში შეუყო და ჩაბღუჯა, თევზმა იძალა და ერთი ათი მეტრის მანძილზე წაიღო, მაგრამ ვეღარა ქნა რა, სანდრამ ამოათრია ნაპირზე. უმრავლესობა ქვევით გაჰყვა და ისკუპეს ბოლოს ყორეზე.

ორაგულებს ცალკე აგროვებდნენ, სხვა თევზი თვით მოთევზავეს ჰქონდა, საურმეც– ცალკე. ზოგმა კოკოზა<sup>63</sup> დაუფო. ზოგმა-პირშექცეული<sup>64</sup>. ზოგს ხოლხის ბადე მოემარჯვებინა, ზოგს – სასროლი, მაგრამ ფრთხილობდა – ორაგული რომ მოხვდეს, ბადეს დამიხვესო.

საბოლოოდ ორმოცდაორი ორაგული დავიჭირეთ იმ დღეს, სოფლის თავკაცები შეიკრიბნენ და სოფლურად გადაანაწილეს, ჩვენებურებს შვიდი ორაგული გვერგო, აქედან მე-ნახევარი ორაგული, ერთი კაპუტი და ორი ხელსამსე<sup>65</sup> მერგო, მეც დავიჭირე, ფიჩხული ციმორი და მურწა თხუთმეტიოდე ცალი.

ჩვეულებრივ კი, კვირადღეობით ერთი სოფელი თევზაობდა, ტოტებს წყვეტდნენ ხოლმე, მთელი მდინარის გადადგება ათ-თხუთმეტ წელში ერთხელ თუ მოხდებოდა და შემდეგ სალაპარაკო და მოსაგონარი იყო.

რასაკვირველია, მდინარის დაწყვეტით თევზის ჭერა ფრიად საზარალოა თევზის გამრავლებისათვის. ახლა ასეთი თევზაობა აკრძალულია.

ზოგი (სოფელში უექველად იყო რამდენიმე თავგამოდებული მეთევზე) ღამიანად წავიდოდა, პატარა ტოტს შეიგულებდა, ჯერ ბოლოს შეკრავდა და ჩაუგდებდა კოკოზას, შემდეგ სათავს შეკრავდა წინასწარ მომზადებული ბელტით. წყალს მოწურავდა, ძველ კალაპოტში წვეთს არ გაუშვებდა.

ხშირად ასეთ პატარა ტოტში აუარება თევზი იყო: მურწა, ციმორი, ღორჯო, ჩხირანა, ნაფოტა, ფიჩხული, ზოგჯერ კალმახიც ხვდებოდა, იშვიათად-ქაშაყიც.

ზოგი კი გადამკვდარი იყო ფაცერზე, რომელიმე ტოტზე დააგებდა ლასტს<sup>66</sup> სიგრძეზე, ხშირად ორს, ლასტში წყალი იცხრილებოდა და ზედ თევზი რჩებოდა. მდინარე ისე იყო შეკრული, რომ თევზი უექველად უნდა გადასულიყო. ფაცრის თავს ალმაცერად ფიცარი იდო, წყლისაკენ ქვიშა-ღორღით დაფარული. თევზი ლასტზე ადვილად გადადიოდა. უკან კი ვეღარ ბრუნდებოდა.

მეფაცრე ღამე ფაცერთან იძინებდა, დარაჯობდა, ბევრჯერ მინახავს შეშინებული მეთევზე კანთაროსაგან.<sup>67</sup> «არიქათ, წყალში ქაჯებს ცეცხლი უნთიაო», – ყვიროდა.

დღე ფაცრის მონახულება სხვების მიერ ცოდვად არ ითვლებოდა, მაგრამ ღამე რომ გასულიყავ სხვის ფაცერზე, ქურდობაში ჩამოგართმევდნენ.

ჭირვეული მეთევზე ზამთარშიც თევზაობდა. შეგულებულ ადგილას წყალში ორმოს ამოიღებდა და ჩაალაგებდა ბრტყელ ქვებს ისე, რომ ქვასა და ქვას შუა მკლავის სიგანე ადგილი დარჩენილიყო, ასეთ ქვით ამოვსებულ ორმოს ოჩხი ერქვა. მეთევზე აკეთებდა 5-10 ორმოს, ზოგჯერ მეტსაც. გულდაგული ზამთარი რომ დადგებოდა, უმთავრესად შობა-ახალწლისათვის, ჩვენი მეთევზე გასწევდა თავისი ოჩხისკენ, თან არაყს წაიღებდა. ციოდა, ტეხვრა იყო და ხეები შეჭირხლული, მაგრამ ის მას არ უშინდებოდა, დაიკარწახებდა<sup>68</sup>, ფეხებს არყით დაიხეღდა, ჩამატვრევდა ხორგს<sup>69</sup>, ამ ნამტვრევებს ისე მიალაგებდა, რომ ოჩხის ორმოსკენ თოში<sup>70</sup> არ წამოსულიყო. მერე ჩადგებოდა წყალში, აი, აქ კი შეიძლებოდა ფსკერიდან ენთელიც ამოსულიყო, მაგრამ მოთევზავეს ხელს არ შეუშლიდა.

ამოალაგებდა ქვების პირველ რიგს და კალთაში მოაქცევდა გარინდებულ ფიჩხულს, ციმორსა და მურწას, ხშირად კაპუტიც ხვდებოდა. ასეთ ორმოში ბევრჯერ მთელი კალთა თევზი ამოსულა. ორ-სამ ორმოს რომ დაცლიდა, ამოვიდოდა წყლიდან, შეიმშრალებდა წვივებს, ისევ არყით დაიხეღდა (ალბათ, თვითონაც გადაკრავდა ერთ-ორს), ჩაიცვამდა თბილ წინდებს, პაჭიქებს<sup>71</sup> და გულდინჯად წამოვიდოდა სახლისაკენ,

მეორე დღეს დანარჩენ ოჩხოვსაც მოუვლიდა. საახალწლო სუფრას დაიმშვენებდა, ზოგს სახლიკაცს გაუზიარებდა, ზოგს-კარის მეზობელს. გაგეგონებათ, კარგი მეზობელი ამომავალი მზეაო. თუ დარჩებოდა და არ მოისაკლისებდა, შეიძლება, გორის ბაზარზეც გაეყიდა. ძველად გორი განთქმული იყო ოჩხის თევზით.

– ახლა?

– ახლა? ახლა ჩვენმა ინჟინრებმა ჯერ ვერ ისწავლეს ისეთი ჯებირის აგება, რომ თევზი მდინარეებს ამოჰყვეს, თევზი ჯებირებს ქვევით მოექცა. კასპიის ზღვიდან ორაგული ვედარ ამოდის. წინათ ქვირითს ყრიდა ივრის, ალაზნის, არაგვის, ლიახვის, ქციის, ფოცხოვის, ქობლიანისა და სხვა მდინარეთა სათავეებში. ურალიც და ვოლგაც გადაკეტეს, ამიტომ ორაგული მიაწყდა კასპიის სამხრეთ ნაპირებს და ამბობენ, ჩრდილო ირანის მდინარეებში ყრის ქვირითსო. გარდა ამისა, არ ისვენებენ ბრაკონიერები. ამგვარად, არაგვს ორაგული, კარგა ხანია, აღარ უნახავს.

მაგრამ წყლის მადლი სხვაც იყო.

– აგერ, გაიხედეთ კავკასიონისაკენ, ხომ ლამაზი ვაკეა გაშლილი, ზედ მოქუსს დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ჭარებულა, აუარებელი სარწყავი არხი, აგერ ტყვიაურა, ნიკრეულა, პანტი რუ, ხარაზიანთ რუ, დალაქიანთ რუ და კიდევ რამდენი სხვა. დღეს ყველა მათი ნაპირი მოტიტვლებული და მოშიშვლებულია, ორივე ლიახვის ნაპირები ჭალებით იყო დაფარული; ხვალ, ოფი, ტირიფი, მურყანი, თელა, ნეკერჩხალი, ივანი, მუხა ერთმანეთს ენაცვლებოდა – ტყვიაურაზე შესანიშნავი მუხიანი იყო, ტეტუნაანთ ჭალას უწოდებდნენ, ხარაზიანთ რუზე, კარბულებში, იწყებოდა დუბიანები<sup>72</sup> და კიდევ, ვინ იცის, რამდენი ასეთი ჭალა ვაკეს კვეთდა, წინ უხვდებოდა ქვენა ქარს, რომელიც მწვანე ყანას ხშირად ორ-სამ საათში აოდავდა<sup>73</sup> და გაახმოებდა ხოლმე. მოისპო, გაიჩეხა, ეს უკვე ჩვენს დროში: ახლად მოვიფხანეთ თავი და ქარსაფარ ზოლებსა ვქმნით.

ჭალის ტყეს კი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვა არა იყოს რა, ყოველწლიურად ას მილიონ ცალ ჭიგოს<sup>74</sup> იძლეოდა.. ახლა ხეტყე სახლის მშენებლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღისათვის? ამას ნულარ იკითხავთ.

წარსულში ჭალის ტყე ხომ დიდი განძი იყო, მას უვლიდნენ, ჭალის ტყეში იყო მრავალი ტიპი მეურნეობისა: საკაფი, უკაფი, სასარე, სამასალე, საჯალჯე. ნასყიდობის წიგნებში და სიგელ-გურჯებში ხშირად იხსენიება: «მოგყიდეთ... ჭალა თავის საკაფითა, უკაფითა, საჯალჯითა, სასართითა, სამშემითა»... ყოველ ნაკვეთს თავისებურად უვლიდნენ, სასარეს ჭალის ტყის ფარგლებში აშენებდნენ კიდევ. ტირიფსა და ვერხვს სამ წელიწადში ერთხელ ბელავდნენ<sup>75</sup> და ზრდადასრულებული ხე 30-50 სარს იძლეოდა, ივანსა და თელას – ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ, მუხას – ხუთ-შვიდ წელიწადში ერთხელ. ჭალაშივე იყო უკაფი, სადაც ზრდიდნენ მუხას, თელას, ივანს თავხეებად, ხელნებად და სხვ. ძველად ჯალჯსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვენახი და ბაღი უნდა შემოღობილიყო და საჯალჯეც იყო დატოვებული. საჯალჯეში იზრდებოდა ქაცვი, კატაფმატა, კუნელი, ჩიტავაშლა, კოწახური და სხვა მრავალი მცენარე, წარმოიდგინეთ, ცალკე მოსავლელი და საზრუნავი იყო საწნელებ, სადაც იზრდებოდა თხილი, შინდანწლა, შინდი, მანეული<sup>76</sup> – წნელისათვის მეურნეობაში საჭირო იყო კალათი, გოდორი, ჯინი, ჯიხური, ლასტი, ამისათვისაც მასალას ტყის ნაკვეთი იძლეოდა. მაგრამ ესენი უკვე იცით და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

– შენ ამბობ, რომ ჩვენს წინაპრებს გამოზომილი და მიზანდასახული მეურნეობა ჰქონდათ?

– აბა, მაშ რა გგონია?

– მრავალი ვაზის ჯიში, მსხლისა, ვაშლისა, ხორბლისა, ცხვრისა, ძროხისა, ცხენისა ციდან კი არ ჩამოვარდა. გარდა ამისა, მიწები წინასწარ იყო შესწავლილი, რომელი ნაკვეთი რისთვის გამოდგებოდა. ჩვენმა ჟამთა სიავემ ბევრი უბედურება დაგვატეხა თავს, ერთ-ერთი ასეთი უბედურება იყო ისიც, რომ მტრის ურდოები ანადგურებდნენ

წერილობით ძეგლებს, წიგნებს, სიგელებს, გუჯრებს, ნასყიდობის წიგნებს... წერილობითი ძეგლი კი ერის სული და გულია, მისი ისტორიაა.

წარმოიდგინეთ, ჩემს დროშიც კი ბევრი განადგურდა. 1914 წელს ოსმალებმა სარიკამიში რომ აიღეს, თბილისიდან გაიტაცეს არქივი, ქ. გეორგიევსკში შეინახეს, მაგრამ 1922 წელს ჩვენებმა მიაკითხეს – თითქმის მთლიანად დაკარგულიყო.

ჩვენმა დიდმა მოღვაწემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, კი მოასწრო სიგელ-გუჯართა სამი ტომის გამოცემა. შემდეგ ნიკო ბერძენიშვილმაც გამოსცა ერთი დიდი ტომი. ამ სიგელ-გუჯართა და ნასყიდობის წიგნთა გულდასმით გადაკითხვის დროს, სხვა მნიშვნელოვან მოვლენათა შორის, შეამჩნევთ, რომ ქართველ ხალხს მამულ-დედული წინასწარ დანაწილებული ჰქონია კატეგორიებად, მათი გამოყენების თვალსაზრისით. პირველ რიგში, მამული იყოფოდა სარწყავად და ურწყავად (ნასყიდობის წიგნი 1721 წ: «მოგყიდეთ... ნანიტაშვილი სახლ-კართა,

სარწყავით, ურწყავითა...), შემდგომ ამისა მიდიოდა: საყანე (ვილ. დიდი დავთარ. გვ. 46.) მიწა და სავენახე, საბაღე, საბოსტნე, საიონჯე, სათიბი, საძოვარი, სანადირო, სასარე, საჯალჯე, საკავი, სასახლე.

გარდა ამისა, არსებობდა, როგორც განსაკუთრებული კატეგორია, ნაზვრევი, ნავენახარი, ნაფუზარი და სხვა.

ეს იმას ნიშნავს, მამული წინასწარ გათვალისწინებული იყო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ვენახისათვის არჩევდნენ მზვარე<sup>77</sup> ადგილს, ხირხატინიც რომ ყოფილიყო, არა უშავდა, ბაღს კი კარგი ღრმა ნიადაგი სჭირდებოდა. საბოსტნე სამოსახლოსთან ახლო უნდა ყოფილიყო. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს წინაპრებს «საიონჯეც» ჰქონდათ, ბალახის თესვა-მოყვანასაც მისდევდნენ. ეს დადასტურებულია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში. ოსმალებმა რომ სამხრეთ საქართველო აღწერეს, იქა მოხსენებული, «საიონჯე» შეტანილია ხელთუბნელი თუმანიშვილების მამულების სიაშიც. აგერ ხელთუბანი, – მიუთითა ტირიფონის დასავლეთ ნაწილის ერთ სოფელზე მინდიამ, – ოსმალებმა რომ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ქართლი დაიჭირეს, მაშინ მოასწრეს ყოველი სოფლის აღწერა, ამ წიგნშიც იქნება ბევრი რამ საინტერესო, მაგრამ ჯერ იქამდე ხელი არ მიგვიწვდება.

– პატარა საქართველო, მაგრამ ქართლი დიდი ჩანს...

– «ქართლში ვინა თქვა პატარა ციხე», გახსოვს სიმონ ჩიქოვანი?

– ეგეც მახსოვს, ესეც:

*«ვინა თქვა, თითქოს პატარა იყოს*

*ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.»*

– დღევანდელ ქართლში, თბილისის გარდა, შვიდი ქალაქია, 9 დაბა და შვიდასამდე სოფელი; მაგალითად, გორის რაიონში 136 სოფელია, კასპისა – 75, ქარელის – 85 და ა. შ.

## თავი II. ჩვენებურები

### დაბრუნებული სიჭაბუკე

გორისა და მისი შემოგარენის დათვალიერებით გული რომ იჯერეს, გადაწყვიტეს მამაპაპულ სოფელში ასულიყვნენ. მით უმეტეს, მამაც აქ იყო და პაპაც, მაგრამ გორის თავში, წმინდა წყალზე მაინც შეყოვნდნენ, აქ უნდა ენახათ მეხილეობის სადგური, სადაც სელექციონერი ელენე ერისთავი მუშაობდა. ამ სათნო ადამიანმა და უებრო მეცნიერმა ახალგაზრდებს ბევრი საიდუმლო გაანდო. უჩვენა ახალი ჯიშის ატმები, ქლიავები, ერთ მსხმოიარე მწიფე ბალთან მიიყვანა და უთხრა:

– ამ ბლის დეგუსტაცია ჯერ არ მქონია, თქვენზე კარგ დეგუსტატორებს ვერც ვიპოვი. ვახტანგ, ფრთხილად დაიწე ტოტები (ხე ჯერ იმოდენა არ იყო, რომ ზედ ასულიყვნენ) და ისე, რომ ტოტი არ მოტეხოთ, შეექვით, ზოგჯერ ჩვენც მოგვაწოდეთ... – თქვა და თან ტკბილად გაიცინა.

ჩაიტკბარუნეს პირი და «ჰმ, ჰმ»-ს ძახილში უფროსები დაავიწყდათ...

– ეს კარგი ნიშანია, – თქვა ელენემ, – ბალი კარგი ყოფილა, ასე რომ გაერთნენ.

მაგრამ ამ დროს ვახტანგმა ბუერას დახვეულ ფოთოლში მოგროვილი ბალი მიართვა. უფროსებმაც გასინჯეს, მოიწონეს, ნადრევი ასეთი ტკბილი და მკვრივხორციანი ჯიში იშვიათიაო.

– კმარა, ზოგი ხეზე დატოვეთ! – შეეხმაურა გიორგი.

– ცოდოა, ჩიტები შეჭამენ... – გაიცინა ერეკლემ.

– აბა, რას იტყვით?

– ქალბატონო ელენე, თუ შეიძლება, ერთი-ორი კვირტი რომ მაჩუქოთ? – ვერ მოითმინა გვიმი, – ბალი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთის მნახველი პირველად ვარ...

– კი შეიძლება, თუმცა მისი გამოცდა არ დამთავრებულა.

– ჩემი ორი ძირიც გამოცდაში ჩათვალეთ, ყველა ცნობას მოგაწვდით.

ელენემ გიორგის შეხედა, თვალებით ჰკითხა-«ვინ არისო».

– ელენე, მაგას კარგი ბალი აქვს ქანდას და თვითონაც ისეთი ბიჭია, რომ შეასრულებს.

დიდი მადლობით გამოემშვიდობნენ მასპინძელს და გზაზე გამოვიდნენ.

გზის დასავლეთი მხარე გადახნულ მინდვრებს ეჭირა. წინათ აქ ჭობები იყო, აქ იცოდნენ ლეკებმა კამეჩების მორეკვა, ახლა კი, ცოტა ზევით, აუარებელი საკოლმეურნეობათაშორის ორანჟერეები გადაჭიმულიყო; როცა ისინი ამუშავდება, ზამთარში გორში მაინც უხვად იქნება ბოსტნეული, სათბურებს ზევით ხელოვნური ტბაც ბრწყინავდა.

– მე რომ მუშაობა დავიწყე, მთელი ეს მინდვრები ჭობებად იყო ქცეული. აქა გლეჯდნენ კარალელი დედაბრები ჭილს და წნავდნენ ცნობილ კარალულ ჭილოფს. ერთი არაკია : «კარალელი გოგო ტირიფონაზე გაათხოვეს, ხალიჩაზე დასვეს და გამტკიცული<sup>78</sup> კაკალა პური მიართვეს, ცხვირი აიბზუა: «აფსუს, ჩემო კარალულო ჭილოფო და ჭადოო». ჭილოფებს მარტო სახლისთვის არ წნავდნენ. გერისთობას, უსანეთობას და სხვა



ბაზრობაზე ყიდდნენ და ცოტაოდენი შემოსავალი ჰქონდათ. ზოგჯერ სოფელ-სოფელ დაჰქონდათ ურმით, ღარიბი კაცის ხალიჩაც და ფარდაგიც ის იყო.

მანქანა კარალეთის თავზე გაგზავნეს, თვითონ ნაჭარმაგვეის მინდვრებს გაჰყვნენ. კარალეთის დასავლეთ მხარეზე კარგი ყანები იყო, სიმინდსაც მუხლი ჩაედგა. გავიდნენ შედარებით მშრალ მინდვრებზე, ძემვი კარგად ჩანდა. წყლისა და რუს პირებზე ხვდებოდათ ყვითელყვავილებზე დაბალი ბუჩქი, ყვითელი ცოცხი, იგი სწორედ ქართლის მინდვრებისთვისაა დამახასიათებელი, ამ ნესტიანი მდელოების იერის მიმცემია ქართლური ზამბახი, მაღალი, გრძელფოთლები; წინათ ისიც ხშირი იყო, მაგრამ საწრეტი არხების გაკეთების შემდეგ მხოლოდ გზის პირის რუებისა და კარალულას ნაპირებსდა შერჩენოდა. აი, ასე ისპობა ბევრი დამახასიათებელი მცენარე. მინდია მდინარის პირას მივიდა, ხელი ჩაყო, მუჭაში წყალი დაიგროვა და შუბლზე შეისხა, მერე გაეცინა.

– რას იცინიო? – ჰკითხეს.

– არაფერს, რაღაც მომაგონდა და გამეცინა...

– მაინც, მაინც...

– 1921 წელს ამ მინდვრებშიც დავდიოდი, თქვენზე ხუთიოდე წლით უფროსი ვიყავ, ზურგზე მეკიდა აბგა, ჩანთა, საჭერბარო ბადე. დაცხა, მომშივდა და აი, ამ ფშასთან<sup>79</sup> ჩავიმუხლე, ეს ვერხვიც მისწრება იყო. ჩანთიდან ამოვიღე ერთი პური; გამხმარიყო და ფშის წყაროში ჩავდე, სატანად<sup>80</sup> ნივრის მეტი არა მქონდა რა. ის-ის იყო, პური გავტეხე, რომ ცუხცუხით მომადგა ერთი მოხუცი, ფეხზე ქალამნები ეცვა, ტანთ – ბაზარზე ნაყიდი ჯარისკაცის მოკლე ინგლისური მაზარა, მხრებზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

– გამარჯობა, ყმაწვილო!... – მომესალმა, პირველი სალამი მომსვლელისა.

– გაგიმარჯოთ და გადღეგრძელოთ, – წამოვხტი.

ჩემს სუფრას დახედა და მომმართა:

– შეიძლება, თქვენთან სუფრა გავიზიარო?

– სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ვერაფრით გაგიმასპინძლებით. ყველი და პურიო, კეთილი გულიო, მაგრამ მე ყველიც არ მაქვს, თუმცა გაგეგონებათ – ნიორი ქართლელების ყველიაო.

მოხუცი დაჯდა, აბგა გახსნა და ამოალაგა რამდენიმე შუშა კიტრი, ყველი, კარალული მჭადი (კარალეთში მართლა კარგი მჭადი იცოდნენ, ნაღვიები და თონეში გამომცხვარი).

– მეც გორში მივდიოდი, ბიბლიოთეკაში შევიხედავ-მეთქი... თქვენ ბოტანიკოსი ბრძანდებით, არა?

– დიახ, მაგრამ თქვენ საიდან?

– მე შვეიცარიაში ვისმენდი ლექციებს ოთხმოციან წლებში, რომ ჩამოვედი, ილიას «ივერიაში» დავიწყე მუშაობა, განათლებით აგრონომი ვარ.....

და გავაბით საუბარი. ბევრის მნახველი იყო, ბევრი იცოდა, გული გადამიხსნა.

– განა ყველას ვეტყვი ამას? შენ იმიტომ გეუბნები, რომ მუშა ბიჭი ჩანხარ, ამოდენა ბარგით დადიხარ, ხმელა პურზე გადადიხარ, თუ ასე იმუშავე, ქვეყანას გამოადგები.

შემდეგ, როცა უფრო მოხუცდა, ერთ-ერთ ინსტიტუტში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ეს გახლდათ კარალელი ვასილ ბიბილაშვილი.

ლაპარაკში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შენიშნეს, ერთ პატარა ბაზილიკასთან როგორ მოსულიყვნენ!

– ესეც ნაჭარმაგვეის საყდარი!

– რა, ეს ის ადგილია, თამარ მეფემ რომ შვიდი მეფე მოიწვია?

– როგორც ჩანს, საქართველოში ამის მეტი ნაჭარმაგვეი არ არის, რვაასი წელი გავიდა, ჯერ ჯალალედინი, შემდეგ მონღოლები, შემდეგ თემურლენგი და სხვანი. მგონი, კმარა, რომ მისგან ნატამალი არ დარჩენილიყო.

დიდი ლიახვის რიყე მოტიტვლებული იყო, თითო-ოროლა ვერხვიდა ჩანდა. გაღმა, მალხაზის წვერზე, საბაწმინდის თავზე, მუხნარი ამოყრილიყო, ერთი ნახევარი ნაჩეხი ჩანდა, მეორე – შენახული; ცოტა ქვემოთა ფერდობზე ორთაშენის ნანგრევები ძლივს ეტყობოდა. დიდი ამილახვრების უკანასკნელი რეზიდენცია გორში იყო, მაგრამ ლიახვს გაღმა ოთარ ამილახვარმა სასახლე ააგო, კომპით. ზაფხულში იქ გადიოდა, უკანასკნელ აქაურ ამილახვარს, გივის, ოცდაათამდე ლეკი ჰყავდა დაქირავებული; ის რომ ყოფილ საყმო სოფლებში აივლიდა, მთისკენ, ერთი ლექსისა არ იყოს, «წიოკობას აუყენებდა ქათამსა და ვარასა»; ლიახვის რიყე დაისაკუთრა გორამდე; ზემო სოფლები ხეებს ტივებდა ეზიდებოდნენ. ორთაშენთან უნდა გაეჩერებინათ, ზაჟი გადაეხადათ; ვაი მისი ბრალი, ვინც შეეურჩებოდა, ლეკის ტყვია არ ასცდებოდა. რევოლუციის შემდეგ საქართველოდან გადაიხვეწა.

მისი სახლ-კარი ამილახვართან ნამოურაველებმა, ქარუმიძეებმა, იყიდეს და დაანგრეს: მასალად წაიღეს თორტიზაში.

– ესეც ჩვენი მანქანა!

გზის პირას გოგია და მინდია იცდიდნენ.

– კაცო, სადა ხართ აქამდე, აგერ მზე უკვე ჩვენ სადაროზე<sup>81</sup> დასულა...

როდესაც სოფელში შევიდნენ, გიორგიმ თქვა:

– მოდით, ქიტეს ვეწვიოთო.

– მანქანა ლამაზ, ორსართულიან სახლთან გაჩერდა.

მასპინძელს დამახება არ დასჭირვებია, პირლიმილიანი ჭადაროსანი ჩამოეგება.

– კაცო, ქალაქში შიმშილობა ხომ არ არის, რომ ამოდენა ხალხი აყრილხართ?

– რა ვიცი, იქნება ვინმემ შეგვიკედლოს-მეთქი და...

– კაცო, რად იცი აჯამი<sup>82</sup> ლაპარაკი? – შეუტია შავმანდილიანმა ქალმა, ქიტეს მეუღლემ.

– რაო, ტყუილს ვამბობ? – ამ ლომივით ბიჭებს ვითომ დაადლობ?... – და გამოაჩინა ახალგაზრდული თეთრი კბილები.

– არა უშავს რა, მოვრიგდებით, კაცი კაცითა, ღობე ქაცვითაო.

და ამ საუბრით შეუძღვა ქიტე თავის სტუმრებს.

– ეს ორი კვირაა, ოთახები დალაგებულია და თქვენ გელით.

მალე სუფრაც გაიშალა და გამხიარულდა ჭერი.

– სუფთა შავკაპიტოა, განა?

– ბუდეშური არ გაურიე?

– ცოტა ბუდეშური, ცოტა გორულა, ცოტა ჭყაპა და ესეც შენი ლალისფერი ღვინო, არ მოგწონს?

– უჰ, ავჩქარდი, ჯერ ღვინო უნდა შეუქო მასპინძელს და მერე და მერე სხვაზე ელაპარაკო...

– თუ არ ვარგა, რა უნდა შეაქო?

– არა, კაცო, მართლა კარგია.

და წავიდა საუბარი ძველ ამბებზე, ორი დღე მარტო ის ისმოდა: «გახსოვს, ქიტე»? «როგორ არ მახსოვს». მოიგონეს ღვთისო, პეპა, დოდე, ყველა, ვინც კი მოგონების ღირსი იყო, ერთი – ორი ავი კაციც გაიხსენეს. ხან მინდია, ხან ქიტე და გიორგი წამოიწყებდნენ ამბავს.

განსაკუთრებით გიორგი იყო გახარებული, სულ ეღიმებოდა, სახეზე ნათელი გადასდიოდა.

ქიტე კი თავზე ბუხს არ ისვამდა, ისე ეამაყებოდა თავისი ბაღლობის მეგობრის სტუმრობა.

– ტყუილად კი მოშალეთ ბუდე! – წამოიწყო ერთხელ ქიტემ, მაგრამ გიორგის სახეზე ღრუბელი რომ შენიშნა, მერე აღარა უთქვამს რა.

### **შენი ჭირიმე, გუთანო!**

სოფლის ერთ-ერთი თავკაცი გუთნისდედა იყო, სოფლის ავ-კარგს მას ეკითხებოდნენ: როდის დაეწყოთ ხვნა, თესვა, თიბვა, მკა...

ჩვენი სოფლის ყველაზე მაღლიანი გუთნისდედა ღვთისო იყო. მაგრამ გუთნისდედაცაა და გუთნისდედაც. ერთი ზაფხული ვიარე მის გუთანზე შუა მეხრედ, ბევრჯერ მომხვედრია მისგან ნასროლი გოროხი: «თავი ნუ ჩაჰკიდებ, გუთანს მახილი უხდებო!» მას ეთქმოდა სწორედ, «მე გუთანი მისთვის მინდა, არა მარტო საღრიტინოთო».

გუთანში რვა უღელი ხარი და კამეჩი ება. მოლაპარაკებაზე იყო, ხარს ან კამეჩს ხან ნახევარ ალოს აძლევენ, ხან-მთელ ალოს<sup>83</sup>. გუთნიდედას ერთი ალო ეკუთვნოდა, მისი იყო გუთანი – ერთი ალო, საკვეთელი და სახნისი – ერთი ალო (ნახევარ-ნახევარი ალო), ჯამბარას – ერთი ალო, ოთხი ხარი და კამეჩი ჰყავდა – ოთხი ალო (მას რვა ალო ეკუთვნოდა), გარდა ამისა, ერთი «გათრეულა» პირველ დღეს გუთნისდედას ვუნახავდით, ეს პატივისცემა იყო. ექვსი მეხრე – ექვსი ალო, ამას მიუმატე ორი ალო ღამის მეხრისა. თექვსმეტი ხარი და კამეჩი (ჩვეულებრივად, კამეჩი ორი უღელი იყო, ექვსი უღელი ხარი). ორი ღვედი – ორი ალო, სულ-ოცდაშვიდი ალო. გუთანს ანულის<sup>84</sup> ხვნის დროს ოცდაათი სამუშაო დღე უნდა ეხნა, ალოს გამოყვანის თავის კვირაუქმით ორმოცი დღე უნდებოდა.

საერთოდ, გუთნისდედობა არ იყო ადვილი, ჩვეულებრივად, გუთანს მართავდა უფრო შეძლებული გლეხკაცი, მაგრამ გამრჯე. მოდგამად<sup>85</sup> ნაკლებ შეძლებულნი ჰყავდა, ორი ხარის პატრონი, რომელსაც თავისი მეხრე ახლდა, ან ერთი მაინც იყო კამეჩების პატრონი ისეთი მეხრით, რომელსაც ჰკუა ეკითხებოდა. სოფელში გუთნისდედა პატივცემული კაცი იყო.


*«ღმერთმა იცოდეს, გუთანო, შენი მოყოლა ძნელია.»*

*როცა კაცი მუდამ მოგდევს, მისი პური ძველია.»*


ან



*«ქალმა სთქვა, გასათხოვარმა: ნუ გამათხოვებ, დედაო, თუ მიმცემ, ისეთ კაცს მიმცე, რომ იყვეს გუთნიდედაო».*



მცხეთის დილა



ქორბუდიანი იყო იგოეთის მუხა



წაუკიდეს ცეცხლი და პირს დასცეს



ბუნების მეგობრებმა ძველ ნამუხარზე ათი მუხა დარგეს



სამთავისი



ასეთი იყო ტირიფონა 30 წლის წინათ



ტირიფონა დღეს




უფლისციხე შორიდან



უფლისციხის მეთერთმეტე საუკუნის ბაზილიკა



უფლისციხის თაღოვანი დარბაზები




ნიტარია



ხევანი გზაზე, ს. ატენი



ატენის ციხე



ატენის სიონი



აღმოსავლეთ ფანჯრის სამკაული



ნაძვეები ბაზილიკის სახურავზე, მდ. ტანას ხეობა



ნაძვენარი, ტანას ხეობა



ტანას ხეობის ხრიოკები



ხრიოკების ბინადარი ზღარბა



გზა გორი-ტყვიავი




გვერდის ძირი, მთის წვერებზე მოჩანს ხატის ტყე



მუხის სასარე



ჩვენი სოფლის სკოლა



იყო სასარე და ამოძირკვეს



ორბოძალას მწვერვალი

ღვთისოს მცნება იყო: დროზე მთესველი დროზე მოიმკისო და კარგად მზენელ-მთესველი კარგად მოიმკისო. ზედმეტს არავინ მოსთხოვდა არც მიწას და არც კაცს : «მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს, ნუ შემოსწყრებიო.» მიწის ყადრი იცოდა:

*«მიწა ზოგან ნაგ ზაური, ყანა მოვა აზნაური».*

უყვარდა, რომ მისი მოხნული მიწა კაი ყანას მოიყვანდა. კვირა დღეს მინდორში წავიდოდა და ყანებს ნახავდა, თავისი იყო თუ სხვისა.

ღვთისო დინჯი და დარბაისელი კაცი იყო (გუთნიდედა სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო), შვილები კიდევ უკეთესები ჰყავდა. რომ იტყვიან – ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, – ამათზე ითქმოდა. თუ თვითონ ცოტა კოჭდაბალი და ბეჭგანიერი იყო, საღარის დედაბოძივით, შვილები აშოლტილი, მკერდგანიერი, ხეხელა და ცოტა კაკაროტი ბიჭები, სოფლის რჩეული ვაჟკაცები იყვნენ, ქოჩორები და პირმადლდომილიანები. კაცს, მათ შემხედავს, გულში ნათელი ჩაუდგებოდა. ხელგამომავალნი იყვნენ – კაი ბარვა და თოხი იცოდნენ, უფროსი გუთნიდედობაში მამას არ ჩამოუვარდებოდა, უმცროსებმა დურგლობა და მჭედლობაც იცოდნენ. ისინი რომ ყანაში დატრიალდებოდნენ, გეგონებოდათ, ასპინძის ომში არიანო, აუგ სიტყვას არავის ეტყოდნენ. კაცმა მარილი გათხოვოს, თუ მარილი არა გაქვს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო, – იტყოდნენ ხშირად. თავს კი უბრალოდ არავის დააჩაგვრინებდნენ, ძველი ჭეშმარიტში<sup>86</sup> დავიფიცოთ, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, კაბდომ<sup>87</sup> იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებსო. იმათ მოგვერდსა და შუაკაურს<sup>88</sup> ბევრი კარგი მოჭიდავე ვერ გაუძლებდა, ყველა საქმეში ფხიანები იყვნენ. მამას როდესაც ეტყოდნენ ხოლმე, კაი ბიჭები გყავსო, – სიამოვნებით გაიღიმებდა, ნათელი გადაჰკრავდა სახეზე: მაგრამ მაინც იტყოდა: «აქლემს მიულოცეს, კოზაკი გეყოლაო, ბევრი მყოლია, მაგრამ მაგათ ჩემი ტვირთი არ უზიდიათო», – და გადაისვამდა უღვაშზე ხელს.

იმ წელიწადს გუთანზე მეხრეებად ვიყავით – მე, სანდრო, ზურა, ვანე, იოსება და შაქარა; სანდრო და ზურა ღამის მეხრეები იყვნენ. დილაადრიანად მოლაღავდნენ გუთნეულს, შევბამდით, ერთ-ორ კვალს შემოუვლიდნენ და მერე დღის მეხრეები შევცვლიდით, თვითონ კი ჩრდილში წაიხურავდნენ მაზარას და გამოიძინებდნენ; სამხრობის დროს ისევ დასხდებოდნენ უღელზე და გაამხიარულებდნენ სიმღერით არემარეს. სანდრა და ვანე დამდგარი, დადუღებული ვაჟკაცები იყვნენ, დაცოლშვილებული, ზურა უცოლშვილო იყო, შემოდგომაზე აპირებდა გვირგვინის დადგმას. სამნი კი შეღერებული ბიჭები ვიყავით. ქრისტე ღმერთი რო გუთნიდებდად მეყოლება, გუთანი არ მომეშლებაო, – იტყოდნენ ხოლმე უფროსი მეხრეები. უდიერი მეხრე არც ერთი არ ვიყავით, საქონელიც გვაფასებდა, სახრეს ადვილად არ დაიკრავდა. იოსება რომ დილით სიმღერას შემოსძებებდა, გეგონებოდათ ვერცხლის ზარმა დაიწვრილაო, მეზობელ სოფელში იტყოდნენ ხოლმე: «არიქათ, დატრიალდით, აგერ, ღვთისოს გუთანი შეუბამსო».

იოსების ოროველას ყველა აჰყვებოდა ხოლმე. პაპაჩემი ხომ მღვდელი იყო, წაიმღერებდა და ხშირ უღვაშებში ჩაიღიმებებდა, მეც გავიგებდი მისი მათრახის გაშხილებას და წამოვიწყებდი:

*«გუთნიდებდას რა ავხონებს, რო შეიყვანს საყდარშია,  
კაი დარში თითონა ხნავს, ჩვენ კი» გვიხნავს ავდარშია...»*

ვანე ჩამომართმევდა:

*«ხარ-კამეჩის ცოდო-ბრალი უხვევია კალთაშია.»*

– აბა, აიდგით ენა? – შემოგვიტევედა.

*«დასაქცევი გუთნიდებდა ძირძირ გამოიყურება  
გამოივლის, ჩეკს» წამომკრავს: გასწი, ხარო, არ იქნება.»*

სანდრა სხვა კვალში გადავიდოდა:

*«ანეულისა გუთანსა ჯამბარა უნდა რკინისა,  
დარჩეული გუთნეული, შიგ მეხრე ედგეს რკინისა.»*

– მაშ, რა გგონიათ, ანეულის ხვნა ჩრდილში ჯდომა კი არ არის. ჩვეულებრივად, სიმღერები გუთანს უტრიალებდა გარშემო.

*«აჩეჩამ უთხრა გუთანსა: პატარა პური მიტეხე,  
– მაშინ სად იყავ, აჩეჩავ, როცა ყამირი გავტეხე?»*

ან კიდევ:

*«სახნისს უნდა ორი ალო, საუდაბნოს იარება,  
საკვეთლისა ნახევარი ზეზეურათ იარება.»*

იოსება ააწვრიალებდა:

*«იმერეთი მომივლია, ქართლი შემიჯერებია,  
არ მინახავს შენისთანა, ყელი მოვიღერებია.»*

აქ კი ვეღარ მოითმენდნენ ჩვენი ბერძნულები:

*«კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდათ გაიდება,  
კარგ კაცობა ქვაზე დადო, გაიარო, წინ დაგხვდებია.»*

ამის გამგონე ღამის მეხრეები გამოვიდოდნენ მუხის ჩრდილიდან, თუ უღლიდან არ ჩამოგვსხამდნენ, გადახვევდნენ ხელს ხარს ან კამეჩს და აღუღუნებდნენ ოროველას. ამ დროს გუთნის ნახვას არა სჯობდა, მზე უკვე ცაში ელვარებდა, ტოროლები მაღლიდან გვამღვევდნენ ზანს.

რომელიმე მეხრეს ლექსი შემოაკლდებოდა?

*«სიბერე ძნელი ყოფილა, სიპი ქვა შეეწონება,  
დაჯდება, ვეღარ ადგება, არგანზე დაეწონება,  
რაც უნდა კაი სიტყვა თქვას, არავინ მოეწონება», -*

და გავდიოდით თავში, ხარები საქცევზე მოუხვევდნენ და შეიძლება გუთანი ველისაკენ წასულიყო, წიწილი ან ხარვეზი<sup>91</sup> დარჩენილიყო. ამიტომ იყო, რომ ღვთისო ჩეკს წამოავლებდა ხელს, ფეხს გუთნის ქუსლს დაადგამდა და შემოგვძახებდა:

– ბიჭო, ზედა... ნუ გაერთეთ, თქვენ მამამშვენიერებო!

თავმეხრე და შუა მეხრე შეასწორებდნენ კვალს, სანდრა კი ამოისუნთქებდა და წამოიწყებდა:

*«ზედაობითა გუთანსა კვალი არ გაუტანია,  
გავიდეს და გამოვიდეს, საცაა, სამხრის ხანია...»*

და მართლაც, მინდვრის ბოლოში ან ფეფა გამოჩნდებოდა, ან დარო – ხელში საჯეროთი და მხარზე ხურჯინით.

სანამ კვალს გავიტანდით, სუფრა გაშლილი დაგვხვდებოდა.



პანტი რუხე ან ხარაზიანთ რუხე ხელს დავიბანდით და გემრიელად შევექცეოდით, თუ საღვინით «ღვინია ჭაჭანაურიც» იყო, მაგას რაღა სჯობდა. ჩვენი სამი ბერძენი გემრიელად მოულობნდა. თქვენ ერთი ყანწი გეყოფათო, -

შევაქებდით სამხრის მომტანს და დამზადებელს. «კარგი დიასახლისი ხარო», - ეტყოდა ღვთისო.

*«ავმა კარმა, ავმა სახლმა ავად გამადედაკაცა,  
კარგმა სახლმა, კარგმა კარმა კარგად გამადედაკაცაო».*

- ეგრე, ჩემო ფეფო, ეგრე, სიტკბობებს ამ ქვეყანაზე არაფერი სჯობიან!

ისევ მალე გაიჭიმებოდა გუთნეული.

მე მაშინ ხალხური ლექსის ყადრი უკვე ვიცოდი, რვეული უბეში მედო და დროს დავიხელთებდი თუ არა, ჩავწერდი ხოლმე.

ერთხელ სანდრას ვკითხე:

- კაცო, არ იღლებით ამდენი სიმღერით?

სანდრამ სიმღერითვე მიპასუხა:

*«ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს,  
თუ მეხრე შემხვდა ხვთიანი,  
ხშირ-ხშირად უნდა დამძახოს  
სიმღერა ლა ზათიანი».*

- გაიგე?

- გავიგე! - ვუპასუხე და იოსებას გავძახე:

- «ნუ დასდევ ნადირობასა, გადაგიხტება შველია»... მანაც სწრაფად შემომამგება:

- წამოხვალ გაცრუებული, გაწუწული და სველია».

როცა მზე მალლიდან ჩამოგვხედავდა და კისერში დაგვაჭერდა, ტვინი თავის ქალის ახეთქვას ლამობდა, ასე იცოდა, როცა ქვენა ქარი უბერავდა. აი, მაშინ უკვე მარილწყარილი ლექსების თქმა დაიწყებოდა. იგონებდნენ სოფლის გასათხოვარ გოგონებს, ახალ პატარძლებს, ავ დედამთილებს. ეს გუთნისდედასაც ამხიარულებდა, მეხრესაც და კამეჩებსაც კი, ზანტად რომ მიალაჯებდნენ.

ღვთისო წელიწადში სამჯერ მაინც შეაბამდა გუთანს. გაზაფხულზე ცალუღელს, როცა თვრამეტი თუ ოცი ალო იხვნოდა. ანუღს - მაისში, ამ დროს ოცდაათ ალომდე იხვნოდა და შემოდგომურს, მზრალის სახვნელად, გარდა ამისა, ფარცხვის დროსაც ოთხი-ხუთი უღელი ფარცხ-კაბდოში იყო შებმული. მაშინ უნდა გენახათ ღვთისო, განიერი ნაბიჯით რომ მიალაჯებდა და გაშლილი ხელით აბნევდა ხორბალს, დამთავრების წინ გადაყრიდა მუჭა ხორბალს და იტყოდა:

- ეს ჭიასა და ლუასა, მეორეს - ეს ჭივჭავსა და ჩიტსა, ეს თაგვსა მღრღნელსა, ეს ქაჯსა და ეშმაკსა, ეს კიდევ ყველა კეთილსა, ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ალაღ-მართალსაო.

თავის ნახნავს ისევ თვითონ თესავდა. ძლივსღა შემორჩებოდა დრო, რომ თავის გიგოს ამოსდგომოდა გვერდში და საყვარელ ვენახში ეტრიალა, სადაც ჩამწკრივებული იყო ჩინური, გორული მწვანე, ბუდეშური, შავკაპიტო, საფერავი, ჟღია, ხარისთვალა და სხვა მრავალი.

- ღვთისო, შენი ოჯახის გახარებისა, ე ჩემი ბიჭიც მიიღე მოდგმათ, - შეეხვეწებოდა რომელიმე ქვრივი.

- ბაბაღს მივიღებდი მაგრამ პატარაა, დაიგვალება.

- მა რა ვქნა, მე უბედურმა, სასეფისკვერო ხორბალი როგორ გავიწყვიტო სახლში?

- ისე იგულე, თითქოს მოდგამია. რომელი მიწა გინდა მოგიხნათ?

- რომელი რა, ათასი ხო არა მაქ, პანტი რუხე რო გრძელია, ისა!..

და ერთ მშვენიერ დღეს გუთნეული გრძელა მიწასა ხნავდა, წინა დღეს კი შეუთვლიდა ღვთისო: სადილ-სამხარი გადმოგვიტანეო<sup>22</sup>. ამ დღეს ბაბაღს ბიჭს წინა მეხრედ დასვამდა, მაგრამ ჯერ გამოცდას ჩაუტარებდა.

- კარგი და პატოსანი, რომ აგიტეხია, მეხრეობა მინდაო, გუთნის სახელები იცი?

თავი დაუქნია, ვიცო.

- მაშ აბა, რანაირი გუთან-სახვნელი იცი?

- ჯილღა - დიდი გუთანი. გუთანი, ღვთისოს გაკეთებული, სულერთია, ჯილღააო...

- აი, შე... და გავიციანდით ყველა. რადგან, მართალია, ღვთისო გუთნებს აკეთებდა, მაგრამ ისე წმინდად ვერ თლიდა და აშენებდა, როგორც ქიტე.

- მერე?

- ორხელა, ოქოქა, აჩაჩა, კვალგასატანი.

- თვითონ გუთანი?

– აი, რვილი – გუთნი ყელი.

– მაგის ლექსი?

*«შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა,  
შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი ქერისა».*

– კარგია, მერე?

– შოლტა, ღერძი, ჩხა, ველის გოგრა – ღირღიტა კვალის თვალი.

– ყველას მაგას ერთად რა ჰქვია?

– რა ჰქვია?

– ჰო...

– ფამფალაკი.

– მერე და რატო უცხად არა თქვი?

– რავი, გული გადამიქართულდა:

*«შენი ჭირიმე, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო».*

– თვლებში რომელია გახეშილი?

– არც ერთი, ორივე ბოშათ არიან. გუთნის თავის ღერძი ხომ არ ტრიალებს... საქლემში, ზედ სახნისი, მის წინ საკვეთი, ფარეშები აქვთ, ხმალა, ფრთა, საქლემის ბოლო ქუსლია.

– შენ მართლა გცოდნია, აი... – გაუკვირდა ღვთისოს, – მერე, მერე?

– ორი ღვედი, ერთი ჯამბარა, ჩხაზე ცული, ფრთაზე ჩევი, თექვსმეტი აპეური, ორმოცი ტაბიკი, აქედან რვა თავტაბიკია, ექვსი მეხრე, ექვსი სახრე, ერთი გუთნიდედა.

– რამდენი კორაა?

– კორა?

– ჰო, კორა.

– რამდენი უღელიცაა, ორჯერ იმდენი, საქედურის თავზე კორაა.

– რამდენი ჯამი?

– შვიდი ჯამი, შვიდი კოვზი.

– გუთანს ოთხი მეხრე უნდა, ექვსი რათა თქვი?

– ორი ღამის მეხრეა. გაზაფხულზე ხუთი უნდა, ერთმა დაასვენოს სხვები.

– ექვსნი ვართ და შვიდი ჯამი რაღაა?

– თუ მგზავრმა ჩამოიარაო...

– შენ რა გინდა გამოხვიდე?

– გუთნიდელობა მინდა.

– რაო? მომე სახრე!

მიაწოდა, ღვთისომ სახრე ალერსიანად მოუცაცუნა მხარზე.

– ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ, როგორცა ჩანს, ბალახი არც შენ გიძოვია...

– აბა, დროა....

და მალე ისევ ავარდა ცაში ოროველა.

*«ხარმა სთქვა, ხართან შემაბი, ხარულათ გამაწვევინე,  
ოღონდ ტოლს კი ნუ დამიდებ, დამკარ და გამაწვევინე».*

ობოლმაც შეუწყო ხმა:

*«სიღარიბე და ობლობა ორივე გამომიცდია,*

*სიღარიბე ხომ ძნელია, ობლობა გადამეტია».*

– ზედა, ზედა... – გასმახა ღვთისომ და მის თვალში ცრემლივით შევნიშნე რაღაც.

გემრიელი ლობიოს კეთება იცოდა ბაბალემ, წნილი უკეთესი, ჯონჯოლი და ქარქვეტა, კორჩხილა და ღრინჭოლა, ნიორი და ღანძილი სულ ჩაწიკვიკებული ქილებით ედგა, მარტო ის ეყოფოდა კაცს, ამას ზედ მოაყოლებდა მახობელა გამტკიცულ პურებს. აამწკრივებდა ლურჯ სუფრაზე. სანიადაგო პური ერთიც არ ერია, თან ბოდიშობდა:

– სიღარიბეს რა ვუთხრა, თორემ თქვენ სხვა პატივი გინდათ, – და ცივად მოხარშულ დედალსაც მიაწვდიდა სანდრას, – დასჭერ და მიართვი ღვთისოსო.

– ადამიანო, ე პურზე რაღად გაისარჯე? სადღეობოდ გექნებოდა შემონახული.

– დღევანდელ დღეზე კაი დღეობას სადა ვნახავ?!...

სველ ხელადაზე ყველას თვალები აუციმციმდებოდა, საღვინეს ზურას მიაწოდებდა. შენ ჩამოარიგეო, ჩვენიანი ხარ, შენ გეკუთვნის ამ ღვთისნიერი ხალხის სამსახურიო.

– თქვენი სიცოცხლით, ჩემი ბიჭის ბედნიერებას შევესწრო და მერე...

– ბაბაღე, იცოცხლე და იდღეგრძელე, ჭირი დალხინებდა შეგეცვალოს, ბიჭი კარგი გეზრდება, ნაყე-ნაყეს არა უგავს რა, ერთი ეგაა, ხელობას მედავება...ღმერთმა ქნას, კაი გუთნიდედა დადგეს და სოფლის თავკაცობაც იკისროს...

შაქროს თვალები დაეხარა, ბაბაღე კი გაბადრული მადლს იხდიდა. აბა, ღამურებო, ჯერი თქვენია, – შეუტევედა ღამის მეხრეებს და გადავიდოდა ალავერდს.

მალე წამოგვშლიდა. დღეს გუთანი გამარჯვებული ვატაროთო.

ღამის მეხრე სოფელში გამორჩეული ვაჟკაცი იყო, ისე, როგორც მეცხვარე, ღამის მეხრეც გამძლე, ამტანი ბიჭი უნდა ყოფილიყო და სანდრა და ზურაც ასეთები იყვნენ; საქორწილო ბიჭები იყვნენ და კარგად იცვამდნენ, ფეხზე გორული გამოქნილი

ტყავის ქალამანი ეცვათ, თასმით ამოსხმული, დანარჩენებს კი – გამოუქნელი ტყავისაგან, დაგრეხილი კოპით<sup>93</sup> ამოსხმული. ჭრელი წინდები და შიგ ჩატანებული, სახლში მოქსოვილი ლურჯად შეღებილი შალის შარვალი ან ლურჯი და შავი ხალათი ეცვათ, ან ლურჯი ახალუხი; ქოჩორზე ჩიტის ბუდესავით წამოედოთ ნაბდის ქუდები, როგორა დგებოდა მათ თავზე, დღესაც არ ვიცი. საღამისხაროდ გრძელი თხილის ჯოხები ჰქონდათ, ორ-სამმეტრიანი, რომ დაყრდნობოდნენ და რუზე გადამბტარიყვნენ.

მეც მთელ ღამეებს ღამის მეხრეებთან ვატარებდი, ჩემი ნაბადი კამეჩს ედო ზურგზე, თუ ჩამოვარდებოდა, ნიკორა იმ ადგილიდან არ დაიძროდა.

არ შემიძლია, ჩვენი ნიკორა კამეჩი არ მოვიგონო. იგი თვალთ მარღია<sup>94</sup> იყო. მაღალი, ძვალმსხვილი, ძლიერი, იტყოდნენ ხოლმე: «ნიკორას ლიახვის ხეობაში ბადალი არა ჰყავსო». გუთანში თუ ურემში დაღლა არ იცოდა, რამდენიც არ უნდა დაგედო, გასწევდა და წაიღებდა, თუ უღელი გაუძლებდა. მეუღლეც რომ მშრომელი გამოადგა! თუ ტვირთი მძიმე იყო, ლომას უღელს ვუგრძელებდით, ე. ი. ნიკორას ვუდებდით ტოლს. უღელს ორი სატაბიკე ჰქონდა, ერთი შუაზე, მეორე ცოტა მოშორებით!

ერთი უბედურება სჭირდა ნიკორას, სანამ უღელში შევაბამდით, ერთი-ორჯერ გაითამაშებდა, ხუმრობდა, უღელს არ ეკარებოდა, როცა ყურებზე ხელს მოვკიდებდით, დაგვყვებოდა, მოგვყვებოდა უღელამდე, ავწევდით უღელს, რომ ქედზე დაგვედგა. დაიქნევდა თავს და გავარდებოდა წინ. გულს რომ იჯერებდა, თვითონვე მოვიდოდა, დახრიდა თავს და უღელს უკვე აღარ გაურბოდა. სამაგიეროდ, გასწევდა და წავიდოდა, სახრეს არ დაიკრავდა. მაგრამ თუ დაინახავდა «შლიაპიან» (წინათ იცოდნენ დიდი, მაღალი, ბუბულებით მორთული ქალის ქუდები) ან ლეჩაქიან ქალს, ერთი კი დაუქნევდა თავს, გაამტვრევდა ტაბიკებს და მოუსვამდა, ხშირად შუაღამემდე გვიძებნია. მოედებოდა სიმინდებს. მეორე დღეს ხევის კაცები გვადგნენ კარს. «თქვენი ნიკორა ყოფილა მავანისა და მავანის სიმინდშიო».

როგორც ვთქვი, ერთ ზაფხულს ღამის ხარში ვიარე. გუთნეული რო დაეყრებოდა ამოსაცოხნად, ღამის მეხრეებიც თვალს მოვატყუებდით. ნიკორამ გაპარვა იცოდა და მე თავს მის უკანა ფეხზე ან ფერდზე დავდებდი ხოლმე. თითქოს სიმშვიდეა, ნიკორა დინჯად იცოხნის, მაგრამ აი, ფეხი ოდნავ შეინძრა და გაჩერდა. მე გავიტრუნე, ფეხი ნელინელ მეცლება თავიკვეშიდან, თავი უკვე მიწაზე მიდევს. ნიკორა არ იძვრის, ცოხნა შეაჩერა და თავი ჩემკენ აქვს მოხრილი. ფრთხილად დგება ფეხზე, კუდი გაშემებული აქვს, კისერი-წაგრძელებული, თითქოს სუნთქვა შეიკრაო, მოიხედა ჩემკენ და დარწმუნდა, მძინავს. უხმაუროდ გადადგა ნაბიჯები. დაგვიანება აღარ შეიძლება.

– ნიკორა! საით?– ზოგჯერ მგლის ყურს გამოიბამდა, მაგრამ ისე კი მალე იცოდა გაგონება. აი, ამ ძახილზე შედგა, მოიხედა ჩემკენ, დაიყოყმანა, დააქნია თავი და წამოვიდა თავისი ადგილისკენ. დაწვა, ამოიხვნეშა და დავადე თავი ფერდზე. ღამეში თვალები უელავდნენ. დღე რომ ყოფილიყო, საყვედურს ამოვიკითხავდი; სად მიდიოდა? სიმინდებში, რომ კარგად გამომძღარიყო, რა იცოდა, რომ მის ნაფეხურს ჩვენებური ბაღლიც კი ცნობდა და მეორე დღესვე ხევის კაცები თავზე დაგვადგებოდნენ. გუთნეულის ერთ ან ორ ალოს მოგვთხოვდნენ.

მამაჩემმა იცოდა: «რო შემეძლოს, ნიკორასა და ლომას ძეგლს დაუდგამდიო». მაგრამ როცა დაბერდნენ, გორში გაყიდეს და გუთანში შაქარამ და მერცხალამ შეცვალეს ისინი.

რას ვაკეთებდით მთელი ღამე? ზოგჯერ მეზობელ გუთნეულის ღამის მეხრეებს შევხვდებოდით, ვკვირდებოდით, ვიგაობდით, ვლექსაობდით<sup>95</sup>.

უმთავრესად კი ისეთ ადგილებს ვემებდით, სადაც კაი ბალახი იყო, ცოდვა გატეხილი ჯობს, ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყუებო, ნათქვამია, ზოგჯერ დაყორულებულ<sup>96</sup> ადგილას შევრეკავდით, რას იზამდი, მაშინაც

მთელი ქართლი გადახნული იყო; მცხრალი და ნაჩხატი არსად ჩანდა. მთვარიან-ვარსკვლავიან ღამეში სოფლის გუგუნის ისმოდა, ზურა ტოკვას დაიწყებდა.

– ლხინია სოფელში...

– რა დროს ლხინია?

– აბა, ყური მიუგდე?

მართლა ყრუდ თუ რბილად ისმოდა დოლის ბაგაბუგი, სალამურის უცნაურად ტკბილი ხმა. პირდაპირ კი არა, ციდან ჩამოისმოდა, თითქოს კაკლის თავები გადმოიარაო და ნელ-ნელა იშლებოდა მინდორზე. ზურას შეგულებული ჰყავდა ქვემოუბნელი თეო და ცოლად უნდოდა შეერთო, მაგრამ თეო არც «ჰოს» ეუბნებოდა, არც «არას». რას უწუნებდა ამ აღდგომის კვერცხივით ჩაკირულ ბიჭს, არ ვიცოდით; ვაჟკაცი იყო, ლიახვის მაზრაზე იმას ბიჭი ვერ დაჰკრავდა<sup>7</sup>, მხარბეჭიანი, მკერდგანიერი, დიდთვალეზა, ტუჩკბილმშვენიერი, კარგი მცელავი და მომკელი; ბარს რომ დასცემდა, გეგონებოდა, მიწა ჩაანგრიაო, დღეობის ერში გაერეოდა და ერის მშვენება იყო.

– რა ლხინია! – წამოიწყებდა ისევ ზურა.

– ზურა, წადი, ერთი გაჰკარ-გამოჰკარ და ამოდი...

– მერე, საქონელი?

– «ხელათ ამოვალო, » – და გაქრებოდა უკუნეთში, მუხის ჩრდილებში.

საქონელს რომ საყრელზე მოვრეკდით, უკვე შუალამე იყო და თელის ჩრდილიდან ზურაც გამოვიდოდა.

– იყავ?

– ვიყავ, მაშა.

– ათამაშე?

– ჰო.

– რაო?

– როცა ვათამაშებდი, წავჩურჩულე: ხომ გამომყვები-მეთქი და, «შენაო, ხატის ღვინო ხომ არ დაგილევიაო?» გასხლტა და დავკარგე. ვემბე, მაგრამ ლხინში აღარ იყო, აქეთ რომ მოვდიოდი, გზის პირს დამხვდა. «აჰაო, შენთვის მოვქსოვეო», აი, ეს წინდები მომაჩეჩა და გაქრა.

– მაშ, შენია და შენია.

– როგორ?

– აბა, წინდებს სხვას მოუქსოვდა?

თვალეზის ბრწყინვაზე შევატყვეთ, რომ გაუხარდა. ვიტყვი ბარემ ზურაზე, რაც სათქმელია.

ზურა შემოდგომაზე ქორწილს აპირებდა, «სამი დღით მაინც ხომ ვიქნები მეფეო,» – ამბობდა. «შენ უნდა იყვე ჩემი მეჯვარეო», – მეტყოდა ხოლმე და მეც მემამყებოდა, რომ სოფლის საუკეთესო ბიჭის მეჯვარე ვიქნებოდი, ჯერ ანეული არ გამოგვეყვანა და რიგ-რიგა<sup>8</sup> შეკრა. გამოვიყვანეთ ანეული თუ არა, თოხი აიღო. სუ ტალიკ-ტალიკი ბიჭები შეკრიბა, ერთმანეთის მჯობნი: ქოჩორები, დიდთვალეზიანი, შავულვაშაშლილები, სქელკისერა და მკერდგანიერები. ისე უსვამდნენ თოხს, გეგონება, ჩვენებური ნაგვალი<sup>9</sup> მიწა კი არა, სველი ქვიშააო.

მთელი დღე მათი ენა არ გაჩერებულა. ხან სიმღერას იტყოდნენ, ხან-არაკსა, ხან გაელექსებოდნენ ერთმანეთს. დაიწყებდა ზურა:

*«შენი ჭირიმე, მჭადოო, შენი ბიჭობა ვცადოო,  
მანამ შენ არ მოგიყვანე, ქალი არავინ მანდოო».*

– აბა, შაქარა, მომყე:

*«მაინც არ მოხვალ, სიმინდო, გინდ გაცურაო წყალშია,  
ქალებს გათოხნილი ხარ, არ ჩაიყრება მარშია».*

– ვითომ რათაო? – იკითხა ვახტანგმა.

– იმიტომაო, რომ სუსტად სცემთ თოხსაო.

– ახლა რომ სულ ქალები თოხნიან!

– ახლა? ახლა სხვა დროა. დაიცა, დამამთავრებინეთ რიგ-რიგის ამბავი. შაქარა ვანეს გასძახებდა: აბა რას იტყვიო.

*«მობრძანდი, მჭადო გორულო, თუ ჩემი ბედი ღირსაო,  
ზურგიტ წაგიღებ წისქვილსა, აღარ გაკადრებ ვირსაო».*

ახლა სანდრა ჩაერთოდა:

*«ბიჭები დაქურებულან სიმინდის სათოხნელადა,  
ქალები დაქურებულან ბიჭების საკოცნელადა».*

- მაგათში დოღრიალანთ თეო ხო არ ურევია? – იკითხავდა ვასა, ვითომ მიაშიტად.
- აბა, აბა, შენ შენს კვალს მოუარე, – გასძახებდა ზურა:
- მაგრამ დაცხებოდა, დააჭერდა მზე კისერში და გამწარდებოდა სული. გული ველარ ეტეოდა საგულეს. ჭირდა თოხნა. და, აი, სწორედ აქ იწყებოდა კვლავ პილპილმოყრილი ლექსები. ჯერ ერთი, არ დაივიწყებდნენ სოფლის ქვრივებს. თავის სოფელში რომ გამოეღოდათ, ახლომახლო სოფლებს გადასწვდებოდნენ.
- რას ერჩოდნენ ქვრივებს?
- იმათი რწმენით, სათოხნში რომ ბევრი ჭანგა ერია, ქვრივის ბრალი იყო თურმე, და აი, რად:
- აიკრიფა გუდა-ნაბადი ჭანგამ და წავიდა მთისკენ. გზაში ქვრივი შემოეყარა:
- გამარჯობა, ჭანგა,
- გაგიმარჯოს, ქვრივო.
- საით გაგიწევია?
- მთაში მივდივარ.
- ვითომ რათაო?
- როგორ თუ რათაო, გამიწყალეს გული რიგ-რიგის ბიჭებმა, მომისვამენ თოხს და ხან იქით გამაგორებენ და ხან აქეთ.
- სულ ეგაა?
- მეტი რაღა გინდა?
- მაგას რა ჯობიან, რას შეუშინებინებარ? წამო, დაბრუნდი, მთაში რა შავი ქვა გინდა?
- ასე დააბრუნა ქვრივმა ჭანგა სათოხნში: ამიტომაა, რომ ჭანგიაში სულ ახალგაზრდა ქვრივებს იგონებენ».
- მე სხვაც გამიგონია, – ჩაერია გივი.
- აბა, აბა?
- თურმე კლანჭა ყვავდა...
- კლანჭას ფესურაც ძალიან ჰგავს ჭანგას, კლანჭა სხვაა, ჭანგა სხვაა...
- თქვი, თქვი... – შეეხვეწნენ ბიჭები.
- ჰო და კლანჭას ფესურა აიტანა ბუდეზე ყვავდა, ცხრა წელიწადი იქ იდო. მეთაზე ქარმა ძირს ჩამოაგდო; ფესურის კლანჭი გუბეში ჩავარდა, თავი წამოყო და თქვა: « უჰ, კინალამ არ მოვკვდიო».
- იცით, ბიჭებო, ორივე ეს არაკი ჩვენი ხალხის დიდ დაკვირვებაზე ლაპარაკობს – ჭანგა მთაში მართლა არ არის, კლანჭა კი ბარშიცაა და მთაშიც.
- რიგ – რიგა როგორღა თავდებოდა?
- როგორ და, ყველანი რომ ჩამოითავებდნენ, მერე ერთ – ორ დღეს ქვრივსა და ობლებს შველოდნენ, უფასოდ გაუთოხნიდნენ. დილით გაუვლიდნენ და დაუძახებდნენ:
- ბაბაღე, შენი სიმინდის სათოხნად მივდივართ და სადილი გადმოგვიტანეო.
- უი, თქვენ კი გაიხარეთ, თქვენს მშობლებს დაადგა ნათელი, აქაც და იმ ქვეყანაშიც, თქვენს სახლში კი მენახოს მზეთუნახავი პატარმალ და ოქროსქოჩრიანი ბიჭები...
- ბაბაღე, მაგის საცოლე მზეთუნახავი კი არა, მუგუზალსა ჰგავს... – წაიხუმრებდა ერთი.
- გაიგონოს, ის გაჩვენებს მუგუზალს... კარგი, გენაცვალეთ, კარგი.
- ბევრს ნურას გაირჯები...
- და, აი, ასე ზაფხული შრომაში, ხუმრობაში, სიმღერაში, სიკეთეში. რას იზამ, ზაფხული ზამთრის მუშაა.
- მაგრამ გავყვეთ ისევ ღამი-ხარს.
- თვალი მოვატყუეთ და ცოტა ხნის შემდეგ ძოვებით გავიყოლიეთ კუბანაურებისაკენ<sup>100</sup>, ღვთისო გუთანთან იდგა, ჩეკით ფრთასა წმენდდა, ის იყო, ირიჟრაჟა, ტოროლებს ჯერ კიდევ თავი ფრთის ქვეშ ჰქონდათ ამოდებული.
- აბა, ნულარ იგვიანებთ...

და მალე ავარდა იოსებას წკრიალა ხმა ჰაერში.

ღვთისომ დიდხანს იცოცხლა; გუთან თავის შვილს კოლას ჩააბარა, თვითონ ვენახში გადაინაცვლა. დიდი ომიანობის დროს იქით ვიყავ, სოფლის გარეთ ქარხნის ადგილი უნდა ამოგვეჩია, სრულიად გათეთრებულმა კაცმა ურემი გააჩერა.

- აი, ესეც ჩვენი ღვთისო, ოთხმოცდაათისაა და თავისას არ იშლის, ასზე მეტი შრომადღე აქვს, ტრაბახობდა კოლექტივის თავმჯდომარე.
- აი, ღვთისო, ჩვენი პროფესორი!

– აბა, ჩემი მეხრე ცუდი გამოვა? ჰო, საკალოე ადგილები მოვაკაბადოვე, მოვასწორე. არ დაგავიწყდეს, გარდიგარდმოში ანუელი როა, ბალახი მორევა, ასაოშია<sup>101</sup>. დღეს ცოტა მზე იკბინება, ბულბული აღარ ავშაღეთ... შენა, – მომმართა მე, – რაზე დაგვანატრულებ ხოლმე თავსა, ხანდიხან უნდა მოხედო და ინახულო შენი ადგილის დედა.

– მართალი ხარ, დამნაშავე ვარ, შენ რა, გუთანს გაუწყერი?

– ისიც მოკვდა, ვინც ღამე ხნაო, ხომ გაგიგონია, გუთნის მუხლი აღარ მომდევს. ხიი, შე სამგლე, – შეუტია ხარებს, რო მოიწევდნენ.

– გაავდრებას აპირებს, მზე იკბინება და ბუზი ეხვევათ, – ხარებს გაუძღვა.

– სადამოზე ჩემთან ჩამოხვალ და ჩერჩილის ამბავსაც გაიმბობ... – და გაიცინა მადლიანად.

(ეს ძველზე მითხრა, თეთრი და ლურჯი ხელმწიფეების ომები რომ იცოდა).

აი, ვინ იყო კაცური კაცი, სწორედ ღვთისოს მაგვარნი იყვნენ ჩვენი წინაპრები, ღვთისოსთანა მაგარი ბეჭები ჰქონდათ, რომ წამოიკიდეს ჩვენი ქვეყანა და დღემდე მოიტანეს.

### ხევისკაცობა

პეპა სოფელში მოწინავე კაცი იყო, სოფლის თავკაცებში ითვლებოდა. ქვითკირის სახლი ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიდგა, ყოველ შემთხვევაში, ბავშვობიდანვე.

მახსოვს მისი ორსართულიანი სახლი. დანარჩენ მეზობლებს მაშინ მიწური სახლები ჰქონდათ.

პეპე, ჩვეულებრივ, ჩუსტებს იცვამდა, გრძელ ახალუხს, იხურავდა ყალმუხის ქუდს<sup>102</sup>. კვირადღეს კი ჩოხას იცვამდა, აზნაურთა წესის მიხედვით<sup>103</sup>, ხოლო ქამარ – ხანჯალს არ ატარებდა, იყო მშრომელი, უფრო დიდ ოჯახში სარისტის<sup>104</sup> მიმცემი, ოჯახი დიდი ჰქონდა და, ასე ვთქვათ, წამსვლელ-მომსვლელის დამხვედური იყო. პური მის ძმას, ვასოს, მოჰყავდა, ის იყო გუთნიდეთა, ოთხი უღელი ხარ-კამეჩი მისი იყო და ამიტომ მოდგამი ცოტა ჰყავდა. რკინის გუთან რომ შემოვიდა, არ მიიღო – ზეზეურად ხნავსო; როგორც მიწირია, ისე ვწირავო; «რკინის გუთნით მოვხნა და იმან სიმინდი ვერ მოიყვანოს, ხო იცი, სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიანო. მამაჩემმა რომ გაიგოს, საფლავეში გადატრიალდებაო», – იტყოდა ხოლმე, როდესაც რკინის გუთანს შეუქებდნენ.

– არა, ისევ ჩემი აშენებული გუთნით უნდა ვანგრიო მიწა...

ბიჭები წამოეზარდა, მაგათზე იყო ნათქვამი: დავწვრილმვილდი, დავიწიე, დამეზარდნენ, ავიწიეო. ბაღიც წამოესწროთ, ცოტაოდენი ფული გაუჩნდათ. ტყვიავსა, ქერესა და კარბს სახასო მიწები ბევრი იყო, თვალი დაადგეს. პეპა ხშირად დადიოდა ჩვენსა, მამაჩემს სთხოვდა: არზა დამიწერეო. მამა ამ საქმეში აქტიურად ჩაერია, «მამული გლეხმა უნდა ჩაიბაროსო» და, მართლაც, საადგილმამულო ბანკის დახმარებით შეიძინეს.

პეპა გულმართალი კაცი იყო, მყვირალა, ყველას პირში მიახლიდა სიმართლესაც და მის მტყუანობასაც, მაგრამ ამავე დროს გულქართული, უხვი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, მომდურავი თითქმის არა ჰყავდა.

გადამთიელი რომ ყოფილიყო, სახლში მიიწვევდა, სუფრას გაუშლიდა, გულს გადაუხსნიდა, მეზობლებსაც გადასძახებდა: მომხედეთ, მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო. თვით კარს არავის აუტალახებდა, მობრძანდის კაცი თუ არ ეახლებოდა; შემთხვევით არ იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს (იმ წელს სოფელში დავრჩი) გამომეცხადა და მახარა: ხევისკაცებად აგვირჩიეს შენა, ჯაშანთ ლექსო და მეო.

მე პირი დავადე.

– პეპა, მე რა ხევისკაცი ვარ, სოფლის ადათ-ჩვეულება....

– ეე... მაგას რა დიდი ღარი და ხაზი უნდა: ჯერ ერთი, სოფელიც იცი, მეორე – წიგნი იცი, ბრძებში ცალთვალის სარდალიაო; მესამე-უბრალოდ, ჩაყრილ ჯამთან ჯდომა არ გიყვარს. დათვი დათვსა ჰპატიჟებდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო. ასეთ კაცს არ ეკადრები, განა ვერა ვხედავთ!

მანც შემაფიქრინა. ხევისკაცობა ნიშნავდა სოფლისათვის სამართლის მიცემას. ხევისკაცს ეკითხებოდა: წანახედი<sup>105</sup>, მიწა – წყალზე და მიჯნაზე დავა, ქურდობა, წყლის დახვეება, წყლის ქურდობა და, ვინ იცის, კიდევ რა.

– რატომ არა მკითხეთ?

– რო გვეკითხა, უარს იტყოდი. ახლა კი სოფლის გადაწყვეტილებას სად წაუხვალ? – და კეთილად გამიღიმა. რაღა მეთქმოდა, დავთანხმდი, სიმნელეზე ისევ პეპამ გამიკეთა გული: «ომში რა ჯობიან და ხელში რაც მოგხვედებაო».

ის-ის იყო, მზე გადაიხარა და ჩრდილი დაგრძელდა, რომ პეპა და ლექსო კარზე მომადგნენ, მათ ახლდა პაპიანთ მათე, რომელსაც ჩია ტანის გამო «მაჩვის ტაბიკს» ეძახდნენ (მათეო, რომ გეთქვათ, ბევრი ვერც კი გაიგებდა, მაგრამ «მაჩვის ტაბიკი» ყველასთვის ცნობილი იყო).

– პანტელაანთ კამეჩებს მათეს სიმინდი წაუხდენია, ღამიხარიდან გაპარულან და ისეო.

– მერე და რა იციან, რომ სწორედ პანტელაანთ კამეჩებია?

- ამას რა ცოდნა უნდა, კვალის მიტანა ადვილია, ნაფეხური ხომ ისე წერს, როგორც შენი კალამი ქაღალდზე.
- კვალში ჩავუდგეთ და იმათ გუთანთან მიგვიყვანს...
- ჩემი კამეჩები არ იყვნენ, - უარობდა პეტრე.
- აქ რა წყალი ვნაყოთ, წავიდეთ მინდორში, ჩავუდგეთ კვალში, ვნახოთ ნაფეხური და რასაც ის გვეტყვის, ჩვენც ის გადავწყვიტოთ.

მივედით სიმინდთან, თითქმის ნახევარი კვალი გამოვივლია. გარინდებული მივყვებოდი და გულისყურით ვისმენდი მათ მსჯელობას:

- ორივე შენი კამეჩია, პეტრე, ნიკორაცა და შაქარაც, რას იტყვი?
- რაღა მეთქმის? ძალიან კი არ დამჩაგროთ.
- ჰო და აგაშენა ღმერთმა. სიმინდს რომ მოსჭრი, ორკოდ-ნახევარი უნდა მიუწყო. არა, ალექსი, შენა, ჩვენო წიგნის ოსტატო!

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

- უდანოთ ყელსა მჭრით და ეგაა. ე ნახევარ კვალს მაგდენა გამოვა? დაკარგული ფური ბევრს იწველიდაო, - თქვენ ისე სჭრით.
- ცოტაა!... - ყვირის მათე.
- მართალია! - უდასტურებს პეპა.
- ბევრია!
- შენც მართალი ხარ!

ჩვენ გვედიმება, ედიმება პეპასაც.

ჩვენს სოფელში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახავდა ადამიანის თვისებას: სიხარბეს (მგელი), ეშმაკობას (კუდიანი), სიჯიუტეს (ჯიქი), გარეგნობას (ნიკორა, ყურა, ჯაგრია); შემდეგ ამ სახელიდან მათ შვილებს (ვაჟებს) ერქმეოდა მგლიბიჭი, კუდიანის ბიჭი, ნიკორას ბიჭი. იყო სახელები, რომელიც შეიძლებოდა ქართველი ტომების პირველ სახელებს აღნიშნავდეს (ბაბაია, ბათრაჯა, კუნა, ბოკო, შოთია, კუჭია, შეთე, ოხო და სხვ.), «ზნაჩიტა» - ჯარიდან რომ დაბრუნდა, სულ «ზნაჩიტს» გაიძახოდა, გულკოჭა - იმერეთიდან გადმოსული ტაბარუკი<sup>106</sup> იყო. როცა გაჯავრდებოდა, იტყოდა: «გულს კოჭი მომიყვანეო». გარდა ამისა, არსებობდა სახელები, რომელნიც დღეს არაფერს გამოსახავენ (ტეკანე, ტოტობა, ჭიკია, ჭრიკი, ცოცობა, ტოტო, და სხვ.). ხშირად ზედმეტი სახელით ოჯახი იხსენებოდა: ქვაკრეფიანი - ქვაკრეფია, კუდიანიანი - კუდიანი, მჭედლიანი, მღვდლიანი - (ოჯახის უფროსის პროფესია) და სხვა. ასეთი ზედმეტი სახელი ერქმეოდა ვაჟებს, იშვიათად - ქალებსაც.

- ცოტა - ვისაც ბევრი აქვს, ბევრია - ვისაც ცოტა აქვს.
- ჩვენ შუა ნათელ - მირონი რომ არა ტრიალებდეს, მე ვიცოდი, მაგრამ თქვენ სად გაგექცევათ კაცი, - ამბობს პეტრე.
- ჰოდა, რახან ეგეც იცი, შინ წადი და ჩვენც მალე ჩამოვალთ, თიკოს უთხარი, არა დაგვაკლოს რა. გარდიგარდმოებშია კიდევ რაღაც წანახედი, იმასაც ვნახავთ და მალე თავს დაგიკრავთ.
- ორივე სოფლისკენ წავიდა - პეტრეც და მათეც. ჩვენ კი გარდიგარდმოებში ვნახეთ ერთი სიმინდი.
- თქმა არ უნდა, ძელანთ ხარებია. აი, ეს, ბეჟანას კვალი, ეს ჭოტასი, - თქვა პეპამ, კვალს რომ დახედა.
- ჰო, იმათსა ჰგავს.
- ახლა იმათ როგორ მიუდგება კაცი...

- მიუდგება. სოფელს ვერ გაექცევინ. არც ისეა საქმე, მელიას კუდის მოქნევამ ქათამს თვალი გამოსთხარაო. ავეყიებია, მაგრამ მოველება, ხომ იცი, სოფელი ღონიერია, - დინჯად თქვა ლექსომ და დასალიერზე გახედა გაწითლებულ მზეს.

ჩავედით სოფელში, პეტრეს დერეფანში სუფრა გაეშალა, ყველი, მწვანილი, მწნილი, კარგი მახობელა<sup>107</sup> პური და სველი ხელადა. პეპამ ხელადა აიღო ხელში. ცოტა შეაქანა, სავსეა თუ არაო. ცოტა ხნის შემდეგ მათეც მოვიდა, ცალ ხელში ლურჯსუფრაგადაფარებული ხონჩა ეჭირა, მეორეში - სველი საღვინე.

- ეჰ, მათე, შენ აგაშენა ღმერთმა, აი, მაგაზე ნათქვამი: კაი კაცი სუფრაზეო, თანაც ხელდამშვენებული. გაავსო ჯამი და მიაწოდა. იმანაც ჩამოართვა, უღვაშზე ხელი გადაისვა, წამოახველა, მალა აიხედა, «ღმერთს შეხედა».
- აგაშენოთ, დაგამშვენოთ, ხვავი და ბარაქა არ გამოილიოს თქვენს ოჯახში, - და დინჯად შეუდგა ჯამის გამოცლას.
- გაამოს, ჩემო მათე! - შეაწია პეპამ.
- რატომ არ იამება რა? - ვერ მოითმინა პეტრემ.
- რატო რა, მე ვის შევუწვი გველის თავი?

– არც მათეს ჩაუხევი ვინმესთვის მარგალიტის საკინძე.  
– რა, ღვინომ ხო არ მოგტაცათ თავი? – ცოტა არ იყოს შეუტია ლექსომ.  
– ვინა თქვა, მაგრამ არ მიყვარს ორენა კაცი. აბა, ერთი სატალახოც და მორჩა.  
ეზოში რომ გამოვედით, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. პეპა არ ისვენებდა – რათა თქვა პეტრემ მრუდე სიტყვაო.  
– კარგი, პეპა, ხო იცი, პეტრეც მოუსვენარია...  
– მოუსვენარი, თორემ რკინის კარი არ ჩამომიხსნას; მაგრამ მაინც კაი მასპინძელი იყო, ააშენოს ღმერთმა.  
მეორე დღეს ისევ ლექსო და პეპა მომადგნენ კარზე.  
– კაცო, არ გესმის, შუა უბანში რა ჟივჟივია?  
– კიდევ არა, რაღაცას მოვკარ ყური, მაგრამ საქმემ თავი წამართვა და...  
– ხაბაზიანთ ჩხუბი მოსვლიათ, ჯაგრიას გიორგისათვის თავი გაუტეხია. ძმათა შვილები მაინც არ იყვნენ.  
– აბა, მამ იქნება შერიგებისა, თავგასამტეხლო...  
– შენ ეგა თქვი და!...  
ჩავედით. ბანზე ხალხია შეგროვილი, ვაჟი თუ ქალი.  
ყველაზე მეტს გიორგას ცოლი წიწინებდა. დიდი მგელიგლეჯია ქალი იყო, რო დაგვინახა, უფრო უმატა, წუთში ორას სიტყვას მაინც ამბობდა.  
პეპა ჯოხზე დაეყრდნო.  
– აბა, რაშია საქმე?  
უცხად სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგა წინ წამოდგა. თავი თეთრი ხილაბანდით აქვს შეხვეული, თეთრ ტილოს სისხლის წვეთები ატყვია, როგორც ჩანს, მართლა გაუტეხიათ თავი, მაგრამ ჭრილობა მსუბუქი ჩანს, მოსამართლისათვის კი სულერთია, სისხლი დაღვრილია...  
დავობენ კედელზე. კედელი ორი ოჯახისთვის საერთოა, დასავლეთით ერთი ცხოვრობს, აღმოსავლეთით- მეორე.  
– ეს კედელი ჩემია, უსისხლოთ არავის დავანებებ!  
– როგორ თუ შენია!... – აქნევს რკინის ფიწალს თავშეხვეული გიორგი.  
– აბა, მოიტა ფიწალი, – პეპამ ჩამოართვა და ბაღს მისცა, – წადი, საბძელში შეიტანეო.  
– სოლომონ! – მიმართა პეპამ ოთხმოცდაათი წლის პაპიანთ სოლოს, – რამდენი წელიწადია, ეს კედელი აქ არის?  
– რამდენი? აბა, რა ვიცი, რაც თავი მახსოვს, ეგრეა.  
– ერთი ესეც მითხარი, მაგათ მამა– პაპის ჩხუბი გაგიგია ამ კედელზე?  
– ამ კედელზე? ვის გაუგონია, რომ მე გამეგონოს.  
– ჰოდა, თქვენ რაღა ჭეშმარიტი შეგეწიათ, რა თავ-პირს ამტვრევთ ერთმანეთს, არც სახლისკაცობა გწამთ და არც ძმათაშვილობა?  
ხან ერთმა სარჩლა<sup>108</sup> და ხან მეორემ, თანაც ერთმანეთს თათხავდნენ: სახლი უნდა ავაშენოთ და კედელი სწორედ აქ მოდისო. ჩანდა, გიორგა მიზეზიანობდა, მკლავი უჭრიდა და იმის იმედი ჰქონდა. ჩვენ ცოტა წავითათბირეთ და პეპამ გამოაცხადა:  
– კედლის ნახევარი სიგრძეზე ერთსა, ნახევარი-მეორეს, თუ გინდა, დაანგრიეთ და ნახევრის ლარზე ახალი კედელი ააშენეთ. ამ განაჩენისა და პირის გამტეხს გაუწყრეს წმინდა გიორგისა და ძელი ჭეშმარიტის მადლი, ამინ.  
– ამინ, – ვთქვი მე და ლექსომაც და მოჩხუბრებს გადავხედეთ. მათ ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ მაინც თქვეს «ამინ».  
– კაი სიტყვაა, ამინ... – თქვეს ბანზე შეკრებილებმა...  
– ჰოდა, თქვენც მართალი ხართ... ჯაგრია, რაღასა დგახარ? ჩადი, სად არის შენი დედაკაცი?  
იქვე იდგა ისიც, სანდომიანი სახის კეკლუცი მანდილოსანი ჩახმახზე შეყენებულივით იყო, ცოტაც და ისიც ტყვიამფრქვევით აკაკანდებოდა.  
– თადარიგი დაიჭით, შუა უბანში ჩავალთ და მალე მოვბრუნდებით. შუა უბანში რაზმანთ ზაქროს ლიჩელის ძალი მოეკლა და ახლა ის უნდა გაგვერჩია. იქაც იყო დავა, აყალმაყალი, შაქრა, ღვთის წინაშე, კაი ვაჰკაცი იყო, მზის ჩამონატეხსა ჰგავდა დალოცვილი, რა ვქნა, ყურძენსა ჭამდა და ვერ მოვითმინე, ვენახიდან მოვდიოდი და ფეხი უკანა მრჩებოდა.  
პეპამ: შენც მართალი ხარ, შენცაო, – და საქმე მალე მოაგვარა. მეზობლები შევარიგეთ<sup>109</sup>.



– პეპა, ეგ როგორ არის, რომ ყველას ეუბნები: შენც მართალი ხარ, შენცაო, – შევევითხე, უკან რომ მოვდიოდით. პეპას თვალეში რაღაც მხიარული ეშმაკი ჩაუდგა და იქიდან გამომდინა:

– შენც მართალი ხარ. ხომ ხედავ, სამართლის ქნა მახოხის ჭამა კი არ არის!

– მაგათი ღვინო ვალად დარჩება, – სთქვა ალექსიმ.

– რად გინდა? მაგათი დედაკაცები ისეთი ქვაწვიები არიან, ღვინო ყელში არ ჩავა.

– არც ეგრეა, – თქვა ლექსომ, – თითო კოჭოში ყველას ოჯახში დულს, ზოგში რა იხარშება და ზოგში რა.

უკვე მოსაღამოვდა, როცა ჯაგრიასთან მივედი; პირი დაებანა, ახალი ახალუხი ჩაეცვა, მისი ცოლი, კეკლუცა, ფუსფუსებდა: ლამაზი სუფრა გაეშალა, ფეხებამოტრიალებული დედალიც იდო, მწნილიც, მწვანილიც, სველი ხელადაც.

– გიორგა არ მოვიყვანოთ? – ჰკითხა პეპამ მასპინძლებს.

– რავი, თქვენ თვითონ იცით, თუ მოვა, მაგას რა აჯობებს.

– შეარიგეთ, თქვენნი ჯანის ჭირიმე, – სიტყვა შეაწია კეკლუცამ.

– აბა, ლექსო, გაატარე სიტყვა!

შემოვიდა მურწასმული ლექსო.

– არ მოდის, თავი გამიტება და როგორ მოვიდეთ?

– მართალია, აბა, ერთი შენ მიხედე, რაც ბებრებმა ვერ გავაკეთეთ, იქნებ თქვენ იმარჯვოთ, – გამატანა ორლესული სიტყვა პეპამ.

გიორგასაც დაებანა პირი, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. მისი «ამოღებული ხმალი» – ცოლი – ხონჩას უტრიალებდა, თან ტკრციალებდა:

– გაგონილა? თავი გაუტეხონ და აქ გადმოდიო...

ახლა არ მახსოვს, რა სიტყვა ვუთხარი, მაგრამ გიორგა წამომყვა. თუმცა რა ვუთხარი? წამოსასვლელად მზად იყო.

– აი, შენ აგაშენა ღმერთმა! – შესძახა ნასიამოვნებმა პეპამ.

– ჩამოართვეთ ხელი! – უბრძანა პეპამ.

ხელი კი გაუწოდეს ერთმანეთს, მაგრამ თვალეში არ უყურებდნენ. პეპამ აიღო პურის ნატეხი და გაუწოდა ჯაგრიას, «თქვი, რაც წესიაო».

– ამ წმინდა, გლეხის ალალი მარჯვენით მოყვანილი პურის მაღლი გამიწყრეს, თუ როდესმე კიდეც ირიბად გავხედო ჩემს კარის მეზობელს გიორგასა.

ასევე მოიქცა გიორგაც.

პეპამ აავსო ჯამი, შეხედა ჭერს და წარმოთქვა:

– იხარე, ჭერო, მოკვდი, მტერო, სიამტკბილობის მეტი არა გამეგონოს რა თქვენ შორის.

დაცალა ჯამი, დადგა და აავლიჯა ქათამს ბარკალ-თემო, შეატრიალ-შემოატრიალა, სიამოვნებით გაიღიმა და გამომიწოდა:

– აჰა, ჩვენო ხევიკაცო... იმდენი სითბო იყო, რო დღესაც მახსოვს, როგორც უძვირფასესი საჩუქარი. უხაროდა, რომ მშრომელი ხალხი შერიგდნენ.

თითო ჯამი რომ ჩამოვარიგეთ, პეპამ სუფრული წამოიწყო, გიორგა ადგა და ჩუმად გავიდა. მალე შემობრუნდა სავსე საღვინითა და ხონჩით ხელში, თან მალხაზიც შემოჰყვა.

– თქვენ სმეულებას გაუმარჯოს!

– უჰ, მალხაზ, მობრძანდით, – გაუხარდა პეპას.

– რად გინდოდა, კაცო...

– განა გვაკლია, მაგრამ ხომ იცი, ირემმა ირემს გაუწოდაო... ჩემმა დედაკაცმა – კოპრჩხილის მწნილი და კაი ნიგვზიანი თაბასარა<sup>10</sup> იქნება ეამოთ ღვინოზეო.

– მართალი ხარ, გიორგა, მართალი. აბა, მალხაზ, მომეყ.

*«ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში  
 ლხინსა და ლხინის სუფრასა,  
 ვაჟების ქორწინებასა,  
 ქალების გათხოვებასა».*

ახლა მალხაზმა უთხრა:

*«ანაო, ქალო ანაო, ხელპირი დაგებანაო,  
 შენი პირსახის ნატეხი ცივ წყაროს ჩამომდგარაო,  
 შიგ დიაკვანი დამხრჩვალა, საბრალო დედის ერთაო».*

მერე ჯაგრამ თქვა, თქვა და ისე თქვა, კინაღამ ჭერი ახადა.

ერთხელ კიდევ თქვა პეპამ – «იხარე ჭერო», დალია საყველაწმინდო და სატალახო და, ხომლი<sup>111</sup> რომ ცაზე გამართულიყო, მაშინ გამოვედით კარში. მკლავი მკლავს გადახვეულმა ჯაგრამ და გიორგამ გამოგვაცილეს. მოდიოდა პეპა და მოდიდინებდა.

– კაი საქმე გაკეთდა, არა?

ძალიან კარგი!

– მერე და ვინ გააკეთა?

– შენა, პეპა.

– მართალი ხარ. მაგრამ უთქვენოთ რო არ ვარგივარ. ის როგორ არის, რო დაწვები, იკითხავ: ქვეყანას რა ვარგეო?

– მე სხვაც ვიცი.

– აბა, აბა?

*«არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,*

*იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს»...*

– ოჰ, რაო... კაცი არ ვარგა, სოფლისათვის არ იყვესო? კარგია, არა? დაილოცოს მაგის მთქმელი! – და შემოსძახა:

– «ქალი მოგვყავს, ქალთამზეო, ღვინო შევსვით მარანზეო, ჰეი დაა»...

მესამე დღეს კიდევ გაჩნდა სახევისკაცო. პანტი რუზე წყალი დაეხვევებინათ მგლიბიჭებსა და ბაბაიას სიმინდი სულ წაეღო. ესევ გავარჩიეთ. დავაკისრეთ სათავის ამოყვანა და სიმინდის წანახედი სამ კოდამდე.

მოვდივარ სახლისაკენ და ვფიქრობ: სოფელში არ დაილევა ჩხუბი და წანახედი, ძალლისა და გოჭის მოკვლა და, მე ყოველ სუფრას დავესწრო, სად წავა?

– პეპე! – ვეუბნები, – მოდი, პირობა დავდოთ, ჩვენი ხევისკაცობის პირველ ნახევარში შენთან ვიქნები, მეორეში ველარ გამოგყვები.

ჯერ ვერ მიმიხვდა, მერე, როცა გავაგებინე, თავი გადააქნ-გადმოაქნია და თან დაატანა:

– მეტი რა ჯანია, შენც მართალი ხარ! – მითხრა.

მაგრამ ხანდახან ვერ გავექცეოდი ხოლმე, მით უფრო, თუ სასიამოვნო ოჯახი იყო, აი, ისეთი, ნათელი გადასდიოდა, რომ იტყვიან.

ასე თუ ისე, ხევისკაცობას დიდი სიამოვნებით ვიგონებ, ბევრი რამ ვისწავლე და დიდ მასწავლებელთა შორის პეპეც იყო.

### **მუშა ფუტკარი**

სოფელი ღონიერია არა ერთი და ორი შეძლებული ოჯახით, სწორი თუ მრუდე გზით რომ აუვსიათ სახლ-კარი, არამედ ისეთებით, ალალი გული რომ აქვთ, ქვეყანას თავადებული უსწორებენ თვალს და პირზე ღიმილი აფენიათ, ასეთებზეა ნათქვამი:

*«საწყალი კაცის ცხოვრებას არ უნდა ბევრი ხრიალი,*

*უღელი ხარი ეყოფა, ორიოდ ძროხა რქიანი.*

*ასიოდ ცხვარი იყოლოს, ხუთიოდ თხანი რქიანი,*

*ცოლი შეირთოს მშრომელი, პატიოსანი ზნიანი;*

*თვითონაც იყოს მუშაკი, ცოლშვილთმოყვარე, ჭკვიანი,*

*მეზობელ-ნათესავებთან ხათრიან-თავაზიანი».*

ესენი იყვნენ სოფლის დედაბომბები. გამდიდრებული ოჯახი დღეს იყო, ხვალ არ იქნებოდა, ეს ხალხი კი ერის მარღვსა კვებავდა. შრომობდა, იღვწოდა, უყვარდა მხიარულებაც, სტუმარს უპატიოდ არ გაუშვებდა.

*«ვისაც სტუმარი ეწვიოს, სტუმარი არნახულისა,*

*დააპოს ურმისა მორგვი, ზაფხულის შენახულისა,*

*დასწვას ვიწალი, ორთითი, ცეცხლიც დაანთოს გულისა,*

*ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს, დასვას და ანადიმოსა.*

*ატლასის კაბა ჩაიცვას და ცხენსაც შესვას პილოსა,*

*ყველა ტყულიად ჩაუვლის, თუკი არ ასმევს ღვინოსა».*

ამიტომ თავის სამყოფი ვენახიც ჰქონდა, ბალიცა და ბოსტანიცა, მათი სიმდიდრე და სიკეთე მარჯვენა და ალალი გული იყო.

აი, ქიტო, ქალადმი ეწერა, ახნაურიანო, მაგრამ ახნაურობა თვითონაც დავიწყებული ჰქონდა და სხვასაც. გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა. კარგი გუთნიდებდა იყო, ურმისა და სხვა იარაღის მკეთებელი, მამულ-დედული ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ გამრჯე კაცი იყო და ტკბილი ლუკმა არ აკლდა.

ქიტო ცნობილი მოღვაწის, გიგო ყიფშიძის, მოყვარე იყო (ცოლის ძმა). ზაფხულში ქიტოს ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე თავისი და შვილებით (ვასო ყიფშიძე, შემდეგ უნივერსიტეტის დოცენტი, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონისპირელი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი), როცა ჩვენს სოფელში იყვნენ, წარმოდგენებსაც მართავდნენ.

ქიტოს ცხენი არ ჰყავდა, მაგრამ ჯორი ჰყავდა წვივმაგარი; წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეკაზმავდა და გასწევდა სალოლაშენისაკენ, სადაც 15-16 აგვისტოს, ძველი სტილით, იცოდა დიდი დღეობა – მარიამობა, ანუ ღვთისმშობლობა თუ ფერისცვალება. იქ ორ-სამ დღეს დარჩებოდა და ისევ მიაშურებდა სახლს. მეუღლე დარდით არ იყო: «ან ერთი ლიახვი წაიღებს, ან მეორეო». მაშინ პატარა ლიახვზე ხიდი არსად იყო, დიდ ლიახვზე კი – მხოლოდ ცხინვალში იყო და იქით მოვლა ეშორებოდა. ჩვენი ქიტო გადაჭრიდა შინდისის პირდაპირ დიდ ლიახვს, დასველდებოდა, მაგრამ სანამ სალოლაშენში ჩავიდოდა, გამრებოდა კიდეც, აგვისტო იყო, ცხელოდა.

კვიმატი გონების კაცი იყო, სიტყვაპასუხიანი. ოთხმოცდაათიან წლებში ცოფიანმა ძაღლმა დაგლიჯა. სოფლის თავკაცებმა ითავეს, ფული შეაგროვეს, გულზე დიდი ქაღალდი დაჰკიდეს, რომელზედაც ქართულად და რუსულად ეწერა: «მივდივარ ოდესაში, ცოფის შრატის სადგურზე, მითხარით, საით წავიდე?» ჩამოიყვანეს გორში, ჩასვეს მატარებელში და გაამგზავრეს ფოთისაკენ. იმავე დღეს ჩაესვათ გემში. ვიღაც ღვთისნიერ კაცს გემიდანვე წაეყვანა ცოფის სადგურზე და ნამკურნალევი დაბრუნდა სოფელში. გულზე ქაღალდი აღარ დაეკიდა. გავაგნებო, – ეთქვა და გამოაგნო კიდეც.

ურმული იცოდა შესანიშნავად. რომ წამოვიზარდე, მე და ის ჩვენი ოჯახის მეკალოები ვიყავით. ქიტო ჩემთან ნაცვალგარდა იყო (მერე მე უნდა მეშველა იმდენივე დღე, რამდენსაც ის იმუშავებდა), ყანები სოფლის თავსა და ბოლოს გვექონდა. 3-4 კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი. სადაც ბევრი იყო ნათესი, კალოც იქ უნდა გაკეთებულიყო, ხან კუბანაურში, ხან კარბულებში, ძნასა და ბულულს მეორე მინდვრიდან კალოზე ვეზიდებოდით. სანამ ირიჟრაჟებდა, ძნა მანამ უნდა ჩამოგვეტანა, თუ წინასწარ არ იყო ჩამოტანილი და მთაქცეულის დადგმასაც ვერიდებოდით, ქარს უშლიდა ნალექის განიავების დროს, კალოში 3-4 ურემი ბულული თუ ძნა უნდა ჩაგვეშალა. ამიტომ ძნის ზიდვას ნაშუადამევს ვიწყებდით. ბულულს მე ვუდებდი თითქოს კი მე უნდა მიმეწოდებინა, რადგან ქიტოზე მაღალი ვიყავი, მაგრამ ქიტომ არა ქნა: «შენ კარგად უდებ და ურემზე შენ იყავიო». მე ეს შეამაყებოდა კიდეც. ერთხელ კარბულებიდან კუბანაურში მიგვაქვს პირველი ურემი, ურმის თავზე ქიტო ზის და დიღინებს ურმულს, მე ბევრი კარგი ურმული გამიგია ჯერ სოფელში სანდრო ჩუტკერაშვილისა, მიხა პაპიაშვილისა, გორელი მეურმისა თუ სხვისა, მაგრამ იმისთანა ლირიკული, გულში ჩამწვდომი ურმული, არავისგან მომისმენია.

აი, გავიარეთ ჩვენი სოფლის ლამაზი გოგოების უბანი და გავედით წყალზე, წყლის პირას თბილისელი ვექილის, ილია ნატროშვილის, სახლ-კარია (ერთ-ერთი ერისთავის სახლ-კარი და მამული იყიდა და აქ ჩასახლდა). ოთხი შვილი ჰყავდა. ორი ვაჟი სტუდენტი იყო. ხშირად ამოდიოდნენ ზაფხულობით, მაგრამ თავს არავის უყადრებდნენ. მათი მამა თბილისში პოპულარული ვექილი იყო და ფული არ აკლდათ.

მიდის ჩვენი ურემი და მღერის ქიტო, კი არ მღერის, გალობს და ღულუნებს. უცბად წინ სამი ნახევრად შიშველი ახალგაზრდა აგვეტუზა. გეგონებათ, ჭალის ეშმაკებიაო, ისე უელავდათ თვალები. საყვერის<sup>112</sup> ხარები კარგები გვება და კინაღამ დაგვიფრთხეს. ქიტომ სიმღერა შეწყვიტა.

– შენ გენაცვალე, ისევ იმღერე, იმღერე რა? – იხვეწება ერთი.

– ვიმღერო რა, მე შენ გითხრა, ჭრელ სუფრას გამლი! კი არ ვიმღეროდი, ვდიღინებდი, – დაუმატა.

– ჰოდა კიდეც, შენ გენაცვალე, კიდეც...

– მაშ, მომეცალეთ, – და გაჰკრა შოლტი საყვერის ხარებს. დაიწყო და რა დაიწყო, გეგონებათ, აბრეშუმის ძაფი ამოახვიო. სამივე გვერდით მოგვდევდა. ერთი მათგანი შედგა და წამოიწყო ურმული. «უყურე ერთი, რა სიმღერა სცოდნია და მე მატანდა ძალასო», – ამომძახა ქიტომ. მიირყეოდა ურემი და წკრიალებდა უცხო მოყმის ურმული, მაღლა ცაში, იქ, სადღაც, ვარსკვლავებში იკარგებოდა.

ზევით რომ სიმღერა შეწყდა, ახლა ქიტომ ამოიღო ხმა, შემოსძახა და რა შემოსძახა! იქნებ ეს იყო მისი ასეთი ომახიანი ურმული-პირველიც და უკანასკნელიც.

შემდეგ ერთ-ერთი მკვლევრის წიგნში წავიკითხე ვანო სარაჯიშვილის ბიოგრაფია, ასეთ შემთხვევაზე წერდა.

არ ვიცი, მე და ქიტოს შემთხვევაზე ლაპარაკობდა თუ სხვაზე; მაგრამ მე და ქიტოს კი ეს გადაგვხდა.

მიყვარდა ამ წყნარ, კეთილ კაცთან მუშაობაც და საუბარიც. შვიდი-რვა კომლი იყო მისი მოგვარე სოფელში, მაგრამ ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი თავმდაბლობითა და ენამახვილობით.

– აღზევანში ხომ არ იყავით, სადა ხართ აქამდე, – შემოგვიტევედა დიმიტრი:

– ახლა კი იდიდსიტყვა ჩვენმა გაუცინარმა ხელმწიფემ, – წამჩურჩულა ქიტომ. ხმამაღლა არ იტყოდა: არ იწყინოსო. გვსაყვედურობდა და კავშა<sup>113</sup> ცხენს გარსაკრავს უჭერდა. ცხენს ფიქლის მოგრძო კოხით<sup>114</sup> მოკობილ კვერში ვაბამდით. კვერი არ იშლებოდა. ორივე ფიცარი შეკრული იყო; ხარების კვერს სხვა კოხი უნდა, ნესტოიანი კლდე, ხშირად ტუფი.

ხარებს ახურმაგს<sup>115</sup> არ ვუკეთებდით, პირიქით, სანამ შევაბამდით, მივრეკავდით კალოზე, რომ ეჭამათ. სვანეთში კი მიწახავს. «ჩანს, ჭამა ქონებაზე ჰკიდიო», – ასე მითხრა, ეს რომ ქიტოს ვუამბე.

იმის კალოს რომ ვლექავდით, ერთი კალოს ნალექიდან თითქმის არა დადგა რა. «ქვენა ქარმა აასწრაფა, აიოდა<sup>116</sup>, ჭარბულზე მეთესა, იქ, ხომ იცი, ჭალა არაა, რომ ამოჰფარებოდა იმ სატილოსო».

– ეგ არაფერი, ზოგჯერ ისე აოდავს ხოლმე, რომ დედალ-მამალი წყდება, ზოგჯერ სეტყვა ჩარეგავს ხეხილსაც და ვენახსაც. თავს უგლის<sup>117</sup> ხოლმე და ვრჩებით ცარიელზე.

კალოზე რომ ჩამოვიდოდა, ჯიბიდან ხან კიტრს ამოიღებდა, ხან ატამს და ვაშლს და გამოგვიწოდებდა: «პირი გაისველე, თორემ ამ გაგანია დღეს ამოშრებითო».

უბრალოდ ხმას არ აუწევდა. თუ ყანას ან სიმინდს ვინმე წაუხდენდა, წყნარად ეტყოდა:

– წამო, თედო, ხევისკაცებმა გადაწყვიტონო ჩვენი ავ-კარგი; სოფელში ფეხს წინ არ წადგამდა. ყველა პატივს სცემდა. აუგს არავინ იტყოდა.

\*\*\*

ჩვენს სოფელში ოდიაანთ უბანი იყო, ჩემს ბავშვობაში რვა-ცხრა კომლი ცხოვრობდა.

ოდიაანთ ქიტე და ნიკო ობლები იყვნენ. მამა, ალექსი, უბნის მენახირე, რომელსაც ზედმეტ სახელად «ოტორინეს» ეძახდნენ, ადრე მოუკვდათ. ობლებს, ორ ძმასა და ერთ დას, დედა, ერთი პატარა ქალი მელო, თავისი შავი კაბის კალთით ზრდიდა.

პირველ ხანებში ბიჭები სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ, ბარავდნენ, თოხნიდნენ, მკიდნენ, ნიკომ აუარებელი ლექსი იცოდა და, თუ რამე ვისწავლე (ჩემი ხნისა იყო), მისგან ვისწავლე, კარგადვე მღეროდა. ის რომ «ცანგალა და გოგონას» იტყოდა, ქვემო უბანში ესმოდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ქიტემ ურმის თვლის კეთება დაიწყო. ერთ კვირაში ისეთი კოპწია საბარო ურემი შეკრა, სოფელი სანახავად მოდიოდა, უკვირდათ, დღემდე რატომ არ ჩანდაო. წისქვილი მოეშალათ, ორ კვირაში წისქვილი შეკრა და დაატრიალა, შემდეგ მთელი ლიახვის ხეობის (ორივესი) წისქვილებს მას აკეთებინებდნენ ხოლმე.

ოცდღიურიანი ყანა ითიბებოდა. «ძელაანთ დათა და ქიტე ეჯიბრებიანო ერთმანეთს». «როგორ შეჰბედა დევივით კაცსაო», – ვთქვით. ყანაში გაჭრილი დათა ძალუმად იქნევს მკლავებს, მაგრამ ნაღვარეში ნაწვერალი<sup>118</sup> ჩანს. ქიტე კი დინჯად მისდევს, ერთხელ არ აჩქარდება. მისი ცელის ნაღვარევეს ფეხს ვერ გადააწვდენ. თავიდან ბოლომდე თანაბარია. არ ვიცი, რითი გათავდებოდა ეს საქმე, ყანის პატრონს რომ არ შეეწყვიტა. თითო ჯამი ღვინო დააღვინა. ვერხვისაკენ უჩვენა – წადით და დაისვენეთო. «ვინ გაიმარჯვა, ვინა?» – იძახოდნენ სხვა მცელაეები. «აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო», – უპასუხა ჭკვიანმა ხალხმა.

არც ქიტე და არც ნიკა არ ცდილობდნენ, გამორჩეულიყვნენ სხვებში. დედას ერთი ის აწუხებდა, რომ ცოლს არ ირთავდნენ.

– მიწურში ხომ არ მოვიყვანო?

– მამა-პაპა ამ მიწურში ცხოვრობდა და თქვენ რა მამამზე ერისთავები ხართ? – შეუტევდა დედა.

მალე ქვითვირის სახლი წამოჭიმეს, მაგრამ მელო ვეღარ მოესწრო მათ ბედნიერებას. ნავენახარში დადგეს ორი ერთნაირი კოპწია, ორსართულიანი სახლი. ამის შემდეგ ისე გაიყარნენ, თავკაცებიც არ დასჭირვებიათ; როცა ეს საქმე მოათავეს, ხევისკაცებსა და ერთ-ორ თავკაცს დაუძახეს, თავისი ამბავი უთხრეს: ახლა ორ კომლად გვიგულეთო. კარგი სუფრა გაუშალეს. დედის წლისთავი რომ გადაიხადეს, ცოლზე მაშინ იფიქრეს. ქიტემ მეზობელი სოფლიდან მოიყვანა მეუღლე.

კარგი მეოჯახე იყოს, სახლ-კარისა იცოდეს, ყბედი და მძინარა არ იყოსო, – ასეთი დავალება მისცა შუამავალს, თორემ ნათქვამია:

*«ღმერთო, ნუ მისცემ ვაჟკაცსა ცოლსა, ყბედსა და მძინარსა, ის მოკლავს, ის დაანელებს, ის მისცემს წყალსა მდინარსაო»...*

მართლაც, გამრჯე და პატიოსანი მეუღლე შეხვდა.

ნიკომ კი ჩვენი ხევისკაცების მეთაურს, პეპას, მოსტაცა ქალთამზე ანიკო.

ატყდა ყაყანი. დედამ მუჯლუგუნნი წამკრა: გადადი, შენს მეგობარს სიტყვა შეაწიეო.

პეპამ რომ დამინახა, კოპი შეკრა.

– შენ კაიკაცობისთვის არ იქნები მოსული!

– სწორედ კაიკაცობისთვის, პეპა, კაიკაცობისთვის.

– შენც მართალი ხარ, – წამოსცდა. მეც გამეღიმა და იმასაც. გავცალკევდით, ვილაპარაკეთ.

– დაიცა, ჩოხას მაინც ჩავიცვამ, – მითხრა და ავიდა სახლში. მალე გამოვიდა ახალი ჩოხა-ახალუხით. მესიამოვნა. ეს კაი ნიშანი იყო. მარანში ჩავიდა და მალე ხელში დიდი საღვინით ამოვიდა.

– მეტი რა გზაა, ჩემო მინდია, წავიდეთ.

შევაღე კარები და შევუძებნი ეზოში. ნიკა ქუდმოხდილი ჩამოგვეგება, ქიტე აივანზე დარჩა, გადმომხედა, თვალები დახუჭა, გაიღიმა და თავი დამიქნია.

ყოჩაღ, ბიჭო, – ამას ამბობდა მისი ღიმილიც, თავის დაქნევაც.

– თუ ეგრე იყო, რატომ სწორი გზით არ წაიყვანე, ჰა? – ნიკა თავდახრილი იდგა.

– გამომართვი საღვინე და გამიძებნე! – უთხრა შეტევით, მაგრამ სრული შერიგებით.

– მძახალს გაუმარჯოს, – გაუწოდა ხელი ქიტემ პეპას.

– ღმერთმა ხო იცის, ჩემო პეპა, რომ შენი მძახლობა სასახელოა, კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ახალ ოჯახში.

– შვილო, ანიკო, გამოიხედე, რაც არის, არის, გაშალე სუფრა, რო დაგლოცოთ მაინც, ქორწილი მერე იყოს... ანიკო მოკრძალებით გამოვიდა, მამას რიდით შეხედა, ამ დევივით ვაჟკაცს თვალებზე ცრემლი მოერიო, დაიხარა და აკოცა.

– შენი სახლიდან გამშვება არ მინდოდა, ჩემო ქედანავ, თორემ ისე რა მეთქმის?.. არჩევანი კაი გცოდნია. მალე გაიშალა სახელდახელო სუფრა, ვასოც მოვიდა, ანიკოს ბიძა, სახლიკაცი შაქრო და, იცოცხლე, მოილხინეს. ქიტეც და ნიკაც ისეთი გლეხები იყვნენ, რომელთაც საქართველო ძნელ გზაზე გამოატარეს. მათ ვენახში შეხვიდოდი, გული გაგიხალავათებოდა. პატარძალივით მორთულ ვაზებზე ღვიოდა მწვანისა და ჩინურის, შავკაპიტოსა და ბუდეშურის მტევნები. ბოსტანი? – ერთ სარეველას ვერ ნახავდით. კიტრს ყველაზე ადრე კრეფდნენ, მწვანე ლობიოს მათზე ადრე ქვაბ-ქოთანში ვერავინ ჩაყრიდა. ედგათ ადრეულა ბალიც და ხომანდულიც<sup>119</sup>, გოხა მსხალიც და გულაბიც, თურაშაულიცა და აბილაურიც. მათ ბაღში იდგა უზარმაზარი თეთრი კალვილიც – ვეროპული ჯიშის ვაშლი. მათ პაპას მოეტანა კარალეთიდან. ფეხი მოიმაგრეს, ქონება შეიძინეს და კოლექტივიზაციასაც გულგლია შეხვდნენ. დღეს აღარც ერთია და არც მეორე. ძალიან ვწუხვარ, ბიჭები არ დარჩათ, ისინიც იმათ ემგვანებოდნენ.

\*\*\*

როგორი მწარე ბაღლობა ჰქონდათ ნიკასა და ქიტეს, საერთოდ, მათ თაობას. ერთ ამბავს მოვიგონებ კიდევ: სოფელში ხმა დაირხა, დულაბსეში (ტუაფსე) რკინიგზას ჭრიან და ფული იშოვებაო. სოფლის ქოჩორა ბიჭები ერთ მშვენიერ დღეს დაიკრიფნენ და გაუდგნენ გზას. სამი-ოთხი თვის შემდეგ დაბრუნდნენ. ზოგმა უღელი მოზვერი მოიყვანა, ზოგმა უღელი კამეჩიც კი – გორისთავში წმინდა წყალზე ნაყიდი. ტუაფსიდან დაბრუნებულთ, გორის თავში რო ამოველოთ, ეფიქრათ-»ფული რაღას შევინახოთო« და სახლში მუშა საქონლით დაბრუნდნენ. თარაქამული ხარები სახელგანთქმული იყო მაშინ ჩვენში და მის საყიდლად თვითონ ყაზახშიც მიდიოდნენ ხოლმე. ეს ხარი (ზროხა) გავრცელებული იყო დღევანდელ აზერბაიჯანში განჯამდე. ჩვენი გლეხკაცი ჩაიცვამდა სუფთად, ხანჯალს მხარმარცხნივ დაიკავებდა ხმალივით, აიღებდა შინდის ჯოხს, შეიამხანაგებდა ორ-სამ მეზობელს და გაუდგებოდა შორეულ გზას. ხშირად ყაზახამდე ფეხით ჩადიოდნენ – ერთი-ორი მანეთი დაგვეზოგებაო, ან არა და, თბილისამდე მატარებლით, შემდეგ-ფეხით. დამეს ცის ქვეშ ათენებდნენ. შიშით არ ეშინოდათ. თუკი მამა-პაპა აღზევანს მარილზე დადიოდა, ყაზახამდე რაღა შეეშინებოდათ? მით უმეტეს, ხანჯალიც ეკიდათ. კარში გასული კაცი ქვაზე მაგარიო, -ნათქვამია. ვერც თათრები უბედავდნენ რამეს. უღელი მოზვერი ხუთი-ექვსი თუმანი ღირდა. იყიდდნენ ოთხ-ხუთ უღელს და გამოემურებოდნენ შინისაკენ. რომ მოვიდოდნენ, ყველას უხაროდა მათი მშვიდობით დაბრუნება. «კაცნი ვართ, მაინც ურჯულოებში იყავით, ვინ იცის, რა შეგმთხვეოდათო». უეჭველად იმართებოდა პატარა, მაგრამ მაინც, დროს ტარება, დალოცვა ხატისა, ვისმა «მლიერებამაც შინ მშვიდობით მოგვიყვანაო».

ბორჩალო-ყაზახისაკენ წასვლა ჩვენმა გლეხმა მკის დროს იცოდა კიდევ. ივნისის შუა რიცხვებამდე გალესავდნენ ნამგალს, დაახვევდნენ ზედ ძველი მაზარის ნაჭრებს, შეაბამდნენ თოქს ან თასმას, გადაიგდებდნენ მხარზე და გაჰკრავდნენ ქვემოთკენ. ერთად მიდიოდნენ, ათი, არანაკლებ ხუთისა. ამ დროს კარგი საცქერი იყო ცხინვალ-გორის გზა. დაუსრულებელიც მიდიოდა მომკელი ან მკის მუშა, გეგონებოდა, ერეკლემ ომში დაუმახა ქუდზე კაცსაო. მკის მუშა, იმ დროს დღეში ჩვენში თუ სამი აბაზი (60 კაპ.) ღირდა, ბორჩალო-ყაზახ-ალსტაფაში ორი მანეთი მაინც იყო, ნარდში სამ მანეთზეც გამოდიოდნენ.

– ერთი უქნარა ხალხია, თვითონ კრიალოსანი უჭირავთ, მარცვლიან, თავზე გვადგანან, ზოგჯერ თუ იტყვიან: «იახში, იახშიო», სხედან ხის ჩრდილში და თვლემენ. ჩვენ, ნარიჟრაჟევი არ იყო, მკას ვიწყებდით, მზე რომ საშუადღეოზე წამოვიდოდა, მაშინ შევისვენებდით ჩრდილში, ვისაუზმებდით (ეს კია, სამხარი ცუდი არ იცოდნენ, მაგრამ ღვინოს არ მოგვიტანდნენ) და წავიძინებდით. მზე რომ გადაიხრებოდა და ჩრდილი წაგრძელებოდა, წამოვიშლებოდით და ისევ შევუტევდით. მთელი საქართველო იქ იყო (ე.ი. მისი სოფლის ახლო-მახლო სოფლებიდან) და ოციოდე დღეში მთელ მინდვრებს «მოვპარსავდით» ხოლმე.

სხვა გარე სამუშაოზე არ დადიოდნენ. როდესაც ხილი წამოიზრდებოდა, თბილისელი ვაჭრები (ბაყლები) მოსავალს ნარდად ყიდულობდნენ, ხშირად სამი-ხუთი წლით. ბაღში თავის კაცებს, «ბაყლის ბიჭებს», აყენებდნენ, რომ ბაღის პატრონმა ან ხილი არ დაკრიფოს, ან ძირნაყარი არ წაიღოსო. ბაყლის ბიჭებად ჰყავდა გლდანელები, ხაშმელები ან საგარეჯოელები. ადგილობრივი ბიჭები აჯანყდნენ: «ჩვენ ბაღებში ჩვენ უნდა ვიყოთო,»-და თავისიცი გაიტანეს.

ხილის ასეთი გაყიდვა იყო გლეხის და, საერთოდ, მეურნის, გაფცქვანა. მეორენაირი გაყიდვაც იცოდნენ, ბაყალი ორი-სამი წლით ყიდულობდა მოსავალს, ფუთს 50-60 კაპიკად. მაშინ, როდესაც ფუთი მანეთ-ნახევარი-ორი მანეთი ღირდა. მაგრამ გლეხს ფული უჭირდა და ბაყალიც ფეხს აჭერდა.

გლეხს კი ფული როდის არ უჭირდა? აქვე იყო ცხინვალი და იქაური ებრაელები, განსაკუთრებით, მოშე დავარაშვილი – ფულს არ დაუჭერდა, მამასისხლად აძლევდა, წლის თავზე სარგებელი თავნის ოდენა იყო. გადაუტანდნენ, ფულს არ იღებდა.

გქონდეს, რა გეჩქარებაო, – მოთაფლული ენით ელაქუცებოდა.

ზოგი ბრყევდებოდა და ორი წლის თავზე მისი ასი მანეთი უკვე ოთხასი ხდებოდა, აი აქ იწყებოდა ჩაფარ-მამასახლისის სიარული, სახლის აწერა, მოსავალზე ყადაღის დადება და მოვალისათვის ტყავის გაძრობა.

ამ მაგალითის დამნახველნი გულისყურში მაინც ვერ ვარდებოდნენ, რომ გაუჭირდებოდათ, ისევ დავარაშვილთან გარბოდნენ.

მხოლოდ 1915 წელს დააარსეს ჩვენებურებმა ამხანაგობა «პატარა ლიახვი»; უნდა ითქვას, რომ ამხანაგობაში ყველა შევიდა – შეძლებულიც და ღარიბიც. მაგრამ ჯერ ომმა და შემდეგ საერთო არეულობამ ფრთა ვერ გააშლევინა.

სოფელს ძალიან აწუხებდა სხვადასხვა გადასახადი. განსაკუთრებით ჩამრჩა მახსოვრობაში «ფოსტის ფული». იქნება იმიტომ, რომ არ მესმოდა, რასა ნიშნავდა, მაგრამ კარგად ვხედავდი, რაც იყო. ფოსტის ფულის აკრეფაზე დადიოდა მამასახლისი, გზირი, ორი-სამი ჩაფარი.

ქიტეს და ნიკოს ეზოში ვიყავ (პატარაობისას), როდესაც კარს მამასახლისი მოადგა, ბუთხუზი იყო გვარად, სხვასოფელი, არჩეული კი არა, დანიშნული იყო (რეაქციის დროს მამასახლისს მაზრის უფროსი ნიშნავდა).

მელოს (ჩემი მეგობრის დედას) ფოსტის ფული მოსთხოვეს – დაახლოებით ექვსი აბაზი (120 კაპ.), მახსოვს ტირილნარევი ხმა მელოსი:

– სად მაქვს მე უბედურსა მაგოდენა ფული?

– აბა, შედით, ქვაბი, ფარდაგი... – უბრძანა ჩაფრებს ბუთხუზმა.

მელო გაწიწმატდა, ხელი ჰკრეს, კედელს მიაწყვიტეს. ქიტემ სახრეს წამოავლო ხელი, ბუთხუზმა მათრახი შემართა.

– რა, გვერდების აჭრელება მოგინდა?

– ჩაფრებმა გამოიტანეს ორი ჩალხანა<sup>120</sup> ქვაბი და ძველი ფარდაგი. მეტიც არა ჰქონდათ რა.

მელომ წიოკობა ატეხა. ნიკამ ცრემლები გადმოყარა. გავიქეცი სახლში.

– მამი, შენი ჭირიმე, მომეცი ფული, ნიკოს ქვაბები მოსტაცეს..

მამაჩემმა თავი გადააქნ-გადმოაქნია, მომაწოდა ვერცხლის მანეთიანი და აბაზი.

გზაში დავხვდი. მამასახლისის მივაწოდე.

– რა არის?

– აი, მელოს ქვაბებში... – ძლივს წარმოვთქვი.

– შენც კაი ვინმე იზრდები! მიეცით...

– აი, შენ კი გაეზარდე დედაშენს, შენ კი დაგადგა ქვეყნის ნათელი... – მოჰყვა დალოცვას მელო.

ჩაჰყვა მამასახლისი უბანს და მის კვალზე წყევლა-კრულვა, ქვაბების ჩხარაჩხური ისმოდა.

და ასე ყოველწლივ.

\*\*\*

რაკი მამასახლისი ვახსენე, ბარემ ვთქვათ, ვინ იყო, საერთოდ, იგი და რა იყო.

სოფელში მამასახლისი მთავარი პიროვნება იყო. მას სოფელი, უფრო სწორად, სამამასახლისო, 3-5 სოფელი ირჩევდა. ჩვენი სოფლის სამამასახლისოში ხუთი თუ ექვსი სოფელი შედიოდა (ტყვიავი, მარანა, ფლავი, ფლავისმანი, სათემო, ქიწნისი). გორის მაზრა დაყოფილი იყო ცხინვალის, მეჯვრისხევის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის საბოქაულოებად. ჩვენი სოფელი და სამამასახლისო მეჯვრისხევეზე იყო მიწერილი. მამასახლისს სამ წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ, რეაქციის დროს კი (1908-1909 წლებში) მამასახლისს მაზრის უფროსი ნიშნავდა.

მამასახლისის ორ არჩევნებს დავესწარი.

საოცარია, არჩევნებამდე მამასახლისი ცხვარივით კაცი რომ ყოფილიყო, საკმარისი იყო, ჩამოეკიდა ყელზე ჯაჭვი, მამასახლისობის ნიშანი, და გამოიცვლებოდა, მათრახს შემართავდა.

მგონი, 1909 წელი იყო (ზუსტად არ მახსოვს). ფლავისმანელი გიუნაშვილი აირჩიეს მამასახლისად. შეიყარა ხალხი კანცელარიის წინ. არის ყაყანი და გნიასი. «აბა, ვინ გინდათ მამასახლისად?» – ეკითხება ბოქაული ხალხს. გვერდით გიუნაშვილი უდგას.

– გიუნაშვილი, გიუნაშვილი! – იღრიალა ერთმა ნახევარმა.

– არა, რაზმამე, რაზმამე! – ყვიროდნენ ჩვენებურები.

– არა, გიუნაშვილი, გიუნაშვილი!

ეს უფრო მაგრად ისმოდა, ბოქაულმა გამოაცხადა: გიუნაშვილია არჩეული. აირჩიეს თანაშემწეს («პომომნიკი») გზირები, ყოველ სოფელში-თითო. გიუნაშვილი ერთი ღვთისნიერი და თვინიერი კაცი იყო, არავის აწყენინებდა უბრალოდ.

გავიდა სამი წელი. ტყვიავში დიდი მითქმა-მოთქმაა. არჩევნების წინ ახალმა კანდიდატმა ორი ხარი დაკლა, ღვინო მეჯვრისხევიდან გადმოიტანა, მაშინ იქაურ ღვინოს აქებდნენ. ორი დღე აქეიფა ჩვენებურები, მარანელები და ქიწნელები. «მაგრამ დაიძებეთო», ვგონებ, არჩევნების დღესაც ახუხინა, მაშინ მეც ხალხში ვტრიალებდი ტოლებთან ერთად.

გამოვიდა ბოქაული კანცელარიის აივანზე (კანცელარია კანდიდატის სახლში იყო).

– აბა, ვინ გინდათ მამასახლისადო.

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ჩვენებურებმა იყვირეს:

– ვასო, ვასო, რაზმამეო...

ფლაველებმა და ფლავისმანელებმა დაიგვიანეს, ტყვიაველები უფრო ძლიერად ყვიროდნენ და გიუნაშვილმაც ჯაჭვი გადააბარა ვასო რაზმამეს.

ეს აქამდე მშვენიერი კაცი უცბად გაიფხორა, გეგონებოდათ, სამი წლის მამალი ინდაურიყო.

გულიანად მოეკიდა ფოსტის ფულის აკრეფას, ხალხის ბეგარაზე გამოყვანას.

«ნუ იბერები, თორემ აღარ გინდა არჩევაო?» – გააგებინეს, მაგრამ აინუნში არ აგდებდა.

ბოქაული და მამასახლისი სქელკისერა ბიჭებს ემტერებოდნენ:

– არა მუშაობთ და კისერი იმიტომ გაქვთ ეგეთიო.

საქმე ის იყო, რომ «სქელკისერა» ბიჭები, ჯანიანი, ღონიერი ბიჭები იყვნენ, თავზე მამალ ბუზს არ ისვამდნენ და მამასახლისს თავს არ უყადრებდნენ.

\*\*\*

ჩვენი სოფელი რევოლუციურ სოფლად ითვლებოდა. ჯერ იყო და ორმოციან წლებში აქედან წაიყვანეს «შავი კარეტი» ხალხოსანი რომან ფავლენიშვილი, მერე მღვდელმა სამადაშვილმა არალეგალური სტამბა მოაწყო.

ეს ხმები არ მიწყნარებულყო, რომ ტყვიავში გაჩნდა კეცხოველიანთ ბუდე და ლადომ, ვანომ და სანდრომ საგონებელში ჩააგდეს ჟანდარმერია, განსაკუთრებით - ლადომ.

მოხშირდა სოფლის აწიოკება, კაზაკებისა და ჟანდარმების თარეში.

რასაკვირველია, გლეხოზაში ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, პროფესიონალ რევოლუციონერებს მეგობრობდნენ. ყველა ამათში გამოირჩეოდნენ «გიჟი გაბო», გაბო ჩიქლაძე («გიჟ-გაბოს» იმიტომ ეძახდნენ, რომ მოუსვენარი იყო, პირში მთქმელი) და პათე გიგუაშვილი.

გაბო არც ერთ აზნაურს თუ თავადს სიტყვას არ შეარჩენდა. მკაში მხარში ვერავინ ამოუდგებოდა, წინ გარბოდა. ჩქარობდა. მე მინახავს მისი და ფლავისმანელი რაჟდენა თენაძის მკა, მიდიოდა თენაძე და მიჰქონდა მისი ნამხრევი, ხელეურს<sup>121</sup> დადებდა, ძნა შეიკვროდა, მის გავლილ ნაწვერალში თავთავს ვერ იპოვიდი.

მიდიოდა, მიქროდა ჩიქლაძე, ხშირად ორი საბლით წინ იყო, მაგრამ რა გამოვიდა, მის უკან მრავალი თავთავი ფეხზე იდგა, ხელეურიდანაც ებნეოდა: «მაშ, როგორა გგონიათ? ღვთის გაჩენილებს საზრდო არ უნდათ? « (გულისხმობდა ყველა სულიერს – ფრინველს, თავგს). ზოგი იმათა, ზოგი ჩვენაო, სახლში თუ რამ



გაუჩნდებოდა, არ დააყენებდა. მოხდიდა ქვევრს და ორ-სამ დღეში დააცარიელებდა. მარტო კარის მეზობელს კი არა, სოფელს დაივლიდა, ვიხეც გული შევარდნილი ჰქონდა, წამოიყვანდა და გაჩაღდებოდა გულიანი სმეულება.

– არა უშავს რა, დედაკაცო! დღეს ჩვენა და ხვალ სხვამ.

– ე სხვას ხვალა რო არა აქვს?

– არც მაგას უშავს რა.

და, აი ეს გაბო პირველი იყო, რომელმაც 1905 წელს მოღალეებს ღალის მიცემა აუკრძალა, მღვდლისათვის – დრამისა. გვერდში პათე ედგა, აბეზარა აზნაურებს «კარი შეუკრა» (ბოიკოტი), არც მეზობელი მიდიოდა კარშეკრულთან, არც სოფელში გამოესვლებოდათ. სამაგიეროდ, ყაზახთა და ჟანდარმთა რაზმი რომ ამოვიდოდა გორიდან, პირველი მათრახი ამ ორ კაცს ხვდებოდა. ციხეშიც ამწყვედებდნენ, მაგრამ გამოვიდოდნენ და იგივენი იყვნენ, განსაკუთრებით გაბრიელი, თითქოს ცოლის ძმასთან ყოფილიყოს საქეიფოდ წასული. მთელი გულით გაიხარა, 1917 წლის რევოლუცია რომ მოხდა. 1921 წელს მიწვომად აირჩიეს: «შენ უნდა იყო ჩემი მწერალი», – მითხრა. დავთანხმდი, სადაც ხევისკაცობა, იქაც გაბოს მწერლობა-მეთქი, – ვიფიქრე. გაბო ისედაც მიყვარდა. დავთანხმდი და პირველად ჩემს ეზოს ჩამოაჭრა ერთი მხარი, დათას (მეზობელს) ძალიან ვიწრო ეზო აქვსო. გამეცინა – «მაშა, მაგალითი მივცეთო».

წერა-კითხვა არ იცოდა და ოქმებს მე ვუწერდი. უბით დაჰქონდა. ვერ დავაჯერე, შეენახა. «არა, ვინმე მომპარავსო», – და მართლაც ჰპარავდნენ. ლოთი არ იყო, მაგრამ ღვინო უყვარდა, ნაღვინევი იქვე წამოწვებოდა და წაიძინებდა. აი, ამ დროს ეკარგებოდა ეს ქალაღებები.

ზამთარში ერთი ასეთი ძილის შემდეგ გაცივდა და ხელიდან გამოგვეცალა. პათე გულდინჯი კაცი იყო, დარბაისელი, სიტყვას ტყუილად არ დახარჯავდა, მაგრამ რასაც იტყოდა, წყალი არ გაუვიდოდა.

კარგი და გულდაძგერი მუშა იყო. მაგრამ: მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო, ვერც მან დასდო ოჯახს ბარაქა. ღრმა მოხუცებული კი გარდაიცვალა.

\*\*\*

ლექსო წიქარიძე შუა უბანში ცხოვრობდა. თანასოფლელებისაგან განსხვავებით, კვირა-უქმე ჩოხა-ახალუხით, ყალმუხის<sup>122</sup> ქუდითა და წულა-მესტით დადიოდა, სანიადაგოდ<sup>123</sup> კი ახალუხი ეცვა, ფეხზე-ჩუსტი, ქალამანს არ იცვამდა.

ლექსო ყოველთვის სუფთად დადიოდა, შეკრეჭილი, წაბლისფერი წვერ-ულვაში უმშვენებდა სახეს. იცოდა დინჯი საუბარი, სახეზე საამო ღიმი დასთამაშებდა. სასოფლო სასარგებლო საქმეში პირველი იყო, სხვებსაც აიყოლიებდა ხოლმე, კარგი ბაღი გააშენა და კარგადაც უვლიდა (პაპათქვენს ბევრს ეკითხებოდა), ბოსტან-ვენახიც კარგი ჰქონდა, უღელი ხარი და ორიოდე ძროხა ჰყავდა. ღორს თუ გაასუქებდა ჯიშიანს ხანდახან, ხნავდა, თესავდა და თავისი სამყოფი პურ-ღვინო და სიმინდ-ლობიო სახლში ჰქონდა. უქმად ვერ ნახავდით. წერა-კითხვა იცოდა და გაზეთიც მოსდიოდა. კარში გასული ყოფილა ცოტა ხნით, მზარეულობა უსწავლია, დიდ ქორწილში თუ ქელეხში მას უძახდნენ ხოლმე და ისიც ფესტამალაფარებული<sup>124</sup> ტრიალებდა ცეცხლთან.

ქვითკირის ორსართულიანი სახლი ერთმა პირველთაგანმა აიშენა. შვილსაც უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრებინა, მაშინ ეს დიდი ვაჟკაცობა იყო გლეხი კაცისთვის.

ეს იყო ისეთი კაცი, რომელსაც ძველად სოფლის დედოს უწოდებდნენ ხოლმე.

### ჯიუტები

სოფელში ათასნაირი ხასიათის ხალხი ცხოვრობდა, ზოგი არც ერეოდა სოფლის საქმეებში. ჩაკეტილი იყო თავის კარ-მიდამოში და რას ფიქრობდა, არავინ იცოდა. ან, საერთოდ, ფიქრობდა თუ არა რამეს, არც ეს იცოდა ვინმემ. გულს იოლად არავის უხსნიდნენ. დილით ადგებოდნენ, იმუშავებდნენ, ჭამდნენ ხმელა პურს, დაიძინებდნენ, გათენდებოდა და ისევ ასე. ერში არ გაერეოდნენ. ასეთი იყო ოდიანთ მათე.

მათეს ჯიქს ეძახდნენ. ჯიქი სინონიმი იყო თავისნათქვამა კაცისა, სოფლის საქმეებში არ ერეოდა. ქამრად ტირიფის დაგრეხილი ტოტი ერტყა მაზარაზე. სანამ არ გახმებოდა და არ გატყდებოდა, მეორეს არ დაგრეხდა და არ შემოიკრავდა. ჩვეულებრივ, მარტო მუშაობდა. არც რიგ-რიგაში გაერეოდა და არც სხვა მამითადში. როგორც ჩანს, ვერ შეჰგუებოდა ბარს. მაგათ ხომ მთიულიანთ უწოდებდნენ, მთიულეთიდან ჩამოსულეებს. ერთხელ ერისთავს შეუტია, როდესაც ამ უკანასკნელმა მათრახი შემართა, რატომ კულუხი (ვენახის ღალა) დროზე არ ჩააბარეთო, მან წნელის ქამარში გარჭობილი ცული გაიძრო და: «კნიაზო, შეხე, როგორი გალესილიაო!»

ერისთავი გაბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით სახლს მიაშურა. მათე კი დიდხანს უმზერდა ცულის პირს და მერე თავი გადააქნ-გადმოაქნია.

მათე ხელოსანიც იყო, მაგრამ ყველაფერს გაჩორკნილს აკეთებდა. ცულისა და ხელეჩოს<sup>125</sup> მეტს არას ხმარობდა. რევოლუცია გულგრილად მიიღო. მაზარა და ქამარი არ შეიცვალა.

ჩემს ხსოვნაში სულ მიწური სახლი ჰქონდა, სოფელში ერთი-ორი კომლიდა იყო მიწურ სახლში. «არა, თავს ვერ დავანებებ მამა-პაპის ნაანდერძევსო,» – იტყოდა, როცა უფროსი ვაჟი, ვასო, ქვითკირზე წამოიწყებდა ლაპარაკს. ახლა მისი შვილიშვილები და შვილთაშვილები ორსართულიან სახლებში ცხოვრობენ, უდგათ როიალი, ტელევიზორი, წიგნებით სავსე კარადები. ვგონებ, უკვე მისი შვილიშვილთა შვილები ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს და რომელიღაცას პაპის ზედმეტი სახელი აქვს შერჩენილი.

დიმიტრი თენამე, ანუ «ტუტი» , როგორც მას ეძახდნენ, ფლავისმანელი იყო, მაგრამ სიცოცხლის მეორე ნახევარი, 25 წელზე მეტი, ჩვენს სოფელში გაატარა. ლამაზი და ღვთისნიერი ცოლი ჰყავდა თურმე, მოუკვდა. ორმოცი რომ გადაუხადა, მოსჭიდა თავის რვა წლის გოგიას ხელი, გადმოვიდა ჩვენს სოფელში და დადგა მოჯამაგირედ; დიდი მუშა კაცი იყო, მაშინ კარგი მოჯამაგირის ფასი იყო წელიწადში ას ოცი მანეთი (თორმეტი თუმანი), ორი პერანგი, შარვალი და ერთი სალდათის მაზარა. ამ ფასად უნდა ემუშავა დილიდან საღამომდე და ტუტიც მუშაობდა, ხშირად ღამესაც მიაყოლებდა ხოლმე.

ჭილოფგადაფარებულ ფიცრებზე იძინებდა. მაზარას არც გაიხდიდა, პერანგს რომ გამოიცვლიდა, ხშირად მხოლოდ საყელოსა და მაჯებს მოიძრობდა, დანარჩენი ზედ შემოადნებოდა.

ლაპარაკი არ უყვარდა, ფლავისმანში აღარ გადადიოდა. სახლი გამოკეტილი ჰქონდა. ვენახი სანახევროდ ჰქონდა მიცემული. რთველს არც მიხედავდა. «შენ თვითონ დაკრიფე და რაც მერგება, ის მომიწყეო», – ეტყოდა, ვისაც ებარა. როდესაც შეატყობინებდნენ, დაღვინდაო, გადავიდოდა, პურს გამოაცხობინებდა, დაკლავდა ცხვარს და გაიტანდა საფლავზე. იქ დაჰპატიჟებდა მეზობლებს, მეუღლის მოსახსენებლად პანაშვიდს გადაიხდიდა და დაბრუნდებოდა ისევ ჩვენს სოფელში. საფლავის ქვაც კარგი დაადო.

მეუღლეზე არ ლაპარაკობდა. ზოგჯერ გოგიას რომ შეხედავდა, იტყოდა:

– ნეტავ კიდევ ეცოცხლა იმ საწყალს, რომ ეს ბიჭი გამოეზარდაო, – და ამოიოხრებდა.

კალოზა, პაპანაქება, სიცხეა დიდი, მზე კისერში ას სადგისად გვაჭერს... ტოტობა ნელაღა ღიღინებს:

*«ორველ მოდი კალოსა, არავინ მოგიპაროსა,  
არავინ შეგწვას, შეგჭამოს, არავინ წაგიყვანოსა».*

ხანდახან ქიტო გამოეხმაურება:

*«ორველა და გოგია, მოხან და პური მოგივა»...*

მაგრამ სიცხე ამით არ კლებულობს. მზე გადაიხარა, სიცხის ბუდი კი ისევ ტრიალებს. გავლენით ერთი კალო, შევხვეტეთ, შევავროვეთ, მაგრამ ნიავიც არ დაიდრა. დიდხანს ვუცადეთ, ქარი არ ამოვარდა. ქიტომ ბევრი უმღერა:

*«ამოქროლდი, ქვენა ქარო, ხვავი უნდა ვახვარხვარო,  
გამოვაცხო თბილი პური და ბავშვები გავახარო».*

მაგრამ არა გამოვიდა რა.

მივწექით კალოს პირას და მივიძინეთ. გათენდა დილა, ნალექი შევაკოკოლავეთ და გარშემო სალექი შემოვუყარეთ. საღამოს იგივე განმეორდა. ქარი არ ამოვარდა.

რომ გათენდა, კალოს დიდი ნაწილი ნალექს ეჭირა. კალო უნდა გაცდენილიყო.

აიღო მიტრომ არნადი<sup>126</sup> და გასანიავებელი ხვავის კალოს პირზე გატანას შეუდგა. ჩვენც წამოვავლეთ ხელი ფიწლებს და მალე ნახევარი ხვავი კალოს პირზე იყო გატანილი. ნახევარი შუაგულში ავაკოკოლავეთ. გავლენით, დილას ნაპირზე გატანილი ისევ შემოვიტანეთ, მაგრამ ჰაერი გაქვავდა, არა და არ დაიდრა ნიავი.

მე და ქიტო შინ წამოვედით : ხეირიანად მაინც დავიძინებთო.

გულის ძილში რომ ვარ, ვიღაცის შემოძახილი მადვიძებს, გავახილე თვალი, ახალი ნარიჟრაჟევია.

– ჩამოდი, პური ჩავიტანოთ! – მეძახის მიტრო.

ჩვენი წამოსვლის შემდეგ ქარი ამოსულა. დამდგარა მიტრო და სამი კალოს ნალექი, და მერე როგორი ნალექი, თორმეტი ურემი ძნა მარტოს გაუნიავებია; წმინდა ხვავის გამონიჩბვა რომ დაუწყია, ქიტო მაშინ ჩასულა.

კვირა დღესაც არ ისვენებდა. რამე სამუშაოს უეჭველად გამოიჩენდა. ზამთარში ძემძვის ამოყრაზე მუშაობდა, ხან ვის გაურიგდებოდა ნარდად და ხან-ვის.

საქმე ის არის, რომ ქართლის ვაკეზე ბევრი იყო მუხიანი, ზოგი დიდი ხნის წინათ გაეჩებათ, ამოეძირკვათ და ნატყევარზე ძემძვი მძლავრობდა. ძემძვეკვე მიწა ნოყიერი იყო, რადგან ძემძვი ამოსული ბალახი და ფოთოლა შიგა ლპებოდა. ძემძვს ჯალჯად იყენებდნენ, მიწაში რჩებოდა ფესვი, რომელიც წლითიწლობით მსხვილდებოდა და ღრმად მიდიოდა მიწაში. სწორედ ამიტომ ჭირდა მისი ამოყრა. მიტრო შუალამემდე თავს არ დაანებებდა. და

მერე რა ძნელია ძეძვის ამოძირკვა. რაკი ნამძეძვარი ყველაზე მსუქანი მიწა იყო, პირველ წელს კარტოფილს რგავდნენ.

არავინ იცოდა, სად ინახავდა ჯამაგირს.

გოგია რომ წამოიზარდა, მოუსვენრობა დაეტყო. ჯარში არ წაიყვანეს, დედისერთა იყო. ფლავისმანში სიარულსაც მოუხშირა. ერთ კვირა დღეს მამა-შვილი გორში წავიდა.

გოგია ახალ ტანისამოსში გამოწყობილი გამოგვეცხადა, ყარაჩოხული ჩოხა-ახალუხი და შარვალ-წულა ეყიდათ. ერთი კვირით ფლავში წავიდნენ (გიორგობის თვე იყო). ხუთი დღის შემდეგ ჩვენს სოფელში «მოზრძანდის კაცი» გადმოვიდა, გოგია ქორწილში გვიწვევდა. შევწოდებოდა ნეფე-დედოფალს გვირგვინი. სამი დღე ედგა გვირგვინი და ამ სამ დღეს ყველა «ნეფეს» უწოდებდა. ეს იყო იმ დროს გლეხი კაცის ნათელი დღე – «მეფე» ერქვა. პატარძალი კარგი ჩანდა. ძვალმსხვილი, ოჯახს გაუძღვებოდა. გულით ვილხინეთ. მიტროს წარბი არ გაუხსნია, მესამე დღეს შვილი და მაყრიონი სასაფლაომდე მიიყვანა; აქ გოგიამ საფლავს ჩასძახა: «დედი, წამოიხედე, შინისკენ გაიხედე, ცეცხლი ანთიაო». სასაფლაოზე მიტრო კიდევ გაუმასპინძლდა ხალხს, ახალი ცხვარი დაეკლა. მეოთხე დღეს გოგიას ათი-თორმეტი წლის ნაგროვები ფული, დედის თავშალში გახვეული, გადასცა.

– აი, შვილო, ესლა შემრჩა დედაშენისგან, გაუფრთხილდი, ფული, როგორც გინდა, გამოიყენე.

გოგია დატრიალდა, იყიდა უღელი კარგი ლეკური (ბელაქნური) კამეჩი, თარაქამული ხარები, თავისას ერთი ორი დღიური მიუმატა, ქვეშელი ერისთავისაგან იყიდა კარგი სახნავი მიწა. გუთანი და ურემი გამართა, ვენახი ფეხზე წამოაყენა. სხვის ხელში, რაც არ უნდა კარგად უვლიდნენ, ვაზი მაინც იჩაგრება.

დიმიტრი წამოვიდა. უკან აღარ მიუხედავს. ისევ ძეძვებსა ყრიდა, ხან მოჯამაგირებდა. უჯიათმა შრომამ ლომივით ვაჟკაცი გატეხა და დააუძღურა.

სხვის კარზე მოკვდა. გოგიამ კარგად გააპატიოსნა მიცვალებული. თვითონაც რაღაცნაირად მამას დაემსგავსა. სულ კოპებშეკრული დადიოდა. კოლექტივიზაციას კარგად წელგამართული შეხვდა, მაგრამ კოლმეურნეობაში შესვლა ვერ გააბედვინეს. მთელი სოფელი გაერთიანდა, ის კი ცალკე იყო. გუთნიდედობას თავი დაანება, გამართა ურემი, გაყიდა ხარები; მარტო კამეჩები დაიტოვა, კარგად უვლიდა; დაიწყო ქირის ზიდვა გორიდან ცხინვალში.

ეს ამბავი რომ გავიგე, ავედი მის სოფელში, ვეწვიე. ბედად შინ იყო, გაიხარა. ველაპარაკე: ნუ ჯიუტობ, კოლმეურნეობაში შედი-მეთქი. კოპები შეიკრა: «არა, ჩემი საქმე არ არისო».

ზამთარში გაცივებულიყო; ურემზე დასძინებოდა და კამეჩებმა სახლის კარს მიაყენეს თურმე სიცხის აღმურით თითქმის დამწვარი კაცი.

ორიოდე დღელა იცოცხლა, შეეძლო კი, საუკეთესო კოლმეურნე ყოფილიყო.

იმხანად ასეთი ჯიუტი კაცი უკვე ძნელი საპოვნელი იყო.

## დოდე

ჩემს ბავშვობაში ქართლში ერთი სახელგნთქმული მესტვირე იყო, დოდეს ეძახდნენ. დოდე გოგიაშვილი ჯარიაშნელი იყო. მეზობელს, ლექსო ოდიაშვილს, ცოლად ჯარიაშნელი ქალი ჰყავდა, ტასა გოგიაშვილი; დოდე მესტვირე ხშირად დადიოდა მათთან. კუტი იყო, ჯოხზე დაყრდნობილს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა თუ შეეძლო, მაგრამ პატარა, მაგარი ორთვალა ჰქონდა, შიგ ვირი ება; ამ ურემზე «დაეგდებოდა» დოდე და «დადიოდა» სოფლიდან სოფელში.

რადგან ოდიაშვილებს ბოსელი არ ჰქონდათ, დოდე ჩვენს ბოსელში აბამდა თავის ვირს, თვითონაც იქვე მიუჯდებოდა ბუხარს და აღულუნებდა სტვირს.

ლექსები იცოდა აუარებელი, იმპროვიზაციაც ეხერხებოდა. ერთი და იგივე ხალხური ლექსი მისგან ათასნაირად გამიგია. რასაკვირველია, ბოსელში შეკრებილთათვის სხვა რეპერტუარი ჰქონდა; რეპერტუარის მთავარი გმირები იყვნენ მღვდლები, დიაკვნები, მათი ცოლები, სოფლის ბობოლები. მათი გამასხარავება ახალგაზრდებს ძალიან მოსწონდათ, იდგა ერთი ხორხოცი და სიცილი.

– დოდე, დოდე, აბა ერთი ტერტერასი და ფოფოდის ლექსი თქვი, თუ ღმერთი გწამს.

– ჰა, ვთქვაა?

– ჰო, ჰო, ძია დოდე, თქვი!

და იწყებოდა ახალი წარმოდგენა.

ბევრი იცოდა რძალ-დედამთილის ლექსი, ამავე დროს ისე გადააკეთებდა, რომ მინიშნებული იყო ესა თუ ის პატარძალი ან დედამთილი. კარში, ერში როცა იყო, რეპერტუარს ცვლიდა, აქ უფრო მოკრძალებული ლექსები ითქმოდა, დამრიგებლური, დიდაქტიკური, რძალ-დედამთილის ლექსიც სწორედ ამას ემსახურებოდა.

პატარას ძალიან მიყვარდა ჯუჯულებსა და ვარიების ლექსი... როდესაც იტყოდა:

*«მეცამეტე აღარ არის, წაულია მელასაო»...*

შევჯღავლებდი: «ნუ, პაპა, ნუ წაუღია, რა!» ისიც თვალს ჩამიკრავდა, კეთილად გამიღიმებდა და ლექსს თავიდან დაიწყო. როდესაც მოვიდოდა «მეცამეტემდე», მკითხავდა:

– წავაღებინო მელასა?

– არა, პაპა დოდე!...

– კარგი, «მეცამეტე სადღა არის, ენაცვალოს ყველასაო», მაშინ არ ვიცოდი, «ენაცვალოს» რა იყო და მიხაროდა, რომ მელამ არ წაიღო.

ტასა გოგიაშვილის დედამთილი, ოდიანთ კატო, ცოტა კაპასი ქალი იყო. მზიან დღეს, როდესაც დოდე ჩვენი იფნის ძირას იჯდა თავისი გუდასტვირით, მის ირგვლივ მთელი უბანი იკრიბებოდა. ხალხში თუ კატოს დაინახავდა, ხალხს შეეკითხებოდა:

– ვთქვა თუ არა ტასასა და კატოს ლექსი?

– თქვი, თქვი, დოდე!

– «ვთქვა და, აბა, როგორა ვთქვა, ავი პატარმალ ხარო».

– აი, შე მაიმახო, როდისა ვთქვი? – გადმოეჭრებოდა ნახევრად ხუმრობით კატო.

*«როცა ვზივარ, კუტი ხარო, ავდგები და სარი ხარო,  
როცა დავალ, ცეტი ხარო, დავჯდები და ზანტი ხარო.*

*არასა ვჭამ, უჭმელი ხარ, შევჭამ რამეს, სვავი ხარო,  
კარგს ვიტყვი და არც ეს სჯერა, მამამაღლის ქალი ხარო».*

– როდის გაიგონე, აბა, როდის? – ეკამათებოდა კატო.

– მე რად გამაგებინებ, რა?...

იყო სიცილი და მხიარულება.

შაბათსა და კვირას საღამოს რიგი ლხინში იყო და ცეკვავდა, რიგი დოდეს ჰყავდა გარს შემორტყმული და ისმენდა მის ლექსებს:

– დოდე, ტერტერისა, ტერტერისა...

– ეგ ზამთრის ლექსია, ბოსელში, ბუხრის წინ ითქმება.

მისგან ბევრი ლექსი მაქვს ნასწავლი, ბევრი მათგანი დღესაც მახსოვს. განსაკუთრებით ლექსები აზნაურთა შესახებ.

*«აქამდე აზნაურები უწრუწუნებდნენ ქორებსა,  
ეხლა იმათი ცოლები უკან დასდევენ ღორებსა.»*

*«აზნაურობა მიყვარდა, გვერდზე დახურვა ქუდისა,  
გავლა-გამოვლა სოფელში, გადაკიდება ჩხუბისა.»*

*«კულდაბზიკა აზნაური ჩამოვიღის ვარიანსა,  
წიოკობას აუყენებს ქათამსა და ვარიანსა.»*

ერთი-ორი აზნაური თუ ერია ერში, შედრენდნენ ხოლმე, მაგრამ აღმაცერად რომ გადახედავდნენ იფნისსახრიან ბიჭებს, ხუმრობაშიღა გაატარებდნენ.

– თორე, შენ უარს იტყობდი ქათამზე, მაიმახო?!<sup>127</sup> – წაჰკვესავდა თედო ძელიშვილი.

– აბა, კაცის წყენინება არ იყოს! – უმალ გაისმოდა ქოჩორა ბიჭებში რომელიმეს ხმა.

– მაშ რა, ფეხმართალია? – არ იშლიდა თევდორე.

– ფეხმართალია თუ მაიმახი, ეგა ჯობიან ბევრ ფეხმართალსა, მაგრამ ხელმრუდესა.

– რომელ ხელმრუდესა? – და ხელს დაიდებდა ხანჯალზე.

– აბა, აბა! – და მიწას ნელინელ სცილდებოდა იფნისა და რცხილის სახრის ბოლოები.

– დაიცათ, ბიჭებო, თევდორე, აი, ერთსაც გეტყვით...

*«წავა – წამოვა ღრუბელი, თავ-თავქვე დაეკიდება,  
რაც კაცი თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდება.»*

– რაც მართალია, მართალია, – გაირბენდა სიტყვა და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგებოდა.

– წნელი მოუჭირეთ თავზე, რჩოლი, თორემა გაექცევა, – არ იშლიდა თევდორე.

– კარგი, კაცო!

– მაშ, რა კენჭებს ისვრის ჩემს ბოსტანში?

თუ შეამჩნევდა დოდე, მსმენელებში გოგოები არ იყვნენ, მაშინ ტერტერას ლექსსაც იტყობდა და მღვდელს და ფოფოდიასაც მიაყოლებდა.

დოდემ კარგად იცოდა ჩვენი მხრის ავ-კარგი, გლეხი თუ აზნაური, თავადი თუ მღვდელი, მამასახლისი თუ ჩაფარი და ყველას გამოიყვანდა ხოლმე თავის ლექსში. ახლა, როდესაც მისი ლექსაობა მაგონდება, ისეთი

შთაბეჭდილება მრჩება, მას მომზადებული ჰქონდა რამდენიმე შაბლონი და, საჭიროების მიხედვით, ამ შაბლონში ჩასვამდა ხოლმე რაიმე მომხდარ ამბავს ან ვისმეს ავკაცობას და ლექსიც გაუჭირვებლად მზად იყო. სააშკაროდ ვერას უბედავდნენ, მაგრამ მაინც უმტრეს. ერთ საღამოს, როდესაც თავის ძმისწულთან, ტასასთან, იყო, «ბედაური» მოჰპარეს. ცამ უყო პირი თუ მიწამ, ვეღარ გაიგეს.

ერთი კვირის შემდეგ წნელზე წასულმა ბიჭებმა ტეტუნაანთ ქალაში იპოვეს დოდეს ვირის ჩონჩხი. ვილაცას წაეყვანა, მუხაზე მიება და მგლებს შეეჭამათ.

ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ ეს თევდორეს ან მისმაგვართა საქმე იყო. ისინი ხომ ტასაანთ კარის მეზობლები იყვნენ.

ძალიან შეწუხდა ყველა. ფული შეაგროვეს და, მიუხედავად გული ზამთრისა, ერთი-ორი ბიჭი დირბში (ქართლში იმ დროს ვირი იშვიათი იყო, დირბში კი ჰყავდათ თურმე) წავიდა და ოთხ თუ ხუთმანეთიანი ვირი გამოჰგვარეს. დიდად გაიხარა დოდემაც და ხალხმაც. დიდთოვლობა სადაც მოუსწრებდა, იქა რჩებოდა. ზამთარი რომ გატყდებოდა, მაშინ კი «აიდგამდა ფეხს». ბევრს არ გაიხლებოდათ, დღეში ერთი იჯრა ყოფნიდა, მოდი და ნუ იმყოფინებდა სხვის კარად მავალი, თუმცა ყველა გულიანად იღებდა. დოდე მაინც გზამ მოკლა. ერთ დღეს ხელთუბნიდან წამოსულა, ზამთარი ჯერ არ იყო გამტყდარი, ვირი რუში გადასულიყო, ურემი ვეღარ ამოეტანა. დოდეს სძინებოდა და ვეღარც გაიღვიძა თურმე. წასვლის წინ კი ეთქვა: «მხარი საწყენს მეუბნებაო», მაგრამ მაინც წასულიყო.

### ფშატია

სოფელში სიმღერისა და ლექსის ტრფიალი სხვაც იყო. აი, თუნდაც გიო (ფშატია), ჩვენი კარის მეზობელი, მაღალი, წვრილკისერა, პირს ღიმილი არ შორდებოდა.

იცოდა სიმღერა და მღეროდა კიდევ. ისე კი არა, დარბაისელმა ხალხმა რომ იცოდა სიმღერა მკაში, გუთანზე ან ჭონაზე – არა, პატარა მიზეზი იყო საკმარისი, რომ ლექსი ჩამოემარცვლა. მამულში მაინცდამაინც ოფლს არ ღვრიდა. ცოლი ცაცკა (მართა) და შვილები ჰყავდა. ოჯახის საქმეებს უმცროსი ძმა, ვანო (სიდაბლისათვის «ხონჩად» წოდებული), განაგებდა, ხარ-კამეჩი, ხვნა და თესვა მას ევალებოდა. ვენახს ფშატია უვლიდა. ორი მწევარი ჰყავდა, ხე ჩამოყრიდა თუ არა ფოთოლს, თავის მწევრებით სოფლის გარეთ იყო და გაჰკიოდა: «აბა, აგურა, აბა, მერცხალა, ტატა...» დღეგამოშვებით მოიტანდა ერთ კურდღელს და ორი დღე მის სახლში «ვარხალალო» ისმოდა. ან ხშირად ერთ-ერთ ერისთავთან ნადირობდა. ამ ერისთავს ნადირობა უყვარდა და ოთხ-ხუთ მონადირე გლეხკაცს გაიყოლებდა ხოლმე. ბევრჯერ მინახავს, ათი-თხუთმეტი კურდღელი კეტებზე დაკიდებული რომ მოჰქონდათ მონადირეებს.

– ცაცკა, არიქა, ჩქარა, ჩემი ჩოხა!

წამოავლებდა გრძელ ჯოხს ხელს და გავარდებოდა კარში. აი, ღვინია ხარებშებმული ურემიც, ნეფე-პატარძალი მუთაქებზე სხედან, ქოჩორა ბიჭი მეურმეა. მაყრები ფეხით მოდიან, ხმა ჩახლეჩიათ, მაგრამ მაინც მღერიან. სოფელში არიან და ასე უნდა, ხომ უნდა გააგებინონ ხალხს, რომ პატარძალი მიჰყავთ.

სწრაფად ამოუდგებოდა გვერდში, უმაღლვე ჩამოართმევდა პირველს და გამკვივანი ხმით იტყოდა მაყრულს (კარგი სიმღერა იცოდა), მის ხმას მეორე სოფელში გაიგონებდი, არც ლექსი შემოაკლდებოდა, არც ღიმილი და თვალბეჭდში სითბო, პირველს ამით დაიწყებდა:

*«ნეფე, ღმერთმა აგაშენოს, როგორც შიოს მარანია,  
შვიდი ვაჟიშვილი მოგცეს, პირზე ესხათ ბალანია,  
აგიყვანოს ცათამდინა, დაგნატროდნენ ყველანია».*

შემდეგ პატარძალს გადახედავდა და არ დააყოვნებდა:

*«ასრე უნდა, პატარძალი ირხეოდეს ვერხვივითა,  
მამამთილსა ემსახუროს, დედამთილსაც ღმერთივითა».*

მაყრებს უხარიათ: ახალი კაცი შეგვემატაო. ნეფეს ეღიმიება, თუმცა არ იცნობს, მაგრამ ხედავს – კაი კაცია და უხარია. ფშატია მისდევს მეორე სოფელში და იქ, ქორწილში, ერთ-ორ დღეს რჩება.

შეიძლება იქიდანაც რომელიმე მექორწილეებს გაჰყვეს, ასე შვიდი-რვა დღე ხშირად დაკარგულია, ცაცკა კი იკლავს თავს, ქმრის გასაკეთებელს ის აკეთებს, მაგრამ სად ქალის მარჯვენა და სად ვაჟკაცისა. ცაცკას უნდა ეთქვა:

*«ვაი, რა ძნელი ყოფილა  
მონადირისა ცოლობა»...*

სახლში დოვლათი არ ჰქონდა, მაგრამ გულლია იყო. ხან ვის იყვანდა შინ და ხან ვისა.

– აბა, ცაცკა, შენი ჩადებული წიწაკის წნილი!

წნილსა და პურს რომ მიუტანდა...



– შენ, ვიცი, ერთი ბოთლი არაყიც გექნება...

და მეტიც არა უნდოდა რა.

ამის გამო იყო, რომ ფშატიყვავილობას<sup>128</sup> მის ოჯახში ხშირად ვარცლი კანკალებდა, ე.ი. სიმინდიც გამოელოდა და ხორბალიც. ამის შემდეგ შესცქეროდა ცას, მზეს ღრუბელი არ გადაეფაროს, ყანას სხივი არ მოაკლდეს, მალე შემოვიდესო.

ნახევარ დღიურ (2500 კვადრატულ მეტრს) ქექრელს<sup>129</sup> დათესავდა, მას ერთი-ორი კვირით ადრე მკიდნენ თითქმის ოდომლერში<sup>130</sup>. გალენავდნენ და მარცვალს მზეზე ახმობდნენ.

მაგრამ ფშატია მაინც ბედს არ ემდუროდა... ცხოვრებისაგან ბევრს არ მოითხოვდა, მღეროდა და სხვასაც ამღერებდა:

*«წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წუთობით იწვება,  
ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგი უცეცხლოდ იწვება».*

### **დღეობები**

მართალია, დღეობაში სიარულით არცთუ განებივრებული ვიყავი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეობები ძალიან მიყვარდა. მიყვარდა ჭიდაობა, ლხინი, სხვადასხვა შეჯიბრი, ხალხი – მორთული და მხიარული.

– ჯერ ერთი, თვითონ ჩვენ სოფელში იცოდა დიდი დღეობა «ამაღლება», «მარიამობა», (აღდგომის მეორე დღეს) სოფელს მოზმულ სოფლებში, კარბში – «სამეობა», ფლავში – «ნათლიმცემლობა» და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, სოფელი მეორე სოფელს ვალში არ რჩებოდა. სამი დღე მაინც იყო მხიარულება, მოვიდოდნენ გათხოვილი ქალები ქმარ-შვილით, ნათესავები, მეგობრები, სამეგობრო ხალხი. ამ დღისთვის ყველა ემზადებოდა. ჯერ კიდევ წინა დღეებში ერთი ამბავი ჰქონდათ გასათხოვარ გოგოებს: გვიდნენ, რწყავდნენ, ასუფთავებდნენ ეზო-გარემოს. სოფელს ნათელი ჰქონდა გადაფენილი, ისეთი ნათელი, რომელსაც მზიან დღესაც კი ვერ ნახავდი. ამ დღისთვის ყველა საუკეთესო ტანისამოს იცვამდა, საუკეთესო პურს და ლავაშს, ნაზუქსა და ქადას აცხობდა; უეჭველად საკლავი ჰყავდა მომარაგებული<sup>131</sup> – უსხი, ჭედილა, ხბო, ბურვავი ან ინდაური, ერთი სიტყვით, კაცი რის შემძლეც იყო, ამ დღისთვის არას დაიშურებდა.

ყოველი სახლიდან ისმოდა გრძელი მრავალყამიერი თუ მაყრული.

საუზმის შემდეგ ყველა ეკლესიის ეზოსკენ მიიქაროდა, სადაც გაჩაღებული იყო ლხინი. ბიჭები, რასაკვირველია, ჭიდაობისკენ გავრბოდით. აქ უკვე ტრიალებდნენ სახრეებით პაპიანთ შაქარა და გიგუანთ წყალობა. «განი, განიო». ზურნის ხმა კი ცასა სწვდებოდა. საქორწილო ბიჭები ლხინს ეტანებოდნენ. გრძელქოჩრიან თავებზე ჩიტის ბუდისოდენა ქუდები ეხურათ.

– პეპა, წადი, გამორეკე, თორემ აქ მოჭიდავეები არა გვყავს, გვაჯობებენ... – ეხვეწებოდნენ პეპას სარისტის მიმცემი ბიჭები. პეპაც დაუზარებლივ ართმევს სახრეს და მირბის ლხინის წრისაკენ. მალე სიცილითა და ბურტყუნით ბიჭებიც მორბიან საჭიდაოსკენ: გედახის ბიჭი, ყურთულაანთ სანდრა, დალაქიანთ გიგო, გიგუანთ ზურა, ფშატას ბიჭი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი. ჩვენებურები ჩემ დროს კაი მოჭიდავეები იყვნენ, სხვასოფლელებს ესახელებოდათ, თუ აქ იჭიდავებდნენ და გაიმარჯვებდნენ. ამავე დროს, ისიც იცოდნენ, რომ აქ ჩხუბის ატეხა აზნაურებს ხეირს არ მისცემდა.

აი, გავიდა წრეში დალაქიანთ გიგა, მის განიერ მკერდს თითქოს დასასრული არა აქვსო. გამოიყვანეს ქვემოსოფლელი, დიდხანს არ მონდომიან ძალის სინჯვას, ქვემო სოფელმა დაიჩოქა და უნდოდა, კისრულზე წამოეღო, მაგრამ ვერ მოხარა და მიწაზე პირქვე დაემხო. გიგამ ხელი წაშველა და წამოაყენა, ხალხში მოწონების შემახილები გაისმა. ახლა გიგამ სტაცა ქამარში ხელი, ხალხს გაუხარდა. ზურნა იჭაჭება. «ჭიდაობას რა უნდა, წამოვიდება უნდა»... გიგამ შემოატარა წრე, მოწინააღმდეგეც აჰყვა, გიგამ კი უცბად, მოულოდნელად, მოიგდო თემოზე და წამოაპირქვა. «აი, შენ კი გენაცვალე»... – წამოიძახა წრემ. წამოქცეული კი წამოდგა, ხელი გაუწოდა და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ჩვენებურები ზეიმობდნენ.

აი, წრეში გამოვიდა მაღალი, ხეხელა ჭაბუკი.

– ჩიტოა, ზემოქართლელი, წვერელი.

– არა, კაცო, ის კი არა, დიდი მოჭიდავე რომ იყო, იმისი შვილია, თუ შვილიშვილი... – ატყდა ხალხში ჩურჩული.

– ფარდი, ფარდი... – ისმის შემახილი. ამ დროს წრეში გადმოხტა ფშატას ბიჭი, გადმოხტა და ემგერა, თემოსკენ გაიწოდა ხელი, კალატოზიშვილმა კი ისე მოიცილა, გეგონებათ, ბალღის ფუნჩულა ხელიაო. ზურნამ აუწია. მიხა გახტა უკან და ახლა ჩოხის საყელოსაკენ გაიწია, მოწინააღმდეგემ მიუშვა და უცბად შუაკაურით<sup>132</sup> ასწია, ასწია კიდევ და მიხამ ზურგიც დაჰკრა. «არის», «არ არის» ზედმეტი იყო. კალატოზიშვილი იდგა და უცდიდა, მიხა წამოდგა, შეხედა, და გავიდა წრიდან.

– ხელის ჩამორთმევა დაგავიწყდა, გლებო! – გამოსძახეს აზნაურების მხრიდან...

– კიდევ ვინა ხართ? – გაისმა ისევ იქიდანვე.

– ჩვენა ვართ! – და გადმოდგა ნაბიჯი გედახის ბიჭმა. ქოჩორა იყო, შავგვრემანი, მკერდგანიერი, ჯმუხი, ღიმილმადლიანი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლექსო კაპანაძე იყო, სინოს ბიჭი. მის მამას «გედახს» ეძახდნენ, იგი ხშირად დადიოდა პურის სამკვლად, სიტყვა «გედახი» ყაზახიდან მოიტანა. შეარქვეს «გედახი» და მისი ბიჭი კი უკვე «გედახის ბიჭი» იყო.

დინჯად მივიდა, ხელი ჩამოართვა. ხალხი გაიტრუნა. გედახის ბიჭმა მოასწრო და წასწვდა ჩოხის საყელოს, წასწვდა და შეტრიალდა, შეტრიალდა და მის უზარმაზარ ბეჭებს გადაეწვოდა ეს კოპჩია და მაღალი ვაჭკაცი, მაგრამ მალევე წამოხტა. გედახის ბიჭი იმავე ადგილს დახვდა. მოწინააღმდეგემ სცადა, შუაკაური გაეკეთებინა, მაგრამ გედახის ბიჭმა დაასწრო და თემოზე წამოიწოდა, გაშალა მწვანე მოლზე. ხალხი ერთმანეთს მიაწყდა; აი, უცბად წრეში მათრახამართული არჩილი გაჩნდა, მაგრამ თვალის დახამხამებზე ჩვენებურს გვერდში ამოუდგნენ გიგუანთ ლექსო და სამიოდე სხვა, ღობის მარგილებით შემართული. არჩილს ფერი ეცვალა; ეს არჩილი არ ისვენებდა, ლექსოს კეტი თვალში ეჩხირებოდა. აი, უცბად ხანჯალამოღებული გაქანდა მისკენ, მაგრამ წრის თადარიგის მიმცემმა შაქრომ ჯოხი ხელზე დაჰკრა და ხანჯალი გააგდებინა. ამის შემდეგ ატყდა კეტების ჭახაჭუხი, ერთი ჩოხიანი (აზნაური) არ გაუშვეს კეტდაურტყმელი.

– სადაც გაგსვლიათ – ხო, მაგრამ აქ არ გაგივათო...

ძლივძლივობით გაყარეს ერთმანეთს მოჩხუბრები, კაცი არ მოუკლავთ, მაგრამ თავგატეხილი ბევრი იყო.

ეცადნენ ჭიდაობის აღდგენას, მაგრამ ეშხი დაკარგული იყო.

– შენა? არა ჭიდაობდი?

– ხშირად არა, მაგრამ ერთი-ორჯერ კი.

– რაც გულში ჩაგრჩა, ის გვიამბე... – ჩააცივდნენ ბიჭები.

დღეობაში არ ვჭიდაობდი, მაგრამ ძალოვანის სახელი კი მქონდა, ათფუთიანი ტომარა თორმეტსაფეხურიან კიბეზე ადვილად ჩამქონდა. 7-8 საცალო<sup>133</sup> ზედიზედ.

ერთ დღეს მკის მუშამ ისამხრა და უზარმაზარი ვერხვის ძირში თავისებური ღებინი გამართა, ფშატას ბიჭი გამოქანდა და მეცა. «აბა, განი განი!» – გაისმა ხმა და თან საჭიდაოც დაამღერეს. უცბად მომაგონდა კალატოხიანთ ჩიტოს შუაკაური და არც დავაყოფენე. მიხამ ქვევიდან შემომაჭყიტა თვალი. დაჰკრეს ყიჟინა. ზოგმა დაიძახა: «ჯერი არ არისო». არ ვიცი, თავისი ფალავნის წაქცევა იწყინეს, თუ ახალი ფალავანი უნდოდათ, კიდევ ენახათ. ასე იყო თუ ისე, კიდევ დამჭიდეს, ელვასავით მეცა და სცადა, წამოვეკიდე, მაგრამ მზად დავხვდი. გავშალე წელში და კვლავ შუაკაურით მოვიქციე ქვეშ.

დღეობაში არ მინახავს ისეთი შემახილები, მაგრამ, რად გინდოდა დღეობა, აქაც ღვინით კარგად იყვნენ შეხურებულნი, ის იყო და ის, გამივარდა მოჭიდავის სახელი. ფშატას ბიჭის წაქცევა ხუმრობა საქმე არ იყო.

კვირაცხოვლობა აღდგომის სწორი იყო. ორშაბათს კი სწავლა იწყებოდა. სოფელში ვიყავ, ჩავაბარეთ ურემი, დედამ გვითხრა: კარაღეთში დავასვენოთ საქონელი, დღეობაც ვნახოთ და (კარაღეთში, ნაჭარმაგვის<sup>134</sup> თავში, კვირაცხოვლობა იცოდა) საქონელსაც იქ ვაჭამოთ.

კარაღეთში რომ ჩავედით, დღეობა გახურებული იყო. საჭიდაოს წრიდან ისმოდა ცამდე ასული წამომახილები, ქება.

დედამ, ის-ის იყო, სუფრა გაშალა და მოგვადგნენ ჩვენი სოფლის თავკაცები-პეპა და ორი თუ სამი სხვა.

– მინდია, თუ გვიშველი, შენ გვიშველი, სანდრაც წააქციეს, ვანაც, შაქარაც. სხვები კი აქ არ არიან, უნდა იჭიდაო.

– რას ამბობთ, რა დროს მაგის ჭიდაობაა! – შეუტია დედაჩემმა.

– მაშ, ჩვენებურები ეგრე პირმურიანები წავიდეთ?

წამოვდექი, დედამ შემომიტია, მაგრამ ჩვენებურებისათვის პირი ხომ უნდა ჩამომეხანა.

მალე წრეში ვიდექი საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი. მეორე მხრიდან ერთი დაბალი და თხელი ბიჭი გამოხტა.

– კაცო, მეტი ველარავინ ნახეთ? – ვუსაყვედურე პეპას.

შუა წრეში შევხვდით ერთმანეთს. ხელის ჩამორთმევისა და მისალმების შემდეგ ქამარში ხელი წავავლე, მოვსინჯე, მსუბუქი მეჩვენა, «რახან ეგრეა, წრეს შემოვატარებ და ქალების ჯგუფთან დავდებ», – ვფიქრობ ჩემთვის. მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ თვალეები ძირიდან შემოვანათე. ის დალოცვილიშვილი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მე რაღაცაზე ვფიქრობდი, დაიჩოქა და წამომიღო კისრულზე, ქართული ჭიდაობაც ესაა სწორედ.

არა მწყენია. წამოვხტი, გადავკოცნე და გავერიდე წრეს. «აგრე გინდაო, – დედაჩემმა, – როცა არ იცი, მეცამეტე გოჭივით ნუ გახტები ხოლმეო».

გარდა საეკლესიო დღეობებისა, საჯარო ჭიდაობა იმართებოდა აღდგომის კვირას და ყველიერში.



ყველიერი დიდი დღესასწაული იყო სოფელში. ყველიერში იცოდნენ ჭონაც, ყენობაც, ჭიდაობაც, ჩალიჩიც, დამიკარიც და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა. ყველიერი რაღაც თავისებური მხიარულებით გამოირჩეოდა. არც ერთ სხვა დღეობაში არ იცოდნენ იმდენი ხმაურობა, რამდენიც ყველიერში.

ყველიერის წინა ღამეს ჩამოივლიდნენ მეჭონეები, ყველას კარს მიადგებოდნენ. იმღერებდნენ, ზოგთან თითო ჭიქა არაყს ან ღვინოს გადაჰკრავდნენ და აგროვებდნენ ფულს, ხორცს. მახსოვს, უკანასკნელი ჭონის ხალხი ყველა ჭადარა კაცი იყო: გიო (ფმატია) კომუაშვილი, ნიკა პაპიაშვილი, ლექსო პაპიაშვილი, ცაკა რაზმაძე, გიორგი ხაბაზაშვილი. ახლა რომ ცოცხლები იყვნენ, საუკეთესო სახელმოხვეჭილი მომღერალთა გუნდი იქნებოდა. მოდგებოდნენ კარს და იტყოდნენ ჭონას. იტყოდნენ და რას იტყოდნენ?! ნიკა პაპიაშვილი რომ დაიწყებდა, გეგონება, აბრეშუმის ძაფი ამოახვია და მისი ბოლო ცაში ვარსკვლავს უჭირავსო; წმინდა, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ცაკა რაზმაძე მეორეს ეუბნებოდა და წმინდა სანთელივით დნებოდა, დანარჩენები ღულუნებდნენ და, როცა საჭირო იყო, გუგუნებდნენ.

მასპინძელი კარში გამოვიდოდა, ქუდმოხდილი უგდებდა ყურს, სანამ არ მოათავებდნენ, ხმას ვერ გასცემდა. დაამთავრებდნენ და ეტყოდა:

– აი, აგაშენოთ ღმერთმა. მობრძანდით ბუხართან, ცოტა შეთბით.  
– შენ აგაშენოს და დაგამშვენოს, მტერი დაგიმარცხოს, მოყვარე გაგიძლიეროს. შემოსვლით ვერ შემოვალთ, გვიანაა, ჯერ შუა უბანში არცა ვყოფილვართ...

მიიღებდნენ, კვერცხი იქნებოდა თუ სხვა რამ შესაწევარი და გადაინაცვლებდნენ სხვაგან; ბოლოს, როცა დაიღლებოდნენ, ერთ-ერთის შეპატიჟებაზე (წინასწარ დათქმულთან) შევიდოდნენ, მიუსხდებოდნენ ბუხარს და იქ იტყოდნენ ჭონასაც, სოლომონ ბრძენსაც, თეთრო ბატოსაც, შამშეს და კაკაბსაც, ჩავუხტეთ ბარათაშვილსაც, ზამთარიოსაც, მაყრულსაც, ერთი სიტყვით, ყველას, რაც იცოდნენ, და სიმღერა მათ არ შემოაკლდებოდათ. სად წავიდა სოფლიდან ეს სიმღერა?

– ფილარმონიაში დაამწყვდიეს, – წაიხუმრა ვახტანგმა, – და ხალხში აღარ უშვებენ.  
– მეორე დღეს იწყებოდა დღეობა, – გააგრძელა გიორგიმ, – ჯერ ერთი, ჭონის ხალხი საერთო სადილს მართავდა, რომელსაც მთელი სოფლის თავკაცობა ესწრებოდა; დღეობაში თუ ყველა ოჯახი თავისთვის ქეიფობდა, ყველიერში ქეიფი საერთო იყო, სახალხო. ხალხი შეხურდებოდა და მაშინ იტყოდნენ ყენი ჩამოვატართო. ვინმე ყენად მორთულს უკულმა შესვამდნენ ვირზე, თუ ვირი არ იყო – ჯოხზე (ბავშვებმა რომ ცხენაობა იციან), გვქონდა ბალღობას ერთი აურზაური, წავიყვანდით ამ მორთულ ყენს და წყალში გადავადებდით. თებერვალი იყო, წყალს ზოგჯერ თოში და ენთელი მოსდევდა და ამიტომ ყენს ვუფრთხილდებოდით (ის ხომ მართალი ყენი არ იყო), ფეხს დაისველებდა და გაიქცეოდა სახლში ტანისამოსის გამოსაცვლელად.

აი, ამის შემდეგ მივრბოდით სოფლის მოედანზე ცეკვა-თამაშით, სულ ასკი-კუკუს<sup>135</sup> ვბუქნაობდით. იყო ერთი მხიარულება, ჟივილ-ხივილი. ყველიერი, ძირითადად, ვაჟკაცობის დღეობა იყო. იმართებოდა სავაჟკაციო თამაშობანი, ჭადარაშერთულები სხვებზე ნაკლებ არ ჩალიჩობდნენ. მართლა, ჩალიჩიც<sup>136</sup> იმართებოდა. ცოლშვილიანები და უცოლშვილოები ჯიბრობდნენ, ან ზემოუბნელები და ქვემოუბნელები. ჩალიჩად დახვეულ ტილოს ხმარობდნენ, ან სელის ტომარას სიგრძეზე ჭრიდნენ და ჩალიჩს მისგან აკეთებდნენ. მოჩალიჩენი ფეხზე ტოლალს<sup>137</sup> იხვევდნენ, ზედა პაიჭებს ან საცვეთებსაც იცვამდნენ, მაგრამ ძლიერი ვაჟკაცისაგან დარტყმული ჩალიჩი მანც თავისას აკეთებდა, მოჩალიჩებს წვიგები სულ დალურჯებული ჰქონდათ, ვაჟკაციური სპორტი თუ გინდოდა, ეს იყო.

მეორე საერთო თამაში იყო დამიკარი, აქვე ეგდო დიდი ქვა, ხოლო მას «საჯილდაო» ქვას ემახდნენ და არა «საჯილადოს».

მესამე ადგილას ფერხული ჩაებათ და წრეს უვლიდნენ, ღამაში იყო შავჩოხიანების ფერხული, მზეკაბანივით რომ ღელავდა მათი ბეჭები, ფერხულის ცეკვაში ქალები არ იღებდნენ მონაწილეობას, პატარძლებსა და გასათხოვარ გოგოებს ლხინი ცალკე გაეჩადებინათ, სალამურისა თუ «ბუზიკის» ხმა ცას სწვდებოდა.

პატარა გოგოებს კი «ბუკნაჭოტური» ლხინი ჰქონდათ.

ჩალიჩით რომ დაიღლებოდნენ, ჭიდაობა გაიმართებოდა. ყველას სიამის ღიმი დასთამაშებდა სახეზე.

ასეთ დღეობებში ჩხუბი არ იქნებოდა. წვრილფეხა აზნაურები აქაც არ ისვენებდნენ, მაგრამ იცოდნენ: საერთო ლხინის ადგილის ახლო, რომელიღაც ეზოში, რამდენიმე მარგილი იყო მიყუდებული და აშკარად ვერაფერს ბედავდნენ.

ამგვარად, ძველმა სოფელმა შესანიშნავად იცოდა წელიწადში რამდენიმეჯერ დარდის ჩამობერტყვა და დროს ტარება.

## მელიშვილები

როგორც აღვნიშნე, ჩვენს სოფელში აზნაურების ერთი თხუთმეტი კომლი მაინც იყო, უმრავლესობა ხელმოკლე, მცირემამულიანები. გლეხებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ კვირა-უქმეს ჩოხას იცვამდნენ და ხანჯალს შემოიკრავდნენ. საერთოდ, მშვიდი ხალხი იყო, მაგრამ მათში თავისი ავკაცობით გამოირჩეოდა მელიშვილების ორი ოჯახი – თევდორე მელიშვილისა და გიო მელიშვილისა. თევდორეს სამი ვაჟი ჰყავდა: გენო, ალექსი და ექვთიმე, გიოს – ხუთი: დემეტრე, სანო, გიგა, სოსო, კოლა. ამ ორ ოჯახს შორის სისხლი დატრიალდა. თევდორეს მამას გიოს მამა მოეკლა ბარით, მიჯნაზე წაჩხუბებულიყვნენ. ერთი მტკაველი ჩემკენ გადმოგიწევიაო, – ედავებოდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ ერთი მათგანი ბარით თავგაჩეხილი მიწაზე დაეცა, დაეცა და ვედარც ადგა. ის იყო და ის, სისხლი ვედარ გაიბანა ამ ორ ოჯახს შორის.

– არიქა, მელიანი ჩხუბობენ, – გავარდებოდა ხმა და მთელი ზემო უბანი გავრბოდი მათ კარ-მიდამოსკენ. იყო კეტების ტრიალი. გავაშველებდით, დასისხლიანებულ თავ-პირს მოვბანდით, ვამშვიდებდით.

– აი, ნახავ, თუ მაგათ ერთმანეთი არ ამოწყვიტონ!...-იმახოდა ხალხი.

თევდორე და მისი ბიჭები თუ კიდევ ერეოდნენ ხალხში, დღეობაში თუ სოფლის საქმიანობაში, გიოს ბიჭები თავის ეზო-მამულს არ სცილდებოდნენ. გუთნეულიც კი საკუთარი ჰყავდათ. სანო იყო მათი გუთნიდედა და «გარეშე საქმეთა მინისტრი», მას ჰქონდა ურთიერთობა სოფელთან. დემეტრე, გიგა და სოსო დილიდან საღამომდე თავაულებლად მუშაობდნენ. კოლა, როგორც ჩანს, ბავშვობაში პოლიომიელიტით ყოფილა ავად და მარჯვენა მხარი დადამბლავებოდა; ვერ იტანდნენ ძმები, რომ არა მუშაობდა, პურს კი ჭამდა. ხშირად კეტებით ცემდნენ ძმები ხეზე დაბმულს, ისმოდა მისი ბლავილი. როცა წამოვიზარდე, გადავუხტებოდი და გავაშველებდი. «შენი საქმე არ არისო», – შემომიტევდნენ, მაგრამ თანაც ერიდებოდათ, რადგან დავემუქრე – მაზრის უფროსთან ჩავალ და ვეტყვი ყველაფერს-მეთქი. კოლა ასეთი ყეჟვის მერე აიღებდა თავს და ზემო ქართლში ნათესავებთან მიდიოდა. სამიოდე კვირის შემდეგ დაბრუნდებოდა. დაც ჰყავდათ, მაყვალა, ისე გაათხოვეს, სოფელს არც კი გაუგია, მას შემდეგ აღარც სოფელში უნახავთ. მუშა ხალხი იყო. ყოველთვის კარგი საქონელი ჰყავდათ. იმათი შაქარა კამეჩი სპილოსა ჰგავდა, ლამაზი, რქადაგრეხილი, დიდთვალება, ტანოვანი, ღონიერი, გამწევი.

ხელმრუდეებიც იყვნენ, მაშინ, თუ სათანადო პირობებში მოექცეოდნენ.

– ლიახვმა ცხინვალელი ურიის ურემი მოიტაცა. ფართლის ცალები წყალმა წაიღო, – სოფელში ასეთი ხმა დაირხა, «ფართლის ცალები მელიანთ ბიჭებმა წამოიღესო», – ამბობდნენ, მაგრამ საბუთი არავის ჰქონდა. ერთხელ კარბულებში ბიჭებს მუხიანში საქონელი გვეყარა, ჩვენ კი მორევში ვბანაობდით. უცბად წყალში დგაფანი მოადინა ვილაცამ. წყლიდან რომ წამოიმართა, მელიანთ სანო იყო. ჭრელი ჩითის ნიფხავი ეცვა. ყველამ ჩითის ნიფხავს დავუწყეთ ცქერა. სანომ შემოგვიღრინა და გვიფრინა. ამის შემდეგ სოფელმა საბოლოოდ დაიჯერა, რომ ლიახვის გატაცებული ფართალი მათი წაღებული იყო.

ერთ დილით სოფელში ხმა დაირხა: სოსეს ნაკეთები ბალი გაუჩეხიათო. ოთხი წლის ჩაყრილი ბალი იყო, ორი ჰექტარი, პირწმინდად აეჩეხათ. სოფელმა იმ დღესვე თქვა: «მაგათი საქმეაო». საქმე ის იყო, რომ სოსეს საბაღე მიწა მათ მიწებს შორის იყო ჩახირული. სთხოვდნენ – გაგვიცვალეთ, ჩვენს მიწებს გავუერთიანებთო, ვერ მორიგდნენ, მელიანი შესაფერ ფარდს<sup>138</sup> არ იძლეოდნენ. «მაშ, კარგო», – ეთქვათ და ეს მუქარა ხუთი წლის შემდეგ შეუსრულეს. სოფელი კი ამბობდა, მაგრამ დამტკიცება არ გინდოდა? მეჯვრისხევიდან გადმოვიდა ბოქაული ჩაფრებით, ორი დღე იტრიალა, სადილ-ვახშამიც არ აკლდა. ვერაფერი აღმოაჩინა, ამოვიდა ეპისკოპოსი, იქადაგა, დაწყევლა ამის ჩამდენი და 5 თუ 6 წლის შემდეგ სოფელში ამბობდნენ: «წყევლამ უწიაო». ძმები ძმურად ცხოვრობდნენ, სანამდე სანო ცოლს არ ითხოვდა. ეს უკვე 1917 წელს იყო. მეზობელი სოფლიდან მოვიყვანეთ პატარმალი, ნაქვრივალი. რაკი ნაქვრივალი იყო, ქორწილი არ გადაუხდიათ. ერთი ორი კაცი იყო სუფრაზე. მეჯვარეობა მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი და გავყევ პატარმლის მოსაყვანად.

ერთი თუ ორი წლის შემდეგ დატრიალდა ცოდო-ბრალი. ახლა სანო აიძულეს ოჯახში. მისი აღარაფერი უნდოდათ, იყო ჩხუბი. გიგამ და სოსომ ცოლები მოიყვანეს, დემეტრე კი უცოლშვილო დარჩა, ამბობდნენ: სანო უნდა ამოიჭამოს და მისი ცოლი დაისაკუთროსო.

მეორე მელიანი ნიშნისმოგებით გასცქეროდნენ თავის სახლიკაცებს, რადგან ახლა მმათა შორისაც ხშირი იყო კეტების ტრიალი.

ერთ საღამოს დემეტრემ და გიგამ შეაბეს ურმები და გასწიეს გორისაკენ, ხეტყე უნდა ეყიდათ – ახალი სახლების შენებას ეპირებოდნენ. დამე წავიდნენ, რათა სიგრილეზე ევლოთ.

დილაადრიან სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, ჩავიბრინე. წყალგალმელი სიკა ფერწასული უამბობდა: «ადრე წამოვედი გორიდან, რაჯაბას ვერხვთან მელიანთ ურემი ხნულში გადასულა, გადავედით და რასა ვხედავთ:

დემეტრე პირველ დამხობილი ურემზე, მძინარისთვის ზურგში დაუხლიათ თოფი, გიგა ხნულში გდია, როგორც ჩანს, გაქცეულა, მაგრამ დასწევია და ისიც მოუკლავთ».

«რალას უცდით, ხალხო! მაინც ღვთისშვილები არიან, არ მივხედოთო?!» – დაიძახა «გიჟი გაბომ» და გავემურეთ რაჯაბას ვერხვისაკენ, რომელიც ჩვენი სოფლიდან 3 კილომეტრზე იდგა. ჩავედით, ხარ-კამეჩი საწყალობლად იცოხნებოდა. დავასვენეთ ურემზე დემეტრე და გიგა და ამოვიტანეთ. წმინდაგიორგში დავასაფლავეთ, საგვარეულო სასაფლაოზე.

დასაფლავებიდან ესლა დამამახსოვრდა: მათი ძმა კოლა იდგა და გაიძახოდა: «ჩემი მოკვლა უნდოდათ, თვითონ კი დაიხოცნენო».

რაჯაბას ვერხვისაკენ დახოცილების წამოსასვენებლად რომ მივდიოდით, ხალხი ტუტუნებდა: «სანომ დაახოცინა თევდორეს ბიჭებსაო», მაგრამ ამის არც მნახველი იყო ვინმე, არც გამგონი.

დარჩნენ სანო და სოსო. ერთი-ორი წლის შემდეგ გავარდა ხმა: «ხალხნო, მელიანთ ჩხუბიაო». გავემურეთ, სანო და ვიღაც მეორე თითქოს მიძგილაობდნენ. უცბად ეს მეორე მოსცილდა და დაემვა კიბეზე, ხელში მალა აწეული ხანჯალი უჭირავს, სანო შეტრიალდა, რაღაცას დასწვდა და გამოჰყვა, შუა ეზოში წამოეწია, ამართა ცული, რომ გიგას ცოლის ძმისთვის, რომელიც იმ დღეს სტუმრად მისულა-დაერტყა. გადავუხტი წინ, ცული დავაგდებინე. ახალგაზრდა ვიყავ და არ ვიცოდი, რა საფრთხეში ვიგდებდი თავს. გასისხლიანებული სანო სახლში შევიყვანე, ხანჯლიანი კი სხვებმა განაიარაღეს. ექიმი მოვიყვანეთ, შეუხვია, მაგრამ, რომ გამოვიდა, მითხრა: «ორი-სამი საათი თუ იცოცხლა, ეგეც კარგაო, მთელი მუცელი ჭრილობებდაა ქცეულიო».

დიაგნოზი სწორი გამოდგა. იმ ზამთარს კოლაც სადღაც კარში დარჩენილიყო და ისიც მომკვდარიყო. ოჯახიდან დარჩა მხოლოდ სოსო და სანოს ერთი ვაჟი; ეს ობლობაში გაიზარდა, სასარგებლო კაცი დადგა, აგრონომია, კარგი მუშაკი. სოსოს შვილები კი მასწავლებლობენ.

თუ გიო და მისი შვილები სულ მამულის შემენაზე ზრუნავდნენ, თევდორეს მამული ფეხებზე ეკიდა. ქეიფი რომ მოუნდებოდა, ხან ერთ ნაკვეთს ყიდდა, ხან – მეორეს. ზოგსაც მეტი არა უნდოდა რა, ჩალის ფასად ყიდულობდნენ, სხვისი გამონაცვალი ჩოხით მიდიოდა დღეობაში, კარგად იქეიფებდა და შემდეგ ჭადზე და წნილზეც კარგად გრძნობდა თავს. უფროსი ვაჟიც მამის კვალს გაჰყვა. მწევრებით ნადირობა (კურდღელზე) და სმა უყვარდა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ერთადერთი მწევარი «მერცხალა» ხუთ მანეთად გაყიდა და იმავე დღეს დუქანში დახარჯა. მუშაობაში სხვას ტოლს არ დაუდებდა. კარგი თოხი და ბარი იცოდა. უმცროსები ხნავდნენ, თესავდნენ, მაგრამ ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ. თავი სამოცდაათი წლის იქნებოდა, როდესაც უმცროსმა, მისმა მომდევნომ, ხანჯლით დაჭრა, მაგრამ გადარჩა. «არა, კაცო, მაგათში, სისხლის ცოდო ტრიალებს, – ამბობდნენ მოხუცები, – ეგრე ადვილად ვერ დაიდუღებსო».

იყვნენ ასეთებიც. ესენი საბოლოოდ არც ქვეყნისათვის ვარგოდნენ და არც თავის თავისთვის. როგორც ყანაში სარეველა ბალახი, ისე გამოერეოდნენ ხალხში, ჩრდილს დასცემდნენ ხალხის საერთო ნათელ იერს, მაგრამ ეს ჩრდილი ისევ მალე გადაიკრიფებოდა ხოლმე.

### **თავი III. მთა და ბარი ვის გაუყვია?**

#### **ერთი მუჭა ბრინჯიო**

მანქანა სოფელ ბელოთში გაგზავნეს – იქ დაგვიცადეთო. თვითონ სოფელ ქერესკენ გასწიეს. ქერე ერთ-ერთი პატარა სოფელია გვერდის ძირზე, იქვეა კულბითი, სადაც ჩერქეზიშვილები ცხოვრობდნენ. აქ, კულბითში, ჩერქეზიშვილებთან იზრდებოდა ერეკლეს შვილი იულონ ბატონიშვილი, რომელმაც სახლი სოფელ ბელოთში აიგო, სახლის ირგვლივ ბაღი გაიშენა. დღემდე ამ ბაღის ბოხობა კაკლები პატარა ლიახვის ხეობაზე. კულბითთან კავშირი სიკვდილამდე არ გაუწყვეტია ელისაბედ ჩერქეზიშვილს – ჩვენს სახელოვან მსახიობს. გორში დახვდებოდა ხოლმე საბარო ურემი და ტაატით ამოვიდოდა ჩვენს სოფლამდე, აქ თავის მეგობრებთან დაისვენებდა და მხოლოდ საღამოს მიაღწევდა თავის კულბითს.

სოფელ ქერესთან პატარა ქედზე ავიდნენ და ქედის ზურგით დასავლეთისაკენ გაჰყვნენ.

თითქოს ხელოვნურად არის გაკეთებული ამ ქედის ზურგი იმისათვის, რომ მაღლიდან ქართლის ვაკეს გადმოხედონ. ვერცხლის ძაფებივით ელავენენ უზარმაზარ ვაკეზე დიდი და პატარა ლიახვი, მათგან გაყვანილი სარწყავი არხები, აგრეთვე პატარ-პატარა მდინარენი: ჭარებულა, მეჯუდა, ამურა, ტორტლა... სოფლები ხილის ბაღებსა და ზვრებშია ჩამალული, უზარმაზარი ტირიფონა უკვე ბაღ-ვენახით ივარებოდა.

– ერთი მითხარი, რამდენი არაშენდა და ახალდაბაა საქართველოში? – ჩაურთო სიტყვა ვახტანგმა მაშინ, როდესაც ვიღაცამ ახსენა ეს სოფელი.

– ახალდაბა? ერთი ოცი თუ ოცდაათი, არაშენდა კიდევ მეტი...

– ესენიც ახალსოფელივითაა, – დაასკვნა ვახტანგმა.

- მართალია თუ არა, რომ ფრისის, დიცისა და არგვიცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია? – ააციმციმა თვალები ერეკლემ.
- ეს როგორ?
- წყალი არ ჰქონიათ ამ სოფლებს, ძალიან შეწუხებულან და ღმერთთან წასულან საჩივრელად. სადაურები ხართო? – ვერ უცნია ღმერთს, – ან რა ჰქვია თქვენ სოფლებსო? – უკითხავს. «რა ჰქვია და დიცი, ფრისი და არგვიციო, – უპასუხეს». ღმერთს თვალები დაუხამხამებია, ვერ მოუგონია და უთქვამს: «არც გამიჩენია და არც ვიციო». წამოსულან ხელცარიელები. მხოლოდ ჩვენს დროში გამოიყვანეს თურმე სასმელიცა და სარწყავი წყალიც.
- ეგ ვიღამ გაიმბო, ვისგან გაიგონე? – ჰკითხა ლელამ, რომელიც გუშინწინ თუ გუშინ წამოეწია მამასა და ძმებს.
- ქიტემ მიაგბო გუშინ, ლიახვზე რომ გადავედით.
- გაჰყენენ ორბოძალის წინ გაწოლილ ქედს, რომელსაც დისევის ქედს უწოდებენ, მისი აღმოსავლეთი ნაწილი ტყითაა დაფარული, მაგრამ დასავლეთი კი, სოფლების ახლო, მთლიანად ჩამოეტიტვლებინათ, დედაქანებიდა ჩანდა. ჯერჯერობით სამელიორაციო სამუშაოთი კი არ დაუწყიათ. პატარაა ჭარებულა, მაგრამ წვიმის შემდეგ შეიძლება ისე ადიდდეს, რომ თან წაიღოს ქერეს, ქიწნისის, კარალეთის მინდვრები.
- აიარეს სოფელი ჭარები, სნეკვები (ზემო და ქვემო სნეკვი). აღმოსავლეთით გადაკვეთეს ჭარებულისა და პატარა ლიახვის წყალგამყოფი ქედი, აქ, მთის ფერდობზე შეეფენილია ქსუისის სოფლის საბჭოს სოფლები. ერთი რამ ეცემა კაცს თვალში: ქართველებით დასახლებული სოფლები უფრო დიდია, ბალვენახებიანი, გარდა ჭარებისა, თვითონ ქსუისი, დმენისი, დისევი, კულბითი, დანარჩენი პატარ-პატარა სოფლები: ბევრიჯვარი, ზემო ქერე, გოჯითა, ზემო კორკულა, ქვემო კორკულა, ნანაიური, ხუგასთა, ხელჩუა და სხვა მრავალი, ზოგი აქეთა ფერდოს სოფელი ღრომის საბჭოზეა მიწერილი.
- ამ სოფლების ირგვლივ პატარ-პატარა ახოები<sup>139</sup> იყო გატეხილი, ბევრი ამჟამად მიტოვებულია, ზოგან კი ეთესა დოლისპური და დიკა, ადგილ-ადგილ – ჩოქელა სიმინდიც. ამ სოფლებისაგან ძველთაგანვე ტყე ძალიან შევიწროებული იყო, ქვემო სოფლებს (ტყვიავს, მარანას, ქიწნისს, ტირმნისსა და სხვათ) შეშა-ფიჩხს ეს სოფლები აწვდიდნენ. დღეს ტყეს შეღავათი მიეცა, სოფლებს ელექტრონი და გაზი აქვს. თონეს იშვიათად ახურებენ. პურის საცხობი თითქმის ყველა სოფელშია და ხალხი გამომცხვარ პურს ყიდულობს. ბუჩქნარი ბევრგან წამოზრდილია, მაგრამ მოვლა მაინც სჭირდება. ამ სოფლებსა და დისევის ქედს მაღლიდან დასცქერის ორბოძალის მთა, რომელიც თითქმის ორი ათასი მეტრის (1953 მ) სიმაღლისაა, უტყეოა. ვახუშტი ამ მთაზე წერს: «ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს ბალახი. უკეთუ მოძოოს არამუნებურმა<sup>140</sup> ცხენმა, მასვე წამს მოჰკლავს, აგრეთვე თივაცა მისი მოაკვდინებს და არს ესე ბალახი ამ მთებზე ზედა ყოველგან მრავალი<sup>141</sup>».
- ორბოძალა რაღად ეწოდება?
- ვანათიდან კარგად ჩანს. მისი მთელი მწვერვალი ორადაა გაყოფილი, ბოძალსა<sup>142</sup> ჰგავს. კულბითს რომ დაუახლოვდნენ, მაშინ შეაჯამეს ის, რასაც გაშლილ ვაკეზე ხედავდნენ: პატარა ლიახვის მახლობლად ერთმანეთს იყო გადაბმული: ფლავი, ქერი, ფლავისმანი, ქიწნისი, სათემო, შერთული, ძვერა, მარანა, ტყვიავი, კარბი, მერეთი, გუგუტანთ კარი, ზარდიაანთ კარი, ქსუისი, დმენისი, მთისკენ – სათიხარი, პატარა ლიახვს გაღმა კი – მეღვრეკისი, ბროწლეტი, ტირმნისი, თერგვისი, დიცი, ქორდა, არბო, ერედვი, არგვიცი, ფრისი, ერგნეთი – ყველა ბაღებში და ვენახებში ჩაფლული...
- დიდი ლიახვის გაღმა კიდევე უკეთესი სოფლები ჩანდა.
- ქვევიდან შემოვყევით?!
- აბა, ვახტანგ, შენ ჩამოთვალე!
- ტინიხიდი, ოთარშენი -აღარ არის, რუისსა და ურბნისს მალხაზის წვერი ეფარება, თედოწმინდა, არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, სასირეთი, ბრეთი, დირბი, ტახტიძირი, დვანი, ყელქცეული, შინდისი (ფრიად დიდი სოფელი), ქვემო ხვითი, ფხვენისი, ზემო ხვითი, ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ცხინვალი...
- კარგია? დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირიდან?
- კარალეთი, პატარა გარეჯვარი, დიდი გარეჯვარი, რეხა.
- მინდიავე, რად იტყვიან:
- «ჩემ მტერსაც დაღამებია  
კარალეთსა და რეხასა».
- იკითხა ვახტანგმა.
- რად იტყვიან? ეს, ალბათ, ზამთარზეა ნათქვამი, ღია მინდვრებია, ნამქერი იცის და იმიტომ...
- აბა, გავწიოთ, თორემ შეგვაგვიანდება. დანარჩენი სოფლები შემდეგ.

– ჯერ ორი საკითხი მაქვს, – არ ისვენებდა ვახტანგი.

– ვიაროთ და გზადაგზა თქვი.

ჩავიდნენ სოფელ ბელოთში, რომელიც, ძირითადად, ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა; იულონ ბატონიშვილის სასახლისაგან ციხის ნანგრევებია დარჩენილი. მის ეზო-გარემოში ერთი ბოხობა კაკალი ახლაც დგას.

უკანასკნელი მეფისწულები და შვილიშვილები ვერც დატოვებდნენ ვერაფერს, ახალმა დროებამ გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ ძალიან გააღარბა. რუსეთის მაშინდელი ადმინისტრაციის რუსიფიკატორული პოლიტიკა ამ პროცესს ხელს უწყობდა. ამის დასადასტურებლად მეფის ჩამომავალთა ორიოდ წერილს მოვიტან მხოლოდ:

«წერილი მეფის ასულის მარიამისა მიშკარბაშის ცოლის ქალუასადმი 1816-22.

«ბრწყინვალე კნენას, მოურავის ჯალაბს და უსაყვარლეს დას, ბატონს ქალუას, მოწყალე ხელმწიფას.

ვიცი, მწყალობელი ბრძანდები და ამისათვის გიკადნიერე მოხსენება, ვითხოვ: ცოტა ბრინჯი მიბოძოთ თავისი ერბოთი, ეგების მეც მაგიერი სამსახური შევიძლო. მეფის ასული მარიამი».

აი, მეორეც:

«1816-22 ქ. თქვენს ბრწყინვალეობას ორი ოქრო ებოძა. ღ-ნ მრავალს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს დაგასწრასთ კარგის ქმრითა და შვილებით და ჩემი თავიც გამსახუროთ.

მეფის ასული მარიამ»<sup>143</sup>.

წერილი იულონ ბატონიშვილისა იოსებ მიშკარბაშისადმი (იოსებ ბებუთოვი):

« 1801 წ. დეკემბრის 21 ქ.

მიშკარბაშო იოსებ!..

როგორც იყოს, ერთი კარგი ყალამქარის საბნის პირი თავისი შილით<sup>144</sup> უნდა მიშოვნო და რამდენიმე ლიტრა ბრინჯი და საჩქაროდ გამომიგზავნო.

დეკემბრის კი, ქ ჯ-ს უპთ იულონ.

ქ. შაქარი აღარ გვაქვს, იაფად იქნება და ერთი მისრიდინის შაქარი გამოგვიგზავნე. იულონ».

ეს წერილები იმიტომ მოვიგონე, რომ აგვეხსნა, რატომ არსად ჩანს მათი სასახლის ნაშთები. დიდი შემღებობის არ იყვნენ და მკვიდრ სასახლეებს ვერ აშენებდნენ, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველოს სუვერენიტეტი გააუქმა, «ერთი მუჭა ბრინჯი» ჰქონდათ სათხოვნელი და სახვეწარი.

### სათიხრული გორდა და ტაბაკი

ბელოთში, პირველ რიგში, რუკა გაშალეს. ამ ხეობაზე სოფელი მრავალია. ქართველებით დასახლებული სოფელი ერთი – ორიოდელაა (ბელოთი, აწრისხევი, ხადურთან კარი და კიდეც რამდენიმე).

«...ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთაგან მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან»...

ასე ხსნის ამ ხეობიდან ქართველების გამოხიზვნას ვახუშტი. გიორგი დაჰპირდა, ამ საკითხზე მერეც ვისაუბრებთო.

დმენისის პირდაპირ გაღმა მოჩანდა კოხოთი, ზემო სარაბუკი, ქვემო სარაბუკი, იქ, სადაც ღვრია უერთდება, დიდი სოფელია ვანათი, იქვე ჯორჯიანი და ლიახვის პირას – საცხენისი. აქა თავდება დიდი ბაღები, აქვე იწყება დიდი სარწყავი არხი – «ვანათის არხი», ესა რწყავს დიდსა და პატარა ლიახვს შორის მოქცეულ დიდ მინდვრებს (ერედვის, დიცის, მეღვრეკისისა და სხვათა ფართობებს). საცხენისის ზევითაა ხადურთან კარი, ხომერი, ბელოთი, ზემო ზონკარი, აწრისხევი, ინაურები და სხვანი.

ბელოთის აყოლებაზე სოფელი აწრისხევი და სხვები ძველად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები ყოფილა. აქ დღესაც შეიმჩნევა დიდი ციხის ნანგრევები. «ფოტრისხევს ზევით არს აწრისხევი. აქ აღაშენა შანშემ ციხესიმაგრე თვისად, არამედ იქნა გალიად, არა თუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ<sup>145</sup>».

საქართველოში რომ XVIII საუკუნის დიდი მოგზაური, ბოტანიკოსი და ბუნებისმეტყველი გიულდენშტედტი მოგზაურობდა, კახეთში ერეკლე ახლდა სამასი რჩეული ვაჟკაცი. როდესაც გიულდენშტედტმა იმერეთისაკენ წასვლა ისურვა, ერეკლემ იგი ქსნის ერისთავს გადააბარა და სთხოვა, იმერეთის მეფე სოლომონისთვის მშვიდობით ჩაებარებინა. ერისთავმა კარგად უპატრონა. სათიხარის გზით დიდი ლიახვის ხეობაზე გადაატარა, ღამე სათიხრის ციხეში გაათევინა, მეორე დღეს ვანათის გზით სამაჩაბლოში გადავიდნენ, საიდანაც მაჩაბელმა, დიდი ლიახვის მოურავმა, წონის გზით იმერეთში ჩაიყვანა.

საქართველოში მოგზაურობის შესახებ გიულდენშტედტმა საინტერესო წიგნი დაგვიტოვა, შედარებით კარგადაა აღწერილი ჩვენი ქვეყანა და მცენარეული საფარი.



დღეს ამ გზას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აღარ აქვს. მთისწინა კალთებს მოფარებით გზა და მგზავრობა მტერთა ხშირი შემოსევის მიზეზითაც იყო გამოწვეული.

სოფ. ბელოთელები და სათიხრელები კარგი ხელოსნები იყვნენ, ქვემო სოფლებს ესენი აწვდიდნენ კიდობნებს, ხონჩა-ტაბაკებს, გორდასა და თაბახებს, სივირასა<sup>146</sup> და ორომს, სადღვებელს და ჩანახებს, ჯამსა და კოვზს, კათხასა და ციცხვს, აკვანსა და შიბაქს, სკამსა და ყოველივე ხის ავეჯს თუ ჭურჭელს; ლიახვის ნაკადულებზე პატარა-პატარა, პრიმიტიული ჩარხები ედგათ და მუშაობდნენ. მათი ნახელავი სკამი და კიდობანი, რომელნიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგებოდა, ისე მკვირვად იყო შეკრული, რომ «წყალი არ გაუვიდოდა». ლურსმნის ნაცვლად ხმარობდნენ ხის ფარეშებს<sup>147</sup>, მართალია, დასანანია, რომ ეს იშვიათი ხელოვნება გადავარდა, მაგრამ ცოტა მადლი ამ გადავარდნასაც დაჰყვა. ავეჯისათვის თუ ჯამ-ჭურჭლისათვის ყველა ხე არ გამოდგებოდა. კოვზი, ციცხვი, ჯამი კარგი გამოდიოდა პანტისაგან; ჩანახი, კასრი, სადღვებელი, სივირა – ვერხვისა და ოფისაგან. ვარცლი, გორდა, თაბახი, ტაბაკი – ცაცხვისაგან. მერე ყოველი ხეც ხომ არ გამოდგებოდა, ხე უნდა ყოფილიყო ტლუ<sup>148</sup>, უნჯურო, მამასადამე, არჩევდნენ, ხშირად მოჭრილს რომ დახედავდნენ, წუნს აღმოაჩენდნენ და სხვას ეძებდნენ. ვარცლისა და თაბახისათვის ხომ ხე საკმაოდ მსხვილიც უნდა ყოფილიყო.

– მაშ, არ ეკეთებინათ?

– უნდა ეკეთებინათ, მაგრამ წინდახედულად.

– ისეთს ნუ მოვთხოვთ ძველ გლეხს, რისი გაკეთებაც არ შეეძლო, – აუხირდათ ვახტანგი.

– რადა გლეხს, ტყე ვისიც იყო, მას უნდა სცოდნოდა ტყის ყადრიც. ნახევარ ნახელავს მებატონე იღებდა...

– გივი ამილახვარი მაინცდამაინც არ დარდობდა, მის შემდეგ რა იქნებოდა, – შეაშველა მინდია სიტყვა.

– ძველი კაცის ნათქვამიო, ხშირად არის მართალიო.

– გივი, გივი, ხშირად მესმის და ერთი მასზე არავისგან თქმულა.

– რა უნდა ითქვას? შავი რაზმის ჩამოყალიბება ქართლში მისი საქმე ყოფილა.

– ერთი კაი კაცის სახელი დარჩა ამქვეყნად და მეორეც ავისაო, – დააგვირგვინა გივიმ.

– ბელოთიდან უკვე ნამდვილი მთიური სოფლები იწყებოდა: აგერ ზონკარი, ინაური, სიათა, აწრისხევი, შამბიეთი, მაგრამ, როგორც ჩანს, ესენიც ბარისკენ მოიწევენ, ზემო სოფლები კი – ქნოლო და ჩაბარუხები – თითქმის ჩამოსულა ვანათში, ერედვში და თვით ცხინვალში.

– ეს ამოდენა თხა რომ აქ დარჩენილა, რას იზამს?

– უეჭველად უნდა აიკრძალოს მისი ყოლა. აქ მცენარეული საფარი იმ დღეშია, რომ თხა უკვე უბედურებაა.

– მერე ხალხმა რით იცხოვროს?

– თუნდაც ცხვარი გაამრავლოს. არ გაგიგონია, ცხვარი სახლში შემოვიდა და სიღარიბე კარში გააგდო.

– ეგ ცოტა ძნელია. თხას ნეკერით ინახავენ. მერე ცხვარიც ნაკლებ არ სპობს მცენარეს.

– აბა, სიძნელე უნდა დასძლიოთ, თორემ.

მანქანა სოფელგარეთ დააყენეს, მთის ფერდობზე, ერთი ეული ცაცხვის ძირას: აქ გავათენებთო, და თვითონ, რაკი ჯერ დრო იყო, აჰყვნენ ხეობას. შალვამ და გივიმ ქედი აჭრეს, გიორგი და ვახტანგი კვლავ გაღმა გავიდნენ და ტყე-ბუჩქნარს შეესივნენ, მინდია და ერეკლე ლიახვზე ჩავიდნენ. ლელა მანქანასთან დარჩა.

– კალმახს დაგიჭერთო, – შეჰპირდნენ.

ერეკლეს უყვარდა მინდიას დინჯი საუბარი წარსულ თუ თანამედროვე ამბებზე და ამიტომ ცდილობდა, მასთან ხშირად ყოფილიყო.

იშვიათად, მაგრამ ანკესს მსხვილი კალმახიც მოსდევდა. ერთგან, პატარა ტოტში, ინაურელი ბიჭები ხელაობდნენ. ერეკლემ ანკესი მინდიას მიაჩეჩა და ინაურელი ბიჭებივით წყალს ჩაუჯდა. მართალია, ზაფხული იყო, მაგრამ წყალი ყინულივით იკბინებოდა. პირველად შედრკა ერეკლე, მაგრამ: პატარებმა როგორ უნდა მაჯობონო, – და გაუძლო; ერთ ქვის ქვეშ, როგორც ჩანს, კალმახი მოიგდო, ყირები აუწითლდა და კვნესას უმატა.

– ლაყურებში, ბიჭო, ლაყურებში...-ამოუდგა გვერდში პატარა ბიჭი. მართლაც, ერეკლემ ქვის ქვეშიდან გამოიყვანა და ერთი ციდის სიგრძე კალმახი მინდიას გადმოუგდო. ერთი-ორი კალმახი კიდევ დაიჭირა და ამოვარდა წყლიდან გალურჯებული, აკანკალებული. – რაც არ ჰქონდა მამამენსა, ნურც შენ დახევე მარმამებსაო<sup>149</sup>, აბა, ჩქარა გაიხადე სველი ტანისამოსი და მიუფიცხე მზეს, – და მინდიამ დაუწყო ზელა მინდიას ტანს. მზემაც თავისი ქნა და დაჰყვნენ ქვემოთკენ.

მანქანასთან დაანთეს ცეცხლი და შემოდგეს ქვაბი.

– არ აშენდება შლამითა ბირთვის-სამშვილდის ციხენი, გაგიგონიათ? – წამოიწყო ერეკლემ.

– კი გამიგონია, მაგრამ აქ რა შუაშია?

– ამით ხომ იოლად ვერ გადავალთ? – და გადახედა ქვაბს.

- როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. გარდა ამისა, გოგიას საკუჭნაოში ზოგი რამ სხვაც აქვს.
- საღამო ხანზე ჩამოგროვდნენ ყველანი. მასალა ბევრი ჰქონდათ და ჯერ მის დაბინავებას შეუდგნენ.
- სიმინდებს უჭირს, -გიორგიმ მინდიას მიმართა, თითქოს ის ახლავე მისცემს შევბასო.
- სიმინდმა თქვა: ძირში წყალი მომიგდე და თავში გინდა ცეცხლი დამინთეო. წინათ აქ ჩოქელა სიმინდსა თესდნენ, გვალვას კარგად უძლებდა, მოსავალი გაუცდენელი იცოდა, მაგრამ აქაოდა მოსავალი ცოტა იცისო, სხვა ჯიში შემოიტანეს, ის კი დაავიწყდათ, იმ ჯიშს წყალიც უნდა, მთის ფერდობზე კი ჯერ სარწყავი მინდვრები არ არის.
- მერე ხალხმა არა თქვა რა?
- თქვა, მაგრამ უფროსი ხომ იცი? ერთი ანდაზა თუ არაკია:
- საწყალმა თქვა: ჩვენ თხას ტყუპი თიკანი ეყოლაო. ხალხმა თქვა: როგორ იქნებაო. ბატონმა თქვა: ჩვენმა თხამ ბატკანი მოიგოო. ხალხმა თქვა: შეიძლებაო.
- აი, ამიტომაც საჭირო კრიტიკის გამტარება, - ჩაერთო შალვა.
- ხემ თქვა: ცული ვერას დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო.
- სიმართლე მაინც თავისას გაიტანს, სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდაც სიპსა ქვაზედაო. თუ ანდაზაა, ანდაზა იყოს, - გაიღიმა გივიმ.
- აბა, მომიხვედით თქვენც საბა და დავითი, სულ იგავებით ლაპარაკობთ. ჩაალაგეთ მცენარეები, თორემ სუფრა გაცივდება, -შეუტია ხუმრობით გიორგიმ.
- სუფრა, თორემ! - ვერ მოითმინა ვახტანგმა, რომელსაც ცოტა უფრო გემრიელი ლუკმა უყვარდა.
- ეჰ, ვახტანგ, არ გახსოვს, ქიტემ რა გითხრა: საჭმელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო, - გაჰკრა ერეკლემ.
- ეგ მაშინ თქვა, წინ რომ ჩაბუჭებულნი ჯამი ედგა; მეორეც, მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო,
- შენ კი უარს იტყობდი, არა?
- ბიჭო, რაზე დავობთ? ეს თუ არა გყოფნით, შინ წავიდეთ.
- კარში გასული კაცი ქვაზე მაგარია, ეგეც არ იყოს, თელავში თუშსა ჰკითხეს, ტალკვესი გაქვსო? მაქვსო, მაგრამ ალვანშიაო...
- მინდიას გულიანად გაეცინა და გოგიას თვალი ჩაუკრა, მანაც საბარგულიდან გადმოიღო სანოვავით საკმაოდ კარგად გატენილი მცირე ყუთი.
- აი, ეგ სხვაა! - შემოჰკრა ტაში ერეკლემ.
- დედაჩემის გამომცხვარი კვერა ახალციხეში თბილი ჩამყვაო, -დაუმატა გივამ.
- კარგია, კარგი ჩვენი სიტყვა.
- კაცი მოკვდება, სიტყვა კი არა. დროზე თქმული კაი სიტყვა მოქნეულ ხმალზე უკეთესია.
- ახა, ღმერთო ჩემო, შეუდექით საქმეს!
- ჩვენ არას ვაკლებთ! - და მხიარული სიცილი ლიახვის ჩქერების ხმას შეუერთდა.
- არა, ჩვენი მინდია მაინც ჩვენი მინდიაა!
- ეჰ, ბიჭებო, ერთმა თქვა: ვისაც ახალგაზრდობაში არ ვუნახივარ, ღმერთმა ჩემი თავი მოხუცობაში არ აჩვენოსო.
- მართალია პაპაჩემი : ყველა კაცი კაციაო, კახაბერი სხვა კაციაო, - ქიტემ არ გვითხრა გუშინ?
- მთაში უცხად იცის ჩამოზნელება, საქმე ისაა, რომელ ფერდობში ხარ დაბანაკებული; თუ იმ ფერდობში, რომელიც ჩრდილოეთს უცქერს, ღამე ისე წამოგეპარება, რომ მთის წვერები ჯერ კიდევ განათებული იქნება.
- მართალია, ბიჭები ჯერ ხალისობდნენ და გივის ეზღაპრებოდნენ, მაგრამ თვალს რული მათაც მალე მოეკიდათ და ღამის უცნაურ ხმებს მათი მშვიდი სუნთქვაც შეუერთდა.
- კარგი მეზობლის ჭირიმეო**
- დილით ადრე დაიჭირეს თადარიგი. საუზმეზე ერეკლემ ახალი კიტრი შენიშნა.
- გუშინ რომ არა გვქონდა?
- ზაფხულში შენახული ზამთარში ცივი ქვაც თბილიაო, - გივიმ უპასუხა, ვახტანგს კი პირი მსხვილი ლუკმით ჰქონდა გამოტენილი.
- მანქანა თავის საქმეს შეუდგა, ნელი ღულუნით მიდიოდა ვანათისკენ. ვანათში შეყოვნდნენ, არბოსკენ გავუდგეთ თუ ორტევში ავიდეთ, იქიდან მთის გზით - ქემერტში, და, ამგვარად, დიდი ლიახვის ხეობაში ჩავიდეთო?
- გზები არ ევარგება.
- ომში რა ჯობია? რაც ხელში მოგხვდებაო.
- ეგ აქ არას გამოგვადგება. მოდით, ლელა, მინდია და გიორგი ცხინვალში ჩავიდნენ, საგზალი მოამარაგონ, რაც შეიძლება ხვავიანად, ჩვენ კი...

– ჩვენ კი ავიდეთ ორტევში, – გააგრძელა ვახტანგმა, რომელსაც ხელში როკა<sup>150</sup> ეჭირა და დასცქეროდა, – ორტევიდან ავყვით ამ გიჟსა, – გაიხედა მდინარისაკენ, რომელიც ღიახვს მარჯვნიდან უერთდებოდა და ერთი ამბავი ჰქონდა – რძესავით თეთრად მოდიოდა და აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

– წვიმა ზევით არსად ჩანს და რამ აამღვრია ასე? – შეხედა გიორგის.

– რამ აამღვრია და ჩვენმა ავკაცობამ. აგერ როგორ ჩამოფხევილია ფერდო. ნიადაგი წაუღია. კირქვაა, ყინვასა და მზეს დაუშლია და წყალს მეტი რა უნდა? მოაქვს და მოაქვს ჩვენი მთაც და ბარიც.

დიდსა და პატარა ღიახვს შორის ამ ადგილებში გერის მთაა გამყოფი, რომელიც ერედვის თავამდე საკმაოდ თანაბრად და ნელი-ნელ დაბლდება. მაგრამ ცხინვალ-ერედვთან უცბად ჩაწყდება და ორ ღიახვს შორის იქმნება საკმაოდ ვრცელი ვაკე, რომელიც სოფელ შერთულთან მახვილი კუთხით მთავრდება. ამ ვაკეზეა დიდი ძველი შესანიშნავი სოფელი ერედვი, სადაც ცხინვალის რაიონის ერთ-ერთი ძლიერი კოლმეურნეობაა. სოფელ ერედვში შესანიშნავი ისტორიული ძეგლიცაა. ერედვი განთქმული იყო კარგი პურით, თესავდნენ, უმთავრესად, დოლის პურს, ფხიან თეთრ დოლსა და წითელ დოლს. ითესებოდა შავფხა თავთუხიც. გარდა ამისა, საკორკოტედ და საქადედ თესავდნენ ასლებსაც<sup>151</sup> (ორმარცვალა ასლი, ცალმარცვალა ასლი), ცოტაოდენ ქერსაც, უმეტესად – სალუდედ.

ერედვის ქვემოთ არბოა, ნიკო ლომოურის სოფელი, ამავე სოფელში ცხოვრობდა ანტონ ფურცალაძეც, მის სახლში დღეს სკოლაა. ნიკო ლომოურის ქაჯანა სწორედ ამ სოფელშია დაბადებული და გაზრდილი. არბოში იცოდა დიდი დღეობა არბობა, უფრო სწორედ გერისთაობა. გერის წმინდა გიორგი მთაში «ესვენა». არბოში კი მისი მეტოქე იყო. დღეობა კი სწორედ აქ იმართებოდა. მთაში მხოლოდ მოკითხული მლოცველები<sup>152</sup> მიდიოდნენ. გერის წმინდა გიორგი ძალიან ძლიერ ხატად ითვლებოდა, ქვემო ქრთლიდან, კახეთიდანაც ხშირად მოდიოდნენ სალოცავად, სამი სწორი იცოდა: გერისთაობა – აგვისტოს პირველ კვირას, შუა გერისთაობა – მეორე კვირას და ბოლო, ანუ თავგერისთაობა – მესამე კვირას.

ხშირად ურემი ურემზე იყო გადაბმული, ხანდახან დღეში 200-300 ურემს აუვლია, ჭრელჩარდახიანს, რომელთა ზანზალაკიანი უსხებიც (შესაწირავი ზვარაკი), ურემზე გამობმულები, დინჯად მიაბიჯებდნენ. ხალხი მორთულ-მოკაზმული იყო; ზოგჯერ ქალებს თეთრი ტანისამოსი ეცვათ და ურემს წინ ცეკვითა და კვანწით მიუძღვებოდნენ, შეთქმული ჰქონდათ, მთელი გზა ცეკვით ევლოთ, ბევრი შეუთქვამდა: ოღონდაც მიშველე რამე და ფეხშიშველი მოვალ შენს კარამდეო.

გზაში და ნიშის ეზოში ორი კვირა მაინც იყვნენ წმინდა პურზე. კარგად ჭამდნენ და სვამდნენ, ბევრჯერ ღებინებდნენ, ხალხს მეტი რა უნდოდა? განსაკუთრებით ბევრი ხალხი მიდიოდა თავგერისთაობას, ე. ი. მესამე კვირისთვის, ამ დროს იყო, რომ ურემი ურემს მისდევდა; ვაი იმის ბრალი, ვისიც სიმინდი არბო-გერის გზის პირას იყო, მლოცველის ბალდი უეჭველად გადახტებოდა და მოტეხდა ტაროს. ამიტომ აგვისტოს სამი კვირა ოჯახიდან ვინმე სდარაჯობდა სიმინდს.

სოფელ არბოში იმართებოდა დიდი დღეობა: ღებინა, ჭიდაობა, შეჯიბრება. აზნაურობას ბევრი საქმე არა ჰქონდა რა და დიდ უბედურებად ჩათვლიდა, არბობას რომ არ დასწრებოდა; მთელი წელიწადი აგროვებდნენ აქაური გლეხკაცობა და თავადაზნაურობა – მერეთელები, არბოელები, ერედველები, ქორდელები და სხვა ახლო მდებარე სოფლები სარჩო-სალეველს, რომ სტუმარს დახვედროდნენ: ფურცელაძეები, ჟურულეები, გედევანიშვილები, მახათელები და სხვანი. რასაკვირველია, დღეობა უჩხუბრად არ ჩაივლიდა, მაგრამ ბოლო ხანებში აზნაურობას (ისინი იყვნენ ჩხუბისთავები) გლეხკაცობის კეტების რიდი ჰქონდა. იშვიათად დამთავრდებოდა ჩხუბი სიკვდილით. ალბათ, იმიტომ, რომ «კაცს სადაც მტერი ჰყავს, მოყვარეც ეყოლებაო», ქომაგი ჩნდებოდა, გამშველებელი.

არბობას იმართებოდა ბაზრობაც და დიდი ბაზრობაც. სურამელი, ცხინვალელი და გორელი ვაჭრები აქ მართავდნენ სახელდახელო დუქნებს. მოდიოდნენ თბილისელი ვაჭრებიც. გლეხკაცობას გამოჰქონდა ფეხისმოსავალი, ჭირნახული, ღვინო, ხილი, საქონელი, შინამრეწველობის ნაწარმი: თიხის ჭურჭელი, ხის ჭურჭელი, ავეჯი, აკვანი, სკამი, ვარცლი, გობი, თაბახი, ტაბაკი, გორდა, ხონჩა, სივირა, ორომი, კოვზი, ქიტი<sup>153</sup>, კათხა, ჯამი, ჭილოფი, გარდა ამისა – ურემი, კევრი, უღელი, აპურ<sup>154</sup> და ყველაფერი,

*«ქალი რომ ავად გახდება, წაიყვანებენ არბოსა,*

*ერთს მაინც შეიკუნტრუშებს, გინდა სულ არა არგოსა».*

რაც სოფელს სჭიროდებოდა, ან რასაც სახლში მოიჭარბებდნენ. დიდი ვაჭრობა იყო ხოლმე იქ, სადაც საქონელი იყიდებოდა. კარგს იშვიათად გამოიყვანდნენ და ყველა თავისას აქებდა.

*«არბოს კამეჩი გავყიდე ქებითა და დიდებითა,*

*შეგხედე, უკან მოჰყავდათ ლანძღვითა და გინებითა».*



ლიახვის მარჯვენა ნაპირას რომ მთის ფერდონი მოსდგომია, პატარ-პატარა სოფლებითაა მოფენილი. მაღალი მთიდან ჩამოსახლებული ოსები ტყეში დასახლებულან და მისდგომიან ტყეს, უჩეხიათ და გაუახოებიათ. ეს ახლები გამოფიტულან და მიუტოვებიათ. მარჯვენა შენაკადების ხეობაში (ელტურის, ღვრიის, წყალწმინდისა და სხვა) ჩაწინწკნულია სოფლები: ელტურა, მარმაზეთი, საბოლოკე, შელეური, ღვრია, ორტევი, ღორტევი, დიდხევი, თლიაყანა, წყალწმინდა, კლარსი, მუდისი, გერი, ნიარა და მრავალი სხვა. თუმცა აქ ხშირად ვერ გარჩევთ, რომელი მოსახლე რომელ სოფელს ეკუთვნის. სახლდებოდნენ ახლების მიხედვით, იმის კვალობაზე, გაახოებული მიწა რამდენ ოჯახს გამოკვებავდა. ბევრი სოფელი აქაც ძირს ჩამოვიდა – ვანათში, დმენისში, ერედვში და ბარის სხვა სოფლებში.

– კარგი იყო, ერედვში ჩაგვევლო და ერედვის ბაზილიკა გვენახა, – მოიგონა ერეკლემ.

– შეგვაგვიანდება, – მოკლედ მოუჭრა გიორგიმ.

– ლიახვის ხეობები ისტორიული ძეგლებით ღარიბი ჩანს.

– ნიქოზის ტაძარი, მის ჩაყოლებით რუის-ურბნისი, აი, თუნდაც ერედვი!

– არის რამით შესანიშნავი?

– როგორც რუდა მეფისაშვილმა დაადგინა, იგი აგებულია 906 წელს. მეათე საუკუნეში იწყება საქართველოს აღდგენა-გამდიერება და ფეოდალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ერედვის წარწერაში მოხსენიებულია დიდი ფეოდალი ივანე ტბელი. ლიახვის ხეობაში, ცხინვალთან 4 კილომეტრზე რომ სოფელი ტბაა, ალბათ, თავის დროზე მათი რეზიდენცია იყო. ტბელები ფლობდნენ დიდი და პატარა ლიახვის შუაწელის სოფლებს – გვერდის ძირიდან, დაახლოებით, შერთულამდე. ამ ნაწილში ივანესა და სხვა ტბელებს მრავალი დიდი და მცირე ტაძარი აუგიათ (ერედვის, რუისის, ზემო ნიქოზის, დოდოთის, ცხრაკარა, ტბეთისა და სხვა). ამ ტაძრებში ხშირად იკითხება ტბელთა გვარები.

ერედვის ტაძარი სამნავიანია, მან თავისი პირველადი სახე დღემდე შემოინახა, მართალია, ეს ტაძარი არ ბრწყინავს, მაგრამ იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენი ხუროთმოძღვრება.

მათ ვერც კი შეამჩნიეს, რომ ბილიკზე შეჩერებულიყვნენ და გულდასმით ისმენდნენ გიორგის საუბარს.

– ნიქოზში მაინც შევივლით თუ არა?

– ნიქოზშიც ვნახავთ და ტბეთშიც და, საერთოდ, ტბელების ნამოღვაწარს, ზემო ნიქოზში მცირეგუმბათიან ტაძარს, ტბეთში კი დიდ დარბაზის ტიპის ეკლესიასა და სხვებსაც, თუნდაც ხეითში.

მზემ მალე დააჭირა, მაგრამ გასაკეთებელს მაინც აკეთებდნენ; სამ ჯგუფად მიდიოდნენ ქედ-ქედ: გიორგი და ერეკლე, ვახტანგი და გივი, შალვამ კი ისევ ცალკე გაჰკრა. დათქვეს, რომ ქედის ფხაზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

სამი თუ ოთხი საათის შემდეგ, როდესაც მზე ცის კენწეროს მოექცა, ისინიც მალა იყვნენ, ისხდნენ თუ იწვნენ ერთი რცხილის ძირას და სულს ძლივს ითქვამდნენ.

– სამხრობააო, – მოიგონა ვახტანგმა.

– წაიკითხავ რამე წიგნს და გგონია, ერთ საღამოს დაჯდა კაცი და დაწერაო. რაც დღეს ვნახეთ, ერთი ან ორი გვერდის მეტი ხომ არ გამოვა? არა და ხუთმა კაცმა კი ასი ლიტრი ოფლი მაინც დაღვარეთ.

– შენ ძაან ჩააფილოსოფე, – გაჰკრა ვახტანგმა.

– ასეა, ვინც სახლი აშენებული ნახა, «დედაბოძი თვითონ ამოვიდოდაო», – ჩაერია შალვა და თან აბგებიდან ალაგებდა საგზაოდ წამოღებულ საუზმეს.

– ეს ხომ ვახტანგსაც არ ეყოფა.

– იკმარებს, როცა აღარ იქნება.

ნასაუზმეები დიდი ლიახვისაკენ დაემზენენ, აქაც იგივე იყო, რაც პირაქეთ: ნაჩეხი, ნახოვარი, ნატიალევი.

– კაცო, რატომ არ მიხედავთ ამ თქვენს მხარეს, რატომ ტყეს არ აშენებთ? – მიმართა გივიმ ერთ ჭაღარაშერთულ კაცს, რომელსაც გზაში წამოეწინენ.

– შვიც ცხვარი ბანვამ მოკლა, თეთრი – დაუბანელობამო. აბა, რა ვიცი, ესაო: ტყის დღეაო და პატარა და დიდი რგავს იქ, სადაც უკვე არის ასეთ ადგილებს კი ერიდებიან, გარდა ამისა, ტყის დღის შემდეგ ყველას გვავიწყდება ტყის დღეც და დარგულიცა.

– თითო-ოროლა კაცმა რომ ითავოთ, ერთხელ თქვათ, მეორედ თქვათ, საქმეს ეშველება.

– ჰო, ეგ კი მართალია, დღევანდელი სიტყვა ხვალის საგზალია, მაგრამ რომ არავინ უფროსობს.

– შინ უფროსი თუ არა გყავს, დედაბოძს დაეკითხეთო, – ჩაერია შალვა, ქემერტელ კაცს კი გაედიმა.

მათე კი გულიანი კაცი გამოდგა, მათ მუშაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს.

– ამაზეა ნათქვამი, საქმეს გავექეცი, მაგრამ საქმე არ გამექცაო. მეგონა, დღეს ცუდაობაში დავალამებდი.

– მერე და განა ახლა რამეს აკეთებ?

– თქვენთან ყოფნა საქმე არაა? ბევრს გავიგებ და ვისწავლი.

ის იყო, ჩაირბინეს დაღმართი და გამოჩნდა კიდევ ყავრით დახურული სახლები..

– აი, ჩემი სახლიცა.

– კაი სახლი გქონია, ჩემო მათე.

– ახალია, მოგეხსენებათ, წინათ გლახს ორიოდ მანეთი თუ ჩაუვარდებოდა ხელში, ან ხარ-კამეჩს იყიდდა ან მიწასა, ახლა სხვა დროებაა, მუშასაქონელიც საერთოა, მიწაცა, ამიტომ სახლებს ვაშენებთ. ოთხი ოთახი რომ ჰქონდეს, დაანგრევს და რვაოთახიანს ააშენებს. წინათ იცოდნენ, სადაც წახვიდე, სახლი ააშენეო, – გზაზე გადადგა, ხელები გაშალა.

– მობრძანდით, მუხლში ქარი ამოიღეთ, დაისვენეთ, ვგონებ, დღეს მაწონი უნდა შეედღვიბა და კარგი დო გვექნება. გული გაიგრილეთ, – შეალო ალაყაფის კარი და შევიდა.

– ქალო, თეკლე, ადამიანო, დაგვხვდი!..

– მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, აი, აივანზე ამობრძანდით.

– აბა, დო გექნება?!..

– ადამიანო, დააცადე ხალხს, დოცა გვაქვს და მაწონიცა... თამრო, თამრო!

თეკლა ახალგაზრდად გამოიყურებოდა, მკვირცხლად შევიდა სახლში და ატყდა ჭურჭლის ჩხარუნნი; ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონამ ჯამ-ჭურჭელი გამოარბენინა, მაგიდაზე გააწყო. აივნიდან იშვიათი სურათი იყო გადაშლილი. მარწემი, ხეითი და სხვა სოფლები ტურფად იყო შეფენილი ქედის დასავლეთის ფერდობზე.

თეკლემ ერთი დიდი ქილა მაწონი გამოიტანა.

– ერთი ძროხა ამდენს როგორ იწველის? – გაიკვირვა ერეკლემ.

– ერთი რათა, სამი ძროხისაა.

– სამი ძროხა?

– ხანულები ვართ<sup>155</sup>. ავი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო; მეზობელს თუ რამე აქვს, შენც გაქვსო, – ხომ გაგიგონიათ, რაკი ერთი ძროხისაგან მაწონი შესადღვებად დიდხანს ვერ დაგროვდება, ვხანულებით.

მაწონი მართლაც დანით საჭრელი იყო. მალე წამოიშალნენ, უფრო იმიტომ, თეკლა კიდევ რაღაცას აპირებდა. დარჩითო, – სთხოვა დიასახლისმა, – ხვალ დილით ადრე გაგამგზავრებთო. რასაკვირველია, დიდი მადლობით იუარეს, კეხვში ხომ მინდია, ლელა და გოგია ელოდნენ. მათე შორს გამოჰყვა, თან ფერდობზე შეფენილი სოფლების სახელებს უხსნიდა.

– აგერ ქემერტი, მარწემი, ზალდა, მამითა, ჭალის უბანი, ანძისი, ხეითი.

– ეს ის ხეითი ხომ არ არის, ლექსში რომაა:

*«ზემო ქართლიდან წამოველ, ჩამოვიარე ხეითი,*

*თუ გინდა, ცხენზე შევჯდები, თუ გინდა, ვივლი ქვეითი».*

– სწორედ ისაა, მაგრამ, ალბათ, მარტო რითმისთვისაა: «ხეითი»-»ქვეითი». კეთილი იყოს ჩვენი გაცნობაო. მთა მთას ვერ მოხვდება, მაგრამ კაცი კაცს კი ბევრჯერაო. კარგად და მშვიდობით გველოთო.

– აგერ კეხვიცა, ე მანდ არის... გაიშვირა ხელი მათემ.

კეხვის თავში ლელა, გოგია და მინდია დახვდათ.

– დღეს შორს ვეღარ წავალთ... გუფთაში ავიდეთ... იქ, სადმე, ტყის პირას გავშალოთ კარავი, ხვალ კი ჩავყვეთ ჩვენ გზას.

მართლაც, კეხვიდან უკვე შევიდნენ დიდი ლიახვის ვიწრო ხეობაში. კეხვში თავდებოდა ქართული სოფლებიც, შემდეგ ოსებისა იწყებოდა.

კეხვი ცნობილია იმით, რომ სახელმთხვეჭილი ვაშლი კეხურა აქაურია; სოფლის თავში დღესაც დგას კაკლისოდენა რამდენიმე ძირი, ნაყოფი ორი წელი ინახება და სისადეს და სიახლეს არა კარგავს.

### **გლეხების პროფესორი**

ორმოც წელზე მეტია, დიდი ლიახვი ხალხის მტკიცე სამსახურში ჩააყენეს, ჯერ იყო და ტირიფონის არხი გაიყვანეს. უეჭველად საინტერესოა მისი სათავის მშენებლობა: ლიახვის წყალი გაყვანილია ჯერ მარჯვენა ნაპირზე, შემდეგ ლიახვის კალაპოტის ქვეშ აშენებულია დიდი გვირაბი და მარჯვენა ნაპირიდან თვითდაწოლის მეშვეობით წყალი გადმოგდებულია ისევ მარცხენა ნაპირზე, აქედან არხი გაივლის სოფ. ერგნეთს, დიცსა და ტირძნისს შორის მდებარე მინდვრებს, ქორდთან გადაკვეთს პატარა ლიახვს და გავა კარბის ბოლოს, საიდანაც მიიტბორება ტირიფონისკენ. პატარა ლიახვის ქვეშ აშენებული დიდი სიფონი და წყალი აქ თვითდაწოლის შედეგად ამოხეთქს მარცხენა ნაპირზე.

პატარა ლიახვის წყალი გადმოგდებულია მარჯვენა მხარეს და რწყავს ტირძის-მელვრევისისა და სხვა სოფლების მინდვრებს. ამ დიდმა რეკონსტრუქციამ ბევრი სოფლის ძველი ყოფა დაარღვია. სოფელში წყალი ყოველთვის არ მოდის. სოფელში გამდინარე წყალი კი დიდი საქმეა.

გარდა ტირიფონის არხისა, დიდი ლიახვიდან გაყვანილია კიდევ კეხვი-სალთვისის არხი და ირწყვება ნიქოზების, ფხვენისის, ხეთის, ყელქეულისა და სხვა სოფლების მინდვრები და ბაღები.

ოსებმა ლიახვის ხეობაში ჩამოსახლება იწყეს ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში, უმთავრესად – არდონის ხეობიდან, და დაიჭირეს ლიახვებისა და ქსნის სათავეები, საიდანაც ნელ-ნელა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეშვებოდა ქართული მოსახლეობა მთიდან ბარად, ოსობა სახლდებოდა ქართველთა ნასოფლარებზე; ეს ტემპი განსაკუთრებით გაძლიერდა თემურლენგისა და მონღოლების ლაშქრობათა შემდეგ, აოხრებული ბარის სოფლები უნდა აღდგენილიყო და დამსახლებელი კი მთაში იყვნენ, რომელნიც თანდათან ეშვებოდნენ ნაოხრებისაკენ.

ლიახვის ხეობების მოურავები მაჩაბლები იყვნენ, რეზიდენცია აჩაბეთსა და თამარაშენში ჰქონდათ. დღეს ცხინვალი ისე გაიზარდა, რომ თამარაშენი და დგვრისი თითქმის მთლიანად შეერწყა ერთმანეთს. თამარაშენელი იყო ივანე მაჩაბელი, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის დიდი მოღვაწე, შექსპირის უებრო მთარგმნელი. მიხეილ ჯავახიშვილი მოგონებაში წერს: ქართული ენის კარგად შესწავლისათვის სამაჩაბლოში ამოვედი და თამარაშენში ვცხოვრობდიო.

მეორე დღეს ჩამოიარეს ცხინვალი, ეს მკვდრეთით ამდგარი ძველი, ყავრით გადახურული პატარა დაბა, სადაც ებრაელთა უბანი 3-4 წელიწადში ერთხელ მაინც მთლიანად იწვოდა. ცხინვალი საბოქაულო დაბა იყო, უმაღლესი ხელისუფლება ლიახვების ხეობაზე ბოქაული იყო. ტირძისამდე ცხინვალის საბოქაულოში შედიოდა შემდეგი სამამასახლისონი: ბელოთის, ჯავის, დიცის, ყემულთის, ყორნისის, ორტევის, როკის, თამარაშენის, წუნარის, ცხინვალისა და შინდისისა.

ტყვიავი კი მეჯვრისხევის საბოქაულოს ეკუთვნოდა. ცხინვალში ერთი ექიმი იყო და ერთი ფერშალი – ვასილ ძუწოვი, რომელსაც ბასილას უწოდებდნენ, ეს ბასილა იყო მთავარი, «ბასილას წვეთები» მართლა ყველას კურნავდა.

აი, რას წერს ვინმე ტატო ეგაძე 1896 წელს გაზ. «კვალის» მეთერთმეტე ნომერში: «ც ხ ი ნ ვ ა ლ ი. ამ სამი კვირის წინ ცხინვალიდან კარგა შორ მანძილზე მდებარე სოფელში ორი ღარიბი გლეხი ავად გახდა. ერთი – საოფლით, მეორე – ფილტვის ანთებით. მე მივმართე ვასილ ძუწოვს, ცხინვალის ფერშალს, და შევატყობინე გაჭირვება გლეხებისა. ბ. ძუწოვი შევიდა მათ მდგომარეობაში, წამომყვა, გაშინჯა ავადმყოფები, თავის ხარჯით წამალი გამოუწერა ორჯელ-სამჯერაც. ამის შემდეგ ნახა ისინი და ორივე ავადმყოფი უსასყიდლოთ მოარჩინა.

არ შემიძლია, ეს ამბავი არ ვაცნობო მკითხველ საზოგადოებას და თანაც გაზეთის საშუალებით მადლობა არ გამოვუცხადო მას ასეთი თანაგრძნობისათვის. თვითონ შეუძლოდ რომ ყოფილიყო, ავადმყოფთან წასვლას მეორე სოფელშიც კი არ დაზარდებოდა. თუ ხელმოკლე შეხვდებოდა, წამლის ფულსაც კი არ გამოართმევდა».

– სწორედ ზოგიერთს ჰგვანებია!

– ზოგიერთს მართლაც ჰგავდა, – შეუსწორა მამამ.

ცხინვალი პოლიტიკური და კულტურული ცენტრია სამხრეთ ოსეთისა. აქ არის ქართული და ოსური თეატრი, პედაგოგიური ინსტიტუტი, კვლევითი ინსტიტუტი და ყველა ის სიკეთე, რაც კულტურულ ქალაქებს ახასიათებს.

აქ აღარ დაყოვნებულან, ცხინვალის დასავლეთით აღმართს შეუდგნენ და გაიარეს ყორნისი, წუნარი, ნული. გადაკვეთეს დვანისწყალი და ფრონეების ხეობებში გადმოვიდნენ<sup>156</sup>.

ფრონეები ლიხიდან გამოტოტვილ სერიდან იღებენ სათავეს, ლიხონისა და შვილდისის მთების ფერდობებიდან ისე, როგორც სხვა დანარჩენი, ვახუშტის ეს მხარეც შესანიშნავად აქვს აღწერილი.

«რუსის დასავლით არს დვანისწყალი. ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასტყდების მთა კვერნაქი, მივალს ფცის წყალამდე, რომელსაც ეწოდება ც ე ც ხ ლ ი ს ჯ ვ ა რ ი...ამას ზეით, დვანს, ამ წყალს ერთვის ხევი ჭ ო ლ ო ბ უ რ ი ს ა. ამ ხევს ზევით ერთვის ამ წყლის ხ ე ვ ი წ უ ნ ა რ ი ს ა. წუნარს არს ეკლესია გუნბათიანი, აწ უქმი. წუნარისხევს ზევით არს ეკლესია ე რ კ ნ ე თ ს; დვანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდან ნ უ ლ ი ს ხ ე ვ ი. არს ნულს ციხე. ამ ხევს ზევით მოერთვის აღმოსავლეთიდან ყ ო რ ნ ი ს ი ს ხ ე ვ ი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა. ყორნის ზეით, წორბისს, ერთვის ამ წყალს ხ ტ ა ნ ი ს ხ ე ვ ი. ყორნის ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ც ი ხ ე ს ა ქ ა რ თ ლ ი ს ა, მაგარი. არამედ ხეობა დვანისა არს ვენახოვანი.

დვანისწყლის დასავლით არს ფ ც ი ს წ ყ ა ლ ი და დის ლ ო ხ ო ი ს ა პერანგას მთათაგან, მოდის სამხრით და მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქ ე ე ნ ა ტ კ ო ც ა<sup>157</sup>, მას ზეით ბერძენაული. ამას ზეით

მოერთვის ამ წყალს ტკოცისხევი დასავლიდამ. ამას ზეით ფცის ზემოთ ამ წყალს მოერთვის აღმოსავლეთიდან დოღეთისხევი, სდის ლებურის მთას, ამას ზეით ავლევი, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრემისწყალი: არს ბრემას მცირე ციხე. გამოსდის ეს წყალი პერანგას, მოდის სამხრით ბრემამდე, მერე აღმოსავლით. აბანოს ერთვის ამ წყალს წალვისწყალი და ბრემას მოერთვის აბანოსწყალი. ეს გამოსდის მშვილდაურის მთას, მოერთვიან ორნივე ბრემისწყალს დასავლეთიდან. აბანოს დის თბილი წყალი, ჰკურნებს ქარით დახუთვილსა და ბუგრსა-მუწუკსა. ბრემის ჩრდილოთ არს ეკლესია ატოცს... ფცის აღმოსავლით არს ოქონას მონასტერი – დიდი, გუნბათიანი. ხოლო ფცის წყლის დასავლეთით არს ალი-სწყალი. ნაბახტევს ზეით ერთვის ალისწყალს ბრილიისწყალი... ბრილს ითხრება კაჟი ფრიად კეთილი... არს ალის წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი... ალს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი ულევვი, მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ღვინისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესსა. ამავე ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლეთიდან ალისწყალს ჭერთხევისხევი არამედ უმეზობო. ამ ხევს ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი.

ხოლო კვალად ალის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდან მტკვარს ოსიაურს ზეით, აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შორამდე. არამედ გაჰკავა მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამისწყალს ქემერტისწყალი. შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს ჩრდილოდან. შოლის პირიდან გაიტანა მეფემან ვახტანგ (VI-მ) რუ, **რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო და ჰყო წისქვილი და სმენ პირუტყენი** (აქ ხაზი ჩემია, ნ. კ.) შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზე, არს ქვიშხეთი...  
– უჰ, რამსიგრძეს კითხულობთ, აქამდე ფეხით მოვივლიდით, – ვერ მოითმინა ვახტანგმა.

– მოივლიდი, მაგრამ ამდენსაც ვერ გაიგებდი. აქ ვახტანგ მეექვსეს დიდი ჭალა გაუჩხია, სოფლები დაუსახლებია, წყალი გაუყვანია. რადა, თუ იცით?  
– ?!

– ვახტანგი ცდილობდა, თურქთათვის გზა გადაეღობა და ზურგი გაემაგრებინა, თავისი ნათესავები, აბაშიძეები, ზემო იმერეთიდან გადმოსახლა და სურამს დაასახლა.

– ამბობენ, მაშინ კორბოული და ვერტყვიჭალის ხეობა, ფონა და ძირულას ხეობა ქართლში შემოდიოდა. მართლა?

– ასე ჩანს, – უპასუხა მინდიამ.

შეუყვნენ საურმე გზას და სადღაც წორბისთან შევიდნენ კარგა დაბურულ ტყეში.

– რას იტყვი, გაგიძლებს რაში, გოგიავ?

– სანამ გამლებს, ვიაროთ და მერე, ერთი რაჭველისა არ იყოს, ავიკიდოთ უნაგირები და გავუდგეთ გზას.

ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გადაჭრეს დვანისწყლისა და ფცისწყლის წყალგამყოფი ქედი და კარგ საურმე გზამდე გავიდნენ. მოულოდნელად აღმოჩნდნენ თიღვაში, უჩვეულო ტაძრის ეზოში. «გუნბათიანი» იყო, მაგრამ თითქმის უჩუქურთმო. მეტად მკაცრი ხაზები ჰქონდა. ეს შირვანის დედოფლის, დავით აღმაშენებლის ქალის, თამარის, მიერ აგებული ტაძარია («რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამ თამარ, გუნბათიანი, დიდმშვენიერი, კეთილად ნაშენი», ვახუშტი).

ჩამოვიდნენ ოქონაში, ახლანდელ ზნაურს რომ შეერწყა. რაიონის ცენტრია და სიკეთე დასტყობია.

მალე ავლევი იყვნენ, შევიდნენ ერთი დიდი სახლის ეზოში. ეს პროფესორ კონსტანტინე ამირეჯიბის მემორიალია. აქ პატარა მუზეუმიც გაუმართავთ, სადაც ამ საინტერესო ადამიანის ცხოვრება ასახული.

აქ მუშაობდა კოსტა ამირეჯიბი, რომელმაც უმაღლესი სწავლა მიიღო და დაბრუნდა სოფელში, რათა ის, რაც ისწავლა, ხალხისთვის გადაეცა.

მართლაც, სოფელში რომ დაბრუნდა, გახსნა სკოლა, სამჭედლო, სადურგლო, სადაც გლეხის ბავშვებს უფასოდ ასწავლიდა: გლეხკაცმა თვითონ უნდა იცოდეს ეს ხელობანიო. ასწავლა სასულე ინსტრუმენტებზე დაკვრა და თვითონ ლოტბარობდა.

გამოიწერა სასოფლო-სამეურნეო მანქანები და თვითონ ამუშავებდა, თვითონ იჯდა კოფოზე და საჭესთან, თვითონვე ასწავლიდა. ერთხელ კი, ყანის მკის დროს, მისი ფეხი ყანის საჭრელმა დანამ ჩაითრია. თემოს ძირში მოჰკვეთეს. მორჩა და ცალფეხა, ხისფეხიანი, თავის სოფლის სახლ-კარს მაინც არ მოსცილდა, დაწყებულ საქმეს აგრძელებდა იმავე ხალხისით, როგორც მანამდე.

რევოლუციის შემდეგ ჯერ უნივერსიტეტში და შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პროფესორი იყო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების კათედრას განაგებდა.

მასთან რამდენიმე შეხვედრას მოვიგონებ.

1914 წელს ზაფხულში გაზეთებში წავიკითხე : ავლევი, ამირეჯიბის მამულში, მოწაფეების გამოშვება იქნებაო და ჰპატიუბდნენ სტუმრებს. შევაგულიანე ერთი ჩემი ამხანაგი რაფიელი და გადავწყვიტეთ, კვირა დილით, სანამ ირიჟრაჟებდა, ავლევი წავსულიყავით. ჯიბეში სამიოდე მანეთი მქონდა, მოწაფეები მყავდა და ჩემი «ჯამაგირის» ნაშთი იყო.

მართლაც, ჯერ არ ეცისკრა, რომ მე და რაფო ცხინვალის გზას დავადექით; მამას გავანდეთ ეს ამბავი; კარგიო და სვლის გეზიც მოგვცა: ცხინვალიდან ნულში გადადით, მერე ერკნეთში, იქიდან მოკლედ ჩახვალთ, გაივლით ოქონას და ავლევიც იქვეაო. ცხინვალში ირიჟრაჟა. პურის მცხოვრელი სათონის წინ შეშას ჭრიდა და გზა იმასა ვკითხეთ. ნულში რომ ავედით, კარგად გათენებული იყო. ნულელმა ბიჭებმა გზაზე დაგვაყენეს და ჩვენც თიღვაში ამოვყავით თავი. ნათქვამია: კითხვა-კითხვითა თეირანს ჩახვალო. ატოცთან, ერთ წყაროსთან წავისაუზმეთ. ავლევი რომ შევედით, სასულე ორკესტრის ხმა უკვე ისმოდა; მივყევით ამ ხმას და მალე ღია ალაყაფის კარებში შევედით. ეზოში ხალხი ირეოდა, ერთი კუთხიდან კვერ-ზინდანის ხმა ისმოდა. ჩვენც იქითკენ გავწიეთ, რაღაცას კვერავდნენ. ახალგაზრდა ბიჭები ტრიალებდნენ. ისე იქნევდნენ უროებს, გეგონებათ, ჩვენებური იასე მჭედელიაო.

მე გაშტერებით ვუცქეროდი და ჩემდა უნებურად წინ მივიწევდი.

– აბა, გიმნაზიელო, სცადე, – მითხრა ვიღაცამ რუსულად; ლურჯი შარვალ-ხალათი ეცვა, ისე, როგორც ზეინკლებს აცვიათ ხოლმე. მე წავდგი ნაბიჯი და ერთმა კვერის<sup>158</sup> დამკვერელმა ურო მომაწოდა. მემსუბუქა. ავწიე და დავუცადე, ვისაც გაზით რკინა ეჭირა, დაჰკრა ერთი, ორი...

– აბა, შენც... – შემომძახა ლურჯტანისამოსიანმა.

თავი გავაქნიე, მაგრამ, როცა რიტმი შესწორდა, დავარტყი და მეც რიტმულად ავეყე, მჭედელი ხანდახან ზინდანზე<sup>159</sup> დაჰკრავდა კვერს და შეაბრუნებდა რკინას, მეც ამ დროს ვაცდიდი და შემდეგ ვაგრძელებდი. მე ხომ იასეს სამჭედლოს განუყრელი მეთვალყურე ვიყავ შაბათ-კვირა დღეს, უროს ხმარება ცოტაოდენი ვიცოდი.

– ერთი უყურე, გიმნაზისტია და უროს როგორ ურტყამს, მამაშენი მჭედელია?

როდესაც ვუთხარი, ვისი შვილი ვიყავი, უფრო დამიყვავა. რომ ვუამბე, დილას ფეხით წამოვედით ამირეჯიბის სანახავად-მეთქი, თვალზე ცრემლი მოადგა.

-ამირეჯიბი მე ვარო, – გვითხრა. ჩვენ თვალები დავხარეთ, თითქოს შეგვრცხვა. ცალი ხელი მოგვხვია და სხვა სახელოსნოსაკენ წაგვიყვანა, ვინც გვხვდებოდა, რუსულად ეუბნებოდა:

– ესენი შორი სოფლიდან მოვიდნენ...

მიკვირდა კი, ქართველი იყო, ქართველებში ცხოვრობდა და ქართული ეძნელებოდა.

დიდხანს არ მოგვშორდა და მზე რომ გადაიხარა, ვიღაცას გადაგვცა – დააპურეთო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოვიპარეთ, სადგურ გომში ჩამოვედით და მატარებელს დავუცადეთ.

მთელი გზა თვალწინ მედგა საზეიმოდ მორთული ეზო-კარი, დროშებით ამართული აბრეშუმის ბაღდადეგი, ალაყაფის კარს მომდგარი, ჩოხა-ახალუხში, ქამარ-ხანჯლით გამოწყობილი ვაჟკაცები, თავდახურული ქალები...

ცალკე იფნის ჩრდილში განმარტოებული იყო გლეხკაცობა, უმთავრესად – ძველი თაობა, ახალგაზრდობა ნაკლებ ჩანდა.

1918 წელია, ჯარში ვარ. ზარბაზნის სამუდელა ცხენის ძირის მეხრე ვიყავ, ჩემმა უზარმაზარმა ყორანმა ლურსმანი იკრა. ჩვენი ნალბანდი ჰოსპიტალში იწვა. მეზობელ ბატარეაში გადავიყვანე, ვთხოვე, ცხენი დაეჭედათ. ნალბანდთან მიმიყვანეს, რუსულად ვთხოვე, ჩემი გასაჭირისთვის ეშველა, «ხარაშოო» და შეუდგა საქმეს; კარგად დაჭედა, მერე გაუშვა, ცხენს გავაზე ხელი დაჰკრა და «დაილოცოს შენი ქედოო», – უთხრა ქართულად.

– ბიჭო და ქართველი ხარ?

– მა რა ვიქნები, ქართველი ვარ, მაშ.

– სადაური?

– სადაური ვიქნები, ავლეველი ვარ. შენ სადაურილა?

– მეც თქვენი მხრელი ვარ. სად ისწავლე ნალბანდ-მჭედლობა?

– სად ვისწავლიდი, კოსტასთან, ჩვენ კნიაზთან.

გამიხარდა, ასე მეგონა, საქართველოში ვიყავი.

გადიქუხა ომმაც, რევოლუციამაც და, აი, უკვე 1921 წელია.

ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სტუდენტობამ გადავწყვიტეთ, რამე გვეღონა და სახელმძღვანელოები გამოგვეცა. აგრონომიული ფაკულტეტი ახლად დაარსებული იყო და ჩვენვე ვზრუნავდით. მე და გიგლა (გამგეობის წევრი) მივედით სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების ლექტორთან, კონსტანტინე ამირეჯიბთან, და ვთხოვეთ, დაეწერა წიგნი, ჩვენ კი მოვახერხებდით გამოცემას.

– ოჰ, რა კარგია, რა კარგი! – აღფრთოვანდა, – კარგები ხართ... – ყველა ამას რუსულად ამბობდა... მოგვცა პირობა, სამი თვის შემდეგ პირველ ნაწილს ჩაგაბარებთო, მაღლობა ვუთხარიო, ხელი წამავლო.

– დაიცა, სად მინახიხარ?

მე გამეცინა.

– Молотобоец да! Как хорошо!

თავი დავუქნიე, მიმიზიდა და მაკოცა. არ გამომიშვა, სანამ გიგლას, ჩემს ამხანაგს, არ უამბო ჩვენი ძველი ნაცნობობა.

ოცდაოთხ წელს ალპინისტურ ასვლებში მივიღე მონაწილეობა. თბილისში თურმე ხმა გავარდა, კლდიდან ჩამოვარდა და დაიღუპაო. პირველ სექტემბერს ინსტიტუტის ეზოში რომ შევედი, ბ-ნი კონსტანტინე თავისი ლურჯი შარვალ-ხალათით და ჯოხით ეზოში იდგა, ხმა ვედარ ამოიღო... მეც ქუდი ხელში შემრჩა.

გადმოდგა ფეხი ჩემკენ, კინაღამ წაიქცა, ჯოხზე დაყრდნობა დაავიწყდა, ხელი შევაშველე, მან კი ორივე ხელი მომხვია, თავი მკერდზე დამადო და აქვითინდა. ცრემლით დამისველა ახლად გარეცხილი ტილოს ხალათი.

– მაშ, ცოცხალი ყოფილხარ!..

კეთილი, გულხალვათი კაცი იყო და ყველას გვიყვარდა. ცხრას ოცდარვა წელს მეცნიერული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადავუხადეთ. მეც გავიზარდე. იმ წელს დავბეჭდე ჩემი პირველი დიდი შრომა. თავფურცელზე დავაწერე: «ვუძღვნი კოსტა ამირეჯიბს, ჩვენი სოფლის მეურნეობის მოამაგეს-მეთქი».

მომცეს სიტყვა, მივულოცე და წიგნი გადავეცი, წამოვედი ჩემს ადგილას და დავჯექი. გადაშალა, წაიკითხა, თავი ასწია და თვალებით ვიღაცის ძებნა დაიწყო დამინახა, წამოდგა, როგორც ჩანს, წამოსვლა უნდოდა, არ დავაცალე, სწრაფად მივედი მასთან. გადამეხვია და ერთხელ კიდევ დაღვარა ცრემლი.

აი, ასეთი კეთილი და ღვთისნიერი კაცი იყო. დღეს მისი მოწაფეები მეცნიერების დოქტორები და აკადემიკოსები არიან. ამაში კონსტანტინე ამირეჯიბის სიყვარულის წვლილიცაა.

### ქვენატკოცური მიწა

– აბა, დრო არის წასვლისა.

– კიდევ, კიდევაო, – შეეხვეწნენ, მაგრამ, მართლაც, დრო იყო წასვლისა.

ჩამოიარეს აბისი, მარცხნივ ფცა დატოვეს, მარჯვნივ – ბერძენაული, გაიარეს შაქმაქეთი და ქვენატკოცა, გადაჭრეს მინდვრები და მტკვრის კბოდის პირს გაჩერდნენ.

სადამოვდებოდა, გამოიღეს საძილე ტომრები, ნაბდები და გამართეს ღამის გასათევად. კბოდიდან უზარმაზარი წყაროები გადმოჩუხჩუხებდა. ეს დოღეთის წყაროებია, დვანისწყალსა და ფცას შორის დედოფლის მინდორია, რომელიც თანამედროვე ნალექებითაა დაფარული, ქვეშ თიხის დიდი შრე უდევს და ამ ორი მდინარის ფილტრატი აქეთ ლამაზ წყაროებად გადმოჩქეფს. წინათ აქ მრავალი წისქვილი ტრიალებდა, რომელსაც დოღეთის წისქვილებს უწოდებდნენ. წყარო ზამთარშიც მუდამ მოჩუხჩუხებდა, ქართლის წისქვილები კი ზამთარში ხშირად იყინებოდა, ამიტომ დოღეთის წისქვილებს სახელი შორს ჰქონდა გავარდნილი; როცა მტკვარი აიძვრებოდა, დოღეთის წისქვილების რუებში ბევრი თევზი შემოდიოდა და მეწისქვილეს თევზი უღეველი ჰქონდა. ასე აუხსნა მინდიამ.

ბიჭები ერთ წისქვილში შეცვივდნენ და კარგად გამტკვრიანებული ამოვიდნენ, ვახტანგმა გადაუშალა რვეული მინდიას.

– აი, ბერო მინდია, რა ჩავწერე; სათავე, საყენებელი, ღარი, სახეთქელა, ბორბალი, ბორბლის ღერძი, ბორბლის მორგვი, ბორბლის ფრთა, საღარეს ბოძი, ახლა რომ საღორეს ბოძს უწოდებენ.

– იმიტომ, რომ აღარ ახსოვთ პირველი დანიშნულება.

– დაიცათ, მერე ზედა დოლაბი, ქვედა დოლაბი, დოლაბს ქუბაკი აქვს შემოკრული, აქ ხრილი ჩერდება, ქუბაკი წინ გაჭრილია და პირია დარჩენილი, პირიდან ფქვილი ალაში<sup>160</sup> ჩადის; ალაში მოკლეთარა ნიჩაბია, დოლაბს ზემოდან ხვიმირა ადგას. ხვიმირას ქვემოდან მიბმული აქვს კრიჭა, კრიჭიდან მარცვალი ჯერ ბუკში ჩადის, დოლაბში რომაა ჩამაგრებული, ყველა მარცვალი რომ მოხვდეს დოლაბქვეშ, კრიჭაზე მიბმულია სარეკელა, რომელიც კრიჭას არხებს. კრიჭას მიბმული აქვს თოკი, რომლითაც კრიჭას ასწევენ ხოლმე, რომ ბევრი მარცვალი არ ჩავიდეს ბუკში. იქვე დგას სამინდე ჯამი, მინდს სილად<sup>161</sup> იღებენ, მეწისქვილემ თქვა: «რაც არ მერგება, არ შემერგებაო»... უჰ, აი, კიდევ რამდენია. თუნდაც ხვიმირის თავზე, სარეკელას თავზე.

მინდიამ მოუწონა.

სწორედ ეს წისქვილები უნდა იყოს, რომელთა შესახებ ვახუშტი წერს:

«ურბნისის დასავლით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი, კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნავენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ გაჰყინავს».

სადამოს ვახშამი გაშლილი იყო.

- მამი, რამ დაგაღონა, რას ფიქრობ?
- ძალიან შორეული ამბავი მომაგონდა.
- რამდენი წლისაა ეგ ამბავი.
- ასე, ორმოცდაათისა მაინც იქნება.
- მაშ, რომ გვიამბო, არა დაშავდება რა.

\*\*\*

ჩვენს სოფელში დაბრუნდა დიდი ხნის წასული ოჯახი სამიშვილებისა. ოთხი თუ ხუთი გოგო ჰყავდათ, ერთმანეთსა სჯობდნენ. 1921 წელს მისი უფროსი თუ საშუალო ქალი (ქალებისას ხომ ვერას გაიგებ, ვინაა უმცროსი და ვინ უფროსი) ჩვენი სოფლის ფოსტაში მუშაობდა; როდესაც მინდვრიდან ვბრუნდებოდი, ფოსტას უეჭველად გავუვლიდი, იამზეს უყვარდა ველური მიხაკი, თან ცოტას შევფერხდებოდი, ხან იმ მთისას მოვუყვებოდი, ხან ამ მთისას.

ერთხელ იამზეს წამოსცდა: ნეტავი ერთხელ ქვენატკოცის მიწაზე ფეხი დამადგმევინაო. იქ იზრდებოდა თურმე და, რასაკვირველია, ნატრობდა ბავშვობის მიწა-წყალს.

– სწორედ ამ ქვენატკოცაზე ამბობდა.

1921 წელს მკვლევრებს სად გვექონდა იმდენი ფული, ცხენით ან ეტლით გვევლო. ზურგზე წამოკიდებული აბგა, საჭერბარიო ბადე და დავდიოდი ისე. ერთი ღამე ქვენატკოცაში გავატარე, იმ ღამეს მასპინძელმა ჭილოფი გადააფარა ტახტისმაგვარ რაღაცას და «აქ მოისვენეთო», – მითხრა. ღამე რამდენჯერმე გამეღვიმა უცნაურ მელოდიურ ხმებზე. რამდენჯერე გადავბრუნდი, იმდენჯერ ეს ხმა მესმოდა. დილით დავხედე და ჰოი, საკვირველებავ, ფეხებმოჭრილ როიალზე მეძინა თურმე. «ეგა? ნახევარ კოდათ<sup>162</sup> ვიყიდე ხაშურშიო. მაღალი იყო და ფეხები იმიტომ დავაძერთო», – ამიხსნა მასპინძელმა.

დილით რომ სოფელს გამოვცდი, ერთ კორდიან მდელოზე გადმოვარე, მოვიხსენ ჩემი გუდა-ნაბადი, ჩემი ბარულით მოვჭერ ალიზისოდენა კორდი<sup>163</sup>, შევახვიე ქალაღში, ჩავდე აბგაში და გამოვწიე სოფლისაკენ. იმ დღეს სოფელ შინდისამდე მოვედი, არავის შეწუხება არ მინდოდა, მკათათვე იყო და თბილოდა. ლიახვის პირას, ღობის ძირას ვათიე ღამე; მზე რომ ამოიწვერა, მივადექ ნაპირს, ფეხდაფეხ ვაპირებდი გასვლას, მაგრამ, ბედად, შინდელი კაცი ქვას აგროვებდა, გამარჯობა-მეთქი და პასუხის ნაცვლად მითხრა: «დაიცა, ქვის დადება მიშველე და გაღმა გაგიყვან, დადებულ ურემს წყალი ვერ აიტივტივებსო».

მალე შერთულის პირდაპირ ვიყავ, იქიდან ჩემ სოფლამდე 7-8 კილომეტრი იყო. ფოსტას ავუარე, იამზე კარში იდგა. მივესალმე, გაუხარდა : რამ გაგაშავაო, – მკითხა.

– ქვენატკოცის მზემ!

– შენ თუ სხვის ბოსტანში კენჭი არ გადააგდე, ისე არ იქნება, არა?

თვითონ შავგვრემანი იყო.

მოვხსენი აბგას პირი, ამოვიღე ქვენატკოცური მიწა, შევიტანე შენობაში.

– მოდი აქ! – «ვუბრძანე» იამზეს, ვწვდი ფეხში და დავადგმევინე კორდზე. მან შეჰკვივლა, გაწითლდა, დახედა, მაშინვე მიხვდა. თვალები ცრემლით აევსო.

– მინდია, ეს ზურგით ატარე?

– აბა, რითი?

– გაჩუმდა, დიდხანს ხმა არ ამოუღია.

– არაფერი გინდა მითხრა?

– არაფერი!

– მაშ, ეს რა არი?

– აკი ინატრე, ქვენატკოცური მიწაო.

– ჰოი!

იმ ზამთარს გორში წავიდნენ. მალე გავიგე, რომ გათხოვილიყო. სიღნაღელ ექიმს გაჰყოლოდა.

ამას წინათ ავტობუსში ვიჯექი, ჩემ გვერდით, აი, ეს შალვაც იჯდა, შავებში ჩაცმული მანდილოსანი ამოვიდა, შალვასთან გაჩერდა და «ბრძანა»:

– თუ შეიძლება, მეორე სკამზე გადაჯექით!

– ?!

– ჰო, მე გიორგისთან მინდა დავჯდე.

როდესაც დაჯდა, მკითხა : მიცან თუ არაო.

– ?!



– განა ქვენატკოცის მიწა დაგავიწყდა?!

თითქოს ფარდა აიხადაო, მომაგონდა 50 წლის წინანდელი ამბავი, როგორ ვატარე ორი დღე ხუთ-ექვსკილოგრამიანი კორდი, მხოლოდ იმიტომ, რომ იამზე გამეხარებინა...

– ჰოო!

– ნეტავ იმ დღეს! – თქვა და დიდხანს დუმდა.

– რა ვიცი, წახვედი, ხმა არსაიდან მომაწვდინე!..

– რა მომეწვდინა? – შემომიბტია, მერე უცბად დაწყნარდა, – კარგი ქმარი შემხვდა, კარგი შვილები მყავს; და ამის შემდეგ წავიდა: «გახსოვს?» «მახსოვს, როგორ არ მახსოვს»...

– ერთი უყურე ამას! – წამოიძახა ერეკლემ.

– შენ, გეტყობა, დღესაც გენანება.

– მენანება, მაშ არ მენანება? ჩემი ახალგაზრდობა მენანება.

– ნუ გეშინია! აი, ახალგაზრდობა, – მიუთითა მინდიამ ერეკლესა, ვახტანგსა და ლელაზე.

### დედოფლის მინდორი

მეორე დილით, ადრინად, გოგია მანქანით თბილისში წავიდა.

მარაგიც უნდა შეევესოთ. გარდა ამისა, ქალაქი და სხვა მასალაც იყო საჭირო, შეგროვილი ჰერბარიუმი უნდა ჩაეტანათ ინსტიტუტში მოსავლელად, გასაშრობად.

– არ აჩქარდეთ, ყველაფერი დინჯად ჩაალაგეთ, ხომ იცით:

«ალალის შიშით ვერ წავა ნიბლია ჯვარობასაო,

და თუ რომ გაიპარება, ვერ იტყვის გალობასაო».

ველად თუ დაგვაკლდა რამე, მერე მნელია...

კარვებთან მინდია დარჩა. დანარჩენებმა კი გეზი აიღეს აღმოსავლეთისაკენ, რუის-ურბნისთან ძველ ნამოსახლარს იკვლევდნენ და უნდოდნენ, ენახათ.

დვანისწყალსა და ფცას შორის მდებარეობს დედოფლის მინდორი. ჩრდილოეთით გვერდის ძირი საზღვრავს, სამხრეთით, ფცისა და დვანის სამკუთხედით – მტკვრის კბოდე. დვანისწყალზე სოფელი არადეთია; დიდი ციხის ნანგრევები დღესაც ეტყობა; ჩრდილოეთით სოფლები: წვერი, ფცა, ბერძენაული და შაქშაქეთია.

«დედოფლის მინდორი» რად ეწოდა, არსადა ჩანს. ეს კია, ახლომახლო მინდვრებისაგან გამოირჩევა, ცოტა უფრო შემადლებულია, ვიდრე რუის-სალოლაშენის ვაკე (აღმოსავლეთით) და დოღლაურისა (ხაშურსა და ფცას შორის). ნიადაგიც განსხვავდება; აქ შავმიწამინაგვარი კარბონატული ნიადაგია, ტყის მოსპობის შემდეგ განვითარებული. შეიძლება კარგი მოსავლის გამო ეწოდა დედოფლის მინდორი; მართლაც, თუ გვალვიანი წელი არ იყო, მოსავალი (ხორბალი) კარგი იცოდა, დღეს გვალვისა აღარ ეშინია, დოღლაურის არხით ირწყვება. ეს ის არხია, ახალდაბასთან რომ იღებს სათავეს, გამოვიღის ტაშის-კარს, ქვიშხეთის ბოლოებს და გამოდის დოღლაურის მინდორზე. დედოფლის მინდორზე ორი ბერყენა<sup>164</sup> იდგა ეულად, მარტო, მას ხომ ოლესაც<sup>165</sup> უწოდებენ, გოგლა ლეონიძემ უძღვნა შესანიშნავი ლექსი:

*«შენ ლიახვის კლდეზე დგებარ*

*ძველი მოსასხამით,*

*ოლე, ოლე,*

*მარტო ხეო,*

*დღისითა და ღამით».*

მაგრამ ვიღაცას ჭკუაში არ მოსვლია და მოუჭრია.

ასეთ ეულ ხეებს მინდორში ფრიად და ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი საჩრდილობელია მინდვრის მუშისთვის, ზედ კალათას, ხურჯინს ან ზედა ტანსაცმელს დაკიდებს კაცი. მეორეც, ამ მარტოხეებზე იჯდა ქორი, შევარდენი, ბორა, ძერა და მისთანანი; მათი გამჭრიახი თვალი ზვერაგდა მინდორს და თავს ან მემინდვრიას რომ შენიშნავდა, ხელად დააცხრებოდა და ჰაერში აიტაცებდა. დღეს ასეთი ხეები ბევრგან დაჭრეს. რასაკვირველია, ეს შეცდომაა. კარგი იქნება, თუ ყოველ 5-10 ჰექტარზე ორ-სამ ხეს დარგავენ, გაახარებენ, გაზრდიან.

– ესეც არადეთი. ვინ იცით აქაურები?

– არადელი-იშხნელი, მსახიობი.

– მართლა კაი მსახიობი იყო, მაგრამ ახალგაზრდა დაილუპა უდროოდ.

– აგერ ტიტვინიძის სახლი, სტალინის ამხანაგისა...

დვანისწყალზე ხიდს აკეთებდნენ.

– ეს სოფელი სალოლაშენია, აქაური ვინდა იცით?



- ამ სოფელში კი, ჯერ ერთი, ძმები ყიფშიძეები: გიგო ყიფშიძე, მინერალოგიის პროფესორი, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი.
  - ერიპაა, დამავიწყდა, გოგიასთვის მისი «დიდებული მესხეთი» დამებარებინა! – დაინანა გიორგიმ.
  - არაფერიც, დედას მივწერე, გამოგზავნე-მეთქი, – გაამხნევა ერეკლემ.
  - გარდა ამისა, ამ სოფელში იყო სვიმონ ამირეჯიბი, პირველი ქართველი მიკრობიოლოგი, პროფესორი.
  - ეს იმ მარიამ ამირეჯიბის შვილი ხომ არ არის, ყველა ჩვენს მოღვაწეს დიდ სუფრაზე ხელს რომ მოაწერინებდა ხოლმე და მერე ამოქარგავდა.
  - ეს სუფრა გოგლამ შეიძინა ლიტერატურული მუზეუმისათვის.
  - ის უნდა იყოს.
  - აგერ ბრეთიც. სოფრომ მაგლობლიშვილისა და შიო მღვიმელის სოფელი.
- ამ სოფელში იყიდეს მესტვირე დოდეს ვირი, არა?... შორს წამოსულან ბიჭები.
- მის ზევით კი დირბია, აქაური იყო ცნობილი მეზურნე და მოჭიდავე სინო დირბელი<sup>166</sup>.
- ასეთი საუბრით გაუარეს მეხილეობის უზარმაზარ მეურნეობას, ხილი კარგად ესხა, მოსავალს კარგი პირი უჩანდა.
- საკარმიდამო ნაკვეთებზე კომბოსტო ბლომად იყო დარგული.
- თბილისის საკოლმეურნეო ბაზრის ერთ-ერთი მომმარაგებელი კომბოსტოთი რუის-ურბნისიაო, – აუხსნა გიორგიმ.
- შიგ ურბნისში არ შევიდნენ, აღმოსავლეთ მხარეს მიაშურეს, ქვაცხელეხას. სწორედ აქ იკვლევდა უძველეს ნამოსახლარს ჩვენი დიდი მოამაგის, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის, უმცროსი ვაჟი ალექსანდრე.
- «მტკვრის კიდეა ზედა არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი დიდის ლიახვისა, და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსვრილი აღაშენა და განაახლა 94 მეფემან ვახტანგ<sup>167</sup> და შეამკო ხატი მისი წმინდისა სტეფანე პირველმოწამისა, მოზღუდა ქვიტკირითა» (ვახუშტი).
- თვითონ «ქვაცხელა» მდებარეობს სოფელ ურბნისიდან ორ-ნახევარი კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთისაკენ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდინარის ძველ ტერასაზე... აქ ხანგრძლივი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს: მდინარესთან სიახლოვე, მაღალი კლდოვანი ნაპირი და ღრმა ხეობით სამხრეთ შემოზღუდვა; ხეებში არსებული წყაროები და სამიწათმოქმედო მეურნეობისათვის გამოსადეგი ფართები (ალ. ჯავახიშვილი და ლ. დლონტი).
- «ქვაცხელა წარმოადგენს რთულ ძეგლს, სადაც სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით დასტურდება ერთიმეორეზე მდებარე ნასახლარი ფენა».
- რასაკვირველია, ყველა ეს ფენა ერთი ხნოვანებისა არ არის, მაგრამ ჩვენი მკვლევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარს არ სცილდება, ჩვენს ერამდე 2200-2000 წწ. აქაა აღმოჩენილი აუარებელი ნამტვრევები და მთელი ჭურჭელი; ზოგიერთი ნატეხარი თავისი მოხაზულობით ეხმაურება ძველისძველ განათხარ ჭურჭელს, არის ცხოველთა ქანდაკებანი, მძივები, როგორც ჩანს, მძივებად გამოუყენებიათ ქვათესლას<sup>168</sup> ნაყოფი (თესლი), რომელიც ქვაცხელეების მიდამოებში დღესაც იზრდება.
- ეს საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მე-20 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევდა.
- ექსპედიციის წევრებმა დიდად გაიხარეს სტუმრების მოსვლით. ყოველი ნაკვეთი დაატარეს, მიწაწაყრილი, დროებით დამარხული ნივთებიც კი აჩვენეს.
- სოფელში უფრო კარგი გათხრილი ნასოფლარი იყო, დიდხანს ათვალიერეს.
- ნახეს ტაძარი, დიდი ბაზილიკა: ალბათ, ამ ტაძარში გადაიხადა დავით აღმაშენებელმა პარაკლისი რუის-ურბნისის საეკლესიო ყრილობის შემდეგ, როდესაც მან ქართული ეკლესია გაწმინდა ფეოდალთა წარმომადგენლებისაგან.
- დასავლეთით მზე უკვე ჩასასვლელი იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები ბერ მინდიასკენ დაიძრნენ.
- უზარმაზარი, რვა კილომეტრის სიგრძის, სოფელი რუისი ვედარ ნახეს და ვახუშტის წაკითხვით დაკმაყოფილდნენ:
- «სამხრეთ ურბნისისა არს რუისის მთის ძირი, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდი დიდშენი. ზის ეპისკოპოზი<sup>169</sup> მწყემსი ამ რუისა ძეითის ქართლისა ლიხ-ტაშისკარამდე».
- დატოვეთ ბერი მინდია, განა?
  - გვაპატიე, მინდიავე ბერო, და მერე ჩვენ ვიცით...

– ეს მერამდენჯერ?

– უკანასკნელად, – და მოეხვია ერეკლე ყელზე.

### **მთა და ბარი ვის გაუყვია**

ოდითვე ქართველ კაცს მთა და ბარი განუყოფლად ჰქონდა წარმოდგენილი, კიდევ მეტი, მთას ყოველთვის მოწიწებით უცქეროდა, პატივსაც სცემდა, «ბარში რომ ჰკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიანო», – ამბობდნენ ბარად. მთიელი ბარელს ყოველთვის რაინდად ესახებოდა:

*«მთიელო, მთაში გაზრდილო, ხმაღს როდი მოგიშვიდება,*

*ომში შეხვალ და გამოხვალ, გული არ შეგიშინდება.*

*სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი არ მოგიცურდება,*

*უკან დახევა არ იცი, სისხლი რო შეგიხურდება».*

*ამიტომ არის, რომ ვაჟკაცი შესთხოვს მთას, ნუ გაამაყდებიო:*

*«შენი ძმა არი ბარიცა, სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,*

*გმირთ სისხლით შეღებილი აქვს ველები ბალახიანი».*

არც ის იყო შემთხვევით, რომ სულმნათმა ილიამ პირველად მთიელს, მოხვევს, ათქმევინა: «ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნოდესო»; მერე კი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებმა იგი თავის დროშაზე წააწერეს, როგორც თავიანთი კაცობის ნიშანსვეტი.

მთა არასდროს არ ყოფილა მხოლოდ რომანტიკული გატაცების ობიექტი. ბარმა კარგად იცოდა, რომ ჩვენი მთა ბევრსა შრომობდა ჩვენი კულტურის საუნჯის გასამრავლებლად. ჯერ ერთი, საერთოდ, ცნობილია, რომ კულტურის ჩანასახი სწორედ ხეობებში წარმოიშვა, იქ დაიწყო განვითარება და იქიდანვე გამოვიდა ველად, ვაკეზე, ამ გზას არც საქართველო ასცდენია. ცნობილია, რომ ქვის ხანის სამაროვნები დიდი რაოდენობით არის მოძიებული ჩვენს მთებში, საკმაოდ მაღლა, თუნდაც დიდი ლიახვის ხეობაზე, ერწოსა და ყემულთაში.

ჩვენმა მთამ შექმნა შინაური პირუტყვის იშვიათი და ძვირფასი ჯიშები: თუშური ცხვარი, ხევსურული ზროხა, მთიულური ზროხა, მეგრული ზროხა, მეგრული თხა და სხვა მრავალი.

თუშურ ცხვარს ჩვენი პირობების მთაბარული მეურნეობებისათვის ბადალი არა ჰყავს, თუშური ცხენი მთის ჭირკვალთან და კეპნიან ბილიკებზე 150-189 კილოგრამ ტვირთს თავისუფლად ატარებს, ხევსურული ზროხა ყველაზე ღალიანია, ამავე დროს ადვილი მოსავლელი, მწირ სამოვარზეც პოულობს ცოტადენ საზრდოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ კარგად კვებავ, უფრო მეტს არ მოგვცემს. მეგრული ზროხის გამოზრდილი ხარი საუკეთესო იყო კოლხეთში.

ისეთი მაღალი ღირსების ხორბლები, როგორც თეთრი დოღის მრავალი ჯიშია და დიკა, ჩვენს მთებშია წარმოშობილი და შემდეგ ბარში ჩამოსულა. მახა და ზანდური ხომ პირმშოა კოლხეთის მთებისა: ამ ხორბლებს იმისთვისაც სცემენ პატივს, რომ სოკოვანი ავადმყოფობით არ ავადდებიან.

ძველთაგანვე ჩვენს მთას წუთითაც არ შეუწყვეტია ბართან ერთად ჩვენი კულტურის საკურთხეველზე თავისი წვლილის მიტანა. კრწანისის ველზე მთიელთა ბრძოლა დარჩა, როგორც მარად წასაბაძი ლეგენდა. სწორედ ამიტომ იტყოდნენ: «მთა და ბარი ვის გაუყვიაო».

ბუმბერაზი მწერალი, მეოცე საუკუნის საოცრება, ვაჟა-ფშაველა, მთამ მოგვცა. მთის პირმშოა ალექსანდრე ყაზბეგიც. ქართველ ხალხს ესეც ეყოფოდა საამაყოდ. ჯერ მთლიანად კიდევ ვერ ვგრძნობთ ამას, ოჯახი არ უნდა იყოს ჩვენში, მათი თხზულებანი არ ამკობდეს წიგნის თაროებს.

ჩვენს გადარჩენას, როგორც ერისას, მთამაც შეუწყო ხელი. ჩვენი ისტორიის ავბედობის დროს მიწის პირიდან იგვებოდა ბარის სოფლები, ქალაქები, ხალხიც ბევრი იჟლიტებოდა და ნაოხრალზე ძაღლებიდა ყმუოდნენ. გადარჩენილი მოსახლეობა მთას აფარებდა თავს. მთიელები ძმურად იღებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმებს, მათი ჭირი თავიანთ ჭირად მიაჩნდათ. ბარელის ბევრ უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახში მთიელი ზესიძედ შედიოდა და ბარად ჩამოდიოდა. ბევრი ნაოხარზე სახლდებოდა, რის შედეგად ბარად ბევრი იყო ტაბარუკი-ახალმოსახლე. ამით აიხსნება, რომ შუა ქართლში მრავლადაა მთიულური გვარები: წიკლაური, ოდიშვილი, მიგრიაული, პატაშური და სხვანი, არაგვისა თუ ქსნის სათავეებიდან ჩამოსულნი. ზემო ქართლში<sup>170</sup> კი ფრონების ხეობაზე ბევრია ზემოიმერული და რაჭული გვარები – ნიორამე, ნოზამე, მაისურამე, მეტრეველი, კვინიტამე, კილასონია, თურმანიძე და სხვ. ამ ხეობების სოფლები: დგანი, ავლევი, ნული, წორბისი, ბრეთი, წვერი, ერკნეთი, ულუმბა, ალი, უწლევი, ნაბახტევი, ბრილი, ბროლოსანი და სხვა მრავალი ლეკიანობის დროს თითქმის ამოწყდა, გადარჩენილმა ხალხმა ზემო იმერეთს და რაჭას შეაფარა თავი, სადამდეც მტერი ვერ უწევდა. ცნობილია, რომ მონღოლები ლიხის ქედს ვერ გადასცდნენ, დიდი ტყით იყო იგი დაფარული. ქართველებს ტყის მეომრებად თვლიდნენ და მათთან ბრძოლას ერიდებოდნენ.

დავით აღმაშენებელმა დიდგორზე რომ დაამარცხა თურქმენტა კოალიცია, შემოუთვალეს: შენ ტყის მეფე ხარ და იმიტომ გაიმარჯვე, თუ ბიჭი ხარ, ველზე გამოდიო. დავითი რის დავითი იქნებოდა, რომ საკადრისი პასუხი არ გაეცა. შამქორში უარესი დღე აყენა. მაგრამ ყველა მეფე ხომ დავითი არ იყო.

მშვიდობის დროს გადარჩენილი ხალხი ბრუნდებოდა მამა-პაპათა ნაფუძარზე და თან მოჰყავდა ახლად შექმნილი ძმა თუ ზესიძე. ძველ ადგილას ფუძეს ვერ დატოვებდა. ვერ ტოვებდა მამა-პაპათა სალოცავს, «საიდან სად მიდის ქართველი მიწის მუშა მიწისა და თავისუფლების ძებნაში. ზოგან ნიადაგია მწირი, ზოგან ბატონი არ გაახარებს, ზოგან გარეშე მტერი არ ასვენებს, დადის ქართველი გლეხი და ეძებს გასამღის ქვეყანას: მიწას, მშვიდობას, თავისუფლებას, დადის საუკუნეთა მანძილზე, მრავალ ადგილს იცვლის, მაგრამ «ძირი ხატი», «ძირი სალოცავი» არ ავიწყდება, «ძირი ხატი» მისი საკუთრივ მფარველია და რომ «გაუშვას» (გაათავისუფლოს) და «გაახაროს», გლეხი მოვალეა, «თავისი მფარველი» ხატი მოიკითხოს... ეს «ძირი ხატი», «მაგარი ხატი», «სალოცავი» მისი თავისუფლების მონაგონარია, როცა «მიწის კაცი»(მიწის მუშა, ქვეყნის მოქმედი, გლეხი) ჯერ კიდევ თავისუფალი თავის სახლიკაცებთან ერთად შრომობდა, იბრძოდა, «თავის ღმერთს ლოცულობდა» (ნ. ბერძენიშვილი).

სწორედ ამაში იყო საქართველოს ძალა და სიმტკიცე. სწორედ ამიტომ იყო, რომ გავერანებული ბარი სწრაფად აღდგებოდა ხოლმე. ამან ათქმევინა რუსთა მეფის ელჩს, რომელსაც ათი წლის წინათ ენახა შაჰ-აბაზის მიერ აოხრებული საქართველოს ბარი და კვლავ ხედავდა აყვავებულ მხარეს: «უცნაურია საქართველო, იგი ძალიან მალე აღორძინდება ხოლმე».

დრონი იცვალენ, წარსულის შავბნელი დღეები ისტორიას ჩაბარდა. ახალ დროებს კი ბარისა და მთის ურთიერთობა მთლიანად მომზადებული ვერ შეხვდა.

მთა ბარს ჩამორჩა როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის დარგში, ამის მიზეზი ბევრია: ერთ-ერთი უგზობაა; თანამედროვე ეპოქას ძველი გზა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. მაშინ, როდესაც ბარში ურმით მოგზაურობდნენ, მთაში კი – ცხენით, შეფარდება კარგი იყო. დღეს ბარის ხალხი ავტოთი მოგზაურობს, მთას კი ცხენიც არ შერჩა ხელში. ამიტომ ძველი მჭიდრო კავშირი ერთგვარად შესუსტდა, მეორე-ახალი, თანამედროვე გზების გაყვანის სიძნელენი, მთის კუთხეებში მისი თემების ურთიერთდაცილება (ხევსურეთში პირიქითის ხევსურეთი, მთათუშეთი: ჩაღმის, გომეწრის, პირიქითის თემები და სხვ). მთა თითქოს ჩაიკეტა, ბარს იშვიათადლა აკითხავდა. ერთადერთი მესაქონლეობა იყო, რაც აკავშირებდა მთასა და ბარს, განსაკუთრებით – მომთაბარული მეცხვარეობა, მაგრამ ახალ ვითარებაში მთისა და ბარის ჰარმონიულად განვითარებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. უახლოეს წარსულში ჩვენი ცხოვრების წარმმართველი ზოგიერთი ორგანოს მიერ სპეციფიკური საკითხების გაუთვალისწინებლობამაც ამ საქმეს თავისი უარყოფითი დაღი დააჩნია.

ამჟამად მთის საკითხი რეალურად უნდა დადგეს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში.

საქართველოს ბართან ყველა ჩვენი მთის მხარე დაკავშირებულია შარა-საავტომობილო გზით, გარდა მთათუშეთისა. ამიტომ არის, რომ მთათუშეთი ცარიელდება. ეს კი ჩვენი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის დაუშვებელია. მთათუშეთი მნიშვნელოვანი მხარეა. ჯერ ერთი, ზაფხულის სამოვრების დიდი ნაწილი აქ არის თავმოყრილი. მეორე, ჩვენი ფიჭვნარების საუკეთესო წმინდა კორომები (თორმეტი ათასი ჰექტარი) მთათუშეთია, სადაც მშრალი და მზიანი ზაფხული იცის, მაშასადამე, ეს ადგილები საკავშირო მნიშვნელობის კლიმატური კურორტებისათვის ზედგამოჭრილია, აქაური სოფლები ზღვის დონიდან 1600-2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ. იშვიათია კლიმატური კურორტებისათვის სოფელი ხახაბო, სოფელი შენაქო, ომალო და სხვანი. ამ მხარეში პირველ რიგში გზის გაყვანა აუცილებელია. ხალხი ხალისით დაუბრუნდება თავის სოფელს. უფრო მეტად განვითარდება მესაქონლეობა, გაიმართება კლიმატური კურორტები და ბარისა და მთის ინტერესები კვლავ გადაიჯაჭვება.

ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ვაკეზე კოლმეურნეს უფლება აქვს, ჰქონდეს ნახევარ ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია, ვენახი, ბაღი და სხვა, მთაშიც თითოეულ კომლს იმდენი საქონელი უნდა ჰყავდეს (თავისი სამოვრით), რომ მისი შემოსავალი ბარის კოლმეურნის საშუალო შემოსავალს ეთანაბრებოდეს. რასაკვირველია, ეს ფრიად რთული საკითხია, თუნდაც სამოვრების გამოყოფის საკითხი (ზაფხულისა და ზამთრის), მაგრამ თავისთავად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს. ამ საკითხის გადაწყვეტასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ წარსულის დიდი და დღესაც ფრიად საჭირო მემკვიდრეობის შენარჩუნება. აქ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ მთაში გამოყვანილ და საუკუნეთა მანძილზე გამოცდილ შინაურ პირუტყვს: თუშურ ცხენს, თუშურ ცხვარს, მთის ძროხას (ხევსურულს, ოსურს, მეგრულს). ჯერჯერობით ჩვენი მთებისათვის ამათხე უკეთესი არცა გვაქვს და არც გვყავს. სათანადო რაიონებში საბჭოთა მეურნეობებთან უნდა ჩამოყალიბდეს ამ საქონლის წმინდა საჯიშეები, სადაც იმუშავენ ამ ჯიშთა გაუმჯობესება-დაწმენდასა და გამრავლებაზე. აქედან კოლმეურნემ უნდა მიიღოს დაწმენდილი და გაუმჯობესებული ჯიში, ყოველ

საკოლმეურნეო კომლს უნდა ჰყავდეს 1-2 ცხენი, მთაში უცხენოდ ცხოვრება ძნელია. სამანქანო გზა ცენტრამდე მივა, მთის დაქსელვა შარაგზებით ფრიად ძნელია. აქეთ-იქით სავალად ცხენია საჭირო. მთას კიდევ თავისი მთა აქვს, სოფელი თუ 1600-1800 მეტრის სიმაღლეზეა, მათი სამოვრები 2500-3000 მეტრ სიმაღლეზეა და ხშირად რამდენიმე ათეული კილომეტრითაა სოფელს დაცილებული.

რაკი მესაქონლეობა-მეცხვარეობა გაძლიერდება და ხალხი კვლავ ფეხს მოიკიდებს მთაში, უნდა გაძლიერდეს და ბევრგან აღდგეს შინამრეწველობის ისეთი სახეობანი, როგორც არის, მაგალითად, მთათუშეთში ფარდაგების, ღაზლის<sup>171</sup> ფეხსაცმლის-ჩითების, თექების ქსოვა-კეთება; ხევსურეთში ნაქარგ-ნაქსოვი ფაფანაგისა და გულისპირების დამზადება. სვანეთში თავისებური, სველი თოვლის გამძლე ქსოვილის-აშვის – ქსოვა, სვანური ქუდების კეთება, ხის დამუშავება და სხვა მრავალი.

ხევსურული ქსოვილი თავისი ფერების შეხამებით ხომ შეუდარებელი შედეგია. თუკი პალეხელმა ხატის ოსტატმა, როდესაც მათ ყურადღება მიაქციეს, მაქსიმ გორკის მეთაურობით შექმნეს მხატვრული შედეგები, რა დაუდგება წინ იმას, რომ ჩვენმა მთიელებმა შექმნან ხელოვნების შედეგები, თუ, რასაკვირველია, ამ საქმეს სათავეში ნამდვილი მოღვაწე ჩაუდგება და არა საქმოსანი. ნამდვილად ქართული სუვენირი ამ გზითაც შეიქმნება.

მთის ქსოვილების ხელოვნების აღდგენა ჭედურობის აღდგენას უდრის. ლამაზი მორთულობა, სხვა სიკეთესთან ერთად, დღევანდელ საბჭოთა ადამიანს ჭეშმარიტად რომ შეშვენის.

ზოგიერთი მცენარის მოშენებას მარტო რენტაბელობის თვალსაზრისით არ უნდა შევხედოთ, არამედ იმიტაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხის კულტურის თვალსაზრისით. ჩვენ ვუფრთხილდებით ჯვრის მონასტერს, სამთავისსა და სხვა ისტორიულ ძეგლებს, როგორც ერის გენიის გამომჟღავნების საბუთს, და განა ნაკლები შემოქმედებითი ეროვნული გენიაა დახარჯული ისეთი ხორბლის ჯიშებზე, როგორც არის დიკა, თეთრი დოლი ან ისეთი ვაზები, როგორცაა რქაწითელი, საფერავი, ბუდეშური, ვაშლები – თურაშაული და სხვა მრავალი? განა ისინიც ჩვენი კულტურის ძეგლები არ არიან? საქართველო მრავალი ასეთი კულტურული მცენარის სამშობლოა. ჩვენი მხარე, კავკასიის სხვა მხარეებთან, რესპუბლიკებთან ერთად, ბებერი კულტურული მცენარის წარმოშობის ერთ-ერთ კერად ითვლება.

ისეთი ხორბლები, როგორც არის მახა, ზანდური, დიკა, დოლის პურის მრავალი ჯიში, აქ, მთაშია წარმოშობილი. მახა და ზანდური რაჭა-ლეჩხუმში, სადაც იგი ითესებოდა, უკვე ოც წელზე მეტია, გაქრა. დიკით ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო ლიახვის, ქსნისა და არაგვის ხეობანი, მაგრამ 1970 წელს ორ პატარა ნათესს ძლივს მივაკვლიეთ. ამავე დროს ეს ჯიშები გატანილია უკვე ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში, სადაც ახალი, მაღალმოსავლიანი ჯიშების ბაზად არიან გამოყენებული.

ჩამოთვლილი საქონელი, ხორბალი და ზოგი სხვა მცენარე (ესპარცეტი, ცერცველა) უდიდესი ეროვნული განძია, რომელიც მთამ შესძინა თავის სამშობლოს, დავკარგეთ ის, რაც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, მეტად მძიმე დანაშაულად დაგვაწვება (იგივე შეიძლება ითქვას ბარის მცენარეებზეც).

გარდა ამისა, მთის მოსახლეობას ერთი დიდი საქმეც უნდა დაეკისროს სათანადო ანაზღაურებით. ეს არის ტყის მოვლა, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ჩვენს მეურნეობათა დარგებს შორის, რადგან, როგორც უკვე ვიცით, მთიან ქვეყანაში ბარის სოფლის მეურნეობა ვერ იხარებს, თუ მთის ტყე კარგად არ არის მოვლილი. ჩვენს ტყეს გაცილებით მეტი მოვლა სჭირდება, ვიდრე დღეს აქვს. საჭიროა, ტყის ყოველ დარგს მივამაგროთ ბრიგადა, რომელიც იზრუნებს არსებულის შენარჩუნებაზე, მოვლაზე, დანაკლისის აღდგენაზე, წამლობა-მკურნალობაზე. ამას კი დიდი თანხა სჭირდება. შესაძლებელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამხელდეს მისი გამოყოფა. თუ გურია-აჭარაში ჩაისა და ციტრუსების კარგი მოსავალი გვაქვს, ეს იმიტომ, რომ გურია-აჭარის ქედი ტყით არის დაფარული. კახეთის ვენახის მოსავალი დიდად არის დამოკიდებული კახეთის კავკასიონისა და გომბორის ქედის ტყიანობაზე. აქ ტყე მოისპოს, იგივე დღე დაადგება, რაც დურუჯმა დააყარა ყვარლის ნაწილს. ასევეა სხვა მხარის ვაკეებიც დამოკიდებული მთაზე. ლოგიკურია, ვაკის კოლმეურნეობამ მონაწილეობა მიიღოს ტყის მოვლა-მოშენებაში; როგორ და რანაირად, ეს დამოკიდებულია საერთო ფინანსურ გეგმაზე. მე კი ეს ასე მესახება: ჩვენმა ვაკის კოლმეურნეობამ თავისი შემოსავლიდან ტყის მოსავლელად უნდა გაიღოს შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი.

აქ დასმული საკითხების გადაჭრას მრავალი სიძნელე ახლავს თან, მაგრამ ჩვენს ხალხს ბევრი სიძნელე დაუძლევიან და, ვფიქრობ, ამასაც დაძლევენ. უნდა დავძლიოთ კი, რაც შეიძლება, მალე.

კარგი დიდი ღამე გავიდა, მაგრამ ჩვენი მოგზაურები კიდეც საუბრობდნენ ამ საკითხზე.

#### **ირემო, მთასა მყვირალო!**

ახლად ნარიყრაყვი იყო, ტამისკარს რომ ჩაუარეს. ქვიშხეთი მარჯვნივ დარჩა, დიდი დიმიტრი ყიფიანის სახლითა და კომპით<sup>172</sup>.

– ის წაბლი არ ვნახოთ, მის ქვეშ გიორგი სააკაძემ თავის ჯარს სუფრა რომ გაუშალა?

– ეგ როდის იყო?-იკითხა ერეკლემ, ცოტა არ იყოს, ეშმაკურად.

1609 წელს, ე. ი. 363 წლის წინათ.

გიორგიმ გოგიას რაღაც უჩურჩულა და მანქანამ გზას გადაუხვია, გადასჭრა დოღლაურის არხი და გაჰყვა სასოფლო გზას. ერთი ეზოს წინ შეჩერდა.

– წაბლი ცოცხლობს 400 წლამდე. ვთქვათ, მაშინ ორმოციოდე წლის იყო (იმ ბრძოლიდან ხომ სამას სამოც წელზე მეტია გასული), დაიტევდა 5000 კაცს?

– ისე ხომ კარგი წაბლია? – არ გაიტეხა იხტიბარი ლელამ.

– კარგია, ხანში შესული კი. მაგნიირ ლეგენდებს ხშირად მიაწერენ ასეთ ხეებს...

მანქანა მალე შეიჭრა ვიწრო ხეობაში. რკინიგზა აქედან მარჯვენა ნაპირზე გადიოდა, საავტომობილო – მარცხენაზე. მტკვარს ისე ახლოა მომდგარი მთები, რომ ორივე გზას ვერ დაიტევდა.

ხეობის გაღმა-გამოღმა მთის ფერდობებზე ლამაზი სოფლები იყო შეფენილი. რელიეფი ოდნავ მოივაკებდა თუ არა, სოფელი იჭერდა. მტკვარგაღმა ახალდაბა ჩანდა, რომელსაც სუმბათაანთ ციხის ნანგრევები დასცქეროდა. ახალდაბასთან იღებდა სათავეს ტაშისკარის არხი. მალე გამოღმა კორტანეთი გამოჩნდა, შემდეგ ზანავი, რველი, გაღმა ვარდგინეთი, ყვიბისი. წინ იყო ვაშლოვანი და შემდეგ – ბორჯომი.

ტყე ფერდობებზე აიყარა, უმთავრესად – ნაძვნარი. გაღმა ნაძვნარი, გამოღმა ფიჭვნარი, მუხნარი. გაღმა ახობზე ქორბუდიანი წაბლებიც დაეტოვებინათ; ზოგი მათგანი სჯობდა ტაშისკარის წაბლს, მაგრამ ვახუშტი მაინც მოვიგონოთ:

*«არამედ არს ეს მტკვრის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუალი მტრისაგან. კაცნი ჰყროვანნი, მთანი ნადირიანი, ნამოვარ-ფიჭოვანი. ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირი მრავლად».*

ვაშლოვანამდე არ იყვნენ მისულნი, რომ ბანისხევის სატყეოს მიადგნენ, ტყისმცველი გააღვიძეს, ხერგილი<sup>173</sup> ახსნეს და ტყის გზას გაჰყვნენ.

– ხომ არ გამოგყვით? – იკითხა მცველმა.

გიორგიმ თვალი შეავლო და მადლობა უთხრა. გამოყოლა რომ სდომებოდა, უკითხავად წამოვიდოდაო, «ისე კი კარგი იყო, აქაური კაცი ვინმე გვეყოლოდაო», – იფიქრა.

ერთი სამი კილომეტრი იარეს. გზასა და ნაკადულს შორის უზარმაზარი ბალახეულობა იზრდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შავ გვიმრას, მატეუჩიას, რომლის სასპორე ფოთლები, მთლიანად სპორანგიუმებით იყო დაფარული, ცალკეული ფოთოლი თითქმის მეტრ-ნახევრის სიმაღლისა იყო... მატეუჩია ორნაირ ფოთოლს იკეთებს, სასპორესა და ჩვეულებრივს – მწვანეს, საასიმილაციოს.

აქედან გოგია დააბრუნეს: ქვაბისხევი წადი, შემოდი ხეობაში და ფიცარი კლდესთან დაგვიცადეო.

– რითაა ნაკლები ზოგ პალმაზე? – იკითხა ერეკლემ.

– ვგონებ, ბევრ პალმას სჯობიან კიდეც!

დაუმოწმეს ერთმანეთს. თანაც ცოტა გაკვირვებულნი აცეცებდნენ თვალებს. უკვირდათ იმიტომ, რომ ასეთ ტყეში ჯერ არ ყოფილან. ეს ტყე კოლხური მთის ტყეს ჰგავს, ბანის ხეობა ღრმად შეჭრილია მთებში და სინესტე დიდი იცის. ზვიდან ლომისის ქედი და მისი მწვერვალი დასცქერის, აჭარა-იმერეთის ქედის ნაწილია. პირიქითაც წიფლის უღრანი ტყეა. წიფელს მალე ცვლის ნაძვნარი, სოჭნარი, ნაძვნარ-სოჭნარი, ქვეტყეში კი ხშირია წყავი, შქერი, ბაძგი, ზოგან – იელი, მოცვი და სხვა უკვე ფოთოლცვიანი ბუჩქი.

მალე წიფლის ტყეში შევიდნენ, ნაპირზე ისევ მატეუჩიას უზარმაზარი ძირები იდგა, ვახტანგმა ფოთოლი მოწყვიტა და ერეკლეს დაატოლა.

– შენ თვრამეტი წელი იზრდები, ეს კი ორ თვეში ამოვიდა და დაგეწია კიდეც...

– ეგ არაფერი, რატომ პარკებში და ბაღებში არ გადააქვთ?

– ნესტიანი ადგილების მცენარეა, თბილისში გაუჭირდება სიცოცხლე, თუმცა ზოგან შეიძლება მისი კუთხეების ხელოვნურად შექმნა ნაკადულითა და ჩრდილით.

ამ ლაპარაკით მიადგნენ შქერიანს, გიორგიმ ახედ-დახედა და მხარი უქცია.

– ლელის ნაპირით ვიაროთ, თორემ წყავიანსა და შქერიანს რომ გავებათ, ერთ კვირას ვერ ავალწევთ.

მალე ისევ ბანისხევის წყლის პირას იყვნენ, ისიც დაფარული იყო მაღალი ბალახებით, შიგ იმალებოდნენ. აქ იყო ღრინჭოლა, დიყი, თავყვითელა, სხვადასხვანაირი მზიურა, მდინარე კი მოჩუხჩუხებდა და მოიმდეროდა ქვებზე, ხან დაეკიდებოდა თავის ვიწრო კალაპოტში, ხან ასიოდე ნაბიჯით გაივაკებდა და იწყებდა თავის ჩვეულებრივ ლიკლიკს.

ოფლი უკვე წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხავდნენ. ვახტანგმა ხელი გაიწოდა ლელასკენ : შენი ჩანთა მომეციო. ლელამ ხმა არ გასცა და უსიტყვოდ უსაყვედურა: მეც კარგად ვატარებო. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ჩაიმუხლეს – მუხლში ქარი ამოვიღოთო.

– კაცო! ე რა სიარული გცოდნიათ? ძლივ დაგეწიეთ... – წამოადგათ თავს ის ტყისმცველი, დილას რომ ცილი დასწამეს: ცოტა ზარმაციაო.

– წამოვედი, უხვედრი ადგილებია, არ გაუჭირდეთ-მეთქი...

-აი, იცოცხლე, თქვენი სახელი მიბოძეთ ერთი, – სთხოვა გიორგიმ.

– ვანე მქვიან, თქვენი ჭირიმე... ცოტას რომ შევიმალლებთ, იქ ნადირის ბილიკია, იმას ავეყვებით და გავალთ კიდევ ლომისის წვერის ფერდობებზე.

– კაცო, რად გაისარჯეთ?... შეწუხდით.

ვანოს უღვაშებში ჩაეცინა.

– იმის გაგებას, რომ საქმის ხალხი ხართ, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, რას იტყოდით, უცხო ხალხს როგორ დახვდეთ, სახელის გატეხას, ხომ იცით, თავის გატეხა სჯობიან.

– ეგ კი მართალია, ჩემო ვანო.

– სამზეოზე<sup>174</sup> სანამ ხარ, კაცური ქუდი უნდა გეხუროს...

ფრინველთა ჟიჟინი არ ისმოდა, როგორც ჩანს, მათაც თავი შეაფარეს ჩრდილებში. თუმცა უნდა ითქვას, საქართველოს ტყეები ძალიან ღარიბია ფრინველით. თითო-ოროლა შავკაბიანი კოდალა თუ გამოჩნდება და რამდენიმე წიწკანა.

ცოტა ხნის შემდეგ თვალისათვის თითქმის შეუმჩნეველ ბილიკს დაადგნენ, ნამძნარის პირას მიდიოდა. ნამძნარი იყო, თვალს გაუხარდებოდა, მაღალი ნამძვები გარინდებულნი იდგნენ, ნიადაგს ძველი წიწვების ფენი ეკლად ეფარა.

ვახტანგი ღიღინით და თავის წერაყინის ტრიალით ერთი ოცი-ოცდაათი ნაბიჯით წინ მიდიოდა, უცბად წინ ხარირემი გადაეღობა, დუყებიანი<sup>175</sup> თავი დაბლა დახარა, ისე, როგორც საჭიდაოდ მომზადებულმა მოზვერმა იცის. ვახტანგი შეკრთა, არ ელოდა, გონი მოიკრიფა, გული გაიკაჟა და წერაყინი მოუღერა, მაგრამ ირემმა ისკუპა და იერიში მიიტანა, მაშინ კი იკადრა ვახტანგმა და მოცოცხა, ვანემ თვალი შეასწრო, წინ გავარდა.

– ალიოშა, რა ამბავში ხარ! – შეუტია. ირემმა თავი ჯერ მაღლა ასწია, შემდეგ მძლავრად დაიბერტყა და ფეხები დააბაკუნა. ვანემ ჯიბიდან პურის ნატეხი ამოიღო და გაუწოდა. «ალიოშა» მიუახლოვდა, ლუკმა გამოართვა. სხვები შორიდან უმზერდნენ ამ უცნაურ შეხვედრას და დიალოგს.

– აბა, გეყოფა, გასწი აქედან...

დაჰკრა თავზე ხელი ვანემ და ირემიც გადადგა გზიდან, გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და შემობრუნდა. ამაყად აწეული თავით გამოსცქეროდა მგზავრებს: «ვინა ხართ, საიდან ხართო?» – თითქოს ეკითხებოდა.

– როგორ ნაცნობივით ელაპარაკე!

– ნაცნობია და იმიტომ. ჩვენებურმა კაცმა გაზარდა, პატარა იყო, ყველას ეხუტებოდა, გაიზარდა და ეჭიდავებოდა დიდსა და პატარას, ამოიყვანეს აქ და გვთხოვეს, თქვენ მოუარეთო. ჩვენც აქ გავუშვით, დადის ასე ცალად, ყვირილობის დროს კი ყველაზე დიდი ნოტო მაგისია, თუ კაცი შეხვდა, უეჭველად «გამოელაპარაკება», თუ არა მიაწოდეთ რა, გაჯავრდება და შეიძლება, გერჩოლოთ კიდევ.

ირემი კი იდგა ყელმოდერებული, შავი თვალები მიენათებინა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებოდა. მართლაც, სილამაზით მას ვერც ერთი გარეული ნადირი ვერ შეედრება. ჯიხვიც ლამაზია, ნიამორიც, მაგრამ ირმის კეთილშობილება აკლიათ.

ირემი კინალამ ამოვწყვიტეთ ისე, როგორც დომბა, მაგრამ მივუსწართ და ბორჯომის ხეობის დიდი ნაწილი ნაკრძალად გამოცხადდა. მასზე ნადირობა აიკრძალა და ირემი მომრავლდა. გვხვდება ალაზანზე, განსაკუთრებით ბევრი – ლაგოდების ნაკრძალში, არაგვზე, იორზე, ქსანზე, ბორჯომის ხეობაში ხომ ბევრია და ბევრი. მაგალითად, ბორჯომის ნაკრძალში 1934 წ. 78 ირემი იყო, 1943 წ. – 1400 სული, ლაგოდების ნაკრძალში 1938 წელს აღრიცხული იყო 20 ირემი, 1944 წ. – უკვე 91.

ამ აღრიცხვას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა განსვენებულმა ზაქარია ექვთიმისვილიმა. ახლა ამ საქმეს უკვე სხვები აგრძელებენ – ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ბორჯომის ნაკრძალს აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთისაკენ მიქცეული ფერდობები უჭირავს, მისი ჩრდილო საზღვარია ლომისის ქედის ზურგი, სამხრეთით – მტკვარი, დასავლეთით – ქვაბისხევი, აღმოსავლეთით – რველი. მისი ფართობი 13300 ჰექტარია, აქედან ტყით დაფარულია 7278 ჰექტარზე მეტი. დანარჩენი მთისა და ტყის მდელოებია, აგრეთვე სოფლები.



ნაკრძალის ტერიტორია ფრიად რთულია, აქაურ მათა აგებულებაში მერგელებიც იღებენ მონაწილეობას და ამიტომ ფერდოს დაქანება ხშირად 80 გრადუსს უდრის; სერის ზურგები ბევრგან ბალახითაა დაფარული და ირმის კარგი სამოვარია. ირმების რაოდენობამ ნაკრძალში ორი ათასს გადააჭარბა; დაარღვიეს საზღვარი და ლომისის მთის სერებით გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში, ძირულას ხეობაში. გავიდნენ მტკვარს გაღმაც და გუჯარეთისწყლის ხეობით აუყვნენ ზევით, აქედან კი გვირგვინას ქედით ძამას ხეობაზე გავლენ, სადაც ისინი უკანასკნელ ხანში უნახავთ კიდევ.

– ხომ არ მოიწყინეთ?

– არა, რას ამბობ!

– მაშ ერთი კიდევ ჩვენში ირემი ამჟამად ორი ათასზე მეტია; ზოოლოგები ამბობენ, ბევრი დაბეზრეკდაო. ეს კი იმას ნიშნავს, მათი ჩამომავლობა დასუსტდება. ამერიკის ნაკრძალებში მგელი მთლიანად მოსპეს. ოციოდე წლის შემდეგ შეამჩნიეს, რომ ირმის რემა დაჩიავდა. სხვა ქვეყნებში შეიძინეს მგლები და თავის ნაკრძალში გაუშვეს; გაირკვა, რომ ირმის რემა გამოცოცხლდა, მეტი ხალისი დაეტყო. მაშასადამე, პირწმინდად მოსპობა რომელიმე ცხოველისა, გინდ იგი «მავნებელი» იყოს, არ იქნება. ერთგვარი წონასწორობაა საჭირო.

– აქ მგელი შემოსაყვანია?

– არა, აქ მგელიც ბევრია და ტურაც.

– ტურამ თქვა, სადაც მგელი იარება, საზრდო არ დამაკლდებაო.

– სადმე გინახავთ მკვდარი ფრინველი ან ცხოველი? მას მყისვე ანადგურებს ტურა, მელია. მაშასადამე, ისინი თავისებური სანიტრებია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფართოდ მოამრავლო. იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რაც საჭიროა.

– ვიაროთ, ვიაროთ და ქედიც გამოჩნდება, – თქვა ვანემ და ჩქარი ნაბიჯით გაჰკრეს. ნახევარი კილომეტრი არც ჰქონდათ გავლილი, რომ ვანე შედგა. ტუჩზე ხელი მიიღო – ჩუმადო. გადასწია ძახველის ტოტი და თანამგზავრებს მდელიოზე მობალახე ირმები დაანახვა. ერთი თავაწეული იდგა და მათკენ იმზირებოდა, თან თავს აქნევდა, მალე დაწყნარდა და დახარა თავი, იქვე რამდენიმე ნუკრი კუნტრუმობდა, ხან ბალახს დასწვდებოდნენ, ხან დედას მიუხტებოდნენ, შეჰყოფდნენ თავს ჯიქნისკენ და მიუგერისებდნენ. ხარირემმა კვლავ ასწია თავი, მერე ისე დაიქნია, თითქოს დაიბერტყაო, წინა ფეხები ააბაკუნა და ვანემაც გადადგა ნაბიჯი. რემამ, თითქოს ყველა ერთი არსებააო, გაქუსლა შავი ტყისაკენ. ისე მირბოდნენ, თითქოს ისარი გავარდაო.

– კიდევ ვნახავთ ასეთს, განა? – შეეკითხა ვანეს ლელა.

– ვნახავთ, შვილო, ვნახავთ! – დაამშვიდა ვანემ.

– ძალიან კარგები იყვნენ ნუკრები.

ბილიკი ბანისხევის წყალს მისდევდა და მას მიჰყვნენ. მხარმარჯვნივ მოიტოვეს ჭინჭარაულის ხევი. ბილიკი მალე ქედის ზურგზე ავიდა, აქ ტყე შეთხელდა, ადგილი დაუთმო ნატყევარ მდელიოებს და ცოტა ხნის შემდეგ ამ მხარის მთების მესვეურის, ლომის მთის (2187 მეტრი სიმაღლისაა), წვერზე გავიდნენ. ამოისუნთქეს და მიიხედ-მოიხედეს. ჩრდილოეთით გადაიხედეს და მოწონების ხმა აღმოხდათ – მათ წინ ჩხერიმელას ხეობა გადაშლილიყო ერთმანეთზე გადაბმული სოფლებით. აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე და ლიხის ქედის სამხრეთის ფერდობზე, მარჯვნივ, შეფენილიყო მრავალი ლამაზი სოფელი: ზვარე, ჩრდილი, დეისი, ნუნისი, მოლითი, ნებოძირი, ჭარტალი<sup>176</sup>, ბაბი, ბეჟანთუბანი, ვახანი, ზედუბანი, სერბაისი, მარცისი, ვანი<sup>177</sup>, საღანძილე, სხლითი, ღორემა, გოლაანთუბანი, წივა, გუდაათუბანი, ამ ხეობაშივეა უბისი თავის შესანიშნავი ტაძრით და განუმეორებელი ფრესკებით, ფონა. ბევრ სოფელს მწვანით შემოსილი გორაკი და მთა ფარავდა და ვერ ხედავდნენ.

აჭარა-იმერეთის ქედიდან ჩხერიმელას ერთოდა ნაკადულები: აბანოს ღელე სოფელ გუდაანთუბანთან, ზვარულა – სოფელ ნაბოძირთან, ვახანი, ანუ ვახანისწყალი – ფრიად გაშლილი სოფელ ქვებთან; შავი წყალი – მარელისის ქვემოთ, მდინარე ლეღვანი კი სოფელ ლეღვანთან. ლიხის ქედიდანაც მრავალი მდინარე ჩამორბოდა: ბლიხევი, ჭარტლისწყალი და სხვები.

გიორგიმ ერთ თავისებურებაზეც მიუთითა თანამგზავრებს. ლომის მთის ფერდობზე სახლები ჩანდა: მანდ არ ცხოვრობენ, მაგრამ საზაფხულოდ საქონელი ამოჰყავთო.

სამხრეთისაკენაც გაიხედეს. მათ წინ გადაჭიმული იყო თრიალეთი, მრავალი ხეობითა და ხევით დასერილი.

– სოჭიანის თავზე გავიდეთ და იქიდან დანგრეული ბოსლების ღელიდან მასხარაშვილის ღელით ქვაბისხევში ჩავალთ. მხოლოდ ძალიან დაქანებული ფერდო კია.

– ეგ არაფერი, შევძლებთ, – დაამედეხა ბიჭებმა.

ბორჯომის ხეობა და, განსაკუთრებით, ეს ნაწილი, უშუალოდ ეკვრის დასავლეთ საქართველოს და ამიტომ მისი გავლენა აქ დიდია, კლიმატი შედარებით თანაბარია, საშუალო წლიური ტემპერატურა 8-9<sup>0</sup>, აგვისტოს კი +19, 5<sup>0</sup>.

ნალექები ცხრას მილიმეტრს უდრის, ღია ადგილებზე თოვლის აღება იწყება მარტის ბოლოს, დეკემბერში კი, სადაც თოვლი დაგროვილია, მასამდე გრძელდება.

ლომისის მთის წვერიდან გაჰყვინენ ერთ სერს.

ქედიდან კარგად ჩანდა ქვაბისხევისა და შავიწყლისხევის ხეობები.

ერეკლეს არ გამორჩა და იკითხა:

– ხეობაში ბევრი გამხმარი ხე ჩანს...

ეკ, ჩემო ერეკლე, ეგაა ჩვენი დარდი და ვერა ვუშველეთ რა. ჭია შემოესია, ლაფნისჭამიააო...

– მერე და ვერ უშველეთ რა?

– ჯერ კი ხმება და... ამერიკიდანაც ჩამოიყვანეს ამ საქმის მცოდნენი...

ქედის დასავლეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე გამხმარი ნაძვი იდგა. ყველამ ჩაირბინა. ხის ტანი დაცხრილული იყო პატარ-პატარა ნასვრეტებით. ესენი იყვნენ ლაფნისჭამიას ხვრელები. ეტყობა მოინარიკლეს ეს ნაძვი, გამოფრინდნენ და წავიდნენ, ...

აი, წინდაუხედაობამ გვიყო ყველაფერი. აქ ახლო ჩითახევეში მტკვარზე ელექტროსადგური ავაგეთ. ხეტყე ციმბირიდან შემოგვქონდა. მთავრობის მიერ დადგენილია, რომ ხე გაქერქილი უნდა იყოს, თუ საქართველოში მაინც გაუქერქავი შემოიტანეს, სანამ ტყიან მხარეში შეიტანენ, უნდა გაიქერქოს ძალიან გულდასმით, ქერქი კი მაშინვე უნდა დაიწვას. მაგრამ, ხომ იცი, ზოგი და ზოგი «გააფრინე» კაცის ამბავი, ერთხელ რომ არ გავექერქოთ, რა იქნებაო, და აი, ეს ლაფნისჭამია ჯერ ნაძვს ეძგერა, სხვა ხეზე იშვიათია; ფიჭვზე მაინც შეგვხვდა, ჯერ სოჭზე არ არის, მაგრამ შეიძლება მათაც მოედოს...

– მერე რას ვაკეთებთ?

– ჯერ ყველა დაავადებულს ვჭრით, ვქერქავთ და ქერქს ვწვავთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სწრაფად მრავლდება. თუ ციმბირში წელიწადში ერთი გენერაცია აქვს, აქ – სამი. ერთი მწერის ნაშიერი წლის ბოლოსთვის მრავალი ათასია.

აქ უკვე გიორგიმ განაგრძო: ეს მწერი პირველად შეამჩნიეს 1956 წელს. მალე მთავრობა ჩაერია, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში შეიქმნა ლაფნისჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება; ამ განყოფილებაში დაარსდა რამდენიმე ლაბორატორია: მწერის ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შემსწავლელი, ქიმიური ნივთიერებებით მებრძოლი და ატრაქტანტებისა და ქემოსტერილიანტებისა.

– უჰ, ეგ რაღა არის? პირველად მესმის! – გაიკვირვეს ვახტანგმა და ერეკლემ.

ატრაქტანტი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც მწერს სუნით იტყუებს, შიგ შხამიცაა. მწერი ეტანება და შიგ იხრჩობა. ქემოსტერილიანტი კი ისეთი ნივთიერებაა, რომელიც მწერს გამრავლების უნარს უკარგავს.

ლაბორატორია წაღვერშია და იქაც ბევრს გავიგებთ.

– არა გვიანდება? – იკითხა ლელამ.

რას იზამ, უბედურება სამხე ურმით შედის ოჯახში და კოვზის პირით იღვევო.

ლაფნისჭამიას ამბავმა ძალიან დააღონა ახალგაზრდები, საყვედურობდნენ, მაგრამ ვის? თვითონაც ვერ გიპასუხებდნენ.

აბრუნდნენ ისევ სერზე და ჩამოსხდნენ მდელოზე, ამოალაგეს ყველი, პური, მწვანილი, გვიმ თავის გულიდან ერთი წინანდალიც ამოაძვრინა და გიორგის გადააწოდა.

– ეს მე და ვანეს.

– ვითომ და რათაო?

– ადათის მიხედვით, უფროსმა ღვინო სვასო, უმცროსმა სუნი ჰკრასო.

-თქვენს ანდაზებს რომ ყური ვუგდოთ, მშვიდები დავრჩებით, – უსაყვედურა ვახტანგმა.

ღვინო მართლა ძალიან ესიამოვნა ვანეს.

– სწორედ ჩემზეა ნათქვამი: ვისაც ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო; ვინ იფიქრებდა, რომ ვანე ზორეთის ქედზე «წინანდალს» დალევდა? იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ, საითაც წახვიდ-წამოხვიდეთ, ყველგან გამარჯვებული გევლოთ. ჯერ ყანწიც კი არ გადმოეწოდებინა გიორგისათვის, რომ თქარათქური მოესმათ, ქედ-ქედ ირმის რემა მოკუნტრუშობდა, შედგნენ, შეფრთხნენ და ტყეს მისცეს თავი...

– ეგენი ნაკრძალისა არ არიან, ვერ გავიგე.

– აი, წაიკითხე 32-ე გვერდზე, – და გადააწოდა პატარა წიგნაკი გიორგიმ, რომელიც თავისი ჩანთიდან ამოიღო.

ეს იყო ზაქარია ექვთიმიშვილის წიგნაკი ბორჯომის ნაკრძალის ირმებზე.

ამ წიგნაკიდან გაიგეს, რომ ყვირილობის დროს ხარირემთან იმყოფება 2-3 ფურირემი. ხეობაში ითვლიან, საიდან მოისმის ყვირილი. ვთქვათ, ექვსი ადგილიდან მოისმა ყვირილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ფურირემი



ყოფილა 15 (საშუალოდ ხომ 2, 5 იყო), ხარირემი – კიდევ ექვსი, ე.ი. იმ ხეობაში, სადაც უკვირდებოდნენ, 21 ირემი ყოფილა.

წაკითხვით წაკითხეს, მაგრამ მეთოდი ცოტა ძნელი ეჩვენათ და ამაზე ხმა აღარ ამოუღიათ.

მალე ფიჭვიც გაჩნდა, ფხიანი კლდის ზურგიც და მცენარეულობას სხვა იერი მიეცა. რამდენადაც ნესტის იერი დაჰკრავდა ბანისხევის მცენარეულობას, იმდენად მშრალი იერი ჰქონდა ქვაბისხევის.

ერთი საათის სიარულის შემდეგ ჩამოათავეს ფერდო და ჩავიდნენ ქვაბისხევის წყლის პირას. შედგნენ, ხელები წყალში გაალაღლადეს, პირზე წყალი შეისხეს და თავისუფლად ამოისუნთქეს...

არც აღმართზე სიარულია ადვილი და არც დაღმართზე. სავარცხელა მთის ძირას მოეკალათათ მინდიასა და გოგიას, ნაკრძალის რამდენიმე მუშაკიც იყო, ეს სუფრასაც ეტყობოდა, გიორგიმ კოპი შეიკრა, მაგრამ ვერ გაექცეოდა.

საღამოზე ისევ კარში დარჩენა არჩიეს, მით უმეტეს, სამი კარავი უკვე გამართული იყო.

ვანე ნაკრძალის მუშაკთა მანქანას გაჰყვა.

დილით ბორჯომი მოინახულეს, ეს საქვეყნოდ ცნობილი კურორტი. თითქმის მთელი ბორჯომის ხეობა, თვით ბორჯომი, ლიკანი, პატარა ცემი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი, საკავშირო მნიშვნელობის კურორტებია. თუ რევოლუციამდე ბორჯომის წყაროების დებიტი 90.000 ლიტრს არ აღემატებოდა დღე-ღამეში, დღეს უკვე ნახევარ მილიონ ლიტრზე მეტია. თვით ბორჯომი 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ამიტომ გულით ავადმყოფნიც ცუდად არ გრძნობენ აქ თავს.

მთელი დღე მოანდომეს კურორტის დათვალიერებასა და საცდელი სადგურების შესწავლას. ბორჯომი მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან გახდა კურორტი. ძველად ეს ადგილი «ფაფას» სახელწოდებით იყო ცნობილი, ახლა ბორჯომის პირზე, დასავლეთით, მტკვრის ნაპირას რომ პატარა სოფელია, იმასლა შერჩა. სახელწოდება «ბორჯომი» ცნობილი იყო მესხეთში სოფელ ანდრიაწმინდასა და ქისათიბს შორის, შემდეგ კი ამ მინერალური წყლის კურორტს დაერქვა. დღეს ეს კურორტი საყოველთაოდ ცნობილი და სახელმძღვანელოა არა მარტო, როგორც კლიმატური კურორტი (სიმაღლე 900-1000 მ ზღვის დონიდან, ფიჭვნარი ტყეები), არამედ, როგორც ბალნეოლოგიური. მის წყაროებს მრავალი სენის განკურნება შეუძლია. მის წყალს, ბოთლებში ჩამოსხმულს, მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, მსოფლიოს მრავალ ქალაქში შეხვდებით.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიაში, წალვერში, ბევრი რამ ახალი გაიგეს.

ლაფნისჭამიას თავის მტრებიც ჰყავს, ჩვენშიც გამოინახა მისი მტერი, რომელსაც აქ ამრავლებენ და შემდეგ დაავადებულ ხეზე სხამენ, მაგრამ მასზე უკეთესია ის მწერი, რომელიც ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოიყვანეს – რიზოფაგუსი. ეს მწერი ლაფნისჭამიას მატლების მეტს სხვას არასა ჭამს. ამის გამო, ჯერჯერობით მისი გამრავლება ძნელდება, იმიტომ, რომ მის გვერდით ლაფნისჭამიაც უნდა ამრავლო, რომ რიზოფაგუსს საკვები ჰქონდეს. სადგურის თანამშრომლები ბევრს შრომობენ იმისათვის, რომ რიზოფაგუსიც გაამრავლონ და მათი საკვებიც – ლაფნისჭამიაც. ბოლო დროს თითქოს ეს საქმეც გაუმჯობესდა. რიზოფაგუსს ვსხამთ დაავადებულ ხეზე და ესენიც ლაფნისჭამიას სინსილას წყვეტენ.

– გავიდეთ, ნაკვეთზე ვნახოთ!

ტანოვანი ნაძვის ქერქი დანით ჩასერა და გადასწია, მართლაც, კანქვეშ «ბუდეში» მოქცეულ მატლებს რიზოფაგუსი ჩაჰტრენოდა და «ილუკმებოდა». დიდხანს სინჯავდნენ.

– აი, აქაც დიდი ბუდეა, – ლელა ემახდა ვახტანგს.

ლაბორატორიის თანამშრომელი უფრო დაინტერესდა ამით და ვახტანგზე ადრე მივიდა.

– აი, ყმაწვილებო, ყველაზე საინტერესო რა არის! ამ ხეზე რიზოფაგუსი არ დაგვისვამს, რამდენიმე ხეზე წინა დღეებშიც შევნიშნეთ, ეს ძალიან კარგი მოვლენაა, ეს იმას ნიშნავს, რომ რიზოფაგუსი ბუნებაში ჩვენი დაუხმარებლად ვითარდება, ღმერთმა ქნას.

– მაშ, რა გგონია? – გაეხმაურა ლელა ვახტანგს.

– სანამ რიზოფაგუსი გამრავლდება, მანამდე ტყეც მოისპობა! – ჩაურთო ერეკლემ.

– თუ მარტო მაგას შევეყრეთ, შეიძლება მართალი იყოთ, მაგრამ ქიმიურ მეთოდს დიდი ყურადღება ექცევა, ბევრი ქიმიური ნივთიერება გამოიყენება, მაგრამ არ დაგვაკმაყოფილა, ზოგი ხესაც ვნებდა, ზოგი ღრმად ვერ ჩადიოდა. აქ ჩვენი ქიმიკოსები დატრიალდნენ, შექმნეს ისეთი ნივთიერება, რომელიც ხეს არ ვნებს, კანში ღრმად ჩადის და ლაფნისჭამიას მატლსაც ხოცავს, ხოჭოსაც და ჭუპრსაც. საქმე ახლა იმაშია, რომ ეს წამალი ხეს კარგად შეასხურონ და წამალიც საკმარისად გვექონდეს.

– მერე, ვაკეთებთ ასე?

– ჯერ ნაკლი გვაქვს, მართალია, ლაფნისჭამია ხეზე უმთავრესად 5-6 მეტრის სიმაღლეზე იზუდება, მაგრამ წვეროკინასკენაც მიდის და ასეთი შორსმტყორცნი საფრქვევები ჯერ არა გვაქვს. გვპირდებიან, რომ მალე

დაამზადებენ. უნდა შეიწამლოს ყველა ხე, თანაც მთლიანად. ატრაქტანტები და ქემოსტერილიანტები ჯერ არა გვაქვს, მაგრამ ესეც გვექნება, – თქვა იმედიანად მათმა მოსაუბრემ.

ნაძვის დიდი ლაფანჭამია უკვე მთელ საქართველოს მოედო. უბედურება იმაშია, რომ დღესდღეობით ვერ ვიცავთ ყველა წესს, გაუქერქავი ხე კიდევ შეგვაქვს ნაძვის გავრცელების არეებში; იქ კი, სადაც პირველად გაჩნდა: ბორჯომის, ბაკურიანის, ადიგენის და ხაშურის სატყეოებში, სადაც ხეები იწამლებოდა, მავნებელი შემცირდა და, თუ კარგად გაგრძელდა წამლობა, შეიძლება მალე მოვსპოთ კიდევ.

– წავიდეთ, სატყეო ინსტიტუტის ახალდაბის სადგურიც ვნახოთ.

– ეს – გამოვლაზე. ისინი იმ ადგილებში მუშაობენ, სადაც ლაფანჭამიამ ტყე მოსპო, ადგენენ ტყის აღდგენის მეთოდებს.

ბიჭები ცოტა გამხიარულდნენ.

– მაშ, ისევ გვექნება ბორჯომის ხეობა?

– გვექნება, რასაკვირველია, გვექნება!

– თქვენ პირ შაქარი.

– მაშ, გაუმარჯოს გადარჩენილ ბორჯომის ხეობას!

**კესანე, ჩემო კესანე!**

*«ნაზი იისა კუბო შემიკრან,*

*გულს დამაყარონ ტურფა კესანე,*

*არ დაივიწყო, თუ გწამს უფალი.*

*არ დაივიწყო, შენი კვნესამე».*

**ვაჟა**

მანც დაღონებული და დაფიქრებული გამოვიდნენ სადგურიდან, ყველაზე მეტს ლელა წუხდა : ნუთუ არა ეშველება რა?

– ხომ გითხრეს, რომ ზოგ რამეს მიაგნეს.

– სანამდე პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გაამძვრესო, ხომ?...

– რას იზამ, სენი შინ პატარა ხვრელიდან შემოგვეპარება და ღია კარიდან ძლივს გამოეტყუაო.

– ცოტა ნელა ირჯებიან, «დავაკვირდებით», «გავიგებთ»...-გამოაჯავრა ლელამ ვილაცას.

– მედღეხვალე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო.

– კაცო! თვითონ ოც კაცზე მეტნი არიან, მუშა კი ხუთი თუ ექვსი ჰყავთ.

– არტავაზას ხუთი გლეხი ოცდახუთი აზნაურიაო.

გიორგი ხედავდა, რომ ახალგაზრდები ღელავდნენ და ამის გამო ცოტას სცოდავდნენ კიდევ, მაგრამ თან ვერ დაუშალა, სადღაც მართალნი იყვნენ, ზოგმა ხელი ჩაიქნია, ბევრი ილაპარაკეს: ჭირს ნუ დაუწვები, თორემ უფრო დაგაწვებაო...

– აბა, ერთი გახედე, გახედე..

და ცრემლმორეული დიდთვალება ლელა იშვერდა ხელს სოფელ დაბის თავზე მდგომი გამხმარი ნაძვებისკენ.

– აბა, ვის გადაუვლია დიდი მთა ტირილითა და ვიშითა?

– კარგი ერთი, შენც გააწყალე გული მაგ შენი ანდაზებითა, პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?

– აგერ ჩვენი გვირგვინიც! – და ვახტანგმა ხელი მარცხნივ გაიშვირა, უმთავრესად იმისათვის, რომ და-ძმას შორის კამათი შეეწყვიტა.

გუჯარეთისწყლის ხეობაზეა ტიმოთესუბნის აგურით ნაშენი ტაძარი, წალვერიდან 4 კილომეტრზეა სათავისაკენ. იგი მეცამეტე საუკუნეშია აგებული და ყინწვისთან ერთად შესანიშნავია იმით, რომ აგურითაა ნაგები (კვადრატული თხელი აგური), გამოყენებულია ფირუზისფერი ქაშანურიც. ტაძარში შენახულია მეცამეტე საუკუნის ძალიან კარგი ფრესკები.

წალვერიდან უცბად მაღლა აიწიეს და მალე შევიდნენ ნამენარში, რომ იტყვიან, ანძის ტყეაო, სწორედ ისეთი იყო, ცად აწვდილი ნაძვები გარინდებულიყვნენ, თითქოს რაღაცას ელიანო...

– ნუთუ ესენიც უნდა დაილუპონ? – აღმოხდა ლელას.

– თუ იმ ახალი წამლებით კარგად შეწამლეს, გადარჩებიან.

– პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პურით მეტი მიეციო. ამ საქმეში შემთხვევითი ხალხი არ ივარგებს, უამისოდ, იცით, რა იქნება? დედაბერი ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა და არც ბარიო.

– მართალია, აქ უნდა იყოს ისეთი ჯგუფი, ვისაც ესმის და უყვარს საქმე.

მანქანა კი მიიწევდა ბაკურიანისაკენ და მალე გამოჩნდა ცხრაწყარო – თრიალეთის მთების ამ ნაწილის მედროზე.

ბაკურიანის პლატო, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1600-1750 მეტრია, ორი მხრიდან შემოზღუდულია მთებით. სამხრეთით ჯავახეთის პლატოსაგან აშორებს თრიალეთის მთავარი ქედი ისეთი მწვერვალებით, როგორცაა საბატკენი (2400 მ), კენჭიყარა (2300მ), კობტა (2150მ), რომელიც თითქოს შიგ ბაკურიანში მდებარეობს მის დასამშვენებლად, საყველოს მთა (2800მ), ცხრაწყარო (2680მ). მედროშეობა ამ მთამ სიმაღლის გამო კი არ მიიღო, არამედ სიკობტავისა და მოხდენილობის გამო; შავი მთა (2700მ), სანისლო (2850მ), კოდიანი (2500მ).

ყველა ეს მთა ვულკანურია და მთელი მხარე აგებულია პალეოცენისა და ეოცენის ვულკანური ქანებისაგან, მაგალითად, ბორჯომულასა და გუჯარეთის წყლებს შორის პლატო ცხრაწყაროს ამოფრქვეულია, რომელმაც მტკვრამდე უწია. მთავარი ქანებია ანდეზიტბაზალტები. ციხისჯვრის ანდეზიტები საუკეთესოა საბჭოთა კავშირში და მას აქ ჭრიან კიდევ იმ ქარხნებში, სადაც სიმჟავეებს ამზადებენ, მიღები თუ სხვა ჭურჭელი მთლიანად ანდეზიტისაა. გახსოვთ? მეორე საბადო ანდეზიტისა ხევშია. თერგის ხეობაზე ანდეზიტს სიმჟავე ვერაფერს აკლებს.

– საუკეთესო კია? ისე ხომ არ არის, ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო. ჩვენი ანდეზიტიც ცალთვალა ხომ არ არის? – იკითხა ვახტანგმა.

– არა, მართლა კარგია და «ორთვალიცაა».

– ეგ სხვაა, თორემ «ყვავს თავისი ბახალაო», რაკი ჩვენი, ყოველთვის კარგიაო... ცოტა ტრახახი დაგვჩემდა ამ ბოლო დროს.

ბაკურიანი მართლა კარგია. ხომ ხედავთ, მთებითაა შემოზღუდული, მთები ტყიანია, 2500 მეტრზე ზევით მთამაღლის მდელოებია, ტყეში ჭარბობს ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და წიფელი. ამიტომ ზაფხულში შესანიშნავი სააგარაკოა, ირგვლივ ფიჭვის ფისისა და მთის ყვავილის სუნი დგას.

დღეები მზიანი იცის, მთის მზე ელვარებს, ულტრაიისფერი სხივებით გაჭიკნული, ამიტომაც, რომ ყველა მოაგარაკე გამავტუხებულია. განსაკუთრებით ბავშვებს რგებს. აგერ, მდელოებზე როგორ ფუსფუსებენ.

წელიწადში დანალექი 800 მილიმეტრამდეა, ეს მთისათვის არცთუ ძალიან ბევრია. წვიმიანია მაისი და ივნისი, ამ დროს ნალექი 200-220 მილიმეტრია. მშრალი დარები იცის ივლისში, აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში. ამ დროს ნალექთა რაოდენობა 200-250 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 4, 2<sup>0</sup>-ია, გორის ვაკეზე+11<sup>0</sup>-ია. დასავლეთ საქართველოში, ზღვის სანაპიროზე+14<sup>0</sup>.

– ამბობენ, ზამთარი უკეთესიაო.

– მართალი უთქვამთ. ზამთარი ძალიან კარგი იცის, გრძელი, თოვლიანი. თოვლი ნოემბრიდან აპრილამდე დევს, 140-160 დღე. სწორედ ამიტომაც, რომ ცდილობენ, ზამთრის კურორტად გადააქციონ.

სამხრეთით მდებარე ჯავახეთის მშრალი და კონტინენტური კლიმატი, ჩრდილოეთით კი დასავლეთ საქართველოს თბილი და ტენიანი ჰავა ახდენს გავლენას. ამიტომაც მცენარეული საფარითაც ასე მდიდარი ბაკურიანის მხარე. მაგალითად, აქ ძალიან კარგადაა გამოსახული მაღალი ბალახეულობა, ტიპიური მცენარეულობა დასავლეთ საქართველოს მთამაღლისა, მაგრამ მას ხვალაც ვნახავთ.

ცხრაწყაროს (2680მ) და ბაკურიანის ჰავა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცხრაწყაროს ზეკარის მეტეოსადგურის (2400მ) დაკვირვებით, დანალექი 1200მმ-ია. ამ სიმაღლეზე დანალექით უხვია მაისი, ივნისი, ივლისი.

ტყეში ჭარბობენ მთის ყომრალი ტყის ნიადაგები, მთის მდელოებზე კი ჩვეულებრივია მთის მდელოს ტორფიან-კორდიანი ნიადაგები, ზოგან მთის ფხებზე შეიძლება აღინიშნოს მთის მდელოს ხირხატიანი ნიადაგებიც.

– გიორგი ბატონო, მობრძანდით ბაღში, სახლის აივნიდან უფრო კარგად ჩანს მთელი არე...

– ოჰ, სანდრო ბატონო, თქვენა?... – აი, ესეც, ამ ბაღის სულის ჩამბერავი, ჩვენი სანდრო, ესენი კი ჩემი მრევლია...

– მობრძანდით, მობრძანდით! – კეთილად იღიმოდა სანდრო,

სანდროც ჩაუჯდათ მანქანაში და ისიც ნელი ღულუნით შეუდგა ბაღის ბილიკებს.

ირგვლივ გაზაფხული იყო. ელვარებდა მზე. მზის სხივებში ბანაობდა სულიერი და უსულო, ქვა რა არის და ისიც კი ისე ელვარებდა, გაგიხარდებოდა, ტანაყრილი ფიჭვები და ნაძვები, ეს შავაბჯრიანი ვაჟკაცები, პატარძლებივით იღიმებოდნენ. ვერხვი და არყი მოჭარბებული სიამოვნებისაგან აცახცახებდნენ და აელვარებდნენ ყუნწგრძელა ფოთლებს, ბალახი რაღაც უცნაურ ფერხულში იყო ჩაბმული, ფუტკარი და პეპელა, მღილი და მუმლი თავს დასტრიალებდა, გზის პირას მოლივლივებდა წყაროს ნაკადული და ამ დილის სიხარული მიჰქონდა გუჯარეთისწყლის მჩქეფარე შენაკადისთვის, რათა შემდეგ მთელი ქვეყნისათვის მოედო.

– კარგია, არა?

– რა არის კარგი? – შეეკითხა ლელა ვახტანგს.

– რა და ცოცხლები რომ ვართ და ყველაფერს ამას ვხედავთ...

– მობრძანდით შინ, აივანზე...

აივნიდან კარგად ჩანდა შეკრული ტყით დაფარული გარემო.

ტყე ნაძვნარ-სოჭნარი და ფიჭვნარია, ძლიერია წიფლნარიც. სამხრეთის ფერდობზე, რასაკვირველია, ფიჭვნარი ჭარბობს, გეგონებთ, მაკეტი გაუკეთებიათო. იქვე, ბაკურიანში, ერთ გორაკზე ჩრდილოეთისაკენ მიქცეული ფერდო წიფლითაა დაფარული, სამხრეთისა – ფიჭვით. ამ ტყეებს ერევა ნეკერჩხალი, რცხილა, ბოყვი, მაღალმთის მუხა, მთრთოლავი ვერხვი, თელადუმა, არყი, უხრაგი, დათვის თხილი, მდგნალი, ცაცხვი და სხვა. ბუჩქნარებიდან, განსაკუთრებით, ტყის პირებზე, ბორჯომიდან ბაკურიანამდე, მორცხვი პატარძალივით თავდახრილი უცვეთელას ბუჩქები ეგებებიან კაცს. ფიჭვნარებში, თუნდაც ცხრაწყაროსკენ განსაკუთრებით ბევრია თხილი, ბევრგან მაყელის რაყებია, წიფლნარში და ნაძვნარში კი ხშირია წყავი, შქერი, ბამგი. გარდა ამისა, ჩვეულებრივია კუნელი, დიდგულა კიდობანა, ჭანჭყატა, ჯახველი და სხვა მრავალი. თვით ბადის ტერიტორიაზე რამდენიმე პანტა იდგა. ცხადია, ტყის სხვა ჯიშები აუჩეხიათ და პანტები დაუტოვებიათ, აქაურ ტყეში გვხვდება აგრეთვე მაქალო, ტყემალი, ბალამწარა, ზღმარტლი, ხუნწი.

– მთის ტყე ე. ი. ის ტყე, რომელიც სუბალპების მდელოებამდე, სამხრეთის ფერდობებზე ფიჭვიც აღწევს, აქვია ხშირად მთამაღალის მუხაც, ჩრდილოეთის ფერდობებზე არყნარები და მთამაღალის ბოყვნარებია, რომელშიც ხშირია ცირცელიც.

აღტაცება აღმოხდათ ახალგაზრდებს, როდესაც ცოცხალ კოლექციაში ჩამოვიდნენ.

ეს, მართლაც, რაღაცა ჯადოქრული ნაკვეთებია, სულ ერთ ჰექტარ მიწაზე 1600 სხვადასხვა მცენარეს მოუყრია თავი, მთელი კავკასიონის ათასფერი ყვავილი შეკრებილა. ალბათ, ფესტივალია ყვავილებისა და ერთმანეთს ეჯიბრებიან სიტურფე-სილამაზეში. ესაა ერთ-ერთი ულამაზესი ალპინარიუმი.

აი, რა უამბო მია სანდრომ:

– ეს ალპინარიუმი ოცდაჩვიდმეტ წელს (1937) შეიქმნა, მაშინ, როდესაც ძველ ალპინარიუმში განსაკუთრებული დანიშნულების სახლის აგება დაიწყო.

აქ ხელუხლებელი ადგილი მოგვცეს, 16 ჰექტარი – ტყით დაფარული, სამი ჰექტარი კი გაახობული იყო, მაგრამ გახრიოკებული.

ორი-სამი წელი სამზადისს, მასალის დაგროვებას, შემოღობვას მოჟუნდით, 1939 წელს დავიწყეთ გორაკების აგება და მცენარეების გადმოტანა. რასაკვირველია, მხედველობაში ვიღებდით მცენარის ბიოლოგიას, მის ეკოლოგიურ პირობებს და აქაც, ბაკურიანში, ვუქმნიდით იმავე პირობებს თუ არა, მსგავსს მაინც. ძალიან ძნელი სამუშაო იყო. მაგრამ გვეხმარებოდნენ, – აქ სანდრომ გიორგის და მინდიას გადახედა.

– მცენარეები ცოცხლად, თავისი მიწით, ჩამოგვქონდა და ისე ვრგავდით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ყოველ მცენარეს ხომ თავისი მიკრობები და მიკორიზები აქვს, რომელნიც შეიძლება ახალ ადგილზე არ დახვედროდა.

აი, ნაკვეთზე მაინც რა დახვდათ: 1000-ზე მეტი ბალახოვანი კავკასიური მცენარე, 75 ჩვეულებრივი ხე და ბუჩქი, უცხო ქვეყნების 259 ბალახოვანი და 70 ხემცენარე.

– ევროპული ნაძვი რომ ნახოთ, ძველი ბადის ღობის პირას დარგული, გაცოცხლებით, – განაგრძო საუბარი სანდრომ, – ევროპის ნაძვი და მათ გვერდით ჩვენი, აღმოსავლური, ნაძვი 1914 წელს დარგეს, დღეს ევროპული ნაძვები ჩვენებურზე სამჯერ თუ არა ორჯერ მაღლებია და მსხვილები. ახალ ადგილას ზოგი უცხო მცენარე უკეთესად იზრდება, ვიდრე ადგილობრივი. მაშასადამე, ასეთ თვისებათა გამომჟღავნება ბევრ სამეურნეო საკითხს გადაგვაწყვეტინებს. გარდა ამისა, დეკორაციული მებაღეობის, სამკურნალო მცენარეების სიებიც გამდიდრდება...

აი, მრგვალი წამალი. ეს კახეთის მცენარეა, ადრე გაზაფხულზე ყვავის. აქაურობას კარგად შეეგუა. ხალხურ მედიცინაში ჭლექის წამლად თვლიან. ძველად თბილისის შუა ბაზარში ირანელ ვაჭრებს ტომრებით ედგათ.

მეცხრამეტე საუკუნეში კახეთში ტყეში გასული ერთი გაუარაშვილი ყოფილა. როცა მოკლეს და ექიმებმა გაჭრეს, გაცოცხლებლი დარჩნენ თურმე. მის ფილტვებს მრავალი ნაკერი ჰქონდა. აშკარა იყო, ჭლექი ჰქონია და მორჩენილა, ჩაკვირვია. მის თანამეინახეებს დაუდასტურებიათ : მართალია, ჭლექი ჰქონდა, მაგრამ მრგვალ წამალს ჭამდაო, ან ხარშავდა და წვენსა სვამდაო...

– აგერ, კენკეშა, რამოდენა გაზრდილა!

– მართალია, ძალიან მაღალია, ერთი კი უნდა ითქვას, რომ მთამაღალიდან ჩამოტანილი მრავალი მცენარე აქ ცვალებადობს, ტანს იყრის, ზოგჯერ ვერც კი იცნობთ. აი, ეს კენკეშა თბილისში ძალიან ლამაზია, თითქმის ორი თვე ყვავის. მცენარეს კარგი გამოცდა უნდა, შინაგანი შესაძლებლობა მრავალი აქვს. მთაში კენკეშას ნორჩ ყლორტებს მხალად ხმარობენ, ან ხილად სჭამენ, როგორც დუცას და დიყს.

აგერ, რა მშვენივრად ყვავის გოდერძის ზეკარიდან ჩამოტანილი მიხაკი, პირთეთრას კი თავისი ვერცხლისფერი ფოთლებით მთელი კლდეები დაუფარავს. აი, მეორე პირთეთრა, მესამე, მეოთხე, როგორ დაამშვენებდნენ ეგენი კლდის ბალებს? მაგრამ ყველას მაინც შოვიცის პირთეთრა სჯობია, ნახე, რა ძლიერ დაბუჩქულა, – სიამოვნებით აჩვენებდა მია სანდრო ყოველ ცალკეულ მცენარეს. მასაც უხაროდა, რომ კარგი მსმენელები ჰყავდა.

– მჯობნის მჯობნი არ დაილევა.

– თავის ადგილას ყველა კარგია. ყველა მცენარე დეკორაციულია, თუ თავის დროზე შესაფერ ადგილს მიუსადაგებ.

ეს მინდია უთხრა და, ცოტა არ იყოს, ყველა ჩააფიქრა.

– აი, ფარსმანდუკებიც, დიდფოთოლა, ათასფოთოლა – ესენიც ისევე სამკურნალოა, როგორც ველის ფარსმანდუკი?

– რასაკვირველია, მაგრამ განა სილამაზე აკლიათ?

– დიდხანს ყვავიან, თაიგულადაც დიდხანს ინახება, მართალია, ამ ოქროკუდას ვარდისფერ ყვავილებს ვერ დაედარებიან, მაგრამ თავისზე უარესებს ხომ სჯობნიან? კარგია და ლამაზი შემოდგომურაც, მაგალითად, ალპური შემოდგომურა, ცისფერი, ღილივით გაკრული ყვავილებით, ქართული შემოდგომურა, წამოყვლელებული თავმომწონე მოცისფერო ყვავილებით, მართლაც რომ, ქვეყნის თვალაია. გვირილები? აი, წითელი გვირილა, მარტო სილამაზე ეყოფა, ნაზი, პირისფერი ყვავილები რომ ამშვენებს, გარდა ამისა, იგი «რწყილი კალიაა», მისი მცირე ფხვნილიც კი კლავს. უზარმაზარია სამითთა გვირილაც, მეტრ-ნახევარი გაზრდილა. მისი გადმოტანაც ღირს ბალებში. ჩვენში ოცამდე თავყვითელაა, თუნდაც ბრტყელი თავყვითელა, ლამაზი და ძლიერი მცენარეა, მაგრამ რა გამოვიდა? აქაოდა, სამკურნალო მცენარეაო (ძვირფას ნივთიერებას – პლატიფილინს – იძლევა), შეესივნენ ათასი ჯურის დამამზადებელნი და კინაღამ ძირიანად მოსპეს. «თვალს ვის გამოსთხრი და – ვინც გამზარდაო», «აქაოდა ხალხს ვარჩენ, ამიტომ უნდა მომსპონ?» – შეუძლია თქვას ამ მცენარემ, მართლაცდა სიკარგით რამდენი ძვირფასი მცენარე მოისპო, ან მოსპობის პირზეა. თუნდაც წაბლი, ურთხელი. პლატიფილინი სხვა თავყვითელებშიც არის, ზოგან ცოტაა, მაგრამ გამოიცადოს სხვაც. მცენარეთა სახეობათა ასეთი მოსპობა და განადგურება არ შეიძლება. ის მცენარენი, რომელთაც დამზადებით მოსპობა ელით, უნდა გავაშენოთ, კულტურაში შევიტანოთ, ესაა ბუნების დოვლათის საუკეთესო გამოყენება.

ერთი გორაკის ძირას ოქროქვეპლას მოკვალათა, მეორეგან – ასფურცელას, მესამე ადგილას ფოლიოს ლურჯი ყვავილები უქნევდნენ ხელს : ჩვენკენ წამოდითო – ათასნაირი ნემსიწვერა, სავარცხელა, ხმალა, ზამბახი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი და რანაირი.

დიდი მოწიწებითა და პატივისცემით უსმენდნენ მია სანდროს ახალგაზრდები. რამდენი შრომა, ცოდნა და სიყვარული იყო საჭირო, რომ ყველაფერი ეს ეხარებინა ხალხის გასახარებლად.

ამ დროს ნოდარიც მოვიდა, სანდროს დაულალავი თანაშემწე და მოსანგრე. ცხრაწყაროზე ყოფილიყო ფურისულას ჩამოსატანად. ზურგზე მოკიდებულ ჩანთაში ეწყო, ორი-სამი ფუთი მაინც იქნებოდა.

– რა აზიდვინებს ზურგით ამოდენა ბელტებს?

– საქმის სიყვარული, – უპასუხა ერეკლემ.

– დღეს ყველაფერს ვერ მოგიყვებით, – უთხრა მინდია, და გასწიეს შინისაკენ.

ისხდნენ ლამაზ აივანზე და ფიქრობდნენ ნახულსა და გაგონილზე.

– მაინც კარგი ხალხი მეტია ქვეყანაზე, – წაიდუდღუნა ერეკლემ.

– ეს როგორ?

– ერთი კარგი კაცი ხომ სჯობს ათ ცუდს?

– ეგრე თუ ვიარეთ, კარგი კაცი ასსაც სჯობიან! – მამას გაეცინა...

მეორე დღეს, ჯერ დამე იყო, როდესაც გოგიამ ავტომობილი ააღუღუნა.

სხვანიც მზად იყვნენ, ცხრაწყაროზე აპირებდნენ ასვლას, რათა ჯერ მზის ამოსვლა ენახათ და შემდეგ ცხრაწყაროს ფერდას დაჰყოლოდნენ ბაკურიანისაკენ. მინდია შინ დარჩა – კარგ სადილს გაგიმზადებთო.

სიბნელეში იარეს ცხრაწყაროს ტყიანი ფერდობი და ნარიჟრაჟევი არც კი იყო, როდესაც ზეკარზე ავიდნენ. აბგებში გაინაწილეს ცოტაოდენი საგზალი, სამუშაო მასალა, და იქვე შეუდგნენ ვიწრო ბილიკს. გიორგი რომ ნაცადი არ ყოფილიყო, შეიძლება ამ ბილიკის პოვნა გასჭირვებოდათ. მალე შეერივნენ დეკიანს და იქიდან უკვე ჭირკვალს აჰყვნენ, ძალიან დაკიდული ბილიკი იყო. ბინდ-ბუნდში ჩანდა ბაკურიანი, კოხტაგორა.

– კოხტას შეთქმულები აქ შეიკრიბნენ? – იკითხა ვახტანგმა.

არა, აი, რას წერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში: «ასპინძისხევის შესართავს ზევით მტკვარს მოერთვის სხვა ხევი, მისივე მთას გამომდინარე, ამ ორს ხევს შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი».

– ესენი მესხეთ-ჯავახეთის სანახებშია და, რასაკვირველია, სწორედ «ციხე კოხტისა» უნდა ყოფილიყო შესაკრები ადგილი, უპასუხა მამამ, – სწორედ იქ, ჯავახეთშია ის კოხტა.

– აღმართში ლაპარაკი არ შეიძლება!

– ბოდიში...

ოფლში გაწურულები ავიდნენ მწვერვალზე და ირიჟრაჟა კიდეც. დაეცნენ მწვანე კორდზე.

– ჩაიცივით სვიტრები!...-

გაიცა განკარგულება და ამას ვერავინ გადაუვიდოდა.

– ამ ჩვენმა კანჭამ ყველაზე ყოჩაღად იარა – მოუწონეს ლელას სიარული...

ცოტა ხნის შემდეგ თავკვეთილის მიღმიდან აიჭრნენ სხივები, გეგონებათ, აბრეშუმის ლარები გააბეს მიწიდან ზეცამდეო; ცა ყოველ წუთს იცვლებოდა, ხან ყაყაოსავით ელავდა, ხან ბაიასავით ელვარებდა, ზოგან წითელ-ყვითელ ფერში გამოერეოდა მწვანე, ლურჯი, ნარინჯი, იისფერი, ზანგელა. ხან ისევ თავიდან იწყებოდა, კანკალებდა აღმოსავლეთი, კანკალებდნენ მზის სხივები და ღრუბლები ათასნაირი და ათასფერი; დედამიწა ჯერ კიდეც მუქი იყო, სუნთქვა შეეკრათ ამ დიდებული სურათის ნახვაზე, მაგრამ, აი, ამოვარდა უზარმაზარი ცეცხლმოდებული ბურთი, ეს მბრძანებელი დედამიწისა და მთელი სამყაროსი, სიცოცხლეს ულოცავდა ყოველ სულიერსა და უსულოს.

მათ წინ გადაშლილი იყო მთელი ჯავახეთი – აბულსამსარის ქედი, შორს – კეჩუთისა, უფრო ახლო, თითქოს ხელმისაწვდომზე – შავნაბადა და თავკვეთილი, მათ შორის გადაჭიმული ტბის ყური, ანუ ტბის ტაბისყური, შორს ტბა ფარავანი... ჯავახეთის ვაკე...

– ეს რადაა? – აღმოხდა რომელიღაცას აღფრთოვანებული ხმა.

ჩრდილოეთით გადაჭიმული კავკასიონი, თეთრად ელვარე... მაინც რა დღეა, კავკასიონის ამ მხარეს ერთი ღრუბელიც რომ არ ადგა თავზე, მაგრამ აგერ, მყინვარწვერს მაინც თითქოს მანდილად უნდა მოეხვიოს.

– არა, ასეთ რამეს იშვიათად ვნახავთ!...

ხმა არავინ გასცა და იდგნენ ასე დიდხანს, ხმაგაკმენდილები.

– ეს უჩემოდ უნდა გენახათ, ხომ? – შეუტია ძმებს ლელამ, – დამაცათ, თუ გაჭამოთ რამე...

ახლავა გაახსენდათ ლელას ჩანთა, რომელშიც ცოტაოდენი უფრო გემრიელი საუზმე იყო.

– ასეთი დღის სადღეგრძელო ჯიხვის რქით უნდა დაილიოს, – თქვა გივიმ.

– სად არის, თორემ! – დიდი მსმელი კაცივით დაინანა ერეკლემ.

– დაიზრდებით, კიდეც ნახავთ, მაშინ...

გივიმ თავისი აბგიდან ცხელ-ცხელი ყავა ამოიღო, რმით კარგად შეზავებული, შალვამ – ხაჭაპური, გიორგიმ – კიტრები და ყველაფერი ეს რომ მიემატა ლელას სანოვავეს, მართლაც რომ, კაი სუფრა გაიშალა.

– მე კი მეგონა, ჩემს ხელში ხართ-მეთქი! – დაინანა ლელამ.

ამ დროს ციდან ტოროლამ ჩამოსძახა.

– აი, სადღეგრძელოს ვინ ამბობს!

ქვემოდან, ბაკურიანის თავიდან კი, მწყერმა ამოსძახა.

მზე ამობრწყინდა, ამობრძანდა და დაბრძანდა სამეფო ტახტზე, დაიწყო ათასმა და ასჯერ ასი ათასმა თვალ-მარგალიტმა ბრწყინვა ყვავილების მკერდში თუ ბალახის ფოთლებზე. მცენარენი პაწაწინანი იყვნენ, ამიტომ მუხლზე დაჩოქილები სინჯავდნენ. აი, კავკასიის ნაღველა – ჩვენი ენდემი, სამკბილა ქარცხვი, ზიზილა, ფურისულა, სტევანის ბაბუაწვერა, ქართული ვარსკვლავა, რადეს ნემსიწვერა, ძირმაგარა, რუპრეტის გვირილა და, ვინ იცის, კიდეც რამდენი რამ!

ნელ-ნელა დაეშვნენ ჩრდილოეთის ფერდაზე. ერთ ღარტაფში ჯერ კიდეც თოვლი იდო. მის ირგვლივ საინტერესო სურათი დახვდათ: მთელი ზონები იყო გაზაფხულის დადგომისა, გუშინდელ ამდნარ თოვლს ნახევარი მეტრის სიგანე მიწა გამოეჩინა, ზედ მხოლოდ პაწაწინა კოჟრები ჩანდა; ერთი გადაქექეს და ნახეს, რომ მცენარე მოიწვედა ზევით, რომელიღაც ყვავილის წვერი იყო. მეორე ზოლი ორი დღის გათავისუფლებული ჩანდა და კარგად ეტყობოდა მწვანე ნაწილები, მესამე ზოლში უკვე ერთ ბაიას დაექყიტა თვალი, მეოთხე ზოლში კი ყვავილებს ფერხული ჩაებათ.

– აი, კესანე.

– შენი კვნესამე, – წაიმღერა ლელამ.

– გულს დამაყარე ტურფა კესანე.

– არ დამივიწყოთ, თქვენი კვნესამე.

– ერთმა პოეტმა საინგილოში გაზარდა კესანე, რადა?

– კაცმა არ იცის...

მალე ოთხასი მეტრით მაინც ჩამოიქვეითეს და დეკიანებს შეერივნენ.

– აფსუს, არა ყვავის. იყენებენ?

– ჯერჯერობით არა, მომავალში კი შეიძლება ეთეროვანი ზეთის სახდელად ივარგოს.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ბურქებიდან ამოერთო მათი ძველი ნაცნობი გიშერბუმბულა როჭო და კრიახითა და ჭახჭახით ჩაეშვა მოშორებით.

ქვევით ბალახიც თითქოს წამოიზარდა, მედგარი ყვაოდა და მოთეთრო-მოვარდისფერო ყვავილებით იწონებდა თავს, თორემ სხვაფრივ ვერ დაიტრახებდა – არც ძირია გამოსაყენებელი მისი და არც ფოჩი. საქონელიც არ ეკარება. ნაკადულების პირას დიდბაიას და დეზურას მოეკალათა, მდელიოზე კი ლამაზად ბიბინებდა მწვანე ბალახი – შვერილა, მთის წივანა, სათესი წივანა, წითელი გვირილა, მთის გვირილა, ჭაღარა სამყურა, წითელი სამყურა, ყვითელი იონჯა, დიდფოთოლა ბარისპირა, ფიშერის ღიღილო, ცის ფოლიო, დვალურა, კვლიავი, ქართული ნემსიწვერა, ბაია, კესანე...

ყველა მცენარეს ცალკე გაუსინჯეს კბილი და ამის შემდეგ აიღეს ნიმუშები.

მალე არყნარებში ჩამოვიდნენ, ეს უკვე ზემოდან მესამე სარტყელი იყო. ჯობია, წაღმა ვთქვათ:

ბაკურიანის ტყე-მთების შუა სარტყელი იქნება მთამაღალის ტყის სარტყელი, შემდეგ სუბალპებისა და ცხრაწყაროს კონუსი კი უჭირავს ალპების მცენარეებს.

არყნარებშია მაღალი ბალახეულობა, უცნაური გიგანტები. ერეკლე მაღალი ბიჭია, მაგრამ დიდქოლგიან დუცსა და დიყს ორ მესამედზე სწვდება მხოლოდ.

დიყისა და დუცის მკლავებქვეშ იზრდებიან: დეზურები, ჭყიმი, ნამიკრეფია, დიდფოთოლა, შროშანა, კულმუხო, რამდენიმენაირი თავყვითელა...

– «და იზრდებოდა მაღალი ბალახი, რამეთუ ცხენიანი კაცი და რქოსანი ირემი დაიმალებოდაო», არა?...

– გივი, დაგრჩა რამე?

– გადაგრჩებოდა განა რამე?

მაგრამ ფიქრი არ იყო, უკვე ხევში ჩავიდნენ და იქიდან შინამდე ერთი ამოსუნთქვა იყო.

### მებრძოლი ფიჭვი

მანქანა ნელ-ნელა მიიწევდა ზევით და ზევით, მალე ცხრაწყაროს ზეკარიც გადაკვეთა და ავიდა ჯავახეთის პლატოზე. წინ აბულსამსარის ქედი იყო გაწოლილი, მარცხნივ შავნაბადა აწეულიყო და, ცოტა ფეხი რომ წინ წადგეს, თავკვეთილიც წამოყელყელავდა. მათ წვერებზე და ხორხებში თოვლი ჩანდა კიდეც. ვაკესა და ძირს ფერდოს ცხვრის ფარები შეჰყვნოდა. ხევებში ნისლი იწვა.

– აი, ანა კალანდამის ნამდვილი ჯავახეთი – მკაცრი, მოღუშული და გულჩახვეული.

– თუ გახსოვს ზეპირად?..

*«ლურჯ მწვერვალებს*

*ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა...*

*და, როდესაც ბარში ვარდნი ჰყვოდნენ...*

*თოვლი იყო ჯავახეთის მთათა ზედა*

*და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...*

*მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა*

*და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი.*

*მოდოდა, ნინო მთებით მოდიოდა,*

*და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...*

*თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგ ზავრი, -*

*ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?*

*მწყემსსა ჰკითხა: – რომელია ქართლის გზაი,*

*მწყემსმა უთხრა: – საქართველო არის ესე...*

*უცხო მიწა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,*

*მაგრამ რწმენა ავალეზდა რაოდენს?*

*თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა*

*და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ...»*

– ნინოს დროს დიახაც, რომ იყო ტყეები, მაგრამ დღეს მთლიანად უტყეოა ჯავახეთი. როდესაც თურქებმა მეთექვსმეტე საუკუნეში ჯავახეთი დაიპყრეს, 1620 წელს აღწერეს იგი და შეადგინეს გადასახადების დიდი



დავთარი: ამ დავთარში ჯავახეთის ნახევარზე მეტი, ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი, ტყიან ჯავახეთად არის აღწერილი. ამ ტყიან ჯავახეთში სამოცდაცხრა სოფელია ჩამოთვლილი, გავიდა კიდევ ორი საუკუნე. 1826 წელს გენერალმა პასკევიჩმა თურქეთიდან ასი ათასი სომეხი გადმოასახლა და ჯავახეთისა და მესხეთის ნასოფლარებში ჩასახლა. პასკევიჩმა რომ არზრუმიდან უკან დაიხია, თურქები შემოესივნენ სომხებს და ღალატი დასწამეს. სომხობას იქ აღარ ედგომებოდა. ნასოფლარები კი აქ ბევრი იყო, რადგან მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებიდან მესხეთ-ჯავახეთი დიდი ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენს. მონღოლები, ირანელები, თურქები – ყველა ცდილობდა მის დაპყრობას, საქართველოდან ჩამოშორებას. იჭუყებოდა ხალხი, იწვოდა და ინგრეოდა სოფლები. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც რუსეთმა ომი გამოუცხადა ოტომანთა იმპერიას, მაშინაც ბევრი აიყარა და ოსმალეთს მიაშურა. ძველ ნაოხარებს ახლები მიემატა და აი, სწორედ ამ ნაოხრებზე დასახლა პასკევიჩმა ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხობა 1826-30 წლებში. ერთ-ერთ ნასოფლარში, დღევანდელ აზავრეთში, ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები მოსახლეობენ. როგორც ჩანს, ის ნასოფლარი, აზავრეთი, ფიჭვნარ ტყეში ყოფილა. 1830 წელს ეს ტყე არსებულა.

– ეს თავხეები პატარა ბიჭობაში აქვე დავჭერთო, ჩვენი სოფლის პირას...– მიაშობდა ერთი მოხუცი აზავრეთელი სომეხი 1931 წელს და ერთ-ერთ მდელიოზე მიჩვენებდა ძირკვებს, რომელნიც ჯერ მთლიანად არ დამპალიყვნენ. აზავრეთიდან ტყე დღეს საკმაოდ დიდ მანძილზეა დაშორებული...

შავი ბედი დაჰყვა ჯავახეთს, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან წამოსულ მტერს პირველ რიგში მისი ტერიტორია უნდა გაეგლო, რომ გულ ქართლში შემოსულიყო. განსაკუთრებით გამწარდა ბედი, როდესაც ოსმალეებმა და ირანელებმა იწყეს ქიშპობა, იღუპებოდა ხალხი. ქართველობა რჯულს არ ტოვებდა, იყვნენ ამყანი, ჯიუტნი, გაუტეხელნი; ამიტომ, რომ შუაქართლელები შეუტეხელსა და პირში მთქმელ კაცს «ჯავახს» უწოდებენ, თუ აუხირდებიან, «რას მეჯავახებო», – იტყვიან.

მაგრამ შორს წავედით. აღწერის დროს მარტო ჯავახეთში თურქნი სამასზე მეტ სოფელს ასახელებდნენ, მაგრამ განუწყვეტელმა ბრძოლებმა მაინც თავისი ქნეს, ამოწყდა ქართველობა, აქა-იქლა დარჩა. სხვათა შორის, ამ ავბედითობის დროს კათოლიკობა ერთგვარ ფარად გამოჩნდა. რადგან რომთან ოსმალთა იმპერიას არ სურდა ურთიერთობის გამწვავება და კათოლიკეებს ნაკლებ ავიწროებდნენ, ამით ისარგებლეს მისიონერებმა და მრავალი სოფელი კათოლიკურ სჯულზე მონათლეს. მაგალითად, ხიზაბავრა – ჯავახეთში, უდე – მესხეთში და სხვანიც, შიგ ახალციხეში კი მისიონერთა დიდი კოლეგია დააარსეს.

მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში ჯავახეთში 2000მ სიმაღლეზე ჩამოასახლეს სამხრეთ რუსეთის რუსობა, დუხობორების სექტის მიმდევარნი. მათ უჭირავთ ჯავახეთის ვაკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. მაგრამ გავყვეთ კვალდაკვალ ჩვენს საქმეს.

სამხრეთ საქართველოს ქედები და ზეგანები, ძირითადად, ვულკანური წარმოშობისაა. ჯავახეთის ზეგანი 1700-1800 მეტრის სიმაღლეზეა გადაშლილი, ტყუილად არ ეძახდნენ მის სამხრეთ ნაწილს ხელისგულივით გადაშლილს და ქვიანს ტაშირს (დამ – ტაშ – თურქულად ქვაა, ტაშ – ქართულად ხელისგულია, «ტაშს» ქვებით უკრავდნენ), და სუსტად დაქანებულია ჩრდილო დასავლეთისაკენ, ეს საკმაოდ დიდი ვაკე 650 კვ. მეტრია. ალ. ჯავახიშვილი წერს:

«ეს ვაკე დასავლეთით ერუშეთის მთებისაგან მტკვრის ხრამითაა განსაზღვრული. სოფელ ხიზაბავრიდან ვაკე თანდათან მალდება და ტაბისყურის მიდამოებში იზღუდება ერთის მხრით აბულსამსარის დასავლეთისაკენ მიმართული ფერდობებით. შემდეგ თანდათან ეშვება ჩრდილო-აღმოსავლეთით და წყდება სოფ. ბეჟანოსთან (1700 მ), კარწახის გამოქვაბულიდან გადადის ამასისიის პლატოზე სომხეთში». მაგრამ, აი, ვახუშტიც:

«ესე არს ჯავახეთი და არიან ამ ტბებთა და მდინარე-ხევთა ზედა დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა, რომელიცა აღვსწერეთ; სამხრეთით მთა ნიალისყურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდამ, ანუ ხავეთიდამ, ყარსის მთამდე, ანუ ფოსოს წყაროსთავამდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთად. და არს მთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამშ-ყვავილიანი და წყაროიანი, ხოლო ფოფოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკვრამდე – ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი, ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძველად მტკვარი, და აწ ნიჯგორს-ხერთვის ზეით და წყაროსთავის დასავლით წარსული მცირე გორანი, ხოლო ჩრდილო პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდან წარსული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთ სამხრის კერძოს მცირე მთა ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე, არამედ არს ესე კოდიანის მთა ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკულიანიდან და ჭობისხევიდამ და მოვალს კოხტის თავამდე. მერმე დამდაბლდების და დასწყდების ნიჯგორს ზეით ხრამზედ.

ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო<sup>178</sup>, ვიეტთა ადგილთა სწვენ წივასა<sup>179</sup>, და მოსავლითაც ეგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი, ჰავითაც მსგავსი, გარნა უმჯობესიცა.

ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი, ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი, კაცნი და ქალნი, მსგავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შვენიერ-ჰაეროვანი, უსაქციელონი, ბრიყვნი; სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი, ენა აქვთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა».

– «უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა» – მერე კი ყველას ჩვევად გადაექცა და სამშობლო ენა დაივიწყა... – დაასკვნა ვახტანგმა.

– ამის მეტი სხვა ვერა დაიხსომე რა? – შეხედა მინდიამ.

– ეგ ფრანჯა ბევრ რამეს ეხმაურება, აგერ, შორს, ტბა ჩანს, ვგონებ. აქ ტბები ცოტა არაა.


«ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენნი, ჯოგი, მროწლენი, ხვასტაგნი<sup>180</sup> ქართლისა და კახეთისანი, ნეხვი მისი გამდინარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას და იტყვიან მის გამო უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით უკეთუ იყოს ვინმე მამდარ ფრიად ანუ დაცონვილ<sup>181</sup>, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა – ცეცხლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ, და სავსე არს კალმახითა... არს კვალად მთა თავკვეთილი, ხევღრმა, და საშუალ ფანავრისა და ტბისყურისა ბარძიმი და ჭიქიანი. კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ, და სავსე არს კალმახითა... არს კვალად მთა თავკვეთილი ხევღრმა, და საშუალ ფანავრისა და ტბისყურისა ბარძიმი და ჭიქიანი. კვალად არს შავნაბადი შაორსა და თავკვეთილს შუა, არა არს მთათა ამათ ზედა ტყე ანუ ხე<sup>182</sup>, გარნა ხევთა მცირე არყნალნი, ნადირნი მრავალნი, ირემი და არჩვი ჯოგად, მშველი, დათვი...




დმანისის ციხე



სოფ. ხადურები




თივის ზიდვა მთაში



არაგვის მუხა



ხეითის კედი



ყინწვისის ტაძარი



«საკადმის წაბლი» ტაშისკარში



საკადმის შთამომავალნი



ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის კუთხე



ყვავის კლდის მიხაკი




ალპინარიუმი



ფიჭვნარის საზღვარი სუბალპებში



თრიალეთის შვენაზადას კალთების ქვყრილი



ცირცელი შავნაბადას ქვაყრილზე




თეთრობის ტიპური ფიჭვნარი



თეთრობის ფიჭვნარი



შალვამ გაუტია ჭობარეთის ტყისაკენ



ხახულის ტაძარი




იოხნის ტაძარი



საფარის მონასტერი





ოშკის ტაძარი



ზარზმა

ტბა ტბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო. გარემო ნამოვნი, ტყიანი<sup>183</sup>, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილთა და ფრიად გემრიელითა. ხოლო არიან კაცნი თრიალელნი, მოსილნი, ვითარცა დბანისხვევლნი, სიმხნე-ჰაეროვნებითა ეგრეთნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლთა».

საქართველოში ტბებით ყველაზე მდიდარია ჯავახეთის მხარე, აქაა ტბისყური<sup>184</sup>, ფარავანი, კარწახი, ხოზაფიზინი, ჩრდილის ტბა, ხანჯლის ტბა... მრავალი წყარონი გადმოჰქუხიან იმ მიჯნებზე, სადაც ვულკანური ქანებია, ბაზალტები და ფონოლიტები ეფინებიან თიხებს და თიხნარებს, წყალი ბაზალტებში საცერივით გადის და თიხებს კი ვერსად გაექცევა.

სამხრეთ საქართველოს ეს მხარე კლიმატითაც მკაცრია, გვალვები ხშირია, ზოგჯერ გადაბუგავს ხოლმე არემარეს. წლიური საშუალო ტემპერატურა 6 გრადუსია, ქართლის ვაკისა – 11, ბათუმისა – 14, ძალიან დიდი სხვაობაა, ხომ? ეს კიდეც არაფერი, ყველაზე ცივი თვის საშუალო 8 გრადუსი ყინვაა, ყველაზე თბილისა – 17 გრადუსი სითბო, ქართლის ვაკეზე კი 28 გრადუსია.

ერთი აქაურ კლიმატში ფრიად საიმედო ნიშანი ისაა, რომ მას, ჯავახეთს, ტყის ზონასთან აახლოებს, 545-600 მილიმეტრი წლიური დანალექიდან 300-400 მილიმეტრი ზაფხულში მოდის. ეს კი ისეთი რაოდენობაა, თუ ოდნავ ხელი შეეწყო, თუნდაც აიკრძალოს მოვება ტყისპირებზე და დღესაც შესამჩნევ ნატყევრებზე, განადგურებული ტყე აღდგება. ეს მხარე ნატყევარია, ამის საბუთი ბევრია. აქ დღეს ბატონობენ მთის ველები, მაგრამ მათ შემადგენლობაში გვხვდება ტყის ბალახეული მცენარე ფურისულა, ქვეყნის გული, ზოგი ბუჩქიც კი, მაგალითად, ჭანჭყატა.

მინდია დაიხარა და აჩვენა ჭანჭყატას ტოტი, თან დაუმატა:

– დათვალეთ საბუთები!

ვახუშტი თავის შესანიშნავ შრომაში ამბობს, რომ ტბისყურის ნაპირნი ნამოვარ-ფიჭოვანიო, დღეს ნაპირზე აღარსად არც ფიჭვია და არც ნაძვი, ველის მდელოა.

ჩვენმა მკვლევრებმა – ვ. გულისაშვილმა, ბ. კლოპოტოვსკიმ და სხვებმა, დაამტკიცეს, რომ ჯავახეთის შავმიწა ნიადაგები ეს დეგრადირებული ტყის მიწებია და არა ველის შავმიწა ნიადაგები, ე. ი. ნატყევარი ნიადაგებია.

ყველაზე გაქსეროფიტებული სამხრეთ მთიანეთში სომხეთის ზეგანია, მაგრამ აქაც დიდი რაოდენობითაა ტყის ცოცხალი მოწმენი, მაგალითდ, გოგჩის (სევანის) ტბის აღმოსავლეთის, გიუნაის ნაპირის ქედების სიღრმეში (500-1500 მეტრის დაცილებით ტბის ნაპირიდან) მაღალმთის მცენარეებია, ჩვეულებრივი მაღალმთის ტყე თავისი თანამგზავრებით.

სევანის წყლის გადასადგები არხის დროს ნახეს დომბისა და ტყის კვერნის ჩონჩხი, თვით სევანში წყალმა რომ დაიწია, აუარებელი ირმის რქები გამოჩნდა.

პატარ-პატარა კორომები ტყისა ჯავახეთშიცაა, აბულსამსარზე, შავნაბადაზე, წალკაში ხომ ტამ-ბაშზე უზარმაზარი აღმოსავლური მუხაა, ზურტაკეტის მთის ველების ფარგლებშიცაა პატარ-პატარა ოლე<sup>185</sup>.

სამსარის ახლოს ეკლესიაა, რომლის წარწერა გვაცნობს: «ესე წმინდა ეკლესია ოდეს აღეშენა, ესე ადგილი ტყისაგან არ ჩანდა».

დღეს აქ ტყის ნასახიც არაა.

გურჯისტანის დიდი დავთრის მიხედვით, ჯავახეთის ტყიანი ვილაიეთიც რომ არსებობდა, ესეც ხომ საბუთია, არა?

ერთი საბუთი კიდევ:

სამხრეთ საქართველოს ველები მდებარეობს 1400-სა და 1800-1900 მეტრს შორის, ე. ი. იმ ზონაში, რა ზონაშიცაა გავრცელებული ჩვენი ტყეები, ეს ველები უშუალოდ ესაზღვრებიან ჩვენი მთის ტყეებს.

– აბა, რამდენია საბუთი?...

– ექვსი.

– არა, შვიდი, – შეასწორა ერეკლემ.

– მერვეს, ყველაზე «ძრიელს», თქვენ თვითონ ნახავთ!

მზე გადასული იყო, როდესაც თეთრობის ხეობას მიადგნენ, თეთრობის ხეობა თავისებურ უბეს წარმოადგენს. იგი მოქცეულია წიფარეთის, სანისლოსა და იმერეთის ქედებს<sup>186</sup> შორის. მთელი ჯავახეთი და თრიალეთის ეს ნაწილი ვულკანურია, ვულკანური ქანებით დაფარული ნალექი ქანები თეთრობ-აზავრეთში ტექტონური ძალების მოქმედების შედეგად ამოწეულია ზევით და მოშიშვლებულია მძლავრი კირქვების ფენები, რის შედეგადაც სრულიად შეცვლილია ამ მხარის ლანდშაფტი, თეთრობის ტყე თრიალეთის ტყეს არ წააგავს, მცენარეთა უმრავლესობაც თრიალეთისათვის უცხოა! გეგონებათ, შავი ცხვრის ფარაში თეთრი ცხვრის პატარა ნოტოც გამოერაო. ტექტონიკას დაეხმარა ეროზია და კირქვები უფრო მეტად გამოჩენილან.

გადადგნენ თუ არა ხეობაზე, გიორგი შედგა.

– უჰ, ეს რა უქნიათ!

– ?!

– აგერ, იქ, – გაიშვირა წინ ხელი, – კარგი თეთრი მწვერვალი იყო, დაუნგრევიათ, საშენ ქვად წაუღიათ. კიდევ არა, ჯავახეთის სოფლები მიწის ზევით მოჩანან! ქვა აქედან უზიდაიათ...

– ამ ათიოდე წელში როგორ დაანგრის? აბულზე ცოტა ქვაა?

– აბულის ქვა მაგარია, დასამუშავებლად მნელია! – ჩაურთო მინდიამ.

– ეკითხათ მაინც, ეგრე უღვთოდ მთათა წამოქცევა შეიძლება?

– რასაკვირველია, არ შეიძლება, მაგითი მარტო მთა კი არ იკარგება, მიკროკლიმატზეც ახდენს გავლენას, აქამდე ქარს ეღობებოდა, ახლა რა გადაეღობება?

– მაგრამ, უნდა ითქვას, მიწურებიდან ხალხის ამოსვლას რომ შეეწირა, ეს უკვე კარგია...

– სხვა რა შეიძლებოდა?

– აგერ, ხევში ენგრიათ დალოცვილებს.

– ახლა მანქანებია, გზა უნდა გაეკეთებინათ.

– მამი, აგერ იტალიის ფიჭვებს არა ჰგავს?

– მართალია, ჰგავს, მაგრამ ეგ ზრდის ხასიათის გამოა...

ნელი საუბრით აუყვნენ მათ წინ გადაშლილ კალთას...

იგი სამხრეთით იყო დაქანებული, ადგილ-ადგილ შიშველი ფართობები ჩანდა.

– ხეები ურთიერთისაგან საკმაო მანძილით არიან დაცილებულნი. გახსოვთ, საკმლის ხე როგორ იზრდებოდა შირაქ-ელდარში?

– ძეძვში, კენკრაში ან სხვა ეკლიან ბუჩქებში.

– აქაც თავისებური სიმბიოზია. გადაშლილა ლავაშვით ღვია და მის შუა ნაწილში კი ფიჭვია ამოსული. ღვია უზარმაზარია, პირუტყვი ვერ გადავა, ფიჭვიც იზრდება თავისუფლად. ქორბუდიც ბარაქიანია, მრგვალი, წიწვებუხვი. მართალია, იტალიის ზღვისპირა ფიჭვს კი წააგავს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად.

ბუჩქები იშვიათია: უზანი, შავი ასკილი, გვლერძა, არც ბალახეული მცენარეა რიცხოვრივად მრავალი, მაგრამ, რაც არის, უმთავრესად ველის მცენარეა.

ხევიდან შალვამ ამოსძახათ: ერთადერთი ნამვი ვნახეო, ეს კი კარგი საბუთია იმისა, რომ აქ უფრო მდიდარი ტყე ყოფილა, უფრო მეზოფილური. რაც არის დარჩენილი, სწორედ მეზოფილური ტყის დეგრადაციის შედეგია.

თვითონ თეთრობის ფიქვნარი საოცარია და განსხვავებული.

ეს ადგილი ამ ორმოცი წლის წინათ აიწერა:

«პირველივე მცენარემ, რომელიც ხელწერაქვით ამოვიღე, თითქოს შემომცინა და მითხრა: იქნებ მე ვარ, შენ რომ მეძებო. გადავტეხე მისი ფესვი და თეთრმა, სქელმა წვენმა უხვად იწყო დენა. იგი მალე გაყვითლდა, შემდეგ გარუხდა კიდეც და როდესაც ხელი ვახელი, გუტაპერჩივით გაიძაძა. მწყემსმა ბიჭმა მითხრა: «ამას კევის ბალახს ვეძახითო, » – და ჯიბიდან ამოიღო ასკილის ლოპისაგან<sup>187</sup> გაკეთებული მასრა, რომელიც შავი ნივთიერებით იყო სავსე. «ეს ამ კევის ბალახის წვენიაო,» – და იქვე მაჩვენა, როგორ აგროვებდა. მიმიყვანა ერთ კარგად განვითარებულ სკორცონერასთან<sup>188</sup>, დაიჩოქა და ჯიბიდან დანა ამოიღო, ფესვის ყელთან დანა დაუსვა; ჭრილობიდან წვენმა დაიწყო დენა. ბიჭმა ასკილის ლოპის მასრა მიუდგა, რომელშიც წვენი გროვდებოდა.

– აი, ნახე, ამას ძველი ჭრილობები ეტყობა, ჩანს, ვიღაცას «მოუწველია».

– რად გინდა ეგ წვენი?

– გოგოებს მივყიდი სოფელში, თითო ასეთ მასრაში ხუთ კვერცხს მამლევენ, კევად ღეჭავენ. აი, მიყურე.

ამოიღო ჯიბიდან კევი და დაიწყო ღეჭვა.

მაშინ ძალიან გამიხარდა. საქმე იმაშია, რომ იმხანად საბჭოთა კავშირის ფლორის გადათვალისწინება ხდებოდა კაუჩუკიან და გუტაპერჩიან მცენარეთა გამოსავლინებლად და ამ მიზნით სამხრეთ კავკასიის ფლორასაც ვსინჯავდით; მაგრამ იმავე წელს საბჭოთა კავშირში ხელოვნური გუტაპერჩი და კაუჩუკი მიიღეს და მცენარეულს თავი მივანებეთ, თორემ მართა ამ ხეობაში სამი ისეთი მცენარე აღმოჩნდა, რომელთა მოშენება ღირდა.

ახავრეთის დაბალი ქედის გადაღმა, ოშორას ხეობაში, კიდეც უკეთესი მდელი იყო, კევის ბალახით დაფარული; საქმე ისაა, რომ მეცნიერებისათვის ორივე კევის ბალახი ახალი აღმოჩნდა.

ეს ხეობა (ოშორის ხეობა) მესხეთშია, მაგრამ ჯავახელები თავის საკუთრებად თვლიან. საქმე ისაა, რომ ოშორის ხეობაში აუარებელი პანტა იზრდება, ჯავახეთი უხილო ქვეყანაა; შეესეოდნენ ოშორის ხეობას, დაბერტყავდნენ პანტასა და მიჰქონდათ ჯავახეთში, ამის შემდეგ ყველას ჰქონდა უფლება, პანტა ეგროვებინა ამ ხეობაში.

ჯავახელების უხილობა და პანტის სანუკვრობაც ერთ-ერთ მესხურ ლექსშია ასახული:

*«ჯავახეთო კოდიანო, მეპანტენი მოდიანო,  
წინ მეჭიმუნე მოუძღვის, თამაშობით მოდიანო».*

გადმოჭრეს ნაძვნარ-ფიქვნარით შემოსილი ჩრდილოეთის ფერდო და გამოემართნენ ჭობარეთის ტყისაკენ, სადაც აღმოსავლეთით, ტყის პირას მინდია და გოგია უნდა დახვედროდნენ.

მართლაც, მალე დაინახეს გოგია და ძალიანაც გაიხარეს, სუფრა რომ გაშლილი დახვდათ.

გიორგიმ მოიხსნა თუ არა აბგა, ტყეში შევიდა.

მალე დაბრუნდა გაოცებული.

– მინდია, ნახე, რა მომხდარა?!

– შენ ქვევით გაიხედე.

– ეჰა, ყოჩაღ, ფიჭვებო!

ამ ტყიდან ორი კილომეტრის მოშორებით ეული ფიჭვები ჩანდა სამხრეთისაკენ გაჭრილი.

– კაცო, ველეებში გაჭრილან?

– ვინ გითხრა, რომ ველეებია. ეგ მხარე არ იყო, რომ 1928-30 წლებში დააყორულეს? საქონელს აქეთ თოფის სასროლოზე არ უშვებდნენ, ე. ი. ორმოცდახუთი წელია, და თითო-ოროლა ტყის ბალახი, რომელიც აქაურ ველეებში იყო, გამოცოცხლდა, გამრავლდა. თვითონ ტყე ხომ ტყე იყო, მაგრამ თავის არქიტექტონიკით უცნაურობას წარმოადგენდა, ფიქვნარ-ნაძვნარი «ველზე იჯდა», ქვე-ტყის ბალახიც ველის მცენარეებისაგან ბევრი იყო, ქარქვეტა, კობრჩხილა, ჯინჭარა, ვაციწვერა, ქაფუნა და სხვები...

გიორგი შებრუნდა და ქვევით დაჰყვა.

– მოდი, დამდება, ხვალაც აქ ვიქნებით და, ჯობია, დილით ადრე შევუდგეთ საქმეს...

– ამ ორმოცმა წელმა ესე როგორ შეცვალა?

– რომ ამტკიცებ ნატყევარიაო, ესე ტყის ნამდვილი გამოცოცხლება მაგის საუკეთესო დასტურია. აი, მაღალი მთის და ტყის ვარსკვლავია, ტილჭირი, ეშმაკის ქოში – ესენი ნამდვილი ტყის მცენარენი არიან და კარგადაც მომრავლებულან.

– კარგი, მამი, დაჯექ, დაჯექი. შენ რომ გიკვირს, მაშინ ჩვენ რაღა ვქნათ? შენ სულ მაგას არ ამბობდი?

– თქვენ არ გაგიკვირდებათ, რადგან ის არ გინახავთ... მე კი ის მიხარია, ტყე გამოცოცხლებულა და ტყის აღდგენის მოსაზრებაც დადასტურებულია.

მეტი გზა არ იყო, ჭობარეთის ტყის მოხილვა დილისათვის გადადეს.

ვანშმის შემდეგ სამი კარავი გაშალეს, მართალია, ცა მოწმენდილია, მაგრამ მაინც ქვეყანაა და, ვინ იცის, ცამ რა მოიპრიანოსო.

ის იყო, კარვებს გარეთ საძილე ტომრების გაშლა დააპირეს, რომ პატარა საბარგო მანქანა თავზე წამოადგათ. მანქანიდან ახოვანი ვაჟკაცი გამოვიდა, ხის ფეხი მძიმედ გადმოიტანა, ცხადია, ომში იყო ნამყოფი : ჩემ სამფლობელოში ვინ შემოვიშვათ?

– შენ როდის დაიჩემე?

– კვერნა საშოვარზე წავიდა და ტყავიც იქ დატოვაო, სწორედ ჩემზეა ნათქვამი, – და გულიანად გაიცინა, – გამარჯობათ, ბატონო გიორგი.

– გაგიმარჯოს, მაგრამ თითქოს ვედარცა გცნობ...

– საგანი თქვენ ჩაგაბარეთ, მერე ომი, ჰოსპიტალი და...

– ბიჭო, სვიმონი ხარ? – მოიგონა გიორგიმ და გადაეხვია.

მოსულს თვალზე ცრემლი მოადგა.

– ჩემი სახელი როგორღა გახსოვთ?!

– კარგი იყავ, სვიმონ, კარგი და იმიტომ.

– ჩემთან უნდა წამობრძანდეთ, აქვეა სახლიც. ვინც თავი დაიმდაბლა, ის ამალდაო...

დაარწმუნეს, რომ საქმისათვის აჯობებდა, აქ ეთათ ღამე, ბიჭებიც მინდა შევაჩვიო კარში ყოფნას, დილით ადრე სამუშაოს დაწყებასო.

– თქვენ იცით, მაგრამ: მტერმა კეტი დამცხო თავში, მოყვარემ – ბამბაო, ბამბის დარტყმულისა მეტკინა, კეტისა არაო. აქ იყავით, არა მნახეთ, შორით შენი ჭირიმეო! – და გაეცინა.

– ვიცი, განა არ ვიცი, ნურც მაღლა აიწევი, მაღლა ღმერთთაო, მაგრამ დღეს ასე აჯობებს.

გოგიამ, რაკი დახედა, ხისფეხიან კაცს დაჯდომა გაუჭირდებო, მანქანიდან საექსპედიციო ყუთი გადმოუღო და ცეცხლის შორიახლო დაუდგა – «დაბრძანდითო».

– სიმალე მოგცეს სიმდაბლისათვის, – უთხრა მოსულმა და ნასიამოვნები დაჯდა.

– თეთრობის მთა წამოგიქცევიათ?

– მოინარიკლეს, ვერას გავხდი, «შენ რა იციო». ქუდი დადე და სამართალი ისე გასჭერ-მეთქი. აქ სამართალიც მე ვარ და კანონიცაო. ხომ იცით, ზოგი და ზოგი გაზვიადდება ხოლმე, მერე შარი მომდეს: ჩვენი მგელი თქვენმა თხამ შეჭამაო, მაგრამ ნათქვამია, ზღვა ისე არ დაშრება, ფეხდაფეხ გადაიარო, სამართალმა მაინც თავისი გააკეთა და ახლა სხვა ადგილი მივუჩინეთ...

– ჩემი საქმე ისე იყო: ბელტი ჩიოდა, წვიმა რომ მოვიდეს, იმ ქვას რა ეშველებო. მაგრამ კარგად ვიცი, მამის ნაჭამმა ტყემალმა შვილს მოსჭრა კბილებიო.

ბიჭებს აღარ უკვირდათ მეტყველის მოლექსეობა – ჩვენში ხალხი ასეთთაო, ვახტანგი მაინც წერდა ცეცხლის შუქზე.

ახალგაზრდებმა დაიძინეს, მინდიაც კარავში შევიდა, მაგრამ გიორგი და სვიმონი კიდევ კარგა ხანს საუბრობდნენ.

ხომლი<sup>189</sup> კარგად გაიმართა, როდესაც სვიმონის მანქანა ალასტანისკენ დაემგა.

დილით ადრინად ისაუზმეს და გაჰყვნენ ტყეს სამხრეთისაკენ.

ტყე მართლა ტიპიური ტყე იყო, შიგ ტყის ბალახეული მცენარეები ჭარბობდა.

ხშირი ტყე მალე გათავდა. იწყებოდა ახალგაზრდა ტყე, შიგადაშიგ თითო-ოროლა 30-40 წლის ხეებიც ჩანდა.

– ესენი მზვერავები არიან...

– რათა მარტო მზვერავები, ახლა უკვე მთესველებიც; აი, მაგათ ირგვლივ როგორ წიწილ-კრუხივით გაშლილა ნორჩნარი.

– აბა, ერთი ამ ფიჭვთანაც მიიბრინე, იქაც თუ ასეა.

ერეკლემ და გივიმ მარცხენა ფიჭვისაკენ აიღეს გეზი, ვახტანგმა და შალვამ – მარჯვნივ...

ირგვლივ შემოუარეს, კარგად გასინჯეს – უცბად ერეკლემ თავისი წერაყინი დასცხო რაღაცას, ერთხელ, ორჯერ.

– უეჭველად გველი მოკლეს...

და გასწიეს მისკენ.

მართლაც, სპილენძა მოეკლათ.

– განა ყველა გველი მოსაკლავია?!

– დღესღობით, უნდა ითქვას, რომ შხამიანსაც უნდა გაუფრთხილდეთ<sup>190</sup>. აი, ეს პატარა ფიჭვები ამის წყალობითაც გათამამებულან, ეგ ხომ თავგებსაც ჭამს.

ამ დროს ვახტანგიც მოიჭრა.

– იქითკენ თვითჩანათესივ არის და ჩვენი მეტყვევის საქმეც, მთელი ფერდო დარგული ფიჭვითაა დაფარული.  
– აი, ბიჭებო, ამ ორმოცი წლის წინათ აქ არაფერი იყო, აგერ იმ კორომის გარდა. თქვენც მოდით ოცი წლის შემდეგ და აღწერეთ ის, რასაც ნახავთ. მთის ფიჭვი, საერთოდ, ახალგაზრდა მცენარეა, შესაძლებელია, უკანასკნელი გამყინვარების დროს შემოჭრილი და მის შემდეგ მეტად ავკაცურად იქცევა, «გარეულმა კატამ შინაური გააგდო», სწორედ ასეა. აი, მაგალითად, ისეთმა მცენარემ, როგორცაა პასპალუმი (გზად მოყოლილი მცენარე) კოლხეთის მდელოებიდან ბევრგან თითქმის განდევნა მარცვლოვანი და თვითონ გაბატონდა, ფიჭვიც მრავალ ადგილას განსახლდა, ახალ-ახალი ადგილი დაიჭირა.

ამ ორმოცი წლის წინათ აქ ჭობარეთის ტყე შეყუჟულიყო, ირგვლივ ველი ერტყა და უტევდა, მაგრამ განა მარტო ველი? ხალხიც, საქონელიც, განსაკუთრებით – თხა და ცხვარი, ტყე კვნესოდა და ცრემლს ღვრიდა მარტო, თანდათან ვიწროვდებოდა; მაგრამ დახეთ, დღეს, როდესაც მის ირგვლივ განსაზღვრულ ფართობზე მოვება აიკრძალა, როგორ გაუშლია მკლავები, სად გაჭირლა! ხმალამოწვდილი იბრძვის...

– ჩვენც ცოტაოდენს ვემველებით, – თქვა სვიმონმა, რომელმაც მანქანა ზედ მიაცენა, თან ბოდინი მოიხადა, ცალი ფეხით შორს ვერ წავალო.

– სანერგე შორს არ არის, იქნებ ინახულებდით.

სიამოვნებით დათანხმდნენ. ხათრი რომ არ გაეტეხათ, «კოლმეურნის» მანქანაში ჩასხდნენ, ერთ ადგილას ორნი მოთავსდნენ და მანქანაც აგუგუნდა. სანერგეში რომ მივიდნენ, მანქანა სწრაფად გაქრა.

სანერგე ტყის მდელოზე იყო გამართული, კვლებში ჩაკიწვიწებული; ნორჩნარს თავს ედგა საჩრდილობლები.

– იმ მეზობლი ფიჭვის ლაშქარი აქაც იზრდება, ბიჭებო, გაგეგონებათ: მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიც ბრალიაო. აქედან ვამველებთ ჯარს და, უნდა გითხრა, ვაჟკაცურად იქცევიან, კარგად ხეირობენ. ალბათ, მართალია, ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო. ზოგჯერ ირემიც გვაწუხებს.

ყვარჯენი მარჯვენაში ეჭირა, დადგებოდა რომელიმე ლამაზ ფიჭვთან, ყვარჯენს მარცხენაში გადადებდა და ისე ნაზად გადაუსვამდა ხელს, გეგონებოდა, დიდი ხნის უნახავ შვილს დედა ეალერსებო.

– უკვე შუადღეა გადასული...– თითქოს შემთხვევით თქვა ვახტანგმა. გიორგის გაეცინა.

– რა, არის შუადღე?!...

– როგორ არ არის, არის...

დიდი მადლობა გადაუხადეს სვიმონს, სანერგის სხვა მუშებს... ისევ სვიმონის მანქანაში მოთავსდნენ და გამოსწიეს კარვებისაკენ.

– ნეტავ სად გაიქცა ასე ქუდმოგლეჯილი? – წაიდუღუნა ვახტანგმა სანერგიდან რომ მანქანა გაქრა, მაგრამ ბანაკში რომ მივიდნენ, იქ გაირკვა ვახტანგის გუმანი: სუფრა აყვავებული იყო, გოგია ცეცხლზე მწვადებს წვავდა...

– კაცო, ეგრე მოპარვით მასპინძლობაც არ გამიგია! – შეეხუმრა გიორგი სვიმონს.

– ბარემ მე ვიცი, მასპინძლობა როგორ უნდა, მაგრამ...

და გაიმართა ნამდვილი ტკბილი საუბარი, ისეთი, როგორც ქართულ სუფრას შეშვენის. მზე რომ მესხეთის მთებისაკენ დაეშვა, გიორგი, ერეკლე, გივი და შალვა ჩასხდნენ სვიმონის მანქანაში და წავიდნენ სამსარის ტყის კორომის სანახავად.

მანქანა ნელ-ნელა მიიჩხეოდა მთის მდელო-ველებში.

ეს ტყე სამსარის კლდოვან ფერდას შეჰყუჟოდა. მასაც ირგვლივ ეხვია უროცი და ვაციწვერა...

რალა ბევრი ჭრა და ზომვა უნდა. ესეც ერთ-ერთი საბუთია ჯავახეთის ტყიანობისა, მაგრამ რა ვუთხრა ჩვენი ცხოვრების შავბედობას, რომ არც ტყე დაგვიყენა და არც სოფელი. ყოველ ერთ სოფელზე ახლა ხუთი ძველი ნასოფლარი მაინც მოდის.

დააფიქრათ იმანაც, რომ სოფლები შიშველია, მწვანე არსად ჩანს, ეს ხალხის ზეპირსიტყვიერებაშიც კი გამოსჭვივის:

*«ჯავახეთის ხილია ატოლი და ღიმიო»<sup>191</sup>,  
ისიც რო გამოელევათ, გაუწყდებათ ლხინიო».*

ჯავახეთი მკაცრი ბუნებით ხასიათდება და ამიტომ ხვნა-თესვას მისდევდნენ:

*«მე ჯავახეთს რა მინდოდა, მთვარე იდგა მზესავითა,  
კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა».*

მთიან ქვეყანაში ქერი უფრო კარგად მოდის, სიცივეს უძლებს. ჯავახელებმა შექმნეს თავისებური დოლი, რომელიც გაზაფხულობით ითესება და «დიკას» უწოდებენ, მაგრამ იგი ნამდვილი დიკა არ არის, მას ჰგავს მხოლოდ იმით, რომ გაზაფხულზე ითესება. თუმცა ზოგიერთ თანამედროვე სელექციურ ჯიშს შემოდგომითაც თესავენ.

ჯავახეთმა ჩვენი სოფლის მეურნეობას ბევრი შესძინა, აქ არის გამოყვანილი ჯავახური ესპარცეტი, რომელსაც ახლა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში თესავენ, აქაურია ერთწლიანი საკვები ცერცველა და სხვა.

ჩვენი წარსულის უკუღმართობის ბრალია, თორემ ჯავახეთი რომელ კუთხეს ჩამორჩებოდა? არც ერთს. აი, ხიზაბავრა ავიღოთ თუნდაც, წინათ ჯავახეთში შედიოდა, უფრო სწორად, ახალქალაქის მაზრაში, დღეს ასპინძის რაიონს ეკუთვნის. აქაური მოსახლენი წინათ «ქართველი ფრანგები» იყვნენ, ე. ი. კათოლიკენი. ხალხური ლექსიც ამბობს:

*«ხიზაბავრა დიდი არი, სულ ქართველი ფრანგიაო.»*

ან კიდევ:

*«ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი.»*

დღეს ამ სოფელში სამოცდაათამდე უმაღლესდამთავრებულია, აქედან ამჟამად სოფელში მუშაობს 20 კაცი. სოფელში 64 ჰექტარი ბაღია, სახნავ-სათესი ფართობი 450 ჰექტარია. სოფელში არის საუბნო საავადმყოფო, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, სათონე, საშუალო სკოლა, სასოფლო კლუბი, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, ვეტერინარული უბანი, საბავშვო ბაღი. ზოგი კოლმეურნის წლიური შემოსავალი 2000 მანეთს უდრის.

ზოგს სხვა სოფელს გაეღიმება – ჩვენში 400 ჰექტარი კი არა 4000 და 10.000 ჰექტარი სახნავი გვაქვსო. უმაღლესდამთავრებულზე ბევრიაო, მაგრამ, არ დაივიწყოთ, რომ ჯავახეთმა გვიან წამოიწია, სულ რამდენიმე წელია.

დაის კარგა ხნის წინათ დაესადგურებინა, როდესაც «სამსარელები» თავის ბინაზე დაბრუნდნენ.

ამ მხარისათვის ძირითადი მაინც მესაქონლეობაა, რადგან დიდი სათიბ-სამოვარი ამის საშუალებას იძლეოდა.

*«მიტომ მიყვარს ჯავახეთი, ტაშირი და ვაკეო,  
დიდი ფური ბევრს იწველის, დეკეული მაკეო.»*

ზაფხულის სამოვრებით ჯავახეთი ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა და ჩვენი მეცხვარეობა თუ, საერთოდ, მესაქონლეობა, ამითაც იდგამს სულს; თუმცა უცოდინარობამ და სამოვრების წინდაუხედავმა ექსპლოატაციამ აქაც იჩინა თავი. ქციის სათავეებში უზარმაზარ ფართობს ნარიანი ეწოდება. აქ ისეთი ნარი იზრდება, ცხვრის ფარას კი არა, კამეჩების ჯოგს დაატყვევებს. ამ ნარს ზოგი სოფელი ჭრის და შეშა-ფიჩხად ხმარობს. მოდებულია ძიგვაც, ზოგან ისე, რომ მდელი სამოვრად აღარ ვარგა.

### **გაღებული ციხის კარი**

*«ციხეს ვზი, ეზომ მაღალსა,  
თვალნი ძლივ გარდასწვდებიან.»*

*«ვეფხისტყაოსანი», ვანის ქვაბების წარწერიდან.*

ჩვენი მგზავრები ახალქალაქთან ამართული პატარა გორაკის მწვერვალზე იდგნენ და გასცქეროდნენ მათ წინ გადაშლილ უზარმაზარ ზეგანს – ჯავახეთის ზეგანს. გიორგი თავის თანამგზავრებს კვლავ აგონებდა ამ მხრის გეოლოგიურ თუ ისტორიულ წარსულს, ხელი წყაროსთავისკენ<sup>192</sup> გაეშვირა და გულდადინჯებით უამბობდა, ამ დროს სამხრეთის ფერდიდან ამოსული სამი ვაჟკაცი აიძვრათ მათ წინაშე.

– ძლივს გიპოვეთ, ბატონო გიორგი. აკი დაგვპირდით, ჯავახეთში თუ იქნებოდით, წინასწარ გვაცნობებდით.

– არ მინდოდა შეწუხება!..

ახლა დანარჩენებსაც მიესალმნენ, მაღლიანი ღიმილი გადაჰკრავდა სახეზე სამივეს. სამივე ჯავახი იყო, გიორგის ნამოწაფარი.

ახლა უჩვენოდ ვერსად წახვალთ..

– რაკი დამიჭირეთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, – გაეღიმა გიორგისაც.

– ოკამში ჩავიდეთ, ხატისას არ ნახავთ?

– ოჰ, ხატისაც აქაა?... – იკითხა გიორგიმ.

ოკამი ღონიერი, კარგი სოფელია, მაგრამ განაპირა. უკანასკნელი ქართული სოფელია ჯავახეთში.

ხატისა ცას ეწია.

– აი, თურმე რანაირი კაცი ყოფილხარ! – სიყვარულით თქვა ხატისას მამამ, ოკამის თავკაცმა. გიორგი შეეხვეწა, სუფრას ნუ გაშლით, ახლახან ვისაუზმეთო, მაგრამ ქართველ კაცს თავის ჩვეულებას მოაშლევინებ?

– მართალია, ჯავახი ვარ, მაგრამ ქართული ადათი არ დამიკარგავს.

– რას ბრძანებ, ჯავახები ყოველთვის ამშვენებდნენ საქართველოს ისტორიას...

აივანზე მალე აყვავდა სუფრა: თაფლი, გამხმარი ნალები, ორნაირი ყველი, ლავაში, ხახვი, პრასა...

მალე მოილხინეს; წასვლა თითქოს ეზარებოდათ კიდეც. ასეა, როდესაც გამასპინძლებაც გულწრფელია და საუბარიც.

მაგრამ, რაკი მზე საშუადღეოდ უკვე დასავლეთის დაღმართს დასდგომოდა, აღარ შეყოვნებულან, მასპინძლებმაც გაიგეს, რომ ძალის დატანება საჭირო არ იყო.

გეზი კუმურდოსაკენ აიღეს, ბუნებრივი ველობები აღარ ჩანდა, მთლიანად გადაეხნათ და ყანა ბიბინებდა. პირველადი მცენარეები – ჯინჭარა, ქაფუნა, კოპრჩხილა, ვაციწვერა, წივანა და სხვანი – იშვიათ მიჯნაზე და ოდნავ შემადღებულ ბორცვებზე თუ ჩანდა.

მალე კუმურდოს დიდი ტაძრის ეზოში იყვნენ, კუმურდოს ტაძარი ათას წელზე მეტია, აიგო; ყოველ შემთხვევაში, წარწერა გვაუწყებს, რომ ამ ტაძარს იოანე ეპისკოპოსმა ჩაუყარა საძირკველი «ცოდვილი საკოცარის» ხელით, ლეონ მეფის დროს, 964 წელს...

ლეონ მეფისა და მისი დის, იმერეთის მეფის, ბაგრატ მესამის, დედის პორტრეტები მოთავსებულია საკურთხეველის თაღზე (ბაგრატ III-მ ააგო ქუთაისში დიდი ტაძარი, დღემდე ბაგრატის ტაძრის სახელით ცნობილი). კუმურდოს ტაძარი, მართლაც რომ, დიდებულია, მისი კედლის წახნაგები და ხაზები ატყორცნილან მალა, ზეცისაკენ და მნახველთაც იქით იტაცებენ, მით უმეტეს, რომ კედლები სრულიად სუფთა თუ არ არის, ყოველ შემთხვევაში, თვალს არ ბოჭავს და ერთ წერტილზე არ აჩერებს.

კუმურდომაც იწვინა დამპყრობელთა მსახვრალი ხელი. ჯერ მონღოლებმა, შემდეგ შაჰ-თამაზის ბრძოლებმა ხიერი არ დააყარეს. მეთექვსმეტე საუკუნეში უცდიათ შეკეთება, მაგრამ დიდება ვერ დაუბრუნეს.

უკვე საღამო იყო, როცა მტკვრის ხრამზე გაჭრილი გზა გოგაშენიდან ვარძიამდე დიდი სიფრთხილით ჩაათავეს და ვარძიის გვერდით, ჭაჭკარის ხევში შევიდნენ.

ჭაჭკარში, კლდეში ნაკვეთი სახლების წინ, დაიდეს ბინა. დატრიალდნენ ჩვენი მგზავრების დამტყვევებელი ბიჭები და გაშალეს ჯავახური სუფრა, «კალმახი და ქერისპური წინ ეყარათ ბზესავითა».

როდის-როდის მიმართეს საძილე ტომრებს, მაგრამ მაინც არ ეძინებოდათ.

– ჩვენი დიდი ეროვნული შესაძლებლობებისა და ძალის დასამტკიცებლად ვარძიაც კმარა.

– როგორ? – იკითხა ერეკლემ.

– როგორ და... მეთორმეტე საუკუნეში, მაშინ, როდესაც ჯერ კიდეც თურქნი მძლავრობდნენ, ბევრგან ხანძარიც არ ჩამქრალიყო...

– როგორ თუ არ ჩამქრალიყო? დავით აღმაშენებლის ხანა განვვლეთ, ქვეყანა დამშვიდდა...

– ჰოდა, მეც სწორედ მანდ ვარ, ახლად დამშვიდებულ ქვეყანაში უცბად ასეთი საქმეები?

– მართლაც დიდი საქმე იყო, დღემდე სამასზე მეტი დარბაზია დარჩენილი, დიდი და პატარა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გამოკვეთილი ტაძარია, თავისი გუმბათით, საკურთხეველებით, ფრესკებით, ეს ხომ ფერწერის საკვირველებანია.

– ჩვენი ყველაფერი ნუ გიკვირს, ინდოელებმა რაღა თქვან ტაძარზე? – ჩაერია ერეკლე კამათში.

– ყველას თავისი სალოცავი აქვს!

– ჰოდა, საქმეც სწორედ ეგაა.

– აგერ, გახედე, ფერდაზე ვერავის ამჩნევ? – მოინდომა ვახტანგმა საუბრის ახალ არხში გადაადგება.

– რას ამბობ, ვის უნდა ვხედავდე?...

– თამარი იცქირება, თამარი, ხედავ, ლელა!

– რა, ჩემზე მოსატყუარი სხვა ვერავინ ნახე?

– აბა, აქ სხვა ვინ მენახა?

– მაშ მიიღე...– და წამოართყა ვახტანგს კისერში.

– მინდია, გაგვახსენე მოკლედ ამ ქვეყნის თავგადასავალი.

– მხოლოდ ცოტა რამ ვიცი ამ მხარისა!

– ჩვენზე მეტი ხომ იცი, რაც იცი, ის გვითხარი, დანარჩენს თბილისში მოვიძიეთ...

ბევრი იუარა მინდია, მაგრამ მაინც დათანხმდა,

– მაშ, კარგი, მაგრამ, თუ ყველაფერი ვერ ვთქვი, არ გამიწყრეთ.

– სამხრეთ საქართველომ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ძლიერი სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში.

სამხრეთ საქართველოს ვამბობ იმიტომ, რომ მისი სახელწოდება ცვალებადობდა, VIII-X საუკუნეებში მას ტაო-კლარჯეთი ეწოდებოდა; საქართველოს გაძლიერების დროს, XI-XIII საუკუნეებში, მაშინდელმა კულტურულმა და პოლიტიკურმა ცენტრმა ჭოროხის ხეობიდან გადმოინაცვლა სამცხეში – მტკვრის ხეობაში, და იმ მხარეს მესხეთ-ჯავახეთი დაერქვა. XIV საუკუნიდან კი სამცხე-საათაბაგოდ იხსენიებენ, რადგან ამ მხარეს ათაბაგები მართავდნენ.



– რამ განაპირობა ტაო-კლარჯეთის დაწინაურება?

– იგი განაპირობა, სამხრეთის მხარე იყო, ესაზღვრებოდა ბიზანტიას. იმ დროს (V-VI საუკუნეები) იბერიაში ირანელები ცდილობდნენ დამკვიდრებას. ბიზანტიას კი სურდა, მოსაზღვრე მეზობელი ქვეყანა შეენახა, გაემაგრებინა; ამიტომ ბიზანტიელები ტაო-კლარჯეთის მმართველებს (ბაგრატიონთა შტოს) მხარს უჭერდნენ, ეხმარებოდნენ.

ირანელთაგან შევიწროებული იბერიელები ტაო-კლარჯეთში იხიზნებოდნენ.

მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს იბერია არაბებმა დაიპყრეს და დიდი ხნით დამკვიდრდნენ: სამცხეში ვერ გადავიდნენ და იგი კვლავ ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 790 წელს მურვან ყრუმ გაილაშქრა სამცხისაკენ, მტკვრის ხეობა დაიპყრო და მოახრია, მაგრამ ტაო-კლარჯეთში (ჭოროხის ხეობა) მაინც ვერ გადავიდა. სამაგიეროდ, იბერიაში არაბთა ბატონობა გაძლიერდა, ხალხი სულს დაფავდა, სწორედ ამის შედეგად იბერიიდან და სამცხიდან ხალხი გადადიოდა ჭოროხის ხეობაში და იქ აფარებდა თავს. ამ ხნიდან გაჩნდა იბერიიდან წასულების დასახლებანი გურიაში, აჭარაში, კლარჯეთში.

ტაოში გაიხიზნენ დიდგვაროვანი ფეოდალებიც. ერთმა მათგანმა, აშოტ კურაპალატმა, ბიზანტიელთა დახმარებით მეცხრე საუკუნის დასაწყისს შექმნა ძლიერი საერისთავო.

ქართლიდან ტაოში გადავიდა დიდი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელიც, რომელმაც ხანძთაში დააარსა უდაბნო და მონასტერი, გარდა ამისა, ხელი შეუწყო ხახულის, ოშკის, იშხნისა და სხვა მრავალი მონასტრის დაარსებას. ამ მონასტერთა ირგვლივ სახლდებოდა ხალხი და ქვეყანას მომძლავრება ეტყობოდა.

ტაო-კლარჯეთი მოღონიერდა, დავით კურაპალატმა 974 წელს ქართლში გადმოიყვანა თავისი გაზრდილი ბაგრატ ბაგრატიონი და იგი მეფედ აკურთხეს. ამის შემდეგ დაიწყო ქართლის აღმავლობაც, რაც მეთორმეტე საუკუნეში დავით აღმაშენებელმა დააგვირგვინა. ამას, რასაკვირველია, წინ ბევრი სხვა მოვლენა უძღოდა. 980 წელს უკვე გამეფდა ბაგრატ მესამე, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს შემოუერთა დასავლეთ საქართველო და ამიერიდან საქართველოს მეფეს ეწოდებოდა მეფე ქართველთა და აფხაზთა. ამის შემდეგ იწყება ბრძოლები ბიზანტიასთან, რომელიც შეშინდა საქართველოს გაძლიერებით და ლამობდა მონაპირე ქვეყნების კვლავ ხელში ჩაგდებას (რასაც 1023 წელს გიორგი პირველის დროს მიაღწია კიდეც). გიორგის შემდეგ მეფობდა ბაგრატ მეოთხე, რომელსაც განუდგნენ (თუ მოისყიდეს ბიზანტიელებმა) ტაოს დიდებულნი და სასულიერო პირნი და 1031 წელს იძულებული გახდა, კვლავ ეღიარებინა ბიზანტიის მფარველობა. მაგრამ ბიზანტია მაინც არ ცხრებოდა : ბაგრატს აუმხედრა ლიპარიტი, მესხეთ-ჯავახეთის დიდი ფეოდალი. ცოტა სისხლი როდი დაიღვარა ამ დროს, მაგრამ ლიპარიტსაც აუჯანყდნენ მესხეთის მთავარნი, სულა კალმახელის მეთაურობით. მათ შეიპყრეს ლიპარიტი და მიჰგვარეს ბაგრატ მეოთხეს, რომელმაც იგი საქართველოდან გაამეფა, ბაგრატმა დაიჭირა მისი ციხეები. მაგრამ ამან არ უშველა : 1074 და 1080 წლებში თურქებმა კვლავ მოახრეს ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი და შავშეთი. ხელში ჩაიგდეს ციხე-ქალაქები და სიმაგრენი.

ამ დროს ევროპაში დიდი ჯვაროსნული მოძრაობა დაიწყო, 1097წ. ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. ამან თურქთა ძლიერება შეარყია და ჩრდილოეთით, მესხეთ-ჯავახეთისაკენ, ვეღარ ილაშქრებდნენ. ამავე დროს საქართველოში გამეფდა ბაგრატიონთა შორის უნიჭიერესი დავითი, აღმაშენებლად წოდებული, იგი იბრძოდა საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის. თურქებს აღუკვეთა ხარკი, არაბები საბოლოოდ განდევნა საქართველოდან და 1122 წელს აიღო თბილისი. მისი მფარველობით კვლავ შეიქმნა კულტურის ცენტრები, რომელთა შორის ბრწყინავდა გელათი. აღდგა შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ხახული და კულტურის სხვა კერები. თბილისის განთავისუფლების შემდეგ დავითმა გაილაშქრა ბასიანისკენ. როგორც ქართლის ცხოვრება გადმოგვცემს, «წარემართა ლაშქრითა და განვლო ჯავახეთი, კოლა-კარნიფორი, ბასიანნი სპერამდინ და რაცა ჰპოვა თურქმანნი, მოსრა და ტყვედ ჰყო, ჩამოვლო ბუიათაყური და დაწვა ოლთისნი და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯვებითა!»

ამის შემდეგ დავითმა გაამაგრა სხვა საზღვრები, მოიყვანა წესრგში მთელი სახელმწიფო და შექმნა პირობები, რომლის საფუძველზე გაბრწყინდა თამარისა და რუსთაველის საქართველო. მეთორმეტე საუკუნეშიც უდიდესმა შუქმა ისევ მესხეთიდან გამოანათა, ეს იყო შოთა რუსთაველის გენია, რომელიც დღეს კიდევ მეტი ბრწყინვალეობით ელვარებს.

თამარმა მესხეთის ერისთავს ათაბაგობა<sup>193</sup> უბოძა. თამარის შემდეგ იწყება მონღოლობა, საქართველოს აოხრებანი. აოხრდა მესხეთ-ჯავახეთიც. გადიდგულდნენ ათაბაგები, საერთო ჭირსა და ლხინს გამოეთიშნენ. მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს კვლავ თურქობა შემოესია. 1545 წელს ბასიანში თურქებმა დაამარცხეს ქართველობა და მესხეთ-ჯავახეთი ქაიხოსრო ათაბაგს გადასცეს. 1552 წელს საათაბაგოში ირანი შემოიჭრა შაჰ-თამაზის მესვეურობით და გაჩაღდა თურქთა და ირანელთა ბრძოლა საათაბაგოსთვის. 1578 წ. ოსმალებმა გაიმარჯვეს და დაიპყრეს მესხეთ-ჯავახეთი. აქედან ქართლსაც ხშირად ლაშქრავდნენ.

სამცხე-საათაბაგოს საქართველოდან მოწყვეტა ოსმალებს განსაკუთრებით გაუადვილდათ ყვარყვარე II ათაბაგის დროს, რომელიც გიორგი VIII-ს განუდგა (1469 წ.) და დაუკავშირდა იმერეთის მთავარს, ზაგრატს, 1462 წელს თავი იმერეთის მეფედ რომ გამოაცხადა. შემდეგ ყვარყვარე ათაბაგმა ზაგრატისა და გურიელის დახმარებით სამცხიდან განდევნა გიორგი მეფის მომხრე თავადები, გიორგი მეფემ გაილაშქრა სამცხეში (1465 წ.), მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა ყვარყვარეს. მეფე იძულებული გახდა, სამცხის დამოუკიდებლობა ეცნო. იგი ყვარყვარემ გაათავისუფლა. შემდგომ ამისა ყვარყვარემ შეავიწროვა ეკლესია, განდევნა ერთიანი ეკლესიის მიმდევარნი. რასაკვირველია, ყოველივე ამას ხელს უწყობდა ოსმალეთი, რომელიც ათაბაგების დახმარებით სამხრეთ საქართველოს ამაჰმადიანებდა და თანდათან ფეხს იკიდებდა სამცხე-საათაბაგოში. ქართველი მეფენი ამას ვერ ურიგდებოდნენ და უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ (ლუარსაბ I-ის ლაშქრობა 1575 წ.). ამის შემდეგ მთელ სამხრეთ საქართველოს თანდათანობით იჭერენ თურქნი და მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს მთელი მესხეთ-ჯავახეთი და ტაო-კლარჯეთი მათ ხელშია, თუმცა დიდხანს იჯიჯგნებოდა ოსმალთა, სპარსთა და თვით ქართველთა ხელშიც. 1625 წლისათვის სამცხე-საათაბაგო უკვე მაჰმადიან ათაბაგთა ხელშია. დაიწყო სამხრეთ საქართველოს ძალით თუ ნებით გათურქება. ფაშები ქრისტიან ქართველებს მძიმე ხარკით ბეგრავდნენ, ზოგჯერ მისი გადახდა აუტანელი იყო. თუ მიიღებდნენ მაჰმადის რჯულს, ამ ხარკიდან ათავისუფლებდნენ.

– კარგი, კარგი, გეყოფა სულ ღალატი, ხოცვა, ჟლეტა, – ძილ-ღვიძილში წაიბუტბუტა ვახტანგმა. მინდიაც «დათანხმდა» და იყოჩა.

\*\*\*

მეორე დღე «დასვენების დღედ» გამოაცხადეს. ბიჭები ვანის ქვაბების სანახავად წავიდნენ.

ვარძიის ერთ-ერთმა მცველმა და მოსიყვარულემ, ნათენამემ, შეაგულიანა, თვითონვე უწინამძღვრა კიდეც. უცნაური კაცი იყო ეს ნათენამე; როგორც ამბობდა, ჩვენი ქვეყანა ძალიან უყვარდა; არსად, მისი აზრით, ქართველებს აუცი არ ეთქმოდათ. სწამდა, რომ ყველა დროის ყველა ქართველი იყო უადრესად სულგრძელი, გულმართალი, ნიჭიერი, პატიოსანი, მამულის მოყვარე. ნუ გააგონებდი «ის მოღალატე იყო»: «მერე რა, რომ მოღალატე იყო? იყო, მაგრამ იმას გვარი მიტაცებული ჰქონდა, თორემ წარმოშობით ქართველი არ იყო!» – გიპასუხებდა, – ასე წერია მესხეთის «ქართლის ცხოვრებაში». ამ «მესხეთის ქართლის ცხოვრების» მნახველი კი მის მეტი არავინ იყო.

ვანის ქვაბებში დიდხანს ვერ დარჩა, აუხსნა, თავის თანამგზავრებს, განუმარტა ზოგი რამ: «აქ ერთი მეცნიერი მუშაკი უნდა იყოს, ის ნახეთ და ბევრ რამეს გეტყვითო». თვითონ კი ასპინძას მიეჩქარებოდა. ახალი გზა უნდა გაეყვანათ და ამის თაობაზე იზარებდნენ. «იქნებ ამოგისწოთ კიო», – დაჰპირდა, მაგრამ ასპინძას შეაგვიანდა. საღამოვდებოდა, როდესაც ერეკლე, ვახტანგი, გივი და შალვა ჭაჭკარში დაბრუნდნენ.

– სად იყავით? – შეუტიეს დამხვდურებმა.

– ჯერ ერთი, ვანის ქვაბები აქედან 3-4 კილომეტრზეა, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მაღალ ფრიალო კლდეში გამოკვეთილი სამი სართული მაინცაა. ვარძიას არ ჩამოუვარდება.

– და მე კი არ წამიყვანეთ? – მიეჭრა ერეკლეს ლელა.

– ხვალ შენც გაჩვენებთ, ახლა გზაც ვიციო...

– ჰოდა, სულ ზემო სართულში ჩაშენებულია პატარა ჯვარისებური ეკლესია. რაც მთავარია, ეკლესიის კედლები მთლიანად წარწერებით არის დაფარული. ეს წარწერები თურმე მონაზონ ქალებს ეკუთვნით.

– ეგ საიდანღა გამოატყვრინე? – კუმტად შეესიტყვა ლელა, რომელიც იჯდა, ვარძიის ფრესკიდან გადმოსულს ჰგავდა. ვახტანგი პირველი შევიდა. უცბად კედლის ძირიდან წამოიშრათა ეს «მოჩვენება» კაცი და ჩვენი გმირი ბიჭი ისე შეშინდა, კინაღამ უკან გადმოვარდა. უცნობს კი გაეღიმა. ისეთი კეთილი ღიმილი ჰქონდა, რომ სულ მალე დავეწყნარდით. მაშინღა მოგვაგონდა ნათენამის ნათქვამი: იქ ერთი კაცი მუშაობსო. მოგვესალმა, გაიხარა, რომ ამ ძეგლის სანახავად მივედით. მოგვისხა გვერდით და აღარც გამოგვიშვა. ყველა წარწერა ჩვენთან ერთად ორჯერ მაინც წაიკითხა და წაგვაკითხა. სამწუხაროა, რომ ზოგი წარწერა ჭუჭყითაა დაფარული და ჯერ არავინ გამოჩნდა, რომ გაწმინდოს. უეჭველია, იქ ბევრი რამ ახალი და საინტერესო იქნებაო, – ბევრიც გვიამბო.

– მაგალითად, რა? – იკითხა ლელამ.

– აი, ახლა შენ ცოტა დაწყნარდი და ყველაფერს მოკლედ გეტყვით.

«მართალია, ვანის ქვაბები პირველად 1204 წლის საბუთებში იხსენიება, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მონასტერი ადრე არსებულა. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით, იგი სამეფო მონასტერი იყო, ისე, როგორც შიომღვიმე, ვარძია. შემდეგ თმოგველთა მფლობელობაში გადასულა, რომელთაც ამ მონასტრის წესდებაც დაუწერიათ. წესდების ძალით ამ მონასტერში ქალის მონაზვნად აღკვეცა აკრძალული იყო. მოგვიანებით,

როდესაც პატრონად ვინმე ღარიბაიძე დამდგარა, ქალებიც დაუშვიათ... «და თუ ჩემისა სახლისა ქალმან ანუ სძალმან, ჩოხათა ჩაცმა მოინდომოს, ამის მესამედსა მას მიუძღვნიდით», – წერს ეს ღარიბაიძე.

მონასტერი, როგორც ჩანს, 1551 წლამდე არსებულა. ამ ხანებში შაჰ-თამაზმა მიწასთან გაასწორა ვარძიაც და ვანის ქვაბებიც.

გამოქვაბულის ყველაზე მაღალ სართულშია, როგორც ვთქვით, ჩაშენებული ჯვარის პატარა ეკლესია. ამ ეკლესიის კედლებზე უმთავრესად შიგნით (ზოგან გარეთაც) მონაზონ თუ ტყვე ქალებს მრავალი ლექსი და გულისნადები წაუწერიათ.

– ბევრი წარწერა ისეთია, რომ მონაზვნის ნაწერს არ წააგავს, აშკარად ნაღვლობენ დატოვებულ ცხოვრებას. მონაზონი კი, როდესაც ნებით იკვეცებოდა, აღარც ნაღვლობდა მიწიერ ცხოვრებაზე. როგორც ჩანს, ეს ქალები აქ დამწყვდეულნი ან გადამალულნი უნდა ყოფილიყვნენ... – ერთი სულის მოთქმით თქვა ერეკლემ.

– წარწერები ქალებს ეკუთვნის და მათი სახელი და გვარიც ჩანს, – განაგრძო ახლა ვახტანგმა, – აი, ესენიც: გულქან შალიკაშვილი, ანა რჩეულიშვილი, თუმიან გოჯიშვილი, შადაბან სულთანნი(!). ჯერ ყველა წარწერა იმ «მოჩვენება» კაცს არ ამოუკითხავს და, ალბათ, სხვანიც აღმოჩნდებიან (ნ. ბერძენიშვილმა შეტელიშვილი ხვარამზეც ამოიკითხა). ესენი თავის ბედს მისტირიან. ერეკლე მართალია : ყველა ეს ქალი ან ძალით არის დამწყვდეული ვანის მონასტრის საქალებო განყოფილებაში, რომელიც, როგორც ჩანს, თმოგველების შემდეგ შეიქმნა, ანდა ძალით არიან მონაზვნად აღკვეცილნი.

– აი, ყური მიუგდეთ გულქანის გოდებას:

«ღვთის მადლმა და ამა წმიდათა მადლმა, ჩემისა ულამაზესი დედამიწისა ზედა არა იარებოდა და არც სხვა გამოსულა, არცა თვალად, არცა ტანად, არცა ზნითა, არცა გონებითა, თორემ ჩემი მნახველნი არ გამამტყუნებენ». ანა რჩეულიშვილი კი ასე მოთქვამს:

«ვერ დავალ, ვერც გავიხარე სმითა, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა რძლითა. გაუხარელი მოვკვდე გაუხარელად».

ასეთი გოდების დამწერნი, რასაკვირველია, თავისი ნებით არ აღკვეცილან მონაზვნად. ცხადია, მათ თავს რაღაც ტრაგედია დატრიალებულა და საეკლესიო თუ საერო ხელისუფალთ აქ დაუმწყვდევიათ.

მონასტრიდან გაყვანა კი არავის შეეძლო. მოიგონეთ აშოტ კურაპალატი, რომელსაც გრიგოლ ხანძთელმა ხარჭა მოსტაცა და მონასტერში დაამწყვდია. როცა აშოტი მონასტერში გამოცხადდა და მონასტრის წინამძღვარს, ფებრონიას, სთხოვა: «ცოტა ხნით გამოუშვი სახლშიო», ფებრონიამ უარი უთხრა და აშოტ კურაპალატმა სიმწრით წარმოთქვა: «ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო», და ხელი აიღო მონასტერთან შეჭიდებაზე.

ეს წარწერები ბევრით არის ფრიად მნიშვნელოვანი : ჯერ ერთი, ანა რჩეულას ძის წარწერაში «ვეფხისტყაოსნის» არსებულ ხელნაწერზე ორი საუკუნით ადრე დადასტურებულია პოემის ორი სტროფი, სახელდობრ:

*«ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,*

*გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,*

*დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,*

*მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.*

*ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მეგრძოლთა წესითა,*

*ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა.*

*შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა,*

*მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა».*

– ეს სტროფები ზეპირად არის დაწერილი და, ცხადია, შეცდომებიც იქნება, მაგრამ ეს წარწერას მნიშვნელობას ოდნავადაც არ უკარგავსო, – გვითხრა ჩვენმა ახალმა მეგობარმა.

გარდა ასეთი წარწერებისა, – გვიამბო შერმადინ ონიანმა, – XV-XVI საუკუნეების ხალხური ლექსებიც ბევრია. წარწერებში, გარდა «ვეფხისტყაოსნის» სტროფებისა, გვხვდება როსტომიანის ტაეპებიც.

მიუხედავად იმისა, რომ XV-XVI საუკუნეებში დიდი ავბედობა დაატყდა საქართველოს, ხალხში ლიტერატურა მაინც ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაც ერის დიდ კულტურაზე მეტყველებს.

– ეგ შენი სიტყვებია, თუ?.. – იკითხა ლელამ.

– რადა, მთელი დღე გველაპარაკა ის დალოცვილი და მეც დავიხსომე!...

\*\*\*

ახალგაზრდები დილით ჭაჭკარის ვენახებსა და ბაღებს აჰყვენენ, ოროკოდან<sup>194</sup> ოროკოზე ადიოდნენ.

– აფნია – გოგაშენის ბაღებია იქ. ზემოთ, ჯავახეთში, ხილი ხომ არ მოდის, აქ კი ყველაფერი ხეირობს.

- აი, ჩვენი საბავშვო სახლი-დედული ესაა, – მიუთითა ახალმა მეგობარმა 10-15 მეტრის სიგრძე ნაკვეთზე, რომელიც ოთხ-ხუთ საფეხურად ადიოდა მაღლა, კლდოვან და მოხრიოკებულ კლდეზე.
  - ზემო ოროკო ხუთიოდე წელია, გავაკეთე, შუბლის კედლის კეთებას მთელი ზაფხული მოვუნდით. ქვა ზურგით ვზიდეთ ჭაჭკარის ხევიდან. როგორც იყო, ავაგეთ, ახლა არ გინდა, მიწა იშოვო? მეორე ზაფხულს მტკვრის პირიდან ვზიდეთ ხან ლამი, ხან თიხა, ფარეხებიდან ძველი დრემლა<sup>195</sup> აქამდე, კლდის ძირამდე, სახედრით მოვიტანეთ, აქედან ზურგით ავზიდეთ, ესეც გაივსო და მესამე გაზაფხულისთვის უკვე გვქონდა საბოსტნე, მაგრამ წყალი? ეს ჩვენი მეოთხე ოროკო სარწყავი რუს ზევით მოექცა. გარეჯის უდაბნოში მქონდა ნანახი დაკაწრული კლდე წვიმის წყლის მოსაგროვებლად. აგერ გამოვჭერ ორმო და კაწრები ორმომდე ჩამოვიყვანე, წყალი გროვდება.
  - სულ რამდენია ეს საბოსტნე?
  - თორმეტი სიგრძე, ორი სიგანე.
  - მერე ამისთვის ამოდენა ჯაფა?
  - ჯაფა უკან დარჩა, ავიდეთ, ვნახოთ, იქ კიტრიც არის, ხახვიც, ბოლოკიც...
  - განა რით ჩამოუვარდებიან იმ იაპონელ ცოლ-ქმარს, კლდოვან კუნძულზე მიწა რომ ზიდეს, გახსოვს?
  - რა დამავიწყებს იმ სურათს.
  - რომ იარსებო, უნდა იბრძოლო, იშრომო, არა?
- გაერთნენ ახალგაზრდები.
- ძირის ოროკოს ნაპირას თითო ძირი ჭანჭური და თუთა იდგა, თუთაზე ვაზიც ასულიყო.
- აქ ჩვენი მესხური ჯიშებია, ცხენის ძუძუ, თითა, ბუდეშური, ხარისთვალა...
  - აგერ, ის ვაზი რა მსხვილია! – გაიქცა ლელა მეორე ოროკოს ბოლოსკენ.
  - მამი, მამი!
  - რაო, რა გინდა?
  - ის ვაზი რამდენი წლისაა?
  - მამაჩემმა მითხრა, ბალღობაში, შენოდენა რომ ვიყავი, ეგ ვაზი მაგ სიმსხო იყო.
  - თქვენ რამდენი წლისა ბრძანდებით?
  - შალვამ იანგარიშა და 85 წლისა ვარ თურმე.
  - მაშ, ვაზი 150 წელზე მეტისაა?
  - რატომ არა? ჩვენი მხარე ვაზის მხარეა. არ გაგიგონიათ?
- «ხიზაბავრა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი,  
წინ მინდორი და უკან ტყე, ღვინო იცის გვარიანი».*
- ახლა სერგომაც დაუმატა:
- «ღვინო ბოგასა, პური კლდეს, თევზი მე მთხოვეს ტობასა,  
თუ გინდა წითელი ვაშლი გაღმა-გამოდმა წყაროსა».*
- მაგრამ ჩვენი მხარე მაინც ხეხილის მხარეა. სად აქაური ღვინო, სად კახური, სად სვირული, მუხრანული?
  - სახლში მოყვანილიც კარგია!
  - ჰო, სახედაშეოდ<sup>196</sup> აქ მაინც ვაშლი, მსხალი, თუთა, ჭანჭური, ქლიავი, დამასხი, ბალი, ალუბალი ჯობს.
- გიორგი კი იდგა ამ დროს და ოროკოებს იხატავდა. ერეკლე სურათებს იღებდა.
- ზემო ოროკოს შუბლზე იყო აყვანილი ორი თუ სამი ძირი კიტრი, ერთი თუ ორი აყირო<sup>197</sup>, ქართული გოგრა, შიგ ბოსტნებში ერთ სარეველა ბალახს ვერ ნახავდით.
- ძალიან კია გასუფთავებული!
- მოხუცმა ძველი ლექსით უპასუხა:
- «მეცხვარე მგლისა შიშითა ვერ გაიგრძელებს ნადიმსა,  
თუ გაიგრძელებს, ინანებს, მგელს გაუკეთებს სადილსა».*
- მიწა ცოტაა და თუ მას თვალისჩინივით არ მოვუარეთ, არა გამოვა რა. ერთი-ორი დღე ბოსტანს თვალი რომ აარიდო, სარეველა შეჭამს და ჩვენი მგელიც ეგაა.
  - შენ ისა თქვი, ამოდენა ნასოფლარები რომაა, რით ცხოვრობდა?
  - მარჯვენით, შვილო, მარჯვენით, – უპასუხა მოხუცებულმა, – მარჯვენა დიდი საქმეა!
  - აი, ის ფასკუნჯი<sup>198</sup> რას დასტრიალებს ნეტავ ამ არემარეს? – თითქოს ცას ეუბნებო, გივი ისე უცქეროდა ფასკუნჯის ირას ლურჯ ცაში.
  - კაკბები დაიგულა, ალბათ, სადმე?
- აქ კაკბებიც ბევრია და გნოლიც<sup>199</sup>, აი, ამ ხრამის კედლებზე და ფერდებზე.

\*\*\*

ახალი მეგობრების წინამძღოლობით ბიჭები ციკაბო აღმართს შეუდგნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღმართს ხშირად დაღმართიც მოსდევდა, ზოგან საკმაოდ ღრმა ჩაღმართი იყო და ხნარცვებში იკარგებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, გაუმართლდათ. ლელამ კი მალე იბრუნა პირი და გიორგისა და მინდიასთან ჩავიდა. ერთი ხნარცვის ნაპირიდან კაკბების მთელი გუნდი ამოფრინდა, წითელფეხებდაშვებულნი რუკრუკით გაღმა ჩაფრინდნენ სადღაც.

– ამათზე ნადირობა მართლა ვაჟკაცობაა, კაცს მგლის მუხლი უნდა ჰქონდეს, რომ მაგათა სდიოს.

– მოინარიკლეს კია და! შირაქში სანთლითაა საძებარი.

– მოდი, გავყვეთ, რას იზამენ?

ვახტანგმა ხნარცვს ჩახედა, თავი გააქნია და თქვა: არა, ძმავე, არ ჩავალ.

– ეე, შენც, მგლის შემინებულმა ძაღლმა მთელი წელიწადი მთვარეს უყეფაო, შენ გუშინდელი ციკაბოსაგან ხარ შემინებული.

– ნეტაი შენც, რას მეჯავახები, თუ იცი?

გუშინ ჩაიწერა ვახტანგმა ეს სიტყვა და ახლა გაუხარდა, რომ გამოიყენა.

– მართლა და, რას ჯავახობთ, ამოდით, ამოაღწიეთ... – ჩამოსძახეს ზევიდან გივიმ და სერგომ.

– აქედან, თავიდან გადავიდეთ.

შალვა კი არსად ჩანდა, იგი ბუჩქებს შერეოდა და მცენარეებს აგროვებდა.

– მტკვრის მარცხენა ნაპირის ხრამი სამხრეთს უცქერის, გახსოვთ, აფნიიდან რომ ჩამოვედით, ზოგან მუხაც იყო, რცხილაც... აქ კი მარტო გვლერძაა, ნარეკალა, ურცები და ასეთნი.

– არც ისეთი შრეებია ვულკანური ქანებისა, როგორც გაღმით.

\*\*\*

გაუჭირდათ, მაგრამ კიდევ მალა აიწიეს და კარგად გამოჩნდა მტკვრის ხეობა, ხერთვისიდან ვიდრე ოლოდას სანახებამდე; მართალია, ყველა კუთხე-კუნჭული არა ჩანდა მტკვრის ხვეულების გამო, ზოგან ქედი იყო წინ წასული და ზოგიერთ სოფელს თუ ნასოფლარს ფარავდა, მათ წინ ამართულიყო ბაზალტის შიშველი კლდეები, ნალექ ქანებზე დაწოლილი ტუფრეჩიები. აი, მათ წინ ვანის ქვაბები, მის ქვემოთ მტკვრის ხეობა განივრდება. აქაა ძველი წუნდა<sup>200</sup> ნაქალაქევი. მას ზემოდან, ჯავახეთის ზეგნიდან, დასცქერის მეთაე საუკუნის (964წ.) ტაძარი კუმურდო. წუნდას წარსული დიდებიდან აქ შემორჩენილია მხოლოდ შესანიშნავი ჩუქურთმებით დამშვენებული ტაძარი, რომელიც წუნდის კრიალა ტბაში იცქირება და თავს იწონებს.

ქვევით ხერთვისის ციხე ამართულა, მარჯვენა ნაპირზე ნავარძიევია, აქ სამი გელსუნდაა, ორი მარცხენა ნაპირზეა, ერთი – მარჯვენაზე.

ზევით, მტკვრის შეყოლებაზე ნასოფლარები ფია და ჯოლდაა, დარჩენილია ცნობა, რომ ბექასა და აღბუღას კანონთა კრებული ჯოლდაშია დაწერილი, გასაკვირველიც არაა. მარცხენა ნაპირზევეა შუა საუკუნეების უდიდესი სიმაგრე თმოგვი, თმოგველთა რეზიდენცია. შემდეგ გაღმა-გამოღმა შემოსდევს ბერისხევი, ვარძია, ზედა ვარძია, ჭაჭკარი, ქორისხევი, ახჩია, ოლოდა, ვერტაში, მირაშხანები და სხვა.

მაგრამ, რაც მთავარია, გაღმა-გამოღმა კლდეში ნაკვეთია აუარებელი გამოქვაბული, გარდა ვანის ქვაბებისა და ვარძიისა, მტკვრის ხევის აყოლებაზე მრავალია გამოქვაბულების დიდი და პატარა კომპლექსი, ბევრი გამოქვაბულია ნალექი ქანებისა და ვულკანური ქანების შეხვედრის ადგილას, სადაც ბუნებრივად მრავალი მცირე გამოქვაბული იქმნებოდა, რაც საბაზს აძლევდა ადამიანს, ჯერ რბილ ქანში და შემდეგ მაგარ ქანშიც თვითონაც გაეკეთებინა, ან ბუნებრივი გამოქვაბული გაეგანიერებინა, წაეგრძელებინა, თავის საჭიროების მიხედვით გაემართა. დააკვირდით მარგისტანის, ქორისხევის, სადყუდებულოს და სხვა კომპლექსებს, ასეთი ტიპი ყველგან ჩანს.

აგერ, შორს, ცის დასალიერზე, ჯავახეთის ზეგანზე გაჭიმულა სამსარის ქედი, სამსარის ქედზეც არის გამოქვაბული...

– სერგო, ყოფილხარ სამსარზე?

– ყოფილვარ, იქაც ბევრი რამ არის კარგი და საინტერესო; ერთ-ერთ გამოქვაბულში კლდეში ნაკვეთი გლეხური დარბაზია, დედაბოძი გამოკვეთილია, თავზე კი გვირგვინი ადგას, საიდანაც სინათლე ჩამოდის.

– ეს გამოქვაბულები, ძირითადად მაინც, სახიზრები იყო. ასეთი სახიზრები საქართველოში ბევრი გვქონდა, განსაკუთრებით მესხეთში, არსიანისა და ჯავახეთის მტკვრის ხრამებში. ქვემო ქართლში ქცია, მამავერას, ფოლადაურის ხრამებში, ცოტა არაა არაგვის ხეობაზეც, ყვირილას ხეობაში და სხვაგან.

დიდხანს, დიდხანს გასცქეროდნენ ამ შიშველ კლდეებს, დღესაც რომ ცოცხლობენ...

\* \* \*

ჩაჰყვინენ იმ სერს, სადაც კაკაბთა გუნდი ჩაჯდა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მათ იქ ვერაფერი ნახეს. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ უყო პირი, ვერ გაიგებდი.

– აგერ, გველხოკერა მიიკლანება.

– ფრთხილად მოეკიდეთ, აქ იშვიათად, მაგრამ მაინც მოიპოვება რქოსანი გველ-გესლა, შხამიანია...

დაბრუნებისას სერგო გაუძღვა, თვალით უხილავი ბილიკით მიდიოდა.

– რას ხედავ ნეტავ?

– რაც მე აქ ძროხა-თხისთვის მიდევენია!

– სწორედ მაგან ჩამოახრიოკა, ალბათ...

– რაც თავი მახსოვს, ეგრეა.

ვერც კი შეამჩნიეს, რომ მზეს ღრუბელი გადაეფარა და არსიანის მხრიდან დაიგრუხუნა, დაიგუგუნა, ღრუბელი მალე ჩამუქდა და მალე ელვამ გაჰკრა, გაჰკრა და იჭექა კიდეც.

– ჩქარა, ბიჭებო! თორემ... – წვიმის მსხვილი წვეთები დაეცათ სახეზე.

გრგვინვამ უმატა. ჩამოზნელდა.

– ცა ჩამონგრევას აპირებს!

– არა უშავს რა, უკვე შინა ვართ.

ჩარბოდნენ დამრეც ფერდზე და ზურგში წვიმის წვეთი და ცის გრუხუნი უბაგუნებდა.

– მადლობა ღმერთს, გამოჩნდით! – შეეგება ლელა.

### **მიდის და მიუხარია**

«ისე დავბერდი,

*ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი,*

*ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული,*

*როდის მოუვა მათ გაზაფხული?»*

### **გ. ლეონიძე**

– გივი, ერეკლე, გაიღვიძეთ... – ჩასჩურჩულებდა ვახტანგი ხან ერთსა და ხან მეორეს. თანაც ფრთხილად გადახედავდა ხოლმე გიორგის, ხომ არა ღვიძავსო.

– ადექით, ადექით... – ისინიც წამოცვივდნენ, დასტაცეს ხელი წერაყინებს, სადამოსვე მომზადებულ აბგებს, რომელშიც ცოტაოდენი სანოვაცე ჩააწყვეს და სწრაფად მიეფარნენ კლდის ქიმის უკან, ქვაყრილებში.

– მტკვრის პირს დავადგეთ, აკი თქვეს მინდია და ზვერელმა კაცმა: მანდ ძველისძველი ბილიკიაო.

– მერე საზღვარი?

– კლდეებში ვიაროთ და ვნახოთ. იქნება ვერ შეგვამჩნიონ.

საქმე იმაშია, რომ მტკვრის სათავის ნახვა უნდოდათ, მთელი კვირა ტაო-კლარჯეთითა ბოდავდნენ, ხან რას ამბობინებდნენ მინდიას და ხან – რას. მამას ჩააცივდნენ : გადავიდეთ, ვნახოთ და წამოვიდეთო. გიორგიმ აუხსნა, საზღვრის გადალახვაც ხუმრობა საქმე არ არისო, მომავალ წელს შევეცდები, ტურისტის მარშრუტით წავიდე და ზოგი რამ ვნახოთო. მათ კი ახლა უნდოდათ.

– მინდია, ჩვენ წავიდე, როგორ არ გადავალთ?

– კარგი, კარგი, წავალთ. დღეს, ხვალ თუ ზეგ, – ესლა უთხრა ვახშმის შემდეგ, რომ ველარაფრით დაამშვიდა.

სოფელ ვაშლობის ძირში გაიარეს, გზა ლოდნარი იყო, თუმცა რის გზა? ნაპირი იყო მტკვრისა ქვა-ღორღით მოფენილი. მალე უკან დარჩა სოფლები ქავთარები, პეტრისი...

– ბიჭოს, ჩვენ ძველ ტაოში გადმოვსულვართ! – წამოიძახა ვახტანგმა სიხარულით.

– მაშ ახალი საზღვარი უკან დარჩა?

– სწორედ!

– სძინავთ, თუ რა არის? – გაიკვირვა გივიმ, თან ისე სწრაფად მიდიოდნენ, თითქოს ფეხში ნიავექარი შესდგომოდათ.

გაიარეს ღრმა ხრამები, სოფლები ჩანდა, მაგრამ ბაიბური არ ისმოდა, სიჩუმე იქნებოდა, მაშ რა? ღამე იყო და ყველას ეძინა.

ჩვენი მგზავრები კი კისერწაგრძელებულნი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. უცბად

ერთ მომაკვდავი ტბის პირას გაჩნდნენ. არა, ტბა კი არა, ვრცელი ჭაობები იყო არსიანის<sup>201</sup> მთის კალთების ძირს გადაშლილი. ვრცელი იყო, იქიდან გამოსული მდინარე იგრძობოდა, ყულფებს აკეთებდა. მათ გვერდი აუქციეს და ვიწრო ბილიკს დაადგნენ. რაკი ბილიკია, სადმე მიგვიყვანსო. მართლაც, ერთ პატარა ბანიან სახლებთან სოფელს მიადგნენ.

ირიყრაჟა. განაპირა სახლის წინ ხალხი შეკრებილიყო. სალაში მოახსენეს, ამითვე უპასუხეს. არ გაიკვირვეს მათი ხილვა. საით მიდიხართო, – ჰკითხეს მხოლოდ.

– ტაოში გვინდა გადავიდეთო... ფანჯურეთის ზეკარი გვინდა გავიაროთ და გზა მიგვასწავლეთო.

– დაიცადეთ, შვილო, ფანჯურეთის ზეკარამდე დღეს ვერ მიხვალთ!

– ვითომ რატომაო?

– გზად ტაო-კლარჯელი ქალები შემოგეყრებათ...

– ??

– დაიცადეთ, თვითონ თქვენვე ნახავთ.

– ქველთობის თვეა<sup>202</sup>, საქართველოში ამ დროს გვალვა იცის და ჩვენი ქალები მთელი წელიწადი ცრემლს აგროვებენ დიდ გოზაურებში, როდესაც თავისი სამშობლო აგონდებათ, სულ ტირიან; ცრემლი არ დაიკარგოსი და აგროვებენ, – დაიწყო მეორე ჭადაროსანმა.

– ვაჟკაცი? ვაჟკაცი არა ტირის?

– ვაჟკაცი, მაინც ვაჟკაცია, ის გულში იკლავს დარდსა და ვარამს.

– მერე, მერე, რომ აგროვებენ?...

– ჰოდა, ქველთობის პირველ სამ დღეს აქ მოდიან ტაოელები, კლარჯეთელები, ერუშელები, ლიგანელები, ყველა, ყველა, ვინც კარში დავრჩით, მოდიან მტკვრის სათავეებში, ზოგი – არსიანს, ზოგი – კოლას. მოაქვთ გოზაურებით თავის ცრემლი და უმატებენ მტკვრის წყალს – არ დააკლდესო, მთის გადაღმა დარჩენილი ძმების ყანები მოირწყოსო. მტკვარს ჯერ თითქოს ეზარება მისი მიღება; გახედეთ, როგორ ეზარება, ძლივს მიიკლავნება, მაგრამ როდესაც ჩახვდება, საქმე რაშიც არის, როდესაც კოლას წყალსაც მოაქვს ეს ამბავი, გამხიარულდება და მიდის ქვევით, მიდის და მიუხარია.

გაოცებისაგან ბიჭებმა ჩაიმუხლეს და კედელთან დაგდებულ მორზე ჩამოსხდნენ.

– საიდან მოდიანო? – იკითხა კვლავ ერეკლემ.

– აკი გითხარით, კოლადან, ტაოდან, კლარჯეთიდან, ლიგანის ხევიდან, ერუშეთიდან.

– თქვენი ქალები...

– ჩვენი ქალები პირდაპირ მტკვართან მიდიან თვეში ერთხელ და იქ ტირიან, თავის სამშობლოს იგონებენ.

– დიდხანს აღარ დაგჭირდებათ ლოდინი, კარგად ინათებს თუ არა, გამოჩნდებიან, პირველად ტაოელები მოვლენ.

– რას წერს ვახუშტი ამ მხარეებზე? – იკითხა გვიმ.

«ხოლო ქვეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი, მტკვარი და ჭოროხი, რამეთუ მტკვარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თვინიერ ჭანეთისანი... და მდინარე ესე მტკვარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას, და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდან მიდის სამხრეთიდამ ჩრდილოეთად, ვიდრე ახალციხის წყლის შესართავამდე<sup>203</sup>. მერმე მუნიდან გაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობისხევამდე... გარნა ესე მტკვარი დის ერუშეთის მდინარის შესართავიდამ, ვიდრე ჭობისხევამდე, ქართლისაგან უმეტეს ჩქარად და კლდოვანსა და ხრამსა ქვიანსა შინა. და ერუშეთის მდინარის შესართავს ზეით, არტანსა და კოლასა შინა, ფრიად მდორედ და გრეხით სივაკის გამო, და არს თევზთა სიმრავლე მას შინა. და მთის კერძოდ უფროს კალმახნი – დიდნი და წვრილნი. სასმისად არის გემოიანი და შემრგო, უფროს ქართლისაგან, და სხვად არარადმე სახმარი».

– ვახუშტი რომ ახლა ცოცხალი იყოს, ამას ასე გადააკეთებდა:

«არამედ მისგან მიიღებენ ელექტრომალასა ფრიად დიდსა, რამეთუ ჩითახევს, ზემო ავჭალას, თბილისს და მინგეჩაურს არს შენებული ელექტრონის მიმღები წყლისაგან მისისა დიდ-დიდი სადგური. მისგან ირწყვის ზემო ქართლის მინდორნი, დიდმისა ველი, გარდაბნის დიდი ტრამალი. მტკვარი მრავალნაირად სახმარიო»...

– კარგი, შენც ნუ მოჰყვები, რაც იყო მაშინ, ის დაწერა.

– მეც, რაც ახლა არის, იმას ვამბობ.

– ვნახოთ შემდეგ.

«ხოლო არს ქვეყანა ესე<sup>204</sup> ფრიად მრავალ და დიდროვანმთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარი ადგილ-ადგილ ცივი და



დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქვს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს – ფრიად ცხელი და გაუსაძლისი, თვინიერ აგარაკთა. ჰავით მშვენიერი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე

ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ, და ხილნი, რომელნიცა ავლსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი<sup>205</sup> და სავარდენი. გარნა ტყეთა მთათა და ველთა ვიეთთა ადგილებთა შინა მრავალ არიან, ვინათგან მთა და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყვი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არ არს. ფრინველნი ურიცხვნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასკატა არ არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი, მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თავაზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არ არს მდინარე-ტბათა შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგდენნი. ფუტკარი მრავალნი და თაფლნი კარგნი და მრავალნი».

ას წელზე მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც სამცხე-საათაბაგო საქართველოს ფარგლებში აღარ იყო (1620) და რაც ვახუშტი (1725-40 წწ.) ამას წერდა. ჩანს, ენაება და მისტირის.

– ჰო, გასაგებია, წაიკითხე სხვადასხვა მხარე და, აბა, იქა ნახე ცრემლი!

– ბევრია!

– ძირითადი წაიკითხე. ხომ უნდა ვიცოდეთ.

«...ვარძიას ზეით, ხრამის თავს, სამღერეთს, მტკვარს მოერთვის ერუშეთის მდინარე... და არს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნადირითა და მდინარე თევზითა. არამედ მთანი არიან ტყიანნი<sup>206</sup> გარემოს მისსა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი<sup>207</sup>.

ხოლო სამღერეთისა და ერუშეთისწყლის შესართავს ზეით არს არტაანი, ქალაქი მცირე, რომელიცა აღაშენა ჯავახოს, ძემან მცხეთოსისამან, მტკვრის დასავლით კიდეზედ, და ციხე მაგარი... აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, მშვენიერი და აწ ცალიერი...»

ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე.

ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკვრის კიდის დასავლეთით არს მცირე ქალაქი კოლა და ზის აწ ფაშა... არამედ კოლის ადგილებთა შინა მოერთვიან მტკვარს მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთიდამ და მათ ზედა შენ არიან დაბნები. და არს მთა ესე მცირეტყიანი, და არს ბალახ-შამშ-ყვავილოვანი<sup>208</sup>, წყაროიან-ნადირიანი, გარდავლენან მას ზედა გზანი ყარსის ადგილებთა შინა; დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა, და აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას, არტანუჯსა შინა. და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-წყაროიან-ბალახ-შამშროშნიანი<sup>209</sup> და ზაფხულს ფრიად შვენიერი; და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვით და ჰავით, ვითარცა ჯავახეთი... ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა საერისთო»...

– აი, ერეკლე, ამის შემდეგ იწყება ჭოროხის ხეობის აღწერა, – და ვახტანგმა ჩაარაკრაკა კიდევ ორი გვერდი.

– ვინ დაწერა ეგ? – იკითხეს მასპინძლებმა.

– ვახუშტიმ.

– ქართველი კაცი იყო?

– კი, ქართველი...

– კარგად წერს, ეტყობა, ჰყვარებია, – ამ შემთხვევითმა რეპლიკამ ბიჭები ჩააფიქრა. «აი, რადაა დღესაც ცოცხალი ვახუშტის წიგნი, სიყვარულით უწერია», – თქვეს გულში.

– ცოტა კიდევ წავიკითხოთ, არა? – იკითხა ვახტანგმა.

მიიღო დასტური და განაგრძო:

«ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად. და არს ლიგანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველივე. მარცვალი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესენ ბრინჯ-ბანბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლორებენ მთები თოვლიანნი და აგარაკნი შვენიერებით აღმკულნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი და ყოველთა ნაყოფიერებით აღვსილი».

ხოლო ართვინს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ხევი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლეთით. ამ ხეზედ არს იშხანის ციხე, ფრიად მაგარი, დიდშენი, და ეკლესია გუმბათიანი, დიდშენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე

ტრაპიზონის მთამდე, და აქ ცალიერ არს. ამ ხევს ზეით არს ჭოროხზედ ხვარამზეს ხიდი, ქვიტკირისა, მრავალთვალი, შვენიერად გებული».

– ესევეა დახასიათებული ბასიანი, ოლთისი, თორთუმი და სხვა.

– აქ ყველაფერს ვერ წაიკითხავთ, ჩაჯდომა უნდა.

– არ ვიცი, კიდეც რა, მაგრამ რა შეეძრება ლიგანის ხევის აღწერას. ყოველმხრივ შემკულია, ცოდო არ არის, რომ იგი გვერდში არ ედგეს გურიას და აჭარას?!

– სწორედ ეგრეა, კარგად სცოდნია, – კვლავ მოუწონა მეორემ.

– აგერ, მოდიან, გამოჩნდნენ!

ჩვენი ბიჭები ჯერ ვერას ხედავდნენ.

– წავიდეთ, მე შეგახვედრებთ, – თქვა მოხუცმა და გაუძღვა ვიწრო ბილიკით.

მალე შეეგებნენ შავებში გამოწყობილ ქალებს, თავმოხდილები იყვნენ. კოკა თეთრმანდილშემოხვეული ედგათ მხარზე.

– დღევანდელი დღე ნათელი დღეა, როცა ჩადრობა იყო, ჩადრს მაშინაც არ იხურავდნენ, დღეს კი, როდესაც უკან გაბრუნდებიან, თეთრ მანდილს დაიხურავენ თავზე, ძველი წესით, თმაგაშლილები, მიდიან.

მოდით და მოდიოდა უწყვეტად გუნდი და გუნდი ქალებისა. ორმოცი, ასი, მოდიოდა და აპირქვავებდა თავის კოკას მტკვარში... ამართებოდა წელში და ამომავალ მზეს შესცინებდა.

– აგერ ისინი, შავშეთელებია, ესენი კლარჯელები, ესენი კი ერუშელები, წინათ ცალ-ცალკე მოდიოდნენ, ახლა კი გადაუწყვეტიათ, შეხვდნენ და გაუზიარონ ერთმანეთს თავისი გულის ვარამი.

ზოგმა მალე გაიგო, ვინც იყვნენ ეს უცნაური მოგზაურები, უხმოდ მოდიოდნენ ბიჭებთან და შუბლზე კოცნიდნენ.

– აგერ ჩვენებიც, არტანელებიც, წამოვიდნენ... – თქვა.

– ამდენი ცრემლი წალეკავს ქვეყანას... – ამოიკვნესა ერეკლემ.

– წმინდა ცრემლი მაცოცხლებელია ქვეყნისა. აბა, გახედეთ მტკვარს!

მართლაც, მტკვარი თითქოს უფრო ჩქარა მიდიოდა და მიქუხდა, რაკი სცილდებოდა ვაკეს.

– მიდის და მიუხარია?

– რა მიუხარია?

– როგორ თუ რა? თავისი ორას-სამასი წლის წინათ დაკარგული და-ძმის ამბავი მიაქვს, წყალმრავლობა მიაქვს... მორწყავს მინდორს, ბაღს, ბოსტანს, ვენახს... ღვინოს დაწურავენ, ჩვენც მოგვიგონებენ, ხომ მოგვიგონებენ?

– არ გვავიწყდებით არასდროს, – უპასუხა ერეკლემ.

– მერე?

სიჩუმე ჩამოვარდა.

– კარგი, ეს «მერე» მერე იყოს.

– ჩვენ გვინდა იშხანი, ოპიზა, ბანა ვნახოთ...

– ძნელი არაა, აგერ, ერთი ქალი ჩემკენ მოდის, ჩემი დაა, იშხანშია გათხოვილი, იმას გაგატანთ, გაჩვენებენ.

– პირიმზევ, როგორ გიკითხო, – მიესალმა მოხუცი.

– რა საკითხავები ვართ, სხვის ჩრდილში მოქცეულები?

– აი, ეს ბიჭები, მამლაკეთელები<sup>210</sup> არიან, თავისი ქვეყნის ნახვა უნდათ, წაიყვანე, აჩვენე იშხანი, ოპი, ხახული.

– დაგენაცვლოთ ჩემი თვალები... – და სამივე გადააკოცნა, ჯვარი გამოსახა.

– ქრისტიანობა დაკვარვით, მაგრამ ზოგი ჩვეულება შეგვრჩა, – განმარტა მათმა მეგზურმა.

– ჩემი ბიჭი დაატარებს...

გამოემშვიდობა ძმას, გივის მხარზე ხელი დაადო და გზას გაუყვა.

– ასეთი ჩვეულება გვაქვს, დღესვე უნდა დავბრუნდეთ სახლში და მტკვრის წყალი ცოტა მაინც ჩავიტანოთ, – განმარტა ქალმა. მთა გადაიარეს და გადახედეს ჭოროხის ხეობას. ამ მთების კალთებზე იღებდნენ სათავეს თორთუმის წყალი, ოლთისისწყალი; სწორედ მის ნაპირებს უნდა ჩაჰყოლოდნენ, რომ იშხანში ჩასულიყვნენ; სამხრეთიდან ჭოროხს უერთდებოდა პარხალისწყალი, იშხანის ქვემოთ, მარჯვენა ნაპირი კი იერთებდა იმერხევსა და არტანუჯისწყალს.

გადახედეს იშხანს და მის შესანიშნავ ტაძარს; გაცოცხლებული იდგნენ და უმზერდნენ.

სხვადასხვა მხრის ბილიკებიდან კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ გოზაურიანი შავოსნები.

– ესენი პარხალისწყლის ხეობელებია.

– განა ამდენი ხართ ქართველები?

– როგორ არა ვართ, ღმერთმა გვამრავლოს! – გულითადად წარმოთქვა პირიმზემ.

\* \* \*

იშხანი დიდი სოფელია, სახლები ქვისა და ბანიანი, ჰაერი – შესანიშნავი, მრავალ ადგილას გადმოჩქეფს ანკარა წყარო, იშხნის ზეგანი ირგვლივ მთებითაა შემოფარგლული, მის აღმოსავლეთით აღმართულია ქარიელის მთა. სოფელში ადრე შენიშნეს პირიმზე უცნაური მგზავრებით და ჭრელკაბახალათიანი გოგოები გამოჰყვნენ ვიწრო ბილიკზე. წინ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკი მორბოდა.

- ჩემია ოსმანა, თქვენებური სახელიც ჰქვია – ვაჟიკა, სახლში ვაჟიკას ვეძახი.
- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, – მიესალმა ვაჟიკა და ერეკლეს გოზაური ჩამოართვა.
- რა ამბავია, დედა, გაატანე დანაბარები?
- გავატანე, შვილო, გავატანე!...
- ბიძაჩემი ხომ კარგადაა.
- კარგად, შვილო, მოგიკითხათ.

ბიჭებმა ტაძრისაკენ გაწიეს, რომელიც სოფლის განაპირას დგას განცალკევებით, იგი ყოველი მხრიდან კარგად ჩანს; ლოქის ზეკარიდან თვალისმომჭრელი სურათი იშლება. აქედან ჩანს ოთხთა ეკლესია, პარხალი, რაც ასე იშვიათია ტაო-კლარჯეთის ხეობებით ღრმად დაღარულ მხარეში. ამჟამად იმ დიდებული მთავარი ტაძრის ირგვლივ ერთი პატარა ტაძრის მეტი არაფერი დარჩენილა. იშხანი კათედრალური ტაძარი იყო, იშხნელი ეპისკოპოსები საქრისტიანო საქართველოში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. გარდა იშხნისა, კლარჯეთში იყო კიდევ ორი საეპისკოპოსო – ანჩისა და ტბეთისა. იშხნის კათედრა არსებობდა თურქთა დროსაც და იშხნელს ამტკიცებდა სულთანს, მაგრამ საბოლოოდ, XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მაინც გააუქმეს.

ტაძარი გასაოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს ზომით, პროპორციებით, ჩუქურთმებით.

იშხნის კედლებზე მდიდარი მხატვრობა ყოფილა, მაგრამ აქედან მცირეა დარჩენილი, გუმბათის თაღზე ოთხს ანგელოზს გაუშლია ფრთები ჯვრის ირგვლივ. გარდა ანგელოზებისა, ჩანან წმინდანის ფრესკებიც.

- იცი, ვახტანგ, ეს ნახატები ძალიან განთქმული ყოფილა ჩვენში, ასე იციან: «ლამაზია ოშკის ტაძარი, ადგილ-გარემო ხახულისა და მოხატულობა იშხნისაო»... – უთხრა ვაჟიკამ.

დიდხანს ვერ მოაცილეს თვალი ამ კედლებს.

რამდენმა ქარმა და ქარიშხალმა გადაიარა ამათ თავზე, ვინ არ ანგრევდა, ვინ არ ბილწავდა, მაგრამ დგას ტაძარი ისევ ამაყად, ცოტა ხელის შეშველება უნდა, რომ კვლავ ძველებურად გაბრწყინდეს. ტაძარში ერთი წარწერაც იყო, რომელმაც ვახტანგი გაახარა, რადგან მას ძალიან უყვარდა დავით აღმაშენებელი და წარწერა სწორედ დავითს შეეხებოდა. წარწერაში ნათქვამი იყო:

გიორგი II და დავით აღმაშენებელმა შესწირეს სოფელი ლოზნე, შემდეგ ეს სოფელი მიიტაცეს სხვებმა, მაგრამ დიმიტრი პირველმა, დავითის შვილმა, ჩამოართვა მოძალადეებს და სამუდამოდ დაუმკვიდრა იშხნის ტაძარს. როგორც ჩანს, ტაძარი აგებულია IX საუკუნის პირველ ნახევარში გრიგოლ ხანძთელის მოწაფის, საბას, მიერ, – დაასკვნის ჩვენი წარსულის უებრო შემსწავლელი ექვთიმე თაყაიშვილი. საბამ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ, ტაძარი ააშენა მემვიდე საუკუნის ტაძრის ნანგრევებზე, რომელიც აგებული იყო ნერსეს მიერ. ნერსე სომხეთის კათალიკოსად ეკურთხა ნერსეს III-ის სახელით და ეჩმიაძინის მახლობლად ააგო ზვართნოცი.

შემდეგში იშხნის ტაძარი მრავალჯერ შეაკეთეს, ამ შეკეთების დროს ბევრჯერ მრავალი რამ დააკლეს კიდევ.

მზე გადახრილი იყო, ღამდებოდა. ერეკლე წამოხტა.

- ხახული და ოშკი?

- ხვალ, უთენია გავუდგეთ, – წასჩურჩულა ვაჟიკამ, – ახლა კი შინ წავიდეთ.

«მაინც რამ შექმნა ამ მხარეში ასეთი ტაძრები, მერე ამდენი? – ფიქრობდა ერეკლე, – მინდისთან რომ ჩავალ, აუცილებლად ვკითხავ». მართლაც ჰკითხა და, აი, რა უამბო მინდიამ:

ქრისტიანული სარწმუნოების დიდ ცენტრად მერვე-მეათე საუკუნეებში გადაიქცა ტაო-კლარჯეთი და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო. იშხანად ეს მხარე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებზე უფრო მომძლავრდა, რადგან არაბთა ურდოები აქამდე ყოველთვის ვერ უწევდნენ და ღრმა «ხეობებით დაღარული ქვეყანა» ხელსაყრელი არ იყო მათთვის. მეცხრე საუკუნეში აქ მოღვაწეობა დაიწყო გრიგოლ ხანძთელმა, სულით ძლიერმა და განათლებულმა ბერმა, რომელმაც უხვედრ ადგილებში დააარსა მონასტრები და უდაბნოები. გრიგოლის დაარსებულია ხანძთის მონასტერი, ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი ტაო-კლარჯეთში საეკლესიო მოძრაობისა, აქ შეიქმნა კულტურის დიდი ცენტრიც, სადაც იწერებოდა და ითარგმნებოდა სასულიერო წიგნები. განათლების ცენტრი ჩაისახა ტბეთშიც, სადაც მოღვაწეობდა სტეფანე მტბევარი, ტბეთშია გადაწერილი 955 წელს ტბეთის სახარება, აქვე მოღვაწეობდნენ დავით ტბელი, ივანე ტბელი და სხვანი.

დღეს ვამაყოფთ აქ შექმნილი ძველი ხელნაწერებით, რომელნიც ჩვენი კულტურის საგანძურს ამშვენებენ, ესენია შატბერდის კრებული (973 წ.), ჯრუჭის სახარება (936 წ.), პარხალის (973წ.), ჰადიმის სახარება (897წ.) და სხვა მრავალი, ოშკის მონასტერში გადაწერილია მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. ესენია ბიბლიები, ქადაგებათა კრებულები, წმინდანთა ცხოვრებანი.

ოპიზის მონასტერიც ბრწყინავდა. ბრწყინავდა მეცხრე-მეათე საუკუნეების შარავანდედით. აქ შეიქმნა და გადაიწერა მრავალი თხზულება (ოპიზის სახარება), შემდეგში ოპიზამ მოგვცა დიდი ოქრომჭედლები – ბექა და ბემქენი.

აქ ისე გაიზარდა და განვითარდა მწერლობა, რომ პატარა ტაო-კლარჯეთში ვეღარ დაეტია. ჩვენი ლიტერატურის დიდი ისტორიკოსის, კორნელი კეკელიძის, თქმით, მან გადახეთქა ტაო-კლარჯეთის ნაპირები და მოედო მცირე აზიას, საბერძნეთს. დაარსდა მრავალი უდაბნო და მონასტერი.

ამავე დროს საეკლესიო მოღვაწენი ისე გამდიდრდნენ, რომ საერო ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ.

მიუხედავად ბერთა უმრავლესობის ასკეტური შეხედულებისა, საეკლესიო მოძრაობა იმ ხანის კვალობაზე დიდი კულტურული მოვლენა იყო. განვითარდა ხუროთმოძღვრება, მწიგნობრობა, მწერლობა, ხელოვნება, მალე გაჩნდა საერო მწერლობაც...

\*\*\*

პირიძის ოჯახში სუფრაზე თავლი, ნიგოზი და გამხმარი ნაღები მიართვეს. დედა პირიძე ემსახურებოდა.

წინათ სტუმრის სუფრაზე ქალი პირისახეს არ გამოაჩენდა, თანამედროვე თურქეთში, კარგა ხანია, ევროპულმა კულტურამ ფეხი მოიკიდა. კარგი მაგალითი წასაბამია.

დილაადრიან ვაჟიკა გაუძღვა. ჭოროხის მარცხენა შენაკადი, ოლთისისწყალი, პატარა ბონდით გადაიარეს და შეუდგნენ მთის ბილიკს. მზე ჯერ არ ამოსულიყო და გრილოდა.

ხეობა წარსულში უხვტყვიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა სიავეს არც ამისთვის დაუყრია ხეირი. ადგილ-ადგილ ჩანდა ფიჭვისა, ნაძვისა და სოჭის პაწაწინა კორომები, უფრო კი ნაძვი ჭარბობდა. მთები ჩამოხრიოკებულები...

მათ თვალწინ უცბად გადაიშალა უზარმაზარი ტბა.

– კარგი ტბაა, კარგი თევზი იცის, – როდესაც ერეკლე დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს ტბა არ იყო, თორთუმისწყალი გადაეხიდათ და ხელოვნური ტბა გაჩენილიყო, რომელსაც სიგრძე 13 კილომეტრზე ცოტა მეტი აქვს და სიგანე – 1, 5-2, 5 კილომეტრი. ოშკის ტაძარს რომ აშენებდნენ, ეს ტბა არ ყოფილა თურმე, ტბა გაჩნდა 1791 წელს, როდესაც დიდმა მიწისძვრამ მთის მწვერვალი მოწყვიტა და ჩამოაგდო თორთუმისწყლის ხევში. ამ უზარმაზარმა კლდემ და ქვამ შეკრა კალაპოტი და შეიქმნა ეს ტბა. ტბიდან გადმოსჩქეფს სამი ჩანჩქერი. პირველმა მოსჭრა ყმაწვილებს თვალი. ის-ის იყო, მზემაც ამოანათა და ჩანჩქერის ნაფრქვევში გაჩნდა აუარებელი თვალ-მარგალიტი, ალივლივდა ცისარტყელა. ელაგდნენ და ბრწყინავდნენ მრავალფერად.

– რომ გადავიდოთ, გამოვა რამე?

– ვცადოთ...

და აჩხაკუნდა აპარატები. თორთუმისწყალი ტბის ყურიდან ცოტა დაცილებით, მარცხნიდან, იერთებს ოშკისწყალს, რომლის შესართავიდან ტაძარი მშვენივრად ჩანს. მაგრამ ცოტა წახვალ წინ და თვალს ეფარება. გზა მდინარის მშრალ კალაპოტს მისდევს, წყალი არხებშია გაყვანილი ბაღების მოსარწყავად. ბაღებში კი ჩანს ვაშლი, მსხალი, თუთა, ჭანჭური, ლეღვი, ატამი. ვაზი, ღობის პირებზე ბაბილოდ<sup>211</sup> იყო ასული, როგორც ჩანს, გაგარეულებულა. ოშკელები ხომ მას არ აშენებენ. მაჰმადის რჯულით ღვინის დალევა აკრძალული აქვთ...

– ახლა თითქოს მოგვეცეს ნება, მოლები ცოტა დაცხრნენ და ისე ვეღარ გვჩაგრავენ, მაგრამ მოლებს მაინც კიდე დიდი ძალა აქვთ.

ტაძართან სანამ მიხვალთ, ოშკისწყლიდან ხუთი კილომეტრი მაინც უნდა გაიაროთ. ოშკისწყლის ხეობა მცენარეულობითაა დაფარული, ბაღებია ნაშენი, რწყავენ, ხეობის შემქმნელი მთები ჩამოხრიოკებულია. როგორც ჩანს, ნაძვნარით და ფიჭვნარით იყო დაფარული, მაგრამ დღეს ფერდონი ან სულ მოტიტვლებულია და დედაქანი, კლდე ჩანს, რომლის ნაბზარში ადგილ-ადგილ შეეყუყულებია ქსეროფიტული მცენარე, უკეთეს შემთხვევაში, ღვია ან გვლერძები და სხვანი, ურციანების თანამგზავნი. მთის მწვერვალები შიშველია და ციხის ნანგრევ ქონგურებს უფრო წააგვანან.

ახალგაზრდები იყვნენ და ციცაბო აღმართი მალე აიარეს, თუმცა უნდა ითქვას, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

დილას, როცა ოშკისწყლის ხეობისაკენ გაუხვიეს, ტაძარი ჩანდა. აღმართს რომ შეუდგნენ, დაიმალა, მაგრამ აღმართი ავლეს თუ არა, გადაიხედეს და მათ თვალწინ ისევ აღიმართა უზარმაზარი, გრანდიოზული ტაძარი, რომელსაც ახლო მდგომ გორაკებისათვისაც კი გაესწრო სიმღლეში.

ტაძარი ხელოვნურად მოშანდაკებულ ადგილზეა აგებული. აღმოსავლეთით ხევი ემუქრება, თანდათანობით მიაქვს მიწა და ავიწროებს გზას. ამ ტაძრის ნაწილი მეჩეთადაა ქვეული, ამიტომ ტაძარი შედარებით მოვლილია და შემონახული.

მივიდნენ თუ არა ზღუდესთან, ქვებზე გადახლართულმა ვაზმა შემოანათა, რომელსაც გივი მეტად გულთბილად მიეაღერსა.

ტაძარს სოფელი აკრავს, ოშკის ეკლესიას ეძახიან.

ოშკელებმა ჯერ ზედაც არ შეხედეს, მაგრამ როდესაც ვაჟიკამ უჩურჩულა: ესენი მამლაკეთიდან არიანო, იცოცხლეთ, იხუვლა ახალგაზრდობამ და შემოურტყა გარს. ბიჭებში გოგოებიც ერივნენ.

– შენ და გყავს? – ეკითხება ერთი შავთვალწარბა გოგონა ვახტანგს.

– მყავს, ლელა ჰქვიან.

– რატომ არ წამოიყვანე?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, სამართლიანი საყვედური იყო. ინანეს.

– აჰა, წაილე... და ყელიდან მოიხსნა ქვათესლას<sup>212</sup> მძივი.

– მერე შენ?

– მე კიდევ გავაკეთებ.

ვახტანგი გაწითლდა. ინანა, რომ თან არა ჰქონდა რა ისეთი, რითაც სამაგიეროს გადახდა შეიძლებოდა.

ისღა მოახერხა, რომ თავისი ერთ-ერთი ბურთულიანი კალმისტარი გაუწოდა, რითაც დიდად გაახარა გოგონა.

ტაძარი აშენებულა მეათე საუკუნეში, ადარნასე III კურაპალატის შვილების, ბაგრატისა (გარდაიცვალა 966 წელს) და დავითის (გარდაიცვალა 1001 წელს), მიერ ე. ი. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ბრწყინვალეების დროს. ექვთიმე თაყაიშვილის რწმუნებით, ტაძარი დამთავრებულია 958-961 წლებს შორის.

ტაძარი შიგნით მოხატული იყო 1036 წელს, მაგრამ დროთა ვითარებამ ნახატების უმრავლესობა მოსპო. ჩვენამდე მხოლოდ მცირედმა მოაღწია.

როგორც ჩანს, მოხატულობა იშხნისას წააგავდა.

გარეთა კედლები მორთულია ჩუქურთმებითა და ბარელიეფებით. კარგად არიან გამოკვეთილნი ქტიტორები – ბაგრატ და დავით, მშენებელი-გრიგოლ ოშკელი.

– ამის ერთ-ერთი ამშენებელთაგანი – დავითი – ის დავითია, ბიზანტიის კეისარს რომ მიაშველა ჯარი აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, თორნიკე ერისთავის მეთაურობით. მდინარე ჰალისის ნაპირებზე თორნიკემ სასტიკად დაამარცხა სკლიაროსი, ხელთ იგდო მისი მთელი ბანაკი, დავითმა კურაპალატობა მიიღო, თორნიკემ – მთელი ნადავლი, რომლითაც ათონის ლავრა დააარსა...

პატარა გოგონამ, ვახტანგს რომ მძივი აჩუქა, მთელი ხახალი<sup>213</sup> თუთა მოართვა სტუმრებს.

– პირი გაისველეთ, კარგი თუთაა... დილას ნაბერტყია, გრილია.

– წყლით ხელი დაიმშვენეთ...

გამოხტა ახლა მეორე თვალსუჟუნა და, გეგონებათ, ცხვატში ან რუისპირში გაკეთებულიაო, ისეთი სურით წყალი გაუწოდა.

– «როდის მოუვათ მათ გაზაფხული?» – ჰკითხა ერეკლემ ვახტანგს.

– არ ვიცი, მაგრამ...

«ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით,

მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები».

– კიდევ მოვალთო, – დაჰპირდნენ ბიჭები ოშკელებს და გეზი ხახულისაკენ აიღეს.

\*\*\*

ხახულისწყლის ხეობას რომ შეუდგნენ, მზე გადახრილი იყო.

ვაჟიკა მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა. ხეობა თითქმის შვიდი კილომეტრის სიგრძისაა. სოფელი ხახული მთელ ხეობაზეა გაჭიმული. გაღმა-გამოდმიდან გამოიყურებიან მწვანეში ჩაფლული ქვით ნაშენი და ბანიათი სახლები. გეგონებათ, გურიის ერთ-ერთ ხეობაში მიდიხართ, მხოლოდ წინანდელი გურიის ხეობაში. აგერ, ხეზე შედგმული ჩალა, სამზადისი, ჩოჩილა ურემი, კივი, ოდა... მთელი ხეობა ხილის ბაღია, ვაშლი და მსხალი, ქანჭური და თუთა, ქლიავი და ტყემალი, ბროწეული და ლედვი, თხილი და კაკალი, კომში და ზღმარტლი,

ყველაფერია აქ. აქვე ჩაწიკვიკვიებულია ბოსტნები: ხახვი, ნიორი, პრასა, კეჭერა, ქინძი და კამა, ლობეებზე გოგრა და აყირო, კვლების გასწვრივ – ინა და ხაშხაში.

– რით არა ვართ გურიაში ან სამეგრელო-იმერეთში?!

– კიდევაც რომ ვართ!

– გამარჯობათ თქვენი.

მისალმა გზად შეხვედრილი შუახნის ხახულელი. ეცვა პიჯაკი, ჩვეულებრივი შარვალი, ტყავის ფეხსაცმელი, კეპი ეხურა.

მან ერეკლეს მზერა დაიჭირა.

– ჰოო, ახლა ესეა, ძველებური განიერი შარვალი ერთს-ორს თულა აცვია, – გულიანად გაიცინა, – ეს თათრულად თქვა.

– ვერ გავიგე, მე ქართველი ვარ!

– ქართველი? ქართველი! ღმერთო, ეს რა დღეა! ხახულში მამლაკეთელი ქართველი, გამარჯობა, ძმავ და შვილო! თვალცრემლიანი გადაეხვია ერეკლეს, შემდეგ – ვახტანგს, გიორგის. ვაჟიკას შეუტია, რატომ ადრე არ მითხარიო.

– მე გნახეთ პირველად, თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, მე – თქვენი მასპინძელი.

– ჩვენ, აი, ტაძრის სანახავად მოვედით და უნდა დავბრუნდეთ.

– ეგ როგორ თქვი, ქვების სანახავად მოხვედით, ხალხისა, თქვენი ძმებისა კი არა? – აავსო საყვედურით ერეკლე, რომელიც ყურებამდე გაწითლდა. «ეს რა მომივიდაო», – ფიქრობდა.

– აბა, მაშ, ჩემთან წამოდით.

ეს ისე კატეგორიულად იყო ნათქვამი, რომ უარი ვედარ შეჰკადრეს.

– მართალია, მდიდარი ხალხი არა ვართ, მიწა ცოტაა, რაცაა, ბაღსა და ბოსტანს უჭირავს, სახნავად, ხორბლისა და სიმინდისათვის აღარა გვრჩება რა, თუ გვრჩება, ძალიან ცოტა.

მთელი ხეობის მთის კალთები მოტიტვლებულია, ახლო წარსულში კი წიწვიანი ტყით იყო დაფარული. ოშკის ამბავი მეორდებოდა აქაც. ალბათ, გაახოებამ თავისი საქმე გააკეთა.

ტაძარი მდინარის მარცხენა ნაპირზეა, მთის კალთის უბეში; კაკლისა და თუთის უზარმაზარი ხეებითაა გარშემორტყმული, შემოვლებული აქვს აგრეთვე ქვის მაგარი ზღუდე.

მთავარი ტაძარი მეჩეთადაა ქვეული და ამიტომ ესეც შედარებით კარგადაა შემონახული.

ხახულის მონასტერი აგებულია დავით კურაპალატის მიერ, ეს დამოწმებულია ქართლის ცხოვრებაშიც.

მთავარი ტაძრის ირგვლივ სხვა შენობებია, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ტაძრის სამხრეთით მდებარე ბაზილიკა; ვახუშტი აღნიშნავს, რომ ეს ტაძარი აგებულია დავით I კურაპალატის მიერ (876-881წწ.). ხახულის მონასტერი ერთ-ერთი შესანიშნავი განათლების ცენტრი იყო ძველ საქართველოში, აქ იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ეკლესიის მოძღვარნი და მოღვაწენი, აქ მიიღო პირველდაწყებითი სწავლა გიორგი მთაწმინდელმა და აქვე აღიკვეცა ბერად. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ისე, როგორც ოშკში და ოთხთა ეკლესიაში, ხახულშიც უნდა ყოფილიყო სემინარია.

აქვე იყო სხვა მრავალი სამონასტრო შენობაც.

– ხომ ნახეთ, ახლა წამობრძანდით ჩვენსა.

ფრიად დაფიქრებულნი გამოვიდნენ ტაძრიდან, მაგრამ გაიხარეს, როდესაც გარეთ ხალხი დახვდათ, უმთავრესად – ახალგაზრდობა, ყველას სახე უღიმოდა.

ვაჟიკამ აუხსნა: ნუ გეწყინებათ, მაგრამ ქართული ყველამ კარგად არ იცისო, – თუმცა ჩვენებურებზე უკეთ კი იციანო, ამიტომ იყო, რომ თავის გრძნობებს კეთილი ღიმილით გამოხატავდნენ. უცბად განზე ფერხული ჩააბეს, არა, ეს ნამდვილი ხორუმი იყო... როგორ დაფრინავდნენ! თითქოს ცაში უნდოდათ ავარდნაო.

წრეში ჩაბმულმა ბიჭებმა ვაჟიკას რაღაც გამოსძახეს. იმანაც სამ ახალ ძმას მოჰხვია ხელი და შეიყვანა წრეში, ჩაავლეს ერთმანეთს ხელი და დაუარეს, ერეკლესა და ვახტანგს ხორუმი ნასწავლი ჰქონდათ პიონერთა სასახლეში და არ გასჭირვებიათ, გივიც თანდათან აჰყვა. ვაჟიკას ჯერ გაუკვირდა, პირდაღებული უმზერდა – ხორუმი საიდან იციანო, მაგრამ მალე ისიც ჩაება საერთო რიტმში. მოცეკვავენი და მზირალნი ამას არ მოელოდნენ. ჯერ გაკვირვება აღმოხდათ, შემდეგ შეძახილებით ამხნევებდნენ, ახალგაზრდები მალე ჭადაროსნებმა შეცვალეს. შეცვალეს და როგორ შეცვალეს, მიწას ფეხს არ აკარებდნენ. სალამური კი ღულუნებდა და ღულუნებდა.

– გავიდეთ წრიდან... დავიღალე! – წასჩურჩულა ვახტანგმა ერეკლეს და დაჭრილივით გადაიხარა უკან, ისე, როგორც ხორუმში იციან ცეკვის დამთავრების დროს.

ამის დამნაშავეა მოცეკვავეებმაც და მაყურებელმაც ტაში შემოჰკრეს და სიყვარულით ჩაიხვიეს თავისი სტუმრები.

– მართლაც, ჩვენი ძმები ყოფილხართ. იციან ხორუმი თქვენში?

დადლილი ბიჭები იქვე, გალავნის ქვებზე ჩამოსხდნენ. ოფლში გაწურულები მხიარულად ეპასუხებოდნენ ყოველ შეკითხვაზე.

მალე წინ მასპინძელი გაუძღვა.

– ჩვენ უფრო ვიცით ჩვენი ძველი ენა, ვიდრე იმხნელებმა, – დაიტრახა მასპინძელმა და თავი მოიწონა.

– მართალია, – დაუმატა ვაჟიკამ. თქვენ ჩამსხდარხართ კამეჩის რქასავით მოღუნულ ხევში და იმიტომ; ჩვენი სოფელი გზა-სოფელია მთელი მილეთის ხალხი იქ ხვდება, – თავს იმართლებდა ვაჟიკა.

კარიბჭეზე სანდომიანი სახის ქალი შემოეგებათ, ორი ქოჩორა ბიჭი მოჰყავდა.

– აი, ესენია ჩემი სიმდიდრეც და სიღარიბეც. დაიზრდებიან და მხარში ამომიდგებიან.

– ბაბამ<sup>214</sup>, იცოდა: წვრილშვილი დამეხვა, გავღარიბდი, გამეზარდნენ და გავმდიდრდი.

– ჩვენი ანდაზაა გადამღერებული.

– ვინ იცის, ვინ რა და როდის გადამღერა? – ჩაურთო გვიმ.

ჯერ კიდევ სუფრაზე იყვნენ, როდესაც ისმაილმა ოდის კუთხიდან წიგნი მოიტანა:

– შარშან არზრუმში ვიყავ, თბილისიდან ჩამოსული ქართველები ვნახე, იმათ მომცეს, არ ვიცი კი, რა არის.

პატარა «ვეფხისტყაოსანი» იყო. ვახტანგმა რამდენიმე გვერდი წაუკითხა, აღფრთოვანდნენ – ჩვენში არავინ იცისო ამის კითხვა. ერეკლე დაჰპირდა, რომ თბილისიდან გამოუგზავნიდა ქართულ ანბანს თურქულ-ლათინური შესატყვისით.

– დაიცადეთ, დაისვენეთ, დილით წაბრძანდითო, – ეხვეწნენ.

– ბევრი გვაქვს სანახავი – ბანა, ანჩა, ოპიზა, ტბეთი... იქნებ მოვასწროთ როგორმე. უჩუმრად ვართ წამოსული და გვეჩქარება... ნუ გვიწყენთ, თქვენი ჭირიმეთ, მერმის მოვალთ, უეჭველად მოვალთ...

გულითადად გამოემშვიდობნენ. ახალმა მეგობრებმა თორთუმის ტბამდე ჩამოაცილეს. უკვე ბინდი იყო ჩამოწოლილი, იშხანში რომ ჩამოვიდნენ. კვირამალი იყო, ორასი წლის წინათ, ალბათ, მთელი იშხანი გაბრდღვიალებული იქნებოდა, დადადისი ტაოელებისა უეჭველად ცას მისწვდებოდა.

პირიშივე სოფლის განაპირას შეხვდა : რად დაიგვიანეთ, შვილებო? – ცოტა უსაყვედურა.

დილით ადრე ჩაჰყვნენ ოლთისისწყლის ხეობას და ჭოროხის შესართავთან გაჩნდნენ, ვახტანგმა უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია, აჭარლებთან მოკითხვა დაწერა და მდინარეში ჩააგდო.

– ვინმელო, არ დამიკარგო ბარათი... – დაავალა.

მხიარულად დაჰყვნენ ჭოროხის ნაპირს, ისიც მიქუხდა და მიექანებოდა ქვევით, შავი ზღვისაკენ, მიჰქონდა ამბავი თორთუმისა, ტაო-კლარჯეთისა, შავშეთისა, ოშკისა და იშხნისა, ხახულისა და ბანასი, ოპიზისა და ტბეთისა.

მზემ კარგა დიდი აღმართი აიარა ცის გუმბათზე, როდესაც ისინი იმერხევის შესართავს მიადგნენ. აქ შეისვენეს და გააყოლეს თვალი იმერხევის სიღრმისაკენ. იქ ეგულებოდათ დიდებული ანჩა, ოპიზა, ბერთა, ტბეთი, სადაც ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ენთო დიდი ლამპარი განათლებისა, სადაც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ბექა და ბექქენი ქმნიდნენ ხელოვნების შედეგებს, სადაც მათი ნაჭედი ყდებით იმოსებოდა იშხანში, ხახულში, ბანასა თუ ოშკში დაწერილი ფილოსოფიური თუ რელიგიური წიგნები.

როდის, როდის აღდგება ეს დიდი ცენტრები განათლებისა, მაგრამ განა ნაკლები დაგვრჩა ოლთისისწყლის სათავეებისაკენ?

– მაინც რა?

– რა და დიდი ვანქი, ოთისი, ტაოსკარი, უკიამი, ხოსრო, ზარდასენი, ტამრუტი, ჯუჯურესი, ოთხთა ეკლესია და ბევრი და ბევრი კიდევ სხვა.

– ყველგან რომ აენთოს სანთელი... – ინატრა ვახტანგმა.

– აგერ შავით მოსილი ქალები, კოკებით.

– ეგენი კლარჯეთელები და შავშეთელები არიან... შინ ბრუნდებიან, – შეაშველა სიტყვა ვაჟიკამ.

მაგრამ ვახტანგს თითქოს თვალი აუჭრელდა, მათ წინ ამართულმა ლამაზმა მწვერვალმა ქანაოზა დაიწყო, ჩამოიზგრა და უზარმაზარი ლოდები მდინარის ხეობისაკენ წამოვიდნენ, წამოხტა, ფერდას შეუყვა სირბილით.

– ჩქარა, ჩქარაო, – უკიოდა ამხანაგებს.

– ვახტანგ, ვახტანგ, რას კივი, ბიჭო, გაიღვიძე!

– რად ვკივი? – თვალი არც კი გაეხილა, ისე იკითხა.

– ჩქარა ჩაიცვი, ასპინძას უნდა წავიდეთ.



- დამაცა, ჯერ ოპიზას და ანჩას ავალთ...
- უცბად ხარხარი მოესმა და თითქმის გამოფხიზლდა.
- რა ოპიზაში, ბიჭო?
- მაშ, ეს ყველაფერი სიზმარი იყო?
- რა იყო სიზმარი?
- ნეტავ მთა არ დანგრეულიყო, ბარემ ოპიზას და ანჩასაც ვნახავდი. გივი და ერეკლე გაკვირვებული უცქეროდნენ – რა მთა, რა ოპიზაო?... – კარგი, მერე გიამბობთ.
- და ერთ-ერთი შესვენების დროს უამბო ნახული – იშხანი, ოშკი და ხახული.
- ნეტავ აგვიხდებოდეს! – ინატრა და ყველანი ფიქრმა წაიღო.

\*\*\*

დილით ასპინძისაკენ აიღეს გეზი. ცოდო იყო, მესხეთის მიწაზე მანქანით ევლოთ. ყოველი ქვა ხომ აქ მოსასიყვარულებელი და მისაალერსებელი იყო.

- ასპინძა, ასპინძა!
- ნეტავ მეც ვყოფილიყავ ასპინძის ომში, – ინატრა ერეკლემ.
- მერე და რას გააკეთებდი?... –
- არა, მარტო კი არა, მყოლოდა ჩემი რაზმი, ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით...
- ერეკლემ უშენოდაც კუდიტ ქვა ასროლინა მტერს. თუ ნატრობ, ინატრე...
- მაინც რა.
- ავტომატით შეიარაღებული ერთი ხუთასი კაცი მარაბდაში... მერე კრწანისში.
- ბიჭებო, ბიჭებო, უავტომატებოდ, აი, რა მოხდა: ხიზაბავრაში გაიხსნა კულტურის სახლი მემორიალური დარბაზებით... ეს, გარდა იმისა, რაც წინათ გავიგეთ ხიზაბავრაზე...
- არც ეგ გაკეთებულა უსისხლოდ.

შეაწია სიტყვა გივიმ.

– აი, ასპინძაც, – მინდია 55 წლის წინათ იყო ასპინძაში. მაშინ მთელ დღევანდელ ასპინძის რაიონში ერთი პაწაწა სკოლა ყოფილა.

– ახლა სკოლა ყველა სოფელშია (22). რაიონში 267 მესხს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული... რაიონში 19 სასოფლო კლუბია, 5 სასოფლო სამკითხველო, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა, სარაიონო კულტურის სახლი, 2 საბავშვო ბიბლიოთეკა, სარაიონო საავადმყოფო და სამი საუბნო საავადმყოფოა, რაიონი კი არც ისე დიდია.

– თითქმის მოსაწყენი ციფრებია, მაგრამ ქართველ კაცს დღეს იგი სიმფონიასავით ჩაესმის, ყოველი ციფრის მიღმა დიდი შუქი და სითბოა.

იზრდება კოლმეურნეთა კეთილდღეობაც, ასე მაგალითად, ზოგიერთი კოლმეურნის წლიურმა შემოსავალმა სამი ათას – ოთხი ათას მანეთს მიაღწია.

გაიღვიძა ასპინძამ, ასპინძის ომის ხმლის ელვარებამ და დღევანდელმა დღემ თავისი საქმე გააკეთეს.

### კიდევ ქვესკნელის ბაღები

ახალციხეში არ შეუვლიათ, ბარემ ურაველის ხეობა<sup>215</sup> დავათვალიეროთ, ქისათიბში დიატომიტის საბადოც ვნახოთო. გოგია წინ გაგზავნეს. გადასახვევთან დაგვიცადა, ჩვენ ფეხით ამოვალთო.

შეჰყვენენ თუ არა ურაველის წყალს, იქვე, კლდის პირებში, კიდევ ნახეს მესხეთისთავის და, საერთოდ, საქართველოსათვის ენდემური რამდენიმე მცენარე: მესხური ფოლიო, კოზლოვსკის გვლერმა (ასპინძის მიდამოებშიც ნახეს), ამათ გარდა, აქ დაუმატეს მესხური საბეგველა, აწყურული მიხაკი, რადეს მაჩიტა... რასაკვირველია, ესენი ერთმანეთის მიწყობით არ იყო ჩაკვირვილებული, ზოგი კლდეში ამოსულიყო და იქამდე აფოფხება ჭირდა, ზოგი ჯაგრცხილის ბუჩქებში შეყუჟულიყო; ყველა ესენი საქართველოს საზღვრების გადაღმა არ მოიპოვებინან. შესაძლებელია, ტაო-კლარჯეთში ან შავშეთ-ერუშეთში იყოს, მაგრამ მაინც შეიძლება, საქართველოს ენდემებად ჩაითვალოს, – დაასკვნა ვახტანგმა. გამოდით, ნახეთ, ყვითელყვავილეება ასკილი, – გამოჰკიოდა ურაველისწყლის მარჯვენა ნაპირიდან ვახტანგი.

– ბიჭო, ეს მართლა შესანიშნავია! – თქვა გიორგიმ, – საქართველოში 30-მდე სახეობის ასკილი იზრდება. ყვითელყვავილეება, ნამდვილი ველური კი მარტო ერთია, – მალე ყვითელი ყვავილებით გადაჰენტილ ბუჩქს შემოეხვივნენ.

– ჯერჯერობით საქართველოში ორგანაა ნანახი : აქ, ურაველის ნაპირას, და ატენის ხეობაში, ბოშურთან. ამას რაპინის ასკილი ჰქვია.

- ეს ხომ მცირე აზიიდანაა გადმოხვეწილი, ანატოლიიდან.
- ამბობენ, კიდეც არისო...
- თბილისის მიდამოებში გაველურებული, ყვითელყვავილება.
- დავაშავეთ, რომ არ დაგავალეთ, ტაოში შეგეკრიბათ ზოგიერთი მცენარე, - შეეხუმრა მინდია.
- კიდეცაა, რად დაივიწყე დავალება. ტაოში შევავროვებდით, რატომაც არ შევავროვებდით, - არ დაუთმო ვახტანგმა.

ჩამოცხა და წყალი მოსწყურდათ. უზარმაზარ ლოდებს შორის პაწაწინა ნაკადული მოწანწვარებდა. მოწანწვარებდა და თავის სიმცირეს, ჩიოდა ალბათ; პატარა ქვები, კენჭი და ღორღი, ნაპირის ლამი ზანგელა ფერით იყო შეღებილი.

- ეს უეჭველად რკინის წყალია!... - და ვახტანგმა მუჟა გაივსო. ცოტა მოსვა, უკანვე გადმოღვარა, მუჟაში დაგროვილი კი მზის სხივებში გაფანტა.
- უგემურია, ცოტა ჭაობის სუნიც უდის... რკინისა ამას არა ეტყობა რა.
- მართალია! ჟანგის ფერი ქვებს ჟანგისგან კი არა აქვთ ხოლმე მარტო, უფრო ხშირად, ერთ ძალიან პაწაწინა, ზანგელა ფერის წყალმცენარისაგან, რომელსაც დიატომეა, ანუ კაჟოვანი წყალმცენარე, ეწოდება.
- მაშ, ესაა დიატომეა?
- სწორედ ესაა, უფრო სწორად, დიატომიის კოლონიებია.

დიატომეა ერთუჯრედიანია, მისი უჯრედის გარსი პექტინისაა. გარეთ კი მას აკრავს კაჟის ჯავშანი, ჯავშანი შუაზეა გაყოფილი, თითქოს კოლოფიაო. დიდი ნახევარი პატარას აფარია. დიატომეა მრავალნაირია, ჯერჯერობით ხუთი ათასამდე სახეობას ითვლიან. მრავალი, ალბათ, ჯერ არ არის აღწერილი. კაჟოვანი გარსი მოჩუქურთმებულია და ჩაკვიწვიწებული. ეს ჩუქურთმა ისეთი დამახასიათებელია ყველა ცალკეული სახეობისათვის, ისეთი სიმეტრიულია, რომ ხშირად მიკროსკოპის სიზუსტის გასარკვევად არის გამოყენებული, მაგრამ ამაზე მეტი გამოყენება აქვს იმ პროდუქტს, რომელიც მისგან მილიონი წლების წინათ შეიქმნა და რომელსაც დიატომიტი ეწოდება (უწოდებენ აგრეთვე «ინფუზორიის მიწას», «მოსაპრიალებელ ფიქალს» იმის მიხედვით, თუ რა საქმიანობაში იყენებენ). დიატომიტი მსუბუქი ქანია, კუბური მეტრი 400-900 კილოგრამს იწონის, დიატომიტი კაჟოვანი წყალმცენარეების გარსის ნაშთია, მილიონ წელთა წინ დალექილი უზარმაზარ ტბებში ან ზღვის ყურეებში. ჩვენი, ქისათიბის, დიატომიტიც იმ ტბის ფსკერზეა დალექილი, რომელიც ამ 10-12 მილიონი წლის წინ ელვარებდა დღევანდელი ქისათიბის მიდამოებში; ჩვეულებრივ, მის მადანს მრავალნაირი ნივთიერება ურევია: თაბაშირი, კალციტი, კვარცი, თავგმარილა და სხვა ამგვარი. რაკი იგი დიატომეების ჯავშნის ნაშთია, ამიტომ ძირითადი შემადგენელი ნივთიერება მაინც კაჟია, რომელსაც შეიცავს 55%-დან 95%-მდე.

- დიატომიტს ბევრნაირად იყენებენ ჩვენს მრეწველობაში საიზოლაციოდ, რადგან საკმაოდ ფოროვანია, მისი თერმოიზოლაციის უნარი 1000<sup>0</sup>-ს უდრის; კვების მრეწველობაშიც ფართოდაა გამოყენებული, როგორც ფილტრი სხვადასხვა ხილეულის წვენებისათვის, ზეთებისათვის და სხვათა გასაწმენდად. გამოყენებულია მეტალების ზედაპირის გასაპრიალებლად. იყენებენ დინამიტის დამზადების დროს, როგორც დანამატს.

- ერთი უყურე, ამ პაწაწინას რამდენი შესძლებია!
  - მარტოს არა, როდესაც ერთად არიან, - უპასუხა მორიგე ინჟინერმა, რომელმაც ერეკლეს ხუმრობა გაიგონა.
- აი, ამ პატარა დარბაზში გვაქვს ის მცენარენი, რომელნიც დიატომიტმა შემოგვინახა ანაბეჭდების სახით. ესაა სხვადასხვა მცენარის ფოთლები, ყლორტები, ნაყოფი. ტბაში ჩამდინარე წყალს მოჰქონდა დიატომეა და ილექებოდა ტბის ფსკერზე, თან მოჰქონდა აგრეთვე მდინარის პირას მოზარდი მცენარის ფოთოლი, ნაყოფი და ყლორტი, ისიც აქ ილექებოდა, ეს სწორედ ასეთი ანაბეჭდებია. როგორც ხედავთ, ცოტა არ არის, ადვილი როდია ანაბეჭდებით მცენარის დადგენა, მაგრამ პალეობოტანიკოსებმა მაინც გაარკვიეს. ამ მხრივ ბევრი იშრომა პროფესორმა მედეა უზნაძემ.

ქისათიბის დიატომიტის საბადო დაახლოებით 10 მილიონი წლისაა. ჩვენი გეოლოგები ფიქრობენ, რომ ეს ტბა, ე. ი. ახლანდელი საბადო, უფრო მალა მდებარეობდა და ამიტომ ანაბეჭდი მცენარენი, რომლებიც აქ გვხვდება, შემადგენლობით მაინცდამაინც მრავალფეროვანი არ არის.

- ეს ვაზის ფოთოლი არაა? - ჩაჰკითხა გივიმ, რომელიც ვაზის ფოთლის ანაბეჭდს ჩასცქეროდა.
  - სწორედ.
  - განა ათი მილიონი წლის წინათ აქ ვაზიც ხარობდა?
  - ამაზე დამაჯერებელ საბუთს ვერ ნახავ, აი, მეორე კარადაში მთელი ლერწის ანაბეჭდიცაა.
  - აფსუს, რამდენი ყურძენი გაოხრდებოდა! მაშინ ადამიანი ხომ ასეთი არ იყო, - დაინანა ვახტანგმა.
- სამაგიეროდ, ბევრი ცხოველი იყო, რომელიც სწორედ მცენარეულით იკვებებოდა.

ნალექებში უფრო მეტად თბილი და ზომიერი ჰავის ტყის მცენარეებია (53%). აი, ძელქვა, ჭადრისებრი ბოყვი, წიფელი, წაბლი, ლაფანი; ცოტათი დღევანდელ კოლხეთის მცენარეულობას წააგავს, გარდა ამისა, რასაკვირველია, არის აქ ზომიერი ჰავის ტყის წარმომადგენლებიც (43%). ესენია: თელა, პანტა, კუნელი, მუხა, ნეკერჩხალი (მინდვრის ნეკერჩხალს წააგავს), რადგან ამ ტბაში მდინარე აღარ ჩადიოდა, ამიტომ ეს ფოთლები ქარის მოტანილი უნდა იყოს ახლომახლო მიდამოებიდან.

– განა დიატომიტი სხვაგან არ არის, აქ რად მუშავდება?

– სხვაგანაც არის, როგორ არა, მაგრამ აქაური დიატომიტი იდეალურად სუფთაა და ამ მხრივ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. როგორც ჩანს, მაშინ, როდესაც დიატომეები ილექებოდნენ, ჩვენი ვულკანები ან უკვე ჩაქრნენ, ანდა ამოფრქვევა დიდი ხნით შეჩერებულა, ფერფლი და მტვერი ტბაში არ ილექებოდა და დიატომების ნალექს არ აჭუჭყიანებდა.

ბიჭები ფრიად დიდი გულისყურით ისმენდნენ. ეს ხომ მართლაც ზღაპრული ამბავია, პაწაწინა თუ მოზრდილი დიატომიტის ნამტვრევებზე ასახული იყო ტყე, რომელიც ათი მილიონი წლის წინათ შრიალებდა.

ერეკლეს ლამის ესმოდა კიდეც ეს შრიალი.

– აქაც თავისებური ბოტანიკური ბაღია.

– ისეთია, შირაქში რომ ვნახეთ, დათვის ხევში, – დაამთავრა აზრი ვახტანგმა.

– მისგან განსხვავდება კიდეც.

– რასაკვირველია, განსხვავდება, მართალია, 10-12 მილიონი წლის წინათ ჰავა მთელ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით თანაბარი იყო, მაგრამ განსხვავებაც არსებობდა, მთაგორიანობა მაშინაც კარგად იყო გამოსახული, სხვადასხვა ხეობა თავისებურ დაღს ასვამდა ტყესა და მდელოს...

ამის დამადასტურებელ მაგალითად გიორგიმ მოიყვანა ვალეს ქვანახშირის საბადოები, რომელიც ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ვალეს ქვანახშირში აღნიშნულია გვიმრები, ტირიფები, ვერხვები, მუხები, ფიჭვები. ჩვენი პალეონტოლოგების აზრით, ვალეს ფლორაში ჭარბობენ იმაზე მეტი გაცილებით ქსეროფიტული მცენარენი, ვიდრე გოდერძის ფლორაშია, რომელსაც, ალბათ, ხვალ ვნახავთ. მაგრამ აქაც არის სუბტროპიკული ელემენტები, თუმცა შედარებით იშვიათად.

ვალეს ნამარხებში ასეთია მალონია, ქაფურის ხის ორი სახეობა, ბამგის სამი სახეობა, კოლხური სურო და სხვანი. ვალეს ფლორაც ტბის ფსკერზეა განამარხებული ტუფურ ფერფლში. ეს ფერფლი ტბებში ხვდებოდა ვულკანების ამოფრქვევის დროს, ფერფლის წვიმების დროს, ხშირად ვულკანური ფერფლი მაშინდელ მდინარეებსაც ჩაჰქონდათ შორეული ადგილებიდან.

გულითადად გამოემშვიდობნენ ქისათიბელ ახალ მეგობრებს. მანქანაში ყველა გაჩუმდა, თითქოს უნდოდათ, ეს შორეული წარსული უფრო მეტად აღეჭვათ.

მანქანა თანაბარი სვლით მიგოგავდა გზაზე, გოგია მახალციხის მოედანზე შეაჩერა...

– რა ვქნა! ე, როგორ გაჩუმდით, რუსთაველის ძეგლს არა ნახავთ?

ახლა კი აჟიჟივდნენ და რუსთაველის შესანიშნავ ძეგლს ირგვლივ შემოუარეს, ვახტანგმა და ერეკლემ ფირზე აღბეჭდეს.

– შემოსალამოვდა, სასტუმროს ვერც ვიშოვით. შვიდი-რვა კაცი ვართ. ახალციხე და ახალციხელები ჩამოვლაზე ვნახოთ.

– მაშ, სად გავათიოთ ღამე?

– სადაც დაგვიღამდება, – ყველას გაეღიმა, რადგან მოაგონდათ «მე ვარ და ჩემი ნაბადი», და გეზი გოდერძის ზეკარისკენ<sup>216</sup> აიღეს.

გზის მარჯვნივ ხრიოკი ფერდობი იყო, აქა-იქა მოჩანდა თითო-ოროლა კნაპა<sup>217</sup>, ეულად მდგომი, ისე, როგორც ქართლისა და შირაქის ხრიოკებზე იცის დგომა ბერყენამ.

ბევრგან წვიმის წყალსა და ღვარს მთის ფერდა ისე ჩამოერეცხა, რომ მარტო კლდეა ჩანდა.

ქობლიანის წყლის მარცხენა ნაპირზე თუ მომიშვლებული იყო სერები, არც მარჯვენა ნაპირი იყო უკეთეს დღეში. გასცილდები თუ არა ახალციხეს, მოჩანს ძველი მესხეთის სოფლები, მალლა – ვალე, თითქმის ქალაქად ქცეული, ძირს ბაღებში გაბმული სოფლისი, კვლავ შემადლებულზე – არალი...

აგერ, მთაზე დიდი სოფელი ჩანს, დიდი ტაძარია, ჩვენებურს არ ჰგავს...

– ეგ უდუა, ქართველ კათოლიკეთა სოფელი. აქაური იყო კათოლიკობის ისტორიის საუკეთესო მცოდნე პროფესორი მიხეილ თამარაშვილი. როგორც ჩანს, თამარაშვილი მარტო კარგი ისტორიკოსი კი არა, კარგი ადამიანიც ყოფილა. იგი დაიღუპა აბოხოქრებულ ზღვაში, როდესაც წყალწაღებულის გადარჩენას ლამობდა, – სიტყვა ჩამოართვა გიორგის მინდიამ, – მართლაც ჩინებული ადამიანი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ გიორგიმ განაგრძო:

– ჰო, ითქმის კათოლიკენიო, თორემ ახლა ჩვენში ვის რაღად უნდა ან კათოლიკობა, ან მართლმადიდებლობა, მაგრამ ეს სოფელი ჩემი მწარე მოგონების სოფელიცაა, – ამოიხრა გიორგიმ.

– ??

– 1918 წელს ოსმალებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი. ქართველების ჯარის მცირე გუნდი იცავდა უდეს. ბევრნი იყვნენ ოსმალნი და ჩვენებმა უკან დაიხიეს. არ დატოვა სანგარი ოცი წლის გრიგოლ მეგრელიშვილმა, მაშინ უკვე ცნობილმა პოეტმა, რომელიც «მთის ნიავის» ფსევდონიმით ბეჭდავდა ლექსებს. მისი ტყვიამფრქვევი დიდხანს კაკანებდა. მეორე დღეს ჩვენები დაბრუნდნენ და გრიგოლს თურმე იმდენი ტყვია ჰქონდა მკერდში, რამდენი წლისაც იყო. გრიგოლი ერთ-ერთი უნიჭიერესი მწერალი იყო. პოეტი, ნამდვილი პოეტი და «ზენარის» მიერ კურთხეული. სამოცი წლისა რომ გახდა, მაშინდა მოვიგონეთ.

უდეს გაყოლებით ჩანდა მრავალი პატარ-პატარა სოფელი, მაგრამ, რაც მთავარია, ამ სოფლის მინდვრებს კარგად ეტყობოდა ორი, ერთი-ერთმანეთისაგან საწინააღმდეგო მოვლენა: დიდი კულტურისა და დიდი უვიცობის ნიშანი, უპირველესი ესაა დიდი და პატარა ოროკოები. ძველად ხომ ეს მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული. თითქოსდა წარმოუდგენელია ამ პატარა მთიან მხარეს ამოდენა სოფლები გამოეკვება, მაგრამ, როგორც ჩანს, სოფლის მეურნეობა აქ უმაღლეს საფეხურზე იდგა. ჯერ ერთი მიწა-წყალი წინასწარ დაყოფილი იყო კატეგორიებად: რა ნაკვეთი რისთვის იყო განკუთვნილი: სახნავ-სათესი, საბოსტნე, საზვრე-სავენახე, ნაფუძარი, საბაღე, საიონჯე და სხვა, ისე, როგორც ქართლში.

ასეთ კატეგორიებად დაყოფა, უეჭველია, დიდი კულტურის შედეგია. ოსმალებს თავის დავთარში ცალკე აქვთ გამოსაღები «იონჯასა და თივაზე», იყო «მიწა საიონჯე, საბოსტნე» (სოფ. დიდი-მერეჯი). მელიორაცია იმდენად კარგად იყო დაყენებული, რომ ოსმალებმა ვერ გაბედეს და მისი სარგებლობის წესებში ცვლილება ვერ შეიტანეს.

«ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე ბორბალოდან მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის საზღვარზე მდებარე მიწების, ვენახისა და ბაღის სარწყავი იყო, ამიტომ ეს გარემოება, მათი მოწმობის საფუძველზე და განმარტებულის საფუძველზე, ჩაწერილ იქნა ახალ დავთარში» (დავთარი 42 გვ.).

აი, მეორეც:

«ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე ბორბალოდან მომდინარე წყალი ძველ დროიდანვე სოფ. ვალეს საზღვარზე მდებარე ადგილების, ვენახისა და ბაღის სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) განმარტებულის შესაბამისად ჩაიწერა ახალ დავთარში».

«ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილადან მომდინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) ასევე ჩაიწერა ახალ დავთარში» (დავთარი 39).

«მორიგეობა (მოსარწყავ) წყალზე უფლება მდინარე წყალთბილას წყალზე ხსენებულ სოფელში მდებარე ადგილებს, ვენახებსა და ბაღებს აქვთ. ერთი კვირის (განმავლობაში) ხსენებული სოფელი რწყავს<sup>218</sup>, (ხოლო) ორ კვირას – სოფელი ვალე. ვინაიდან მცოდნე პირნი გვაუწყებენ, რომ ამ მდინარით ძველი დროიდანვე ასეთი წესით სარგებლობდნენ, (ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარში (ც) გვ. 51».

ამავე დავთრის მოწმობით, მინდვრის კულტურებია ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელი. არის ვენახი (გამოსაღებია შირა), ბაღი, ბოსტანი, ნიგვზნარი, თუთნარი, ცალკე იყო სათიბი და სამოვარი.

აი, როგორი მხვნელ-მთესველნი იყვნენ ძველი მესხები, ბევრს გადააჭარბეს იმით, რომ მთებში გაიყვანეს სარწყავი არხები და შექმნეს სარგებლობის კანონები, გარდა ამისა, განავითარეს ტერასული (ოროკოების) მეურნეობა; მათ ჰქონდათ დიდი ტერასები, მინდვრის ტერასის სიგანე 20-30 მეტრს აღწევდა, უფრო ციცაბო ტერასის სიგანე 2-3 მეტრი იყო, შუბლი – ქვით ნაშენი, აქ ითესებოდა ბოსტნეული, ირგებოდა ხეხილი, ვაზი...

მაგრამ ჟამთა სიავემ იავარქმნა ყოველივე. ასეთი მეურნეობა ქმნიდა იმ მატერიალურ ბაზას, რომელმაც წარმოშვა რუსთაველი და ჩახრუხაძე, თმოგველი და ოპიზარი.

დღეს კი უფრო ხშირად მოჩანს დაღარული კლდეები; აგერ, გაღმა, ჩამოხრიოკებული მთის კალთაზე ნაცრისფერი თიხებილა მოჩანს, არაფრით არ არის დაფარული, არც ბალახით, არც ბუჩქნარით.

– ეს წითელი ზოლები რაღაა, ამ მთებს რომ ჩამოსდევს?

– ეგ სისხლია იმ ქართველებისა, რომელნიც იცავდნენ მესხეთის მიწას, სამშობლოს, – თქვა მინდიამ. ბიჭებმა გაკვირვებით შეხედეს. მინდიას თვალს ცრემლი მოსდგომოდა, ბაგეები უთრთოდა.

გიორგიმ იგრძნო, მეტად რომანტიკულად განეწყვენო, და საუბარში ჩაება.

– ეგ წითელი რკინის ჟანგია...

– ნუ გაგიკვირდება, სისხლიც რომ იყო, შენი «მთის ნიავის» სისხლიც უნდა ერიოს მაგ მიწას, ის ხომ თითქმის გუშინ დაიღვარა! – ეს ვახტანგი იყო, რომელსაც არ უყვარდა ოცნებიდან ასე უცბად მიწაზე ჩამოსვლა.

გზის მარცხნივ ფოცხოვისწყალი მიჰქუხდა და მის ჭალაში არ ჩამქრალიყო ძველი მესხური შუქი; იმ ადგილებში, სადაც სარწყავი წყალი მისწვდებოდა, ბაღები იყო მხარმიდგმით. მესხური ხილი ხომ განთქმულია საერთოდ, განსაკუთრებით კი – ნეფის ვაშლი, რკინა ვაშლი, მსხლებიდან-ბეზიას მსხალი და სხვა. მაგრამ აქ განსაკუთრებით ბევრია თუთა, თეთრი თუთა, ტკბილი, როგორც თაფლი, გემრიელი, მსუყე, ჭანჭური ხომ არის და არის. თუთა და ჭანჭური ეჯიბრება ყველა დანარჩენ ხილს. მესხის ცხოვრებაში ამ ორ წვრილ ხილს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

მას შემდეგ, რაც ოსმალნი დამკვიდრდნენ, ვენახი მოისპო და ამოიძირკვა, ძნელად, მაგრამ ხალხიც გამაჰმადიანდა. ქრისტიან მოსახლეს სხვა ხარჯის დამატებით ხაზინაში უნდა შეეტანა 35 ყურუში. ერთი ყურუში დაახლოებით შაურს უდრიდა. ეს თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ ძნელი საშოვარი იყო და გადასახადის შეუტანლობის გამო დამპყრობი ხალხს აწიოვებდა, უკანასკნელ სარჩოს ართმევდა. ამიტომ ტოვებდნენ ქრისტეს რჯულს, ჯერ – ფორმალურად, მოსაჩვენებლად, მაგრამ ბოლოს ეჩვეოდნენ, ქრისტეს რჯულის დატოვება კი ეროვნების დატოვებაც იყო<sup>219</sup>. მაჰმადიანებს ღვინის სმა ეკრძალებოდათ და ამოხმა ვენახები, სამაგიეროდ, გაძლიერდა და ძალიანაც გაძლიერდა მებაღეობა. თუთისაგან აკეთებდნენ ბაქმას – შესქელებულ თუთის წვენს, რომელსაც ზამთარში საჭმელად ხმარობდნენ, ნაყოფს ახმობდნენ და ფრიად ყუათიანი იყო. უთუთოდ მესხს ვერ წარმოედგინა სიცოცხლე, მესხის სურსათში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხილულსა და საზამთროდ შენახულ ხორცეულს<sup>220</sup>.

– მაგრამ, აგერ, რა კარგი ვენახებია?

– ეს, ხედავ, ახალი ვენახია. ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ რაჭველები და იმერლები ჩამოასახლეს, ეს მათი ვაჟკაცობაა.

მხარმარჯვნივ გზა გაიჭიმა. ამ გზაგასაყარზე გოგია დადგა და გიორგის შეხედა.

– ჩვენ მარცხნივ გავყვეთ, ზარზმისკენ.

– ეგ საითღა მიდის? – გაიშვირა ხელი მარჯვნივ.

– ეს აბასთუმნის გზაა, ყანობილის ობსერვატორიისა, სადაც აკადემიკოსი ევგენი ხარაძე მუშაობს, ესაა ერთ-ერთი პირველი მთამაღლის ობსერვატორია, და უკვე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი...

– აი, მოკლე ცნობაც ამ ობსერვატორიაზე. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია დაარსდა 1932 წელს აბასთუმანში, 1937 წელს გადაიტანეს იმავე ხეობაში ყანობილის მთაზე, რომლის სიმაღლე 1650 მეტრია. მას დღემდე ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

– რაღა აბასთუმნის ხეობაში დაარსდა?

– ყანობილის მთაზე თითქმის სამასი დღე მზიანია, ატმოსფერო ფრიად გამჭვირვალეა და სტაბილური. ძირითადად სწავლობენ გალაქტიკას სხვადასხვა მეთოდებით. ობსერვატორია აღჭურვილია თანამედროვე სიმძლავრის ტელესკოპებით.

ობსერვატორიაში თანამშრომლებმა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა შესძინეს მეცნიერებას. აქ დამუშავებული და დანერგულია ფოტოელექტრულ და კოლორიმეტრულ დაკვირვებათა მეთოდიკა, შედგენილია გალაქტიკის ბნელ ნისლეულთა ატლასი, ვარსკვლავთა სპექტრული და ფერის მაჩვენებელთა ვრცელი კატალოგები. დამუშავებულია ვარსკვლავთა სივრცული სიმკვრივეების გამოთვლის მეთოდი, აღმოჩენილია 2 კომეტა, 15 ცთომილი, 10 ცვალებადი ვარსკვლავი, 4 ვარსკვლავი, 17 პლანეტირებული ნისლეული, 3 ვარსკვლავთა გროვა, ზეახალი ვარსკვლავი და სხვა მრავალი.

ამ ობსერვატორიას დიდი წვლილი შეაქვს სამყაროს შესწავლის საქმეში.

– ამ გზაზევეა რკინისჯვრის ზეკარი, რომელიც ხანისწყალზე გადაგვიყვანს, სადაც უროლოგიური კურორტი საირმეა.

– თვითონ აბასთუმანი ხომ საუკეთესო კლიმატური კურორტია!

– მსოფლიოში ფრიად სახელმოხვეჭილი...

– იქით წასვლა ჩვენს მიზანს დაგვაცილებს, არა?

ეს ჰკითხა გიორგიმ მაშინ, როდესაც მათი მანქანა რაიონის ცენტრის, ადიგენის, ვიწრო ქუჩაში მიდიოდა.

– დაგვაცილებს თუ არ დაგვაცილებს, შენ უკვე დაგვაცილე და ეგაა!

გიორგის გაეცინა. უყვარდა, როდესაც ვახტანგი დაურიდებლად ამბობდა, რაც არ მოსწონდა და რასაც ფიქრობდა.

– ოძრხე თავისი ყანობილით, რკინისჯვრის ზეკარით და ხანისწყლის ხეობით, საირმეთი, მაიაკოვსკითა და ზღვის სანაპიროთი ცალკე სვლის გეზია. იქნებ გეგმაში შეიტანოთ?

მალე, ადიგენს გასცდნენ თუ არა, წყალგადმიდან ყელმოღერებული პატარძალივით შემოანათა ზარზმის შესანიშნავმა ტაძარმა.

ნამძნარებით დაფარული მთების ფონზე ყელმოღერებული და ხელგაშლილი მოცურავდა ზარზმის ტაძარი. იგი ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, რომელიც თამარის ბრწყინვალე ეპოქის შემდეგ აშენდა მეთოთხმეტე საუკუნეში, როდესაც მონღოლთა თარეშმა დედა საქართველო წელში გაწყვიტა; მესხეთში მაინც მოიპოვებოდა ისეთი სულიერი ძალა, და არა მარტო მესხეთში, რომელსაც შეეძლო, ხელოვნების ასეთი უკვდავი ძეგლი აეგო. მანქანა ტაძრის დასავლეთის კედელთან შეაჩერეს. აქედან იშლებოდა მესხეთის ორი შესანიშნავი ხეობა, დასავლეთით მდინარე ქვაბლიანისა და მინძესი. მინძეს ხეობა ტანაყრილი ნამძნარითაა შემოსილი, იქით მიემართება გოდერძის ზეკარის გზაც.

ვინ იცის, ეს ის ზეკარია, რომლითაც ძველი მესხები მიემართებოდნენ შავი ზღვისაკენ ჯერ კიდევ მეცხრე-მეათე საუკუნეებში და აჭარა-გურიაში დასახლდნენ, შუაზე გაყვეს კოლხების (ზანების) ტომი, რომელიც ჭანების სახელწოდებით დასავლეთით დარჩა და მეგრელებისა – ჩრდილოეთით.

– წყარო აქვეა, ახლო, მოლიც კარგია, და ღამეს აქ ვათევთ.

ბიჭებმა მიიხედ-მოიხედეს, პატარა სოფელი ფერდზეა შეფენილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩალურჯებულ-ჩამუქებულ ხეობაში, საკმაოდ დაქანებულ სერის ფხაზე ამართულია ოქროს ციხე (ალთუნ-ყალა) შესანიშნავი კოშკებითა და ქონგურებით.

როგორღაც ისე დაწესდა, რომ ბანაკს მინდია და გოგია მართავდნენ, სხვები კი ტაძრის დათვალიერებას შეუდგნენ.

ტაძარი თლილი ქვითაა ნაგები, ისე, როგორც მეთოთხმეტე საუკუნეში აშენებდნენ, იგი აგებულია ძველ ნატარალზე, ბალავარი მისი უძველესია. არქიტექტურა სხვა ტაძართაგან განსხვავდება იმითი, რომ ოთხკუთხედაა, გუმბათი ეყრდნობა ორ სვეტს და არა ოთხს, როგორც ჩვეულებრივია ჯვარის ტიპის ტაძრებში. კედლებზე რელიეფები არ არის, მაგრამ ფანჯრების ჩუქურთმა და აღმოსავლეთის გლუვ კედელზე ნაჩუქურთმები უზარმაზარი ჯვრები ხელოვნების შედეგებია.

ტაძარში დღესაც ეტყობა XII-XIV საუკუნეების ფრესკები, რომელზედაც, სხვათა შორის, გამოხატული უნდა იყვნენ სამცხის ათაბაგებიც. ეზო-გარემოში სხვა პატარა ტაძრებიცაა, ზოგნი უკვე იავარქმნილან. რა დღე დაადგებოდა მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ, როდესაც აქ ოსმალონი დამკვიდრდნენ და ორას წელზე მეტი ებრძოდნენ ქრისტიანობას, ე. ი. ქართველობას.

– თუ მეოცე საუკუნეში რელიგია უკან სწევდა კულტურას, თავის დროზე იგი კულტურისა და ეროვნების ფარიც ყოფილა.

– კი ღირს, მაგ თემაზე უფრო დამშვიდებით ვისაუბროთ.

– ყოველ შემთხვევაში, ჩვენი კულტურული კერების ერთი შესანიშნავი ფუძე – მესხეთი – ოსმალთა და მაჰმადიანური რელიგიის მიერ დაკნინდა და განადგურდა.

– რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო, რომ აქ დაიბადა რუსთაველი, სარგის თმოგველი...

– დიახ, მესხეთი მეშვიდე საუკუნიდან მეთხუთმეტის დასასრულამდე ჩირადდანივით ენთო... რად ღირს აშოტ კურაპალატი, დავით კურაპალატი, გრიგოლ ხანძთელი, თორნიკე ერისთავი...

ამ საუბრით მიადგნენ თავის ბანაკს, სადაც რამდენიმე ზარზმელიც იყო.

– ზარზმელები ხართ? – შეეკითხა გიორგი, ამ კითხვაზე ერთ ჭადარაშერთულს გაეღიმა.

– დიახ, თქვენი ჭირიმე, ღებელები გახლავართ.

– გასაგებია<sup>221</sup>!

– რად ინებეთ გარეთ კარვის გაშლა. მართალია, ახალმოსახლენი ვართ, მაგრამ ჭერი ჩვენც გვახურავს.

– მგზავრი კაცისთვის ესე ჯობიან. ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდდაო და გვიან ამდგარი თვალს იფშენეტდაო.

– ეგ მართალია, თქვენი ჭირიმეთ, მარა...

მალე ჩაიდანიც ადულდა და შეუდგნენ მგზავრულ სერობას. ღებელი ჩქარი ნაბიჯით გაბრუნდა და მალე მოვიდა საღვინით ხელში.

– მართალია, კახური არაა, მაგრამ მესხეთმა ძველი რჯული მოიგონა და ღვინოც დააყენა.

– მაშ ეს სერის კუდი იყოს, – დიდხანს ისაუბრეს.

– ნურასდროს ნულარ ჩაქრება ამ მიწა-წყალზე ქართველი კაცის ვარსკვლავი, ისე იწურებოდეს მტევანი, როგორც ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და რაჭაში... – დაილოცა ერთი ზარზმელი.

– ენთოს ზარზმაში სანთელი და აღარასდროს ქრებოდეს, – დაუმატა ჭადაროსანმა.

ცაზე ვარსკვლავები აკიაფდა, როდესაც ახალი ზარზმელები ადგნენ. გიორგიმ მათ საღვინეს კარდანახული დაუმატა, რაც ძალიან ესიამოვნათ. ისე ერეოდათ ფეხი, თითქოს ეზარებათ ბანაკის თავის დანებებაო. ადრინადად ადგნენ. გოგიას ცეცხლი აენთო უკვე და წყალი დუღდა. გუშინდელი რაჭველებიც იქვე იდგნენ. ვახტანგმა თვალი მოჰკრა, რომ ლურჯ სუფრაზე რაჭული ხაჭაპურებით სავსე ტაბაკი იდო. გაელიმა და ჩაირბინა წყაროზე. დაიბანეს პირი, ისაუზმეს და გულითადად გამოემშვიდობნენ თავიანთ ახალ მეგობრებს. მანქანა შეუდგა აღმართს, ქობლიანის წყლის მარჯვენა შენაკადის, მდ. ძინძეს, ნაპირს რომ გასდევდა. გაღმა-გამოღმა მთის სერები ნაძვნარ-სოჭნარით არის დაფარული, ტყე ვაჟკაცურად დგას, მაგრამ ალაგ-ალაგ აქაც გამხმარია თითო-ოროლა ძირი. ნუთუ ლაფნისჭამია აქაც შემოიჭრა? ან რა გასაკვირველია? ციმბირის ხეტყის გაუქერქავი მორი შემოჰქონდათ აბასთუმანს, ადიგენს...

ქვევით, ღრმა ხევში, ძინძეს თეთრი ქაფის ძაფი გაეგლო და მგზავრებამდე მისი ხმაური ვეღარ აღწევდა. გაღმა ლურჯ ქედებს გადასცქეროდნენ. გადაღმა ხომ ჭოროხის ხეობაა, ძველი საქართველოა!

ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ავიდნენ და გაღმა ქედზე ტანბრეცილი წიფელიც გაჩნდა. არაა მართალი ზოგიერთის აზრი, მესხეთში წიფელი არ იზრდება და ვერც გაიზრდებაო. ქვევით, სადაც ტყე მოისპო, ცხადია, ვერ გაიზრდება, ან – ძნელად, მაგრამ მაღლა, სადაც ტყეა, კარგად გრძნობს თავს.

ჯერ გოდერძის ზეკარზე არ იყვნენ ასული, რომ გიორგიმ მანქანა დააყენებინა.

– აქ უნდა ვნახოთ, რაც მთავარიაო.

გზის მხარმარჯვნივ აუხვია და პატარა სერის პირიქით მოექცა.

სერის კალთა დაღარული იყო პატარ-პატარა ნაკადულებით, ზოგი ამომშრალიყო, ზოგან კი წყალი კიდევ ლიკლიკებდა.

– ამ ნაკადულებს ჩაჰყევით და გაქვავებული ხის ტოტებსა და მორის ნატეხებს მონახავთ.

ჯერ ათი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ გივიმ ამოსძახა პატარა ნაკადულის ნაპირიდან:

– აბა, მოდით, ალბათ, ესაა, არა?

და ერთ დიდ მორზე მიუთითებდა. მართლა ალი-კვალი<sup>222</sup> ხის ძირი იყო, ნახევარი მეტრის სისქე და ერთი მეტრის სიგრძე.

– მართალი გითხრა, ასეთი კარგი ნიმუში იშვიათად მინახავს, ყოველ მუზეუმს დაამშვენებს. მთლიანად მორის აგებულებაა, წლიური რგოლები შესანიშნავად ეტყობა.

– ვულკანურმა ფერფლმა და ამონაფრქვევმა დაფარა ტყე, კაჟოვანმა ნივთიერებამ, რომელიც ბევრია ფერფლში, გამოდენა მერქნის ამგები ნივთიერება და მისი ადგილი დაიჭირა. და აი, მრავალი მილიონი წლის შემდეგ ჩვენამდე მოაღწია. ამ გაკაჟებული ხის აგებულებით შეიძლება დადგინდეს, რა მცენარეა, რა ხეა. მერქნის სტრუქტურა დაცულია.

გოდერძის გაქვავებული ტყე ნაკრძალია, მისი გახიზვა აკრძალულია, მაგრამ ვინ დაგიდევს? ხეირს არ აყრიან, არც მეცნიერნი, არც საქმოსნები. ამ უკანასკნელთ წაუღიათ ეს გაქვავებული ხე ბათუმში და უკეთებიათ ღილები. გვიან მიექცა ყურადღება. საჭიროა, გოდერძი მკაცრი რეჟიმის ნაკრძალად გამოცხადდეს.

გოდერძის ნაკრძალი დიდი ხნისაა, მისი აბსოლუტური ასაკი 12 მილიონი წელი მაინცაა, ზედა მიოცენის ზედა ნაწილი (სარმატია).

ამ გაქვავებულ მცენარეთა შორის ბევრია სუბტროპიკული ტყის ხეები (68%); თბილი ზომიერის (17%) და ზომიერი ჰავის ელემენტები (15%).

სუბტროპიკული ტყის ბინადრებიდან აღსანიშნავია მარაოსებური ფოთლებიანი პალმა ლივიგსტონია, რომლის ფოთოლი თითქმის ერთი მეტრის სიგრძე-სიგანისაა, გარდა ამისა, ბევრია ქაფურის ხე, დაფნა ორნაირი, პერსეა ორნაირი, მაგნოლია, ორნაირი მარადმწვანე მუხა.

– გავები ჯუნგლებში, გავები!... – ახმაურდა ვახტანგი, – მართლა რომ თანამედროვე ტროპიკული და სუბტროპიკული ტყის ტიპი ყოფილა.

თბილი, ზომიერი ჰავის ტყის ელემენტებიდან გვხვდება კაკალი, რომელიც ჩვენს კაკლებს ჰგავს, წიფელი, აკაკის ხე<sup>223</sup>, ორნაირი ხურმა, ორნაირი ხეჭრელი და სხვა; ზომიერი ჰავის ტყეში კი, როგორც ჩანს, იზრდებოდნენ ნაძვი, ფიჭვი, დაბლობისკენ ვერხვი სამნაირი, ტირიფი სამნაირი.

ამ სახეობათა ფოთლები აღბეჭდილია ამ მხარის დიანაცრისფერ ტუფებში, ან მასშია ჩაკირული გაქვავებული მერქნის სახით.

აქ მოპოვებული ნიმუშების მიხედვით, მედეა უზნაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «ფლორის უმთავრესი მასა სუბტროპიკული ტყის ელემენტია, და მათ შორის გაბატონებული იყო დაფნის ტიპის ტყეები, ისეთი, როგორც გვხვდება კანარის კუნძულებსა და ჰიმალაის ქედის სამხრეთ კალთებზე».



აი, როგორ წარმოუდგენია მედეა უზნაძეს ამ ტყეების განამარხება, ვულკანური ამოფრქვევის შედეგად მიღებული ფერფლის ღვარები და ნამსხვრევები, რომელიც ტალახისებურ ბლანტ მასას წარმოადგენდა, მოედინებოდა ზღვისკენ დაქანებულ ფერდზე და თან მოჰქონდა ყველაფერი, მათ შორის – ხის ნაწილებიც. მოედინებოდა ნელა, ბევრგან ხეებში ჩერდებოდა, დინება ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო, რადგან მოხდა მცენარეთა სწრაფი კონსერვირება. ამას ადასტურებს შეუცვლელი მერქნების პოვნაც, მერქნები გაიჟლინთნენ სილიციუმით და გაკაჟდნენ. გოდერძის ზეკარის ფლორა მოტანილი კი არ არის, არამედ ადგილობრივიაო.

– მაშინ განა ცხოველები არ იყვნენ? – იკითხა ვახტანგმა.

– სოფელ საროსთან იპოვეს (ვგონებ ლაზარისშვილმა) ჰიპარიონის კბილი, აი, იმ ცხოველისა, ბაზალეთის ტბის პირას რომ ეძებდით. ამ მხრივ, ჩვენი მესხეთი ნაკლებაა გამოკვლეული.

აი, თქვენ მოინახულეთ სამი ბოტანიკური ბაღი: გოდერძზე ტენიანი, სუბტროპიკული, სადაც პალმები გვხვდება, ხეები კი მარადმწვანე ფოთლოვანია. ქისათიბაში – ზომიერი ჰავის ფოთლოვანი ტყე, ვალეში უფრო ქსეროფიტული ტყე ყოფილა, სადაც აკაკიც კი იზრდებოდა. სამივე ეს ფლორა ერთდროულია, თანაც იმას ადასტურებს, რომ იმ ხანებში ეს მხარე მთავორიანი ყოფილა, ერთმანეთისაგან დაშორებული ღრმა ხეობებითა და თავისებური მიკროკლიმატით, ის მთები – აჭარა-შავშეთისა, რომელიც დღეს სამცხეს შავი ზღვისაგან საზღვრავს, ჯერ ამოზიდულნი არ იყვნენ, მაშასადამე, გოდერძის ფლორაზე შავი ზღვა უშუალო გავლენას ახდენდა.

მზე გადაიხარა, როდესაც თავი მაღლა ასწიეს.

– კარგა დრო გასულა!

– დღეს აჭარლების სამოვრებსაც ვნახავთ და იქ, სადმე, წყაროსთან ვისადილოთ...

გადაწყვიტა გიორგიმ.

მანქანამ მალე აირბინა აღმართი, გაივკა. აქ უცნაური სურათი დახვდათ. აუარებელი აჭარლები ჩამომსხდარიყვნენ და გრძელპირა დანებით პატარა ჯოხებს თლიდნენ.

ვახტანგმა ვერ მოითმინა და ერთ ახალგაზრდას ჰკითხა:

– რას აკეთებ, მობილო?

– არაფერს, ჭო, ვისვენებ!

მამამ აუხსნა: აჭარლები, უმთავრესად კი, ხულოელები, ზაფხულში მთაში ამოდიოდნენ, საქონელი აქ ამოჰყავდათ, ეს ჩვევა შერჩათ... აგერ, საზაფხულო სახლი, ორსართულიანი თავისებური ოდეები. მათ ორი სახლი ჰქონდათ: ერთი ძირს, სოფელში, მეორე მთაში, სამოვარზე.

ბიჭებს შიოდათ, ერეკლე იწვევდა ფიჭვნარიდან: წყარო ვნახე, აქ გადმოდიოთ.

თვეზე მეტია, ცის ქვეშ ვართ...

– მაშ, აჭარა-გურია შემდეგ?

– ასე გამოდის. მაგრამ ოძრხე და ხანისწყლის ხეობა?

– ერთად, შემდეგ.

შინაც უნდოდათ დაბრუნება, მალე ლექციები განახლდებოდა და მომზადებაც იყო საჭირო, გივისაც უთავდებოდა დათქმული ვადა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან.

– რას ვიზამთ, შემდეგ იყოს...

---

<sup>1</sup> ბაგა – ახალშენი ვენახი, ნ.კ.

<sup>2</sup> ოლე – მოგრძო ტყე ველთა შუა (საბა).

<sup>3</sup> მცხრალი – ავსილი მთვარის მოკლება (საბა). დღევანდელ სოფლის მეურნეობაში – მიწა, რომელზედაც წინა წელს ეთესა ყანა და წელს კი მოუხნავა დატოვებული.

<sup>4</sup> წანახედი – საქონლის მიერ ნათესის გაფუჭებით გამოწვეული ზარალი.

<sup>5</sup> ამ ხანებში გრ. ორბელიანი უნდა ყოფილიყო.

<sup>6</sup> ხმალი გააგდო – ხმალში გაიწვია.

<sup>7</sup> ურო – აქ: მრავალწლოვანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა.

<sup>8</sup> მროწლე – ნახირი, ჯოგი.

<sup>9</sup> წუა – ნაკლებ ნადული ხილის წვენი – «ხმელის მჟავის გამონაწურს წოწობა ჰქვიან და ნედლის მჟავისას - წუა, ვიეთნი საწებელს უხმობენ» (საბა).

<sup>10</sup> ცხინვალური წითელი ღვინოსაგან, რომელსაც შავკაპიტოსაგან აყენებდნენ, მეოცე საუკუნის დასაწყისში მრეწველი ანანოვი ცნობილ წითელ შამპანურს აყენებდა.

<sup>11</sup> წერაყინი – წერაქვის მსგავსი რკინის იარაღი, იყენებენ ალპინისტები ყინულია სამტვრევად მწვერვალზე ასვლისას.

<sup>12</sup> კაკაროტი – ხარია ერთგვარი, რომ არც სუქდებადეს, არც მჭლეობდეს. გლეხნი უწოდებენ (საბა). თანამედროვე ქართულში ისმის, როგორც ხმელ-ხმელი, კარგად აგებული.

<sup>13</sup> შევარდენი – Falco peregrinus – გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში, ბუდობს ჩვენშიც, დებს 2-3 კვერცხს. იჭერს ჩიტებს, შოშიებს. თავს ესხმის გნოლს, კაკაბს, ხოხობს, გარეულ ბატსა და იხვს.

<sup>14</sup> ბარი – Falco cherrug – საქართველოში გვხვდება მთაშიც და ბარშიც, ზამთრობს ჩვენში. ბუდეს იკეთებს ჭალის ტყეებში, ტყის პირებში, თუ ახლო მინდორია. აპრილში დებს 3-6 კვერცხს. მისი საკვებია თავგები, ვირთაგები, მემინდვრიები. არ უარობს ფრინველს, შოშიას, შაშვს, კაკაბს.

<sup>15</sup> ძერა – Milvus corchuh-საქართველოში გვხვდება ყველგან, მთაში ალპებამდე ადის. ბუდეს ხეზე იკეთებს. ჩეკს 3-4 ბარტყს. იკვებება თავგებით, ვირთაგებით, მემინდვრიებით, ხვლიკებით, გველით. მინდვრის კარგი დარაჯია. ბინადრობს ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიაში.

<sup>16</sup> ბორა – Milvus milvus-ბინადრობს ტყეებში, გადამფრენი უნდა იყოს, თუმც ზამთარში ნანახია რიონის ხეობაშიც. 2-3 ბარტყს ჩეკს. საკვები იგივეა, რაც ძერასი. საერთოდ კი, გვხვდება ევროპაში, მცირე აზიაში, ირანში, აფრიკაში.

<sup>17</sup> თირი – ნაცრისფერი რბილი ქვა.

<sup>18</sup> დაწალიკება – ერთიმეორის მიყოლებით წასვლა.

<sup>19</sup> თანამედროვე ქართულში კვერნაქი ისმის როგორც კვერნაკი.

<sup>20</sup> ჯოჯო-აგამა – ხვლიკისნაირი ცხოველია, აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, განსაკუთრებით ხრიოკ, ცხელ, მზვარე ადგილებში. ალპურ ზონამდე ადის, მაგრამ უფრო ტიპურია ძირს, ბარში და გვერდის ძირებში. ზაფხულში ოცამდე კვერცხს დებს, აგვისტოში იჩეკება მისი წიწილები. ჯოჯოს საკვებია მწერები, ობობები, პატარა, ხერხემლიანი ცხოველები. ზამთრის პირას ძილქუშში ჩავარდება ხოლმე, იღვიძებს ადრე გაზაფხულზე, ე.ი. მაშინ, როცა მისი საკვებიც ჩნდება.

<sup>21</sup> წყალ-ლორღი – შედედებული, მღვრიე, ღვარცოფი, – ქვა, ლორღი, ტალახი სჭარბობს წყალს.

<sup>22</sup> მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ატენის მებატონეებმა ატენის ხეობის მთელი ტყე ფეხზევე მიჰყიდეს ვინმე გერმანელ მრეწველს, ზეზემანს, რომელმაც გორიდან ატენამდე გაიყვანა ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა. იგი პირწმინდად ჩეხდა ტყეს, ატიტვლებდა ფერდოს, მარტივ წესებსაც კი არ იცავდა. ხშირი იყო ხანძრებიც, რომლებიც ტყეს ანადგურებდა. ოციოდე წელში ჩამოატიტვლა მთელი ხეობა და წავიდა. ჩვენ კი დაგვრჩა მძიმე მემკვიდრეობა.

<sup>23</sup> ზრო – ხის ტანი.

<sup>24</sup> ქვიტორი – დამკვეთი.

<sup>25</sup> ულო – ძნის შესაკრავი დაგრეხილი სველი ნამჯა.

<sup>26</sup> ხირხიტინია – ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი.

<sup>27</sup> კორომი – ჯგუფად მდგარი ხეები; ნარგავი ტყე.

<sup>28</sup> კივკივი – ინდაურის ხმიანობა.

<sup>29</sup> ქარაგოზი – (სპ.თურქ.) ფოთლოვანი მღიერი, ქვის ხავსი.

<sup>30</sup> ებერნიკი – თეთრმარცვალა დიკა.

<sup>31</sup> ცრიაგი – მკრთალი, ფერმკრთალი.

<sup>32</sup> კაჭაჭი – გამხდარი ღერო მაღალი მსხვილღეროანი ბალახისა

<sup>33</sup> ბუჩო – ჩალაბურის, ბზისა და მისთ.გროვა.

<sup>34</sup> ასკი – კუკუ (ქართლურად) იგივე ფარსაკუკუ (გურულად), ბარცაკუკუ (კახურად), ერთგვარი ცეკვა იყო, გურიაში ადადგინეს, ქართლ-კახეთში მხოლოდ ეს სიტყვები დარჩა, რაც ხშირად მაღლა შეხტომას ნიშნავს, როცა ფეხებში სცემენ.

<sup>35</sup> შველი – Capreolus capreolus ფართოდ გავრცელებული ცხოველია, გვხვდება ევროპაში, ციმბირში, შუა აზიაში, პალესტინა – მესოპოტამიაში.

<sup>36</sup> მახობი – ქატოს შეჭამადი.

<sup>37</sup> ნოტო – (კუთხ.) ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი.

<sup>38</sup> მიმწარე – ძირმწარა, მრავალწლოვანი მცენარე.

<sup>39</sup> სანახირო – სოფელში ნახირის შესაგროვებლად შეგულებული ადგილი, დილით აქ ყველა მეზობელი ერთმანეთს ხვდება.

<sup>40</sup> ტალიკ – ტალიკი – მოხდენილი და მხარბეჭიანი ბიჭები.

<sup>41</sup> უგლავს თავს – აბამს თავს.

<sup>42</sup> ბულა – ჭაობის ფრინველია, გრძელ ფეხებზეა შემდგარი, კისერიც გრძელი აქვს, მაგრამ წეროსავით წვრილი კი არაა. თავიდან ტანისკენ თანდათან განივრდება. გადამფრენია, ჩვენში იშვიათად იცის, გუნდებად არ დაფრინავს; უფრო ხშირად დედალ-მამალია ერთად. ყრუდ, ბოხი ხმით ხმიანებს.

<sup>43</sup> ჭყაპი – გამდნარი თოვლისა და წვიმისაგან დაყენებული ტბორები.

<sup>44</sup> ლია – 1. ლამი, საფლობი ტალახი;

<sup>45</sup> ქარაფი – დიდი, ფრიალო კლდე.

<sup>46</sup> ანფილადა – ერთმანეთთან კარებით შეერთებული ოთახების რიგი.

<sup>47</sup> ლევანი – მწერალი ლევან გოთუა.

<sup>48</sup> ჭადი – ამ ლექსში უეჭველად სიმინდის პური არ იგულისხმება, ძველად თესავდნენ ერთ ფეტვს, რომელსაც ჭადი ეწოდებოდა, მის პურს – «ჭადის ჭადს» ან «ჭადს» უწოდებდნენ. ამის ანალოგიურია ღომი, მისი ნახარში – ღომისღომია ან ღომი. ჭადის პური საღარიბო საჭმელი იყო.

<sup>49</sup> ხაზი ჩემია, ნ. კ.

<sup>50</sup> უსანეთობა – დიდი დღეობა იცოდა მეჯვრისხვევში, იმართებოდა დიდი ბაზრობაც.

<sup>51</sup> საგოზავი – წებოვანი, ზღანტი ნივთიერება ბზარების ამოსავსებად.

<sup>52</sup> გოზაური – ღვინო-არყის ჩამოსასხმელი მოზრდილი თიხის ჭურჭელი.

<sup>53</sup> ჩანახი – საწყაო, ქართულ კოდში რვა ჩანახი იყო, კოდი ოთხ ფუტს იწონიდა.

<sup>54</sup> მაზრას ძველად ხალხი უწოდებდა იმ ნაწილს, სადამდეც მისი ხმა და თვალი მისწვდებოდა.

<sup>55</sup> გონგოლა – შეფოთილილი ხის ტოტების გრძელი კონა.

<sup>56</sup> მისხალი – ძველებური წონის ერთეული, უდრის დაახლ. 4, 25 გრამს.

<sup>57</sup> წყლის ქურდი – ბოსტანში ჩაგდებულ წყალს დაახვევდა და თავის ბოსტანში მიუმარჯვებდა (ქვემოური), ან ზევით ბოსტანისკენ გადაუგდებდა (ზემოური).

<sup>58</sup> ხაზი ჩემია, ნ. კ.

<sup>59</sup> მეფე – ვახტანგ VI

<sup>60</sup> ხაზი ჩემია, ნ. კ.

<sup>61</sup> ქართლში იყო: 1) საბარო ურემი, მოკლე ჭალებიანი, სამოგზაურო; 2) სამნე ურემი, დიდი, მაღალჭალიანი, ძნის, თივის, ფიჩხის, შემის საზიდი, სამუშაო ურემი; 3) ბოლოთრია მთიდან ტვირთის საზიდი.

<sup>62</sup> გაუხეშავი – ე. ი. ღერძზე თავისუფლად ტრიალებს, მაშინ, როდესაც მარცხენა გახეშილია სახეშით, პატარა სოლებით ღერძზე დამაგრებულია და მასში ღერძი ვერ მოძრაობს.

<sup>63</sup> კოკოზა – თევზის საჭერი გოდორი.

<sup>64</sup> პირმეცეული – თევზის საჭერია, წნელი დაწული კი არ არის, რამდენიმე რკალზეა ბაწარასხმული.

<sup>65</sup> ხელსამსე – დიდი ფიჩხული, რომელიც ხელს აავსებს.

<sup>66</sup> ლასტი – წნელის ბრტყელი წნული.

<sup>67</sup> კანთარო – დამპალი ხე, რომელიც ღამით სინათლეს გამოსცემს.

<sup>68</sup> დაკარწახება – წვივის გაშიშვლება.

<sup>69</sup> ხორგი – ყინულის დიდი ნატეხი წყალზე.

<sup>70</sup> თოში – ყინული, რომელიც მდინარეს მოაქვს გაზაფხულზე.

<sup>71</sup> პაჭიჭი – წვივზე წამოსაცმელი ტყავისა (ან შალისა), საწვივე.

<sup>72</sup> დუბე – დაბალი ადგილი

<sup>73</sup> ოდვა – შემოუსვლელი მარცვლის გახმობა. მარცვალი ბჟიტი იყო.

<sup>74</sup> ჭიგო – ვაზის სარი.

<sup>75</sup> ბელვა – სხვლა, გაკაფვა.

<sup>76</sup> მანუელი – დაბალი ხე ან ბუჩქი ტირიფების გვარისა. მის ტოტებს ხმარობენ გოდრებისა და კალათების დასაწნავად.

<sup>77</sup> მზვარე – მზიანი, უჩრდილო ადგილი.

<sup>78</sup> გამტკიცული – წმინდად გაცრილი ფქვილისგან გამომცხვარი (პური).

<sup>79</sup> ფშა – 1. მდინარის პირას გამომდინარე წყარო;

<sup>80</sup> სატანად – შესატანებლად.

<sup>81</sup> ლიახვის ხეობელები თვლიან, რომ მათი სადარო ლიხის მთაზეა, თუ ქვიშხეთსა (მთაწმინდა) და ფონის შუა შავი ღრუბელი გაჩნდება, წვიმის ნიშანია.

<sup>82</sup> აჯამი – (არაბ.) რეგენი, ბრიყვი.

<sup>83</sup> ერთი ალო ერთი დღის ხვანა, გუთნეული დღეში ერთ დღიურსა ხნავდა, ნახევარ ჰექტარს 60-62 – ჯერ უნდა შემოეველო. «გამარჯვებულმა გუთანმა სამოცდასამი უარა, სამს კიდევ შემოუვლიდა, მეხრეს რომ არ ეუარა».

<sup>84</sup> ანეული – ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.

<sup>85</sup> მოდგამი – ჯილდის მოზიარე (საბა). ჯილდა – ერქუანი, გუთანი, სახვნელი.

<sup>86</sup> «ძელი ჭემმარტის» ტაძარი გააზრებული იყო, როგორც «ძველი ჭემმარტი». მოიგონეთ «ძელშავი» და «ძველშავი».

<sup>87</sup> კაბდო – ხელნებიანი ფიცარი, რომელზედაც ფარცხია მიბმული.

<sup>88</sup> შუაკაური – ქართულ ჭიდაობაში – შუა სარმა.

<sup>89</sup> «ჩვენ კი-ს მაგივრად ლექსშია «მოდგამს». «მოდგამია» გუთანში ყველა მონაწილე, ვისაც ალო ეკუთვნის.

<sup>90</sup> ჩეკი – პატარა ბარულაა, გუთანი ტალახს რომ აიკრავს, მის გასაწმენდად ხმარობენ. მისი ტარი ერთი მეტრის სიგრძე მაინცაა.

<sup>91</sup> ხარვეზი – მოუხვნელად დარჩენილი ადგილი კვლების გაყოლებაზე, წიწილი – ძალიან პატარა ხარვეზი.

<sup>92</sup> გუთანზე სადილი და სამხარი იყო წესით: დილით-სადილი, ნაშუადღევს-სამხარი. ღამის მეხრეებისთვის ზედმეტი თითო პური. მკაში – საუზმე, სანამდე ნამგალს შეიტანდნენ. 11 საათისთვის სადილი, 2 საათისთვის სამხარი, 6 საათისთვის ზარმელი ფეხზე დგომით, თითო ჯამი ღვინო და ცოტაოდენი წასატანებელი.საღამოს სახლში ვახშამი.

<sup>93</sup> კოპი – აქ: ტყავის წვრილი ნაჭერი, თასმა, ქალამნების ამოსასხმელი.

<sup>94</sup> მარდი – 1. ულამაზო თეთრი (ითქმის თვალების შესახებ) 2. ასეთი თვალების მქონე.

<sup>95</sup> ვლექსაობდით – გმირების ლექსებს ვამბობდით, ვშირობდით – სააუგო ლექსებს ვეტყობდით ურთიერთს, ვიგაობდით – პატარ-პატარა იგავეს ვამბობდით, ვქილიკაობდით – სიტყვამახვილობაში ვეჯიბრებოდით ურთიერთს.

<sup>96</sup> ყორული – (თურქ.) ნაკრძალი სათიბი (სამოვარი).

<sup>97</sup> ბიჭი ვერ დაჰკრავდა – ვერ მოერეოდა.

<sup>98</sup> რიგ-რიგა – თავისებური მამითადაა. 8-12 ახალგაზრდა შეთანხმდებოდა და სიმინდს დღე-ჩაგდებით თესავდნენ. ნიკამ ორშაბათს დათესა, ვანემ-ოთხშაბათს, ლექსომ – პარასკევს და სხვ. თოხნის დროს პირველ დღეს ნიკას უთოხნიდნენ, მეორე დღეს-ვანოს და ასე ბოლომდე, ორი-სამი კვირის შემდეგ პირველს ისევ მეორე თოხი სჭირდებოდა. ეს იყო ჩვეულებრივი წესი სიმინდის თოხნისა. მონაწილეებს « რიგ-რიგის» ბიჭებს უწოდებდნენ.

<sup>99</sup> ნაგვალი მიწა – გვალვით გამომშრალი მიწა.

<sup>100</sup> კუბანაური – ადგილის სახელი.

<sup>101</sup> ასაოში – ხელმეორედ არადრმად მოსახნავი.

<sup>102</sup> ჩემი ბალღობის დროს, ე. ი. 1917 წლამდე, ქართლელი გლეხის სანიადაგო ტანსაცმელი იყო კოპით ამოსხმული ქალამანი, წინდა, პაიჭი, ზოგჯერ საცვეთიც იცოდნენ. შარვალი ლურჯი, ლაინისა, პერანგად თეთრი ნარმა ან მოწინწკლული ჩითი, შავი ხალათი. ზევიდან სალდათის მაზარა ( ნახმარი 2-3 მან. ღირდა, ახალი – 5 მან. ). უქმე დღეს ჩუსტი ან გორული თეთრი ქალამანი, ჭრელი წინდა, ჭრელი პაიჭი, სახლში ნაქსოვი შალის ლურჯი ან შავი შარვალი, მოკლე ახალუხი და ყარაჩოღული ლურჯი ჩოხა. ქუდი ნაბდისა, მაგრამ კახურ ქუდზე გაცილებით პატარა.

<sup>103</sup> აზნაურნი იცვამდნენ წულა-მესტებს, უმთავრესად შავ შარვალს, გრძელ შავ ახალუხს, ჩოხას ( შავი, ლეგა, ზანგელა), რომელსაც მოსევადებული მასრები ჰქონდა ან ძვლისა, ქუდი ყალმუხისა იყო. ქამარ-ხანჯალი ან სადა, ან მოსევადებული ვერცხლისა. ხელმოკლენი იცვამდნენ ჩუსტებს, ხანჯალსაც ყველა არ ატარებდა.

<sup>104</sup> სარისტა – (სპ.) 1. თადარიგი, წესრიგი; 2. გამჭრიახობა, მოხერხება.

<sup>105</sup> წანახედი – საქონლის მიერ ნათესის გაფუჭებით გამოწვეული ზარალი.

<sup>106</sup> ტაბარუკი – (ძვ.) უქონელი, ღარიბი, დატაკი.

<sup>107</sup> მახობელა პური ქართლში იცოდა: «მახობელა» პურის ჯიში არაა, «მახობელა» ერთწლოვანი დატოტიანებული სარეველა ბალახია, იზრდება ნახევარი ან ერთი მეტრის სიმაღლე. მისი თესლი ხორბლის სიმსხო და ზოგი მათგანი ცხრილის შემდეგ დასაფქვავ ხორბალში რჩება. შეიცავს ზეთს (ოსმალეთში მას

ცალკე ცხიმის მისაღებად იყენებდნენ). ცხიმი ჰაერთან შეხებით ლურჯდება და ამიტომ აქვს პურს ლურჯი ფერი. არბილებს კიდევ პურს. ადვილად არ ფაშრდება.

<sup>108</sup> სარჩლი (ძვ.) – გამოსარჩლება, ქომაგობა, მფარველობა, სარჩლობა.

<sup>109</sup> როგორც ხედავთ, ხევისკაცები თავისებური მსაჯულები არიან. ერთადერთი მათი გასამრჯელო იყო სახელდახელო «სადილი» ან «ვახშამი», რომელიც გამტყუნებულს ევალეობდა.

<sup>110</sup> თაბასარა – დანიგვზული მხალი (საბა).

<sup>111</sup> ხომლი – ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული.

<sup>112</sup> საყვეარი – გუთნის თავის ხარების წინა უღლეულების მოსაბმელი ჭაპანი, ჯაჭვი, ძელი და მისთ.

<sup>113</sup> კავშა – თეტრფეხა (ცხენი).

<sup>114</sup> კობი – 1. საკვერე ქვა; 2. მსხვილი სეტყვა.

<sup>115</sup> ახურმაგი – თოფრა არის დაწული (ხართა პირთა ამოსდებენ კალოთა, რათა ძნა ვერ ჭამოს და ამოიცოხნოს), ახურმაგი სვანეთში დღემდე გვხვდება.

<sup>116</sup> აიოდა – მარცვლის დასრულებამდე დაჭკნა.

<sup>117</sup> უგლის – უჩეჩქავს.

<sup>118</sup> ნაწვერალი – მომკილი ყანის ნაშთი, ნამჯა.

<sup>119</sup> ხომანდული – ადრეული ვაშლის ჯიში, ისხამს მკრთალ ყვითელ ნაყოფს, მწიფდება ზაფხულში.

<sup>120</sup> ჩალხანა – მომცრო, ყურიანი, თუჯის ან სპილენძის ქვაბი, ცეცხლზე ჩამოსაკიდებელი.

<sup>121</sup> ხელეური – ნამგლით მომკილი პური, რაც ერთ ხელში თავსდება.

<sup>122</sup> კალმუხი, კალმუხის ქუდი – ცხვრის ტყავის ქუდი.

<sup>123</sup> სანიადაგო – ყოველდღიური.

<sup>124</sup> ფეტამალი (ფესტამალი) – ხელოსნის წინსაფარი, ტყავისა.

<sup>125</sup> ხელეჩო – ცალი ხელით სახმარი პატარა ეჩო. ეჩო-ხის სათლელი იარაღი.

<sup>126</sup> არნადი – კალოზე ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი.

<sup>127</sup> მაიმახი – ფეხმრუდი; თანამედროვე ქართულში ორივე ფეხით კოჭლი, მახინჯი.

<sup>128</sup> ფმატიყვაილობა – დაახლოებით მაისის შუა რიცხვები. ამ დროისთვის გლეხკაცს შემოაკლდებოდა ხოლმე და «ვარცლი კანკალებდა» – ვარცლი ფქვილს მოითხოვდა, სახლში კი ფქვილი აღარ იყო.

<sup>129</sup> ქეჭრელი – ერთად დათესილი ქერი და დოლის პური, დაახლოებით ნახევარი ქერი და ნახევარი ხორბალი. ქერ-დიკა ერთად დათესილი, ისევე სანახევროდ. ასე თესავდა უმთავრესად ღარიბი ხალხი, ნახევარ დღიურს (2500 კვადრატული მეტრი) ადრე მკიდნენ, მზეზე აშრობდნენ და ლეწავდნენ. ჩვეულებრივ სანამ მკა დაიწყებოდა, 2-3 კვირით უსწრებდა და ხალხი იოლას გადიოდა.

<sup>130</sup> ოდოში – ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართა დაუჭამებელსა და სიმაგრენაკლებსა ოდოშსა უწოდენ, ხოლო ყანათასა – ეტერსა (საბა).

<sup>131</sup> უსხი – ზროხა საკლავი, მსუქანი (საბა)

<sup>132</sup> შუაკაური – ქართულ ჭიდაობაში შუა სარმა.

<sup>133</sup> საცალო – ფარდაგის დიდი ტომარა.

<sup>134</sup> სოფ. კარალეთის დასავლეთით მდებარე მინდვრებს, ლიახვსა და სოფელს შუა ნაჭარმაგევი ეწოდება; ჩრდილოეთის საზღვარი – გორი-ცხინვალის შარაგზა.

<sup>135</sup> ასკი-კუკუ – ცეკვა იყო ერთგვარი, ხშირი ჩამუხვლა უნდოდა. იგი ეხმაურება გურიაში აღდგენილ ფარსა-კუკუს. დღეს ქართლ-კახეთში დარჩენილია მხოლოდ სიტყვის მასალად, მუქარად: «შენ, იცი, ჭკვიანად იყავ, თორემ სულ ასკი-კუკუს გაცეკვებო» (ქართლი), « სულ ბარცა-კუკუს გათამაშებო» (კახ.)

<sup>136</sup> ჩალიჩი – შემოიხაზებოდა წრე, რომლის დიამეტრი 2-3 მეტრი იყო. არადანის მიხედვით 10-12 გაითვლიდნენ. ხუთი (ექვსი) ერთ მხარეს იყო, ამდენივე – მეორეს. კენჭის ყრით ერთი ჯგუფი დგებოდა წრეში, ჩალიჩს (ლახტებს) წრეში დებდნენ, ისე, რომ ჩალიჩს თავი წრის ხაზზე სდებოდა. გარეთებს ჩალიჩი უნდა მოეტაცნათ ისე, რომ წრეში მდგომს არ ჩაეჭრა, ფეხი არ მოეხვედრებინა მუხლამდე, გარეთ მოთამაშე რომ ჩალიჩს (ლახტს) მოიგდებდა ხელში, ამის შემდეგ იყო ფეხზე ცემა. თუ ყველა ჩალიჩი გარეთების ხელში იყო, შიგნითანი ზარალობდნენ, მაგრამ გარეთანი ბოლოს ჩაიჭრებოდნენ და ახლა ისინი დგებოდნენ წრეში; სანამ დაიღლებოდნენ, თამაში გრძელდებოდა.

<sup>137</sup> ტოლალები – (თურქ.) მტკიცე ქსოვილის გრძელი, ფართო ნაჭრები, რომლებსაც იხვევენ წვივებზე ჯარისკაცის შარვლის ზემოდან.

<sup>138</sup> ფარდი – ისეთი, რომელიც ღირებულებით შეძლებულის დარი იქნებოდა.

<sup>139</sup> ახო – საყანური გაკაფული (საბა).

<sup>140</sup> არამუნებური – არაიქაური.

<sup>141</sup> ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობს, ალბათ, უცუნას (სათოვლია) *Calchicum speciosum*-ს, რომელიც, მართლაც, ფრიად შხამიანია, მისგან იღებენ კოლხიციის. წყევლაცა: «აი, შენ და, უცუნაო», – ეტყვიან, ვინც ეჯავრებათ.

<sup>142</sup> ბოძალი – ისარი ორპირი.

<sup>143</sup> მარიამი, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ერეკლე მეორის ასულია, დავით ციციშვილის მეუღლე.

<sup>144</sup> შილა – აქ: ბამბეულის ქსოვილი, ჩვ.წითელი ფერისა.

<sup>145</sup> მუნიდამ – იქიდან. მუნ – იქ.

<sup>146</sup> სივირა-შედღვებილი მაწვნის, დოს, საწურავი.

<sup>147</sup> ფარეში – ხის ჭანჭიკა (საბა). თანამედროვე ხელოსნები ფარეშს რომ იტყოდნენ, გულისხმობდნენ ხის ლურსმანს.

<sup>148</sup> ტლუ – 1. უტოტო(ხე); 2. მარტო მყოფი, მარტოხელა.

<sup>149</sup> მარშამი – (ძვ.) თხელი, გამჭირვალე ქსოვილი.

<sup>150</sup> როკა – ხის შტოს ძირი (საბა).

<sup>151</sup> ასლი – აქ: კილიანი ხორბალი.

<sup>152</sup> სალოცავისგან მოკითხული – ძველად კაცი რომ ავად გახდებოდა, მკითხავთან მიდიოდნენ, მკითხავის პირველი რჩევა იყო «სალოცავმა მოგიკითხაო», გერის წმინდა გიორგიმ, ლომისამ და სხვა.

<sup>153</sup> ქიტტი – ქაფქირი.

<sup>154</sup> აპური – ტაბიკის თავი (საბა).

<sup>155</sup> მეზობლები შეთანხმდებიან – ორი ან სამი, ჯერ ერთს უზიდავენ რძეს, ის ადედებს და დღვებავს, მერე – მეორეს, მესამე კვირას კი – მესამეს. რძეს საწველეში ხით ზომავენ და შემდეგ მეორე მეზობელს ამის მიხედვით მიურწყავენ. ასეთ შეამხანაგებულ მეზობლებს ხანულები ეწოდება. «ხანული – რძის მოზიარენი, დიაცნი» – (საბა). ხანულობის დროს რძე უკეთ იყო გამოყენებული.

<sup>156</sup> დვანისწყლის ხეობაც მჭიდროდ დასახლებული ხეობაა, აქაც ქართველებისა და ოსების სოფლებია ერთმანეთში არეული, ზოგან ქართულ სოფლებს მთიდან ჩამოსული ოსობაც შეუერთდა, ავნევი საბჭოა, აი, მისი სოფლები: ავნევი, ლოდმურა, ზემო დვანი, ჩიმასი, არკნეთი, ღვერთეთი, ქვემო ღვერთეთი, მუგუთი, მიმინოსხევი, ფრინევი, ნული, ქვემო სამწყარო, ზემო სამწყარო, ხურთითი, უბიათი, ჭორბაულო.

<sup>157</sup> აქ ვახუშტი ან ცდება (ქვენატკოცა კიდესა მტკვრისა კი არ მდებარეობს, არამედ ჭერეთხევისა და ფცის შესართავის სამკუთხედში. ეს მდინარე კი ფცის სახელით ერთვის მტკვარს), ან ტკოცა შემდეგ გადმოსახლდა აქ.

<sup>158</sup> კვერი – აქ: პატარა ჩაქუჩი (მჭედლის).

<sup>159</sup> ზინდან – პატარა გრდემლი.

<sup>160</sup> ალა – წისქვილის ნაწილი-ყუთი, რომელშიც ფქვილი ჩამოდის, საფქვილე (საბა).

<sup>161</sup> «სილად» აღება – თავმოუდგმელად, ხელგადასმით.

<sup>162</sup> მარცვლეულის საწყაო. კახეთში 3 ფუთია, შუა ქართლში – 4 ფუთი, ზემო ქართლში – 5 ფუთი.

<sup>163</sup> კორდი – ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა და ბალახის ფესვებით არის შეკრული.

<sup>164</sup> ბერყენა – ველური მსხლის ჯიში.

<sup>165</sup> ოლე – მოგრძო ველთა შუა (საბა).

<sup>166</sup> ქარელის რაიონის მტკვრის მარცხენა მხარის ნაპირიც მჭიდროდაა კოტა სოფლებით მოვარაყებული. აქეთ ბრეძა და მისი საბჭოს სოფლები: აბანო, ატოცი, გულიკანთ უბანი, კოდა, საციხური, ჭვირნისი, აბისი და მისი საბჭოს ორი სოფელი – ბერძენაილი და აბისისთავი, ავლევი და მისი საბჭოს კვლავ ორი სოფელი – ცერონისი (სწორედ ცერონისი), კნოლევი. დიდი სოფლებია ურზნისი და რუისი და ყველა მათგანს საკუთარი სოფლის საბჭო აქვს. მოხისის საბჭოშია: მოხისი, ზემო შაქმაქეთი, ტყემლოვანი, აბუხალო, კოდა, ვარდისუბანი; დვანის ს. საბჭოში, გარდა დვანისა, ტახტიძირიცაა, ქვენატკოცის საბჭოში კი ითვლება: ქვენატკოცა, ფცა, ქვემო შაქმაქეთი, ლღეთი, თამარაშენი; ქვენატკოცის მახლობლადაა დაბა აგარა თავისი ჭარხლის ქარხნით.

<sup>167</sup> ვახტანგ VI.

<sup>168</sup> ეს მცენარე ლაშქარასებრთა ოჯახის წარმომადგენელია.

<sup>169</sup> მროველი.

<sup>170</sup> თანამედროვე გაგებით, ზემო ქართლად გულისხმობენ ლიახვგადმა მხარეს ბორჯომამდე და არა ძველ ზემო ქართლს, მესხეთ-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთს.

<sup>171</sup> დაზლი – (არაბ.) მატყლის მსხვილი ძაფი.

<sup>172</sup> ხაშურის რაიონის ყველა სოფლის ჩამოთვლას აქ საჭიროდ არ ვთვლი, ვიტყვი მხოლოდ, რომ აქაა ერთი ქალაქი (ხაშური), ერთი დაბა (სურამი) და 86 სოფელი. ნიმუშად ორ-სამ საბჭოს სოფლებს ჩამოვთვლი. გომის სასოფლო საბჭოშია: გომი, აგარები, დიდი სატივე, პატარა სატივე, ხიდისყური, ვაყა, ქვემო აძვისი (ორი სატივეა, აქ, მართლაც, კარგი მეტივეები იყვნენ). ქვიშხეთის საბჭოშია – ქვიშხეთი, ბულბულის ციხე, სარმანიშვილის კარი, სათივე, ტეზერი, ყიფიანთ უბანი, რუსაანთუბანი, ტაშისკარი, სვანისუბანი, ცხრამუხა; გარდა ცხრამუხისა, ამ მხარეშია ჯვართმუხა. მცენარის სახელიდან დადგენილი სოფლის სახელებია: ღანძილები, წაბლოვანი, ქინძათი, სათივე, ურთხვა, ვაკეპანტები, ცოცხნარა. საქართველოს სხვა კუთხეების სოფლის სახელები აქაც მეორდება : ზემო აძვისი (გორის რაიონის აძვი), ახალსოფელი (ბევრგან), ნაცარგორა (კასპის რაიონში სოფ. მიქელწყაროს მიდამოებში), მონასტერი (ქსნის ხეობა-მონასტერი-ლარგვისი), ოძისი (მცხეთის რაიონი), კოდისწყარო (კასპის რაიონი), ქაშვეთი (თბილისი), ახალშენი (ბევრგან), ნადარბაზევი (გორის რაიონი, კასპის რაიონში-თემამზე) და სხვ.

<sup>173</sup> ხერგილი – 1. იგივეა, რაც ჩახერგილი; 2. ხეებით და სხვ. შეკრული ადგილი.

<sup>174</sup> ამ ქვეყანაზე.

<sup>175</sup> ირმის რქა გაზაფხულზე, ჯერ რომ არ გამაგრებულა. ხარირემს ზამთარში რქები სცვივა, გაზაფხულზე ისევ ამოსდის, ამ დროს რბილია, სისხლით სავსე, ჩრდილოეთში სპეციალური ფერმებია ირემლადისა, გაზაფხულზე დაუყებს, ნორჩ რქებს ახერხავენ, მისგან მრავალნაირ სამკურნალო ნივთიერებას აკეთებენ.

<sup>176</sup> არაგვის ხეობაზეა ქართლისხევი.

<sup>177</sup> ვანის რაიონშია ვანი. საღანძილე – ხაშურის რაიონშიცაა.

<sup>178</sup> სხვა წერილობითი წყაროებით (დიდი დავთარი, სამსარის ტაძრის წარწერა) ჯავახეთის ნაწილი იმ დროს ტყიანი ჩანს.

<sup>179</sup> წივა – ხმელი ნეხვი (საბა).

<sup>180</sup> ხვასტაგი – (სპ.) მსხვილფეხა საქონელი.

<sup>181</sup> დაცონება – დაზარება.

<sup>182</sup> ქვყარილებს შორის ამ მთაზე კარგად არის გამოსახული ცირცელიანიც.

<sup>183</sup> ამჟამად არც ნაძვნარია, არც ტყიანი. მთის ველს უჭირავს მისი ნაპირნი.

<sup>184</sup> ვახუშტი მართებულად ტაბისყურის ტბას ჯავახეთს არ აკუთვნებს. ფარავანი კი ჯავახეთშია.

<sup>185</sup> ოლე – 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას; 2. ახლში საჩრდილობლად დატევებული ხე ან ბუჩქი.

<sup>186</sup> თრიალეთზე, ბაკურიანის ახლო არის ასეთი «იმერეთის ქედი».

<sup>187</sup> ლოპო – ლოპი სისველე, რომელიც ხის ქერქსა და მერქანს შორის ჩადგება გაზაფხულზე.

<sup>188</sup> სკორცონერა ლათინური სახელწოდებაა, ქართულად ფამფარულა ეწოდება. ჯობდა კი «კვეის ბალახად» შემოგვეტანა, როგორც მას ხალხი უწოდებს, ფამფარულა ხელოვნურია.

<sup>189</sup> ხომლი – აქ: ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული.

<sup>190</sup> სპილენძა – სპილენძის ფერია და სახელიც ფერის გამო მიიღო. საქართველოში გვხვდება ყველგან, უმთავრესად – ტყის ზონაში. იკვებება ხვლიკებითა და პატარა მღრღნელებით. მსხვერპლს ჯერ გუდავს და მერე ყლაპავს. 16-მდე კვერცხს დებს. კვერცხების ჩანასახები იმდენად არიან განვითარებულნი, რომ კვერცხიდან დადების უმალ იჩეკებიან წიწილები.

<sup>191</sup> ატოლიც ღიმის მაგვარია. გაზაფხულზე ნორჩ მცენარეს აგროვებენ და წნილად სდებენ.

<sup>192</sup> კარწახის ტბის მახლობლად დგას ერთ-ერთი კედლებჩამორღვეული შესანიშნავი ძეგლი წარსულისა – წყაროსთავი. როგორც ჩვენი მეცნიერნი ფიქრობენ, იგი დაახლოებით მეათე საუკუნეში გადაუკეთებიათ. მეხუთე-მეექვსე საუკუნეების ბოლისის ტიპის ბაზილიკა, გუმბათიან ტაძრად გადაკეთებული წყაროსთავის ტაძარი, კუმურდოს წააგავს. შემორჩენილია წარწერები, მაგრამ იმდენად დაზიანებულია, რომ სხვადასხვაგვარად იკითხება, ზოგის დასკვნით (ე. თაყაიშვილი), ტაძარი გადაკეთებულია არა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ XI-XII საუკუნეებში. ძეგლი ბაზილიკის კედლებიდან შემონახულია ნახევარმთვარისებური თაღები, ისეთნი, როგორც ბოლისის ტაძარშია, და ქართულმა არქიტექტურამ შემოინახა მეათე საუკუნემდე.

<sup>193</sup> ათაბაგი – მეფის აღმზრდელი, მრჩეველი.

<sup>194</sup> ოროკო – ტერასა, « მიწა ბაქან-ბაქნად მოვაკებული» (საბა).



<sup>195</sup> დრემლა – ცხვრის ნაკელი.

<sup>196</sup> ზედაშე – (ძვ.) წითელი ღვინო; საეკლესიო დღესასწაულებისათვის საგანგებოდ შემონახული საუკეთესო ღვინო.

<sup>197</sup> აყირო – მცოცავდეროიანი მცენარე, ისხამს გრძელყელიან გოგრას, რომელსაც ჭურჭლად ხმარობენ.

<sup>198</sup> ფასკუნჯი მტაცებელი ფრინველია. გვხვდება მთაშიც და ბარშიც, იკვებება, უმთავრესად, მძორით, მაგრამ ცოცხალსაც პირს არ აარიდებს. დებს 2 კვერცხს. ექვსი კვირის შემდეგ იჩეკება 2 ქულა. ქულა კი ბარტყია შევარდენთა, ორბთა და მისთანათა.

<sup>199</sup> მესხეთ-ჯავახეთში ჩვენი ზოოლოგების მიერ აღრიცხულია 190-ზე მეტნაირი ხერხემლიანი ცხოველი. ძუძუმწოვრები 50, ფრინველი 110, ქვეწარმავალი 11, ამფიბიები 7, თევზები 14. ცოტაოდენი, მაგრამ მაინც გვხვდება, შველი, მთებში (სამსარი და სხვა) – არჩვი, ფიქრობენ, ერთი-ორი ნიამორიც უნდა იყოს. ირემი თრიალეთის ტყეებშია, ჭობარეთშიც. საკმაო რაოდენობით არის ტყის კვერნა, თეთრყელა კვერნა, ციყვი, მაჩვი; ტბის პირებში – წავი, ზღარბი, მგელი, მელა და ტურა ხომ არის და არის. თევზით განთქმული იყო ჯავახეთი; ორაგული, სანამ მტკვარზე კაშხლებს გააკეთებდნენ, გვხვდებოდა ქობლიანისა და ფოცხოვის წყლებში, არსიანისა და ჯავახეთის მტკვარში, ბევრია მდინარის კალმახი, ხრამული (ფიჩხული, კაპუეტი), ჭანარი, ქაშაყი, ციმორი, წვერა, მურწა, ნაფოტა; ტბებშია ტბის კალმახი, აკლიმატიზებული ჭაფალა და სხვა.

ფრინველთაგან – კაკაბი, გნოლი, მწყერი, შურთხი, როჭო, ბევრია ბატი, სხვადასხვანაირი იხვი, ჩიბუხა, ღაღა; ჯავახეთი ხომ გადაფრენის გზაზეა, ამიტომ ბევრი აქ ეშვება, ისვენებს, ბევრიც აქ ჩერდება, ბუდეს იკეთებს. ბელურასნაირნი ხომ არიან და არიან, მტაცებელი ფრინველნი მთისა და ბარისა აქაც მრავლადაა: არწივი, ფასკუნჯი, სვაკი, ბორა, მიმინო, შევარდენი, ალალი, ქორი, კირკიტა, კაკაჩა და სხვა.

<sup>200</sup> წუნდა პატარაა, მაგრამ ლამაზი და კოხტა. იგი დარბაზული ტიპისაა, როგორც ჩანს, ნატამრალზე უნდა იყოს აგებული. მის სიმშვენიერეს აძლიერებს ისიც, რომ იგი ამენებულია მიწიდან ამოწეულ ლოდზე, რომელიც თვით ტამრის სიმალისაა. კედლები მოპირკეთებულია წმინდად ნათალი ვარდისფერი ტუფით, ტამარს სამხრეთის მხრიდან მოედანი აქვს, ისიც პატარაა, დანარჩენი სამი კედელი კლდის კბილის პირისაა.

<sup>201</sup> «ხოლო არსიანის მთა მდებარეობს აჭარის მთიდან არტანამდე. აღმოსავლეთ სამხრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შუა. და არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. გამოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ. არს ყვავილოვანი, ბალახოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. არტანიდან მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამხრით, მიადგების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს, ქვაყრილსა და კოლას, ყალნუ მთას. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არტანი, და დასავლით არტანუჯი და ფანასკეტი. და არს მთა ესე არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო სამხრით, ფერსათის მთიდან არსიანამდე...» (ვახუშტი).

<sup>202</sup> ქველთობა – აგვისტო.

<sup>203</sup> ქობლიანის წყლამდე.

<sup>204</sup> სამცხე-საათაბაგო.

<sup>205</sup> მტილი – (ძვ.) ბაღი, ბაღ-ბოსტანი.

<sup>206</sup> მთებს შუა სარტყელის ტყე.

<sup>207</sup> სუბალპებისა და ალპების საძოვრები და სათიბები.

<sup>208</sup> სუბალპების მაღალბალახეულობა

<sup>209</sup> კოლხური ტიპის სუბალპების მაღალი ბალახეულობა.

<sup>210</sup> საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილები ჩვენს ქვეყანას ასე უწოდებენ.

<sup>211</sup> ბაბილო – ველური ვაზი.

<sup>212</sup> ქვათესლა – ბალახია, იკეთებს თესლს, რომელიც დაფარულია ემალისებური ნაჭუჭით.

<sup>213</sup> ხახალი – გობის მსგავსი მოწნული ჭურჭელი.

<sup>214</sup> ბაბა – პაპა, ათა – მამა. დასავლეთ საქართველოში დარჩენილია სიძველის აღსანიშნავად, ათადან – ბაბადანო. ბაბუაც თურქული ბაბა-დან მოდის.

<sup>215</sup> საფარა ურაველის ხეობაზეა, ახალციხიდან 4-5 კილომეტრზე. ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია მესხეთის ტამართა შორის; მართალია, იგი კუმურდოს ვერ შეედრება ხაზების სინატიფესა და პროპორციაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი იმ ტამართა ტიპია, რომელთაც საბოლოო სახე XIV საუკუნეში მიიღეს. ტამარში კარგადაა შენახული კედლის მხატვრობა. კედლები უხვადაა მორთული ნატიფი ჩუქურთმებით.

საფარის მონასტერი შემოზღუდული იყო ციხე-გალავნით, მაგრამ დღეს დანგრეულია, საფარის კომპლექსში თორმეტი ტამარია, უმთავრესად – ბაზილიკები. ამ მხრივ ინტერესს არ არის მოკლებული შედარებით დიდი

---

ბაზილიკა, რომელშიც კედლები მოხატულია, მაგრამ XIX საუკუნის რუსმა ბერებმა შელესეს. სამრეკლოს ქვედა სართულში საძვალე-ეკლესიაა, რომელმაც შემოინარჩუნა მეთოთხმეტე საუკუნის ფრესკები.

საფარა ტაძართა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ძეგლია.

<sup>216</sup> გოდერძის უღელტეხილი.

<sup>217</sup> კნაპა – დაბალი ხე (ან ბუჩქი) ვარდისებრთა ოჯახისა.

<sup>218</sup> ზემო ნაოხრები.

<sup>219</sup> შემთხვევითი არ არის, რომ მოსახლეობაში ქართველ კათოლიკეებს უწოდებენ ფრანგებს ან ქართველ ფრანგებს, ქართველ მაჰმადიანებს – თათრებს, ქართველ გრიგორიანებს – სომხებს ან ქართველ სომხებს.

<sup>220</sup> ყაურმა – ყაურმის დასამზადებლად დაკლავდნენ ცხვარს, წვრილად დაჭრიდნენ, მოხრაკავდნენ და ჩადებდნენ ქილებში. ქონსა და დუმას გაადნობდნენ და დაასხამდნენ ზედ. დადგამდნენ გრილ ადგილას და მთელ ზამთარს იზოგავდნენ. ამოიღებდნენ საჭირო იჯარას და ცეცხლზე შეათბობდნენ, ხუთ წუთში ყაურმა მზად იყო. აპოხტი – ძროხეულს დაკლავდნენ, ახმობდნენ მზეზე, ინახავდნენ საზამთროდ.

<sup>221</sup> მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადიგენში, ზარზმაში და სხვა დაცარიელებულ სოფლებში ხალხი გადმოსახლდა რაჭიდან, ზემო იმერეთიდან.

<sup>222</sup> ალი – კვალი – აქ : ნამდვილი, პირწავარდნილი.

<sup>223</sup> ალბათ, ხრიოკებზე მაშინაც უნდა ყოფილიყო მოშიშვლებული ადგილები, სადაც მოქსეროფიტო მცენარენი სახლობდნენ.